ოთარ ლორთქიფანიძე

შრომები

I ტომი

ძველი საქართველო (კოლხეთი და იბერია) სტრაბონის გეოგრაფიაში

ახალი კომენტარები

თბილისი
2010

1994 წელს გელათში, შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმის დროს ცნობილ გამომცემელს ადოლფ მ. ჰაკერტსა და კონსტანცის უნივერსიტეტის პროფესორს, ისტორიკოს ვოლფგანგ შულერს გაუჩნდათ იდეა, დაეარსებინათ სერია „Schwarzmeer-Studien". სერიის პირველი ტომისთვის დასაბეჭდად შეირჩა ოთარ ლორთქიფანიძის მონოგრაფია „Das alte Georgien (Kolchis und Iberien in Strabons Geographie). Neue Scholien", რომელიც 1996 წელს გამოქვეყნდა კიდეც ქ. ამსტერდამში გერმანულ ენაზე და თვალსაჩინო ადგილი დაიკავა სტრაბონიანაში.

ამ მონოგრაფიის ქართულ ენაზე გამოცემა ეძღვნება ოთარ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 80 წლისთავს და წარმოადგენს მისი ნაშრომების კრებულის I ტომს.

რედაქტორები:

დარეჯან კაჭარავა

გურამ კვირკველია

ნინო ლორთქიფანიძე

გამოცემაზე მუშაობდნენ:

ნინო ანდრიაშვილი, მაგდა ცოცხალაშვილი,

მაია წულუკიძე, ირაკლი ხუციშვილი

დაიბეჭდა

შპს „ფავორიტი პრინტში"

ISBN 978-99928-829-505

© საქართველოს ეროვნული მუზეუმი, 2010

სარჩევი

I თავი 5
ძველი საქართველო (კოლხეთი, იბერია) სტრაბონამდელ ბერძნულ მწერლობაში

II თავი 10
სტრაბონი და მისი „გეოგრაფია“

III თავი 21
თქმულება არგონავტებზე და სტრაბონის „გეოგრაფია“
1.არგონავტიკა და ჰომეროსი სტრაბონისეულ ინტერპრეტაციაში 25
2.არგონავტიკა და კოლხეთი 37

IV თავი 60
კოლხეთისა და იბერიის პოლიტიკური, ფიზიკური და ეკონომიკური გეოგრაფიისათვის (საზღვრები, მდინარეები, ბუნებრივი სიმდიდრეები, გზები)
ა) საზღვრები 60
1.კოლხეთი 60
2.იბერია 67
ბ) მდინარეები 84
1. კოლხეთის მდინარეები 84
მდინარე ფასისი (Φᾶσις ποταμός) 84
გლავკოსი (Γλαῦκος) და ჰიპოსი (Ἵππος) 92
2. იბერიის მდინარეები 94
მდინარე კვიროსი (Κῦρος) 94
არაგოსი (Ἄραγος) 96
ალაზონიოსი (Ἀλαζόνιος) 96
გ) გზები 97
1. გზა ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ 97
2. გზა იბერიაზე ჩრდილოეთისაკენ 102
დ) ბუნებრივი სიმდიდრეები 103
1. ოქროთი სიმდიდრე („πλοῦτος... ἐν τῶν χρυσείων“: I, 2, 39) 104
2. რკინით სიმდიდრე („πλοῦτος... ἐν τῶν σιδηρείων“: I, 2, 39) 106
3. „ყოველივე ნავთსაშენისათვის“ („... πρὸς ναυπηγίαν πᾶσι“) 107
4. ნაყოფი (καρποί) 108
5. სელის დამუშავება (λινουργία) 109
6. სურინჯი (μίλτος) 111

V თავი 112
ეთნიკა
1. იბერები (Ἴβηρες) 115
2. მოსხები (Μόσχοι) 120

3. კოლხები (Κολχοί) 129
4. სანები (Σάννοι) 134
5. ხალდები, ხალიბები (Χαλδαῖοι, Χάλυβες) 138
6. ჰეპტაკომეტები (Ἑπτακωμῆται) 149
7. ტიბარანები/ტიბარენები (Τιβαρανοί// Τιβαρηνοί) 153
8. სოანები (Σοάνες) 158
9. ჰენიოხები (Ἡνίοχοι) 159
10. დასკვნისათვის 164

VI თავი 165
საზოგადოებრივ-სოციალური წყობა
1. კოლხეთი 165
2. სვანთა ტომი 169
3. ჰენიოხები 170
4. იბერია 174

VII თავი 187
ქალაქები (ლოკალიზაცია და თანამედროვე არქეოლოგიის მონაცემები)
ა)კოლხეთის ქალაქები 187
1. ფასისი 187
2. დიოსკურია 194
3. „დიდი პიტიუნტი“ (Πιτυοῦς μέγας) 201
4. „კვიტაიელი აიეტი“ (Αἰήτης Κυταίου) 202
5. სარაპანა (Σαραπανά) 205
6. Τὸ τῆς Λευκοθέας ἱερόν (ლევკოთეას სამლოცველო) 208
ბ)იბერია 223
1. სტრაბონის ტერმინოლოგია 223
2. ჰარმოზიკე (᾽ Αρμοζική) 225
3. სისამორა (Σεισάμορρα) // სევსამორა (Σευσάμορα) 227
4. ფროქსოპოლისი-იდეესა (Φρίξου πόλις//᾽Ιδήεσσα) 228

VIII თავი 229
პოლიტიკური ისტორიის მომენტები
1. მითრიდატე VI ევპატორი და კოლხეთი 229
2. რომაელთა ექსპანსია იბერიასა და კოლხეთში 238

ტაბულები 245
ლიტერატურა 250
საძიებელი 283

I თავი

ძველი საქართველო (კოლხეთი, იბერია) სტრაბონამდელ ბერძნულ მწერლობაში

ანტიკურ ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ორი სახელმწიფოს (კოლხეთისა და იბერიის) შესახებ ცნობების გაჩენა ბერძნულ მწერლობაში დაკავშირებულია ბერძნულ სამყაროსა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს შორის კონტაქტების დასაწყისთან, რაც ასახულია ოქროს საწმისისათვის არგონავტების ლაშქრობის შესახებ თქმულებებში, მაგრამ თვით საკითხი იმის შესახებ, თუ როდის შეიქმნა თქმულებები არგონავტების შესახებ, უაღრესად რთულია და სადისკუსიო. ყოველ შემთხვევაში, სავსებით აშკარაა, რომ არგონავტების კოლხეთში ლაშქრობის შესახებ თქმულებათა არაჩვეულებრივი პოპულარობა ადრეულ ბერძნულ ეპოსში შეიძლება განვიხილოთ, როგორც ანარეკლი ბერძნულ-კოლხური კონტაქტებისა შავიზღვისპირეთში დიდი ბერძნული კოლონიზაციის საწყის ეტაპზე (უფრო დაწვრილებით ამ საკითხებზე ქვემოთ გვექნება საუბარი: იხ. III თავი, § 2).

უკვე ძვ.წ. VIII ს-ში პოეტი ევმელოს კორინთელი პირველად მოიხსენიებს „კოლხეთის ქვეყანას“ (ფრ. 2), ხოლო ჰესიოდე კოლხეთის მდინარე ფასისს (დღევანდელი რიონი) იხსენიებს იმდროინდელი მსოფლიოს უდიდეს მდინარეთა შორის („თეოგონია“, 337-340). მაგრამ ზემოდასახელებულ და აგრეთვე ძვ.წ. VII-VI სს-ის სხვა ავტორთა თხზულებებში, რომელნიც, როგორც ცნობილია, ძირითადად გვიანდელ ავტორებთან დაცული თითო-ოროლა ფრაგმენტითაა ჩვენამდე მოღწეული, კოლხეთი მხოლოდ მითოლოგიურ ასპექტშია წარმოდგენილი და მის შესახებ ცნობები ამ დროს მეტწილად მოკლებულია რეალურ საფუძველს. სურათი ამ მხრივ მკვეთრად იცვლება ბერძენთა შავი ზღვის სანაპიროზე მტკიცედ დამკვიდრების შემდეგ. ბერძნული კოლონიების წარმოქმნა-განვითარებასთან ერთად იწყება გაცხოველებული ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასთან და მასთან ერთად ჩნდება პირველი ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერილობანი. მათი შემქმნელები არიან ე.წ. ლოგოგრაფოსები, რომელთაც „პროზაულ მოთხრობათა“ ავტორებსაც უწოდებენ. მათ ჯერ ვერ ვუწოდებთ ისტორიკოსებს – ისინი ჯერ კიდევ ვერ მიჯნავდნენ ერთმანეთისაგან მითიურსა და რეალურს. მაგრამ ლოგოგრაფოსები ბევრს მოგზაურობდნენ და თავის თხზულებებში წარმოადგენდნენ მხოლოდ საკუთარი დაკვირვების შედეგებს, ამასთან, არცთუ იშვიათად

იყენებდნენ დოკუმენტურ მასალასაც (მაგ., ბერძნული ქალაქების აღწერისას – ქალაქის მოხელეების, ქურუმთა და სხვა სიებს და ა.შ.). თავიანთ თხზულებებში ლოგოგრაფოსები დიდ ადგილს უთმობდნენ აგრეთვე სხვა არაბერძნული ქვეყნებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ყოფისა და კულტურის აღწერას. სამწუხაროდ, დაკარგულია ლოგოგრაფოსთა უფროსი თაობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამოჩენილი წარმომადგენლის – ჰეკატე მილეტელის ვრცელი ეთნო-გეოგრაფიული თხზულება (περιηγησις ან περίοδος γῆς, რომელიც ძვ.წ. 520-500 წლებშია დაწერილი და ეძღვნება იმ დროს ბერძენთათვის ცნობილი თითქმის ყველა ქვეყნის აღწერას. ამ დაკარგული თხზულების ცალკეული ფრაგმენტები შემონახულია VI ს-ის ავტორის სტეფანე ბიზანტიელის გეოგრაფიულ ლექსიკონში („ეთნიკა“) და ამ ფრაგმენტებიდან ირკვევა, რომ ჰეკატე მილეტელის თხზულებაში წარმოდგენილი იყო ცნობები შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსა და აქ მოსახლე ქართველ ტომთა ქალაქებისა და ნავსადგურების შესახებ. ასეთივე ხასიათის ცნობებს შეიცავდნენ სხვა ლოგოგრაფოსთა (აკუსილაე არგოსელი, ფერეკიდე ლეროსელი და სხვ.) თხზულებანიც (დაწვრ. ლომოური 1963).

ძვ.წ. VI-V სს-ის კოლხეთის ისტორიისა და კულტურის შესახებ მრავალმხრივ საინტერესო ცნობებია შემორჩენილი ბერძენი ისტორიკოსის, ისტორიული მეცნიერების ფუძემდებლად მიჩნეულისა და „ისტორიის მამად“ წოდებულის – ჰეროდოტე ჰალიკარნასელის თხზულებაში. ჰეროდოტეს „ისტორია“ აზიისა და ევროპის პირველი მონუმენტური ისტორიაა, რომელიც ძვ.წ. V ს-ის ბერძენ-ირანელთა დიდი ომიანობის ფონზეა გადმოცემული. ფილოლოგიურ მეცნიერებაში დღეს აღიარებულია, რომ ჰეროდოტე, თუმც სარგებლობდა მისი წინამორბედების (კერძოდ, ჰეკატე მილეტელის, ჰელანიკეს, დიონისიოს მილეტელის და სხვ.) ნაშრომებით, მაგრამ, ამასთან ერთად, ეყრდნობოდა მისი მოგზაურობის დროს მიღებულ შთაბეჭდილებებსა და ადგილობრივ მოსახლეთა გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციას.[1] ამიტომაც თვლიან, რომ ჰეროდოტეს ცნობები მეტწილად ნდობის ღირსია და წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს ძვ.წ. VI-V სს-ის კოლხეთის ისტორიისათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცნობები კოლხთა, აგრეთვე სასპერთა (აღმოსავლურქართული ტომის) და სხვა ძველ ქართულ ტომთა პოლიტიკურ გაერთიანებათა და მათი აქემენიდურ ირანთან ურთიერთობის (I, 104, 110; II, 103-104; III, 93-94, 97; IV, 57-58; VII, 78-79), ეკონომიკის ცალკეული დარგების (კერძოდ, სელის ქსოვილის წარმოების) შესახებ (II, 105). დიდი ადგილი ეთმობა არგონავტების კოლხეთში ლაშქრობის გადმოცემებს (I, 1-4; IV, 145, 179; VII, 193, 197), აგრეთვე წინა აზიაში სკვითების ლაშქრობის აღწერას (I, 103) და ა.შ. (ყაუხჩიშვილი 1960).

1 მრავალი ავტორიტეტული მკვლევარი თვლიდა, რომ ჰეროდოტემ იმოგზაურა შავიზღვისპირეთში და მათ შორის კოლხეთშიც (შდრ. მაგ., ყაუხჩიშვილი 1960: 5-6), მაგრამ უკანასკნელ ხანებში გამოითქვა ეჭვიც ჰეროდოტეს საერთოდ შავიზღვისპირეთში, და კერძოდ – სკვითიასა და კოლხეთში ყოფნის თაობაზე (Armayor 1978).

ძველი კოლხეთის ბუნებრივი პირობების, აგრეთვე აქ მოსახლე ტომთა ყოფის, ჩვევებისა და ცხოვრების წესის საკმაოდ დაწვრილებითი აღწერილობა წარმოდგენილია ვრცელ ტრაქტატში περὶ ἀέρων ὑδάτων τόπων („ჰაერის, წყალთა და ადგილთა შესახებ"), რომლის ავტორად დიდხანს მიჩნეული იყო ძვ.წ. V ს-ის ბერძენი ექიმი და ბუნებისმეტყველი ჰიპოკრატე, თუმცა თანამედროვე ფილოლოგიური მეცნიერება უარყოფს ამ მოსაზრებას (Edelstein 1931) და ზემოდასახელებული თხზულების ავტორს ფსევდოჰიპოკრატეს უწოდებს. ფიქრობენ, რომ ჰიპოკრატეს ცნობები დაფუძნებულია როგორც დღემდე დაკარგულად მიჩნეულ მის წინამორბედთა ნაშრომებზე (რომელთა შორის გამორიცხავენ ჰეროდოტეს „ისტორიას"), ასევე ავტორის პირად დაკვირვებებზე. ტრაქტატის ავტორი რომ კარგად იცნობდა კოლხთა (რომელთაც ფასიანებს – Φασιανοί – უწოდებს) ქვეყანას, ჩანს იქიდანაც, რომ იგი საკმაოდ ზუსტად აღწერს მდ. ფასისის ქვემო წელს, ე.ი. კოლხეთის დაბლობის ბუნებრივსა და კლიმატურ პირობებს.

საინტერესოა აღინიშნოს ფსევდოჰიპოკრატესეული აღწერილობა: „ქვეყანა ჭაობიანია, ცხელია, ნესტიანი და ტყიანი... აქ წელიწადის ყოველ დროს იცის ძლიერი წვიმები" და ა.შ. (იხ. § 15), რაც ზუსტად ემთხვევა თანამედროვე მეცნიერულ-გეოგრაფიულ დახასიათებას (დაწვრ. ბერძნიშვილი 1969: 32-33). განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს აგრეთვე ცნობები ფასიანების ყოფის, აქ არსებული ხისა და ლერწმის საცხოვრებელი სახლების, მრავალრიცხოვანი არხებისა და სხვათა შესახებ. ამიტომაც ფსევდოჰიპოკრატეს ტრაქტატი (კერძოდ, § 15) ძველი კოლხეთის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და პალეოგეოგრაფიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროდაა მიჩნეული (ყაუხჩიშვილი 1965).

ძვ.წ. 401 წ. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გაიარა ბერძენმა ისტორიკოსმა ქსენოფონტმა, რომელიც წინამძღოლობდა ირანის მეფე კიროსის დაქირავებულ 10 000-იან ბერძენთა ლაშქარს. ქსენოფონტმა თავისი ლაშქრობა აღწერა წიგნში „ანაბასისი". იგი (III, 5; IV, 1-8; V, 2-6; VII, 8) შეიცავს უაღრესად საინტერესო ცნობებს იმ ქართველ ტომთა შესახებ, რომელნიც ოდესღაც უთუოდ ურარტულ წყაროებში აღწერილი კოლხას სამეფოს ერთ-ერთ ძირითად ბირთვს წარმოადგენდნენ,[1] მაგრამ ძვ.წ. V ს-დან მაინც, როგორც ქსენოფონტის ცნობებიდან ჩანს, აღარ შედიოდნენ კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში (მიქელაძე 1967).

ისტორიული, ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული ხასიათის ცნობები შემორჩენილია ძვ.წ. IV ს-ის ბერძენი ფილოსოფოსის არისტოტელეს თუ მისი ავტორობით ცნობილ რიგ ნაწარმოებებში (Πολιτικά, „პოლიტიკა", VII, 2, 6; 4, 4; περὶ τὰ ζῷα ἱστορίαι, „ცხოველთა ისტორიის შესახებ", III, 21, 7; V, 22, 8; Μετεωρολογικά, „მეტეოროლოგია", I, 13, 17; I, 13, 29; περὶ θαυμασίων ἀκουσμάτων „საოცარ ამბავთა შესახებ", XVIII, 48, 62). სამწუხაროდ, ამ თხზულებათაგან ჩვენამდე მხო-

1 კოლხას სამეფოს შესახებ იხ. Меликишвили 1962.

ლოდ ცალკეული ფრაგმენტებია მოღწეული, რომელთაგან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ცნობები რკინის ხალიბური წესით მიღების, მაღალი ხარისხის პონტური თაფლის და სხვათა შესახებ (ყაუხჩიშვილი 1969: 5 და შმდ.). ივარაუდება, რომ ნაშრომში „პოლიტიკა“ (1324ᵇ: VII, 2, 5-23) პირველად იხსენიებიან კავკასიელი იბერები (ყაუხჩიშვილი 1969: 22-23), თუმც, ეს იდენტიფიკაცია უეჭვო არ უნდა იყოს. მკვლევართა უმრავლესობა არისტოტელეს მიაწერს აგრეთვე ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო ერთ ფრაგმენტს ფასისელთა სახელმწიფო წყობის შესახებ, რომელიც ძვ.წ. II ს-ის ბერძენ ავტორთან – ჰერაკლიდესთანაა შემორჩენილი (ყაუხჩიშვილი 1969ა: 82; Доватур 1965: 116 და შმდ.).

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის აღწერილობა მოცემულია უცნობი ავტორის მიერ ძვ.წ. IV ს-ში შედგენილ „პერიპლუსში“ (რაც ძველ ბერძნულად ზღვის სანაპიროს გარშემო ცურვას ნიშნავს), რომელიც დიდხანს მიეწერებოდა ძვ.წ. VI ს. ავტორს სკილაქს კარიანდელს. ათენელი ზღვაოსნებისა და ვაჭრებისათვის განკუთვნილ ფსევდოსკილაქსის „პერიპლუსში“ თანმიმდევრობით არიან ჩამოთვლილი შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრები ტომები და მათ ტერიტორიაზე განლაგებული ბერძნული ქალაქები. კოლხთა ქვეყანაში ზღვის სანაპიროზე იხსენიებიან („აზია“, § 81) ქალაქები დიოსკურისი, გიენოსი და ფასისი, ხოლო ქვეყნის შიგნით „დიდი ბარბაროსული ქალაქი, საიდანაც იყო მედეა“. ფსევდოსკილაქსის თხზულება, როგორც ფიქრობენ, ძირითადად დაფუძნებულია როგორც პირადად მის ჩრდილო და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოგზაურობაზე, ასევე ლიტერატურულ ნაწარმოებებზე. კერძოდ, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის აღწერისას ივარაუდება ჰეკატე მილეტელის თხზულებისა და VI ს-ის „პერიპლუსის“ ძირითად წყაროებად გამოყენება (ყაუხჩიშვილი 1967).

კიდევ უფრო მრავლდება ცნობები ძველი კოლხეთის შესახებ ელინისტური ხანის ბერძნულ მწერლობაში, რასაც განაპირობებდა ძველი საქართველოს აქტიური მონაწილეობა ელინისტური სამყაროს სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობათა რთულ პროცესში (დაწვრ. ლორთქიფანიძე ოთ. 1966: 117-147; Лордкипанидзе О. 1989: 272-302; O. Lordkipanidse 1991: 132-145). ელინიზმის ხანა (ძვ.წ. IV ს-ის უკანასკნელი მეოთხედი – ძვ.წ. I ს. შუა ხანები), როგორც ცნობილია, ლიტერატურისა და მეცნიერების, განსაკუთრებით გეოგრაფიისა და ეთნოგრაფიის განვითარების ეპოქაა.

ელინისტური ხანის ბერძნულ პოეზიასა (ლიკოფრონ ქალკიდელი, კალიმაქე კვირენელი, თეოკრიტე სირაკუზელი, აპოლონიოს როდოსელი, ნიკანდრე კოლოფონელი) და პროზაში (კალისთენე, დურის სამოსელი, პოლიბიოსი, აპოლოდორე, დიონისიოს სკიტობრაქიონი, დიოდორე სიცილიელი და სხვ.) კვლავ ძალზე პოპულარულია ძველი ბერძნული თქმულება არგონავტთა კოლხეთში ლაშქრობის შესახებ (დაწვრ. ურუშაძე 1964: 68-80). საგანგებოდაა აღსანიშნავი ძვ.წ. III ს-ის ბერძენი მეცნიერისა და ეპიკოსი პოეტის აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა“. ესაა მონუმენტური პოეტური ნაწარმოები, სადაც მაღალმხატ-

ვრულ ფორმებში ვრცლადაა გადმოცემული არგონავტთა კოლხეთში ყოფნა, ოქროს საწმისის გატაცება, აფსირტეს მკვლელობა და სხვ. მითიურ ელემენტებთან ერთად აპოლონიოს როდოსელის თხზულება შეიცავს რიგ რეალურ ეთნოგრაფიულ დეტალებს, რაც მას საისტორიო წყაროს მნიშვნელობასაც ანიჭებს. ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ ელინისტურ პოეზიაში წარმოდგენილი ზოგიერთი მომენტი ასახულია (თუმც ძუნწად) სტრაბონის „გეოგრაფიაში“.

ელინისტურ ეპოქაში ფართოდ ვრცელდება ისტორიულ-გეოგრაფიული ლიტერატურის თავისებური სახეობა, რომელსაც ეწოდება „პერიეგესი“. ეს ტერმინი მეტწილად გეოგრაფიული მნიშვნელობით იხმარებოდა და ნიშნავდა ცალკეული ქვეყნებისა და ხალხების ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავ და სარწმუნოდ მიჩნეულ მოვლენათა აღწერას. მრავალრიცხოვან „პერიეგესებს“ შორის ცნობები კოლხეთის შესახებ შემონახულია ექვსასსტროფიანი იამბით დაწერილ თხზულებაში „დედამიწის აღწერილობა“, რომლის ავტორადაც ძალიან დიდხანს ძვ.წ. III-II სს-ის ბერძენი ავტორი სკიმნოს ქიოსელი ითვლებოდა. ახლა კი დადგენილია, რომ დასახელებული ნაშრომი ჩვენთვის უცნობი ავტორისაა, რომელსაც ძვ.წ. II თუ I ს-ში მიზნად დაუსახავს მოკლე გეოგრაფიული სახელმძღვანელოს შედგენა. ამ თხზულებაში იხსენიებიან ქართველური ტომები — ხალიბები (938), მოსინიკები (900, 915), ტიბარენები (915). ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ფსევდო-სკიმნოსის თხზულებიდან უნდა მომდინარეობდეს V ს-ის ანონიმურ „პერიპლუსში“ (§ 3) დაცული ცნობა ქალაქ ფასისის შესახებ (დაწვრ. ყაუხჩიშვილი 1967: 55 და შმდ.).

სამწუხაროდ, დღეს დაკარგულია თავისი დროისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული თხზულებანი – ერატოსთენეს, ეფორეს, დიონისიოს ქალკიდელის, ტიმოსთენე როდოსელისა და სხვა ავტორთა შრომები, რომელთაც იხსენიებს ფსევდო-სკიმნოსი და რომლებიც, საფიქრებელია, შეიცავდა ცნობებს კოლხეთის შესახებაც. ზემოდასახელებული და აგრეთვე სხვა ავტორთა ცნობები ნაწილობრივ შემონახულია ძველი სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი ისტორიკოსისა და გეოგრაფის სტრაბონის „გეოგრაფიაში“.

II თავი

სტრაბონი და მისი „გეოგრაფია“

სტრაბონისა და მისი „გეოგრაფიის“ შესახებ უკვე უმდიდრესი და მრავალფეროვანი ლიტერატურა არსებობს.[1] ამიტომ მე მიძნელდება არამცთუ რაიმე სიახლის წარმოდგენა, არამედ, თუნდაც, მეტ-ნაკლებად სრულად ძირითადი შედეგების გადმოცემაც კი, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ მრავალი მომენტია ბუნდოვანი სტრაბონის ბიოგრაფიიდან და განსაკუთრებით „გეოგრაფიასთან“ დაკავშირებული საკითხების ვრცელი რიგიდან (ტექსტი, ჟანრული კუთვნილება, კომპოზიცია, სტილი, ენა, ტერმინოლოგია, წყაროები და ა.შ. – შდრ. Грацианская 1986).

სტრაბონის დაბადების ხანის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა: მას ძვ.წ. 68-58 წწ. შორის განსაზღვრავენ. მკვლევართა უმრავლესობა მაინც უპირატესობას ძვ.წ. 64/63 წელს ანიჭებს (Niese 1883: 568,574; Honigmann 1931: 76-77; Aujac 1969: VIII-IX; დაწვრ. სხვადასხვა მოსაზრებათა განხილვა იხ. Грацианская 1986: 12-17). გარდაცვალების თარიღად ახ.წ. 23/24 წელია მიჩნეული (Aly 1968: 101).

სტრაბონი დაბადებულია ქ. ამასიაში პონტოელ ბერძენთა ოჯახში და მის წინაპრებს მნიშვნელოვანი თანამდებობებიც კი ეკავათ პონტოს სამეფოს კარზე. ჩვენთვის საინტერესოა, რომ სტრაბონის ბებია (დედის მხრივ) იყო ასული მითრიდატე VI პონტოელის დაახლოებული პირის ლაგეტისა და მეუღლე კოლხეთის მმართველ მოაფერნესი, რომელიც თვითონაც მითრიდატეს მეგობრად ითვლებოდა (დაწვრ. Honigmann 1931: 77-78; Aujac 1969: XI). თვითონ სტრაბონი წერდა, რომ „როდესაც მითრიდატე ევპატორის ძალაუფლება გაძლიერდა, მის ხელში გადავიდა ქვეყანა (კოლხეთი – ო. ლ.); იგზავნებოდა მუდამ ვინმე მისი მეგობარ-თაგანი მმართველად და გამგებლად ქვეყნისა. ამათგანი იყო მოაფერნეც, ჩემი დედის ბიძა მამის მხრიდან“ (XI, 2, 18 = ყაუხჩიშვილი 1957: 124-125).

მიუხედავად აშკარად გამოკვეთილი რომანოფილური ტენდენციებისა, რაც რომაელთა დიდი კულტურტრეგერული როლის აღიარებით წითელი ზოლივით გასდევს მთელ მის „გეოგრაფიას“ (იხ. მაგ., II, 5, 26; III, 1, 8; IV, 1, 5; VI 3, 4 და სხვ.), სტრაბონი თავისი აღზრდითა და მსოფლმხედველობით მაინც ელინური

1 1469-1978 წლებში გამოცემული ნაშრომების სრული სია იხ. Birashi-Maribelli და სხვ. 1981; მას შემდეგ გამოცემული ნაშრომებიდან დავასახელებ: Грацианская 1986; Maddoli 1986; Maddoli 1988; Thollard 1987; Musti 1988.

კულტურის პირმშოა. არსებითად მან წმინდა ელინური განათლება მიიღო და მის მასწავლებლებადაც თვითონვე ბერძენ მეცნიერებსა და ფილოსოფოსებს ასახელებს (ფილოსოფოსი და გრამატიკოსი არისტოდემოსი, გრამატიკოსი ტირანიონ ამისელი, ფილოსოფოსი ქსენარხოსი და სხვ.). ფიქრობენ, რომ სტრაბონი ფართოდ იყო ფილოსოფიაში განსწავლული (შდრ. Aly 1964) და იცნობდა არსებითად მის ყველა თანამედროვე და წინამორბედ ფილოსოფოსს, რომელთაც იხსენიებს კიდეც თავის თხზულებაში (Stemplinger 1894: 11-24, 57-59).

სტრაბონს თავისი „გეოგრაფია“[1] ჩაუფიქრებია როგორც გაგრძელება მისი ადრინდელი ნაშრომებისა, რომელთაც იგი ხშირად იხსენიებს. ასე მაგ., „გეოგრაფიის“ XI, 9, 3-ში ის იმოწმებს „ისტორიული ჩანაწერების“ (ἱστορικὰ ὑπομνήματα VI წიგნსა და „პოლიბიოსის შემდგომი მოვლენების ისტორიის“ II წიგნს, ხოლო II, 1, 9-ში „ალექსანდრეს საქმეებს“.[2] სტრაბონის „ისტორიული ჩანაწერები“ ჩვენამდე მოღწეული არაა, მხოლოდ სხვადასხვა ავტორებთან (იოსებ ფლავიუსი, კვინტუს კურციუს რუფუსი, პლუტარქე, აპიანე და სხვ.) შემონახული ფრაგმენტებისა თუ ცალკეული მინიშნებების მიხედვითაა ცნობილი (Otto 1889; შდრ. Jacoby 1926 III A: 430-436; სრული ბიბლიოგრაფია იხ. Грацианская 1986: 27-30). ფიქრობენ, რომ ამ თხზულების ძირითადი ნაწილი მოიცავდა არსებითად ძვ.წ. 114 და 29 (თუ 27?) წლებს შორის მომხდარი ამბების გადმოცემას. სამწუხაროდ, ვერაფერს ვიტყვით იმის შესახებ, იყო თუ არა ამ ნაწარმოებში ძველი კოლხეთისა და იბერიის (ქართლის სამეფოს) ისტორიაც. ასეთი გამორიცხული არ უნდა იყოს, რამდენადაც იმდროინდელი მსოფლიოს პოლიტიკური მოვლენები საქართველოსაც შეეხო და მის ორბიტაში მოექცა. მაგრამ, მეორე მხრივ, ამის საწინააღმდეგოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ სტრაბონი სუსტადაა გარკვეული იმდროინდელი პონტოს პოლიტიკური ისტორიის მოვლენებში (იხ. Anderson 1923). ვარაუდობენ, რომ სტრაბონმა თავისი პირველი ნაწარმოების მასალები თავის „გეოგრაფიაშიც“ გამოიყენა, რამდენადაც მას გეოგრაფია ისტორიის ნაწილად მიაჩნდა, ხოლო ორივე ერთად – ფილოსოფიის შემადგენელ ნაწილებად. საინტერესოა, რომ სტრაბონი იმავ დროს გარკვეულად უპირისპირებდა ერთმანეთს ისტორიისა და გეოგრაფიის მიზნებს: ისტორია წარსულის ასახვად მიაჩნდა თითქოს, ხოლო გეოგრაფია – თანამედროვეობისა: „თუკი ძველი ისტორიიდან რაიმე გამომრჩა მხედველობიდან, ის შეიძლება გამოვტოვო (გეოგრაფიის მიზანი ხომ ამაში არ მდგომარეობს) და შევეხო მხოლოდ თანამედროვეობას“ („გეოგრაფია“, XII, 8, 7).

1 ანტიკურ ლიტერატურაში სტრაბონის თხზულება სამი სახელწოდებით იხსენიება: γεωγραφικά (შდრ. Athen. III, P. 121A; Steph. Byz., 177, 13); γεωγραφούμενα (Athen. XIV. P. 657F; Sch. ad Apoll. Rhod. Arg., II, 942, 946 (შდრ. Lassere 1969: XLIX-LI); γεωγραφία (Hesych., s.v. Στράτων = Suda Σ1155 და 1187; იხ. Грацианская 1986: 93-94, შენ. 1).

2 ივარაუდება, რომ ორი უკანასკნელი სახელწოდების ნაშრომი „ისტორიული ჩანაწერების“ შემადგენელი ნაწილებია.

თუმც, როგორც ფიქრობენ, სტრაბონთან მაინც ვერ ვხედავთ ჩვენ ისტორიისა და გეოგრაფიის ურთიერთისაგან მკვეთრ გამიჯვნას (შდრ. Pédech 1972: 404).

მკვლევართა უმრავლესობა იმეორებს ე. პაისის მტკიცებას, რომ „გეოგრაფიის“ ძირითადი ნაწილი ძვ.წ. 31 და 7 წწ. შორისაა დაწერილი (Pais 1922: 273 და შმდ.) და ყურადღებას აქცევენ იმ გარემოებას, რომ თითქმის არაფერია ნათქვამი ახ.წ. 7 და 14 წწ. შორის მომხდარ ამბებზე, თუმც შემდეგ ჩნდება ცნობები 17/19 და 20 წლების ზოგიერთი მოვლენის შესახებ. ეს მკვლევართ იმის მოწმობად მიაჩნიათ, რომ სტრაბონს სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ზოგი რამ დაუმატებია თავისი ნაშრომისათვის (დაწვრ. Грацианская 1986: 32 და შმდ.).

მკვლევართა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ „გეოგრაფია“ სტრაბონმა რომაელთა შეკვეთით დაწერა რომში ან ნეაპოლში (Niese 1877: 33, 36, 45; Butzer 1887: 30 და შმდ.; Honigmann 1931: 84; Aujac 1969: XXV-XXVII; Грацианская 1986: 31, შენ. 200). სხვები პონტოს მმართველს პითოდორისს ვარაუდობდნენ „გეოგრაფიის“ ადრესატად (Pais 1922: 268-269). თუმც, თვით სტრაბონის თხზულებაში თითქოს პირდაპირი მინიშნება, რომ მან ვინმეს დაკვეთით დაწერა „გეოგრაფია“, არ ჩანს. ერთგან (XIII, 1, 1) ის სთხოვს თავის მკითხველს: „... ნუ დასდებენ მას ბრალს ვრცელ აღწერილობაში, არამედ იმათ (დასდონ ბრალი), ვისაც ასე ძლიერ სურს გაეცნოს ძველი დროის სახელოვან ადგილებს“.

სტრაბონმა თავისი „გეოგრაფიის“ მიზანი ასე განსაზღვრა: „ამრიგად, მას შემდეგ, რაც მე გამოვეცი ჩემი „ისტორიული ჩანაწერები“, რომელთაც, როგორც მე ვფიქრობ, მოუტანეს სარგებელი მორალურ და პოლიტიკურ ფილოსოფიას, გადავწყვიტე, დამეწერა ეს თხზულებაც. ამ ნაშრომსაც მსგავსი გეგმა აქვს, როგორც წინას, და განკუთვნილია მკითხველთა იმავე წრისათვის, უმეტესად კი იმ ადამიანებისათვის, რომელთაც მაღალი მდგომარეობა უკავიათ. ისევე როგორც ჩემს „ისტორიულ ჩანაწერებში“, მოხსენიებულია მოვლენები მხოლოდ გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებიდან, ხოლო მცირე და არასახელოვანი საქმენი გამოტოვებულია. ასევე ამ თხზულებაშიც მე არ უნდა შევეხო უმნიშვნელო და უჩინარ მოვლენებს, არამედ ხელი უნდა მოვკიდო სახელოვან და დიდ საქმეთა აღწერას, რომელნიც არიან პრაქტიკულად სასარგებლო, ღირსსახსოვარნი და სასიამოვნო. ისევე როგორც კოლოსალური ქანდაკების შესახებ მსჯელობისას ჩვენ გულდასმით არ შევისწავლით მის ცალკეულ ნაწილებს, არამედ ვაფასებთ საერთო შთაბეჭდილებით და ვცდილობთ დავინახოთ, კარგია თუ არა ქანდაკება მთლიანად, ასევე უნდა ვიმსჯელოთ ჩემს წიგნზე, რადგან ესაა ნაშრომი კოლოსალურის შესახებ, რომელიც ეხება უდიდესი მნიშვნელობის მოვლენებს და მთელ მსოფლიოს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც უმნიშვნელო მოვლენებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ ინტერესი ცნობისმოყვარე ადამიანსა თუ პრაქტიკულ მოღვაწეში. ყველაფერი ეს ითქვა იმისათვის, რომ ვუჩვენო, რამდენადაა ეს წიგნი მნიშვნელოვანი და ღირსეული ფილოსოფოსისათვის“ (I, 1, 23).

იმავ დროს, ცოდნის სარგებლიანობა, ე.ი. პრაგმატული მომენტია ხაზგასმული, რაც თვალნათლივაა „გეოგრაფიის“ პირველსავე წიგნში გადმოცემული: „...მეფეებს შეუძლიათ უკეთ მართონ თითოეული ცალკეული ქვეყანა, თუ იციან რამდენად დიდია ის, როგორაა განლაგებული, რაში მდგომარეობს მისი კლიმატისა და ნიადაგის დამახასიათებელი თავისებურებანი. ხოლო რამდენადაც ქვეყნიერების სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა მეფეები მართავენ, რომელნიც თავის მოღვაწეობას წარმართავენ და განავრცობენ თავისი სახელმწიფოს საზღვრებს სხვადასხვა ცენტრებიდან და ამოსავალი წერტილებიდან, ამდენად მათ, ისევე როგორც გეოგრაფოსებს, არ ძალუძთ იცოდნენ დედამიწის ყველა კუთხე. მაგრამ ერთსაც და მეორესაც ხშირად აქვთ „დიდი და მცირე“ ცოდნა. მთელი ქვეყნიერება ერთ სახელმწიფოსაც რომ წარმოადგენდეს, მაშინაც კი შეუძლებელია ერთნაირად კარგად იცოდე ამ სახელმწიფოს ყველა კუთხე. ასეთ შემთხვევაშიც ეს შეუძლებელი იქნებოდა; ცენტრთან უფრო ახლო მდებარე ოლქები ხომ უკეთ იქნებოდა გამოკვლეული. და სავსებით სწორი იქნებოდა, მოგვეცა უფრო დაწვრილებით აღწერა ამ ოლქებისა, რომ ისინი გახდნენ მთლიანად ცნობილი; ისინი ხომ გაცილებით ახლოს მდებარეობენ და თავიანთი განლაგებით უკეთ შეუძლიათ სახელმწიფოს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ამიტომ არაფერია გასაკვირი იმაში, რომ საგანგებო გეოგრაფოსი სჭირდება ინდოელებს, სხვა – ეთიოპიელებს, მესამე – ბერძნებსა და რომაელებს. ასე მაგ., რად უნდა ინდოელ გეოგრაფოსს ისეთი დაწვრილებითი აღწერა ბეოტიისა, როგორც აქვს ჰომეროსს... ჩვენთვის კი ასეთი დეტალები მნიშვნელოვანია; მაგრამ სამაგიეროდ, ჩვენ ასეთივე დაწვრილებითი აღწერა ინდოეთისა არ უნდა გვაინტერესებდეს. ჭეშმარიტად, სარგებლიანობის მოსაზრებანი არ გვიბიძგებენ ჩვენ საამისოდ: ამგვარ მოვლენებთან გაცნობის უმთავრესი საზომი, უწინარეს ყოვლისა, სარგებლიანობაა“ (I, 1, 16).

სტრაბონის „გეოგრაფია“ განსაზღვრულია, როგორც მეცნიერულ-დიდაქტიკური თხზულება: თავისებური უძველესი გეოგრაფიულ-ისტორიულ-ეთნოგრაფიული ენციკლოპედია. იმავე დროს ამ თხზულებაში მრავლადაა „ენციკლოპედიისათვის“ უცხო სიუჟეტებიც – ნაირსახოვანი კომენტარები, გრამატიკული ექსკურსები, ფოლკლორი და ანეკდოტებიც კი (Грацианская 1986: 94).

ამჟამად ისახება ტენდენცია შემდეგი მტკიცებისათვის: სტრაბონი თავის თხზულებას ქმნიდა მის მიერვე წინასწარ შემუშავებული გეგმით, რომელსაც წიგნის სხვადასხვა ნაწილებში, შესაძლოა, ერთგვარი ცვლილებებიც განეცადოს. ამასთან თეორიული ნაწილი, სავარაუდოდ, დაიწერა მას შემდეგ, რაც დასრულდა მუშაობა „გეოგრაფიაზე“ ან, ყოველ შემთხვევაში მაშინ, როდესაც ავტორს უკვე მთლიანად ხელთ ჰქონდა კონკრეტული მასალა (დაწვრ. იხ. Грацианская 1986: 39 და შმდ.).

„გეოგრაფია“ 17 წიგნისაგან შედგება. პირველ ორ წიგნში თეორიული მსჯელობაა გადმოცემული (მათგან პირველი კი, არსებითად ჰომეროსის შეხედულე-

ბათა გადმოცემას ეძღვნება). III-X წიგნებში ევროპის ქვეყნების აღწერილობაა, XI-XVI-ში – აზიისა და XVII-ში – აფრიკის (ეგვიპტე, ლიბია).

თხრობის მანერით „გეოგრაფია“ ერთგვაროვანი არაა და ეს გასაგებიცაა: ავტორს მისთვის ცნობილი მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილების შესახებ სხვადასხვა სისრულის ინფორმაცია ჰქონდა ხელთ. ამიტომაცაა ზოგიერთის შესახებ მონათხრობი საკმაოდ ვრცელი, სხვა შემთხვევაში კი – ძალზე ძუნწი. ასე მაგ., ზოგიერთი ქალაქის შესახებ ის გვაწვდის ცნობებს მისი დაარსებისა და პოლიტიკური ისტორიის, ეკონომიკის, ფორტიფიკაციის, კულტურისა და სხვა მოვლენების შესახებ, მაშინ როდესაც სხვა ქალაქების შესახებ ზოგჯერ მხოლოდ უბრალო მოხსენიებით შემოიფარგლება.

თითოეული გეოგრაფიული ერთეულის გამოსაყოფად სტრაბონს პირველი რიგის ამოცანად მისი საზღვრების დადგენა მიაჩნდა და ამ შემთხვევაში იგი შემდეგი პრინციპით ხელმძღვანელობდა: „ქვეყნის საზღვრები ზუსტადაა განსაზღვრული მაშინ, როდესაც ის შეიძლება შემოვფარგლოთ მდინარეებით, მთებით და ზღვით, ტომით ან ტომებით. დაბოლოს, სიდიდით ან ფორმით, როდესაც ეს შესაძლებელია...“ (II, 1, 30).

„გეოგრაფიაში“ ჩვეულებრივ ცალ-ცალკეა აღწერილი ერთი მთლიანი, მაგრამ გარკვეული გეოგრაფიულ-პოლიტიკური ერთეული. თვლიან, რომ ასეთ აღწერას მეტწილად (მაგ. ზღვის სანაპიროებზე განლაგებული ქვეყნებისათვის) საფუძვლად უდევს შემდეგი პრინციპები: 1. პერიპლუსი (ე.ი. სანაპიროს აღწერა მდინარეების, ქალაქების, ნავსადგურების, ტომებისა და ა.შ. თანმიმდევრობით, ხოლო კონტინენტური ოლქებისათვის – რუკის მიხედვით ან მდინარეების გასწვრივ და ა.შ.); 2. ისტორიული ცნობები ამ ქალაქების, ტომებისა და სხვათა შესახებ; 3. ქვეყნის საერთო აღწერილობა, ასევე თითქმის ყოველთვის ისტორიული ხასიათის ცნობებით (Грацианская 1986: 96-97; შდრ. Ростовцев 1913-1914: 368). თითოეული გეოგრაფიული ერთეულის აღწერაში წარმოდგენილია ლანდშაფტის, კლიმატისა და სხვა ბუნებრივი მონაცემების დახასიათება, რითაც იწყებს ის ხშირად თავის აღწერილობას.

„გეოგრაფიის“ ზოგიერთი ადგილიდან ჩანს, რომ მის ავტორს შემუშავებული ჰქონია ცალკეული ქვეყნების აღწერის გარკვეული პრინციპი. ასე მაგ., კელტიკისა და იქ მოსახლე ტომების აღწერისას შენიშნავს: „ჯერ უნდა ვთქვა თვით ალპებისა და მისი მოსახლეების შესახებ, შემდეგ მთელს იტალიაზე აღწერის იმ თანმიმდევრობით, რომელსაც ქვეყნის ბუნება მკარნახობს“ (IV, 6, 1). სხვა შემთხვევაში – ეგვიპტის სანაპიროს აღწერისას, გადმოგვცემს ერატოსთენეს ცნობებს (XVII, 1, 2: „ასეთია ერატოსთენეს ცნობები“) და დასძენს: „... მაგრამ აუცილებელია უფრო დაწვრილებით აღწერა ამ ადგილისა და საერთოდ ყველასი ეგვიპტის მახლობლად ისე, რომ ჩვენი თხრობა მიემართებოდეს უფრო ცნობილი ადგილებიდან უფრო შორეულისაკენ...“ (XVII, 1, 3). ეს პასაჟი კიდევ იმითაცაა საინტერესო, რომ, ჩანს, სტრაბონი ყოველთვის როდი იფარგლებოდა ერთი „ძირი-

თადი წყაროს“ ცნობით, არამედ საჭიროების შემთხვევაში მას სხვა მონაცემებითაც ავსებდა, ან კიდევ ხშირად ეკამათება მას (შდრ. II, 1, 30 და სხვ.).

ასევე, სტრაბონი ყოველთვის როდი იმეორებდა მექანიკურად მის ხელთ არსებულ ცნობებს. „გეოგრაფიაში“ ხშირად გვხვდება უარყოფა სხვათა შეხედულებებისა. ასე მაგ., IV, 6, 1: „...ალპების დასაწყისი ამრიგად მონეკის ნავსადგურთან კი არაა, როგორც ზოგიერთები ამბობდნენ, არამედ... და მართლაც, მოწმობა იმისა, რომ ალპები იწყება საბატთან, ჩანს მისი სახელწოდებიდან...“ და ა.შ. ან კიდევ პროპონტიდის აღწერისას აცხადებს: „...აუცილებელია გავერკვეთ მის (ე.ი. ჰომეროსის – ო. ლ.) და დანარჩენ მწერალთა ცნობებში...“ (XIII, 1, 1).

ახლა ჩვენს წინაშე დგება ურთულესი საკითხი: რამდენად სანდოა და ფასეული სტრაბონის „გეოგრაფია“, როგორც ისტორიული წყარო? ჩემი ღრმა რწმენით, ამ კითხვაზე ერთნიშნა პასუხის გაცემა ძალზე ძნელია, მით უფრო, რომ მეტწილად შეუძლებელია სტრაბონის „გეოგრაფიაში“ დაცული მრავალი ცნობის სხვა მონაცემებით შემოწმება (იგულისხმება სხვა წყაროები, მათ შორის პირველ რიგში არქეოლოგიური). ასეთ პირობებში სტრაბონის თითოეული ცნობა კონკრეტული მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. წინასწარ კი აუცილებელია ზოგადი წარმოდგენა შევიქმნათ წყაროთმცოდნეობითი ანალიზის პრინციპებიდან გამომდინარე.

სტრაბონის „გეოგრაფიის“ წყაროების კვლევა სტრაბონოლოგიის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა იყო მუდამ და მის შესწავლას უკვე ხანგრძლივი ისტორია აქვს.[1] სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია, რომ სტრაბონისეული გეოგრაფიული აღწერილობანი მეტწილად მისი მოგზაურობისას შეკრებილ მასალაზეა დაფუძნებული. იგი ხანგრძლივად ცხოვრობდა რომში და მოვლილი ჰქონდა მთელი სამხრეთ იტალია და მიმდებარე კუნძულები, ეგვიპტე და მცირე აზია. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, სტრაბონს პირადად მოუვლია მის მიერ აღწერილი თუ მოხსენიებული ქალაქები და ოლქები, მათ შორის სინოპე (სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში), კაპადოკიის ნაწილი და ა.შ. (Pais 1922: 307; შდრ. Aujac 1969: XXXIV და შმდ.). საკუთრივ კოლხეთსა და იბერიაში მისი ყოფნის შესახებ რაიმე ცნობა შემონახული არაა, თუმც ზოგიერთი მკვლევარი მაინც არ გამორიცხავს ასეთ შესაძლებლობას (ყაუხჩიშვილი 1957: 2).[2]

სტრაბონი თვითონ ასახელებს იმ პირებს, რომელთა მასალებითაც ისარგებლა მან: 150-მდე ისტორიკოსი, გეოგრაფი, პოეტი, გრამატიკოსი, ორატორი თუ პოლიტიკური მოღვაწე ჰყავს მას თავის „გეოგრაფიაში“ მოხსენიებული (Арский 1974: 50). უეჭვო ჩანს, რომ სტრაბონი თავისი თხზულებების შედგენისას სარგებლობდა არა მხოლოდ ლიტერატურული წყაროებით, არამედ ზეპირი ინფორმა-

1 სტრაბონის წყაროების კრიტიკული შესწავლის უმთავრესი პრობლემების შესახებ იხ. Aujac 1969: XXXVI და შმდ.; Грацианская 1986: 34 და შმდ., აგრეთვე „ბიბლიოგრაფია“ (გვ. 157-174).

2 სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ამჟამად უფრო ის აზრია გაზიარებული, რომ სტრაბონი კავკასიასა და შავიზღვისპირეთში არ ყოფილა (Грацианская 1986: 38, შენ. 25 და იქ დასახ. ლიტ.).

ციითაც, რომელთაც, როგორც ჩანს, უხვად იღებდა დაახლოებულ და საქმეში ჩახედულ პირთაგან. აკი ერთგან შენიშნავდა კიდეც: „ის ვინც თვლის რაიმე მოვლენის მცოდნედ მხოლოდ იმათ, ვინც ნამდვილად ნახა ის, ანადგურებს სმენის გრძნობის კრიტერიუმს, თუმცა მეცნიერული მიზნებისათვის ეს გრძნობა გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე მხედველობა“ (II, 5, 11). ძირითადი წყარო კი სტრაბონის „გეოგრაფიისა“ მისი თანამედროვე და წინამორბედი ავტორებია.

დღეს უკვე საკმაოდ მრავალრიცხოვან სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში (რომელსაც თამამად შეიძლება სტრაბონოლოგია ვუწოდოთ) უკვე აღიარებულია, რომ „გეოგრაფიის“ წერისას სტრაბონს ფართოდ გამოუყენებია ჰომეროსის (რომელსაც უწოდებს „პირველ გეოგრაფოსს“ – I, 1, 11) და მის კომენტატორთა (არისტარქე სამოთრაკიელის, დემეტრიოს სკეპსისელის, აპოლოდორე ათენელისა და სხვ.), პოეტების – ჰესიოდეს, ესქილეს, ევრიპიდეს, სოფოკლეს, კალიმაქეს; ისტორიკოსის – ჰეროდოტეს, ელინისტური ეპოქის მეცნიერთა და მწერალთა – ერატოსთენეს, ჰიპარქეს, არტემიდორე ეფესელის, ეფორეს, პოლიბიოსის, პოსეიდონიოსის, თეოფანე მიტილენელის და კიდევ სხვა მრავალ ავტორთა თხზულებანი, რომელთაც ხშირად იმოწმებს თავის „გეოგრაფიაში“ (დაწვრ. Aujac 1969: XXXIV და შმდ.; Грацианская 1986: 34-92 და იქ დასახ. ლიტ.).

მაგრამ სტრაბონის „გეოგრაფიის“, როგორც ისტორიული წყაროს, შეფასებისას მნიშვნელოვანია ვიცოდეთ არა მხოლოდ ის, თუ რა წყაროებით სარგებლობდა ავტორი, არამედ როგორ და რა მეთოდებით იყენებდა მათ.

საკმაოდ გავრცელებულია აზრი იმის შესახებ, რომ იმ 150-მდე ავტორთა თხზულებანი, რომელთაც აგრე ხშირად იმოწმებს სტრაბონი მის „გეოგრაფიაში“, მას ყველა პირადად არ წაუკითხავს და სარგებლობდა სხვათა გადმოცემებით (იხ. მაგ., Hunrath 1879: 34; Althaus 1941: 98-99). XIX და XX ს-ის დამდეგის ისტორიოგრაფიაში არსებითად გაბატონებული იყო იდეა „ძირითადი წყაროს“ შესახებ: სტრაბონი ყოველგვარი გადამუშავების გარეშე მექანიკურად აერთიანებდა სხვა ავტორებიდან მომდინარე მეტ-ნაკლებად მსხვილ პასაჟებს და მასთან ერთად გადმოჰქონდა ძირითადი იდეები, ხოლო ზოგჯერ იმავე ავტორთა თხრობის წესიც. რამდენადაც სტრაბონის „გეოგრაფიაში“ მაინც შეინიშნება აღწერილობის ერთიანი ძირითადი პრინციპი, თვლიდნენ, რომ ის ნასესხები იყო ერთ-ერთი რომელიმე წინამორბედი ავტორისაგან, რომელსაც უფრო ხშირად იყენებდა. ძირითად წყაროსთან ერთად სტრაბონი იყენებდა „დამატებით წყაროსაც“ (Nebenquellen), რომელნიც „ძირითად წყაროში“ არ მოიპოვებოდა (Hunrath 1879: 18-24).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეხედულება სტრაბონის, როგორც მექანიკოსი-კომპილატორის შესახებ, განსაზღვრავდა უაღრესად სკეპტიკურ დამოკიდებულებას სტრაბონის „გეოგრაფიის“, როგორც საისტორიო წყაროს მიმართ, რაც დღესაც არაა მთლიანად დაძლეული.

2019

სტრაბონის „გეოგრაფია“ მართლაც კომპილაციური თხზულებაა,[1] მაგრამ განსასაზღვრია, თუ რა ხასიათის იყო ეს კომპილაცია. მკვლევართა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ სტრაბონი ყოველგვარი განსჯის გარეშე, მექანიკურად აერთიანებდა იმას, რასაც იწერდა (დაწვრ. იხ. Honigmann 1931: 102-103); მეორენი ამტკიცებენ, რომ სტრაბონი სესხულობდა თავისი წყაროებიდან მხოლოდ იდეებსა და სიუჟეტებს, ხოლო შემდეგ მათ სტილისტურად ამუშავებდა (იხ. Wolski 1951: 392-394). უფრო მართებული უნდა იყოს მესამე თვალსაზრისი: სტრაბონი არა მხოლოდ სტილისტურად ამუშავებდა თავისი მრავალრიცხოვანი წყაროების მონაცემებს, არამედ იყენებდა მათ თავისი მიზნისა და მსოფლმხედველობის შესაბამისად, ე.ი. მის კომპილაციას შემოქმედებითი ხასიათი ჰქონდა (Грацианская 1986: 136-141; შდრ. Thollard 1987: 88). მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სტრაბონის „გეოგრაფიაში“ დაცული ყველა მონაცემი სანდოა და შეესატყვისება რეალურ სინამდვილეს. ამ ცნობებით სარგებლობისას აუცილებლადაა გასათვალისწინებელი (ისევე როგორც სხვა ნებისმიერი ძველი წერილობითი წყაროებით სარგებლობისას) ავტორისეული კონცეფცია და მისი მიზანდასახულობა. ამ თვალსაზრისით სტრაბონის „გეოგრაფია“, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ყველაზე უფრო სუბიექტური ნაწარმოებია, რომელშიც თვალსაჩინოდ ვლინდება მისი შემთხზველის კრედო, საფუძვლად რომ უდევს მთელს წიგნს. ავტორის მიზანი უაღრესად უტილიტარულ-დიდაქტიკურია: ის განკუთვნილი იყო იმათთვის, ვინც მოწოდებული იყო დიდი ქვეყნის სამართავად (იხ. „გეოგრაფია“, I, 1, 16). ამიტომ წიგნის ისტორიული ხასიათის მონაცემები ამ პრიზმაში უნდა განვიხილოთ. განსაკუთრებით კრიტიკულ მიდგომას საჭიროებს ის მონაცემები, რომელთა მეშვეობითაც სტრაბონი ცდილობდა თავისი თეორიული დებულებების დამტკიცებას. მეორე მხრივ, შეიძლება მეტი ნდობით მოვეკიდოთ იმ ფაქტებს, რომელნიც წარმოდგენილია ე.წ. ასოციაციური მსჯელობისას, რაც მასალის გადმოცემის ერთ-ერთ ძირითად სახეობად ითვლება (ანალოგიებთან და მტკიცებებთან ერთად) სტრაბონის „გეოგრაფიაში“ (Грацианская 1986: 98 და შმდ., 142).

ასევე ძალზე რთულია საკითხი თვით სტრაბონის წყაროთა მონაცემების რეალობის შესახებ, რამდენადაც ჩვენ ყოველთვის არ გვაქვს საშუალება მათი შემოწმებისა. ვინაიდან სტრაბონი უხვად სარგებლობდა თავის წინამორბედთა შრომებითაც, აუცილებელი ხდება თითოეული მისი ცნობის წარმომავლობის დადგენა და დახასიათება, რაც აგრეთვე მთელ რიგ სირთულეებთანაა დაკავშირებული, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც „გეოგრაფიის“ ავტორი არ ასახელებს თავის წყაროს ან გაურკვევლად გადმოგვცემს: „როგორც ამბობენ...“, „ზოგიერთები ფიქრობენ“, „ბევრი მწერალი“ და სხვ. გასათვალისწინებელია სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზისი მტკიცებაც, რომ სტრაბონს მის

1 კომპილაციური მეთოდი, როგორც ცნობილია, საერთოდ დამახასიათებელია ბერძნული და განსაკუთრებით რომაული ლიტერატურისათვის (იხ. Грацианская 1986: 136 და შმდ. და იქ დასახ. ლიტ.).

მიერ მოხსენიებული ყველა წყარო თვითონ არ წაუკითხავს და მას სხვათა ნაშრომებიდან იცნობს. ასე რომ, თავი რომ დავანებოთ თვით პირველწყაროს სანდოობის საკითხს (რასაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც ყველა წყარო ერთი ღირსების არაა), ყოველთვის ზუსტად ვერ განვსაზღვრავთ, იცნობდა თუ არა ამა თუ იმ წყაროს სტრაბონი უშუალოდ. ამასვე უნდა დავუმატოთ სტრაბონისეული სუბიექტური მიდგომა წყაროებისადმი თავის თეორიულ მოსაზრებათა დამტკიცებისათვის, რასაც შესაძლოა მოჰყოლოდა პირვანდელი ინფორმაციის სიზუსტის რამდენადმე დაკარგვა ან მნიშვნელოვანი ტრანსფორმირებაც კი (Грацианская 1986: 144 და შმდ.). არ უნდა დავივიწყოთ არც სტრაბონისეული მიდგომა ძველი ისტორიისადმი: შდრ. XIII, 8, 7, საიდანაც ჩანს, რომ ის უპირატესობას თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი მოვლენების გადმოცემას ანიჭებს, რაც, შესაძლოა, გამხდარიყო საფუძველი ძველი წყაროებისადმი რამდენადმე არაკრიტიკული დამოკიდებულებისა.

სტრაბონის „გეოგრაფიით“ სარგებლობისას უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე პირვანდელი ტექსტის შესაძლო გადაკეთებანი და შეცდომები მის გადამწერთა მიერ, რაც ჯერ კიდევ მისმა ავტორმა შენიშნა არისტოტელესა და თეოფრასტეს წიგნების მიმართ („გეოგრაფია“, XIII, 1, 54).

სტრაბონის „გეოგრაფიის“ ოცდაათამდე ხელნაწერია სადღეისოდ ცნობილი, რომელთა უმრავლესობა XII-XV საუკუნეებისაა. მათგან საუკეთესოდ მიჩნეულია ე.წ. პარიზის ნუსხა (Codex Parisinus 1397), რომელიც „გეოგრაფიის“ პირველ ცხრა წიგნს აერთიანებს და გადაწერილია XIV ს-ში; ხოლო გამომცემელთა უმრავლესობა საფუძვლად იღებს XII-XVIII სს-ის ე.წ. ვენეციურ ხელნაწერს (Codex Veneti № 379), რამდენადაც აქ სრული ტექსტია შემონახული. სტრაბონის „გეოგრაფიის“ უძველეს ტექსტად ითვლება 1875 წ. რომის მახლობლად (გროტაფერატის სააბატოში) აღმოჩენილი პალიმფსესტი, რომელიც ამჟამად ვატიკანის ბიბლიოთეკაში ინახება. ეს პალიმფსესტი, რომელზეც სტრაბონის „გეოგრაფიის“ ტექსტი დაფარულია რელიგიური შინაარსის თხზულებით, დაახლოებით V-VI სს. თარიღდება (დაწვრ. Aly 1956).[1] ამიტომ სტრაბონის „გეოგრაფიის“ დღეს ჩვენს ხელთ არსებული ტექსტი, უნდა ვიფიქროთ, ალბათ, საგრძნობლადაა დაცილებული ავტორისეულ პირვანდელ ტექსტს (იქნებ არ იყოს ჭეშმარიტებიდან შორს ერთერთი ავტორის მტკიცება, რომ ჩვენს ხელთ უფრო „ბიზანტიური ტრადიციაა“ – „l'image byzantine“ – Lassere 1969: LXXXIX). ავტორისეული ტექსტი და მერმინდელი გადანაწერები ნებსით თუ უნებლიეთ მახინჯდებოდა ახალი დროის მეცნიერ-გამომცემელთა მიერაც. ამის გათვალისწინებაც გარკვეულ სიძნელეებს უქმნის სტრაბონის „გეოგრაფიის“, როგორც საისტორიო წყაროს გამოყენებას.

1 სტრაბონის „გეოგრაფიის“ ხელნაწერი ტექსტების შესახებ დაწვრილებით იხ. Diller 1975; Lasserre 1969: XLIX; ვაშაკიძე 1991: 24 და შმდ.

და მაინც, სტრაბონოლოგიაში თითქოს იმარჯვებს ტენდენცია, რომელიც „გეოგრაფიას“ განიხილავს როგორც შემოქმედებას, ხოლო მის ავტორს – როგორც მოაზროვნესა და მწერალს (იხ. მაგ., Aly 1957: 396-400; Aujac 1966: 11-18; Massaro 1986: 81 და შმდ.; Грацианская 1986: 138-141). ეს შლის ახალ პერსპექტივას სტრაბონის „გეოგრაფიის“ როგორც საისტორიო წყაროს გამოყენებისათვის, რაც თვალსაჩინოდაა ილუსტრირებული ახლა რიგი გამოკვლევებით ცალკეული რეგიონებისა თუ ქვეყნების მიმართ, სწორედ სტრაბონის „გეოგრაფიის“ მონაცემების საფუძველზე (Schulten 1959; Clavel-Lévêque 1974; Dirkzwanger 1975; Lepore 1976; Baladie 1980; Wallace 1979; Maddoli 1988; Musti 1988).

ამ ნაშრომში კი მე შევეცადე წარმომედგინა კოლხეთისა და იბერიის შესახებ სტრაბონის „გეოგრაფიაში“ შემონახული ისტორიულ-გეოგრაფიული და კულტურულ-სოციოლოგიური ინფორმაციის ანალიზი, აგრეთვე გეოგრაფიულ-ტოპოგრაფიული და ეთნოგრაფიული ნომენკლატურის იდენტიფიკაცია თანამედროვე არქეოლოგიის კონტექსტში.

სტრაბონის ცნობები იბერიისა და კოლხეთის შესახებ იმთავითვე მოექცა საქართველოს ძველი ისტორიის მკვლევართა ინტერესის სფეროში და მათ ინტერპრეტაციას არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა. ყველა მოსაზრებათა აქ ჩამოთვლა ახლა შეუძლებელია და მათ შეძლებისდაგვარად ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ცალკეული ცნობების განხილვისას დავიმოწმებთ. აქ კი მხოლოდ მაინც საგანგებოდ აღვნიშნავ 1957 წელს გამოცემულ თ. ყაუხჩიშვილის ნაშრომს „სტრაბონის „გეოგრაფია“: ცნობები საქართველოს შესახებ“, სადაც წარმოდგენილია ბერძნული ტექსტი და ქართული თარგმანი, ხოლო შესავალ ნაწილში განხილულია სტრაბონის „გეოგრაფიის“ წყაროები, ცნობები საქართველოს შესახებ, ტერმინოლოგია და სხვ., საძიებლებში კი მოცემულია ეთნოგრაფიული კომენტარები. ამ წიგნმა თვალსაჩინო როლი შეასრულა ქართულ სტრაბონიანაში.

შეიძლება ითქვას, რომ დღეს არსებითად გარკვეულია ძირითადი ნუსხა იმ ავტორებისა, რომელთა შრომებითაც სარგებლობდა სტრაბონი თავის „გეოგრაფიაში“ იბერიისა და კოლხეთის შესახებ, რამდენადაც მათ თავიდანვე ასახელებს XI წიგნში: ერატოსთენე (1, 1; 2, 15; 6, 1; 7, 3-4; 8, 8-9; 12, 5; 14, 7-8); აპოლოდორე არტემიტელი (7, 3; 9, 1; 11, 1 და 7; 13, 6), თეოფანე მიტილენელი (2, 2; 5, 1; 14, 4; 14, 11), პოსიდონიოსი (1, 5; 9, 1 და 3), პატროკლე (7, 1 და 3; 11, 5 და 6), ჰეროდოტე (6, 3; 14, 13 და 16), არისტობულე (7, 2-3; 11, 5), აპოლონიდე (13, 2; 14, 4), არტემიდოროს ეფესელი (2, 14), კლიტარქოსი (1, 5; 5, 4), დელიუსი (13, 3), ჰიპარქე (14, 8), პოლიკლიტე (7, 4), კალისთენე (14, 13), მეტროდორე სკეპსისელი (5, 1), კტესია (6, 3), ჰელანიკე (6, 3), ევდოქსე (7, 5), ჰიფსიკრატე (5, 1), კირსილე ფარსალიელი (14, 12), მედიოს ლარისელი (14, 12) და სხვ. (ყაუხჩიშვილი 1957: 10; შდრ. Neumann 1881). ეს ავტორები არიან დასახელებული საერთოდ XI წიგნში, რომელშიც წარმოდგენილია ცნობები იბერიისა და კოლხეთის შესახებ, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ყველა აქ ჩამოთვლილ ავტორს მოეპოვებოდა ცნობა იბე-

რიისა და კოლხეთის შესახებ. ჩვენ ქვემოთ შევეცდებით კონკრეტული ცნობების კომენტირებისას შეძლებისდაგვარად განვიხილოთ სავარაუდებელი წყაროს საკითხი. მაგრამ ახლაც და მუდამ უნდა გვახსოვდეს ყველა ის სირთულე, რომლებიც ახლავს სტრაბონის ამა თუ იმ ცნობის წყაროს განსაზღვრას, რაც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული.

კოლხეთისა და იბერიის შესახებ სტრაბონის ცნობები სხვა ქვეყნებთან შედარებით არაა მრავალრიცხოვანი და სრული, მაგრამ გამოირჩევა მრავალგვაროვნებით და შეიცავს ინფორმაციას ფიზიკური გეოგრაფიის, ბუნებრივი სიმდიდრეების, პოლიტიკური საზღვრების, ეთნიკური შემადგენლობის, ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის შესახებ.

III თავი

თქმულება არგონავტებზე და სტრაბონის „გეოგრაფია“

კოლხეთის აღწერისას სტრაბონი ტრადიციულ ისტორიულ ექსკურსში (რომლითაც, როგორც ითქვა, იგი, როგორც წესი, იწყებს ამა თუ იმ ქვეყნის აღწერას) შენიშნავს (XI, 2,1 8):

Τὸ μὲν γὰρ παλαιὸν ὅσην ἐπιφάνειαν ἔσχεν ἡ χώρα αὕτη, δηλοῦσιν οἱ μῦθοι, τὴν Ἰάσονος στρατείαν αἰνιττόμενοι προελθόντος μέχρι καὶ Μηδίας, ἔτι δὲ πρότερον τὴν Φρίξου.	„თუ როგორ იყო სახელგანთქმული ძველად ეს ქვეყანა (კოლხეთი – ო. ლ.), ამას ცხადყოფენ მითები, რომლებიც მოგვითხრობენ იასონის ლაშქრობაზე, რომელიც მიდიამდე მოვიდა, და ამაზე უწინ კი ფრიქსეს ლაშქრობაზე“.[1]

ამრიგად, კოლხეთის გაცნობას თავისი მკითხველისათვის სტრაბონი იწყებს საყოველთაოდ ცნობილი თქმულებით ოქროს საწმისისათვის არგონავტების ლაშქრობის შესახებ. ამ თქმულების მეტ-ნაკლებად სრული შინაარსი შემონახულია ძვ.წ. VI-V სს-ის ლირიკოსი პოეტის პინდარეს IV პითიურ ოდასა და ძვ.წ. III ს-ის ბერძენი მეცნიერისა და პოეტის აპოლონიოს როდოსელის პოემაში „არგონავტიკა“, აგრეთვე ფსევდო-აპოლოდორის „ბიბლიოთეკასა“ (ძვ.წ. II ს.) და ფსევდო-ორფევსის „არგონავტიკაში“. ამ თქმულების მოკლე შინაარსი ასეთია:

ოდესღაც ძველი ელადის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ერთ-ერთი ოლქის – ბეოტიის დიდსა და სახელგანთქმულ ქალაქ ორქომენს განაგებდა ქართა მეფის ეოლოსის ძე ათამანტი. ორი შვილი ჰყავდა მას: ასული ჰელე და ვაჟი ფრიქსე – ღრუბელთა ქალღმერთის ნეფელეს ნაშიერნი. მაგრამ ათამანტმა შეიყვარა თებეს მეფე კადმოსის ვერაგი ასული ინო და ცოლად შეირთო იგი. სულ მალე ბოროტმა დედინაცვალმა მისთვის აგრე საძულველი ქალის – ათამანტის პირველი მეუღლის შვილების თავიდან მოცილება განიზრახა და საამისოდ საშინელი მზაკვრობა ჩაიდინა: მისი შეგონებით მოხალული ხორბალი დათესეს, რასაც მოუსავლიანობა და საშინელი შიმშილი მოჰყვა. მეფე ათამანტმა რჩევისათვის დელფოს მისან-

1 აქ და შემდგომ სტრაბონის (ისევე როგორც სხვა ბერძენ ავტორთა) ცნობები საქართველოს შესახებ მოცემულია ძირითადად თ. ყაუხჩიშვილის თარგმანების მიხედვით (იხ. დამოწმებული ლიტერატურის სია).

თან გააგზავნა თავისი ქვეშევრდომნი. მაგრამ ინოს მიერ მოსყიდულმა ათამანტის შიკრიკებმა მეფეს აუწყეს, რომ თითქოს დელფოს მისანი ყოვლისშემძლე ღმერთებისათვის ჰელესა და ფრიქსეს მსხვერპლად შეწირვას მოითხოვდა. სასიკვდილოდ განწირულ შვილებს დედამ ღვთაება ჰერმესის ნაბოძები ოქროსსაწმისიანი გრძნეული და მფრინავი ვერძი მოუვლინა. ვერძმა ნეფელეს შვილები ზურგზე შეისვა და შორეული ქვეყნის – აია-კოლხეთისაკენ გაემგზავრა. გზად ჰელე ვერძის ზურგიდან გადმოვარდა და ზღვაში ჩავარდა იქ, სადაც დღეს დარდანელის სრუტეა. შემდეგ ზღვის ამ მონაკვეთს ბერძნებმა „ჰელეს ზღვა“ ან „ჰელესპონტი“ უწოდეს. ფრიქსე კი ოქროსსაწმისიანმა ვერძმა უვნებლად მიიყვანა საწადელ ქვეყანაში, სადაც ამ დროს მეფობდა გოროზი და ძლიერი მეფე აიეტი – მზის შვილი. აიეტმა შეივრდომა უცხო ქვეყნიდან ლტოლვილი ჭაბუკი, შესაფერისად აღზარდა იგი და მერე თავის ერთ-ერთ ქალიშვილზე – ქალკიოპეზე დააქორწინა. ოქროსაწმისიანი ვერძი აიეტმა თავის ღმერთებს შესწირა (სხვა ვერსიით, ვერძი ფრიქსემ ზევსს შესწირა), ხოლო ტყავი კი დასაცავად მიანდო გველეშაპს, რომელსაც არასოდეს ეძინა.

მეფე აიეტის საბრძანებელში შენახული ოქროს საწმისის ამბავმა მალე მიაღწია საბერძნეთს... ამ დროს თესალიის ქალაქ იოლკოსში მეფობდა პელიასი, რომელმაც ვერაგულად წაართვა ტახტი თავის ძმას ესონს, ხოლო ტახტის კანონიერი მემკვიდრე ესონის ძე იასონი მშობლიური ქალაქიდან გააძევა. მცირეწლოვანი იასონი თესალიის ერთ-ერთ მთაზე პელიონზე გადამალეს, სადაც მას ბრძენი კენტავრი ქირონი ზრდიდა.

ოცი წლის რომ გახდა, იასონი მშობლიურ ქალაქ იოლკოსში დაბრუნდა და მეფე პელიასს ძალით მიტაცებული მამისეული სამეფო ტახტის დაბრუნება მოსთხოვა. ვერაგმა პელიასმა სამეფო ტახტის დათმობა არ მოისურვა და ამიტომაც იასონს საზღაურად აიეტის შორეულ ქვეყანაში დაცული ოქროს საწმისის დაბრუნება მოსთხოვა.

ჭაბუკი იასონი მეფე პელიასის უმძიმეს დავალებას არ შეუშინდა და ოქროს საწმისის შორეული ქვეყნიდან ჩამოტანა ივალა. საამისოდ სამზადისს შეუდგა და პირველ რიგში აიეტის ქვეყანაში გასამგზავრებლად ხომალდის აგება დაიწყო. ეს ხომალდი პელიონის მთის ძირში შენდებოდა, სწორედ იქ, სადაც თვით იასონი იზრდებოდა. ამ ხომალდს „არგო“ ეწოდა, თითქოს იმიტომ, რომ მისი მშენებელი იყო ოქროს საწმისისათვის ლაშქრობის ერთ-ერთი მონაწილე – ქალღმერთ ათენას მსახური არგოსი, რომელსაც თვით ათენა აძლევდა რჩევა-დარიგებას.

იასონმა ოქროს საწმისისათვის აიეტის ქვეყანაში ლაშქრობის ამბავი მთელს ელადას აუწყა და მასში მონაწილეობა შესთავაზა. მის მოწოდებას ორმოცდაათამდე სახელოვანი ვაჟკაცი გამოეხმაურა. თავდაპირველად არგონავტთა შორის იყო ბერძენთა უძლეველი გმირი ჰერაკლეც, რომელსაც ლაშქრობის ხელმძღვანელობაც კი შესთავაზეს, მაგრამ მისივე წინადადებით მეთაურობა იასონს მიანდვეს. ასე რომ, ოქროს საწმისისათვის სალაშქროდ იმ დროის ყველა სახელ-

განთქმული ბერძენი ვაჟკაცი შეიკრიბა (აპოლონიოს როდოსელის თქმით, მხოლოდ გმირი თესევსი აკლდათ მათ, ისიც იმიტომ, რომ „პირითუსს გაჰყვა მეგზურად და შავი ბორკილი კრავდა მაშინ ტენარეს მიწის ქვეშ“ – „არგონავტიკა“, I, 101-103). თითქოს მთელი ელადა დაიძრაო ოქროს საწმისისათვის სალაშქროდ. თუმც არგონავტების უმრავლესობა თესალიის სახელგანთქმული ქალაქებიდან (ლარისა, ფილაკე, ფერე, ალოპე, გირტონი და სხვ.) იყვნენ, მაგრამ მათ შორის ერივნენ აგრეთვე გმირები ათენიდან, სპარტიდან, პილოსიდან, არგოლიდიდან, ეტოლიიდან, ფოკიდიდან, მესენიიდან, სამოსიდან, მილეტიდან და საბერძნეთის სხვა ოლქებიდან და ქალაქებიდან.

იოლკოსიდან სწრაფმავალი არგოთი გამგზავრებული არგონავტები კუნძულ ლემნოსზე შეჩერდებიან და იქაურ ქალებს გაუმიჯნურდებიან (არგონავტების წინამძღოლი იასონი კი – დედოფალ ჰიფსიპილეს). აქედან გამგზავრებულებს კი გზად მრავალი ხიფათიც გადახდებათ (დაიღუპებიან მესაჭე ტიფისი და იდმონი, ჩამოცილდებათ ჰერაკლე, დაკარგული მეგობრის ჰილასის საძებნელად რომ გაეშურება) და მრავალ გმირობასაც ჩაიდენენ: გაანთავისუფლებენ უსინათლო მეფე ფინევსს მტაცებელი ფრინველებისაგან – ჰარპიებისაგან (საკვებს რომ უმოწყალოდ ართმევდნენ უმწეო მოხუცს); შეებრძოლებიან სპილენძისფრთებიან არსებებს – სტიმფალიდებს და სხვ. არგონავტებმა დიდი ვაი-ვაგლახით გასცურეს პირქუში „მოხეტიალე“ კლდეები, შავი ზღვისაკენ მიმავალ სრუტესთან რომ იყვნენ აღმართულნი და რომელთა გადალახვა მანამდე ვერცერთმა მოკვდავმა ვერ შეძლო.

სრუტეების გაცურვის შემდეგ არგონავტები ჩაუვლიან შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს და იქ მოსახლე ამორძალებს, აგრეთვე სხვადასხვა ტომებს, რომელთა შორის არიან ხალიბებიც – რკინის დამუშავებით სახელგანთქმულნი. დაბოლოს არგონავტები მიაღწევენ მდ. ფასისის შესართავს, შეაცურებენ თავიანთ ხომალდს მდინარის ფართო კალაპოტში, მიადგებიან აიეტის მთავარ ქალაქს – კუტაიას. ვერ გაბედავენ ბერძენი გმირები დიდ ჭალაში მუხის ხეზე ჩამოკიდებული ოქროს საწმისის მოდარაჯე გველეშაპთან შებრძოლებას. ამიტომაც ეახლებიან მეფე აიეტს და სთხოვენ ოქროს საწმისს, სანაცვლოდ კი უცხო მტრებთან ბრძოლაში დახმარებას ჰპირდებიან. მაგრამ მეფე აიეტი, რომელსაც ოქროს საწმისის დათმობა არ სურს, იასონს სთავაზობს სულ სხვა პირობის შესრულებას: არესის ველზე გაშვებული სპილენძისჩლიქებიანი და ცეცხლისმფრქვეველი ხარების დამორჩილებას, მიწის მოხვნას, გველეშაპის კბილების დათესვას და ნათესებიდან ამოსული იარაღასხმული დევგმირების დამარცხებას.

ვერ ძალუძდა ბერძენ გმირთა წინამძღოლს კოლხთა მეფე აიეტის პირობის შესრულება... მაგრამ იასონი შეუყვარდება კოლხთა მეფის ასულს, სახემშვენიერ გრძნეულ მედეას და ის დაეხმარება ოქროს საწმისისათვის მოსულ ბერძენს. მედეა მოამარაგებს იასონს ჯადოსნური წამლებით, ურჩხულის კბილებიდან აღმო-

ცენებული გოლიათების დახოცვის საშუალებასაც ასწავლის და იასონიც ასე, მხოლოდ მედეას შემწეობით შეძლებს მეფე აიეტის პირობის შესრულებას. მედეამ საშინელი ურჩხულიც მიაძინა. ბერძნებმა მოიტაცეს უკვე დაუცველი ოქროს საწმისი და თავის სამშობლოს მიაშურეს. მათ თან გაჰყვა მედეაც, რომელსაც იასონმა ცოლად შერთვა აღუთქვა... ზღვაში ბერძენ მეკობრეებს, ოქროს საწმისის მზაკვრობით გამტაცებლებს, დაეწია კოლხთა მეფის აიეტის მიერ წარგზავნილი კოლხთა ლაშქარი უფლისწულ აფსირტეს მეთაურობით, მაგრამ მას ვერაგულად მოკლავენ... მრავალი ხეტიალისა და თავგადასავლის შედეგად არგონავტები სამშობლოში ბრუნდებიან. ისევ და ისევ მედეას შემწეობით შეძლებს იასონი იოლკოსში სამეფო ტახტის დაბრუნებას... მაგრამ გაივლის ხანი. იასონი უღალატებს მედეას და სხვა ქალს შეირთავს. აქედან იწყება მედეას ახალი ტრაგიკული თავგადასავლები. მედეას ცხოვრება ელადაში უკვე სხვა თემაა და იგი სცილდება არგონავტების უმთავრეს სიუჟეტს – ბერძენთა ლაშქრობას ოქროს საწმისისათვის აიეტის ქვეყანაში.

არგონავტების შესახებ თქმულება ფართოდ იყო დამუშავებული სტრაბონის წინადროინდელ ბერძნულ მწერლობაში და მისი ცალკეული სიუჟეტები, ან მთლიანად ამ თემისადმი მიძღვნილი ნაწარმოებები წარმოდგენილია ეპოსში, ლირიკაში, დრამასა და პროზაში, აგრეთვე სახვით ხელოვნებაში. არგონავტების შესახებ თქმულებებს იცნობენ: ჰომეროსი („ილიადა“, VII, 467-468; „ოდისეა“, IX, 31; X, 136-139; XI, 256-259; XII, 59-72), ჰესიოდე („თეოგონია“, 992-1002), ევმელოს კორინთელი (ფრ. 2), ნავპაქტიკა და კიკლიკური ეპოსი, მიმნერმე („ნანო“, ფრ. 11), სიმონიდე კეოსელი (ფრ. 31/48), პინდარე (IV პითიური ოდა), ესქილე („არგო“), სოფოკლე („კოლხი ქალები“), ევრიპიდე („მედეა“), ჰეკატე მილეტელი (ფრ. 2, 14, 17-18), აკუსილაე არგოსელი („გენეალოგიები“), ფერეკიდე ლეროსელი („ისტორია“), ჰეროდორე („არგონავტიკა“), ჰეროდოტე (I, 2-3; IV, 179; VII, 197), ლიკოფრონ ქალკიდელი („ალექსანდრა“), კალიმაქე კვირენელი, თეოკრიტე, აპოლონიოს როდოსელი („არგონავტიკა“), პალეფატე, დურის სამოსელი (იხ. Sch. ad Apoll. Rhod. I, 211), დემარტე (F. 92. Hist. I Fr. 1 [378] = Sch. ad Apoll. Rhod. I, 45; Fr. 3 = Sch. ad Apoll. Rhod., I, 224), აპოლოდორე („ბიბლიოთეკა“), დიონისიოს სკიტობრაქიონი („არგონავტები“), დიოდორე სიცილიელი („ისტორიული ბიბლიოთეკა“) და სხვ. სამწუხაროდ, ყველა აქ დასახელებულ ავტორთა თხზულება სრულად არაა ჩვენამდე მოღწეული და უპირატესად ცნობილია გვიანდელ ავტორებთან და კომენტატორებთან შემონახული ფრაგმენტების სახით.[1]

სტრაბონის „გეოგრაფია“-ში არგონავტიკის თემა ორ ძირითად კონტექსტშია წარმოდგენილი: ჰომეროსი და კოლხეთი.

1 დაწვრ. იხ. ა. ურუშაძე 1964 (აქ წარმოდგენილია, გამოკვლევასთან ერთად, არგონავტიკის თემაზე ბერძენ ავტორთა ტექსტები ქართული თარგმანითა და შენიშვნებით). იხ. აგრეთვე ყაუხჩიშვილი თ. 1976: 12-24; Blatter 1984: 591-599; ლორთქიფანიძე ოთ. 1986; Braswell 1987.

1. არგონავტიკა და ჰომეროსი სტრაბონისეულ ინტერპრეტაციაში

1.1. ჰომეროსი სტრაბონისათვის უდიდესი ავტორიტეტია – „პირველი გეოგრაფოსი“ (I, 1, 11)[1] და „ისტორიკოსიც“ (XIII, 1, 1). „გეოგრაფიის“ პირველი წიგნი (და ნაწილობრივ მეორეც), სადაც სტრაბონის თეორიული მრწამსია გადმოცემული, არსებითად წარმოადგენს პაექრობას მათთან, ვინც ბრალს სდებდა ჰომეროსს გეოგრაფიულ უმეცრებაში. ეს კი საკმაოდ გავრცელებული აზრი იყო ელინისტურ ხანაში და ჰომეროსისეული გეოგრაფიული ხასიათის ცნობების სისწორის ირგვლივ ცხარე დისკუსიაც იყო გამართული.[2]

სტრაბონი ჰომეროსის თავგამოდებულ დამცველად გვევლინება (Aujac 1966: 34-36). საკმაოდ ნიშანდობლივია, რომ თუ რეალური გეოგრაფიული ვითარება არ შეესატყვისება ჰომეროსისეულ აღწერას, სტრაბონი ამას ხსნის არა უზუსტობით, არამედ ჰომეროსის შემდგომ მომხდარი ცვლილებებით (მაგ., ლანდშაფტისა და ა.შ.).[3] და მაინც, ზოგიერთ შემთხვევაში იგი ამჟღავნებს კრიტიკულ მიდგომას: „ჰომეროსის ცნობები საჭიროებენ კრიტიკულ განხილვას, რამდენადაც ის ლაპარაკობს როგორც პოეტი და არა დღევანდელი მდგომარეობის შესახებ, არამედ იმაზე, რაც შორეულ წარსულშია მომხდარი და რომელიც ძირითადად საუკუნეების ბურუსითაა მოცული...“ (VIII, 1, 1; შდრ. აგრეთვე VIII, 3, 16 ან I, 2, 23-28).

ჰომეროსისეული გეოგრაფიის, ეთნოგრაფიის, ტექსტოლოგიის და ისტორიის საკითხებში სტრაბონს ჰქონდა თავისი საკუთარი შეხედულებანი და იგი სრულებითაც არ მისდევდა ბრმად რომელიმე წყაროს: „... ასეთსავე შეცდომას უშვებენ ადამიანები, როდესაც ამტკიცებენ თითქოს ჰომეროსისათვის უცნობი იყო ეგვიპტის ზღვისა და არაბეთის უბეს შორის მდებარე ყელი... უფრო გვიანდელ ხანაში გამოჩნდნენ ადამიანები, რომელნიც უსამართლოდ საყვედურობდნენ ჰომეროსს. ის კი სავსებით სწორი იყო. და მართლაც, ძალზე უსამართლოა უსაყვედურო ჰომეროსს, რომ ის, თითქოს, არ იცნობდა ყელს. ამიტომ მე ვამტკიცებ, ჰომეროსმა არამც თუ იცოდა მის შესახებ, არამედ აღწერდა კიდეც მას ნათელი გამოთქმებით და რომ გრამატიკოსებმა, დაწყებული არისტარქეთი და კრატესით – ამ გამოჩენილი მეცნიერებით, ვერ გაიგეს პოეტის სიტყვები...“ (I, 2, 24).

ამრიგად, ერთი მხრივ, სტრაბონი დაჟინებით იცავს ჰომეროსს ერატოსთენესა და მის თანამოაზრე გეოგრაფოსთა უაღრესად მძაფრი კრიტიკისაგან, ხო-

1 შდრ. აგრეთვე „გეოგრაფია“, VIII, 1, 1: „ახლა მე აღვწერ დანარჩენი საბერძნეთის გეოგრაფიას. ეს საკითხები პირველად ჰომეროსმა დაამუშავა, მას შემდეგ კი მრავალმა სხვამ...“

2 ზოგიერთი მკვლევარი ელინისტურ ხანაში ჰომეროსის ირგვლივ გამართულ პაექრობას ადარებს იმ დისკუსიას, რომელიც XIX ს-ში გაიმართა ბიბლიური გადმოცემების რეალურობის ირგვლივ (Walbank 1948: 170).

3 შდრ. „გეოგრაფია“ (I, 2, 30; I, 3, 18; VI, 2, 10; X, 2, 9; XII, 3, 26).

ლო მეორე მხრივ, რამდენადმე უპირისპირდება იმათ, ვინც ჰომეროსის ყველა ცნობას ისტორიულ ჭეშმარიტებად მიიჩნევდა.[1]

1.2. ჰომეროსის შესახებ განსაკუთრებით მაშინ მსჯელობს სტრაბონი, როდესაც აღწერს იმ ქვეყნებს, რომელნიც მოქცეულნი არიან ჰომეროსის გეოგრაფიულ, ეთნოგრაფიულ და ისტორიულ ნომენკლატურაში. და ეს მსჯელობა მიმართულია იქეთ, რომ მოტანილ იქნას არგუმენტები ჰომეროსის ამა თუ იმ ცნობის დასამტკიცებლად. მართლაც, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ესა თუ ის შეხედულება საგანგებოდაა მოტანილი მხოლოდ იმისათვის, რომ დამტკიცდეს ჰომეროსის ცნობების სისწორე (Грацианская 1986: 48). ერთ-ერთი ასეთი არგუმენტია სტრაბონისათვის თქმულებები არგონავტების შესახებ, რის განხილვასაც საკმაოდ ფართო ადგილი უკავია „გეოგრაფიაში“ (რაც აგრეთვე ეხმაურება იმ ზემოხსენებულ ცხარე დისკუსიას, ელინისტურ ხანაში რომ იყო გამართული ჰომეროსის ირგვლივ).

სტრაბონი ამტკიცებს:

[Ὅμηρος]... μέμνηται... καὶ τῆς Ἰάσονος στρατείας (I, 1, 10)...᾽Ωσαύτως καὶ τοὺς Κόλχους εἰδὼς καὶ τὸν Ἰάσονος πλοῦν τὸν εἰς Αἶαν καὶ τὰ περὶ Κίρκης καὶ Μηδείας μυθευόμενα καὶ ἱστορούμενα περὶ τῆς φαρμακείας... (I, 2, 10).
Τοιαύταις δή τισιν ἀμφορμαῖς ὁ ποιητὴς χρησάμενος τὰ μὲν ὁμολογεῖ τοῖς ἱστορουμένοις, προσμυθεύει δὲ τούτοις, ἔθος τι φυλάττων καὶ κοινὸν καὶ ἴδιον. Ὁμολογεῖ μέν, ὅταν Αἰήτην ὀνομάζῃ, καὶ τὸν Ἰάσονα καὶ τὴν Ἀργὼ λέγῃ, καὶ παρὰ τὴν Αἶαν τὴν Αἰαίην πλάττῃ, καὶ τὸν Εὔνεον ἐν Λήμνῳ καθιδρύῃ, καὶ ποιῇ τῷ Ἀχιλλεῖ φίλην τὴν νῆσον, καὶ παρὰ τὴν Μήδειαν τὴν Κίρκην φαρμακίδα ποιῇ, >αὐτοκασιγνήτην ὀλοόφρονος Αἰήταο>. Προσμυθοποιεῖ δὲ τὸν ἐξωκεανισμὸν τὸν κατὰ τὴν πλάνην συμβάντα τὴν ἀπ᾽ ἐκείνου τοῦ πλοῦ. Ἐπεὶ κἀκεῖνο, ὑποκειμέων μὲν τούτων, εὖ λέγεται, > Ἀργὼ πασιμέλουσα>, ὡς ἐν γνωρίμοις τόποις καὶ εὐανδροῦσι τῆς ναυστολίας γενομένης (I, 2, 40).

„... [ჰომეროსი]... მოიხსენიებს... იასონის ლაშქრობასაც (I, 1, 10)... ასევე იცნობდა კოლხებს, იასონის მგზავრობას აიაში და მითებსა და მოთხრობებს კირკესა და მედეაზე... (I, 2, 10).... პოეტი ამგვარ ცნობებს რომ იყენებს, იცავს როგორც საზოგადო, ისე პირად წესს და ერთი მხრივ ეთანხმება ისტორიკოსებს, ხოლო მეორე მხრივ თვით უმატებს თავის მხრივ. ის ეთანხმება [ისტორიკოსებს], როდესაც სახელს სდებს აიეტს, იასონს, ლაპარაკობს არგოზე, როდესაც აიას თხზავს და ევნეოსს ლემნოსზე ამკვიდრებს, როდესაც აქილევსისათვის ძვირფასად ხდის ამ კუნძულს და მედეას მიხედვით ჰქმნის ჯადოქარ კირკეს, რომელიც არის „შიშის ზარის დამცემი აიეტის მკვიდრი და“.
ხოლო თვითონ თხზავს, როდესაც ოკეანეს იქიდან გადააქვს მთელი მოგზაურობა იქიდან წამოსვლის შემდეგ. თუ ამას მივიღებთ მხედველობაში, კარგად არის ნათქვამი შემდეგი „ყველასათვის ცნობილი არგო“... (I, 2, 40).

1 ასეთებად სტრაბონი ასახელებს კრატეს მალოსელს და სხვებს (... καὶ ἄλλοι τινές: III, 4, 4 – შდრ. Schenkweld 1976: 56, 62). ჰომეროსის ცნობების ისტორიულობის ამღიარებელთა შორის ასახელებენ აგრეთვე ზენონს და პოსიდონიუსს (Aujac 1969a: 16).

აქ წარმოდგენილ პასაჟებში არსებითად კვინტესენცირებულია ყველაფერი, რაც ასახულია არგონავტიკასთან კავშირში იმ პოემებში, რომელნიც ჰომეროსს მიეწერება. ხოლო ორი ციტატა „ოდისეადან“ (X,1 37: „შიშის ზარის დამცემი აიეტის მკვიდრი და“ და XIII, 70: „ყველასათვის ცნობილი არგო“) აგრეთვე თითქოს ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ სტრაბონი უშუალოდ იცნობდა ჰომეროსისეული პოემების ტექსტებს (შდრ. Schenkweld 1976: 51-55; Грацианская 1986: 49).[1]

1.3. სტრაბონს ჰქონდა სრული საფუძველი მტკიცებისათვის, რომ ჰომეროსი იცნობდა „იასონის ლაშქრობას“, ე.ი. არგონავტების შესახებ თქმულებას, რადგან პოემებში, რომლებიც ჰომეროსს მიეწერება, საკმაოდ თვალნათლივ ჩანს არგონავტიკის კვალი.

„ილიადა“, რომელიც დაახლოებით ძვ.წ. 750 წელს უნდა იყოს შექმნილი (ან, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, ძვ.წ. 730 და 710 წლებს შორის – Latacz 1988), იხსენიებს იასონს (არგონავტების წინამძღოლს), ჰიფსიპილეს (კუნძულ ლემნოსის დედოფალს) და მათ ვაჟს ევნეოსს („ილიადა“, VII, 467-468). ეს უკანასკნელი იხსენიება აგრეთვე ლიკაონის (აქილევსის მიერ დატყვევებულის) ამბებთან დაკავშირებითაც („ილიადა“, XXI, 34-46; XXIII, 746-747). ამრიგად, ჩანს, რომ არგონავტიკის ერთ-ერთი სიუჟეტი და მისი განუყოფელი ნაწილი – ოქროს საწმისის მოსაპოვებლად აიეტის ქვეყანაში სალაშქროდ მიმავალი არგონავტების ყოფნა კუნძულ ლემნოსზე – უკვე არსებობდა იმ დროისათვის, როდესაც იქმნებოდა „ილიადა“, რომლის ავტორს, როგორც ირკვევა, არაერთგზის გამოუყენებია ზოგიერთი სხვა უძველესი თქმულებებიც (Kullmann 1960).

„ილიადაში“ (თუმც ე.წ. „ხომალდთა კატალოგის“ ნაწილში, რომლის „ილიადისადმი“ პირვანდელი კუთვნილება სადისკუსიოა, მაგრამ სტრაბონს კი უყოყმანოდ ჰომეროსის კუთვნილად მიაჩნდა – „გეოგრაფია“, XII, 3, 20) იხსენიება აგრეთვე „კარგად ნაგები იოლკოსი“ (ქალაქი, საიდანაც დაიწყო არგონავტების მოგზაურობა), მეფე პელიასი (იასონი რომ გააგზავნა ოქროს საწმისისათვის), არგონავტი ადმეტე. ამასთან ჩანს, რომ „ილიადაში“ აღწერილი მოვლენებისას იოლკოსის გამგებელია პელიასის შვილიშვილი (მისი ასულის ალკესტიდასა და ადმეტეს ნაშიერი) ევმელოსი („ილიადა“, II, 711-715).

„ილიადაში“ არგონავტიკის პერსონაჟთა მოხსენიება სრულიადაც არ უნდა იყოს შემთხვევითი: ცნობილია, რომ „ილიადის“ ავტორი თავისი გმირებისა თუ წინამორბედთა საქმეების აღწერისას ფართოდ იყენებდა „ისტორიულ ფონს“ (Kullmann 1968: 15 და შმდ.).

მეორე პოემაში – „ოდისეა“, რომელიც აგრეთვე ჰომეროსს მიეწერება და როგორც ფიქრობენ, „ილიადაზე“ გვიან – ძვ.წ. VII ს-ის დასაწყისშია შექმნილი, იხსენი-

1 მკვლევართა ერთი ნაწილი ამტკიცებს, რომ სტრაბონი ჰომეროსის ნაწარმოებებს აპოლოდორეს მეშვეობით იცნობდა (ამ მოსაზრებათა კრიტიკა იხ. Грацианская 1986: 48-49).

ება არგონავტების შესახებ თქმულების თითქმის ყველა მთავარი პერსონაჟი: არგონავტების წინამძღოლი იასონი („ოდისეა“, XII, 72), მისი მამა ესონი, ძმები (ფერეტი და ამითაონი) და ბიძაც კი – კრეთევსი, ასევე მეფე პელიასი („ოდისეა“, XI, 256-259).

„ოდისეაში“ ორგზის იხსენიება მეფე აიეტი (X, 137; XII, 70) და მისი და – გრძნეული კირკე (IX, 31; X, 136): „ორივე იშვა მოკვდავთმანათობელი ჰელიოსისა და დედა პერსესაგან, რომელიც ოკეანემ წარმოქმნა“ („ოდისეა“, X, 138-139). „ოდისეაში“ იხსენიება „მოხეტიალე კლდეებიც“ – პლანქტები (XII, 61) და, რაც განსაკუთრებითაა მნიშვნელოვანი, – „ყველასათვის სანუკვარი არგო“ (Ἀργὼ πασιμέλουσα), ხოლო მასთან კონტექსტში არგონავტების მთავარი გმირობა – პლანქტების გაცურვა (XII, 59-72). აღსანიშნავია ისიც, რომ „ოდისეაში“ (I, 259) ჩვენ გვხვდება აგრეთვე „ილოსი, მერმეროსის ძე“. ეს უკანასკნელი კი იყო იასონისა და მედეას ვაჟი, რასაც იუწყებიან პავსანია „ნავპაკტიკაზე“ მითითებით (პავსანია, „ელადის აღწერა“, II, 3, 9) და ფსევდო-აპოლოდორე („ბიბლიოთეკა“, I, IX, 28/3).

1.4. „გეოგრაფიიდან“, არგონავტიკის ჰომეროსის პოემებთან კონტექსტში განხილვისას, კარგად ჩანს, რომ სტრაბონს დამუშავებული და გაცნობიერებული აქვს არგონავტების შესახებ თქმულების ყველა, მათ შორის უძველესი ვერსიებიც, რომელნიც შეიცავდნენ არქაულ ელემენტებს. ჯერ ერთი, უნდა აღინიშნოს, რომ მთელი რიგი პასაჟებიდან ნათელია, რომ სტრაბონი იცნობს არგონავტიკის იმ ვერსიას, რომელშიც უკვე გაერთიანებულია, ერთი მხრივ, თქმულება ფრიქსეს შესახებ (მეფე აიეტთან გამგზავრება ოქროს ვერძით), ხოლო მეორე მხრივ, მითი იასონის მეთაურობით ბერძენ გმირთა ლაშქრობაზე ფრიქსეს ვერძის საწმისის დასაბრუნებლად (შდრ. „გეოგრაფია“, I, 2, 39; XI, 2, 18; XII, 3, 10). თქმულებები კი ორქომენის მეფის ძე ფრიქსეზე და მის გამგზავრებაზე ოქროსაწმისიანი ვერძით მეფე აიეტთან წარმოდგენილი ყოფილა ჯერ კიდევ ძვ.წ. VIII ს-ის ბერძენი ავტორის ჰესიოდეს თხზულებაში (იხ. Hesiod., 142, Fr. 68; 193, Fr. 225; 211, Fr. 229). ლეგენდის თანახმად, ფრიქსეს და მის დას ჰელეს მსხვერპლად უპირებდნენ შეწირვას ლაფისტიოსის ზევსის ტაძარში (იხ. ჰეროდოტე, „ისტორია“, VII, 197; შდრ. პავსანია, „ელადის აღწერა“, I, 24, 2). ფიქრობენ, რომ აქ ასახულია ადამიანის მსხვერპლად შეწირვის შესახებ უძველესი რელიგიური რიტუალის გადმონაშთი (Nilsson 1976: 396; შდრ. Preller 1921: 41 და შმდ.).

სტრაბონის „გეოგრაფიაში“ წარმოდგენილია აგრეთვე უძველესი ბერძნული ტრადიციაც, რომელიც არგონავტებს უწოდებს მინიებს, ე.ი. უძველესი ბერძნული ტომის სახელს. მინიები კი თავის წინაპრად თითქოს ორქომენოსის ლეგენდარულ მეფეს – მინიასს მიიჩნევდნენ (შდრ. Stier 1932; Vian 1960: 221 და შმდ.).

სტრაბონის ცნობით („გეოგრაფია“, IX, 2, 40):

Καλεῖ δὲ Μινύειον τὸν Ὀρχομενὸν ἀπὸ ἔθνους τοῦ Μινυῶν. ἐντεῦθεν δὲ ἀποικῆσαί τινας τῶν Μινυῶν εἰς Ἰωλκόν φασιν, ὅθεν τοὺς Ἀργοναύτας Μινύας λεχθῆναι.

„[ჰომეროსი] ორქომენს მინიურს უწოდებს მინიელთა ტომის მიხედვით. აქედან გადასახლდნენ ზოგიერთი მინიელები იოლკოსში. როგორც ამბობენ, აქედან ეწოდაო არგონავტებს მინიელები“.

მართლაც, ჰომეროსი ასახელებს მინიებს „ოდისეაში“ (XI, 284).

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ოდისეას“ ავტორმა გამოიყენა ზეპირსიტყვიერი პოემა „მინიადა“, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ ტრადიცია მის ავტორობას მიაწერს პროდიკოს ფოკეელს (პავსანია, IV, 33, 7).[1]

მინიებს უწოდებს სტრაბონი კუნძულ ლემნოსზე გამრავლებულ არგონავტთა ნაშიერებსა და შთამომავალთაც („გეოგრაფია“, VIII, 3, 19: εἴτε Μινυῶν, οἱ τῶν Ἀργοναυτῶν ἀπόγονοι ὄντες).[2]

ჰომეროსის შემდგომ და სტრაბონის წინანდროინდელ ბერძნულ მწერლობაში არგონავტების მოხსენიება მინიებად გვხვდება პინდარესთან (IV პითიური ოდა, 69), ჰეროდოტესთან (IV, 145), აპოლონიოს როდოსელთან („არგონავტიკა“, I, 228-232, 709, 1055; II, 97; III, 578; IV, 338, 509, 595, 1074, 1220, 1364, 1500), აგრეთვე, როგორც ჩანს, ლიკოფრონ ქალკიდელთან (შდრ. Sch. ad Lycophr. Chalc., Alexandra, 872). არგონავტებს მინიებად მოიხსენიებენ რომაელი მწერლებიც (ოვიდიუს ნაზონი, „მეტამორფოზები“, VI, 682-721; VII; ფსევდო-ორფევსი, „ორფიკული არგონავტიკა“; სიდონიუსი, Paneg., VII, 65-75; Epithalamea, 272-276 და სხვ.).

ამრიგად, სტრაბონთან არგონავტების მინიებად მოხსენიება გამოძახილია უძველესი ტრადიციისა, რომელიც არგონავტებს და მათ წინამძღოლ იასონს ორქომენოსის ლეგენდარულ მეფე მინიასთან[3] აკავშირებდა.[4]

---

1 შდრ. Stender 1874: 19-20; ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ „მინიადას“ არავითარი კავშირი არ ჰქონდა არგონავტიკასთან.

2 სტრაბონის გადმოცემით, ესენი არიან „არგონავტების ჩამომავლები და ლემნოსიდან ლაკედემონში გაიქცნენ, ხოლო აქედან ტრიფილიაში, და დასახლდნენ არენესთან, ქვეყანაში რომელსაც ეხლა ეწოდება ჰიპაისია, და (სადაც) აღარ არის მინიელთა ფუძე“ (VIII, 3, 19). „გეოგრაფიის“ ავტორი აქ, როგორც ჩანს, იმეორებს გადმოცემას კუნძულ ლემნოსზე გამრავლებულ არგონავტთა შთამომავლების აქედან პელასგების მიერ განდევნის და ლაკედემონში გადასახლების შესახებ, რაც შედარებით ვრცლადაა მოთხრობილი ჰეროდოტეს „ისტორიაში“ (IV, 145-146). ჰეროდოტეც მათ მინიებს უწოდებს. ძნელი სათქმელია, მომდინარეობს თუ არა სტრაბონის „გეოგრაფიაში“ დაცული მოთხრობა უშუალოდ ჰეროდოტედან, რამდენადაც სტრაბონის ცნობით, საუბარია აგრეთვე მინიების ლაკედემონიდან ტრიფილიაში გადასახლებაზე, რაც არ იხსენიება ჰეროდოტესთან, რომლის თანახმად ისინი ტეიგეტონზე რჩებიან (IV, 146).

3 მეფე მინიასის შესახებ ანტიკურ მწერლობაში ერთიანი აზრი არ არსებობდა. პინდარეს სქოლიასტის ცნობით: „ამ მინიასს ზოგიერთები, როგორც ფერეკიდე, ორქომენოსის შთამომავლად აცხადებენ; სხვები კი, პირიქით, ორქომენოსს აღიარებენ მინიასის შვილად; ხოლო ზოგიერთებიც ორთავეს ეტეოკლეს შვილებად თვლიან. დიონისიოსი, თავის მხრივ, მინიასს არესის ძეობას მიაწერს. არისტოდემოსი ალკასის შვილად თვლის მინიასს. [პინდარე] წერს, რომ აქედან ეწოდაო არგონავტებს მინიები“ (Sch. ad Pind. Isthm. I, 79 – ა. ურუშაძე 1964: 263).

4 აპოლონიოს როდოსელის გადმოცემით: „... ირგვლივ მოსახლენი გმირებს ყველას მინიებს უწოდებდნენ,

1.5. არგონავტების თქმულების ზოგიერთი სიუჟეტის გადმოცემისას სტრაბონი შენიშნავს („გეოგრაფია“, V, 2, 6):

αἱ δὲ τοιαῦται μυθοποιίαι τεκμήρια τῶν λεγομένων ὑφ᾽ ἡμῶν εἰσίν, ὅτι οὐ πάντα Ὅμηρος αὐτὸς ἔπλαττεν, ἀλλ᾽ ἀκούων θρυλουμένων τῶν τοιούτων πολλῶν αὐτὸς προσετίθει μήκη διαστημάτων (V, 2, 6).

„ასეთი მითები ჩვენს მიერ გამოთქმულ (აზრთა) დადასტურებაა, რომ ჰომეროსმა ყველაფერი თვითონ კი არ გამოიგონა, არამედ მოისმინა მრავალი ასეთი საყოველთაოდ ცნობილი (მოთხრობა)...“

სტრაბონი აქ სვამს თანამედროვე მეცნიერებისათვისაც ძალზე აქტუალურ პრობლემას ჰომეროსის პოემების პირველწყაროების შესახებ და ავითარებს იდეას ასეთად ზეპირსიტყვიერ თქმულებათა აღიარებისა („... მოისმინა მრავალი ასეთი საყოველთაოდ ცნობილი მოთხრობა... – ἀλλ᾽ ἀκούων θρυλουμένων τῶν τοιούτων πολλῶν αὐτὸς προσετίθει μήκη διαστημάτων). ასეთ მითებად და მოთხრობებად (... μυθόμενα καὶ ἱστοριούμενα)[1] მიაჩნია მას თქმულებები კოლხებზე, იასონის მგზავრობაზე აიაში, კირკესა და მედეაზე, მათი „ჯადოსნობისა და ხასიათთა სხვა მსგავსი ამბების შესახებ. ისინი ნათესავებადაც გამოიყვანა, თუმც ეგზომ შორს ცხოვრობდნენ ერთმანეთისაგან: ერთი პონტოს უკიდურეს ყურეში, მეორე კი, იტალიაში – ორივე ოკეანეს გადაღმა“ (I, 2, 10).

„ოდისეაში“ მართლაა წარმოდგენილი კირკესა და მედეას ნათესაობა, თუმც მედეა ამ ნაწარმოებში მოხსენიებული არაა, მაგრამ კირკე ხომ მედეას მამის, „მრისხანე აიეტის ღვიძლი დაა. ორივე იშვა მოკვდავთ-მანათობელი ჰელიოსისა და დედა პერსესაგან“ („ოდისეა“, X, 135-139).[2] კირკეც ჯადოქარია, რომელიც

რადგან მრავალი მათგანი და უკეთესნი ამაყობდნენ, რომ მინიასის ქალიშვილთა სისხლისგან იყვნენ. თვითონ იასონი მინეიდი კლიმენეს ასულმა – დედა ალკიმედემ წარმოშვა („არგონავტიკა“, I, 229-233: ὣς δὴ καὶ αὐτὸν Ἰήσονα γείνατο μήτηρ Ἀλκιμέδη). მითოლოგიური ტრადიციით, მეფე მინიასის შთამომავალი იყო ფრიქსეს მამა ათამანტი (ამიტომაც ფრიქსეც მინიელად იწოდება: Φρίξος Μινυήιος – Sch. ad Apoll. Rhod. I, 763), ხოლო ათამანტის ძმა კრეთევსი იყო პაპა იასონისა (Müller 1844). საინტერესოა, რომ აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ ფრიქსეს უფროსი ვაჟი არგოსი კოლხთა მეფე აიეტს უცხადებს, რომ იასონი „ჩვენთვის მამისეული ნათესავია“ (III, 359: ...οὕτω κεν γνωτὸς πατρώιος ἄμμι πέλοιτο).

1 სტრაბონის „გეოგრაფიაში“ მითი (μῦθος) და „ისტორია“ (ἱστορία) ერთმანეთისადმი ანტონიმური ცნებებია. სიტყვა μῦθος სტრაბონთან მეტწილად ორი მნიშვნელობით იხმარება. ერთია, როცა აღნიშნავს „გამოგონილს“, ე.ი. რაც არ შეესატყვისება სინამდვილეს და უპირისპირდება „ისტორიას“ (ἱστορία), მეორე შემთხვევაში – ესაა „თქმულებანი“, რომელნიც შეიცავენ როგორც „გამოგონილს“, ასევე ისტორიულ ჭეშმარიტებას (სტრაბონის მტკიცებით, ჰომეროსი და ძველი პოეტები მითიურშიც რეალურ სინამდვილეს გადმოსცემდნენ – შდრ. „გეოგრაფია“, I, 1, 14 და 16; I, 2, 8, 14 და 19; III, 2, 12-13; V, 2, 6; VI, 2, 10; VIII, 3, 26 და სხვ.). „ისტორია“ (ἱστορία) კი სტრაბონის გაგებით არის ინფორმაციის მიღების საშუალება (ზეპირსიტყვიერი, უშუალო დაკვირვებით თუ ლიტერატურული გზით გადამუშავება) და მისი ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნები. ტიპიურია სტრაბონის მსჯელობა („გეოგრაფია“, XI, 5, 3): „...საქმე ისაა, რომ ყველა დანარჩენ თქმულებებში მითიური და ისტორიული ელემენტები (τὸ μυθῶδες καὶ τὸ ἱστορικόν) ერთმანეთისაგან გამიჯნულია. სიძველე, შენათხზი და საოცარი იწოდება მითებად, ისტორია კი, ძველი იქნება ის თუ ახალი, მოითხოვს ჭეშმარიტებას...“.

2 ბერძნულ პოეზიაში კირკეც კოლხ ქალადაა გააზრებული: აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“

თავისი მზაკვრული მიზნებისათვის სარგებლობს „ჯადოსნური წამლებით“[1]. „ოდისეადან“ მაინცდამაინც არ ჩანს მხოლოდ, როგორც სტრაბონი გვარწმუნებს, რომ კირკეს სამყოფელი იტალიაშია (ტირსენიისის ანუ ტირენიის ზღვაში) საგულვებელი. აქ, როგორც ჩანს, სტრაბონი მისდევს ელინისტური ხანის ტრადიციას.[2] „ოდისეის“ მიხედვით ძნელად გასარკვევია, თუ სად მდებარეობდა კირკეს სამყოფელი (კუნძული აიაია). აშკარაა მხოლოდ, რომ კირკესა და მისი ძმის აიეტის სამფლობელოები ერთმანეთისაგან დაცილებული მხარეებია და მათ შორის პლანქტებია აღმართული. მის კუნძულზე მოსულ ოდისევსს კირკე ეუბნება: „მხოლოდ ერთმა ხომალდმა, ყველასათვის სანუკვარმა არგომ გასცურა პლანქტებში“ (XII, 69-72). მეორე მხრივ, რამდენადაც „ოდისეის“ (XII, 1-4) ცნობით: „ხომალდი მიადგა აიაიას კუნძულს, სადაც აისზე შობილი ეოსის სასახლეში ფერხული ეწყობოდა და სადაც ჰელიოსი აღმოსვლას იწყებს“, ამდენად სავარაუდებელია, რომ „ოდისეის“ მიხედვით კირკეს სამფლობელო დასავლეთში კი არაა, არამედ აღმოსავლეთში (ა. ურუშაძე 1964: 493). აკი ჰომეროსის კომენტატორებიც შუა საუკუნეებში მარჩიელობდნენ „აიაელი კირკე – ტირენიის კუნძულ აიაიდან ან კოლხეთის აიაიდან“ (Sch. ad Odyss. IX, 32).[3]

ასე თუ ისე, თქმულებები კირკეს შესახებ სტრაბონს იმ რიგისად მიაჩნია, რომელიც ჰომეროსმა „მოისმინა“ და თავის თხზულებაში შეიტანა, ისევე როგორც თქმულებები იასონის მიერ პლანქტების გაცურვაზე, სკილასა და ქარიბდაზე (I, 2, 10)... და ძალზე საინტერესოა, რომ ამავე აზრისა არიან თანამედროვე მეცნიერებიც (ყოველ შემთხვევაში, ერთი ნაწილი მაინც). ამტკიცებენ, რომ ოდისევსის ზღვაში მოგზაურობის ისეთ სიუჟეტებს, როგორიცაა დედოფალი კირკე, პლანქტები, სკილა და ქარიბდა, აგრეთვე ლესტრიგონები, სირინოზები და ა.შ. საფუძვლად დაედო ფოლკლორული არგონავტიკა (Meuli 1921; Heubeck 1988: 20; Braswell 1987: 100; შდრ. Thiel 1982: 131 და შმდ., 157). დღეს ცნობილია, რომ ჰომეროსისეული პოემების (და საერთოდ, ძვ.წ. VIII-VII სს-ის ეპიკური ნაწარმოებე-

კირკე მედეას რომ შეხვდა, „მყისვე მოინდომა მშობლიური ენის გაგონება“... მედეამ კი „კოლხურ ენაზე დაილაპარაკა და მშვიდად უამბო შემკითხველს ყველაფერი“ (IV, 725- 731).

1 შდრ. „ოდისეა“, X, 233-236: [Κίρκη] εἶσεν δ᾽ εἰσαγαγοῦσα κατὰ κλισμούς τε θρόνους τε, ἐν δέ σφιν τυρὸν τε καὶ ἄλφιτα καὶ μέλι χλωρὸν οἴνῳ Πραμνείῳ ἐκύκα· ἀνέμισγε δὲ σίτῳ φάρμακα λύγρ᾽, ἵνα πάγχυ λοθοίατο πατρίδος αἴης.

2 ~~ასე~~ მაგ., აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ (III, 310-312) აღნიშნულია: „ტირსენის ხმელეთის (Τυρσηνίδος ἠπείρου) ნაპირას, სადაც კოლხეთის მიწისაგან ძალზე მოშორებით, ახლაც ცხოვრობს კირკე“. ჯერ კიდევ აპოლონიოს როდოსელის კომენტატორებმა შენიშნეს, რომ ეს ავტორი ამ შემთხვევაში მისდევს ჰესიოდეს, „რომელიც ამბობს, რომ კირკე ზემოხსენებულ ზღვაში ცხოვრობდა“ (Sch. ad Apoll. Rhod. III, 311). ჰესიოდეს „თეოგონიაში“ (1011-1016) მართლაც არის ასეთი ცნობა: „ჰელიოსის ასული კირკე სიყვარულით დაუკავშირდა მედგარ ოდისევსს და ოქრო აფროდიტეს შემწეობით შვა აგრიოსი, უძრახველი და ძლიერი ლატინოსი და ტელეგონეც. ესენი ფრიად შორს, წმინდა კუნძულთა სიღრმეში მბრძანებლობდნენ სახელმოხვეჭილ ტირსენელებზე“. ამ ცნობაში საუბარია იმაზე, რომ ტირსენელებზე მბრძანებლობდნენ კირკეს შვილები, ხოლო კირკეს ადგილსაცხოვრისზე არაფერია ნათქვამი.

3 შდრ. Sch. ad Odyss. X, 135: „აიაია (Αἰαίη) – კუნძულის სახელია. ზოგიერთები ამბობენ, რომ იგი აწინდელი კირკეიონია იტალიასთან“.

ბის) პირველწყარო იყო ზეპირსიტყვიერი თქმულებანი, რომლებსაც ქმნიდნენ სახალხო პოეტები (აედები) და გადასცემდნენ თაობიდან თაობაში ე.წ. „თავისუფალი“ ან „ურთიერთთან დაკავშირებული მოთხრობების“ სახით (“freie Erzählung”, “gebundene Erzählung” – Latacz 1988: 161 და შმდ.). არსებითად ეს ხომ იგივე აზრია, რასაც ჯერ კიდევ სტრაბონი ამტკიცებდა: „ჰომეროსმა ყველაფერი თვითონ არ გამოიგონა, არამედ მოისმინა მრავალი საყოველთაოდ ცნობილი მოთხრობა“ (V, 2, 6: ἀλλ’ ἀκούων θρυλουμένων τῶν τοιούτων πολλῶν...“ აქ მოხსენიებული θρυλούμενοι ნაწარმოებია ზმნიდან θρυλέω („ვლაპარაკობ გაუჩერებლად“, „ვიმეორებ გამუდმებით“) და ნიშნავს „ყველასათვის ცნობილი და მრავალთა მიერ გამოყენებული“ (შდრ. Liddell-Scott, s.v. θρυλέω).

და მართლაც, პოემებში, რომლებიც ჰომეროსს მიეწერება, თვალსაჩინოდ იკითხება ფოლკლორული არგონავტიკის კვალი. ლემნოსის სიუჟეტის მოხსენიება „ილიადაში“ (VII, 467-468) უნდა მოწმობდეს (ყოველ შემთხვევაში – არაპირდაპირ მაინც)[1] იმას, რომ არგონავტების შესახებ თქმულების ძირითადი ბირთვი უკვე არსებობდა ძვ.წ. VIII ს-ის შუა ხანებისათვის მაინც (ე.ი. იმ დროისათვის, როდესაც ივარაუდება „ილიადას“ შექმნა) და სავსებით ბუნებრივია, რომ ხომალდ არგოს შორეული მოგზაურობაც იხსენიება „ოდისეაში“ (იქნებ, უკვე ფორმულის ფორმითაც, თუმც გვხვდება მხოლოდ ერთხელ – „ოდისეა“, XII, 70: Ἀργὼ πασιμέλουσα და მას იმეორებს სტრაბონიც (შდრ. „გეოგრაფია“, I, 2, 40). არგოს მოხსენიება „ოდისეაში“ ნიშანდობლივია: „ოდისეა“ ხომ უძველესი ეპიკური ნაწარმოებია, რომელიც საზღვაო მოგზაურობასა და მასთან დაკავშირებულ ფათერაკებს ეძღვნებოდა. სტრაბონისეული მსჯელობის საფუძველზე ჩვენს წინაშე ბუნებრივად დგება რთული საკითხი: როდის უნდა შექმნილიყო თქმულება არგონავტებზე, რომლის სიუჟეტები და სახეები აგრე თვალნათლივ შემოინახა უძველესმა ბერძნულმა ეპოსმა, ხოლო სტრაბონის მტკიცებით – ჰომეროსმა?

1.6. თუ არგონავტების შესახებ თქმულებანი ფოლკლორული სიმღერების სახით უკვე არსებობდა „ილიადასა“ და „ოდისეას“ შექმნამდე (და სტრაბონიც ამას არაერთგზის ხაზგასმით აღნიშნავდა თავის „გეოგრაფიაში“: I, 2, 10; I, 2, 38-40; III, 2, 12: V, 2, 6: VII, 6, 45 და რასაც აგრეთვე მოწმობს ამ პოემაში არგონავტიკის სიუჟეტების მოხსენიება, თუკი ისინი გვიანდელი ჩანამატი არაა), მაშინ მართლაც ადრეული არგონავტიკა შეიძლება განვიხილოთ როგორც ნაწარმოები ჰომეროსის (ე.ი. „ილიადას“) წინადროინდელი ზეპირსიტყვიერი ბერძნული პოეზიისა (Meuli 1921), რომლის არსებობა, მ. პარის ცნობილი გამოკვლევების (Parry 1971) შემდეგ, ახლა თითქმის აღარ იწვევს რაიმე ეჭვს. სადავოა მხოლოდ ამ პოეზიის სათავეებისა და მისი წარმოქმნის დროის საკითხი: მკვლევართა ერთი ნაწილი

1 თუმც, უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე ჰომეროსისეულ პოემებში შესაძლებელი გვიანდელი დამატებებიც (შდრ. Thiel 1982).

თვლის, რომ ძველბერძნული ზეპირსიტყვიერი ჰეროიკული პოეზია მიკენურ ეპოქაში წარმოიქმნა (უკანასკნელი ხანის ნაშრომებიდან: Graf 1987: 73), სხვები კი ზეპირსიტყვიერი ჰეგზამეტრული ეპოსის ჩამოყალიბებას პოსტმიკენურ ეპოქას (ე.წ. ბნელ საუკუნეებს) უკავშირებენ (Latacz 1988: 156, 166 და შმდ.).

არგონავტიკა, როგორც გმირთა განდიდება ზეპირსიტყვიერ პოეზიაში, უთუოდ წარმოადგენს ნაყოფს ბერძნული ჰეროიკული ეპოსისა, რომლის წარმოქმნის დრო ახლა საკმაოდ ძნელად დასადგენია. თვლიან, რომ ჰეგზამეტრული ბერძნული ჰეროიკული ზეპირსიტყვიერი ეპოსი თავის წარმოქმნას ბერძნული არისტოკრატიის ნოსტალგიურ (იქნებ პატრიოტული გრძნობებით გამოწვეულ) იმპულსს უნდა უმადლოდესო (Latacz 1988: 156). მაგრამ, მაინც, ისევ და ისევ ძნელად დასადგენია: ბერძნული გვაროვნული არიოსტოკრატიის ნოსტალგიური მზერა მიკენური წარსულისადმი იყო მიპყრობილი, თუ ძვ.წ. XI-IX საუკუნეებისადმი, რომელიც ახლა აგრე თვალსაჩინოდ წარმოჩინდა ჩვენს წინაშე კუნძულ ევბეაზე ლეფკანდიში (Lefkandi) ბრწყინვალე არქეოლოგიური აღმოჩენების შედეგად. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს წინაშეა თითქოს თავისებური გამეორებაც მიკენური საზოგადოებისა: მონუმენტური საცხოვრისი – ოიკოსი გაუმაგრებელ ბორცვზე და მეგარონები, ტაძრები და საკურთხევლები, არისტოკრატიის საკმაოდ მდიდრული კრემაციული სამარხები, აგრე რომ მოგვაგონებენ ჰომეროსისეულ აღწერილობას (Blome 1984: 9-21). არქეოლოგიური მასალები საკმაოდ თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენენ სწორედ არისტოკრატიის აღზევებას, მის სიმდიდრესა და კეთილდღეობას, საერთოდ – მის წამყვან როლს საზოგადოების ცხოვრებაში, ხოლო გარდაცვალების შემდეგ მის განდიდებასა და თაყვანისცემას, როგორც გმირებისას, რაც ასახულია დაკრძალვის წესებშიც (Caligas 1988: 231-232). ძვ.წ. IX ს-ის დასასრულიდან შეინიშნება მკვეთრი ცვლილება: მოსახლეობა გადადის გამაგრებულ სამოსახლოებში, არისტოკრატია კარგავს თავის პრივილეგირებულ მდგომარეობას... და, იქნებ, ნოსტალგიაც წარსულის მიმართ წარმოიქმნა სწორედ ამ არისტოკრატიაში, რომელიც თანდათანობით კარგავდა თავის ძალაუფლებას პოლისის – საზოგადოების ორგანიზაციის სრულიად ახალი ფორმის წარმოქმნასთან დაკავშირებით? (Caligas 1988: 229-230). მაგრამ აქაც ძნელდება ერთნიშნა პასუხი: განა გამორიცხულია ჰეროიკული ზეპირსიტყვიერი ეპოსის წარმოქმნა „არისტოკრატიის ნოსტალგიის“ გარეშე? მსოფლიო ფოლკლორის ისტორიამ ხომ იცის არაერთი მაგალითი იმისა, როდესაც მონუმენტური ზეპირსიტყვიერი ეპიკური ნაწარმოებები იქმნებოდა რეალურად ჩადენილი უდიდესი მნიშვნელობის გმირული საქმეების განსადიდებლად (შდრ. Bawra 1952).

თუ ახლა ერთიან სტრუქტურაში მოვაქცევთ ყველა ჩვენს ხელთ არსებულ მონაცემს, თითქოს შეიძლება ითქვას: ზეპირსიტყვიერი ბერძნული ეპოსი (ჰეგზამეტრული) უკვე არსებობდა „ილიადას“ შექმნამდე, შესაძლოა ჯერ კიდევ მანამ, ვიდრე ბერძნულ გეომეტრიულ კერამიკულ ფერწერაში გაჩნდებოდა ე.წ. ფიგურული სტილი, რომლის პირველ წარმომადგენლად ჯერჯერობით (ახალ

აღმოჩენებამდე) ითვლება ე.წ. დიპილონის ოსტატი (დაახლოებით ძვ.წ. 770 წ.) (Coldstream 1968: 29 და შმდ.). ძვ.წ. VIII ს-ის შუა ხანებიდან საკმაოდ თვალსაჩინოდ ფიქსირდება გმირების თაყვანისცემა („გმირების კულტი“) – სრულდება მსხვერპლის შეწირვა იმ სამარხებზე, რომელნიც მიკენური ეპოქის ეპიკური გმირების სამუდამო განსასვენებლადაა მიჩნეული, რასაც ჰომეროსისეული პოემების გავლენის შედეგად მიიჩნევენ (Coldstream 1976: 8-17).

ახლა ისევ „არგონავტიკას“ დავუბრუნდეთ. როგორი, მეტ-ნაკლებად კონკრეტული, დასკვნის გაკეთების უფლება გვაქვს ზემოთმოტანილი ასე ვრცელი მსჯელობის შემდეგ? ვფიქრობ, რომ ჩვენი ცოდნის ამ ეტაპზე შეიძლება ვამტკიცოთ მხოლოდ შემდეგი: არგონავტიკა, როგორც ბერძნული ზეპირსიტყვიერი ეპოსი, გაჩნდა ჯერ კიდევ „ილიადას“ შექმნამდე. შესაბამისად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი უკვე არსებობდა ძვ.წ. VIII ს-ის დასაწყისში თუ არა, ყოველ შემთხვევაში, სრულიად უცილობლად – ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევარში მაინც, ე.ი. უკვე იმ დროს, როდესაც ბერძნულ გეომეტრიულ კერამიკულ ფერწერაში იქმნებოდა პირველი სიუჟეტური ნაწარმოებები. უცილობელი უნდა იყოს აგრეთვე ისიც, რომ არგონავტიკა შედის იმ უძველეს ეპიკურ ნაწარმოებთა რიგში (მსგავსად ტროასა და თებეს ციკლებისა),[1] რომელნიც განადიდებდნენ ბერძენთა ისტორიის ე.წ. გმირულ პერიოდს ანუ გმირების – ნახევარღმერთების ხანას (შდრ. ჰესიოდე, შრომანი და დღეები, 159-160). თუმც, აქვე უნდა აღვნიშნო, რომ „გმირული ეპოსი“ და „გმირული პერიოდი“ ერთდროული კატეგორიები არაა: „გმირული ეპოსი“ ესაა ძვ.წ. VIII ს. („რეალური სამყარო“), „გმირული პერიოდი“ კი ძვ.წ. VIII ს-ის ბერძნული საზოგადოებისათვის უკვე ისტორიაა („წარსული“). სამწუხაროდ, ჩვენ ახლა შეგვიძლია მხოლოდ ვარაუდები გამოვთქვათ იმის თაობაზე, თუ რომელი „წარსული“ აისახა „ილიადას“ წინადროინდელ ბერძნულ ზეპირსიტყვიერ ეპოსში: „მიკენური“, „ლეფკანდური“[2] თუ კიდევ რომელიმე სხვა? ყოველ შემთხვევაში, თითქოს აშკარაა არგონავტების შესახებ თქმულების არქაული ხასიათი, კერძოდ, მისი ისეთი არსებითი ელემენტი, როგორიცაა „ოქროს საწმისი“, რომელიც სამეფო ხელისუფლებისა და ქვეყნის კეთილდღეობის სიმბოლოს წარმოადგენდა (შდრ. Gernet 1976: 119-130) და, შესაბამისად, პოლისის ჩამოყალიბების წინარე ხანის იდეოლოგიას განასახიერებდა.

„ილიადაში“ ჩვენ უკვე ვხვდებით „ისტორიული“, ე.ი. ეპიკური პერიოდის დაყოფას სამ თაობად: მთავარი გმირების მამები, თავად გმირები – ტროას ომის მონაწილენი, მათი შვილები (შდრ. Kullmann 1988: 185 და შმდ.). იქმნება შთაბეჭდილება, რომ თითქოს ჰომეროსის წინადროინდელ ზეპირსიტყვიერ პოეზიაში უკვე შექმნილია საკმაოდ მწყობრი რელატიური ქრონოლოგიური სისტემა გენეალოგიურ პრინციპზე დაფუძ-

1 მ. ვესტი ვარაუდობს, რომ არსებობდა „იოლკოსის ციკლი“ (Iolkos Cycle), რომელსაც ის აყენებს პირველ ადგილზე, ხოლო შემდეგ მოდიან ეოლიური, თებეს და ტროის ციკლები. პირველ, „იოლკოსის ციკლში“ ის აერთიანებს პელევსის ისტორიას, იასონის მოგზაურობას, არგოს და შმდ. (West 1985: 137-138).

2 ამ სახელწოდებას გვთავაზობენ შემდეგი პერიოდის აღსანიშნავად: XI ს-ის დასასრულიდან IX ს-ის დასასრულამდე (Caligas 1988: 229 და შმდ.)

ნებული (შდრ. West 1985: 137-138; Broadbent 1968: 292 და შმდ.), რომელშიც ასახულია მოვლენებისა და გმირების საქმეების, შეიძლება ითქვას, კანონიკური თანამიმდევრობა და მონაცვლეობა. ამ სისტემაში არგონავტები ფიგურირებენ როგორც უფროსი თაობის წარმომადგენლები – ტროას ომის მონაწილეთა მამები... ასე მაგ., არგონავტი პელევსი იყო მამა აქილევსისა, ხოლო ასევე არგონავტი ტელამონი (ბიძა აქილევსისა) იყო მამა აიანტისა („დიდს“ რომ უწოდებდნენ) და ა.შ.; ან კიდევ ჰერაკლე, რომელიც თან ახლდა არგონავტებს მათი მოგზაურობის დასაწყისში, ტროის ომის დროისათვის უკვე ცოცხალი აღარაა, ხოლო მისი მშვილდითა და ისრით სარგებლობს ტროის ომის ნორჩი მონაწილე ფილოკტეტი (რომელიც მოკლავს პარისს)... ეს იცის სტრაბონმაც, რომელიც იხსენიებს ტროის ომის მონაწილე ევმელოსს, რომელიც იყო ძე არგონავტ ადმეტესი („გეოგრაფია“, I, 2, 38).[1] ამრიგად, ამ რელატიური ქრონოლოგიური სისტემის მიხედვით, რომელიც უთუოდ ჯერ კიდევ ჰომეროსის წინარე ხანის ბერძნულ ზეპირსიტყვიერ პოეზიაშია შექმნილი, ოქროს საწმისისათვის ლაშქრობა განახორციელეს ტროის ომის გმირთა მამებმა. ეს აზრი საყოველთაოდ იყო აღიარებული ძველ ელადაში უფრო გვიან ხანებშიც. ჰეროდოტე ამტკიცებდა: ალექსანდრემ (პრიამოსის ვაჟმა) ელენე მოიტაცა, ამბობენ, მეორე თაობაში მას შემდეგ, როდესაც „ელინებმა კოლხეთში მოიტაცეს მეფის ასული მედეა...“ (ჰეროდოტე, I, 2-3).

1.7. სტრაბონს არგონავტების კოლხეთში ლაშქრობა სარწმუნო ფაქტად მიაჩნდა (I, 2, 39):

Ὡς μὲν γὰρ ἅπαντες λέγουσιν, ὅ τε ἐξ ἀρχῆς πλοῦς ὁ ἐπὶ Φᾶσιν ἔχει πιθανόν τι, τοῦ Πελίου στείλαντος, καὶ ἡ ἐπάνοδος καὶ ἡ ἐν τῷ παράπλῳ νήσων ὁσηδή ἐπικράτεια καὶ νὴ Δία ἡ ἐπὶ πλέον γενηθεῖσα πλάνη, καθάπερ καὶ τῷ Ὀδυσσεῖ καὶ τῷ Μενελάῳ... καὶ μὴν καὶ περὶ Σινώπην καὶ τὴν ταύτης παραλίαν καὶ τὴν Προποντίδα καὶ τὸν Ἑλλήσποντον μέχρι τῶν κατὰ τὴν Λῆμνον τόπων λέγεται πολλὰ τεκμήρια τῆς τε Ἰάσονος στρατείας καὶ τῆς Φρίξου.

„... როგორც ყველანი ამბობენ, ფასისში მგზავრობა სარწმუნოა თავიდანვე და ის პელიასმა მოაწყო, (სარწმუნოა აგრეთვე) უკან დაბრუნება და ზოგი კუნძულის დაპყრობა. ვფიცავ ზევსს, რომ ნამდვილად იყო ეს შორეული მოგზაურობა, ისევე როგორც ოდისევსისა და მენელაოსისა... ამბობენ, რომ ბევრი საბუთი არსებობს იასონის ლაშქრობისაც და ფრიქსესიც სინოპესთან და მის სანაპიროზე, პროპონტიდასა და ჰელესპონტთან ვიდრე ლემნოსის ადგილებამდე...

ეს ცნობა სხვა თვალსაზრისითაცაა ძალზე საყურადღებო, რამდენადაც იგი სტრაბონის სხვა მონაცემებთან ერთად თვალსაჩინო ილუსტრაციაა იმისა, თუ

1 აქ სტრაბონი ე.წ. „ხომალდთა კატალოგის“ ციტირებას ახდენს („ილიადა“, II, 2, 14): Εὔμελος, τὸν ὑπ᾽ Ἀδμήτῳ τέκε δία γυναικῶν Ἄλκηστις.

რაოდენ პოპულარული იყო ძველ სამყაროში თქმულება არგონავტების შესახებ, ამიტომ ზემოთმოტანილი ცნობის ინტერპრეტაციას ჩვენ ქვემოთ კიდევ დავუბრუნდებით.

რასაც ჰომეროსი იუწყება, სტრაბონისათვის ეს უცილობელი ჭეშმარიტებაა. ამიტომ ამტკიცებს ის: „... ის რაც იასონს გადახდა თავს, არგოსა და არგონავტებს, ყველანი ერთი აზრის არიან ამის შესახებ და ნუთუ ეს (ჰომეროსს) არ სმენია, ნუთუ გამოიგონა ოკეანეში აიეტიდან მგზავრობა და არავითარი ისტორიული საფუძველი არ აუღია?“ (I, 2, 38). ჰომეროსის ასეთ ისტორიულ საფუძვლად (ἀρχὴ ἐξ ἱστορίας სტრაბონს, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მიაჩნია მის მიერ მოსმენილი „მრავალი საყოველთაოდ ცნობილი მოთხრობა“ (V, 2, 6: ἀκούων θρυλουμένων τῶν τοιούτων πολλῶν),[1] ე.ი. ზეპირსიტყვიერი თქმულებანი.

1.8. ჩვენ ახლა მივუახლოვდით ყველაზე რთულ საკითხს: რა რეალური მოვლენები უნდა ასახულიყო არგონავტიკის შესახებ თქმულებაში, რომელიც უთუოდ განეკუთვნება სტრაბონისეული „საყოველთაოდ ცნობილი მოთხრობების“კატეგორიას. ეს საკითხი მჭიდროდ უკავშირდება საერთოდ ფოლკლორის ისტორიულობასა და მხატვრული ზეპირსიტყვიერების გზით შორეული წარსულის შესახებ ინფორმაციის გადაცემის მექანიზმის უაღრესად რთულსა და სადისკუსიო პრობლემას (Vansina 1985; “Vergangenheit...” 1988; Sakellariou 1990: 19). მე, რა თქმა უნდა, შორს ვარ იმ აზრისაგან, თითქოს ადრეული ეპიკური ნაწარმოებები მთლიანად ისტორიულ ფაქტებზეა დაფუძნებული და აღმოცენებული. მაგრამ თვით ის „შეგნებული არქაიზაცია“, რომელიც ჰომეროსის პოემებში ფიქსირდება (შდრ. Kullmann 1988: 186 და შმდ.), განა იმაზე არ მიგვითითებს, რომ ამ დროისათვის მართლაც (როგორც სტრაბონიც გვარწმუნებს) არსებობდა რაღაც ისტორიული ინფორმაცია შორეული წარსულის შესახებ? სტრაბონის დაჟინებითი მტკიცებით, „პოეტი (ჰომეროსი – ო. ლ.) ამგვარ ცნობებს რომ იყენებს, იცავს როგორც საზოგადო, ისე პირად წესს და, ერთი მხრივ, ეთანხმება ისტორიკოსებს, ხოლო მეორე მხრივ, თავისას უმატებს...“ (I, 2, 40). „...მას (ჰომეროსს – ო. ლ.) ხომ მუდამ შემოჰქონდა მითები ნამდვილი ამბების საფუძველზე“ (III, 2, 12). ვფიქრობ, რომ არ უნდა იყოს მართებული მთლიანად უარყოფა იმისა, რომ ზეპირსიტყვიერ ეპოსსაც, ზოგჯერ მაინც, აქვს ისტორიული, რეალური საფუძველი. უფრო ზუსტად, იგი ინახავს ზოგჯერ უთუოდ მოგონებას რაღაც ძალიან დიდი, რეალურად განხორციელებული მოვლენის შესახებ. ეს ისეთი ამბები, გმირობა თუ ისტორიული მოვლენებია, რომელთაც უდიდესი როლი შეასრულეს ამა თუ იმ ხალხის ისტორიაში. ხალხური პოეზიის ისტორიის სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ყოველი ხალხის ისტორიაში არის მომენტები – დიდი ისტორიული მოვლენები, რომელნიც აღელვებენ მრავალი თაობის საერთო-სახალხო ფანტა-

1 შდრ. ჰეროდოტე (IV, 179): არგონავტების შესახებ თქმულებას უწოდებს λόγος λεγόμενος.

ზიას და ამიტომაც აისახებიან ლირიკულ-ეპიკურ სიმღერებში (Типология: 290-301; Фольклор: 244-271; Bawra 1952: 508 და შმდ.). თუ გავიზიარებთ ამ დებულებას (მე კი მჯერა მისი), მაშინ ბუნებრივად ისმის კითხვა: რა ისტორიული ფაქტი („ისტორიული ბირთვი“) შეიძლებოდა დასდებოდა საფუძვლად არგონავტების შესახებ თქმულების შექმნას? ამ უაღრესად რთულ კითხვაზე პასუხის გაცემას მე ქვემოთ შევეცდები.

2. არგონავტიკა და კოლხეთი

2.1. სტრაბონის „გეოგრაფიას“ წითელი ზოლივით გასდევს იდეა, რომ არგონავტებმა ოქროს საწმისისათვის კოლხეთში ილაშქრეს. ეს მისთვის უცილობელი ჭეშმარიტებაა (შდრ. „გეოგრაფია“, I, 1, 10; I, 3, 38-40; I, 3, 2; V, 1, 9; XI, 2, 18-19; XI, 4, 8; XII, 4, 3). როგორც უკვე ვნახეთ, სტრაბონს მხოლოდ იმის მტკიცება სჭირდება, რომ ჰომეროსი იცნობდა არგონავტების შესახებ თქმულებას (შდრ. „გეოგრაფია“, I, 1, 10; I, 2, 10; I, 2, 38-40; III, 2, 12; V, 2, 6). ამასთან „გეოგრაფიიდან“ არ ჩანს, რომ სტრაბონის წინადროინდელ მწერლობაში არსებობდა მტკიცე აზრი იმის თაობაზე, რომ ოქროს საწმისის მოსაპოვებლად ლაშქრობის შესახებ თქმულება რომელიმე სხვა ქვეყანას უკავშირდება. სტრაბონი ეკამათება თითქოს მხოლოდ დემეტრიოს სკეპსისელს, რომელიც აიას „უკიდურეს აღმოსავლეთში“ ათავსებდა მიმნერმეს იმ ცნობის[1] საფუძველზე, რომელიც აიეტის ქალაქს ოკეანის სანაპიროზე ასახელებდა („გეოგრაფია“, I, 2, 40). სტრაბონის მტკიცებით კი: „უბრალოდ მაშინდელ პონტოს ზღვას, როგორც სხვას რომელსამე, ოკეანედ ღებულობდნენ, ხოლო მათზე მცურავნი ისევე დაშორებულად მიაჩნდათ, როგორც სტელების[2] ბევრად უფრო იქით გამგზავრებულები. მით უმეტეს, რომ ჩვენს დროსაც ის (პონტო – ო. ლ.) უდიდესად ითვლებოდა და ამიტომაა, რომ უპირველესად მას უწოდეს პონტო,[3] ისევე როგორც პოეტი – ჰომეროსს. შესაძლებელია ამიტომ გადაიტანა მან ამბები პონტოდან ოკეანეზე, რადგანაც ამას კარგად მიიღებდნენ გავრცელებული აზრის გამო“ (I, 2, 10). სტრაბონის ამ საკმაოდ გონებამახვილურ განმარტებას ყურადღებას არ აქცევენ, ან არ იზიარებენ. ალბათ, ამიტომაც ახალ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაშიც არსებობს აზრი, რომ არგონავტების შესახებ თქმულება კოლხეთს მხოლოდ ძვ.წ. VIII ს-ის შემდგომ, ე.ი. შავიზღვისპირეთში დიდი ბერძნული კოლონიზაციის შემდგომ დაუკავშირდა, მანამდე კი არგონავტების ლაშქრობა სხვა სამყაროში ივარაუდებოდა, და აიაც ერქვა სხვა ქვეყანას, რომელიც გაიაზრებოდა რაღაც იდუმალ

1 შდრ. მიმნერმე, „ნანო“, ფრ. 11: „...აიეტის ქალაქი. აქ მალი ჰელიოსის სხივები ძევს ოქროს დარბაზში, ოკეანეს სანაპიროზე, სადაც წარემართა ღვთაებრივი იასონი“ (ურუშაძე 1964: 201).

2 ჰერაკლეს სვეტები, ე.ი. გიბრალტარის სრუტე.

3 κατ᾽ ἐξοχὴν ἰδίως πόντον.

ქვეყანად, სადღაც სამყაროს სულ უკიდურეს ნაწილში რომ იყო მოქცეული (შდრ. Lesky 1966: 26; Болтунова 1976: 37-44).

აიასა და კოლხეთის ურთიერთმიმართების საკითხს ოდნავ ქვემოთ შევეხებით. ჯერ გამოვეხმაურები გერმანელი ხეთოლოგის ფ. ჰაასის საინტერესო არგუმენტაციას. მისი მტკიცებით, ოქროს საწმისის შესახებ მითი ცენტრალურანატოლიური წარმოშობისაა: ცენტრალური და ჩრდილოეთ ანატოლიის უძველესი (ე.წ. პროტოხეთური) მოსახლეობის რელიგიურ წარმოდგენებსა და რიტუალებში დიდ როლს ასრულებდა ცხვრის ან თხის ტყავი, როგორც სამეფო ხელისუფლებისა და ქვეყნის კეთილდღეობის სიმბოლო. ამასთან არსებობს ზოგიერთი არაპირდაპირი ტიპოლოგიური პარალელი მედეასა და ხეთური მითის ქალღმერთ ინარას შორის (ინარამაც მიაძინა გველი ილუიანქა, თუმც სხვა მოტივით, ვიდრე მედეამ). შესაბამისად, თვლის იგი, მითი ვერ წარმოიშობოდა კოლხეთში, ხოლო „აია“ და მასთან დაკავშირებული თქმულება ოქროს საწმისის შესახებ კოლხეთში მხოლოდ ძვ.წ. 750 წლისთვისაა ბერძენი კოლონისტების მიერ მილეტიდან გადმოტანილი. ასეთია მოკლედ ფ. ჰაასის ძირითადი იდეა, რომელსაც ზოგიერთი სხვა მკვლევარიც იზიარებს (იხ. Haas 1978: 241-243; 1977; შდრ. ქავთარაძე 1985: 33 და შმდ.). მე მიმძიმს ამ მოსაზრებათა გაზიარება. ჯერ ერთი, არავინ ამტკიცებს, თითქოს მითი ოქროს საწმისის შესახებ კოლხეთში იყოს წარმოშობილი (მიუხედავად იმისა, რომ ცხვრის კულტი და მითში ასახული სხვა რეალიები კოლხეთშიც დასტურდება). აიეტის ქვეყანაში ოქროს საწმისისათვის არგონავტების ლაშქრობის შესახებ თქმულება შეიქმნა უდავოდ საბერძნეთში. ეს ბერძნული თქმულებაა და წარმოადგენს ბერძნული ეპოსის ორგანულ ნაწილს (ისევე როგორც ტროასა და თებეს ციკლები). თვით ოქროს საწმისის მოტივი, შესაძლოა, მართლაც წარმოიქმნა ხეთურ-ანატოლიური კულტურის არეალში და იქ მას საფუძვლად დაედო ცხვრისა და მისი ტყავის, როგორც სიმდიდრისა და ბედის სიმბოლოს, საკრალური როლის შესახებ არქაული ინდოევროპული წარმოდგენები, რომელიც ასახულია ხეთურ-ლუვიურ რიტუალებსა და უძველეს ინდოევროპულ ლექსიკაში (იხ. მაგ., Гамкрелидзе, Иванов 1984: 581-583). საინტერესოა, რომ ძველ ხეთურ სარიტუალო ტექსტებში ფიქსირდება კავშირი მატყლისა გველთან და სახე „გველისა მატყლზე“, რაც შეიძლება გახდა არქეტიპი ოქროს საწმისის მოდარაჯე გველის (დრაკონის) სახისა. მაგრამ ეს სულ სხვა საკითხებია, რომელნიც დაკავშირებულია ცალკეული მითოლოგიურ-რელიგიური სიმბოლოების გენეზისთან. ოქროს საწმისის, როგორც ძალაუფლებისა და კეთილდღეობის სიმბოლოს მოტივი, ბუნებრივია, ბერძნულ სამყაროში მართლა აღმოსავლეთიდან გავრცელებულიყო. ერთ-ერთი არქაული ლეგენდის თანახმად, პელოპიდების (რომელნიც მცირე აზიიდან იყვნენ მოსულნი) სამეფოში ოქროს საწმისი განასახიერებდა სამეფოს სიმბოლოს. დიდ ინტერესს იწვევს ტიპოლოგიური პარალელები, ერთი მხრივ, ოქროს საწმისის ფუნქციის შესახებ ხეთურ სამყაროში (იხ. ფ. ჰაასის დასახ. ნაშრ.), ხოლო მეორე მხრივ, ბერძნულში,

კერძოდ თესალიაში, სადაც დადასტურებულია ცხვრის ტყავის გამოყენება საზაფხულო გვალვებთან დაკავშირებულ რიტუალში (იხ. Nilsson 1976: 6).

2.1.1. საკითხს, თუ სად ილაშქრეს არგონავტებმა და რა გეოგრაფიული არეალი უნდა ასახულიყო თქმულების უძველეს და თავდაპირველ ვერსიებში, მჭიდროდ უკავშირდება ჩვენს მიერ ადრე დასმული კითხვაც: რა ისტორიული ფაქტი („ისტორიული მარცვალი") შეიძლებოდა დასდებოდა საფუძვლად არგონავტების შესახებ თქმულების გაჩენას?

არგონავტიკის უძველესი ვერსიების თანახმად, ქვეყანას, სადაც ინახებოდა ოქროს საწმისი იმ გრძნეული ვერძისა, რომელმაც ფრიქსე იქ საბერძნეთიდან ჩამოიყვანა – ერქვა აია[1] (შდრ. „გეოგრაფია", I, 2, 10).

სახელწოდება აია ჩვენამდე მოღწეულ ლიტერატურულ ტექსტებში პირველად მხოლოდ ძვ.წ. VI-V სს-ის ლირიკოსი პოეტის მიმნერმეს თხზულებაში „ნანო" (ფრ. 11) იხსენიება.[2] მაგრამ უეჭველია, რომ ეს სახელწოდება იმთავითვე ფიგურირებდა არგონავტთა შესახებ თქმულების უძველეს ვერსიებში. აკი უკვე „ოდისეა" იხსენიებს მეფე აიეტს, რაც, როგორც ქვემოთ დავიმოწმებთ, თვით ძველ ბერძენთა განმარტებით, ნიშნავს „აიას მკვიდრს". აია ბერძნულ მწერლობაში ჩვეულებრივ გვხვდება როგორც მთელი ქვეყნის სახელწოდება, ე.ი. კოლხეთის სინონიმი (იხ. მაგ., ჰეროდოტე, I, 2; VIII, 193, 197; აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა", II, 417), თუმც ზოგიერთი გვიანდელი ავტორი ან კომენტატორი აიას, როგორც ქალაქს იხსენიებს.[3] მე არ შევუდგები ახლა აიას ლოკალიზაციის შესახებ გამოთქმული ყველა მოსაზრების გადმოცემას, რადგან ისინი დაწვრილებითაა განხილული მთელ რიგ ნაშრომებში (იხ. მაგ., Lesky 1966; Гордезиани 1978: 199-210). მე ვერ დავეთანხმები, როგორც უკვე აღვნიშნე, ზოგიერთ ნაშრომში გამოთქმულ თვალსაზრისს, რომელიც აიას მიიჩნევს რაღაც არარეალურ ქვეყანად, რომელსაც თითქოს არაფერი საერთო არ ჰქონდა კოლხეთთან.[4] ზემოთ უკვე მოვიხსენიე, რომ „ოდისეაში" ვხვდებით არგონავტიკის მთავარ მოქმედ პირს მეფე აიეტს. ეს სახელი კი თვით ძველ ბერძენთა განმარტებით ნიშნავს აიას მკვიდრს. სტეფანე ბიზანტიელი: „აია: მისგანაა „აიეტეს", როგორც „აზია" – „აზიატეს", ისე „აია" – „აიატეს" და „აიეტეს".[5] მეორე მხრივ, პინდარის IV პი-

1 მკვლევართა უმრავლესობის აზრით, აიას ეტიმოლოგია დაუდგენელია. თვლიან, რომ αἶα წარმოდგენილია γῆ ἄγγια–დან (შდრ. Δῆ Μήτηρ) – Steiner 1955: 230; Lesky 1966: 40 და შმდ.; Frisk 1960: 29; Kamptz 1982: 146-148 (§ 53 bl), 283 8a).

2 „თვით იასონიც ვერასდროს ვერ წამოიღებდა დიად საწმისს აიადან" (Οὐδὲ κοτ᾽ ἂν μ᾽ ἀνήγαγεν αὐτὸς Ἰήσων ἐξ Αἴης τελέσας ἀλγινόεσσαν ὁδόν).

3 შდრ. მაგ., Kallimach., Pap. Berol. 1151; Plin., NH, VI, 11; Sch. ad Od. IX, 2; Sch. ad Euripid. Alkes. 1024; Sch. ad Apoll. Rhod. III, 1093; Sch. ad Lycophr. Alexandra, 1771.

4 შდრ. Lesky 1966: 26; Ельницкий 1961: 12-14; Болтунова 1976: 37-44; Haas 1978: 241-243; Haas 1977; ამ მოსაზრებათა კრიტიკული მიმოხილვა იხ. ლორთქიფანიძე ოთ. 1986: 35 და შმდ.

5 „Αἶα ...ἔοικε δὲ τοὐναντίον ἐξ αὐτῆς ὁ Αἰήτης εἶναι ὡς Ἀσία Ἀσιάτης, οὕτως Αἶα Αἰάτης καὶ Αἰήτης".

თიური ოდის სქოლიოში შემონახული ცნობის თანახმად (რომლის ავტორობა ძვ.წ. V ს-ის მწერალს ფერეკიდეს მიეწერება), იასონი გაემგზავრა „აიაში ოქროს საწმისის მოსატანად აიეტისაგან“ (Sch. ad Pind. P. IV, 133).[1] აქედანაც აშკარად ჩანს აიეტის სამეფოსა და აიას იდენტურობა.[2] საინტერესოა (და მნიშვნელოვანიც) სტრაბონის არგუმენტაცია: „როგორც ყველანი ამბობენ, ფასისისკენ (ἐπὶ Φᾶσιν) მგზავრობა სარწმუნოა... აიას ხომ მიუთითებენ ქალაქ ფასისთან (περὶ Φᾶσιν)... ხოლო აიეტი სარწმუნოა რომ კოლხეთში მეფობდა...“ (I, 2, 39). ასე რომ სტრაბონთან აია კოლხეთთან და მის ყველაზე უფრო ცნობილ ქალაქ ფასისთანაა ასოცირებული. ასევე საინტერესოა იქვე (I, 2, 39) მისი შემდგომი მსჯელობაც: „აქაურებში (ე.ი. კოლხეთში – ო. ლ.) ეს სახელი ადგილობრივია“ (καὶ ὁ Αἰήτης πεπίστευται βασιλεῦσαι τῆς Κολχίδος, καὶ ἔστι τοῖς ἐκεῖ τοῦτ’ ἐπιχώριον τοὔνομα).

მართლაც, ბიზანტიელი ისტორიკოსის აგათიას ცნობებიდან ირკვევა, რომ VI ს-ში კოლხეთში (რომელსაც მაშინ ლაზიკა ეწოდებოდა) ცნობილი იყო ადგილობრივი დიდკაცი სახელად აიეტი (Agath., III, 8-11). ძველ ბერძნულ საისტორიო და მხატვრულ ლიტერატურაში აია იმთავითვე კოლხეთთან იყო გაიგივებული, რაც ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ ჰეროდოტესთანაა წარმოჩენილი: I, 2: [ელინებმა] „გრძელი ხომალდით მოსცურეს აია-კოლხიდაში, მდინარე ფასისთან...“ (Καταπλώσαντας γὰρ μακρῇ νηῒ Αἰάν τε τὴν Κολχίδα καὶ ἐπὶ Φᾶσιν ποταμόν) ან VII, 193: „... როდესაც ესენი მიცურავდნენ აიაში, კოლხიდაში, საწმისისათვის...“ (εὖτε ἐπὶ τὸ κῶας ἔπλεον ἐς Αἶαν τὴν Κολχίδα. იხ. აგრეთვე VII, 197: „მოვიდა კიტისოროსი აია-კოლხიდიდან“ (ὁ Κυτίσσορος ἐξ Αἴης τῆς Κολχίδος ἐρρύσατο). აქ „Αἶα“ (აია) და „Κολχίς“ (კოლხეთი) წარმოდგენილია როგორც სინონიმები. ზუსტად ასევეა აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაშიც“ (II, 417): Αἶα δὲ Κολχίς/Πόντου καὶ γαίης ἐπικέκλιται ἐσχατιῇσιν. ამრიგად, შეიძლება ვივარაუდოთ: ორი სინონიმური ტოპონიმი (აია და კოლხეთი) ასახავს ორ განსხვავებულ ქრონოლოგიურ დონეს, რომელთაგან აია უფრო ძველია (მიქელაძე 1974: 159), იქნებ ზეპირსიტყვიერი ტრადიციით შემოსულიც.

აია, სადაც არგონავტები გაემგზავრნენ, როგორც ჩანს, იმთავითვე აღმოსავლეთში,[3] კერძოდ, შავი ზღვის სანაპიროზე იგულისხმებოდა. ამას თვალნათლივ

1 „.....πέμψαι ἂν εἰς Αἶαν αὐτὸν ἐπὶ τὸ κῶας τὸ χρυσόμαλλον, ἄξοντα ἂν ἀπὸ Αἰήτεω“.

2 ზოგიერთ მკვლევარს „აია“ აიეტის დის – გრძნეული დედოფლის კირკეს ადგილსაცხოვრისად მიაჩნია და თვლის, რომ აიას ლოკალიზაცია შეუძლებელია. საამისოდ იმოწმებენ ჰომეროსის შუა საუკუნეების კომენტატორებს, რომელნიც მართლაც მარჩიელობდნენ ზოგჯერ: „აიაელი კირკე ტირენიის კუნძულ აიადან ან კოლხეთის აიადან“ (Sch. ad Od. IX, 32); მაგრამ ეს (და სხვა მსგავსი) პასაჟი არ უნდა გამოვიყენოთ აიას ლოკალიზაციისათვის, რადგანაც კირკესა და აიეტის სამყოფელი ერთმანეთისაგან საკმაოდაა დაცილებული. ამავე დროს ისინი სხვადასხვა სახელით იხსენიებიან: კირკეს „კუნძული“, როგორც წესი, იწოდებოდა Αἰαίη, ხოლო აიეტის ქვეყანა – Αἶα – Hom., Od., X, 135; XI, 70; Apoll. Rhod., Arg., II, 417, 422, 1094, 1141, 1185, 1267; III, 306, 1061; IV, 255.

3 შდრ. „ოდისეა“, XII, 1-4: „კუნძული აიაია... სადაც ჰელიოსი აღმოსვლას იწყებს“. ამიტომ არაა დამაჯერებელი კირკეს კუნძულის ლოკალიზაცია ტირენეს ზღვაში (შდრ. Lesky 1966). არგონავტების

მოწმობს არგონავტიკის უძველესსავე ვერსიაში წარმოდგენილი ლემნოსის სიუჟეტი, რომელიც, როგორც ზემოთ ითქვა, უკვე „ილიადაშია“ დამოწმებული. ქალაქ იოლკოსიდან გამგზავრებული არგონავტები კი კუნძულ ლემნოსზე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეჩერდებოდნენ, თუ მათი გეზი შავი ზღვის სანაპიროებისაკენ ივარაუდებოდა (Гордезиани 1978: 199-210).

არგონავტებს რომ იმ ქვეყნამდე მიეღწიათ, სადაც ოქროს საწმისი ინახებოდა, მრავალი წინაღობა უნდა გადაელახათ, რომელთაგან უმთავრესი მაინც „მოხეტიალე კლდეები“ იყო. სწორედ ისინი უკეტავდნენ ხომალდებს გადაულახავ გზას აიეტის ქვეყნისაკენ. „მოხეტიალე კლდეები“ („ოდისეაში“ პლანქტებად წოდებულნი, სხვა ავტორებთან კი – სიმპლეგადებად ან ჳიანეებად) ბოსფორის სრუტესთანაა ლოკალიზებული.[1] სტრაბონის მტკიცებითაც: „ამაგრებენ ამას (რომ ჰომეროსი იცნობდა არგონავტების კოლხეთში ლაშქრობას – ო. ლ.) კიანეებიც, კლდეები, რომელთაც ზოგიერთები უწოდებენ სიმპლეგადებს, რომლებიც აძნელებდნენ ბიზანტიონის სრუტეში გაცურვას... სიმპლეგადები არის პლანქტები, ისე რომ ამ ადგილების გაცურვა იასონის მიერ სარწმუნო ჩანს“ (I, 2, 10). სწორედ შავი ზღვის სრუტეების პირველი გაცურვა იყო, ჩემი აზრით, ის უდიდესი გმირობა, რომელმაც არგონავტები ძველი ელადის ერთ-ერთ ყველაზე უფრო პოპულარულ და სათაყვანებელ გმირებად აქცია. არგონავტები იასონის ხელმძღვანელობით არიან შავი ზღვის სანაპიროებისაკენ გზის პირველგამკვლევნი[2] და ძველ ბერძენთა ცნობიერებაში აღმომჩენები ახალი და მანამდე მიუწვდომელი ქვეყნისა (აია-კოლხეთი), რომლის შესახებ, შესაძლოა, ჰქონოდათ კიდეც უთუოდ კონტინენტური სატომთაშორისო გაცვლა-გამოცვლის გზით[3] მიღებული რაღაც ინფორმაცია. გავიხსენოთ, რომ ფრიქსემ აიეტის ქვეყანამდე გზა მფრინავი (!) ვერძის მეშვეობით გადალახა და მაშინაც მსხვერპლის საფასურად – სრუტეებზე გადაფრენისას ჩამოვარდა და ზღვაში დაიღუპა მისი და ჰელე, რის გამოც მას (დღევანდელ მარმარილოს ზღვას) ბერძნებმა ჰელესპონტი – ჰელეს ზღვა შეარქვეს.

ყოფნა დასავლეთში, როგორც ცნობილია, დაკავშირებულია მათ უკან დაბრუნებასთან (Prinz 1979: 151-153).

1 ჯერ კიდევ ჰეროდოტემ (IV, 85) მოათავსა ისინი ბოსფორის შესასვლელთან (იხ. აგრეთვე, Gisinger 1950: 2187; Robert 1963: 825-826, 829-830). ამ ადგილების აღწერა არგონავტიკასთან კონტექსტში იხ. Severin 1985: 134 და შმდ.

2 კარგა ხანია უკვე გამოთქმულია მოსაზრება (რომელსაც სხვა თანამედროვე მკვლევარებიც იზიარებენ), რომ ტროისათვის ომი თითქოს ნიშნავდა ბრძოლას შავი ზღვის სრუტეებისათვის (Wolski 1958: შენ. 99).

3 შავიზღვისპირეთში ძვ.წ. II და I ათასწლეულებში ეგეოსურ და მცირეაზიულ ნაკეთობათა გავრცელების შესახებ იხ. Йессен 1947: 16-20; წინა აზიიდან და ეგეოსური სამყაროდან მომდინარე სხვადასხვა ელემენტების (კერამიკული ჭურჭლის მხატვრული დეკორი, ეგეოსური ტიპის მახვილები და სხვ.) შესახებ შუაბრინჯაოს ხანის (ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევარი) საქართველოს მატერიალურ კულტურაში იხ. გოგაძე 1972.

„ოდისეაში“ (XII, 59-72) „მოხეტიალე კლდეების“ ანუ პლანქტების (შავი ზღვის მისადგომებთან დღევანდელი ბოსფორის სრუტეში რომ იყვნენ აღმართული) აღწერისას ასეა ნათქვამი: „იქ დაკიდული კლდეებია, რომელთაც ხმაურით ეხეთქება შავთვალა ამფიტრიტეს დიდი ტალღა. ნეტარი ღმერთები მათ „მოხეტიალე კლდეებს“ (პლანქტებს) ეძახიან. მათ ვერ გაუფრენს ახლოს ფრთოსანი, ვერც მხდალი მტრედები, რომელთაც მამა ზევსისთვის ამბროსია მიაქვთ... ადამიანთა არც ერთი ხომალდი, რომელიც კი მისულა იქ, არ გადარჩენილა: ზღვის მძვინვარება და ცეცხლის ბობოქარი ალი ერთად ფიცრებსღა და ვაჟკაცთა გვამებს მიაქანავებს. მხოლოდ ერთმა საზღვაო ხომალდმა, ყველასთვის სანუკვარმა აიეტისაგან მომავალმა არგომ გასცურა პლანქტებში“ (პროზაული თარგმანი ა. ურუშაძისა).

პინდარემ არგონავტებს „ნახევარღმერთები“[1] უწოდა: „ნახევრად ღმერთების (ἡμιθέοι) ამ ლაშქრობამ შემაჯახებელ კლდეთა მოძრაობას საზღვარი დაუდო“ (IV პითიური ოდა, 210-213).

„ოდისეას“ ავტორმა, და საერთოდ ბერძნულმა სამყარომ, არგონავტების მიერ პლანქტების (ე.ი. ბოსფორის სრუტის) ხომალდით გავლა აღიარა სიმბოლოდ ნაოსნობის დასაწყისისა შავ ზღვაზე, რომელიც მანამდე, სტრაბონის თქმით, იწოდებოდა „არასტუმართმოყვარე (Ἄξενος) ზღვად“ (VII, 3, 6).[2] აპოლონიოს როდოსელი „არგონავტიკაში“ (II, 604-606) კი ასე წერდა: „პირქუშმა კლდეებმა, კვლავ რომ დაშორდნენ ერთიმეორეს, ძირი გაიდგეს და სამარადისოდ შეჩერდნენ. ნეტარმა ღმერთებმა ოდესღაც აკი გადაწყვიტეს, რომ თუ კი ვინმე ამ კლდეებს იხილავდა და გადასცურავდა, ისინი უმოძრაო კლდეებად უნდა ქცეულიყვნენ“.

ამრიგად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არგონავტების შესახებ თქმულების შექმნის ისტორიული საფუძველი გახდა შავი ზღვის სანაპიროებისაკენ პირველი წარმატებული ცურვა და ახალი ქვეყნების აღმოჩენა. ამიტომაც შემოინახა „ისტორიულმა მეხსიერებამ“ პირველი, დღემდე ჩვენთვის ცნობილი სახელწოდება ხომალდისა (შდრ. Casson 1971: 350), რომელმაც შორეული მოგზაურობა გაანახორციელა – „ზღვის გამკვეთი ნავი, ყველასათვის სანუკვარი არგო“.[3]

1 შდრ. „ილიადა“, XI, 24: "... ἡ μίφων γένος ἀνδρῶν.

2 შდრ. Pind, Pith. IV, 362. ვარაუდობენ, რომ, შესაძლოა, თავდაპირველად ბერძნებმა ადგილობრივი სახელწოდება (axšaena) ე.ი. ძველი ირანული სიტყვა, რომელიც აღნიშნავდა ზღვის მუქ ფერს (შდრ. თანამედროვე სახელწოდება „შავი ზღვა“) აღიქვეს როგორც Πόντος ἄξενος//Πόντος ἄξεινος, ე.ი. „არასტუმართმოყვარე“ (Ельницкий 1950: 194-196; შდრ. Danoff 1962: 950-955).

3 ეტიმოლოგია უცნობია, ჩვეულებრივ გამოყავთ ბერძნული სიტყვიდან ἀργός, ე.ი. „სწრაფი“ – Steiner 1955: 1219. არსებობს ასეთი მოსაზრებაც: მ-არგ-ალ-ი ე.ი. არგ ქვეყნის მცხოვრები. შესაბამისად თითქოს არგონავტები (Ἀργοναύται) შეიძლება ნიშნავდეს „ზღვაოსნებს, რომელნიც გაემგზავრნენ არგის ქვეყანაში – იხ. Гамкрелидзе, Иванов 1984: 904-909. მე არ შემიძლია, რა თქმა უნდა, ვიმსჯელო ასეთი მტკიცების მართებულობის შესახებ, მაგრამ შეიძლება გავიხსენოთ, რომ ფერეკიდეს (ძვ.წ. V ს.) ცნობით, ხომალდს არგო ეწოდა ფრიქსეს ვაჟის (ე.ი. კოლხთა მეფე აიეტის შვილიშვილის) არგოსის სახელის მიხედვით (Sch. ad Apoll.Rhod. I, 4), რომელსაც ეპონიმურ სახელად მიიჩნევენ (მიქელაძე 1974: 91-92).

ამრიგად, თუ თქმულების უძველეს ვერსიას გამოვაცლით მის ძირითად მოტივს, ე.ი. არგონავტების მიერ შავი ზღვის სრუტეების პირველ გაცურვას, თქმულება არგონავტების შესახებ მაშინვე დაკარგავს მთავარ დედააზრს. ამიტომაც ვერ ვიზიარებ იმ ავტორთა შეხედულებას, რომლის თანახმად თითქოს აია თავდაპირველად რაღაც იდუმალ და სამყაროს მიღმა არსებულ ქვეყანად იყო აღქმული.

2.2.2. როდის უნდა მომხდარიყო ბერძენთა პირველი წარმატებული ცურვა ხომალდით შავი ზღვის სანაპიროებისაკენ? ძველბერძნული ტრადიციის თანახმად, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, არგონავტები იყვნენ ტროის ომის მონაწილეთა მამები, ხოლო ოქროს საწმისისათვის აიეტის ქვეყანაში ლაშქრობა განხორციელდა ტროის ომის წინ. სწორედ ამის საფუძველზე ვარაუდობენ, რომ არგონავტების ლაშქრობა (ე.ი. შავი ზღვის სრუტეების პირველი გაცურვა) განხორციელდა მიკენურ ეპოქაში (იხ. მაგ., მიქელაძე 1974: 76 და შმდ.: Гордезиани 1978: 199 და შმდ.; ლორთქიფანიძე ოთ. 1986: 27 და შმდ.; Bittel 1976: 528). სამწუხაროდ, პირდაპირი მონაცემები ამ იდეის დასადასტურებლად ჯერ კიდევ არ გაგვაჩნია. ერთი მხრივ, ჯერ კიდევ არაა დამტკიცებული ჰომეროსის წინადროინდელი ბერძნული ზეპირსიტყვიერი პოეზიისა და მასში აღწერილ-განდიდებული ამბების რეალური კავშირი მიკენურ სამყაროსთან. მასთან ერთად სადისკუსიოა ტროის ომის თარიღის და, საერთოდ, მისი რეალურობის საკითხიც (თუმც ამ უკანასკნელს მრავალი მომხრე ჰყავს – Finley 1981: 56-66; Troy 1986; Trojan War 1985; Easton 1985: 188-196). მეორე მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ სულ უფრო და უფრო მრავლდება ახალი არქეოლოგიური მასალები მიკენური სავაჭრო აქტივობის შესახებ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში (თითქმის შავი ზღვის მისადგომებამდე, მათ შორის ტროაშიც – Re 1986: 343-364; Bryce 1989: 1-21), ჯერ კიდევ არ გვაქვს ხელთ რეალური და უეჭველი მონაცემები მიკენელთა შავი ზღვის სანაპიროზე გამოჩენის შესახებ. მიკენური კერამიკის („მიკენური III“) აღმოჩენა მაშატში (დღევანდელ თურქეთში, სამსუნიდან 40 კმ-ის დაცილებით) უთუოდ ძალზე დიდი მნიშვნელობისაა, მაგრამ ის ჯერ კიდევ ვერ გამოდგება მიკენელთა მიერ შავი ზღვის სრუტეების გაცურვის მოწმობად. გამთხრელი – არქეოლოგი ტ. ოზგიუჩი ვარაუდობს, რომ მიკენური კერამიკა მაშატში მოხვდა კონტინენტური გზით: კვიპროსიდან და შემდეგ კილიკია-კიცცუვატნას გზით (Özgüç 1978: 66; Özgüç 1982: 102-103). ჯ. მელინკი უპირატესობას ანიჭებს საზღვაო გზას სრუტეებზე გავლით (Mellink 1984: 445; Mellink 1985: 558). კ. ბიტელი თვლის, რომ მიკენური კერამიკა მაშატში მოხვდა თითქოსდა სამხრეთ შავიზღვისპირეთში არსებული მიკენური ემპორიონიდან (Bittel 1976: 528), თუმც რაიმე მონაცემი ასეთი ემპორიონის არსებობის შესახებ ჯერ არ გაგვაჩნია.

ასე რომ, ბერძენთა შავი ზღვის სანაპიროებზე გამოჩენის შესახებ მიკენურ ხანაში პირდაპირი მონაცემები ჯერ კიდევ არ მოგვეპოვება.[1] შეიძლება ვივარაუდოთ, მეორე მხრივ, რომ ბერძენთა პირველი მოგზაურობა შავი ზღვის სანაპიროებისაკენ განხორციელდა უფრო გვიან – პოსტმიკენურ ხანაში, რომელსაც „ბნელ საუკუნეებს“ უწოდებენ. საბერძნეთში, კუნძულ ევბეაზე ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების შუქზე ჩნდება საფუძველი ვარაუდისათვის (მხოლოდ ვარაუდისათვის!), რომ პირველი მოგზაურობა შავი ზღვის სანაპიროებისაკენ, რომელიც თითქოს არგონავტების შესახებ თქმულებაშია ასახული, შესაძლოა განხორციელებულიყო ევბეელთა სავაჭრო-საკოლონიზაციო მოძრაობისას ძვ.წ. X ან IX სს-ში. ლეფკანდის (Lefkandi) არქეოლოგიური მასალები მოწმობენ ამ დროს ევბეელთა განსაკუთრებით ცხოველ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან, რაც აქედან იმპორტირებული საგნების ხშირი აღმოჩენებითაა ილუსტრირებული. უკვე ძვ.წ. IX ს-ის დასასრულსა თუ VIII ს-ის დასაწყისში ევბეელები ჩრდილოეთ სირიაში (ალ-მინა) აარსებენ თავიანთ სავაჭრო კოლონიას, რომლის მეშვეობითაც ახორციელებენ სავაჭრო ურთიერთობას ქვეყნის შიგნით მდებარე ოლქებთანაც (Boardman 1980: 38-54). ლითონის (რკინის) ძიებაში დაახლოებით ძვ.წ. 775 წ. ევებეელები აარსებენ თავის კოლონიას პითეკუზაში (Buchner 1979: 129 და შმდ.). ამრიგად, ისინი აკონტროლებდნენ მთავარ სავაჭრო გზას, რომელიც ევროპიდან მახლობელი აღმოსავლეთისაკენ მიემართებოდა (Murray 1980: 75; შდრ. Bakhuisen 1977: 220-234). ევბეისა და სხვა ბერძნული ცენტრების კერამიკის აღმოჩენათა ტოპოგრაფია მახლობელ აღმოსავლეთში და აგრეთვე სიცილიასა და იტალიაში ხშირად თანხვდება მიკენური კერამიკის არეალს. მაგრამ არც ეს მონაცემებია მანიშნებელი ბერძენთა შესაძლო გამოჩენისა შავი ზღვის სანაპიროებზე უშუალოდ პოსტმიკენურ ეპოქაში, თუნდაც ძვ.წ. X ან IX სს-ში, რადგანაც არც ამ დროის ბერძნული იმპორტია შავიზღვისპირეთში ჯერჯერობით დადასტურებული. ამიტომ საკითხი ბერძენთა პირველი გამოჩენისა შავი ზღვის სანაპიროებზე დიდი ბერძნული კოლონიზაციის დაწყებამდე ჯერჯერობით, ახალ აღმოჩენებამდე უნდა დარჩეს ღიად, ხოლო მოსაზრება ბერძენთა პირველი გამოჩენისა მიკენურ ან უშუალოდ პოსტმიკენურ ხანაში, რაც, შესაძლოა, აისახა თქმულებებში არგონავტების შესახებ, შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ როგორც მომხიბლავი ჰიპოთეზა, რომელსაც, სამწუხაროდ, რაიმე რეალური დამამტკიცებელი მონაცემი ჯერჯერობით არ გააჩნია. ამ ჰიპოთეზის (მე ვიტყოდი – ჰიპოთეტური ჰიპოთეზის) ძირითადი არსი შემდეგნაირად შეიძ-

1 ლინგვისტები აყენებენ შემდეგ არგუმენტს (რომლის მართებულობის შესახებ, ბუნებრივია, მე მსჯელობა არც ამჯერად შემიძლია): საწმისის ძირითადი ძველბერძნული სახელწოდება κῶας (რომელიც ინდოევროპულ საფუძველზე ვერ აიხსნება და მიჩნეულია ბერძნულისათვის უცხოენოვნად) დადასტურებულია ჰომეროსთან, ხოლო უფრო ადრე მიკენურ ტექსტებში ფორმით ko-wo და გენეტიკურად უკავშირდება დასავლურქართველურ, ე.ი. კოლხურ (მეგრულ-ჭანურ) სიტყვას tqaw/tqow, რაც ნიშნავს „ტყავს“. ეს მიჩნეულია ბერძნულ-კოლხური კონტაქტებისა და არგონავტების და „ოქროს საწმისის“ შესახებ თქმულების ძვ.წ. II ათასწლეულში წარმოშობის მოწმობად (Гамкрелидзе, Иванов 1984: 904-909).

ლება გამოითქვას: არგონავტების შესახებ თქმულების თავდაპირველ ციკლში შესაძლოა აისახა ბერძენთა პირველი მოგზაურობა შავი ზღვის სანაპიროებისაკენ (სრუტეების – „პლანქტების“ – პირველი წარმატებული გაცურვა) მიკენურ ან პოსტმიკენურ პერიოდში (ჯერ კიდევ დიდი ბერძნული კოლონიზაციის დაწყებამდე). ეს იქნებოდა იმ დროისათვის ჭეშმარიტად ძალზე დიდი მნიშვნელობის მოვლენა (განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ ჯერ მიკენელთა, შემდეგ ევბეელთა სავაჭრო აქტივობას აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში). მაგრამ თუ პირველი მოგზაურობანი განხორციელდა კიდეც იმ დროს (მიკენურ და პოსტმიკენურ ეპოქებში), რაც, შესაძლოა, აისახა თქმულებებში არგონავტების შესახებ, მაინც მას არ მოჰყოლია შედეგად იმ დროს (მიკენურ თუ პოსტმიკენურ) რეგულარული ურთიერთობის დამყარება ბერძნულ სამყაროსა და შავიზღვისპირეთს შორის.

2.3. თუ არგონავტების ოქროს საწმისისათვის აიეტის ქვეყანაში (აია//კოლხეთი) ლაშქრობის შესახებ თქმულების გაჩენა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ასახვა ბერძენთა პირველი წარმატებული ცურვისა შავი ზღვის სანაპიროებისაკენ, ამ თქმულების არაჩვეულებრივი პოპულარობა ძვ.წ. VIII-VII სს-ს ბერძნულ ლიტერატურაში შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც დასაწყისი ბერძნული სამყაროს კონტაქტებისა კოლხეთთან, რომელიც შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობდა და სადაც, თქმულების თანახმად, ოქროს საწმისი ინახებოდა. ეს იყო უკვე ხანა ბერძენთა დიდი ემიგრაციული მოძრაობისა, რომელიც მიმართული იყო ახალი მიწებისა და ლითონის ძიებისა და ათვისებისაკენ. ეს პროცესი დიდი ბერძნული კოლონიზაციის სახელითაა ცნობილი. ამ დროის (ე.ი. ძვ.წ. VIII-VII სს-ის) არგონავტიკა, რომელიც აგრე ფართოდაა წარმოდგენილი ადრეულ ბერძნულ ეპოსში (ევმელოს კორინთელი, ჰესიოდე, ნავპაქტიკა, კინეთონი, ეპიმენიდე, მიმნერმე და ა.შ.) შეიძლება განვიხილოთ, როგორც ასახვა ბერძნული საკოლონიზაციო კონცეფციისა – როგორც ნაწარმოები, რომელიც მოუწოდებდა ამ შორეული, მაგრამ მდიდარი ქვეყნის ათვისებისაკენ. ეს კონცეფცია საკმაოდ თვალნათლივ გამოხატა ჯერ კიდევ სტრაბონმა, რომელიც ღრმად იყო დარწმუნებული არგონავტების ლაშქრობის რეალობაში: „ქვეყნის (კოლხეთის – ო. ლ.) სიმდიდრე ოქროთი, ვერცხლით და რკინით გვიხსნის ლაშქრობის სწორ საბაბს“ („გეოგრაფია“, I, 2, 39). სტრაბონის მიერ მოხსენიებული ლითონებით სიმდიდრე კოლხეთისა სხვა წყაროებითაც დასტურდება და არქეოლოგიური აღმოჩენებითაცაა ილუსტრირებული (ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი), განსაკუთრებით კი რკინითა და ოქროთი. ეს იყო ერთ-ერთი მთავარი სტიმულთაგანი ბერძენთა მიერ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე (ე.ი. კოლხეთში) ძვ.წ. VI ს-დან თავისი კოლონიების დაარსებისა.[1] თუ არგონავტების შესახებ

1 კოლხეთში ბერძნული კოლონიზაციის შესახებ და მასთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებანი იხ:

თქმულება ძვ.წ. VIII-VII სს-ში მართლაც ბერძენთა საკოლონიზაციო მოძრაობის კონცეფციას ასახავდა, მაშინ მისი პოპულარობა იმ დროს შეიძლება მივიჩნიოთ არაპირდაპირ მოწმობად იმ ურთიერთობისა, რომელიც შესაძლოა არსებობდა ბერძნებსა და კოლხეთს შორის ჯერ კიდევ ამ ქვეყანაში ბერძნული კოლონიების დაარსებამდე (ე.წ. წინასაკოლონიზაციო ურთიერთობანი). სამწუხაროდ, პირდაპირი მონაცემი (ვთქვათ, ამ დროის ბერძნული იმპორტი) ჯერ კიდევ არ გაგვაჩნია. ყველაზე ადრეული ბერძნული იმპორტი შავიზღვისპირეთში განეკუთვნება ძვ.წ. VII ს-ის შუა ხანების შემდგომ ხანას (მეტწილად კი, ამ საუკუნის უკანასკნელ მეოთხედს) და ცნობილია ისიც შავი ზღვის დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე მდებარე ბერძნული სამოსახლოებიდან – ჰისტრიიდან (Alexandrescu 1978; 1990; Bouzek 1990: 19 და შმდ.) და ბერეზანიდან (Копейкина 1986: 28 და შმდ.).[1] მაგრამ ბერძნული იმპორტის გაჩენა აქ უკვე კოლონიების დაარსებასთანაა დაკავშირებული (დაწვრ. Виноградов-Доманский-Марченко 1990: 81-83). კოლხეთის ტერიტორიაზე კი, ყველაზე ადრეული ბერძნული იმპორტი (კერამიკა) ძვ.წ. VI ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება და ისიც ერთეული ნიმუშებითაა წარმოდგენილი (Лордкипанидзе О. 1979: 155-156). ასე რომ, ბერძნებსა და კოლხეთს შორის ძვ.წ. VIII-VII სს-ში კონტაქტების შესახებ პირდაპირი არქეოლოგიური მონაცემები ჯერ არ გაგვაჩნია. ძალზე ყურადსაღებია, რა თქმა უნდა, კუნძულ სამოსზე აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთების ერთი რიგი (ცხენზე მჯდომი ბავშვიანი ქალ-ღვთაების ქანდაკება, ზანზალაკები, აბზინდები), რომელთაც ზოგადად „კავკასიურად“ მიიჩნევენ (Jantzen 1972: 80-81; შდრ. Boardman 1980: 64-65), მაგრამ ივარაუდება მათი კოლხური წარმომავლობაც (მიქელაძე 1985: 50-57), თუმცა ეს მოსაზრება საბოლოოდ დამტკიცებულად ჯერ ვერ ჩაითვლება.

კოლხეთსა და ბერძნულ სამყაროს შორის ძვ.წ. VIII-VII სს-ში რაღაც კონტაქტების შესაძლო არსებობის ასპექტში გარკვეულ ინტერესს იწვევს ახალი არქეოლოგიური აღმოჩენა ვანში – ძველი კოლხეთის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურსა და რელიგიურ ცენტრში. მხედველობაში მაქვს ძვ.წ. VIII-VII ს-ის პირველი ნახევრით დათარიღებული სამსხვერპლო (Tolordava 1990: 243-248), სადაც შეწირულობათა შორისაა საგანგებო რიტუალის შედეგად დამსხვრეული თიხის ჭურჭელი (თასები, ქოთნები, დოქები, დერგები, ჯამები და სხვ.), რომელიც ტიპიურია ძვ.წ. VIII-VII ს-ის პირველი ნახევრის კოლხეთის არქეოლოგიური კომპლექსებისათვის. საკმაოდ მრავლადაა სხვადასხვა ცხოველთა (ირემი, ვერძი და სხვ.) თიხის ქანდაკებები. მაგრამ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ორმაგ პროტომიანი თიხის ფიგურა – ოთხფეხა ტორსზე ორი საპირისპირო მხრიდან გამოძერწილი თავებით. ასეთივე ტიპის ფიგურების ნაწილს უნდა წარმოადგენდეს ორ- და

Проблемы 1979: 187-345, 369-406; Демографическая ситуация 1981: 243-394; ინაძე 1982; Lordkipanidse O. 1985.

1 ძვ.წ. VII ს-ის მეორე მეოთხედით თარიღდება ერთადერთი ფრაგმენტი „როდოსულ-იონიური“ კილიკისა, რომელიც კუნძულ ბერეზანზეა ნაპოვნი (Копейкина 1975: 240-242).

სამთავიან არსებათა პროტომებიც (ასევე ე.წ. „ძელისებური ფეხებით“). მსგავსი ფიგურები (ძირითადად ბრინჯაოს საკიდები) წარმოდგენილია ე.წ. ლურისტანის ბრინჯაოში, თუმც მათი წარმომავლობა და თარიღი ძალზე საეჭვოა, რამდენადაც ისინი ძირითადად ხელოვნების ბაზარზეა შეძენილი (დაწვრ. Muscarella 1977: 43-44; Muscarella 1989: 270-271). ძალზე საინტერესოა, ხოლო ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანიც, რომ მსგავსი (ე.ი. „ორმაგ პროტომიანი“) ფიგურები გავრცელებულია ბერძნულ სამყაროშიც (Roes 1933: 107-127; Roes 1970: 195-208; Hermann 1968: 33-37). ამასთან, მათ გამოჩენას საბერძნეთის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ გეომეტრიულ ხანას აკუთვნებენ, ხოლო ძვ.წ. VIII-VII სს-ით დათარიღებული ნიმუშები ბერძნული სამყაროს მრავალ ცენტრშია აღმოჩენილი (ოლიმპია, დელფო, ათენი, კრეტა, როდოსი, სამოსი და სხვ.). საკმაოდ მრავლადაა ცნობილი მსგავსი გამოსახულებები ძვ.წ. VII-VI სს-ის იტალიიდანაც.[1]

ახლა ძნელია მტკიცება იმისა, თუ რომელი კულტურული წრის გავლენითაა შექმნილი ვანში აღმოჩენილი თიხის ფიგურები. თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენთვის საინტერესო ტიპის გამოსახულებათა ბერძნულ სამყაროში გამოჩენას უფრო ადრე და მათ იქ ფართოდ გავრცელებას (შდრ. Muscarella 1977: 43-44; 1989: 221 და შმდ.), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ვანში აღმოჩენილი ფიგურები (ორთავიანი ფიგურები ოთხფეხა ტორსზე), შეიძლება, უკავშირდება ბერძნული სამყაროს გავლენას (Lordkipanidse 1995: 62 და შმდ.). შესაძლოა ამავე წრის გავლენით მზადდება ბრინჯაოს ერთწილადი მშვილდისებური ფიბულები (ე.წ. სუბმიკენურ ფიბულათა ერთ-ერთი სახეობა), რომელიც აგრე მრავლადაა წარმოდგენილი კოლხეთის ძვ.წ. VIII-VII სს-ის არქეოლოგიურ კომპლექსებში (იხ. მაგ., მიქელაძე 1985: 47-49,92; ნასიძე 1990; შდრ. Bouzek 1985: 153, სურ. 176,3; Bouzek 1990: 13). ზემოჩამოთვლილი ახალი ელემენტები ძვ.წ. VIIIდა VII ს-ის პირველი ნახევრის კოლხურ კულტურაში შესაძლოა მართლაც გაჩნდა ბერძნულ სამყაროსთან კონტაქტების (თუნდაც სპორადულის) შედეგად, რაც უნდა ასახული იყოს არგონავტების შესახებ თქმულების განსაკუთრებულ პოპულარობაში ძვ.წ. VIII-VII სს-ის ბერძნულ ლიტერატურაში და კოლხეთის შესახებ იმ დროს პირველი რეალური გეოგრაფიული და ეთნოპოლიტიკური ხასიათის ცნობების გაჩენაში: ევმელოს კორინთელი უკვე ძვ.წ. VIII ს-ში იხსენიებს სახელწოდებას კოლხეთი (ფრ. 2: „ὁ [Αἰήτης – ო.ლ.] δ'ὤχετο Κολχίδα γαῖαν),[2] ხოლო ჰესიოდე მდ. ფასისს მოიხსენიებს უდიდეს მდინარეთა შორის („თეოგონია“, 337-340).[3]

1 გარდა Hermann 1968: 33-37; იხ. Lloyd-Morgan 1986: 47-50.

2 საყურადღებოა, რომ კოლხეთის პირველმოხსენიება ბერძნულ მწერლობაში ზუსტად ემთხვევა კოლხეთის სახელმწიფოს მოხსენიებას სახელწოდებით კულხა//კოლხა (Qulcha//Qolcha) ძვ.წ. VIII ს-ის ურარტულ წარწერებში (Меликишвили 1960: 278-292).

3 ნახსენებია აგრეთვე მდინარე რისი (იხ. აგრეთვე ფსევდო-სკილაქსი, აზია, 81), რომელიც მდინარე ფასისის (თანამდროვე რიონი) ერთ-ერთ შენაკადად არის მიჩნეული (ჯანაშია 1972: 271-282).

ბერძნულ სამყაროსა და კოლხეთს შორის ძვ.წ. VIII-VII სს-ში ურთიერთობის არაპირდაპირ მოწმობად შეიძლებოდა მიგვეჩნია გეოგრაფიული ფონიც, რომელსაც სტრაბონი არგონავტების კოლხეთში ლაშქრობის, როგორც სარწმუნო ფაქტის („...ἔχει πιθανόν) დასამტკიცებლად იშველიებდა:

Μετὰ δὲ τούτους ἡ μεταξὺ Μυκάλης καὶ τῆς Τρῳάδος ἠων καὶ αἱ προκείμεναι νῆσοι, ὧν ἁπάντων μέμνηται, καὶ ἐφεξῆς τῶν περὶ τὴν Προποντίδα καὶ τοῦ Εὐξείνου τὰ μέχρι Κολχίδος (I, 1, 10).

„... ხოლო ამათ (ლიკიელებისა და კარიელების) შემდეგ არის სანაპირო, რომელიც მდებარეობს მიკალესა და ტროას შორის, და მეზობელი კუნძულები. ამათ ყველას იხსენიებს (ჰომეროსი) და აგრეთვე მომდევნო (ქვეყნებსაც), რომლებიც მდებარეობენ პროპონტიდასთან და (ევქსინის პონტოსთან) კოლხიდამდე (I, 1, 10).

Ὡσαύτως καὶ τοὺς Κόλχους εἰδὼς καὶ τὸν Ἰάσονος πλοῦν τὸν εἰς Αἶαν (I, 2, 10).

... ასევე იცნობდა კოლხებს, იასონის მგზავრობას აიაში...“ (I, 2, 10)

სინამდვილეში, როგორც ცნობილია, სტრაბონის მიერ დასახელებული ეთნიკური და გეოგრაფიული ნომენკლატურა „ილიადასა“ და „ოდისეაში“ წარმოდგენილი არაა, მაგრამ, როგორც „გეოგრაფიიდან“ თვალნათლივ ჩანს, სტრაბონი ამ შემთხვევაში ემყარება ე.წ. „ტროელთა კატალოგს“, რომელიც, ისევე როგორც „ხომალდთა კატალოგი“, მას ჰომეროსის თხზულებად მიაჩნია (შდრ. „გეოგრაფია“, XII, 3, 20),[1] მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ცნობილი იყო, რომ უკვე მაშინ იყო მოსაზრება და კამათიც ჰომეროსის პოემებში გვიანდელი დანამატების შესახებ, რომელთა შორის ითვლებოდა „კატალოგებიც“ (შდრ. IX, 1, 10).

სტრაბონის ზემოთმოტანილი მსჯელობა (შდრ. I, 1, 10) რომ სწორედ „ტროელთა კატალოგზეა“ დაფუძნებული, კარგად ჩანს „გეოგრაფიის“ XII, 3, 20-25-დან. სტრაბონი პირდაპირ აღნიშნავს (XII, 3, 20): „ვფიქრობ, ამათ (საუბარია ხალიბებზე – ო.ლ.) ახსენებს პოეტი ალიძონებად „კატალოგში“ პაფლაგონიელების შემდეგ: „ხოლო ოდიოსი და ეპისტროპოსი მოუძღოდნენ ალიძონებს, შორეული ალიბედან, სადაც არის ვერცხლის საბადო“. ეს ციტატა სწორედ „ტროელთა კა-

1 „ხომალდთა კატალოგის“ წარმომავლობისა და დათარიღების საკითხი, როგორც ცნობილია, ცხოველი დისკუსიის საგნადაა ქცეული. ძალიან დიდხანს პოპულარული იყო ჯერ კიდევ 1910 წელს გამოთქმული აზრი (შდრ. Allen 1910: 292 და შმდ.; Allen 1921), რომლის თანახმად „კატალოგის“ ძირითადი ტექსტი განიხილებოდა როგორც მიკენური ეპოქის რეალური მოვლენების ვერსიფიცირებული ქრონიკა (შდრ. Page 1959: 118 და შმდ.). თვლიან აგრეთვე, რომ „კატალოგის“ პირდაპირ წყაროს წარმოადგენდა მიკენური ეპოქის ორიგინალური წერილობითი ქრონიკა (Burr 1944). ამჟამად მკვლევართა უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ მიუხედავად არქაიზაციის სრულიად აშკარა ნიშნებისა, „კატალოგი“ ასახავს უფრო გვიანდელი ხანის პოლიტიკურ სიტუაციას (ძირითადად ძვ.წ. VIII-VII სს-ისას) და, როგორც ჩანს, შექმნილია ჰომეროსის პოემების საბოლოო რედაქტირების დროს, მაგრამ არა უგვიანეს ძვ.წ. VII ს-ისა (Андреев 1980; Kirk 1986: 168 და შმდ.; Kullmann 1988: 191 და შმდ.). იგივე ითქმის „ტროელთა კატალოგის“ შესახებ, რომელიც აგრეთვე ძვ.წ. VIII-VII სს-ის პოლიტიკურ და ეთნიკურ გეოგრაფიას ასახავდა (იხ. Kirk 1986: 248-260).

ტალოგიდანაა“ (შდრ. „ილიადა“, II, 856). „ტროელთა კატალოგის“ მიხედვით კი, რამდენადაც იგი სტრაბონს ჰომეროსის კუთვნილებად მიაჩნია, მას მართლაც შეეძლო ემტკიცებინა, რომ ჰომეროსი იხსენიებს ქვეყნებს, „რომლებიც მდებარეობენ პროპონტიდასთან და ევქსინის (პონტოსთან) კოლხიდამდე“ (I, 1, 10). „ტროელთა კატალოგში“ („ილიადა“, II, 851-857), რომელიც ძვ.წ. VIII-VII სს-ის პოლიტიკურ და ეთნიკურ გეოგრაფიას ასახავდა, მართლაც წარმოდგენილი იყო ზოგიერთი ეთნიკური და გეოგრაფიული სახელწოდება, რომელიც შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზეა ლოკალიზებული: პაფლაგონიელები (რომელნიც შავი ზღვის სანაპიროს სამხრეთ ნაწილში მოსახლეობდნენ – დაწვრ. Ruge-Bittel, RE, XVIII, 2, 1891, S. 2486-2550, s.v. Paphlagonia), მდ. პართენიოსი (პაფლაგონიისა და ბითინიის გამყოფი მდინარე, დღევანდელი ბარტინსუ – RE, XVIII, 2: 1891; მიქელაძე 1974: 78), ქალაქები სეზამი, კიტოროსი და კრომნა[1] პაფლაგონიაში.[2] ხოლო „ხომალდთა კატალოგში“ მოხსენიებული „ალიბე“ და „ალიძონები“ სტრაბონმა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მცხოვრებ ხალდებთან და ხალიბებთან გააიგივა:

Τῆς δὲ Τραπεζοῦντος ὑπέρκεινται καὶ τῆς Φαρνακίας Τιβαρανοί τε καὶ Χαλδαῖοι καὶ Σάννοι (XII, 3, 18).
Οἱ δὲ νῦν Χαλδαῖοι Χάλυβες τὸ παλαιὸν ὠνομάζοντο... (XII, 3, 19
Τούτους οὖν οἶμαι λέγειν τὸν ποιητὴν Ἀλιζώνους ἐν τῷ μετὰ τοὺς Παφλαγόνας καταλόγω· αὐτὰρ Ἀλιζώνων Ὀδίος καὶ Ἐπίστροφος ἦρχον τηλόθεν ἐξ Ἀλύβης, ὅθεν ἀργύρου ἐστὶ γενέθλη. Ἤτοι τῆς γραφῆς μετατεθείσης ἀπὸ τοῦ > τηλόθεν ἐκ Χαλύβης<, ἢ τῶν ἀνθρώπων πρότερον Ἀλύβων λεγομένων ἀντὶ Χαλύβων· (XII, 3, 20).

„ტრაპეზუნტისა და ფარნაკიის ზემოთ ცხოვრობენ ტიბარანები, ქალდები და სანები...“ (XII, 3, 18).
„ეხლანდელი ხალდები ძველად ხალიბებად იწოდებოდნენ...“ (XII, 3, 19). „ვფიქრობ, რომ ამათ ახსენებს პოეტი ალიძონებად „კატალოგში“ პაფლაგონიელების შემდეგ: „ხოლო ოდიოსი და ეპისტროფოსი მიუძღოდნენ ალიძონებს შორეული ალიბედან, სადაც არის ვერცხლის სამშობლო“.[3]
ან უნდა შეიცვალოს დაწერილობა როგორც „შორეული ხალიბედან“ ან (უნდა ვიფიქროთ), რომ ამ ადამიანებს უწინ ერქვათ ალიბები ხალიბების ნაცვლად...“ და ა.შ. (XII, 3, 20).

თანამედროვე მკვლევართა ერთი ნაწილი იზიარებს სტრაბონისეულ მტკიცებას „კატალოგის“ „ალიბესა“ და „ალიძონების“ იგივეობის შესახებ ხალიბებთან,

1 ამ ქალაქების შესახებ იხ. Ehrhardt 1988: 53-55.

2 „ტროელთა კატალოგში“ (II, 853) მოხსენიებულ კიტოროსს სტრაბონი უწოდებს „სინოპეს ემპორიონს“ (XII, 3, 10). თუ ეს ცნობა სარწმუნოა, მაშინ კიტოროსი შეიძლებოდა დაარსებულიყო არა უადრეს ძვ.წ. VII ს-ისა და შესაბამისად მისი მოხსენიება „ტროელთა კატალოგში“ შედარებით გვიანდელ ინტერპოლაციად უნდა მივიჩნიოთ.

3 ამოღებულია „ტროელთა კატალოგიდან“ („ილიადა“, II, 856-857).

რომელნიც ქართველურ (მეგრულ-ჭანურ) ტომებად არიან აღიარებული (დაწვრ. მიქელაძე 1974: 77-79, 120-122, 130).[1] ყოველ შემთხვევაში, ის მაინც აშკარაა, რომ სტრაბონის მტკიცებით ჰომეროსთან (ხოლო თანამედროვე მეცნიერების აღიარებით ძვ.წ. VIII-VII სს-ში) ფიქსირებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთთან დაკავშირებული ეთნიკური და გეოგრაფიული გარემო.[2]

ამრიგად, რამდენადაც სტრაბონს „ტროელთა კატალოგი" ჰომეროსის თხზულებად მიაჩნდა, ამდენად ის თავგამოდებით უმტკიცებდა ოპონენტებს, რომ ჰომეროსი „იცნობდა კოლხებს" და თითქოს ახსენებდა ქვეყნებს, „რომლებიც მდებარეობდნენ პროპონტიდასთან და (ევქსინის პონტოსთან) კოლხიდამდე".[3] ჩვენთვის ამჯერად ისაა მნიშვნელოვანი, რომ სტრაბონმა ეს ეთნო-გეოგრაფიული ფონი არგონავტიკასთან კონტექსტში განიხილა, ხოლო ძვ.წ. VIII-VII სს. ბერძნულ ლიტერატურაში შავიზღვისპირეთის შესახებ ინფორმაციის გაჩენა შეიძლება აღვიქვათ, როგორც გამოძახილი კონტაქტებისა ძველ ბერძნულ სამყაროსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს შორის ჯერ კიდევ რეგულარული საკოლონიზაციო მოძრაობის დაწყებამდე, ე.ი. ე.წ. წინაკოლონიალური კონტაქტებისა.[4]

---

1 არსებობს სხვა მოსაზრებაც: „კატალოგის" Ἀλιζῶνες უკავშირდება Halitu-ს – ქვეყანას, რომელიც იხსენიება ურარტუს მეფე რუსა II-ის (ძვ.წ. 685-644 წწ.) ერთ-ერთ წარწერაში. იმის საფუძველზე, რომ ურარტული „t" რიგ შემთხვევაში გადმოსცემს „ζ" ბგერას, ივარაუდება Halitu-ს იდენტურობა „Ἀλιζῶνες-თან. რამდენადაც „კატალოგში" ალიძონების ქვეყანა იხსენიება როგორც ვერცხლის სამშობლო, გ. მელიქიშვილი შესაძლებლად მიიჩნევს ჰალიძონების ქვეყანაც (= ურარტული წყაროების Halitu) ივარაუდოს აღმოსავლეთ მცირე აზიაში კილიკიის ტავრებთან მდებარე ტერიტორიაზე, რომელიც ძვ.წ. IX-VII სს-ის ასურულ წყაროებში იხსენიება „ტაბალ"-ის ქვეყნად, სადაც არის „ვერცხლის მთა" (Меликишвили 1962: 45-46).

2 სტრაბონი იმასაც აქცევს ყურადღებას, რომ „ჰომეროსი იხსენიებს მდ. სანგარიოსს", რომელიც „მიედინება ფრიგიისა და ბითინიის ტერიტორიაზე" (XII, 3, 7). ეს მდინარე მართლაც იხსენიება „ილიადაში" (XVI, 719), მაგრამ იქვე ფრიგიის მოხსენიება უნდა ნიშნავდეს, რომ ეს გვიანდელი ინტერპოლაციაა.

3 კიდევ მეტი, სტრაბონი დარწმუნებული იყო, რომ „ჰომეროსმა გაიარა მთელი სანაპირო (საუბარია „პაფლაგონიასა და დანარჩენ პონტოს სანაპიროზე" – ო. ლ.) და არ გამოუტოვებია არაფერი, რაც მაშინ ღირსშესანიშნავი იყო" (XII, 3, 26).

4 შავიზღვისპირეთში პირველი ბერძნული სამოსახლოების (კოლონიების) დაარსების დროის საკითხი საკმაოდ რთულია. აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის" (II, 946-948) ერთ-ერთი სქოლიონის ცნობის საფუძველზე ვარაუდობენ, რომ ევმელოს კორინთელს ჰქონდა მითითება იმის შესახებ, რომ სინოპე იყო ნიმფა და ასული აზოპესი. მაგრამ ამის საფუძველზე, ვფიქრობ, ძნელია დავასკვნათ, რომ ბერძნული კოლონია სინოპეში, დაარსებული თითქოს ჯერ კიდევ კორინთელების მიერ, უკვე არსებობდა ძვ.წ. VIII ს-ის შუა ხანებში (შდრ. Drews 1976: 26). უნდა ვიფიქროთ, რომ მითები ნიმფე (სხვა ვერსიით ამორძალ) სინოპეზე გამოყენებულ იქნა ქალაქ სინოპეს სახელის ასახსნელად (Максимова 1956: 38-41). არქეოლოგიური მონაცემებით ჯერჯერობით არ დასტურდება აგრეთვე ფსევდო-სკიმნოსის („პერიპლუსი", 941-952) ცნობა ჰაბრონდის მიერ სინოპეს ძვ.წ. VIII ს-ში დაარსების შესახებ. ამიტომ უპირატესობას ანიჭებენ სინოპეს დაარსების უფრო გვიანდელ თარიღს (ევსებიოსის ქრონიკის თანახმად ძვ.წ. 632/631 წ., რასაც მეტ-ნაკლებად მხარს უჭერს ძვ.წ. VII ს-ის დასასრულის ბერძნული კერამიკის აღმოჩენაც – Ehrhardt 1988: 49,55-56; Hind 1988: 207; Huxley 1990: 196-201). ჩრდილოეთ და დასავლეთ შავიზღვისპირეთშიც ბერძნული სამოსახლოები ჩნდება არა უადრეს ძვ.წ. VII ს-ის შუა ხანებისა. ეს კანონზომიერიცაა: შავიზღვისპირეთის ინტენსიური კოლონიზაცია შეიძლებოდა დაწყებულიყო მხოლოდ პროპონტიდის ათვისების შემდეგ. პროპონტიდაში კი ბერძნული კოლონიებიდან ყველაზე ადრეულია კალქედონი (აზიურ სანაპიროზე) და ბიზანტიონი (ევროპულ სანაპიროზე), რომლებიც ევსებიოსის ქრონიკის მიხედვით, შესაბამისად, ძვ.წ. 685 და 659 წწ.-შია დაარსებული (Isaak 1986: 218 და შმდ.; Boardman 1980: 238, 245 და შმდ.).

2.4. სტრაბონის მტკიცებით:

εὖ λέγεται, Ἀργὼ πασιμέλουσα, ὡς ἐν γνωρίμοις τόποις καὶ εὐανδροῦσι τῆς ναυστολίας γενομένης· Εἰ δ᾽ ὥσπερ ὁ Σκήψιός φησι παραλαβὼν μάρτυρα Μίμνερμον, ὃς ἐν τῷ ὠκεανῷ ποιήσας τὴν οἴκησιν τοῦ Αἰήτου πρὸς ταῖς ἀνατολαῖς ἐκτὸς πεμφθῆναί φησιν ὑπὸ τοῦ Πελίου τὸν Ἰάσονα καὶ κομίσαι τὸ δέρος, οὔτ᾽ ἂν ἡ ἐπὶ τὸ δέρος ἐκεῖσε πομπὴ πιθανῶς λέγοιτο εἰς ἀγνῶτας καὶ ἀφανεῖ τόπους οὖσα, οὔθ᾽ ὁ δι᾽ ἐρήμων καὶ ἀοίκων καὶ καθ᾽ ἡμᾶς τοσοῦτον ἐκτετοπισμένων πλοῦς οὔτ᾽ ἔνδοξος οὔτε πασιμέλων (I, 2, 40).

„კარგადაა ნათქვამი (ჰომეროსთან – ო. ლ.) „ყველასთვის ცნობილი არგო“, ვინაიდან ხომალდით მოგზაურობა მოხდა ცნობილ და კარგად დასახლებულ ადგილებში. როგორც სკეპსისელი[1] ამბობს, იყენებს რა მოწმედ მიმნერმეს, რომელიც აიეტის საცხოვრისს ოკეანეში ათავსებს, იასონი პელიასის მიერ უკიდურეს აღმოსავლეთისაკენ იქნა გაგზავნილი ოქროს საწმისის მოსაპოვებლად; (თუ ამას მივიღებთ) მაშინ სარწმუნო არ იქნება არც ეს ლაშქრობა (არგონავტების – ო. ლ.) საწმისისათვის უცნობ და იდუმალ ადგილებში და არც უდაბურ, დაუსახლებელ და ჩვენგან ეგზომ დაშორებულ ადგილებში გახდებოდა სახელგანთქმული და ყველასათვის სანუკვარი“ (I, 2, 40).

ძნელი სათქმელია ახლა, სტრაბონის ზემოაღნიშნული მსჯელობა („ხომალდით მოგზაურობა მოხდა ცნობილ და კარგად დასახლებულ ადგილებში...“) მის ხელთ არსებულ რაიმე ინფორმაციაზეა დაფუძნებული, თუ, რაც უფრო საფიქრელია, მხოლოდ გონებაჭვრეტით ვარაუდზე. ასეა თუ ისე, არქეოლოგიური მასალები საკმაოდ თვალსაჩინოდ ადასტურებენ სტრაბონის ვარაუდს. კიდევ მეტი – მთელს შავიზღვისპირეთში მე არ მეგულება უფრო განვითარებული საზოგადოება, ვიდრე ეს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზეა დადასტურებული. უკვე ძვ.წ. XVI-XIV სს-დან ძველი კოლხეთის (ე.ი. დღევანდელი დასავლეთ საქართველოს) მთელ ტერიტორიაზე სწრაფი ტემპით ვითარდება ბრწყინვალე და სრულიად უნიკალური ბრინჯაოს კულტურა, რომელიც სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში „კოლხური ბრინჯაოს კულტურის“ სახელითაა ცნობილი. მრავალრიცხოვანი და უკვე საკმაოდ მრავალფეროვანი არქეოლოგიური ძეგლები (ნამოსახლარები, სამაროვნები, ბრინჯაოს ნაკეთობათა განძები, მეტალურგიული წარმოების ნაშთები, საკულტო ადგილები და სხვ.) მოწმობენ, პირველ რიგში, მოსახლეობის არაჩვეულებრივ სიმჭიდროვეს (განსაკუთრებით კოლხეთის დაბლობზე) და მისი კულტურის განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს. ამ კულტურის შემქმნელები იყვნენ კოლხები – დასავლურქართული ტომები (მეგრელ-ჭანები). კოლხური კულტურის გავრცელების ვრცელ ტერიტორიაზე არქეოლოგები ადასტურებენ საწარმოო ძალებისა და მეურნეობის წამყვანი დარგების სწრაფ პროგრესს. ხორბლისა და სხვა მარცვლეულის უძველესი და ენდემური ჯიშების ხშირი აღმოჩენები, სასოფლო-სამეურნეო იარაღების (სხვადასხვა ტიპის თოხები, ცულები, სეგმენტები და სხვ.) არაჩვეულებრივი ნაირფეროვნება და სრულიად განსაკუთრებული მრავალრიცხოვნება (რომლითაც კოლხეთს ვერ შე-

1 დემეტრიოს სკეპსისელი (Fr. 50 = Gaede).

ედრება არქეოლოგიურად კარგად შესწავლილი ძველი ცივილიზაციის კერები) თვალსაჩინო მოწმობაა მიწათმოქმედების ძალიან მაღალი დონისა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის (ე.ი. ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარი – I ათასწლეულის დასაწყისი) კოლხეთში, რაც შესანიშნავად ეხმაურება არგონავტების შესახებ თქმულების ცნობებსაც. სამიწათმოქმედო იარაღებთან ერთად იმ დროის კოლხეთის არქეოლოგიურ მონაპოვარში წარმოდგენილია აგრეთვე საომარი იარაღი (ცულები, მახვილები, სატევრები, შუბისპირები), ნაირსახოვანი სამკაული და ადამიანის, სხვადასხვა ცხოველთა და ფრინველთა მაღალმხატვრული ქანდაკებანი. ისინი თვალსაჩინო ილუსტრაციაა კოლხური ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარების მაღალი დონისა, რომელიც უკვე ამ დროს იყენებდა ურთულეს ტექნიკურ მეთოდებს (დაწვრ. და სრული ბიბლიოგრაფია ამ საკითხზე იხ. Лордкипанидзе О. 1989: 189 და შმდ.; Lordkipanidse O. 1991: 95-109).

2.5. სტრაბონი გვაუწყებს აგრეთვე:

Τὸ μὲν γὰρ παλαιὸν ὅσην ἐπιφάνειαν ἔσχεν ἡ χώρα αὕτη δηλοῦσιν οἱ μῦθοι, τὴν Ἰάσονος στρατείαν αἰνιττόμενοι προελθόντος μέχρι καὶ Μηδίας, ἔτι δὲ πρότερον τὴν Φρίξου (XI, 2, 18).

„თუ როგორ იყო სახელგანთქმული ძველად ეს ქვეყანა, ამას ცხადყოფენ მითები, რომლებიც მოგვითხრობენ იასონის ლაშქრობაზე, რომელიც მიდიამდე მივიდა და ამაზე უწინ კი ფრიქსეს ლაშქრობაზე“ (XI, 2, 18).

როგორც ვნახეთ, სტრაბონს არგონავტების ლაშქრობა ისტორიულ ჭეშმარიტებად მიაჩნია (შდრ. I, 2, 38-39). ამასთან, როგორც „ისტორიის“, ე.ი. ნამდვილი ამბავის დადგენისას გადმოგვცემს: „როგორც ყველანი ამბობენ“ (Ὡς μὲν γὰρ ἅπαντες λέγουσιν“: I, 2, 39), ან „ამბობენ“ („λέγεται“: I, 2, 59; XI, 4, 8); „ერატოსთენე ამბობს“ (I, 3, 2) და ა.შ. ამჯერად კი არგონავტების შესახებ თქმულება „მითებად“ (μῦθος) მოიხსენია. მითი კი სტრაბონისათვის შეთხზული ამბავია, გამონაგონი (შდრ. XI, 5, 3),[1] თუმც მითიური ხასიათის ცნობებს ის ხშირად უძებნის რეალურ საფუძველს ან კიდევ უხვად იყენებს გეოგრაფიული პუნქტების ლოკალიზაციის დროს და ა.შ. (Грацианская 1986: 145-150), განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც საქმე ეხება ჰომეროსთან შემონახულ გადმოცემებს, რამდენადაც ჰომეროსს „ხომ მუდამ შემოჰქონდა მითები ნამდვილი ამბების საფუძველზე“ („...ἀεὶ τοὺς μύθους ἀπό τινων ἱστορίων“: III, 2, 12).

სტრაბონმაც „ნამდვილი ამბის საფუძვლად“ სხვადასხვა ლითონით მდიდარი კოლხეთის სიმდიდრე გამოაცხადა (I, 2, 39):

1 სტრაბონის კონცეფცია ამ საკითზე ზემოთ უკვე იყო მოხსენიებული (დაწვრ. იხ. Грацианская 1986: 145-148).

καὶ ὁ πλοῦτος τῆς ἐκεῖ χώρας ἐκ τῶν χρυσείων καὶ ἀργυρείων καὶ σιδηρείων καὶ χαλκείων δικαίαν τινὰ ὑπαγορεύει πρόφασιν τῆς στρατείας.

„აქაური ქვეყნის სიმდიდრე ოქროთი, ვერცხლით, რკინისა და სპილენძით გვიხსნის ლაშქრობის სწორ საბაბს“.

როგორც ქვემოთ დავინახავთ (იხ. IV თავი, ბუნებრივი სიმდიდრეები), ასეთ განცხადებას მართლაც აქვს „საფუძველი“ და „აქაური ქვეყნის“ (ე.ი. კოლხეთის) სიმდიდრე ზემოდასახელებული ლითონით დასტურდება როგორც სხვა წერილობითი წყაროებით, ასევე არქეოლოგიური მონაცემებით.

ზუსტად ასევე „ოქროს საწმისის“ რეალურ საფუძვლად მან „ნამდვილი ამბავი“ აღიარა. კოლხეთის აღწერისას კავკასიონის მწვერვალების შესახებ სტრაბონი შენიშნავს:

Παρὰ τούτοις δὲ λέγεται καὶ χρυσὸν καταφέρειν τοὺς χειμάρρους, ὑποδέχεσθαι δ᾽ αὐτὸν τοὺς βαρβάρους φάτναις κατατετρημέναις καὶ μαλλωταῖς δοραῖς· ἀφ᾽ οὗ δὴ μεμυθεῦσθαι καὶ τὸ χρυσόμαλλον δέρος (XI, 2, 19).

„ამბობენ, რომ ზამთრის ნიაღვრებს ოქრო ჩამოაქვს, ხოლო ბარბაროსები აგროვებენ (ოქროს) დახვრეტილი ვარცლებით და ბანჯგვლიანი ტყავებით: აქედან მომდინარეობს მითი ოქროს საწმისიან ვერძზე“[1] (XI, 2, 19).

ქვემოთ ჩვენ კიდევ შევხვდებით ამ ცნობას, მაგრამ ახლა აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ კოლხეთის მდინარეებში ოქროს მოპოვების შესახებ ცხვრის ტყავებით მოგვითხრობს აგრეთვე აპიანე (მითრიდატიკა, 103) და დასტურდება ის ახალი დროის მონაცემებითაც (დაწვრ. ქვემოთ, IV თავი, 1დ).

ამრიგად, სტრაბონს ოქროს საწმისის შესახებ თქმულებაც რეალური „ამბების“ ანარეკლად მიაჩნია. ამ შემთხვევაში სტრაბონის თვალსაზრისი ერთგვარად ეხმაურება ძვ.წ. IV-III საუკუნეების ბერძენი ფილოსოფოსის ევჰემეროსისა და მისი მიმდევრების – ევჰემერისტების (პალეფატე, დიონისიოს სკიტობრაქიონი, ხარაკს პერგამონელი და სხვ.) იდეებს, რომლებიც გულისხმობდა მითის რაციონალურ ახსნას. მაგრამ სტრაბონისეული ახსნა „ოქროს საწმისისა“ განსხვავდება ჭეშმარიტი ევჰემერისტების განმარტებისაგან, რომლის თანახმად „კოლხეთში დაცული ტყავი ნამდვილი ოქროს საწმისი კი არ იყო (ეს პოეტური შენათხზია), არამედ ტყავებზე ნაწერი წიგნი, რომელიც შეიცავდა იმის აღწერას, თუ როგორ შეიძლება მივიღოთ ოქრო ქიმიის საშუალებით (διὰ χημείας). თანამედროვეებმა შესაფე-

1 აქ ეს ტექსტი დაზიანებულია.

რისად უწოდეს მას ოქრო, მისგან გამომდინარე მოქმედების გამო“[1]. ხოლო სხვა გადმოცემით, რომელიც ხარაკს პერგამონელს მიეწერება, „ოქროს საწმისი იყო ეტრატზე აღნუსხული ხერხი ოქროდამწერლობისა, რომლის გამოც, ამბობენ, როგორც ღირსსარწმუნოა, არგოს ლაშქრობა მოეწყო“.[2]

2.6. არგონავტების ლაშქრობის, როგორც ნამდვილი ამბის დასამტკიცებლად სტრაბონი ფართოდ იყენებს ტოპონიმიკურ მასალას, საიდანაც ჩანს არგონავტების მითის დიდი პოპულარობა ანტიკურ სამყაროში საერთოდ და განსაკუთრებით აზიისა და კავკასიის ხალხებში; მისი აღქმა, როგორც რეალურად განხორციელებული „ამბავისა“: „ბევრი საბუთი არსებობს იასონის ლაშქრობისაც და ფრიქსესიც სინოპესთან და მის სანაპიროზე, პროპონტიდასა და ჰელესპონტიდან ვიდრე ლემნოსის ადგილებამდე“ (I, 2, 39). ეს „საბუთები“ (πολλὰ τεκμήρια) თვით სტრაბონის „გეოგრაფიაშია“ ნაწილობრივ დასახელებული.

2.6.1. „გეოგრაფიაში“ ვკითხულობთ:

Τὸ δὲ Κύτωρον ἐμπόριον ἦν ποτὴ Σινωπέων, ὠνόμασται δ' ἀπὸ Κύτωρον τοῦ Φρίξου παιδός, ὡς Ἔφορος φησι (XII, 3, 10).	„კიტორონი ოდესღაც სინოპელთა ემპორიონი იყო, ხოლო სახელი ეწოდა მას კიტოროსისაგან, ფრიქსეს შვილისაგან, როგორც ეფორე ამბობს...“ (XII, 3, 10)

ეს ქალაქი, სახელწოდებით კიტოროსი (Κύτωρος) პირველად იხსენიება ე.წ. „ტროელთა კატალოგში“ („ილიადა“, II, 853), რომლის გამოყენების კვალი, როგორც თითქოსდა ჰომეროსის თხზულებისა, საკმაოდ ნათლად შეინიშნება სტრაბონის „გეოგრაფიაში“ (იხ. მაგ., XII, 3, 20).

„ტროელთა კატალოგში“ („ილიადა“, II, 853), ფსევდო-სკილაქსის „პერიპლუსში“ (§ 90), აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ (II, 942)[3] და სტრაბონის „გეოგრაფიაში“ (XII, 3, 10), ხოლო უფრო გვიან არიანეს (PPE, § 20) მიერ მოხსენიებული ქალაქი კიტოროსი//კიტორონი[4] ივარაუდება დღევანდელ თურქეთში

1 ეს ცნობა შემონახულია ანონიმურ მითოგრაფიულ ტრაქტატში „დაუჯერებელ ამბავთათვის“ (περὶ ἀπίστων) და, როგორც ფიქრობენ, მომდინარეობს ძვ.წ. IV-III სს-ის ევჰემერისტის პალეფატეს იმავე სახელწოდების თხზულებისაგან, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. ანალოგიური განმარტება მოცემული აქვს VII ს-ის ისტორიკოსს იოანე ანტიოქელს (Müller 1841-1870: IV, 545), რაც სვიდასაგან უნდა იყოს აღებული (შდრ. ურუშაძე 1964: 150-151).

2 ცნობა შემონახულია XII ს-ის კომპილატორ-კომენტატორის ევსტათე თესალონიკელისეულ დიონისიოს პერიეგეტის თხზულებათა განმარტებაში – Eust., Dion. Per. 689=Jacoby FHG, II: 482-493; Müller 1841-1870: III: 636-645.

3 აპოლონიოს როდოსელიც ამ შემთხვევაში მისდევს „ტროელთა კატალოგს“ (დაწვრ. იხ. Лордкипанидзе О. 1988: 158-169).

4 ილიადა, II, 853: “...οἵ (Παφλαγόνοι – ო. ლ.) ῥά Κύτωρον ἔχον. ამრიგად, აქ Κύτωρον არის აკუზატივში, ხოლო ნომინატივში იქნება Κύτωρος. იქნებ Κύτωρον ფორმის ხმარება სტრაბონს

კიდროსის ადგილას (Максимова 1956: 73, შენ. 5; Ehrhardt 1988: 54-55). ამჯერად (სტრაბონის ცნობების არგონავტიკასთან კავშირში განხილვისას) ჩვენთვის საინტერესოა განმარტება, რომ ქალაქ კიტოროსს ეს „სახელი ეწოდა კიტოროსისაგან, ფრიქსეს შვილისაგან, როგორც ეფორე ამბობს“ (XII, 3, 10). როგორც ჩანს, აქ იგულისხმება ფრიქსესა და კოლხეთის მეფე აიეტის ქალიშვილის ქალკიოპეს ვაჟი კიტისორე (Κυτίσωρος), რომელსაც, რამდენადაც ვიცი, პირველად (ჩვენამდე მოღწეული ცნობების მიხედვით) ეპიმენიდე (ძვ.წ. VII-VI სს.) მოიხსენიებდა თავის „არგონავტიკაში“ (შდრ. Sch. ad Apoll. Rhod. II, 122),[1] ხოლო შემდეგ ჰეროდოტე (VII, 193: Κυτίσσωρος), ელინისტურ ხანაში კი აპოლონიოს როდოსელი („არგონავტიკა“, II, 1155), აპოლოდორე („ბიბლიოთეკა“, I, 9, 1(7). როგორც სტრაბონის ცნობიდან ჩანს, იხსენიებდა მას ეფორეც და ქალაქ კიტოროსის (თუ კიტორონის) ეპონიმად მიიჩნევდა.

2.6.2. ლუკულუსის მიერ სინოპეს დაპყრობის აღწერისას სტრაბონი იუწყება, რომ:

(Λεύκολλος) ἦρε καὶ τὼν Αὐτόλυκον, Σθένιδος ἔργον, ὃν ἐκεῖνοι οἰκιστὴν ἐνόμιζον καὶ ἐτίμων ὡς θεόν· ἦν δὲ καὶ μαντεῖον αὐτοῦ· δοκεῖ δὲ τῶν Ἰάσονι συμπλευσάντων καὶ κατασχεῖν τοῦτον τὸν τόπον (XII, 3, 11).

„(ლუკულუსმა) წაიღო სფენიდეს[2] ნაწარმოები – ავტოლიკეს ქანდაკება, რომელსაც სინოპელები თავის ქალაქის დამაარსებლად თვლიდნენ და თაყვანს სცემდნენ როგორც ღვთაებას. აქ იყო მისი სამისნოც... ჩანს, რომ (ავტოლიკე) იმათგანი იყო, ვინც იასონთან ერთად მოგზაურობდა და მან დაიპყრო ეს ადგილები“ (XII, 3, 11).

მითოლოგიური ტრადიციით, რომელიც აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაშია“ (II, 450–960) შემონახული, ავტოლიკე დეიმაქეს ძეა,[3] რომელიც თავის ძმებთან დეილეონტთან და ფლოგიოსთან ერთად ახლდა ჰერაკლეს ამაზონებზე ლაშქრობისას, მაგრამ შემდეგ ჩამოშორდა მას და გაჰყვა არგონავტებს. სწორედ ის ითვლება სინოპეს დამაარსებლად, რის შესახებ უძველესი ცნობა ფსევდოსკიმნოსის „პერიპლუსშია“ შემონახული:

უყურადღებობით და „ტროელთა კატალოგში“ მოხსენიებული ქალაქის სახელწოდების პირდაპირი (ბრუნვის გაუთვალისწინებლად) გადმოღებით აიხსნება? მით უფრო, რომ სტრაბონი იქვე განმარტავდა: „ეს სახელი ეწოდა კიტოროსისაგან“.

1 მოიხსენიება ფორმით Κυτίσωρον; ვარიანტია Κύτωρον.

2 სფენიდე ძვ.წ. IV ს-ის ბერძენი მოქანდაკეა, წარმოშობით ოლინთოდან, გამოჩენილი მოქანდაკის ლეოქარესის თანამედროვე და მეგობარი.

3 შდრ. აპოლოდორე, „ბიბლიოთეკა“, I, 9, 2(8), სადაც არგონავტებს შორის იხსენიება „ავტოლიკე, ჰერმესის ძე“.

ἦν ποτε μὲν ᾤκουν εὐγενεῖς ὄντες Σύροι, μετὰ ταῦτα δ' ὡς λέγονσιν, Ἑλλήνων ὅσοι ἐπ' Ἀμαζόνας διέβησαν, Αὐτόλυκός τε καὶ σὺν Δηιλέοντι Φλόγιος, οἵτινες Θετταλοὶ. ἔπειτα δ' Ἀβρῶνδας γένει Μιλήσιος· ὑπὸ Κιμμερίων οὗτος δ' ἀναιρεῖσθαι δοκεῖ (Ps. Scymn. 941-946).

„ამ ქალაქში (სინოპე – ო. ლ.) ოდესღაც ცხოვრობდნენ კეთილშობილი სირიელები, ხოლო ამის შემდეგ, როგორც ამბობენ, ელინთაგან (ცხოვრობდნენ) ისინი, ვინც ამაზონებზე გადაიარეს. (ესენი იყვნენ) ავტოლიკე და ფლოგიოსი დეილეონტთან ერთად, რომლებიც თესალიელები არიან. შემდეგ კი ჰაბრონდა, წარმოშობით მილეტელი. როგორც ჩანს, ის კიმერიელებმა მოკლეს...“ (Ps. Scymn. 941-946.[1] ყაუხჩიშვილი 1967: 99).

იგივე ტრადიცია სინოპეს დაპყრობის შესახებ შემონახულია პლუტარქესთან: „გვიამბობენ, რომ ავტოლიკე, დეიმაქეს ძე, ეკუთვნოდა ჰერაკლეს თანამგზავრებს, რომელნიც თესალიიდან ამაზონებზე სალაშქროდ გაემგზავრნენ, და უკან გზაზე, როდესაც მოცურავდა დეილეონტესა და ფლოგიოსთან ერთად, მისი ხომალდი დაიღუპა, როდესაც ე.წ. პედალიონის კონცხთან ნახევარკუნძულს შეეჯახა, მაგრამ თვითონ მან იარაღითა და მეგობრებით თავი იხსნა სინოპეს მახლობლად და დაიპყრო ეს ქალაქი...“ (ლუკულუსი“, XXIII).

ეს ტრადიცია დაცულია აპიანესთანაც: „ამბობენ, რომ ავტოლიკე, რომელიც ჰერაკლესთან ერთად ლაშქრობდა ამაძონების წინააღმდეგ, ქარიშხალმა სინოპესთან გამორიყა და მან ქალაქი დაიპყრო; სინოპელებს ჰქონდათ მისი ქანდაკება, რომელსაც თაყვანს სცემდნენ...“ („მითრიდატიკა“, 83).

საინტერესოა, რომ სინოპეს ერთ-ერთ მონეტაზე გამოსახული იყო ავტოლიკეს თანამებრძოლი სინოპეს დაარსებაში – ფლოგიოსი: Λε]ωμέδων Ἀριστώνα[κ]τος Φλογίῳ (Robinson 1905: 306, № 31). მიუხედავად სინოპეს დაარსების თარიღის შესახებ ჩვენს მიერ ზემოთმოტანილი შეხედულებისა (გვ. 50, შენ. 4), ვფიქრობ, ავტოლიკეს მიერ სინოპეს დაპყრობის შესახებ ფსევდო-სკიმნოსთან და სხვა ავტორებთან შემონახული ტრადიციის მთლიანად უგულვებელყოფა არ იქნებოდა მართებული. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ტრადიციაში ასახულია ბუნდოვანი მოგონება ბერძენთა პირველი გამოჩენისა შავი ზღვის სანაპიროზე (არგონავტების ლაშქრობის მონაწილეთა მოხსენიება). იგივე შეიძლება ითქვას ფსევდო-სკიმნოსთან იქვე ნათქვამ ჰაბრონდის კტიზმაზე, რომელიც, იქნებ, მართლაც განხორციელდა ძვ.წ. VIII ს-ის უკანასკნელ მეოთხედში[2] და ასახავს იონიელთა (მილეტელთა) მიერ პირველი, შესაძლოა, დროებითი სამოსახლოების დაარსებას, რომელთა მიზანი უნდა ყოფილიყო ადგილობრივ მოსახლეობასთან კონტაქტების დამყარება და იმ ადგილების გაცნობა, სადაც შემდეგ შესაძლე-

1 იმის საფუძველზე, რომ ავტორისავე ცნობით, მას უნახავს თავისი თვალით არა მხოლოდ საბერძნეთის, არამედ აზიისა და დასავლეთის ქალაქებიც, ვარაუდობენ, რომ შესაძლოა „პერიპლუსის“ ავტორი თვით იყო სინოპეში და იქვე გაეცნო ადგილობრივ გადმოცემებს (Максимова 1956: 50).

2 ე.წ. ჰაბრონდის კტიზმის შესახებ არსებობს სხვადასხვა შეხედულებანი – Hind 1988: 212-213.

ბელი იქნებოდა კოლონიების დაარსება, ე.ი. ის, რაც ე.წ. წინასაკოლონიზაციო ურთიერთობათა არსს შეადგენს (შდრ. Лордкипанидзе О. 1990: 12 და შმდ.).

2.6.3. ფრიქსეს აგებულად თვლის სტრაბონი ლევკოთეას სამლოცველოს მოსხების ქვეყანაში (XI, 2, 17),[1] ხოლო იბერიაში იხსენიებს ქალაქ ფრიქსეპოლისს (XI, 2, 18).

2.6.4. „გეოგრაფიაში" დასახელებულია აგრეთვე იასონისა და არგონავტებთან დაკავშირებული გეოგრაფიული პუნქტები, ტაძრები და სხვ. (იხ. მაგ., XI, 13, 10; XI, 14, 12-13; XII, 8, 11). ასე მაგ., სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ამისოსის მახლობლად, სტრაბონის ცნობით, არის „იასონის კონცხი" (ἄκρα Ἰασόνιον - XII, 3, 17). ამავე ტოპონიმს უფრო ადრე იხსენიებს ქსენოფონტი: „აქედან მეორე დღეს (ბერძნები) დაიძრნენ და ზურგქარის წყალობით ორი დღე ნაპირ-ნაპირ მიცურავდნენ. ხმელეთის გასწვრივ მომავალნი შესცქეროდნენ იასონის კონცხს (...Ἰασονίαν ἀκτήν), რომელსაც ამბობენ, „არგო" მიადგა..." („ანაბასისი", VI, 2, 1). მეორე მხრივ, იგივე სახელწოდება ცოცხალია ახ.წ. II საუკუნეშიც და მას იხსენიებს არიანე თავის „პერიპლუსში" (§ 16: „პოლემონიონიდან ე.წ. იასონის კონცხამდე ას ოცდაათი სტადიონია").[2]

ამრიგად, შეიძლება ითქვას, სხვა არცერთ ავტორთან არაა შემონახული არგონავტთა ძველ სამყაროში არაჩვეულებრივი პოპულარობის მაუწყებელი მასალა ისე, როგორც სტრაბონის „გეოგრაფიაში", რაც კიდევ ერთი თვალსაჩინო საბუთია, რომ არგონავტიკა მტკიცედ დამკვიდრდა, როგორც ბერძენთა აღმოსავლეთში საკოლონიზაციო მოძრაობის კონცეფციის თავისებური ასახვა. ნიშანდობლივია, რომ სტრაბონის გადმოცემით, არგონავტიკის პერსონაჟები თითქოს გვევლინებიან ზოგიერთ ქვეყნის ეპონიმებადაც: მიდია სახელდებულია თვით მედეასაგან[3] ან მისი ძე მედოსისაგან[4] (XI, 13, 10), ხოლო არმენიამ ეს სახელი მიიღო იასონთან ერთად მოლაშქრე თესალიელი არმენოსისაგან („გეოგრაფია", XI, 4, 8; XI, 14, 4). არგონავტები ითვლებიან მთელი რიგი ქალაქების დამაარსებლადაც. ასე მაგ., „კიოსი, ჰერაკლეს მეგობარი და თანამგზავრი, აქ (ფრიგიაში – ო. ლ.) დარჩა და ააშენა ქალაქი თავისი თანამოსახლე" (XII, 4, 3) და სხვ.

1 იხ. VII თავი, ა6.

2 ისევე როგორც სტრაბონს, არიანესაც სწამდა, რომ არგონავტების ლაშქრობა სინამდვილეს წარმოადგენდა და ამიტომ თავის თხზულებაში საგანგებოდ მოიხსენიებს არგონავტების თქმულებასთან დაკავშირებულ გეოგრაფიულ ადგილებს (იხ. § 9, 25). გარდა ზემოდასახელებული ფრაგმენტისა, აღსანიშნავია § 6: „ამბობენ, რომ ადგილი აფსაროსი (Ἄψαρος) ძველად აფსირტედ (Ἄψυρτος) იწოდებოდა. აქ აფსირტე მედეას მიერ იქნა მოკლული და კიდევაც აჩვენებენ აქ აფსირტეს საფლავს". საინტერესოა, რომ სტრაბონიც აღნიშნავს: „მთელი სანაპიროს გასწვრივ კუნძულებია, აფსირტიდები, რომელთანაც, ამბობენ, მედეამ მოკლა მისი მდევარი ძმა – აფსირტე" (VII, 5, 5).

3 ასეთი ცნობა აქვს ჰეროდოტესაც (VII, 62).

4 პავსანიას (II, 3, 8) და აპოლოდორეს („ისტორიული ბიბლიოთეკა", IV, 55-56) მიხედვით, მედოსი მედეას და ეგეოსის ვაჟია.

2.6.5. არგონავტიკასთან კონტექსტში კიდევ ერთი ცნობაა საყურადღებო. სტრაბონი იმოწმებს კალიმაქეს:

Τῆς δ' Ἰάσονος καὶ τῶν ἐπιδιωξάντων Κόλχων καὶ μέχρι τῆς Κρήτης καὶ τῆς Ἰταλίας καὶ τοῦ Ἀδρίου, ὧν ἔνια καὶ Καλλίμαχος ἐπισημαίνεται... τοτὲ δὲ περὶ τῶν Κόλχων, >οἱ μὲν ἐπ' Ἰλλυρικοῖο πόρου σχάσσαντες ἑρετμά λᾶα πάρα ξανθῆς Ἁρμονίης ὄφιος ἄστυρον ἐκτίσσαντο, τό κεν Φυγάδων τις ἐνίσποι Γραικός, ἀτὰρ κείνων γλῶσσ' ὀνόμηνε Πόλας< (I, 2, 39).

„იასონისა და მისი მდევარი კოლხების კვალი არის ვიდრე კრეტამდე, იტალიამდე და ადრიატიკის ზღვამდე, რომელთაგან ზოგიერთს აღნიშნავს კალიმაქეც ...[რომელიც] შემდეგ ამბობს კოლხების შესახებ, რომ „მათ ილირიის სრუტესთან შეაჩერეს ნიჩბები და ქერა ჰარმონიას ქვის საფლავთან დააფუძნეს ქალაქი, რომელსაც ბერძენი ვინმე ლტოლვილთა (ქალაქს) დაარქმევდა, მაგრამ მათმა ენამ უწოდა „პოლა“ (I, 2, 39).

სხვა ადგილას (V, 1, 19) სტრაბონი იმეორებს: „პოლა დაფუძნებულია ტბის მსგავს უბეში... დაარსებულია ძველად იმ კოლხების მიერ, რომლებიც მედეას დაადევნეს. მათ თავიანთ თავს გაძევება მიუსაჯეს.[1] როგორც კალიმაქემ თქვა: „ბერძენი ვინმე დაარქმევდა მას ლტოლვილთა (ქალაქს), ხოლო მათმა (კოლხთა – ო. ლ.) ენამ დაარქვა პოლა“.

კალიმაქეს ნაწარმოები, რომელშიც კოლხების მიერ დაარსებული ქალაქი პოლა იხსენიებოდა, შემორჩენილი არაა. მაგრამ ლიკოფრონ ქალკიდელის[2] სქოლიასტი იუწყება: „პოლა“ — ეპირის ქალაქი, დაარსებული მედეას მდევარ კოლხთაგან, რომლებმაც ვერ შეიპყრეს იგი და შიშის გამო აქ დასახლდნენ და დააფუძნეს ქალაქი. მას კოლხურ ენაზე პოლა ეწოდება. ეს სახელი, როგორც კალიმაქე ამბობს, ნიშნავს „ლტოლვილი“ (Sch. ad Lycophn. Alexand. 1022 = ყაუხჩიშვილი 1980: 110). უფრო გვიან „პოლას“ იხსენიებს პლინიუსი (NH, III, 23). ამრიგად გამოდის, რომ „პოლა“ კოლხური სიტყვაა (თუ მისგან ნაწარმოები). მაგრამ ქართველურ ენებში (რომელსაც მიაკუთვნებენ კოლხურს, ე.ი. მეგრულ-ჭანურს), ამ სიტყვის იდენტიფიკაცია ჯერჯერობით ვერ დგინდება (შდრ. ყაუხჩიშვილი 1957: 20).[3]

1 „სტრაბონის გეოგრაფიაში“ შემონახული (თითქოს ერატოსთენეს გზით) გადმოცემის თანახმად, იასონმა არმენიასა და მიდიამდე „ხმელეთით ილაშქრა“, როდესაც „კოლხებიდან წამოსულმა ხომალდები გაგზავნა“ (I, 3, 2).

2 ლიკოფრონ ქალკიდელის „ალექსანდრაში“ (ტ. 1022) აღნიშნულია, რომ „კრითოა და საზღვრების მეზობელი მხარე თანამოსახლებად მიიღებს პოლაში იმ კოლხებს, რომლებიც აიასა და კორინთოს მრისხანე გამგებელმა, იდიას მეუღლე (აიეტმა) გამოგზავნა მეუღლის საძებრად....“ ყაუხჩიშვილი ი. 1980: 52.

3 „კოლხურ ენას“ (Κολχίδα γῆρυν ἰεῖσα) იხსენიებს აპოლონიოს როდოსელიც (IV, 725-731).

დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც დავინახეთ, სტრაბონის „გეოგრაფიაში“ არგონავტიკა, თუ შეიძლება ითქვას, გაფანტულად და უწესრიგოდაა წარმოდგენილი, მაინც სახეზეა ყველა ელემენტი არგონავტიკის, როგორც სისტემისა, რომლისთვისაც აგრე დამახასიათებელია ძირითადი სიუჟეტების ერთიანობა და ერთსახოვნება, მათი კონსერვატულობა. სტრაბონის „გეოგრაფიაში“, ისევე როგორც არგონავტიკის ჩვენამდე მოღწეულ ყველა ვერსიაში (როგორც სულ ადრინდელში, ასევე შედარებით გვიანდელშიც) სახეზეა: ა) ერთი და იგივე მთავარი მოქმედი პირნი – იოლკოსის გამგებელი პელიასი (1, 2, 38-39; 3, 12; IX, 5, 15), არგონავტების წინამძღოლი იასონი (I, 1, 10; 2, 10; 2, 39; V, 1, 9; 2, 6; IX, 5, 15; XI, 2, 12; XI, 2, 18 და სხვ.), კოლხეთის მეფე აიეტი (I, 2, 39-40), მისი ასული მედეა (I, 2, 10; I, 2, 39-40; VII, 5, 5; XI, 13, 10), ბ) ლაშქრობის მიზანი – ოქროს საწმისი (XI, 2, 19), გ) ქვეყანა, სადაც ილაშქრეს არგონავტებმა, იწოდება აიად ანუ კოლხეთად (I, 2, 10; I,2, 38; III, 2, 12) და მისკენ მიმავალ გზაზე უამრავი ხიფათი და წინაღობაა, რომელთა შორისაა პლანქტები (ან კიანეები თუ სიმპლეგადები) – „მოძრავი კლდეები“ (I, 2, 10), დ) არგონავტები არიან გმირების უფროსი თაობის წარმომადგენლები – ტროის ომის მონაწილეთა მამები (I, 2, 39).

IV თავი

კოლხეთისა და იბერიის პოლიტიკური, ფიზიკური და ეკონომიკური გეოგრაფიისათვის (საზღვრები, მდინარეები, ბუნებრივი სიმდიდრეები, გზები)

კოლხეთისა და იბერიის აღწერილობა სტრაბონს წარმოდგენილი აქვს ძირითადად XI წიგნში, რომლითაც იწყება აზიის აღწერა შემდეგი სიტყვებით: „ევროპასთან დაკავშირებულია აზია, (რ̣ო̣მ̣ელიც) მას ტანაისით[1] უერთდება. ამის გამო ეხლა აზიის შესახებ უნდა ვილაპარაკოთ და გარკვეულობისათვის უნდა გავყოთ რაღაც ბუნებრივი საზღვრებით. რაც გააკეთა ერატოსთენემ მთელი ქვეყნიერების მიმართ, მისი გაკეთება მიხდება მე აზიის მიმართ“ (XI, 2, 1).

ა) საზღვრები (იხ. სურ. I)

1. კოლხეთი

სტრაბონის კონცეფციით, კოლხეთი ზუსტად გამოკვეთილი ერთეულია და რაღაც გარკვეული გეოგრაფიული მიჯნაც. ასე, მაგ., აზიის ჩრდილოეთი არეალის შესახებ სტრაბონი წერს: „როდესაც ევროპიდან აზიისაკენ მივემართებით ქვეყნის აღსაწერად, ჯერ ჩრდილოეთის [ნაწილს] მივადგებით ორი არსებული გამოყოფილი [ნაწილიდან], ისე რომ აქედან უნდა დავიწყოთ. აქედან პირველი არის ის, რომელიც ტანაისის მიდამოში მდებარეობს. ეს მივიჩნიეთ ევროპისა და აზიის საზღვრად, ხოლო [ამ მხარეს] აქვს ნახევარკუნძულის სახე: მას ხომ დასავლეთით ჩამოუდის მდინარე ტანაისი და მეოტისი ვიდრე ბოსფორამდე და ევქსინის სანაპირომდე, რომელიც მთავრდება კოლხიდასთან“ (XI, 1, 5). ხოლო კოლხეთის ქალაქ დიოსკურიას „უჭირავს უკიდურესი აღმოსავლეთი პუნქტი მთელი ზღვისა. ამიტომ ამბობენ მასზე, რომ ისაა ევქსინის უშორესი ადგილი და უკიდურესი საცურაოდ“ (XI, 2, 16).

კოლხეთი მდებარეობდა ევქსინის პონტოს ანუ დღევანდელი შავი ზღვის ნაპირას („გეოგრაფია“, XI, 1, 5; XI, 2, 14-15; XI, 2, 17). საინტერესოა, რომ ევქსინის პონტოს ერთ ნაწილს „გეოგრაფიის“ მიხედვით თითქოს „კოლხური ზღვა“ (Κολχικὴ θάλαττα) ეწოდებოდა (XI, 1, 6). აქ, როგორც ჩანს, იგულისხმებოდა ზღვის მონაკვეთი პიტიუნტიდან ტრაპეზუნტამდე (შდრ. XI, 2, 14).

1 ტანაისი თანამედროვე მდინარე დონია.

1.1. აღმოსავლეთით კოლხეთს იბერია ესაზღვრებოდა (I, 2, 39; VI, 4, 2; XI, 3, 4; XI, 14, 15). სასაზღვრო ციხესიმაგრე იყო სარაპანა (XI, 3, 4), რომელიც დღევანდელ შორაპანთანაა იდენტიფიცირებული. კოლხეთსა და იბერიას შორის საზღვარი სკანდა-შორაპნის ხაზზე ივარაუდება (იხ. ქვემოთ, IV თავი).

1.2. რაც შეეხება ჩრდილოეთ და სამხრეთ საზღვრებს, „გეოგრაფიაში" ერთგან (XI, 2, 1) აღნიშნულია, რომ ჰენიოხების შემდეგ „მდებარეობს კოლხეთი კავკასიონისა და მოსხების მთების ძირას". ვფიქრობ, გამოთქმა – „...ἡ Κολχὶς ὑπὸ τοῖς Καυκασίοις ὄρεσι κειμένη καὶ τοῖς Μοσχικοῖς" – უნდა გავიგოთ ისე, რომ კოლხეთი ამ ორ მთას შორის იყო მოქცეული.

კოლხეთის ჩრდილოეთ საზღვრად კავკასიონი „გეოგრაფიაში" კიდევ რამდენჯერმეა მინიშნებული (შდრ. XI, 2, 1; XI, 5, 5; XI, 5, 6). რამდენადმე გაუგებარია II, 1, 39-ში მოტანილი მტკიცება, რომელიც მთლიანი კონტექსტით თითქოს ერატოსთენეს უნდა ეკუთვნოდეს: „(კასპიის მთა) მდებარეობს გადასასვლელში კოლხეთიდან კასპიის ზღვისკენ"[1]. „კასპიის მთა" (Κασπίου ὄρος, Κάσπιον) იხსენიება აგრეთვე XI, 8, 9-ში, ხოლო XI, 2, 15-ში აღნიშნულია: „ერატოსთენე ამბობს, რომ ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ კავკასიონი კასპიად იწოდება".[2] ასე რომ, ჩრდილოეთით (უფრო ჩრდილო-აღმოსავლეთით) კოლხეთის საზღვრები, სრულიად აშკარად, კავკასიონამდე აღწევდა. „გეოგრაფიაში" დაზუსტებულია, თითქოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარიც ევქსინის პონტოს (ე.ი. შავი ზღვის) სანაპიროსთანაა – XI, 2, 14:

Κατ' ἀρχὰς μὲν οὖν ἡ παραλία, καθάπερ εἶπον, ἐπὶ τὴν ἕω τείνει καὶ βλέπει πρὸς νότον, ἀπὸ δὲ τῶν Βατῶν ἐπιστροφὴν λαμβάνει κατὰ μικρόν, εἶτ' ἀντιπρόσωπος γίνεται τῇ δύσει καὶ τελευτᾷ πρὸς τὸν Πιτυοῦντα καὶ τὴν Διοσκουριάδα· ταῦτα γὰρ τὰ χωρία τῆς Κολχίδος συνάπτει τῇ λεχθείσῃ παραλίᾳ. Μετὰ δὲ τὴν Διοσκουριάδα ἡ λοιπὴ τῆς Κολχίδος ἐστὶ παραλία καὶ ἡ συνεχὴς Τραπεζοῦς, καμπὴν ἀξιόλογον ποιήσασα· εἶτα εἰς εὐθεῖαν ταθεῖσά πως πλευρὰν τὴν τὰ δεξιὰ τοῦ Πόντου ποιοῦσαν, τὰ βλέποντα πρὸς ἄρκτον.

„როგორც უკვე ვთქვი, ეს სანაპირო მიემართება აღმოსავლეთისაკენ და უყურებს სამხრეთს, ხოლო ბატადან[3] ნელ-ნელა უხვევს და შემობრუნდება დასავლეთისაკენ და სრულდება პიტიუნტთან და დიოსკურიასთან; კოლხეთის ეს ადგილები ხომ ესაზღვრებიან ზემოთდასახელებულ სანაპიროს. დიოსკურიის შემდეგ არის დანარჩენი კოლხეთის სანაპირო და მის მიმდებარე ტრაპეზუნტთან ქმნის მნიშვნელოვან მოხრილობას".

1 "...ὁ [Κασπίου ὄρος – O. L.] κεῖται κατὰ τὴν ὑπέρθεσιν τὴν ἐπὶ τὸ Κάσπιον πέλαγος ἐκ Κολχίδος" (II, 1, 39).

2 ზოგიერთი კომენტატორის აზრით, „კასპიის მთის" ქვეშ იგულისხმება კავკასიონის ერთ-ერთი მთა სურამის უღელტეხილის ზონაში (შდრ. მაგ., Вестник древней истории, 1947, № 4: 215).

3 ბატა (Βάτα), რომელსაც იხსენიებს აგრეთვე კლავდიოს პტოლემაიოსი (V, 8, 8), ლოკალიზებულია დღევანდელი ნოვოროსიისკის უბის ან ტუაფსეს მიდამოებში (დაწვრ. Качарава-Квирквелия 1991: 43-44).

ამრიგად, ჩანს, რომ პიტიუნტი, რომელიც ლოკალიზებულია დღევანდელი ბიჭვინტის მიდამოებში (იხ. ამ წიგნში, VII თავი, ა3), მდებარეობდა კოლხეთის ჩრდილოეთ ნაწილში. ამიტომ სავარაუდებელია, რომ საზღვარი პიტიუნტის ახლოს გადიოდა, შესაძლოა მდ. ბზიფის ხეობაში ან ოდნავ ჩრდილოეთით.[1] სტრაბონის მიხედვით კოლხიდა „ჰენიოხების შემდეგ მდებარეობს" (μετὰ δὲ τοὺς Ἡνιόχους). თავის მხრივ, ჰენიოხები შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე აქეელებისა და ზიგების შემდეგ არიან დასახელებული და ამის საფუძველზე მათი საცხოვრისი „გეოგრაფიის" მიხედვით ძველი პიტიუნტის ჩრდილოეთით – სოჭისა და ადლერის მიდამოებში ივარაუდება (ინაძე 1955).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ არქეოლოგიური მონაცემებით ეს ტერიტორია უკვე ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან კოლხური ბრინჯაოს კულტურის არეალში იყო მოქცეული.[2]

1.3. სამხრეთი საზღვრის საკითხი უფრო რთულია. აქ ორიენტირად „გეოგრაფიაში" თითქოს ორი ნიშანია წარმოდგენილი.

---

1 სხვა რაიმე მონაცემი, თუ რამდენად ჩრდილოეთით ვრცელდება კოლხეთის საზღვრები ზღვის სანაპირო ზოლში, არ გაგვაჩნია. უფრო ადრინდელი ცნობა ეკუთვნის ფსევდო-სკილაქს კარიანდელს, რომელიც იუწყება, რომ „გელონების შემდეგ არიან კოლხები... იქ არის ქალაქი დიოსკურისი..." („აზია", § 81). პიტიუნტის მოუხსენიებლობა შეიძლება აიხსნას იმით, რომ ეს ქალაქი მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა (შდრ. ამ წიგნში, VII თავი). რაც შეეხება გელონების მოხსენიებას კოლხეთის ჩრდილოეთ მეზობლად, არც ესაა გასაგები, რამდენადაც ჰეროდოტეს მიხედვით გელონები სკვითების მეზობლები არიან (IV, 102, 109). ჰეროდოტეს გარდა მათ მოიხსენიებენ ფსევდო-სკიმნოსი (863), დიონისიოს პერიეგეტი (310) და არისტოტელე („საოცარ ამბავთა..." 832b = ყაუხჩიშვილი 1969: 66). გელონების ადგილსაცხოვრისისა და ეთნიკური წარმომავლობის შესახებ კი სპეციალურ ლიტერატურაში, თუმც, აზრთა სხვადასხვაობაა, მაინც უმრავლესობა მათ მდ. დონის შუა წელზე ათავსებს (Доватур-Каллистов-Шишова 1982: 357-359 და იქვე დასახ. ლიტ.). არსებობს ორიგინალური, მაგრამ ყოველგვარ საფუძველს მოკლებული თეორიებიც, რომ გელონები არიან კოლხეთის სამეფოს დამაარსებლები (Kiessling 1912: 1015). ფსევდო-სკილაქსის „პერიპლუსის" რუსულ ენაზე მთარგმნელი და კომენტატორი იძლევა ასეთ ახსნას: „ჰეროდოტე გელონებს უწოდებს ტილიჭამიებს. სხვა ტრადიციით, პომპონიუს მელა, პლინიუსი და არიანე ტილიჭამიებს კოლხეთში ათავსებენ. შესაძლოა, რომ ამ წარმოდგენების აღრევის შედეგად ფსევდო-სკილაქსმა გელონები კავკასიაში მოათავსა" (Вестник древней истории, 1988, № 2: 266). მაგრამ ჰეროდოტესთან (IV, 109) φθειροτραγέοι (რომელსაც ზოგიერთი თარგმნის როგორც „გირჩისმჭამელი") არიან ბუდინები (Βουδῖνοι) და არა გელონები (Γελωνοί). საერთოდ, ფსევდო-სკილაქსის („აზია", § 71-80) და სტრაბონის („გეოგრაფია", XI, 2, 1) ცნობებს შორის ჩრდილო-აღმოსავლეთ შავი ზღვის სანაპიროს ეთნიკური შემადგენლობის შესახებ ერთგვარი განსხვავებაა: აქ მოსახლე ტომები ფსევდო-სკილაქსთან იხსენიებიან შემდეგი თანამიმდევრობით: სინდები (Σίνδοι), კერკეტები (Κερκέται), ტორეტები (Τορέται), აქეელები (Ἀχαιοί), ჰენიოხები (Ἡνίοχοι), კორაქსები (Κοραξοί), კოლიკა (Κωλική – ქვეყანა), მელანქლენები (Μελάγχλαινοι), გელონები (Γέλωνες), კოლხები (Κόλχοι) („აზია", 70-80), სტრაბონთან კი – სინდიკე (Σινδική – ქვეყანა), აქეელები Ἀχαιοί), ზიგები (Ζυγοί), ჰენიოხები (Ἡνίοχοι), კერკეტები (Κερκέται) და მაკროპოგონები (Μακροπώγωνες), ფთეიროფაგები (Φθειροφάγοι), ხოლო „ჰენიოხების შემდეგ მდებარეობს კოლხეთი" (XI, 2, 1). საკითხი ფსევდო-სკილაქსის მიერ გელონების მოხსენიებისა კავკასიურ სანაპიროზე უთუოდ მოითხოვს უფრო დამაჯერებელ ახსნას (შდრ. ყაუხჩიშვილი 1967: 29-30), რამდენადაც ფსევდო-სკილაქსს არ შეეძლო მექანიკურად გადმოეტანა უფრო ჩრდილოეთით მცხოვრები ტომების (მელანქლენებისა და გელონების) სახელები შავი ზღვის კავკასიურ სანაპიროზე მცხოვრებ ტომებზე, ვინაიდან მის „პერიპლუსს" პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა.

2 დღევანდელ ბიჭვინტასა და აგრეთვე მისგან ჩრდილოეთით გაგრასა და პილენკოვოში აღმოჩენილია კოლხური ბრინჯაოს ცულების განძები (დაწვრ. ქორიძე 1965: 11-12).

1.3.1. ერთ შემთხვევაში კოლხეთის სამხრეთ მიჯნად დასახელებულია „მოსხების მთები“ (Μοσχικὰ ὄρη).

XI, 2, 1: „ჰენიოხების შემდეგ მდებარეობს კოლხეთი კავკასიონისა და მოსხების მთების ძირში“ (μετὰ δὲ τοὺς Ἡνιόχους ἡ Κολχίς, ὑπὸ τοῖς Καυκασίοις ὄρεσι κειμένη καὶ τοῖς Μοσχικοῖς). ეს მითითება, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე, ისე უნდა გავიგოთ, რომ კოლხეთი კავკასიონისა და მოსხების მთებს შორის არის მოქცეული. ე.ი. სამხრეთი საზღვარი „მოსხების მთებთანაა“. ამასვე მოწმობს XII, 3, 18: „მოსხური მთები მდებარეობენ კოლხეთის იქით“ (ὑπὲρ τῆς Κολχίδος); შდრ. I, 3, 21, საიდანაც აგრეთვე ჩანს, რომ „მოსხური მთები“ კოლხეთის საზღვარს ქმნიან.

დაბოლოს, საინტერესოა ისიც, რომ ერთგან სტრაბონი ერთად ასახელებს მოსხებისა და კოლხების მთებს (XI, 14, 1: „...[კავკასიონი] აღწევს არმენიელებამდე, უერთდება აგრეთვე მოსხებისა და კოლხების მთებს ე.წ. ტიბარანებამდე“ – „...ὁ Καύκασος... συνάπτων δὲ καὶ τοῖς Μοσχικοῖς ὄρεσι καὶ Κολχικοῖς μέχρι τῶν καλουμένων Τιβαρανῶν“). ეს უკანასკნელი მითითება განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან მიგვანიშნებს კოლხეთის მოსაზღვრე მოსხების მთების ტიბარანიასთან მეზობლობაზე, რაც თითქოს გამორიცხავს ამ შემთხვევაში (ე.ი. კოლხეთის მოსაზღვრედ!) მოსხების მთების იდენტიფიკაციას მცირე კავკასიონის დასავლეთ ნაწილთან, ანუ დღევანდელ აჭარა-იმერეთის ქედთან (შდრ. მუსხელიშვილი 1977: 60).

„გეოგრაფიაში“ არაერთგზის მოხსენიებული „მოსხური მთები“ (Μοσχικὰ ὄρη), როგორც ქვემოთ (იბერიის საზღვრების განხილვისას) დავინახავთ, იდენტიფიცირდება მთების იმ სისტემასთან, რომელიც იწყება ევფრატის ზემო წელზე და შემდეგ ყოფს ერთმანეთისაგან ჭოროხს, მტკვარსა და არაქსს.[1]

1.3.2. კოლხეთის სამხრეთი საზღვრის რეკონსტრუქციისათვის საყურადღებოა „გეოგრაფიის“ დაჟინებითი და არაერთგზისი მითითება იმის შესახებ, რომ კოლხეთი ძალიან ახლოს გადიოდა ტრაპეზუნტთან, თუ მის ახლოს მდებარე ადგილებთან, მცირე არმენიასა და კაპადოკიასთან.

II, 1, 3: „ამისოსიდან აღმოსავლეთისაკენ ჯერ შეგხვდება კოლხეთი (ἐκ δὲ Ἀμισοῦ πρὸς τὴν ἰσημερινὴν ἀνατολὴν φερομένῳ πρῶτον μὲν Κολχίς ἐστιν).[2]

XII, 1, 1-ში არის თითქოს მინიშნება, რომ კოლხეთი (არმენიასთან ერთად) კაპადოკიამდე აღწევდა:

1 „გეოგრაფიის“ ერთი ცნობით (XI, 14, 4), კოლხეთს თითქოს ესაზღვრებოდა ხორძენე (Χορζηνή), რომელიც, როგორც ქვემოთ ვნახავთ (იბერიის საზღვრების განხილვისას – იხ. ამავე თავში, 2. იბერია), აგრეთვე ევფრატის სათავეებთან ლოკალიზდება.

2 ამ ცნობაში, თუმც, შეიძლება იყოს ის ნიუანსი, რომ აქ იგულისხმება სანაოსნო გზა (შდრ. „გეოგრაფია“, II, 1, 5; II, 1, 11; XII, 3, 17).

Καὶ ἡ Καππαδοκία ἐστὶ πολυμερής τε καὶ συχνὰς δεδεγμένη μεταβολάς. οἱ δ' οὖν ὁμόγλωττοι μάλιστά εἰσιν οἱ ἀφοριζόμενοι πρὸς νότον μὲν τῷ Κιλικίῳ λεγομένῳ Ταύρῳ πρὸς ἕω δὲ τῇ Ἀρμενίᾳ καὶ τῇ Κολχίδι καὶ τοῖς μεταξὺ ἑτερογλώττοις ἔθνεσι.

„კაპადოკიაც რამდენიმე ნაწილისაგან შედგება და ხშირ ცვლილებებს განიცდიდა. ერთ ენაზე მოლაპარაკეები არიან განსაკუთრებით ისინი, ვინც შემოსაზღვრული არიან სამხრეთისაკენ ე.წ. კილიკიის ტავრით, აღმოსავლეთისაკენ არმენიით, კოლხეთით და ამათ შორის მოსახლე სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ტომებით"...

კაპადოკიელები (?), „რომელნიც კოლხიდამდე არიან" (μέχρι Κολχίδος) იხსენიებიან XII, 3, 2-შიც, ხოლო არმენია და კოლხიდა ერთმანეთის გვერდით იხსენიება XII, 3, 1-შიც: „...ხოლო მოპირდაპირე მხარეს მდებარე ქვეყანათაგან ადგილები ვიდრე კოლხიდამდე და მცირე არმენიამდე... არმენიასთან და კოლხიდის ირგვლივ მდებარე [ადგილები]..." (ἐπὶ δὲ τἀναντία μέχρι Κολχίδος καὶ τῆς μικρᾶς Ἀρμενίας ... τὰ μὲν πρὸς Ἀρμενίαν καὶ τὰ περὶ τὴν Κολχίδα) და ა.შ.

I, 3, 21-ში სტრაბონი (აპოლოდორეს დამოწმებით) ერთად მოიხსენიებს, როგორც მეზობელს, პონტოს სამეფოსა და კოლხეთს, ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, აგრეთვე არმენიას: „დასავლეთის იბერთა ნაწილი გადასახლდა პონტოსა და კოლხეთის ზემოთ მდებარე ადგილებში, რომლებიც, აპოლოდორეს მტკიცების თანახმად, არმენიას ესაზღვრებიან არაქსით, უფრო კი მტკვრით და მოსხური მთებით".

ასევე ხაზგასმითაა აღნიშნული ტრაპეზუნტისა და კოლხეთის მეზობლობა.

VII, 4, 3: „ტავრების მთიანეთში არის მთა ტრაპეზუნტი, თანამოსახლე იმ ქალაქისა, რომელიც (მდებარეობს) ტიბარანიასა და კოლხეთთან" (... περὶ τὴν Τιβαρανίαν καὶ τὴν Κολχίδα).

XII, 3, 17: „კერასუნტი,[1] ჰერმონასა[2]... შემდეგ ჰერმონასის მახლობლად ტრაპეზუნტი, მერე კოლხეთი[3] (Κερασοῦς τε καὶ Ἑρμῶνασσα ... εἶτα τῆς Ἑρμωνάσσης πλησίον ἡ Τραπεζοῦς, εἶθ ἡ Κολχίς). მაგრამ XII, 3, 13-დან ჩანს, რომ ტრაპეზუნტი (ფართო გაგებით: ქალაქი და მისი ტერიტორია) კოლხეთის უშუალო მეზობელია და მათ შორის არის „... ადგილები, რომლებიც მდებარეობენ ფარნა-

1 კერასუნტი (Κερασοῦς), სინოპელთა კოლონია კოლხების ქვეყანაში (ქსენოფონტი, „ანაბასისი", V, 3, 2: Σινωπέων ἄποικιον ἐν τῇ Κολχίδαι χώρᾳ. შდრ. ფსევდო-სკიმნოსი, 911) – ტრაპიზონის დასავლეთით 60 კმ-ის დაცილებით თანამედროვე სოფ. ფოლ-ბაზართან ან ქალაქ გირესუნთან (დაწვრ. Качарава-Квирквелия 1991: 127-128). სტრაბონთან მოხსენიებული კერასუნტი (XII, 3, 17) უნდა მდებარეობდეს თანამედროვე აკჩა-კალესა და ტრაპიზონს შორის ზღვის უბეში (Olshausen-Biller 1984: 141).

2 ჰერმონასა (Ἑρμώνασσα), რომელსაც უფრო ადრე ჰეკატე მილეტელი იხსენიებს (ფრ. 197), ხოლო გვიან — სხვა ავტორებიც (Arr., PPE, 24; Cl. Ptolem., V, 6, 4), ლოკალიზებულია ტრაპიზონის დასავლეთით ზღვის სანაპიროზე აკჩააბატთან (ყოფილი პოლათანე) – Olshausen-Biller 1984: 135. შდრ. Качарава-Квирквелия 1991: 75).

3 იქვე ქვემოთ დასახელებულია „მოსხური მთები, რომლებიც კოლხეთის ზემოთ მდებარეობენ" (XII, 3, 18).

კიასთან და ტრაპეზუსიასთან ვიდრე კოლხეთამდე და მცირე არმენიამდე“ (καὶ τὰ περὶ Φαρνακίαν καὶ τὴν Τραπεζουσίαν μέχρι Κολχίδος καὶ τῆς μικρᾶς Ἀρμεμίας). ტრაპეზუსიის (ტრაპეზუნტის ტერიტორიის) დასავლეთ საზღვრად ივარაუდება ფილოკალია (Philocalia) დღევანდელ კაპკალე (გიორელე) ბურუნთან (Kap Kale [Görele] Burun), ხოლო აღმოსავლეთით მდინარე ოფისთან (დღევანდელი ისტალა დერე (Istala Dere) – Janssens 1966: 97-126; Olshausen-Biller 1984: 173; Weimert 1984: 85), მაგრამ სტრაბონის ზემოთმოტანილი ცნობიდან (XII,3,13) ჩანს, რომ ტრაპეზუსია და კოლხეთი მაინც უშუალო მეზობლები არ არიან: მათ შორის უნდა მდებარეობდნენ ის ადგილები, რომლებიც პომპეუსს დეიოტარესთვის გადაუცია (XII, 3, 13).[1] თუ რა „ადგილები“ იგულისხმება აქ, განმარტებულია XIII, 3, 18-ში: „ტრაპეზუნტისა და ფარნაკიის ზემოთ ცხოვრობენ ტიბარენები, ქალდები და სანები, რომელთაც უწინ უწოდებდნენ მაკრონებს, (აქვეა) მცირე არმენია“. ამასვე იმეორებს სტრაბონი XII, 3, 28-ში: „ფარნაკიისა და ტრაპეზუნტის მახლობლად მდებარე ადგილებს ზემოთ არიან ტიბარენები და ქალდეები ვიდრე მცირე არმენიამდე“.

როდინდელ ვითარებას შეიძლება ასახავდეს სტრაბონის „გეოგრაფიაში“ წარმოდგენილი და არაერთგზის ხაზგასმით აღნიშნული მითითება კოლხეთის სამხრეთი საზღვრების აგრე შორს (ტრაპეზუსიამდე) გავრცელების შესახებ? საქმე ისაა, რომ სტრაბონის უშუალო წინამორბედ ბერძნულ მწერლობაში (ასევე მის შემდგომ!) ჩვენ ვერ ვპოულობთ რაიმე მინიშნებას კოლხეთის სახელმწიფო საზღვრების აგრე სამხრეთით გავრცელების შესახებ. ასე, მაგ., ჯერ კიდევ ძვ.წ. IV ს-ში ფსევდო-სკილაქს კარიანდელი („აზია“, 81) კოლხეთის სამხრეთ ნაწილში მიუთითებდა მდინარე აფსაროსს (Ἄψαρος ποταμός), ე.ი. დღევანდელ მდინარე ჭოროხს, ხოლო „კოლხების შემდეგ არის ტომი – ბიძერები, მდინარე დარაანონი და მდინარე არიონი“ (μετὰ δὲ τοὺς Κόλχους Βύζηρες ἔθνος καὶ Δαραανῶν ποταμὸς καὶ Ἀρὶων ποταμός – „აზია“, 82). ამის შემდეგ ტრაპეზუნტამდე დასახელებული არიან ეკექეირები (Ἐκεχειρεῖς), ბექეირები (Βεχείροι), მაკროკეფალები (Μακροκέφαλοι), რომელთა ქვეყანაშიც არის ელინური ქალაქი ტრაპეზუნტი („აზია“, 82-85).

ამრიგად, სტრაბონამდე თითქმის სამი საუკუნის მანძილზე არ მოგვეპოვება ცნობა კოლხეთის სახელმწიფო საზღვრების შორს, დღევანდელი მდინარე ჭოროხის სამხრეთით გავრცელების შესახებ, რაც როგორც ვნახეთ, სტრაბონის „გეოგრაფიაშია“ ასახული.[2] ხოლო ამ ნაწარმოების შედგენის დროს კოლხეთი

1 XII, 3, 1-ში აღნიშნულია, რომ პომპეუსმა „არმენიასთან და კოლხეთის ირგვლივ მდებარე (ადგილები) თანამებრძოლ დინასტებს დაუნაწილა“.

2 საფიქრებელია, რომ სტრაბონის „გეოგრაფიის“ გავლენითაა კლავდიოს პტოლემაიოსთანაც აღნიშნული: სამხრეთიდან კოლხეთს ესაზღვრება „კაპადოკიის პონტო და მისი მომდევნო არმენიის დიდი ნაწილი“ (V, 9, 3: ἀπὸ δὲ μεσεμβρίας τῷ ἐντεῦθεν Καππαδοκικῷ Πόντῳ παρὰ τὴν ἐκτεθειμένην γραμμὴν καὶ τῷ ἑξῆς μέρει τῆς Μεγάλης Ἀρμενίας). (შდრ. ამ ადგილის კომენტარი ლომოური 1955: 57: „პტოლემაიოსის მიერ მოცემული კოლხეთის სამხრეთი საზღვარი არც ძველი კოლხეთისათვის არის

პოლიტიკურად დასუსტებულია და მით უფრო ძნელად სავარაუდებელია მისი სამხრეთით შორს გავრცელება.

სტრაბონის „გეოგრაფიაში“ ფიქსირებულ მითითებას კოლხეთის სამხრეთით შორს (ე.ი. ტრაპეზუსიამდე და მის მიმდებარე ადგილებამდე) გავრცელების შესახებ, რომელიც არ შეესატყვისება სხვა წყაროების ჩვენებას, ყოველ შემთხვევაში ძვ.წ. IV საუკუნიდან მაინც (ფსევდო-სკილაქს კარიანდელი), შეიძლება, ჩემი აზრით, ორგვარი ახსნა მოეძებნოს:

1. „გეოგრაფიაში“ აღრეულია ეთნიკური და პოლიტიკური საზღვრები. ასე, მაგ., ქსენოფონტი კოლხებს ადასტურებს ქალაქ ტრაპეზუნტის და კერასუნტის მიდამოებში, მაგრამ როგორც ცალკე ტომს („ანაბასისი“, IV, 8, 8; IV, 8, 22; V, 2, 1-2; V, 3, 2), რომელიც, როგორც ჩანს, ამ პერიოდისათვის არ შედიოდა კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში.[1] სტრაბონი კოლხებს, როგორც ცალკე ტომს, ტრაპეზუნტის მიდამოებში აღარ იხსენიებს.[2]

2. ან (რაც შეიძლება უფრო სარწმუნო იქნეს) სტრაბონის „გეოგრაფიაში“ აისახა ძველ ბერძენთა შეხედულებანი დიდი კოლხეთის შესახებ, რომელიც დაფიქსირებულია ჰეროდოტეს „ისტორიაში“. ჰეროდოტეს ერთი ცნობით, რომელიც, როგორც ჩანს, ძვ.წ. VI ს-ის 20-იან წლებამდე არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას ასახავს,[3] მენწამულისა („სამხრეთი“) და შავ („ჩრდილოეთი“) ზღვებს შორის მხოლოდ ოთხი ხალხი მოსახლეობს: სპარსელები, მიდიელები, სასპერები და კოლხები.[4] სრულიად აშკარაა, რომ აქ პოლიტიკური მომენტებია ხაზგასმული:

სწორი და არც ჩვენი ავტორის თანამედროვე სიტუაციას უნდა გადმოსცემდეს მართებულად“).

1 ქსენოფონტის „ანაბასისში“ მოხსენიებული კოლხები, როგორც ჩანს, არიან შთამომავალნი იმ ტომებისა, რომელთაც შექმნეს ურარტულ წყაროებში მოხსენიებული ძლიერი სამეფო კოლხა. გ. მელიქიშვილის აზრით, კიმერიელთა შემოსევის შემდეგ კოლხას სამეფო გაიყო. სამხრეთით დარჩნენ ტომები, რომელნიც აღარ შესულან იმ სახელმწიფოს შემადგენლობაში, რომლის ცენტრი მდ. ფასისზე (რიონზე) მდებარეობდა (Меликишвили 1962). ქსენოფონტის „ანაბასისიდან“ კარგად ჩანს, რომ კოლხების ტომი დასავლეთით კერასუნტამდე ვრცელდებოდა, მაგრამ ძნელი დასადგენია აღმოსავლეთი საზღვარი. ყოველ შემთხვევაში, „ანაბასისიდან“ ჩანს, რომ აქ მოხსენიებულ კოლხთა საზღვარი ტრეპეზუნტიდან აღმოსავლეთითაც ვრცელდებოდა (შდრ. მიქელაძე 1967: 49-50). ამავე დროს ქსენოფონტისაგან ცნობილია, რომ არგონავტების თქმულებასთან დაკავშირებულია ქვეყანა მდინარე ფასისზე, სადაც „მეფობს აიეტის შვილიშვილი“ (V, 6, 36).

2 „გეოგრაფიის“ მიხედვით, ტრაპეზუნტისა და ფარნაკიის მახლობლად ცხოვრობენ ტიბარენები, ქალდები და სანები (შდრ. XII, 3, 18; XII, 3, 28-29). სტრაბონზე გვიანდელი ავტორებიდან კოლხებს ტრაპეზუნტის მახლობლად იხსენიებს არიანე, მაგრამ ქსენოფონტის დამოწმებით (PPE, 11). V საუკუნის ანონიმური „პერიპლუსის“ ცნობითაც: „დიოსკურიადან ანუ სებასტოპოლისიდან მოკიდებული ვიდრე აფსაროსამდე ძველად ცხოვრობდა ხალხი, რომელიც კოლხებად იწოდებოდა, ხოლო შემდეგ, ლაზებად“ (XLII, 7).

3 ჰეროდოტეს ზოგიერთ ცნობაში (შდრ. IV, 37) ასახულია მიდიის სამეფოს ძლიერების ხანა, ე.ი. ძვ.წ. VI ს-ის პირველი ნახევარი (შდრ. Меликишвили 1954: 415), ვინაიდან ცნობილია, რომ ძვ.წ. 521 წლიდან (ფრავარტიშის მარცხიანი აჯანყების შემდეგ) მიდიამ დაკარგა პოლიტიკური დამოუკიდებლობა და იქცა აქემენიდური ირანის რიგით სატრაპიად.

4 IV, 37: „Πέρσαι οἰκέυσι κατήκοντες ἐπὶ τὴν νοτίην θάλασσαν τὴν Ἐρυθρήν καλεομένην· τούτων δ᾽ ὑπεροικέουσι πρὸς βορέην ἄνεμονε Μῆδοι, Μήδων, δε Σάσπειρες, Σασπείρων δὲ Κόλχοι κατήκοντες ἐπὶ τὴν βορηίην θάλασσαν ...“.

საუბარია დიდ პოლიტიკურ ერთეულებზე.[1] ამავე დროს კოლხების უშუალო მეზობლები არიან სასპერები,[2] რომელთა საცხოვრისი ძირითადად მდ. არაქსის ზემო და ქვემო წელზე ივარაუდება (Меликишвили 1954: 415), ხოლო ჰეროდოტეს მტკიცებით (I, 104): „კოლხეთიდან მიდიამდე დიდი გადასავალი არაა, არამედ მხოლოდ ერთი ტომია ამ (ქვეყნებს) შორის. ეს არის სასპერები. ამათ რომ ჩაუვლი, ხარ მიდიაში“. ამრიგად, ჰეროდოტესთან თითქოს დაფიქსირებულია კოლხეთის ძველი სამეფოს ძლიერების ხანა, რაც ასახულია აგრეთვე ძვ.წ. VIII ს-ის ურარტულ წყაროებში კოლხას სახით (შდრ. მიქელაძე 1974: 168 და შმდ.). ე.ი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სტრაბონის „გეოგრაფიაში“ არაერთგზის ხაზგასმით აღნიშნული მითითება კოლხეთის შორს სამხრეთით („ტრაპეზუსიამდე და ტიბარანიამდე“) გავრცელების შესახებ თავისებური ანარეკლია ძველი კოლხეთის სამეფოს ძლიერების ხანისა, როდესაც მისი ტერიტორიის ერთი ძირითადი ნაწილი მოიცავდა სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის ვრცელ ტერიტორიას, რაც ურარტულ წყაროებშია დადასტურებული (Меликишвили 1962).

2. იბერია

სტრაბონის „გეოგრაფიაში“ იბერიის აღწერას ტრადიციული ისტორიული შინაარსის შესავალი,[3] თუ ექსკურსი არ ახლავს. იქნებ ეს აიხსნება იმით, რომ სტრაბონის წინადროინდელ ბერძნულ ლიტერატურაში იბერიის შესახებ ისტორიული ინფორმაცია თითქმის არ არსებობდა. „იბერების“ სახელით იხსენიებიან ჩვეულებრივ პირენეს ნახევარკუნძულზე მცხოვრებნი. პლატონის „კანონებში“ (I, 9) სკვითებთან, სპარსელებთან, კართაგენელებთან და თრაკიელებთან ერთად იხსენიებიან იბერებიც. მაგრამ ძნელია გადაჭრით ითქვას ესპანეთის იბერები იგულისხმებიან აქ, თუ კავკასიისა, ისევე როგორც არისტოტელეს „პოლიტიკაში“ (1324b 5-239), სადაც აგრეთვე ვხვდებით იბერების მოხსენიებას (ყაუხჩიშვილი 1976ა: 67). უფრო სარწმუნოა თითქოს, რომ კავკასიელ იბერებს ახსენებდა მეგასთენე[4] – ძვ.წ. IV-III სს-ის ისტორიკოსი (ვაშაკიძე 1991: 79). I ს-ის შემდეგ ბერძენ-ლათინი ავტორები ხშირად ერთმანეთის განსასხვავებლად დაუმატებენ ხოლმე „აღმოსავლელი იბერნი“, „იბერთა აღმოსავლელი ტომი“, „აზიის იბერნი“ და მით განასხვავებდნენ მათ ესპანეთის იბერთაგან, რომელთა მიმართ ამბო-

1 სხვა შემთხვევაში ამავე ტერიტორიაზე ასახელებს მრავალრიცხოვან ტომებს, რომლებიც აქემენიანთა ირანის სატრაპიებში ერთიანდებოდნენ (ჰეროდოტე, III, 97).

2 სასპერები ითვლებიან აღმოსავლურ-ქართულ ტომებად (იხ. Меликишвили 1959: 231-234) .

3 შდრ. მაგ. კოლხეთის შესახებ (XI, 2, 18): „თუ როგორ სახელგანთქმული იყო ძველად ეს ქვეყანა, ცხადჰყოფენ ამას მითები...“ (Τὸ μὲν γὰρ παλαιὸν ὅσεν ἐπιφάνειαν ἔσχεν ἡ χώρα αὕτη (Κολχίς – ო. ლ.) და ა.შ.

4 მეგასთენეს სტრაბონი იმოწმებს XV, 1, 57: „მეგასთენე ამბობს უფრო დამაჯერებლად, რომ მდინარეებს მოაქვთ ოქროს ქვიშა და ამით უხდიან ხარკს მეფეს. იგივეა იბერიაში“ (τοῦτο γὰρ καὶ ἐν Ἰβηρίᾳ συμβαίνει), მაგრამ არ ჩანს კავკასიის იბერია იგულისხმება თუ პირენეს.

ბენ „ევროპელი იბერნი“, „დასავლეთის იბერია“ (დაწვრ. ძიძიგური 1982: 46-47). ქართულ საისტორიო მწერლობაში სახელწოდება იბერია არ გვხვდება და მის შესატყვისად გვევლინება „ქართლი“ ანუ ქართლის სამეფო, რომლის შემქმნელად ითვლებოდა ძვ.წ. III ს-ში მეფე ფარნავაზი – „პირველი მეფე ქართველთა“ („ქართლის ცხოვრება“ I: 23).

იბერიის შესახებ ბერძნულ-რომაულ სამყაროში რაღაც ინფორმაცია სტრაბონამდე უთუოდ მაინც არსებობდა და ის „გეოგრაფიის“ ავტორს გამოუყენებია კიდეც. ის თვითონვე წერს, რომ იბერების (ისევე როგორც ალბანელების) შესახებ „ზოგი რამ ვიცით მათგან, ვინც აღწერა პართელთა ომები, მათ შორის არის აპოლოდორე არტემიტელი“[1] (II, 5, 12).

სტრაბონის „გეოგრაფია“ არსებითად ჩვენამდე შემონახული პირველი ნაწარმოებია, რომელშიც კავკასიის იბერიის აღწერილობაა წარმოდგენილი, მათ შორის მისი გეოგრაფიული და პოლიტიკური საზღვრებისა. ამასთან ზოგიერთი ცნობა (მაგ., XI, 14, 5) გვიჩვენებს იბერიის ზოგიერთი ტერიტორიის დაკარგვას მეზობელი არმენიის გაძლიერების შედეგად (ძვ.წ. II და I ს-ში), რაც, თავის მხრივ, გვაძლევს საშუალებას აღვნიშნოთ იბერიის პირვანდელი საზღვრებიც, ე.ი. ძვ.წ. III ს-ისა, როდესაც შეიქმნა იბერიის სამეფო.[2]

სტრაბონის მიერ აღწერილ იბერიაში ოთხი შესასვლელის მიხედვით (XI, 3, 4-5) ჩანს, რომ იბერია მოქცეული იყო კავკასიონის ქედს, ალბანიას, არმენიასა და კოლხეთს შორის, ე.ი. დაახლოებით დღევანდელ აღმოსავლეთ საქართველოს და ამჟამად მის სამხრეთით მდებარე ტერიტორიაზე. მაგრამ სტრაბონის „გეოგრაფია“ უფრო კონკრეტული მსჯელობის საფუძველსაც გვაძლევს.

2.1. იბერიის ჩრდილოეთი საზღვარი „კავკასიონის მთებითაა“ (Καύκασος, Καυκάσια ὄρη) შემოფარგლული (XI, 3, 2; XI, 3, 5; XI, 14, 1).[3] ვრცელდებოდა თუ არა იბერიის ტერიტორია კავკასიონის ქედს გადაღმა, „გეოგრაფიიდან“ თითქოს არ ჩანს,[4] თუმც, უფრო გვიანდელი წყაროების (Plin., NH, VI, 30, 40; Tacit., Ann., VI, 33) მითითებათა საფუძველზე იქმნება შთაბეჭდილება, რომ იბერია აკონტროლებ-

1 იბერებთან დაკავშირებით აპოლოდორე არტემიტელი (Ἀπολλόδωρος ὁ Ἀρτεμιτηνός – „პართების ისტორიის“ ავტორი (ძვ.წ. II ს.) დამოწმებულია აგრეთვე I,3,21-ში. იხსენიებიან აგრეთვე არისტობულე და პატროკლე (XI, 7, 4), ერატოსთენე (XI, 2, 1).

2 იბერიის სამეფოს შესახებ დაწვრ. იხ. ლორთქიფანიძე ოთ. 2002: 248 და შმდ.)

3 შდრ. XI,3,2: „... ქვეყნის ნაწილი კავკასიონის მთებითაა გარშემორტყმული“ (... τῆς χώρας τὰ μὲν κύκλῳ τοῖς Καυκασίοις ὄρησι περιέχεται).

4 „გეოგრაფიის“ XI, 3, 5-ის ჩვენების საფუძველზე: „ჩრდილოეთით მცხოვრები მომთაბარეებიდან დაახლოებით სამი დღის ძნელი ამოსასვლელია, ხოლო ამის შემდეგ არის საცალფეხო გზა მდინარე არაგოსის ვიწრო ხეობაში, დაახლოებით ოთხი დღის სავალი, ხოლო გზის ბოლო ძნელად ასაღები კედლით არის გამაგრებული“. ვარაუდობენ (ჯანაშია 1952: 251), რომ ამ ცნობაში „ძნელად ასაღები კედლის“ სახით იგულისხმება დარიალ-ბალთის რაიონი, მაგრამ კონტექსტიდან ჩანს, რომ ეს კედელი მდებარეობს „არაგვის ვიწრო ხეობაში“ შემავალი „გზის ბოლოს“ (Φρουρεῖ δὲ τὸ πέρας τῆς ὁδοῦ τεῖχος δύσμαχον). „გზის ბოლოდ“ უნდა მივიჩნიოთ მდინარე არაგვის ქვედა წელი, ქალაქ მცხეთის მიდამოები. ამას მხარს უჭერს არქეოლოგიური სიტუაციაც (იხ. ქვემოთ, ამ წიგნში თავი VII).

და კავკასიონის ქედის გადაღმა საუღელტეხილო გზებსაც (ჯანაშია 1952: 251-252; შდრ. მუსხელიშვილი 1977: 181).

2.2. დასავლეთით, იბერიისა და კოლხეთის საზღვარზე მდებარეობდა „სიმაგრე სარაპანისი“ („გეოგრაფია“, XI, 3, 4: Σαραπανά), რომელიც დღევანდელ შორაპანთანაა იდენტიფიცირებული (დაწვ. იხ. ქვემოთ თავი VII, §ა5). საინტერესოა, რომ შორაპნის ციხეს იბერიის დასავლეთ საზღვარზე ასახელებენ ძველი ქართული წყაროებიც („ქართლის ცხოვრება“: 24). ასე რომ, იბერიის ტერიტორია დასავლეთით სურამის ქედის რამდენადმე დასავლეთით ვრცელდებოდა[1] და მიუყვებოდა სკანდა-შორაპნის ხაზს (ჯანაშია 1952: 251-252).

2.3. იბერიის აღმოსავლეთით მოსაზღვრედ „გეოგრაფიაში“ (XI, 3, 5; XI, 4, 1) დასახელებულია ალბანია, რომელიც, როგორც ცნობილია, დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარეობდა (სტრაბონის ცნობით – „იბერებსა და კასპიის ზღვას შორის“ – μεταξὺ τῶν Ἰβήρων καὶ τῆς Κασπίας (XI, 4, 1).

„გეოგრაფიის“ XI, 4, 5-ში აღნიშნულია, რომ „იბერიიდან ალბანიაში შესასვლელი არის უწყლო და ოღრო-ჩოღრო კამბისენეზე მდინარე ალაზონიოსთან“.

2.3.1. კამბისენე (Καμβυσηνή)[2] „გეოგრაფიაში“ სულ სამგზის იხსენიება. გარდა უკვე ზემოთციტირებული ცნობისა (XI, 4, 5), კიდევ ორგან, მაგრამ ურთიერთისაგან რამდენადმე განსხვავებული ინფორმაციით:

XI, 4, 1 : „... კამბისენე, სადაც იბერებსა და ალბანელებს ერთდროულად ესაზღვრებიან არმენიელები“.

XI, 14, 4: „(არმენიის) ... უკიდურესი ჩრდილოეთის მხარეები არიან ხორძენე და კამბისენე, განსაკუთრებით თოვლიანი, ეკვრიან კავკასიის მთებსა და იბერიას და კოლხეთს“.[3]

ამრიგად, ერთ შემთხვევაში კამბისენე იბერიის, ალბანიისა და არმენიის სასაზღვრო ქვეყანაა (XI, 4, 1. შდრ. აგრეთვე XI, 4, 5), ხოლო მეორეში – არმენიის შემადგენელი ნაწილია (XI, 14, 4). უნდა ვიფიქროთ, რომ შესაძლოა ამ ცნობებ-

1 ამის დასტურადაა მიჩნეული „გეოგრაფიის“ მითითება (ერატოსთენედან(?) მომდინარე): „ზოგი ტოტი ამ მთისა (კავკასიონის – ო. ლ.) მიემართება სამხრეთისაკენ, გარს ერტყმის შუა იბერიას და ერთვის არმენიის მთებს“ (XI, 2, 15). აქ „კავკასიონის ზოგიერთ ტოტში“ შეიძლება მართლაც იგულისხმებოდეს როგორც სურამის ქედი (დასავლეთით), ასევე აღმოსავლეთით ცივგომბორის ქედი (ჯანაშია 1952: 252-253), რამდენადაც ეს ორი ტოტი მართლაც გარს ერტყმის იბერიის ძირითად ნაწილს (ამ ორ ქედს შორის რომაა მოქცეული). თუმც, რა თქმა უნდა, ეს ზუსტად „შუა იბერია“ (Ἰβηρίαν μέσην) არაა, მაგრამ შესაძლოა ეს ცნობა გავიგოთ ისე, რომ იბერიის ტერიტორია ვრცელდება აგრეთვე ამ ორი ქედის („კავკასიონის ტოტების“) ორსავე მხარეს (დასავლეთით და აღმოსავლეთითაც).

2 Καμβυσηνή-ს ვარიანტების შესახებ იხ. Cook 1959: 20.

3 რამდენადმე გაუგებარია მითითება, რომ „არმენიის უკიდურესი ჩრდილოეთის მხარეები ხორძენე და კამბისენე... ეკვრიან კავკასიის მთებს“. თუ ეს კიდევ რამდენადმე გასაგებია კამბისენეს მიმართ, სრულიად მოულოდნელია ხორძენეს მიმართ, რომელიც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ლოკალიზდება მდ. ევფრატის სათავეების მახლობლად, მისგან ჩრდილოეთით.

ში, ისევე როგორც სხვა შემთხვევაშიც, სხვადასხვა დროის ვითარებაა ასახული: კამბისენეს არმენიის ქვეყნად გამოცხადება (XI, 14, 4) უფრო ძვ.წ. II-I სს-ის ვითარებას შეესატყვისება, ხოლო დანარჩენი ორი (XI, 4, 1, და XI, 4, 5) უფრო ადრინდელ ვითარებას – ძვ.წ. III ს.–II ს-ის 80-იან წლებამდე, ე.ი. ვიდრე იბერია დაკარგავდა თავისი ტერიტორიის ნაწილს არმენიის ექსპანსიის შედეგად ძვ.წ. II ს-ში (შდრ. მელიქიშვილი 1970ე: 464, 467).

კამბისენე, საერთო აღიარებით, შეესატყვისება ადრე შუა საუკუნეების ქართული და სომხური წყაროების კამბეჩანა-კამბეჩოვანს. ბერძნული კამბისენესა და ქართულ-სომხურ კამბეჩანა-კამბეჩოვანს შორის ფონეტიკური შესატყვისობა სავსებით აშკარაა. ამასთან ქართულის პირველადობაც თითქოს ეჭვს არ უნდა იწვევდეს (ტოპონიმი ნაწარმოებია ქართული სიტყვიდან კამეჩი//კამბეჩი).[1] კამბეჩანა-კამბეჩოვანი[2] დღევანდელ შირაქის ველთან იქნა იმთავითვე გაიგივებული (შდრ. კაკაბაძე 1924: 30; ჯავახიშვილი 1951: 422-423; ჯანაშია 1952: 257), ხოლო უფრო ზუსტად კი – მდ. ალაზნის ქვემო წელსა და მტკვარს შორის მოქცეულ ვრცელ ტერიტორიასთან, რომელზედაც მიედინებოდა მდ. იორი.[3] სავარაუდებელია, რომ იბერიას თავდაპირველად ეკავა კამბისენე-კამბეჩანის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი: მდ. ალაზანისა და იორს შორისი შირაქის ველიანად.[4] ამასთან საზღვარი უფრო მდ. ალაზანთან სიახლოვეს უნდა ყოფილიყო,[5] რასაც მოწმობს სტრაბონის ორი ცნობაც: XI, 4, 5 – „იბერიიდან ალბანიაში შესასვლელი არის უწყლო და ოღრო-ჩოღრო კამბისენეზე, რომელიც ჰდინარე ალაზო-

1 XVIII ს-ის ქართველი გეოგრაფოსის ვახუშტი ბაგრატიონის განმარტებით: ‚ამას ეწოდა პირველ კამბეჩოვანი კამბეჩთა სიმრავლისათვის“ (ვახუშტი: 543). არსებობს სხვა მოსაზრებაც: „კამბას“– ძირიანი სახელები თითქოს უკავშირდება სომხეთსა და მის მეზობელ მხარეებში გავრცელებულ მდინარის ღვთაების სახელწოდებას, რომელიც შემონახულია აქემენიდური ირანის მეფის კამბისის სახელში (Струве 1947: 120-121). ამ მოსაზრების კრიტიკა იხ. მელიქსეთ-ბეგი 1960: 245. შდრ. პაპუაშვილი 1970: 35).

2 სახელწოდება „კამბეჩანა“, „კამბეჩოვანი“ (რომელიც დაედო საფუძვლად ბერძნულ კამბისენეს: Καμβυσηνή) ძველ ქართულ წერილობით წყაროებში პირველად IX ს-ის მწერლის არსენ საფარელის თხზულებაში გვხვდება. ძველ სომხურ წყაროებში VIII ს-შია დადასტურებული; უფრო გვიან იხსენიება არაბულ წყაროებში (პაპუაშვილი 1970: 33 და შმდ.). მაგრამ საყურადღებოა, რომ ძველ ქართულ წყაროებში იგი ფიგურირებს უკვე ახ.წ. I ს-ის 70-80-იანი წლების მოვლენების აღწერისას, კერძოდ, საუბარია „კამბეჩოის დაბანაკებულ იბერიის მეფეებზე – არმაზელ და აზორკზე (ამ დროს იბერიაში ორმეფობაა), რომელთაც სომხეთი დაულაშქრავთ (ქართლის ცხოვრება: 45-46).

3 ამ მხარის აღსანიშნავად ქართულ წყაროებში XV ს-დან გვხვდება სახელწოდება ქიზიყი. ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონმა შენიშნა: „... ეწოდა პირველ კამბეჩოვანი, კამბეჩთა სიმრავლისათვის, შემდგომ ქისიყი“. ამასთან მის აღმოსავლეთ საზღვრად დასახელებულია მდინარე ალაზანი ხოლო სამხრეთით – მდინარე მტკვარი (ვახუშტი: 543).

4 გასათვალისწინებელია, რომ ქართულ წყაროებში ამ ტერიტორიაზე სასაზღვრო ციხედ დასახელებულია ხორანთა („ქართლის ცხოვრება“: 5; ვახუშტი: 527, 539-541), რომელიც ლოკალიზდება მდინარეების იორისა და ალაზნის შეკრებისას, მაგრამ მდინარე ალაზნის მარჯვენა ნაპირზე, სადაც დადასტურდა ვრცელი ნაქალაქარი ანტიკური და ადრე შუა საუკუნეებისა (ჭილაშვილი 1968: 59-60).

5 ამ ადგილების თანამედროვე ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება – „გ.ნირჩევა უწყლობით, მწირი მცენარეულობით და ნიადაგურ საბურველს მოკლებული ბედლენდების ფართო გავრცელებით“ (ჯაოშვილი 1970: 237) – ძალიან ახლოა სტრაბონისეულთან: „უწყლო და ოღრო-ჩოღრო კამბისენე (XI, 4 ,5).

ნიოსთან არის...“ და XI, 3, 5 – „ალბანიიდან (იბერიაში) შემოსასვლელი ... გადადის ჭაობზე, რომელსაც ჰქმნის მდინარე ალაზონიოსი“.

ამრიგად, იბერიასა და ალბანეთს შორის საზღვარი კამბისენე//კამბეჩანაში ძვ.წ. III ს-დან უფრო მდ. ალაზანთანაა საგულვებელი[1] (დაწვრ. მუსხელიშვილი 1966: 28-34). მაგრამ ამ საზღვრის კიდევ უფრო დაზუსტება ძველი ქართული საისტორიო წყაროებითაა შესაძლებელი. „(ქართლის) მეფეთა ისტორიის“ მიხედვით იბერიის (ქართლის) პირველი მეფის ფარნავაზის მიერ შექმნილი აღმოსავლეთი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულის (საერისთაოს) – კახეთის საზღვარი ვრცელდებოდა „ვიდრე ჰერეთამდე“ („ქართლის ცხოვრება“: 24). ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, ალბანიის დასავლეთ ნაწილს წარმოადგენდა (დაწვრ. პაპუაშვილი 1970: 115 და შმდ.). ქართლსა (იბერიასა) და ჰერეთს შორის საზღვარი, ძველი ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით, იწყებოდა დაახლოებით მდინარე მტკვრისა და ქციის შესართავთან – ხუნანთან, შემდეგ გასდევდა მდ. მტკვარს მდ. მწარე-წყლის შესართავზე, შემდეგ აყვებოდა ამ მდინარეს, რომელიც გადასერავდა ყარაის ველს მდ. იორამდე და აქედან სამების ხევით საზღვარი აღწევდა გომბორის გადასასვლელამდე და შემდეგ მიყვებოდა თურდოს ხეობას ალაზნამდე და აქედან ზევით მდ. შტორის დინების აყოლებით კავკასიონის ქედამდე (ლომოური 1955: 8-9; მუსხელიშვილი 1966: 15; პაპუაშვილი 1970: 99-100). აქ საინტერესოა, რომ XVIII ს-ის ქართველი ისტორიკოსის და გეოგრაფის ცნობით, თურდოს ხეობაში არის „გულგულა, რომელს ეწოდა პირველი ტყე-ტბა. ეს ხევი არს საზღვარი ჰერეთისა და კახეთისა“ (ვახუშტი 1973: 547). გულგულას ჰერეთის მოსაზღვრე პუნქტად უფრო ადრე ასახელებს „მეფეთა ისტორიაც“ („ქართლის ცხოვრება“: 5[2]; შდრ. იქვე, გვ. 244).

2.4. იბერიის სამხრეთი საზღვრის შესახებ „გეოგრაფიაში“ რამდენიმე მითითებაა.

2.4.1. „გეოგრაფიის“ ცნობით, მდინარე მტკვარი „...ვიწრო ჭალებით ჩადის ალბანიაში“ (XI, 3, 2). ეს „ვიწრო ჭალები“ („...διὰ στενῆς ποταμίας“) იდენტიფიცირებულია მდინარე მტკვრის იმ მონაკვეთთან, რომელიც დღევანდელ თბილის-

1 ძველი ქართული და ანტიკური წყაროები თვალნათლივ მოწმობენ იბერიის საზღვრების გაფართოებას აღმოსავლეთით მეზობელი ალბანეთის ტერიტორიისკენ. ასე მაგ., პლინიუსის ცნობით (NH, VI, 29) იბერიასა და ალბანეთს მიჯნავენ მდ. ოკაზენე (Okazene), რომელიც ალაზონიოსის დამახინჯებულ გადმოცემადაა მიჩნეული. მეორე მხრივ, ქართული წყაროებით უკვე იბერიის მეოთხე მეფე ფარნავჯომი, რომლის მეფობა ძვ.წ. II ს-ის პირველ ნახევარში ივარაუდება, აარსებს ნეკრესს („ქართლის ცხოვრება““: 29), რომელიც მდ. ალაზნის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა (დღევანდელი სოფ. შილდის მახლობლად, ყვარლის რაიონში. შდრ. „ყვარლის ზეით მთასა შინა არს ნეკრესი“ = ვახუშტი: 545; შდრ. ჭილაშვილი 1968: 13 და შმდ.). იბერიის აღმოსავლეთი საზღვრის შესახებ ანტიკური ეპოქის სხვადასხვა მონაკვეთზე იხ. ლომოური 1955: 5-11; მუსხელიშვილი 1966: 28 და შმდ.; 1977: 54; პაპუაშვილი 1970: 93 და შმდ.

2 ხელნაწერის არშიაზე არის მინაწერი: „ჰერეთი არის მცირის ალაზნით ამოღმართ ვიდრე გულგულამდე ცივს (ე.ი. გომბორი – ო. ლ.) აქედან და ვიდრე აზანბურამდე და მტკვრამდე“.

თან ყარაიამდეა[1] მოქცეული (მუსხელიშვილი 1966: 12, შენ. 31). ამრიგად, იბერიის უკიდურესი სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი (ალბანიის მოსაზღვრედ) მისდევდა მდინარე მტკვარს[2] ყარაიადან თბილისამდე (მუსხელიშვილი 1977: 54).

2.4.2. იბერიის სამხრეთი ტერიტორიების ძირითადი ნაწილი ესაზღვრებოდა არმენიას, საიდანაც იყო შემოსავლელი იბერიაში „მტკვრის ვიწროებზე და არაგოსისაზე" (XI, 3, 5).

იბერიის სამხრეთი საზღვრის დასადგენად მნიშვნელოვანია „გეოგრაფიის" XI, 14, 5, რომელშიაც დაცულია ცნობა, რომ არტაქსიამ და ზარიადრემ, ანტიოქე დიდის ყოფილმა სარდლებმა,[3] არმენიას შეუერთეს მეზობელი მიწები:

συνηύξεσαν, ἐκ τῶν περικειμένων ἐθνῶν ἀποτεμόμενοι μέρη, ἐκ... Ἰβήρων δὲ τήν τε παρώρειαν τοῦ Παρυάδρου καὶ τὴν Χορζηνήν καὶ Γωγαρηνήν, πέραν οὖσαν τοῦ Κύρου.

„... ჩამოაჭრეს იბერებს პარიადრეს კალთები, ხორძენე და გოგარენე, რომელიც მტკვრის გადაღმა არის".

ეს აქცია უნდა განხორციელებულიყო ძვ.წ. II ს-ის 80-იან წლებში ან მის შემდეგ. ამრიგად, ჩვენ ხელთ გვაქვს უაღრესად საყურადღებო ინფორმაცია იბერიის თავდაპირველი ტერიტორიის შესახებ ქვეყნის სამხრეთ ნაწილში. ამიტომ ზემოთ მოტანილ ცნობაში დასახელებული ერთეულების იდენტიფიკაციას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება იბერიის საზღვრებისა და შემადგენელი ერთეულების რეკონსტრუქციისათვის, როგორც სტრაბონის დროისათვის, ისე უფრო ადრეული ხანისათვის.

2.4.2a. გოგარენეს (Γωγαρηνή) სტრაბონი მხოლოდ ორჯერ ახსენებს და ორივეჯერ მდინარე მტკვართან სიახლოვეს – XI, 14, 4: „...შემდეგ არის საკასენე. ეს ემეზობლება ალბანიას და მდინარე მტკვარს. შემდეგ არის გოგარენე".

XI, 14, 5: „არტაქსიამ და ზარიადრემ ჩამოაჭრეს იბერებს „პარიადრეს კალთები, ხორძენე და გოგარენე, რომელიც (ე.ი. გოგარენე) არის მტკვრის გადაღმა".

გოგარენეს მეზობლად დასახელებული საკასენე (Σακασενή), რომელსაც სტრაბონი იხსენიებს აგრეთვე XI, 7, 2, XI, 8, 4 და XI, 14, 4-ში, იდენტიფიცირებულია

1 ყარაია (ყარაიაზი) ეწოდება მტკვრისპირა ველს, ახლანდელი ქალაქ რუსთავის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

2 ამ ხაზზე მდებარეობდა ქართულ წყაროებში მოხსენიებული ქალაქი რუსთავი, რომელიც საზღვრის კონტროლის ფუნქციასაც ასრულებდა, მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიულად ხელსაყრელი მდებარეობა არ ეკავა (ჭილაშვილი 1968: 48).

3 იგულისხმება სელევკიდური სირიის მმართველი ანტიოქე დიდი – სელევკ კალინიკეს ძე, რომელიც ძვ.წ. 223 წლიდან გამეფდა. არტაქსია და ზარიადრე კი არმენიის სამეფოების დამაარსებლები არიან: არტაქსია სოფენეში გამეფდა, ხოლო ზარიადრე – არტაქსაში („გეოგრაფია", XI, 14, 5; XI, 14, 15). ეს მოხდა ძვ.წ. 189 წელს ანტიოქე III-ის მაგნესიასთან დამარცხების შემდეგ.

სომხური წყაროების შაკაშენესთან მდინარე მტკვრის ხეობაში (Adonz 1970: 324), დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, ე.წ. კიროვაბადის რაიონში (პაპუაშვილი 1970: 20).

ბერძნულ-რომაული წყაროებიდან გოგარენეს თითქოს იხსენიებდა აგრეთვე კლავდიოს პტოლემაიოსი.[1]

აღიარებულია, რომ სტრაბონის გოგარენე შეესატყვისება სომხური წყაროების გუგარქს (ჯავახიშვილი 1950: 25; Adonz 1970: 225-226, 424-425; ჯანაშია ლ. 1962: 176-177), რომელიც თავდაპირველად[2] მოიცავდა დღევანდელი ქვემო ქართლის, ე.ი. სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილს – არსებითად მდინარე მტკვრის შესართავი მდინარეების ალგეთ-ქციას, ხრამისა და დებედას ხეობებს, ე.ი. იმ ტერიტორიას, რომელსაც ქართულ-სომხური წყაროები უწოდებენ ტაშირს ფართო გაგებით (მუსხელიშვილი 1977: 146-148; შდრ. ბერძენიშვილი დ. 1979: 21-23).

გოგარენე-გუგარქი ქართულ საისტორიო წყაროებში ამ სახელწოდებით არ იხსენიება. დ. მუსხელიშვილის აზრით, მისი ადგილობრივი ქართული სახელწოდება უნდა ყოფილიყო „გოგარანი“ (Мусхелишвили 1982: 15). ამ თვალსაზრისით საინტერესოა კავკასიის არქეოლოგიური კომისიის „აქტებში“ 1802 წლისათვის მდ. დებედის სათავეებში (ბამბაკის ხეობა, სადაც ლოკალიზებულია ძველი კანგარქი – თავდაპირველი გოგარენე//გუგარქის ერთ-ერთი ძველი ძირითადი ნაწილი – შდრ. Toumanoff 1963: 185-191, 446-471, 498-499) დადასტურებული სოფელი „გოგარანი“. იგივე სახელწოდება აღნიშნულია მეფის რუსეთის გენერალური შტაბის ხუთვერსიან რუკაზეც. ამჟამად ეს სოფელი სომხეთის რესპუბლიკის შემადგენლობაშია და მას „გუგარქი“ ჰქვია (დაწვრ. მუსხელიშვილი 1977: 151, შენ. 23). ამის საფუძველზე ივარაუდება, რომ ქართული გოგარანი, რომელსაც სტრაბონი გოგარენეს ფორმით გადმოგვცემს, მოიცავდა ქვემო ქართლს დებედას ხეობითურთ (მუსხელიშვილი 1977: 55). ეს მიწა-წყალი ბუნებრივადაა შემოზღუდული – სამხრეთით მაღალი მთებით გამიჯნული, ხოლო ჩრდილოეთით გადადის მტკვრისპირა ვაკეში (ჯავახიშვილი 1919: 21). ამ ტერიტორიაზე ქართულ წყაროებში, როგორც სასაზღვრო ციხე, მოხსენიებულია ხუნანი,[3] რომელიც ლოკალიზებულია მდინარე მტკვრისა და დღევანდელი მდინარე ძეგამის (ძველი ქართული წყაროების ბერდუჯის) შეერთე-

1 Claud. Ptol. XII, 9: „... παρὰ δὲ τὸν Κῦρον ποταμὸν ἡ τε Τωσσαρηνή.“ ამ უკანასკნელი სახელის ვარიანტად ზოგიერთ ხელნაწერშია Ὠβαρηνή (Codex Parisinus N 1401, 1402, 1403; Cod. Paris. Supplem. N 119; Codex Urbanas (raec. 82) ან Ὠγαρηνή (Cod. Paris. 1404; Cod. Paris. Cocsil. N 337; Vat.). ამიტომ ვარაუდობენ, რომ შეიძლება აქ საქმე გვქონდეს სტრაბონისეული Γωγαρηνή-ს დამახინჯებულ ფორმასთან (დაწვრ. ლომოური 1955: 49, შენ. 2; 61, შენ. 6).

2 დ. მუსხელიშვილმა უჩვენა, რომ სომხური წყაროების გუგარქი IV-V სს-ში უფრო ვრცელ ტერიტორიას (არსებითად მთელს საქართველოს) მოიცავდა, ვიდრე სტრაბონისეული გოგარენე (დაწვრ. გუგარქის ეთნიკური და პოლიტიკური ისტორიის შესახებ იხ. მუსხელიშვილი 1977: 146-153; Мусхелишвили 1982 და იქ დასახ. ლიტ.).

3 ასე მაგ., ქართლის სამეფო (იბერია) არის „ხუნანიდან ვიდრე ზღუამდე სპერისა“ (ქართლის ცხოვრება: 81

ბის ადგილას (ჭილაშვილი 1958: 195; ჭილაშვილი 1968: 50; შდრ. ბერძენიშვილი დ. 1979: 50), ე.ი. გოგარენა//გოგარენე – გოგარქის[1] და, შესაბამისად, იბერიის აღმოსავლეთ საზღვარზე. ამრიგად, დგინდება, რომ იბერიის სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი (სომხეთის მიერ ანექსიამდე) მისდევდა თანამედროვე მდ. ძეგამის (ძველი ქართული წყაროების ბერდუჯის) ხეობას ამ მდინარის სათავეებამდე. აქედან იბერია-სომხეთის საზღვარი იმ დროს გასდევდა მტკვარ-არაქსის წყალგამყოფს, ვიდრე მდ. მტკვრის სათავეებამდე (მუსხელიშვილი 1977: 55), რასაც მოწმობს „გეოგრაფიაში“ მოხსენიებული ზოგიერთი ერთეულის იდენტიფიკაცია.

2.4.2b. ხორძენე (Χορζηνή) „გეოგრაფიაში“ ორგზის იხსენიება (XI, 14, 4 და 5), როგორც არმენიის ოლქი, რომელიც იბერიას ჩამოაჭრეს გოგარენასა და პარიადრეს მთიანეთის ნაწილთან ერთად. სხვა წყაროები ამ სახელით მას თითქოს არ იხსენიებენ. გამოთქმულია მოსაზრება, რომ სტრაბონის ხორძენე შეესატყვისება აპიანეს ხოტენეს (ჯანაშია 1952: 91-92), ხოლო აპიანეს თხზულებიდან („მითრიდატიკა“, 101) ჩანს, რომ ხოტენე, რომელიც მაშინ სომხეთს ეკუთვნოდა (ისევე როგორც სტრაბონისეული ხორძენე)[2], მაგრამ იქ იბერები მოსახლეობდნენ,[3] მდებარეობდა დაახლოებით მდ. ევფრატის სათავესა და მდ. აფსაროსის (დღევანდელი მდ. ჭოროხი, რომელიც ქ. ბათუმის სამხრეთით მიერთვის შავ

1 მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, სახელწოდება „გოგარენე-გუგარქი“ ეთნიკური შინაარსის მატარებელია. ა. შანიძის მტკიცებით, იგი ეთნიკურ-გეოგრაფიული ტერმინია, რომელშიც გამოიყოფა წარმომავლობის აღმნიშვნელი მეგრულ-ჭანური (ე.ი. ძველი კოლხური) სუფიქსი – „არ“: გოგ-არ ე.ი. გოგ-ელ-ი ან გუგ-არ, ე.ი. გუგ-ელ-ი (Шанидзе 1916: 369). გ. მელიქიშვილის აზრით, „გოგ“ ძირში შესაძლოა შემორჩენილია სკვითების სახელწოდება, ხოლო სახელ „გოგარენეს“ წარმოქმნა მიუთითებს ამ ტერიტორიაზე სკვითური ტომების ჩამოსახლებაზე და მათი პოლიტიკური ჰეგემონიის დამყარებას, რაზეც სხვა ტოპონიმიკური მონაცემებიც მიუთითებს (სტრაბონი, „გეოგრაფია“, XI, 8, 4; სახელწოდება საკასენე სკვითური ტომის საკებისაგან მომდინარეობს – Меликишвили 1954: 224). დ. მუსხელიშვილის მტკიცებით, გუგარქი დაკავშირებულია გუგარ-ებად სომხურ წყაროებში მოხსენიებული, მათ მეზობლად მცხოვრები ქართული მოსახლეობის სახელთან. გუგარქსაც (რაც სომხურად ნიშნავს „გუგართა“ ქვეყანას) ეთნიკურად ქართულ ტერიტორიად მიიჩნევდნენ (მუსხელიშვილი 1977: 150-153; Мусхелишвили 1982: 10-15).

2 გამოთქმულია მოსაზრება, რომ სტრაბონისეულ ხორძენეს და აპიანეს ხოტენეს შეესატყვისება კლავდიოს პტოლემაიოსის მიერ მოხსენიებული კატარძენე (Καταρζηνή: XII,9). ზოგიერთ ხელნაწერში Καταρζηνή–ს ნაცვლად არის Κοραζηνή, რაც ახლოსაა სტრაბონისეულ Χορζηνή -სთან (მუსხელიშვილი 1977: 60). კლავდიოს პტოლემაიოსის მიერ დასახელებულ ბოხებს (Βόχαι) იხსენიებს აგრეთვე სტეფანე ბიზანტიელი (s.v. Βόγχαι) ქალაქ კარინის (დღევანდელი ერზერუმის) მიდამოებში, რის საფუძველზე მათ საცხოვრისს ვარაუდობენ „ევფრატის ხეობის მიჯნიდან – მტკვრის ხეობის მიჯნამდე, კერძოდ, მდ. ოლთისის-წყლის სათავეებში (შუა საუკუნეების ქართული პროვინციის ტაოს სამხრეთი ნაწილი – ინგოროყვა 1954: 429). ბოხების „ზემოთ მდებარე“ კატარძენეს ამიტომ ევფრატსა და ჭოროხს შორის ათავსებენ და მას ხორძენე-ხოტენესთან აიგივებენ (ხაზარაძე 1970: 54-55). უნდა აღინიშნოს განსხვავებული მოსაზრებაც: კატარძენე (Καταρζηνή) წარმოადგენს კალარძენეს (Καλαρζηνή–) დამახინჯებულ გადმოცემას და შეესატყვისება შუა საუკუნეების ქართული პროვინციის კლარჯეთის სახელწოდებას (ლომოური 1955: 61, შენ. 4; Müller, I, 2, 937). საინტერესოა აგრეთვე, რომ ტომის და მათი ქვეყნის აღმნიშვნელი სახელი „კატარზა“ (Katarza) იხსენიება ურარტუს მეფის არგიშტი I-ის წარწერებში დაახლოებით დღევანდელი ლენინაკანის მიდამოებში (Меликишвили 1954: 64; Меликишвили 1959: 113-114; Меликишвили 1960: 225-229, წარწერა 127, V, № 128).

3 შდრ. აპიანე, „მითრიდატიკა“, 101: „(მითრიდატე) შეიჭრა ხოტენეში, არმენიაში. იქ მან უკუაგდო ხოტენები და იბერები...“

ზღვას) ზედა ზოლს შორის (მუსხელიშვილი 1977: 55-56; ხაზარაძე 1970: 54), ე.ი. იგულისხმება დაახლოებით დღევანდელ ისპირს, თორთუმს, ერზერუმსა და ბაიბურთს შორის მოქცეული ტერიტორია, რომელიც შემდგომაც შუა საუკუნეების ქართულ პროვინციებში – ტაოსა და კლარჯეთში შედიოდა.[1] ამ ტერიტორიაზეა დამოწმებული ტოპონიმი „ხორზიანის ველი“ (იხ. ჯანაშია 1952: 93-94).[2] ამრიგად, იბერიის სახელმწიფო საზღვარი სამხრეთ-დასავლეთით ფიქსირდება, ერთი მხრივ, დღევანდელ მტკვარ-ჭოროხის, ხოლო მეორე მხრივ, ევფრატ-არაქსის წყალგამყოფზე, რის მოწმობადაა მიჩნეული (მუსხელიშვილი 1977: 56) აგრეთვე აპოლოდორეს ცნობა, სტრაბონის „გეოგრაფიაში“ რომაა შემონახული: იბერები „აპოლოდორეს მტკიცების თანახმად, არმენიას ესაზღვრებიან არაქსით, უფრო კი მტკვრით და მოსხური მთებით“ (I, 3, 21).

2.4.2c. პარიადრე (Παρυάδρης) „გეოგრაფიაში“ იხსენიება რვაჯერ: XI, 2, 15; XI, 12, 4; XI, 14, 1; XI, 14, 5; XII, 3, 18; XII, 3, 28; XII, 3, 30 (აქ ორჯერაა მოხსენიებული). მათგან ერთხელ აღნიშნულია, რომ პარიადრეს კალთები (παρώρεια τοῦ Παρυάδρου) ხორძენესთან და გოგარენესთან ერთად ჩამოაჭრეს იბერიას (XI, 14, 5); მეორეგან (XII, 3, 28) მოცემულია მისი დახასიათება: „არის წყლით მდიდარი, ტყიანი და მრავალგან დაღარულია ციცაბო ხეობებით და კლდეებით; ამიტომ იყო აქ მოწყობილი მეტი წილი განძთსაცავებისა...“ დანარჩენ შემთხვევებში მისი ადგილმდებარეობაა მინიშნებული. XII, 3, 28-ში ორიენტირად დასახელებულია ის, რომ „პომპეუსის მიერ დევნილი მითრიდატე აქ გამოიქცა, პონტოს სამეფოს ამ უკიდურეს (კუთხეში), დაიპყრო დასტირასთან[3] აკილისენეს წყალუხვი მთა (მახლობლად იყო ევფრატიც, რომელიც საზღვრავდა აკილისენეს[4] მცირე არმენიისაგან) და აქ ცხოვრობდა მანამ, სანამ ალყაშემორტყმული იძულებული არ გახდა გაქცეულიყო მთების გადაღმა კოლხეთში. პომპეუსმა მცირე არმენიაში სწორედ ამ ადგილთან ააშენა ქალაქი ნიკოპოლისი,[5] რომელიც დღემდე არსებობს და კარგად არის დასახლებული“.

ამრიგად, ამ ცნობის მიხედვით, პარიადრეს მოსაზღვრედ თუ მახლობლად დასახელებული არიან მცირე არმენია, ევფრატი, კოლხეთი, აკილისენე, ხოლო

1 შუა საუკუნეების საქართველოს ამ თემებისა და მათი ისტორიული გეოგრაფიის შესახებ იხ. ჯავახიშვილი 1948: 61-64.

2 ხორძენე-ხოტენეს ლოკალიზაციის შესახებ სხვა მოსაზრებებიცაა გამოთქმული. მაგ., ი. მანანდიანის აზრით (Манандян 1940: 98-99), ის დღევანდელ ოლთისსა და არდაგანს შორის მდებარეობდა. პ. ინგოროყვა (ინგოროყვა 1954: 433) თვლის, რომ ხორძენე მდებარეობდა მდ. ევფრატის ხეობაში, სახელდობრ მდინარე ევფრატის შენაკადის გაილის სათავეებში (ქალაქ კოლობერდის სექტორში).

3 დასტირა (Δάστειρα) ზუსტად ლოკალიზებული არაა. ივარაუდება ევფრატზე (Olshausen-Biller 1984: 124-125).

4 აკილისენე (Ἀκιλισηνή) მდებარეობდა მდინარე ევფრატის სათავეებში. დღევანდელი ერზინკანი (ძველი ერიზა) ითვლება მის ცენტრად (Olshausen-Biller 1984: 112-127 და იქ დასახ. ლიტ.).

5 ნიკოპოლისი (Νικόπολις) მდებარეობდა მცირე არმენიისა და პონტოს საზღვარზე, თანამედროვე სოფელ იეშილაიალასთან (Yeshilayala, ყოფილი Pürk) – Olshausen-Biller 1984: 151.

თვითონ განსაზღვრულია, როგორც პონტოს სამეფოს უკიდურესი კუთხე. ყეღლაფერი მიუთითებს, რომ პარიადრე ე.წ. პონტოს მთაგრეხილის ზონაში მდებარეობდა, რაც ადრევე იყო აღნიშნული, მაგრამ თანამედროვე პარხალთან გაიგივებული (დაახლოებით მდ. ჭოროხის შუა წელზე).

პარიადრეს ადგილმდებარეობა დაზუსტებულია XII, 3, 30-ში: „ფარნაკიას ეკვრის სიდენე და თემისკირა. ამათ ზემოთ მდებარეობს ფანარეა და უჭირავს პონტოს საუკეთესო ნაწილი... მის აღმოსავლეთ მხარეს მიჰყვება პარიადრე... პარიადრის კალთებზე გაშენებულია კაბეირა, 150-მდე სტადიონით უფრო სამხრეთით მაგნოპოლისზე, რამდენადაც ამასია მისგან დასავლეთით არის დაშორებული...“. აქ დასახელებული (და აგრეთვე XII, 3, 18) გეოგრაფიული ნომენკლატურა მეტწილად კარგადაა იდენტიფიცირებული: სიდენე (Σιδήνη)[1] მხარეა პონტოში, რომელიც ეკვროდა ფარნაკიას დღევანდელი მელეტ-ირმაკის მიდამოებში (Olshausen-Biller 1984: 166; Weimert 1984: 1104-1105); თემისკირა (Θεμίσκυρα)[2] სიდენეს დასავლეთითაა მდ. თერმოდონტის (ე.ი. დღევანდელი თერმე-ჩაის) ველზე.[3] ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ფანარეა (Φανάροια),[4] რომლის „აღმოსავლეთითაა“ სწორედ პარიადრე. ფანარეაზე, სტრაბონისავე ცნობით (XII, 3, 30), მიმდინარეობს მდინარეები ლიკოსი (აწინდელი კელკიტ-ჩაი) და ირისი (დღეს იეშილ-ირმაკი),[5] ხოლო მათი შეერთების ადგილას არის ქალაქი ევპატორია (Εὐπατορία), რომელსაც პომპეუსმა მაგნოპოლისი (Μαγνόπολις) უწოდა. ამ უკანასკნელის ნაშთები იდენტიფიცირებულია ზემოდასახელებული მდინარეების შეერთებისას, მდ. კელკიტ-ჩაის მარცხენა ნაპირზე დღევანდელ სოფ. კიზილჩობუკის მახლობლად (Olshausen-Biller 1984: 39). ამრიგად, ფანარეა არსებითად მდინარე ირისსა და ლიკოსს (ე.ი. დღევანდელ კელკიტ-ჩაისა და იეშილირმაკს) შორისაა (დაწვრ. Weimert 1984: 21); პარიადრე კი ფანარეას აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით მდებარე მთებია. მის ადგილმდებარეობას აზუსტებს სტრაბონის მითითება: „პარიადრეს კალთაზე გაშენებულია კაბეირა (Κάβειρα), 150-მდე სტადიონით უფრო სამხრეთით მაგნოპოლისზე...“ (XII, 3, 30). ქალაქი კაბეირა კი (რომელიც სხვა წყაროებში იხსენიება აგრეთვე ნეოკესარეია, დიოსპოლისი, სებასტე სახელებით) იდენტიფიცირებულია დღევანდელ ნიკსართან, რომელიც მდებარეობს მდინარე კელკიტ-ჩაის (ძველი ლიკოსის) მარჯვენა შენაკადის ჩანაქსის ნაპირზე, მთასთან, რომელსაც ახლა Čanik Dağlar (ე.ი. ჭანეთის

1 იხ. აგრეთვე „გეოგრაფია“, I, 3, 7; II, 5, 25; XII, 3, 15-16.

2 იხ. აგრეთვე „გეოგრაფია“, I, 3, 7; II, 5, 25; XI, 2, 15; XI, 5, 4; XII, 3, 9; XII, 3, 16-18; XII, 3, 30.

3 თერმისკირაზე მიედინებოდა აგრეთვე მდინარე ირისი, რომელიც აღწევდა სტრაბონის საშობლო ქალაქ ამასიამდე („გეოგრაფია“, XII, 3, 15), ხოლო სიდენეს მხარეში იყო ქალაქი სადა, საიდანაც იყო მისი მასწავლებელი გრამატიკოსი ტირანიონი (XII, 3, 16). ასე რომ, ამ ადგილების შესახებ სტრაბონს ჯათელი წარმოდგენა უნდა ჰქონოდა.

4 „გეოგრაფია“, II, 1, 15; XII, 3, 15; XII, 3, 30-32.

5 დასახელებული მდინარეების იდენტიფიკაციის შესახებ იხ. Ruge 1916: 2045; Ruge 1927: 239); Magie 1950: 177ff.

მთები) ეწოდება (დაწვრ. Olshausen-Biller 1984: 44; Weimert 1984: 25; Özgon 1991: 39). ამრიგად, აშკარაა თითქოს, რომ პარიადრეს სახელით სტრაბონი იხსენიებს ე.წ. ჩრდილო ანატოლიური მთების იმ სისტემას, რომელიც იწყება შავი ზღვის სანაპიროს ახლოს მდინარე იეშილ-ირმაკის შესართავთან და შემდეგ მისდევს კელკიტ-ჩაის მარჯვენა სანაპიროს. ესაა დღევანდელი სახელდებით Čanik Dağlar (ე.ი. ჭანეთის მთები), ხოლო იმ ნაწილში, რომელიც არმენიამ ჩამოაჭრა იბერიას, როგორც ჩანს, იგულისხმება მდინარე კელკიტ-ჩაის სათავეებთან აღმართული მთები, რომელსაც ამჟამად გიუმიუშანე დაგ (Gümüşhane Dağ) ჰქვია.[1] ასეთი იდენტიფიკაცია ეთანხმება სტრაბონის ცნობას, რომ პარიადრესთან ერთად იბერებს არმენიამ ჩამოაჭრა ხორძენე, რომელიც, როგორც ვნახეთ, აგრეთვე ივარაუდება დღევანდელ გიუმიუშანეს თემის აღმოსავლეთ ნაწილსა და ბაიბურთის თემში, ე.ი. სწორედ გიუმიუშანეს მთების ძირში.

2.4.2d. პარიადრეს იდენტიფიკაცია საშუალებას გვაძლევს მეტ-ნაკლები სიზუსტით განვსაზღვროთ სხვა მის გვერდით დასახელებული მთების ადგილმდებარეობაც, რომელთაგან ზოგიერთი იხსენიება იბერიისა და არმენიის მოსაზღვრედ, მაგალითად, „მოსხების მთები“.[2]

„გეოგრაფიაში“ (XI, 2, 15) აღნიშნულია:

XI,2,15: Ἀγκῶνες δέ τινες αὐτοῦ προπίπτουσιν ἐπὶ τὴν μεσημβρίαν, οἳ τήν τε Ἰβηρίαν περιλαμβάνουσι μέσην καὶ τοῖς Ἀρμενιων ὄρεσι συνάπτουσι καὶ τοῖς Μοσχικοῖς καλουμένοις, ἔτι δὲ τῷ Σκυδίσῃ καὶ τῷ Παρυάδρῃ· ταῦτα δ' ἐστί μέρη τοῦ Ταύρου πάντα, τοῦ ποιοῦντος τὸ νότιον τῆς Ἀρμενίας πλευρόν, ἀπερρωγότα πως ἐκεῖθεν πρὸς ἄρκτον καὶ προπίπτοντα μέχρι τοῦ Καυκάσου καὶ τῆς Εὐξείνου παραλίας.

„კავკასიონის ზოგიერთი ტოტი მიემართება სამხრეთისაკენ, გარს ერტყმის შუა იბერიას და ერთვის არმენიის მთებს, და მოსხისებად წოდებულთ, აგრეთვე სკიდისეს და პარიადრეს: ყველა ესენი არიან ტავრის ნაწილები, რომელიც (ე.ი. ტავრი – ო. ლ.) ჰქმნის არმენიის სამხრეთ ნაწილს. (ტავრის ეს ნაწილები) როგორღაც აქედან მოწყვეტილი არიან ჩრდილოეთისაკენ და გრძელდებიან კავკასიონამდე და ევქსინის სანაპირომდე...“

1 შდრ. ჯანაშია 1952: 270; ინგოროყვა 1954: 484-486; მუსხელიშვილი 1977: 54 შმდ.

2 შდრ. XI, 12, 4: „...ევფრატის გადაღმა მცირე არმენიასთან, ანტიტავროსის მიყოლებით, ჩრდილოეთისაკენ გადაჭიმულია დიდი და მრავალტოტიანი მთა. მის ნაწილს უწოდებენ პარიადრეს. მისი მეორე ნაწილი არის მოსხების მთები (Μοσχικὰ ὄρη), ხოლო მესამე ნაწილს სხვადასხვა სახელი აქვს. ესენი გარს ერტყმიან მთელ არმენიას იბერიამდე და ალბანებამდე“ (ταῦτα δ' ἀπολαμβάνει τὴν Ἀρμενίαν ὅλην μέχρι Ἰβήρων καὶ Ἀλβανῶν). I, 3 ,21: „დასავლეთის იბერთა ნაწილი გადასახლდა პონტოსა და კოლხეთის ზემოთ მდებარე ადგილებში (რომლებიც, აპოლოდორეს მტკიცების თანახმად, არმენიას ესაზღვრებიან არაქსით, უფრო კი მტკვრით და მოსხური მთებით)“. ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ ამ ცნობაში ორი სხვადასხვა დროის მდგომარეობაა წარმოდგენილი: ადრინდელი (აპოლოდორეს დროინდელი, ე.ი. ძვ.წ. II ს-ის მეორე ნახევარი), როდესაც თითქოს იბერიისა და არმენიის საზღვარი არაქსზე გადიოდა, და გვიანდელი (ძვ.წ. I ს.), როდესაც იბერები არმენიას უკვე მდინარე მტკვრითა და მოსხური მთებით ესაზღვრებიან (ჯანაშია 1952: 254-255; მუსხელიშვილი 1977: 56; ხაზარაძე 1984: 51; Меликишвили 1959: 137).

მაშასადამე, პარიადრე, სკიდისე და მოსხური მთები არის ერთიანი სისტემა, რომელიც გამოეყოფა ტავროსს და ანტიტავროსის ჩრდილოეთით მდებარეობს (იხ. აგრეთვე XI, 12, 4). მთების ეს ერთიანი სისტემა უკავშირდება კავკასიონს და გადის შავ ზღვაზე. ამრიგად, თითქოს აშკარაა, რომ თანამედროვე გეოგრაფიული ნომენკლატურით ესაა ჩრდილოეთანატოლიური მთების სისტემა, რომელიც არ წარმოადგენს ერთიან განუწყვეტელ რიგს, არამედ იყოფა ზღვის სანაპიროს პარალელურად მთისშორისი ღრმა ხეობებით დანაწევრებული მთების რამდენიმე რიგად. გამოიყოფა ზღვისპირა და შიდა რიგი ჩრდილოეთ ანატოლიის მთებისა, რომელნიც აღმოსავლეთით უერთდებიან სამხრეთ კავკასიონის მთების სისტემას (შდრ. Даркот 1959: 23). ამრიგად, სტრაბონის „გეოგრაფიაში“ წარმოდგენილი გეოგრაფიული აღწერა მეტ-ნაკლებად ზუსტად შეესატყვისება რეალურ ვითარებას, რომელიც ფიქსირებულია თანამედროვე სამეცნიერო გეოგრაფიულ ლიტერატურაში, მაგრამ სირთულე მდგომარეობს „გეოგრაფიაში“ მოხსენიებული ცალკეული ერთეულების იდენტიფიკაციაში, რამდენადაც ჩრდილოეთ ანატოლიის მთების სისტემა უაღრესად დანაწევრებულია და ვშიშობ, რომ ყოველთვის ზუსტად იქნეს შესაძლებელი იმის დადგენა, თუ კონკრეტულად რომელ მონაკვეთზეა საუბარი. საქმეს ართულებს ისიც, რომ არამცთუ სხვადასხვა დროს, არამედ ახლად გამოცემულ რუკებსა თუ გეოგრაფიულ ნარკვევებში დღესაც ისინი სხვადასხვა სახელით მოიხსენიება. ამით აიხსნება ისიც, რომ ხშირად სხვადასხვა მკვლევართა მიერ ერთნაირად იდენტიფიცირებული ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეულები სხვადასხვაგვარი ახალი სახელწოდებებით აღინიშნება. სტრაბონის „გეოგრაფიაში“ წარმოდგენილი ჩვენთვის ამჯერად საინტერესო მთების (პარიადრე, სკიდისე, მოსხების და ა.შ.) „გეოგრაფიის“ მიხედვით იდენტიფიკაციაც შეიძლება იყოს უაღრესად ჰიპოთეტური და პირობითი. ჩემი აზრით, მეტ-ნაკლები სიზუსტით და დარწმუნებით შეიძლება, როგორც უკვე ვნახეთ, პარიადრეს იდენტიფიკაცია, რაც შეიძლება მიჩნეულ იქნას ამოსავალ ორიენტირად მის გვერდით მოხსენიებული მთების ადგილმდებარეობის განსასაზღვრავად. პარიადრეს გვერდით კი, როგორც ვნახეთ, დასახელებული არიან სკიდისე და მოსხური მთები.

სკიდისე (Σκυδίσης), გარდა ზემოხსენებული მითითებისა (XI, 2, 15), კიდევ ორჯერაა „გეოგრაფიაში“ მოხსენიებული (XI, 14, 1; XII, 3, 18) და ორივეჯერ პარიადრესთან კონტექსტში.

XI, 14,1 : „კავკასიონი... აღწევს არმენიელებამდე, უერთდება აგრეთვე მოსხებისა და კოლხების მთებს ეგრეთწოდებულ ტიბარანებამდე. დასავლეთისკენაც არის ეს ტომები და პარიადრე და სკიდისე მცირე არმენიამდე და მდინარე ევფრატის ოლქებამდე, რომელიც გამოყოფს არმენიას კაპადოკიისა და კომაგენისაგან“. ამ ცნობით პარიადრე და სკიდისე თითქოს არის „მცირე არმენიამდე“ და ევფრატამდე (μέχρι τῆς μικρᾶς Ἀρμενίας καὶ τῆς τοῦ Εὐφράτου ποταμίας).

ამ მითითების საფუძველზე სკიდისე უნდა ვიგულვოთ პარიადრეს მახლობლად და სადღაც მცირე არმენიის მოსაზღვრე მთად, ხოლო ორივე ერთად მცირე არმენიის დასავლეთ საზღვრად.

სკიდისეს ადგილმდებარეობა XII, 3, 18-შია თითქოს დაზუსტებული: „ტრაპეზუნტისა და ფარნაკიის ზემოთ ცხოვრობენ ტიბარანები, ქალდები და სანები, რომელთაც უწინ უწოდებდნენ მაკრონებს. [აქავეა] მცირე არმენია. ამ ადგილების ახლოს ცხოვრობენ აპაიტები, უწინდელი კერკიტები. ამ ადგილებზე გადაჭიმულია სკიდისე, კლდოვანი მთა, რომელიც უერთდება მოსხურ მთებს, რომლებიც კოლხიდის ზემოთ მდებარეობენ. [სკიდისეს] მწვერვალები უჭირავთ ჰეპტაკომეტებს“.

განსაკუთრებით საინტერესოა: „[სკიდისეს] მწვერვალები უჭირავთ ჰეპტაკომეტებს“ (Ἑπτακωμῆται), ე.ი. „შვიდსოფლელებს“. გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ჰეპტაკომეტები“ შესაძლოა იყო ელინიზებული ფორმა ადგილობრივი სახელწოდებისა „შკვიდიში“, რაც ადგილობრივი მეგრულ-ჭანური (ე.ი. ძველი კოლხური) მოსახლეობის ენაზე ნიშნავს შვიდს (მეგრ. შკვითი) და შესაძლოა შეესატყვისება სტრაბონისეული, იქვე მცხოვრები ჰეპტაკომეტების (ე.ი. შვიდსოფლელების) სახელწოდებას (ჯავახიშვილი 1913: 45). იგივე სახელწოდებას ხედავენ ქსენოფონტის მიერ „ანაბასისში“ (IV, 7, 18; IV, 8, 1) მოხსენიებულ სატომო სახელში „სკვითინები“ (Σκυθινοί), რომელიც ადგილობრივი სახელის „შკვითინების“ ბერძნულ გადმოცემას უნდა წარმოადგენდეს (მიქელაძე 1967: 131).[1] მათ მეზობლად ასახელებს ქსენოფონტი მაკრონებს, რომელთაც სტრაბონის დროს, როგორც ვნახეთ, სანები ეწოდებათ, ხოლო მათ მახლობლადაა „გადაჭიმული სკიდისე“ („გეოგრაფია“, XII, 3, 19). ასე რომ, ქსენოფონტისეული „სკვითინების“ საცხოვრისი შესაძლოა ემთხვეოდა კიდევაც სკიდისეს მთებს. „სკვითინები“ კი ლოკალიზებული არიან პონტოს მთაგრეხილის იმ ნაწილში, რომელიც მდებარეობს ჭოროხის ქვემო წელიდან ტრაპეზუნტის ხაზამდე (მიქელაძე 1967: 132-133); ამგვარ ლოკალიზაციას მხარს უჭერს სტრაბონის ცნობაში სკიდისეს ერთ-ერთ ორიენტირად ტრაპეზუნტის, ფარნაკიას (რომელიც თანამედროვე გირესუნთანაა გაიგივებული – Olshausen-Biller 1984: 156) და „მათ ზემოთ“ ტიბარენების ტომისა და მცირე არმენიის მოხსენიება, რაც აზუსტებს სკიდისეს ადგილმდებარეობას. ესაა ჩრდილოეთ ანატოლიის მთების ის ნაწილი, რომელიც დღევანდელი მდინარე ჰარშიტ ჩაის შესართავიდან იწყება (ძველი ფარნაკიის რამდენადმე აღმოსავლეთით), რკალისებურად გასდევს ზღვის სანაპიროს და მთავრდება ჭოროხის შესართავთან, ხოლო მისი განშტოება უერთდება მცირე კავკასიონს. თანამედროვე თურქეთის რუკაზე ამ მთის ცალკეული ნაწილები აღნიშნულია შემდეგი სახელწოდებებით: ძიგანა დაგლარ (Zigana Dağlar – ჰარშიტ ჩაის გაყო-

1 არსებობს სხვა მოსაზრებაც: ეს სახელი თითქოს მომდინარეობს სკვითების სატომო სახელისაგან და თითქოს უნდა აღნიშნავდეს იმ სკვითების შთამომავალთ, რომელნიც ძვ.წ. VIII ს-ში შეიჭრნენ მცირე აზიაში (Максимова 1951: 274, შენ. 31).

ლებით), ხოლო შემდეგ (მდინარე ჭოროხის გაყოლებაზე და მის შესართავამდე) სოგანლი (Soğanli), რიზე (Rize) და კაჩკარ (Kaçkar).[1] ძნელი სათქმელია მხოლოდ: სტრაბონის „გეოგრაფიაში", კერძოდ, XI, 3, 18-ში (სადაც სკიდისე არმენიის მოსაზღვრე მთადაა დასახელებული) იგულისხმება მთლიანად მთელი ზემოთ დასახელებული მთები (ე.ი. ჰარშიტ ჩაის შესართავიდან ჭოროხის შესართავამდე), თუ მისი ერთ-ერთი განშტოება? საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში იგულისხმება ძიგანას, სოგანლისა და ნაწილობრივ რიზეს მთები.[2]

ახლა შეიძლება მივუბრუნდეთ მოსხური მთების იდენტიფიკაციას.

მოსხურ მთებს (Μοσχικὰ ὄρη) სტრაბონი იხსენიებს ექვსჯერ, მათგან ერთხელ I წიგნში (3, 21), ოთხჯერ XI წიგნში (2, 1; 2, 15; 12, 4; 14, 1) და ერთხელ XII-ში (3, 18). აქედან I, 3, 21-ში აპოლოდორეა დამოწმებული, რომელიც თითქოს „მოსხების მთებს" მტკვართან ერთად არმენიის საზღვრად თვლიდა.

XI, 2, 1-ში მოსხური მთები კავკასიონის მთებთან ერთადაა მოხსენიებული კოლხეთის ადგილმდებარეობის განსასაზღვრავად („ἡ Κολχίς, ὑπὸ τοῖς Καυκασίοις ὄρεσι κειμένη καὶ τοῖς Μοσχικοῖς"). ეს ცნობა, ალბათ, ისე უნდა გავიგოთ, რომ კოლხეთი მოსხურ მთებსა და კავკასიონს შორისაა მოქცეული.

XI, 2, 15-ში მოსხური მთები სკიდისესთან და პარიადრესთან ერთადაა დასახელებული: „[კავკასიონის] ზოგიერთი ტოტი მიემართება სამხრეთისაკენ, გარს ერტყმის შუა იბერიას და ერთვის არმენიის მთებს და მოსხისებად წოდებულთ, აგრეთვე სკიდისეს და პარიადრეს. ყველა ესენი არიან ტავრის ნაწილები, რომელიც (ე.ი. ტავრი – ო. ლ.) ჰქმნის არმენიის სამხრეთ ნაწილს..."

XI, 12, 4-ში ზემოთმოტანილ ცნობასთან შედარებით დაზუსტებულია „ტავრის ნაწილი", რომელთანაც „მოსხური მთებია" დაკავშირებული: „ტავრის ჩრდილოეთით წარმოქმნილია ბევრი განტოტება; ერთია, რომელიც იწოდება ანტიტავროსად. ეს მთაა, ეგრე რომ იწოდება, და იგი სოფენეს გამოჰყოფს ხეობაში, რომელიც მდებარეობს ანტიტავროსსა და ტავრს შორის. ხოლო ევფრატის გადაღმა მცირე არმენიასთან, ანტიტავროსის მიყოლებით, ჩრდილოეთისაკენ გადაჭიმულია დიდი და მრავალტოტიანი მთა. მის ნაწილს უწოდებენ პარიადრეს; მისი

1 ამგვარი ლოკალიზაცია განსხვავდება ს. ჯანაშიას მოსაზრებისაგან, რომლის თანახმად „აკიდისე ის მთებია, რომლებიც გირესუნ-კერასუნტისა და ტრაბზონ-ტრაპეზუნტის ხაზზე გასდევს შავი ზღვის სანაპიროს (ჯანაშია 1952: 266, შდრ. Olshausen-Biller 1984: 167 – გაიგივებულია გირესუნის მთებთან) და უახლოვდება პ. ინგოროყვას მტკიცებას, რომ სკიდისე „რქმევია პარხალის მთებს, ე.ი. მთების იმ სისტემას, რომელიც იწყება მდ. ჭოროხის შესართავიდან, მიჰყვება ჭოროხის ხეობას და ლაზეთს – ვიდრე ტრაპიზონის ზონამდე (ინგოროყვა 1954: 484).

2 ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ქსენოფონტის „ანაბასისში" (IV, 7, 18-22) მოხსენიებული ტომები – სკვითინები (Σκυθινοί) შეესატყვისებიან სტრაბონისეულ ჰეპტაკომეტებს, რომელთაც ეპყრათ სკიდისეს მწვერვალები („გეოგრაფია", XIII, 3, 18). ქსენოფონტის ცნობიდან კი ჩანს, რომ სკვითინები სახლობდნენ იმ მთების კალთებზე, სადაც იყო ყველაზე მაღალი ადგილი „მთა სახელით თეხესი" („ანაბასისი", IV, 7, 21: ὄνομα δὲ τῷ ὄρει ἦν Θήχης). დასახელებული მთა იდენტიფიცირებულია ზიგანას უღელტეხილთან (Hoffmeister 1912: 347-348), საიდანაც განხორციელდა ქსენოფონტის ღაშქრის გადასვლა სკვითინების ქვეყნიდან ტრაპეზუნტისაკენ (სწორედ ამ მთებიდან დაინახავენ ბერძნები პირველად ზღვას – დაწვრ. მიქელაძე 1967: 42-43).

მეორე ნაწილი არის მოსხების მთები, ხოლო მესამე ნაწილს სხვადასხვა სახელი აქვს. ესენი გარს ერტყმიან მთელ არმენიას იბერებამდე...“

XI, 14, 1-ში ერთადაა დასახელებული „მოსხებისა და კოლხების მთები“ (ეს უკანასკნელი კი „გეოგრაფიაში“ სხვაგან არ იხსენიება) ე.წ. ტიბარანიამდე. იქვეა აღნიშნული, რომ მისგან დასავლეთისაკენ“ („... ἀπὸ δὲ τῆς ἑσπέρας ....“) არის „პარიადრე და სკიდისე – მცირე არმენიამდე და ევფრატის ვიწრობებამდე, რომელიც გამოყოფს არმენიას კაპადოკიისა და კომაგენისაგან“.

XII, 3, 18-ში მოსხური მთები კვლავ სკიდისესთანაა დასახელებული და კოლხეთის მოსაზღვრედ; ამასთან აღნიშნულია, რომ „სკიდისე უერთდება მოსხურ მთებს, რომლებიც კოლხეთის ზემოთ მდებარეობენ“.

მოსხური მთების ლოკალიზაციაში მკვლევართა შორის ერთგვარი აზრთა სხვადასხვაობაა. ჯერ კიდევ XVIII ს-ში ქართველმა ისტორიკოსმა და გეოგრაფოსმა „ძველ ღეოგრაფიაში“ მოხსენიებული „მოსხის მთა“ გააიგივა დევებოინისის, ირიჯლუს, ყალნუს და თორთუმის მთებთან (ვახუშტი 1973: 658, შენიშვნა 2 – ხელნაწერის არშიაზე მინაწერი, შდრ. გვ. 687 და შენიშვნა 1). ვახუშტის თხზულებაში დაცული ცნობებისა და მის მიერვე შედგენილი რუკების შესწავლის საფუძველზე დადგენილია, რომ დასახელებული მთები დღევანდელი ჭოროხ-არაქსისა და ჭოროხ-მტკვრის წყალგამყოფი ქედებია (ხაზარაძე 1984: 37-42). სხვა მოსაზრებათაგან დავასახელებ ზოგიერთს. ს. ჯანაშიას აზრით, სტრაბონის „მოსხური მთები ჭანეთის მთებია, აღმოსავლეთ პონტოს მთაგრეხილის აღმოსავლეთი ნაწილი... მდ. ჭოროხის ქვემო დინებიდან ტრაპეზუნტ-ბაიბურთის მიდამოებამდე...“ (ჯანაშია 1952: 256-258, 266). პ. ინგოროყვას აზრით კი, „მოსხური მთები ეწოდებოდა მთავარ წყალთაგამყოფ ქედს, რომელიც ჰყოფს ჭოროხისა და მტკვრის ხეობას არაქსისა და ევფრატის ხეობებიდან და აგრეთვე ამ მთავარი ქედის მთავარ განშტოებას ე.წ. „დევებუინის შტოს“ (ინგოროყვა 1954: 484-485). ასეთი ლოკალიზაცია უახლოვდება XVIII ს-ის ქართველი გეოგრაფის ვახუშტი ბაგრატიონის ზემოთმოტანილ მოსაზრებას. დ. მუსხელიშვილის მტკიცებით, სტრაბონის „მოსხების მთები“ ერთ შემთხვევაში (XI, 2, 1) შეიძლება გულისხმობდეს დღევანდელ „მესხეთის ან აჭარა-იმერეთის“ ქედს, რომელიც სტრაბონისეული „მოსხიკეს“ (დღევანდელ სამცხეს) ჩრდილოეთ საზღვარს წარმოადგენდა, ხოლო სხვა შემთხვევაში (კერძოდ, XII, 12, 4) „სტრაბონის „მოსხების მთები“ გულისხმობს ჭოროხ-მტკვრის აუზის, ერთი მხრივ, და ევფრატ-არაქსის, მეორე მხრივ, წყალგამყოფს“. საბოლოოდ ამ მოსაზრების ავტორის დასკვნა ასეთია: „სტრაბონთან სახელწოდება „მოსხების მთები“ მიემართება ქედების ორ სისტემას, რომელთაგან ერთი მესხეთს საზღვრავდა ჩრდილოეთიდან და მიჯნავდა კოლხეთისაგან (დღევანდელი მესხეთის – აჭარა-იმერეთის ქედი), ხოლო მეორე – სამხრეთიდან და მიჯნავდა სომხეთისაგან. ასეთ ვითარებაში უნდა ვივარაუდოთ, რომ ცნობაში, რომელიც მას (სტრაბონს – ო. ლ.) აპოლოდორესთან დაკავშირებით მოაქვს, მოსხების მთებით იგი არა თანადროულ საზღვარს

აღნიშნავს, არამედ სწორედ ძვ.წ. III ს-ისას, როდესაც ხორძენე და პარიადრეს მთიანეთი, ე.ი. ჭოროხის მთელი აუზი, ქართლის სამეფოში შედიოდა (მუსხელიშვილი 1977: 56-60). დაახლოებით იგივე აზრია გატარებული ნ. ხაზარაძის მტკიცებაშიც: „მოსხური მთების“ სახელწოდებით ძვ.წ. I – ახ.წ. II საუკუნეების ბერძნულ მწერლობაში აღინიშნებოდა მთების ორი სხვადასხვა რიგი. ამათგან ერთი (ჩრდილოეთით მდებარე) კოლხეთის სამხრეთ საზღვარზე მდებარეობდა (მცირე კავკასიონის დასავლეთი რაიონი), ხოლო მეორე (სამხრეთით მდებარე) — იბერიას საზღვრავდა არმენიისაგან (ჭოროხ-მტკვრის, ჭოროხ-ევფრატის და ევფრატ-არაქსის წყალგამყოფი ქედები) (ხაზარაძე 1984: 50).

ზემოდასახელებული მოსაზრებანი (ვახუშტის, პ. ინგოროყვას, დ. მუსხელიშვილის, ნ. ხაზარაძის) მოსხური მთების ლოკალიზაციასთან დაკავშირებით სადღეისოდ თითქოს ოპტიმალურია და გასაზიარებელი, თუმც მეჩვენება, რომ „მოსხური მთების“ სახელით მთების ორი სხვადასხვა რიგის მოხსენიება საბოლოოდ დამტკიცებულად ვერ ჩაითვლება. კერძოდ, რა საფუძველი არსებობს, რომ „მოსხურ მთებად“ ვიგულისხმოთ აგრეთვე მცირე კავკასიონის დასავლეთი რაიონი („მთა ღადო ანუ ფერსათი, და მთა აჭარა-გურიის შორისი“, რომელსაც, ვახუშტის ცნობით, მის დროს (XVIII საუკუნე) მართლაც ერქვა „მოსხის“ მთა“ (ვახუშტი 1973: 659)? საინტერესოა, რომ როდესაც ვახუშტი ახსენებს „ძველ ღეოგრაფიას“, მაშინ „მოსხების მთებად“ დასახელებულია მხოლოდ „მთათა დევებოინისა, ირიჯლუსი, ყალნუსა და თორთუმისა“ (ვახუშტი 1973: 658, სქოლიო მეორე; 687, სქოლიო 1), ე.ი. სამხრეთით მდებარე მთები (შდრ. ხაზარაძე 1984: 37-41). რომ „მოსხური მთების“ სახელწოდებით სტრაბონის „გეოგრაფიაში“ თითქოს იხსენიება აგრეთვე მცირე კავკასიონის დასავლეთი ნაწილი (თანამედროვე იმერეთ-გურია-აჭარის ქედი) არსებითად მხოლოდ ისაა, რომ „მოსხების მთები“ დასახელებულია კოლხეთის მოსაზღვრედ.[1] მაგრამ განა შეიძლება დაბეჯითებით მტკიცება იმისა, რომ კოლხეთის სახელმწიფო საზღვარი სამხრეთით მუდამ მცირე კავკასიონის დასავლეთ ნაწილს, ე.ი. აჭარა-იმერეთის ქედს გასდევდა? არც სტრაბონის „გეოგრაფიაში“ (და არც სხვა წყაროებში) თითქოს ასე არაა.[2]

„გეოგრაფიაში“ მოსხების მთების ადგილმდებარეობისათვის შემდეგი მსაზღვრელებია საკმაოდ ნათლად მოცემული:

1. მოსხების მთები (Μοσχικὰ ὄρη) იმავე ოროგრაფიულ სისტემაშია მოქცეული, რომელშიც არიან პირველ რიგში პარიადრე და სკიდისე (XI, 2, 15; XI, 12, 4; XII, 3, 18); 2. პარიადრე და სკიდისე მათგან „დასავლეთითაა“ (XI, 14, 1); 3. მათ უერთდება სკიდისე (XII, 3, 18); 4. მათთან ერთად სკიდისე და პარიადრე, როგორც ტავრის ნაწილები (!) უერთდებიან კავკასიონის იმ ტოტს, რომელიც „მოე-

1 შდრ. I, 3, 21; XI, 2, 1; XI, 14, 1; XII, 3, 18.

2 დაწვრ. იხ. ამავე წიგნში. პირიქით, ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ სტრაბონის „გეოგრაფიით“ კოლხეთის საზღვარი საკმაოდ შორს სამხრეთით ვრცელდებოდა.

მართება სომხეთისაკენ და გარს ერტყმის შუა იბერიას და არმენიის მთებს“ (XI, 2, 15);[1] 5. პარიადრესთან ერთად ნაწილია იმ მრავალტოტიანი მთისა, რომელიც ანტიტავროსის მიყოლებითაა ჩრდილოეთით, ევფრატის გადაღმა მცირე არმენიასთან (XI, 12, 14).[2]

ყველა აქ დასახელებული ნიშნით „მოსხების მთებად“ სტრაბონის „გეოგრაფიაში“ მართლაც შეიძლება ვაღიაროთ მთების ის სისტემა, რომელიც წყალგამყოფის როლს ასრულებს ევფრატის, ჭოროხისა და მტკვრის სათავეებში (ინგოროყვა 1954: 484-485; მუსხელიშვილი 1977: 56-60). ე.ი. ესაა მთების სისტემა, რომელიც იწყება მდინარე ევფრატის ზემო წელზე[3] (მდ. ბატი-ფირატ [ყარასუ]) და შემდეგ ყოფს ერთმანეთისაგან ჭოროხს, მტკვარსა და არაქსსაც. ამ ძალზე დანაწევრებული მთების ჯაჭვს და მის ცალკეულ ნაწილებს ამჟამად სხვადასხვა სახელები აქვთ: კოპ დაღლარი, მესჯიტ დაღლარი, აკდაღ იალნიზან დაღლარი და ა.შ. მთების ეს სისტემა სამხრეთ-დასავლეთით (ჩიმენ დაღი, კეშიშ დაღი) მართლაც უერთდება ძველ პარიადრეს გიუმიუშანეს მთებთან ახლოს და, მეორე მხრივ, ჩრდილო-დასავლეთით ამ მთების ერთი ნაწილი (კარჩალ დაღლარი) მდინარე ჭოროხის ქვემო დინებასთან უკავშირდება სკიდისედ გააზრებული მთების უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილს (კაჩკარ დაღი), ხოლო მეორე განშტოება (იალნიზ ჩანი) გადადის მცირე კავკასიონის სისტემაში.[4]

ამრიგად, გოგარენეს, ხორძენესა და პარიადრის (ე.ი. იმ ოლქების, რომელნიც ძვ.წ. II ს-ის დასაწყისში ჩამოეჭრა იბერიას), აგრეთვე სკიდისესა და მოსხების მთების (რომელნიც აპოლოდორეს ცნობით, ერთ დროს იბერიისა და არმენიის საზღვარს წარმოადგენდა) ლოკალიზაციის საფუძველზე შესაძლებელი ხდება იბერიის სამხრეთი საზღვრის რეკონსტრუქცია არა მხოლოდ ძვ.წ. I ს-ისათვის (ე.ი. სტრაბონის დროისათვის), არამედ უფრო ადრეული ხანისათვის – ძვ.წ. III ს-ისათვის. ირკვევა, რომ ამ დროს იბერიის შემადგენლობაში იყო გოგარენე, ხორძენე, პარიადრი, ხოლო მისი საზღვარი არმენიასთან მაშინ გადიოდა

---

1 ერთი შეხედვით, აქ შეიძლება „მოსხურად“ წოდებულ მთებად (τοῖς Μοσχικοῖς καλουμενοῖς) მიგვეჩნია მცირე კავკასიონი, მაგრამ სტრაბონი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „არმენიის მთები და მოსხისებად წოდებულნი, აგრეთვე სკიდისე და პარიადრე, ყველა ესენი ტავრის ნაწილებია“ (XI, 2, 15: καὶ τοῖς Ἀρμενίων ὄρεσι συνάπτουσι καὶ τοῖς Μοσχικοῖς καλουμένοις, ἔτι δὲ τῷ Σκυδίσῃ καὶ τῷ Παρυάδρῃ· Ταῦτα δ᾽ ἐστὶ μέρη τοῦ Ταύρου πάντα, τοῦ ποιοῦντος τὸ νότιον τῆς Ἀρμενίας πλευρόν).

2 ანტიტავროსი კი დასახელებულია სოფენესთან, ე.ი. დაახლოებით მდინარე ტიგროსის ზედა წელის აღმოსავლეთ ნაწილში (თანამედროვე მდინარე ბოტან-ჩაი), სადაც იწყება მასის მთა (შდრ. „გეოგრაფია“, XI, 12, 4).

3 კლავდიოს პტოლემაიოსის ცნობებიდანაც ჩანს, რომ მოსხური მთები ევფრატის ჩრდილოეთით მდებარეობდა. შდრ. V, 6, 1: „სადაც ევფრატი ყველაზე ჩრდილოეთით უხვევს აღმოსავლეთისაკენ. ეს ადგილები მდებარეობს ჩრდილოეთი განედის 71°-42°–ზე და აღმოსავლეთის 30°-ზე. აქედან მოსხების მთების ხაზზე წერტილამდე, რომელიც მდებარეობს ჩრდილოეთი განედის 73°-44°–ზე და აღმოსავლეთის 45° ქვეშ...“ იხ. აგრეთვე V, 12, 5 (სადაც პარიადრეს მახლობლადაა მოსხური მთები დასახელებული) და V, 12, 9 (ევფრატს, კიროსსა და არაქსს შორის). იხ. აგრეთვე ხაზარაძე 1984: 48-49.

4 ამ მთების ძველი ქართული სახელწოდებანი შუა საუკუნეების ქართული წყაროების მიხედვით იდენტიფიცირებული აქვს ივ. ჯავახიშვილს (1948: 14-16): ღადო ანუ სამცხის მთები (ლიხიდან დაწყებული არსიანამდე), „მთა არსიანი“, შავშეთის ქედი, კლარჯეთის მთები, „ისპირის მთა“, „მთა კოლისა“.

მტკვარ-არაქსისა და ჭოროხ-ევფრატის წყალგამყოფ ქედებზე (მუსხელიშვილი 1977: 60). ეს ზუსტად ეთანხმება იბერიის (ქართლის სამეფოს) იმ საზღვრებს მისი დაარსებისა და პირველი მეფეების ხანაში, რომელიც დაფიქსირებულია ქართულ წყაროებშიც (ქართლის ცხოვრება: 25; შდრ. მელიქიშვილი 1970ე: 455-458; მუსხელიშვილი 1977: 6061; Лордкипанидзе О. 1984: 326; Lordkipanidse O. 1991: 157).

ბ) მდინარეები (იდენტიფიკაცია იხ. სურ. II)

1. კოლხეთის მდინარეები

მდინარე ფასისი (Φᾶσις ποταμός)

სტრაბონის „გეოგრაფიაში“ ფასისი იწოდება კოლხეთის „დიდ მდინარედ“ (μέγας ποταμός – XI, 2, 17) და დასახელებულია პონტოს „შესანიშნავ“ (ἐνδοξότατοι) მდინარეთა შორის (თერმოდონტის, ჰალისისა და ისტროსის გვერდით – VII, 3, 6).

ფასისი, მართლაც, ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი მდინარე იყო მთელს ბერძნულ სამყაროში. ჩვენამდე მოღწეული წყაროებიდან მას უკვე ჰესიოდე იხსენიებს სახელგანთქმული მდინარეების – ნილოსის, მეანდროსის, ისტროსისა და სხვათა გვერდით („თეოგონია“, 337-340).[1] ამის შემდეგ ფასისს, როგორც კოლხეთის მთავარ მდინარეს, მოიხსენიებენ ჰეროდოტე (I, 2 და 104; IV, 37), პინდარე (IV Pyth. 210, 10), ფსევდო-ჰიპოკრატე („ჰაერთა...“, § 15), ფსევდო-სკილაქსი („აზია“, 81), არისტოტელე („მეტეოროლოგია“, 350; „ცხოველთა...“ III, 21; „საოცარ ამბავთა...“ 846/158), აპოლონიოს როდოსელი („არგონავტიკა“, II, 401, 506, 1261, 1278; III, 57, 1220; IV, 134) და აგრეთვე, როგორც ჩანს, ერატოსთენე და ჰიპარქე (შდრ. Strabo, II, 1, 39).

მდინარე ფასისი (Φᾶσις ποταμός) „გეოგრაფიაში“ 11-ჯერ იხსენიება (I, 2, 38-39; I, 3, 7; II, 1, 39; VI, 4, 2; VII, 3, 6; XI, 2, 13; XI, 2, 16; XI, 2, 17; XI, 3, 4; XI, 14, 7); მათგან 4-ჯერ სრულიად გარკვევითაა აღნიშნული, რომ იგი კოლხეთის მდინარეა:

I, 3, 7: „... ფასისის მახლობლად, კოლხეთის სანაპირო რბილია და ქვიშიანი“ (περὶ δὲ τὰ τοῦ Φάσιδος ἡ Κολχικὴ παραλία, δίαμμος καὶ ταπεινὴ καὶ μαλακὴ οὖσα).

XI, 2, 16: „... ანდაზაში ნათქვამი „ფასისში, სადაც ხომალდთათვის უკანასკნელი სრბოლაა“, ისე კი არ უნდა მივიღოთ, რომ იამბის მთხზველი თითქოს მდი-

1 ჰესიოდესთან დასახელებული ფასისი (Φᾶσις [ποταμός] Κόλχων) უკვე ძველ კომენტატორთა მიერ იყო კოლხეთის მდინარედ გააზრებული (Sch. ad Hesiod. Theog. 338; ურუშაძე 1964: 188). ჰესიოდეს ციტირებული სტროფები „თეოგონიიდან“ ჩვეულებრივ განიხილება როგორც მდინარის ღვთაებათა კატალოგი, მაგრამ ძნელი სათქმელია, ჰესიოდესთან ფასისის სახელით მდინარეა მოხსენიებული (რაც უფრო სავარაუდებელია), თუ უკვე პერსონიფიცირებული მდინარე-ღვთაება ფასისი, რომელიც სხვა წყაროებითაცაა ცნობილი (იხ. ქვემოთ).

ნარეს ასახელებს, ან კიდევ მდინარეზე მდებარე მსგავსი სახელის მქონე ქალაქს, არამედ ისე, რომ ესაა კოლხეთის ნაწილი" (τό τε παροιμιακῶς λεχθὲν εἰσ Φᾶσιν, ἔνθα ναυσὶν ἔσχατος δρόμος, οὕτω δεῖ δέχασθαι οὐχ ὡς τὸν ποταμὸν λέγοντος τοῦ ποιήσαντος τὸ ἰαμβεῖον, οὐδὲ δὴ ὡς τὴν ὁμώνυμον αὐτῷ πόλιν κειμένην ἐπὶ τῷ ποταμῷ, ἀλλ' ὡς τὴν Κολχίδα ἀπὸ μέρους).

XI, 2, 17: „ხოლო დანარჩენი კოლხეთი ზღვასთან მდებარეობს; მიმდინარეობს მასზე ფასისი, დიდი მდინარე..." (Καὶ ἡ λοιπὴ δὲ Κολχὶς ἐπὶ τῇ θαλάττῃ ἡ πλείων ἐστί· Διαρρεῖ δ' αὐτὴν ὁ Φᾶσις, μέγας ποταμὸς).

XI, 3, 4: „[იბერიაში] არის ოთხი შესასვლელი: ერთი კოლხური ციხესიმაგრე სარაპანაზე (შორაპანზე) და მასთან არსებულ ვიწროებზე, რომლებზედაც მიმდინარეობს ფასისი, სწრაფი და ხმაურა მიედინება კოლხეთში" (Τέσσαρες δ' εἰσὶν εἰς τὴν χώραν εἰσβολαί· μία μὲν διὰ Σαραπανῶν, φρουρίου Κολχικοῦ, καὶ τῶν κατ' αὐτὸ στενῶν, δι' ὧν ὁ Φᾶσις γεφύραις ἑκατὸν καὶ εἴκοσι περατὸς γενόμενος διὰ τὴν σκολιότητα καταρρεῖ τραχὺς καὶ βίαιος εἰς τὴν Κολχίδα).

ამას გარდა, ორჯერ ფასისი ნახსენებია არგონავტების ლაშქრობის ამბების გამო და, მაშასადამე, კოლხეთთან კავშირში (I, 2, 38-39). ამის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კოლხეთის მდინარე ფასისი იხსენიება VII, 3, 6-შიც: „მაშინ როდესაც 40 მდინარე ერთვის პონტოს, [ჰომეროსი] არ იხსენიებს არც ერთ შესანიშნავთაგანსაც კი, როგორიცაა ისტროსი, ფასისი, თერმოდონტი და ჰალისი" (Ποταμῶν γοῦν περὶ τετταράκοντα ῥεόντων εἰς τὸν Πόντον, μηδὲ τῶν ἐνδοξοτάτων μηδενὸς μεμνῆσθαι, οἷον Ἴστρου, Τανάιδος, Βορυσθένους, Ὑπάνιος, Φάσιδος, Θερμώδοντος, Ἅλυος).

კიდევ ორჯერ მითითებულია მანძილები სხვა გეოგრაფიულ პუნქტებთან მიმართებაში, რომლებიც მთელი კონტექსტით ნათლად მოწმობენ, რომ საუბარია იმავე მდინარეებზე. მაგ.:

II, 1, 39: „ [ერატოსთენე] ფასისის შესართავებამდე მანძილზე (კიანეებიდან – ო. ლ.) ამბობს 8 000 სტადიონს და უმატებს აქედან დიოსკურიამდე 600 სტადიონს, ხოლო დიოსკურიიდან კასპიის მთამდე 5 დღის სავალს [ანგარიშობს]..." აქ მოხსენიებული ქალაქი დიოსკურია კოლხეთში მდებარეობს (XI, 2, 14; XI, 2, 16) (Διόπερ πρῶτον μὲν ἐκείνου τὸ ἀπὸ τοῦ στόματος ἐπὶ Φᾶσιν εἰπόντος σταδίων ὀ κτακισχιλίων, καὶ προσθέντος τοὺς εἰς Διοσκουριάδα ἐνθένδε ἑξακοσίους, τὴν δ' ἀπὸ Διοσκουριάδος εἰς τὸ Κάσπιον ὑπέρθεσιν ἡμερῶν πέντε),[1] ხოლო კასპიის მთად (Κασπίος ὄρος) ამ შემთხვევაში იგულისხმება კავკასიონი (შდრ. XI, 2, 15).[2] ასევე კოლხეთთან კავშირშია მოხსენიებული ფასისი სხვა კიდევ ერთ შემ-

1 დიოსკურია (Διοσκυριάς) ლოკალიზდება დღევანდელი სოხუმის მიდამოებში (დაწვრ. ამავე წიგნში, VII თავი). საინტერესოა, რომ „გეოგრაფიაში" დასახელებული მანძილი (600 სტადიონი, ე.ი. დაახლოებით 110, 85 მ) თითქმის ზუსტად შეესატყვისება მანძილს დღევანდელ ფოთსა (სადაც ფასისი ერთვოდა შავ ზღვას) და სოხუმს (ძველი დიოსკურია) შორის (იხ. ბერძნიშვილი 1969: 134-135).

2 „ერატოსთენე ამბობს, რომ ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ კავკასიონი იწოდება კასპიად" (καλεῖσθαι Κάσπιον τὸν Καύκασον φησὶ δ' Ἐρατοσθένης ὑπὸ τῶν ἐπιχωρίων).

თხვევაშიც: XI, 2, 13 (რომელშიც საუბარია მითრიდატეს გაქცევის მარშრუტზე კოლხეთის გავლით). ამასთან ერთად, „გეოგრაფიაში“ არის ისეთი მინიშნებაც, საიდანაც შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ ფასისის სახელით თითქოს სხვა ქვეყნის მდინარეც იხსენიება, რადგან ასეთი შემთხვევები გვხვდება სტრაბონის წინამორბედ სხვა ბერძენ ავტორებთანაც.[1] განვიხილოთ ეს ცნობაც.

VI, 4, 2-ში, როდესაც საუბარია რომაელთა მიერ აზიის დაპყრობაზე, აღნიშნულია: „... მთელი [ქვეყანა] ფასისისა და ევფრატის შიგნით გარდა არაბეთის ზოგიერთი [ნაწილისა] რომაელების გამგებლობაშია. არმენიელები და კოლხეთის ზემოთ მცხოვრებნი, ალბანებიცა და იბერებიც საჭიროებენ მმართველთა ყოლას და კარგად მორჩილებენ მას“ (ἅπαντα τὰ ἐντὸς Φάσιδος καὶ Εὐφράτου πλὴν Ἀράβων τινῶν ὑπὸ Ῥωμαίοις ἐστὶ καὶ τοῖς ὑπ᾽ ἐκείνων ἀποδειχθεῖσι δυνάσταις. Ἀρμένιοι δὲ καὶ οἱ ὑπερκείμενοι τῆς Κολχίδος, Ἀλβανοί τε καὶ Ἴβηρες, παρουσίας δέονται μόνον τῶν ἡγησομένων).

ამ კონტექსტით მდინარე ფასისი თითქოს კოლხეთის გარეთაა სადღაც ევფრატის მეზობლობაში.[2]

XI, 14, 7-ში ფასისი დასახელებულია არმენიაში: „ქვეყანაში ბევრი მდინარეა. განსაკუთრებით ცნობილია ფასისი და ლიკოსი, რომლებიც პონტოს ზღვას ერთვიან (ერატოსთენე ლიკოსის მაგივრად ასახელებს თერმოდონტს, რაც არაა სწორი)“ (Ποταμοὶ δὲ πλείους μέν εἰσιν ἐν τῇ χώρᾳ γνωριμώτατοι δὲ Φᾶσις μὲν καὶ Λύκος εἰς τὴν Ποντικὴν ἐκπίπτοντες θάλατταν (Ἐρατοσθένης δ᾽ ἀντὶ τοῦ Λύκου τίθησι Θερμώδοντα οὐκ εὖ).

1 შდრ. მაგ., ჰეროდოტე, I, 2, 104; II, 103; IV, 37, 86, სადაც სრულიად აშკარად იგულისხმება კოლხეთის მდინარე, მაგრამ VI, 84-ში („...სკვითები შეეცდებოდნენ შეჭრას მიდიაში მდინარე ფასისის გასწვრივ“ – ... τοὺς Σκύθας παρὰ Φᾶσιν ποταμὸν ἐς τὴν Μηδικὴν ἐσβάλλειν) შეიძლება იგულისხმებოდეს მდინარე არაქსი (ყაუხჩიშვილი თ. 1960: 106). ამ მდინარეს, უფრო კი მის ზემო წელს სრულიად გარკვევით „ფასისს“ უწოდებს ქსენოფონტი („ანაბასისი“, IV, 6, 4), რომელიც იქვე იხსენიებს „ფასიანების“ ტომს (IV, 6, 5), თუმც იცნობს კოლხეთის ფასისსაც, რომელთა ქვეყანას აგრეთვე ფასიანებისას უწოდებს (V, VI ,36) – მიქელაძე 1967: 39-41; 124-127. უფრო გვიანაც, მაგ., პროკოპი კესარიელთან ფასისის სახელით თუმც ძირითადად დღევანდელი მდინარე რიონია მოხსენიებული (BP, II,2 9-30 და სხვ.), მაგრამ ერთგან ეს სახელი ეწოდება ჭოროხსაც (BP, I, 15), რომელსაც იმავე დროს მეტწილად ბოასის (Βόας) სახელით იხსენიებს, თუმცა არც აქაა თანამიმდევრული და სხვა შემთხვევაში ამავე სახელით მოიხსენიებს მდინარე ყვირილასაც (შდრ. ყაუხჩიშვილი ს. 1965: 107-109). თავის მხრივ, მდინარე ჭოროხი ბერძნულ მწერლობაში სულ სხვადასხვა სახელით იხსენიება: ქსენოფონტთან („ანაბასისი“, IV, 7, 18) არის ჰარპასოსი – Ἅρπασος (ეს სახელწოდება დღემდეა შემორჩენილი მდ. ჭოროხთან მდებარე მთის აღსანიშნავად – ლორთქიფანიძე ოთ., მიქელაძე 1960: 763), ფსევდო-სკილაქსთან (აზია, 81) – აფსაროსი (Ἄψαρος), იგივეა კლავდიოს პტოლემაიოსთან, V, 6, 6: (Ἄψορρος), პლინიუსთან (NH, VI, 24) და არიანესთან (PPE, 3) – აკამფსისი (Ἄκαμψις). ზოგიერთი რომაელი მწერალი, მაგ., ვალერიუს ფლაკუსი (Arg., I, 1-4), ფსევდოპლუტარქე (V, 1) და გვიანდელი კომენტატორი (Sch. ad Pind. Pyth. IV,376ᵇ; Sch. ad Aristoph. Εἰς Νεφέλας, V, 109) მდინარე ფასისს ათავსებენ სკვითების ქვეყანაში, რაც შეიძლება მხოლოდ იმ გაუგებრობით აიხსნას, რომლის თანახმად სკვითია და კოლხეთი ზოგჯერ შეცდომით ერთმანეთთან იყო გაიგივებული – შდრ. მაგ., „Phasim flumen Scythiae id est Colchidis (Sch. ad Verg. Georgica, IV, 367) და სხვ. სამწუხაროდ, ასეთი გაუგებრობანი ახალ დროშიც გვხვდება: B. Redice, Who is Who in the Ancient World (London, 1980), p. 278, Colchis (the Crimea).

2 შესაძლოა, აქაც იგულისხმება მდინარე არაქსი (?), როგორც ჰეროდოტესთან (VI, 84) და ქსენოფონტთან (IV, VI, 4).

მდინარე ლიკოსს (დღევანდელ კელკიტ-ჩაის) სტრაბონი არმენიასთან კავშირში იხსენიებს XII, 3, 30-შიც: „მიმდინარეობს მასზე (ფანაროიაზე) არმენიიდან ლიკოსი, ხოლო ამასიის მახლობლად მდებარე ვიწროებიდან – ირისი. ორივე (მდინარე) ერთდება სადღაც ხეობის შუაში, ხოლო მათ შესართავთან დაარსებულია ქალაქი [ევპატორია]“.

ამრიგად, ამ ცნობის თანახმად, ლიკოსი ერთვის ირისს (ე.ი. დღევანდელ იეშილ ირმაკს), რაც უფრო ზუსტია (ვიდრე ლიკოსის პონტოსთან შეერთება – შდრ. XI, 14, 7). ამ ორი ცნობის (XI, 14, 7 და XII, 3, 30) ურთიერთთან შეპირისპირების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ფასისის სახელით XI, 14, 7-ში სხვა მდინარე იგულისხმება და არა კოლხეთისა, როგორც ეს გვაქვს ყველა სხვა უმეტეს შემთხვევაში (I, 2, 38-39; II, 1, 39; XI, 2, 13; XI, 2, 16-17; XI, 3, 4). ვფიქრობთ, XI, 14, 7-ში ფასისის მოხსენიება არმენიის მდინარეთა შორის (ისევე როგორც ლიკოსისა) აიხსნება მხოლოდ იმით, რომ სტრაბონის წარმოდგენით ორივე მდინარე არმენიიდან მომდინარეობს (ლიკოსი – XII, 3, 30; ფასისი – XI, 2, 17), თუმც ისინი ერთვიან პონტოს, სადაც არმენია არ გადიოდა.

ამრიგად „გეოგრაფიაში“ თითქმის ყველგან, გარდა ერთი საეჭვო ადგილისა (VI, 4, 2), ფასისის სახელით იხსენიება ერთი და იგივე მდინარე, რომელიც კარგა ხანია უკვე იდენტიფიცირებულია დღევანდელ მდინარე რიონთან (ჯანაშია 1952; ბერძნიშვილი 1969). ამას სრულიად გარკვევით მოწმობს XI, 2,1 6-17 და XI, 3, 4, სადაც დასახელებულია იმავე სახელის მქონე ქალაქი, რომელიც ლოკალიზდება მდინარე რიონის ზღვაში შესართავთან (დაწვრ. ამავე წიგნში, თავი VII ა 1: ფასისი).

„გეოგრაფიაში“ მდინარე ფასისის იდენტიფიკაციისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია XI, 3, 4: „[იბერიაში] არის ოთხი შესასვლელი: ერთი არის კოლხურ ციხესიმაგრე სარაპანაზე (შორაპანზე) და მასთან არსებულ ვიწროებზე, რომლებზედაც მიმდინარეობს ფასისი, სწრაფი და ხმაურა მიედინება კოლხეთში. მასზე 120 ხიდით გადაისვლება მიხვეულ-მოხვეულობის გამო. წყალდიდობის დროს ეს ადგილები სულ დახრულია მრავალი ნაკადულებით. წარმოიქმნება [ფასისი] ზემოთ მდებარე მთებში მრავალი წყაროსაგან, ხოლო დაბლობში ღებულობს სხვა მდინარეებს, რომელთა შორის არის გლავკოსი და ჰიპოსი: გავსილი და სანაოსნოდ გამოსადეგი ჩადის პონტოში; [ფასისზე] არის ქალაქი მსგავსი სახელისა და მახლობლად – ტბა“ (Τέσσαρες δ’ εἰσὶν εἰς τὴν χώραν εἰσβολαί· μία μὲν διὰ Σαραπανῶν, φρουρίου Κολχικοῦ, καὶ τῶν κατ’ αὐτὸ στενῶν, δι’ ὧν ὁ Φᾶσις γεφύραις ἑκατὸν καὶ εἴκοσι περατὸς γενόμενος διὰ τὴν σκολιότητα καταρρεῖ τραχὺς καὶ βίαιος εἰς τὴν Κολχίδα, πολλοῖς χειμάρροις κατὰ τὰς ἐπομβρίας ἐκχαραδρουμένων τῶν τόπων. Γεννᾶται δ’ ἐκ τῶν ὑπερκειμένων ὀρῶν πολλαῖς συμπληρούμενος πηγαῖς, ἐν δὲ τοῖς πεδίοις καὶ ἄλλους προσλαμβάνει ποταμούς, ὧν ἐστὶν ὅ τε Γλαῦκος καὶ ὁ Ἵππος· Πληρωθεὶς δὲ καὶ γενόμενος πλωτὸς ἐξίησιν εἰς Πόντον καὶ ἔχει

πόλιν ὁμώνυμον ἐπ' αὐτῷ καὶ λίμην πλησίον). აქ დასახელებული ორი ორიენტირი: ქალაქები ფასისი და სარაპანა (შორაპანი), რომელიც მეორდება აგრეთვე XI, 2, 17-ში: „[ფასისზე] აღმა ცურვა შეიძლება სარაპანამდე (შორაპანამდე)" (ἀναπλεῖται δὲ μέχρι Σαραπανῶν), მიუთითებს, რომ ფასისად სტრაბონი მოიხსენიებდა არა მთლიანად დღევანდელ რიონს (რომელიც კავკასიიდან ქუთაისთან ჩამოდის), არამედ მის შესართავს (სადაც მდებარეობდა ქალაქი ფასისი), შუა წელს და შემდეგ მის შენაკადს – დღევანდელ ყვირილას, რომელზეც მდებარეობდა ქალაქი სარაპანა (დღევანდელი შორაპანი).[1]

ფასისის სათავე, ზემოთ მოტანილი ცნობის (XI, 3, 4) თანახმად, „ზემოთ მდებარე მთებშია" (γενν̂ᾶται δ' ἐκ τῶν ὑπερκειμένων ὀρῶν), მაგრამ ამ მთების სახელწოდება აქ განმარტებული არაა. სხვაგან (XI, 2, 17) აღნიშნულია, რომ „სათავე არმენიიდან აქვს" („ὁ Φᾶσις, μέγας ποταμός, ἐξ Ἀρμενίας τὰς ἀρχὰς ἔχων" – შდრ. XI, 14, 7), მაგრამ იქვე მოხსენიება ქალაქ ფასისის, სარაპანა-შორაპნის, „დანარჩენი კოლხეთის" („... ἡ λοιπὴ δὲ Κολχὶς... ἀναπλεῖται δὲ μέχρι Σαραπανῶν... Ἐπίκειται δὲ τῷ Φάσιδι ὁμώνυμος πόλις, ἐμπόριον τῶν Κόλχων") სრულიად აშკარად მიუთითებს, რომ აქ იგივე მდინარე იგულისხმება: დღევანდელი მდინარე რიონი და მისი შენაკადი ყვირილა, რომელსაც სინამდვილეში სათავე აქვს კავკასიონის მთებში, რაც პირველად ბერძნულ ლიტერატურაში სწორადაა აღნიშნული არისტოტელეს სახელით ცნობილ თხზულებაში „მეტეოროლოგია" (I, 13, 23-36, ფრ. 350[a]: „კავკასიონიდან ბევრი სხვადასხვა მდინარე მიედინება, გამორჩეული წყლის სიმრავლით და სიდიდით და მათ შორის ფასისი" (ἐκ δὲ τοῦ Καυκάσου ἄλλοι τε ῥέουσι πολλοὶ (ποταμοί – O.L.) καὶ κατὰ πλῆθος καὶ κατὰ μέγεθος ὑπερβάλλοντες, καὶ ὁ Φᾶσις).[2]

საერთო კონტექსტიდან აშკარად ჩანს, რომ აქ ლაპარაკია ე.წ. დიდ კავკასიონზე (იხ. აგრეთვე I, 13, 18-16, ფრგ. 351a; შდრ. ბერძნიშვილი 1969:97; ყაუხჩიშვილი 1969:8-9). რაც შეეხება სტრაბონთან დაცულ ცნობას, რომ ფასისი არმენიიდან მომდინარეობს (XI, 2, 17; შდრ. XI, 14, 7),[3] ეს როგორც ჩანს, ჰქონდა ერატოსთენეს, რის შესახებ არის მინიშნება როგორც სტრაბონის „გეოგრაფიაში" (XI, 14, 7), ასევე პირდაპირ აქვს აღნიშნული აპოლონიოს როდოსელის

1 სარაპანას ლოკალიზაციის შესახებ დაწვრ. ქვემოთ ამავე წიგნში (VII თავი).

2 აქ რომ ე.წ. დიდ კავკასიონზეა საუბარი, ჩანს დანარჩენი კონტექსტიდანაც, აგრეთვე I, 13, 8-16, ფრ. 351[a] (შდრ. ბერძნიშვილი 1969: 97; ყაუხჩიშვილი 1969: 8-9).

3 „აქვეა ფასისი, რომელიც კირკეს დაბლობზე მიიკლაკნება და ევქსინის წყლებში ათხევს სწრაფ ქაფს, სათავე კი არმენიის მთებში აქვს" (ἔνθα τε Φᾶσις, Κιρκαίου κατὰ νῶτον ἑλισσόμενος πεδίοιο. Εὐξείνου ποτὶ χεῦμα θοὴν ἀπερεύγεται ἄχνην, ἀρξάμενος τὸ πρῶτον ἀπ' οὔρεος Ἀρμενίοιο). „კირკეს ველის" (Κιρκαῖον πεδίον) მოხსენიება უნდა მომდინარეობდეს აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკიდან" (II, 400; III, 200), ხოლო იქვე ნახსენები „ამარანტის მთები" (ἡ δ' Ἀμαραντῶν τηλόθεν ἐξ ὀρέων πεδίοιό τε Κιρκαίοιο Φᾶσις δινήεις εὐρὺν ῥόον εἰς ἅλλα βάλλει), როგორც სათავე ფასისისა, შეცვლილია (შესაძლოა ერატოსთენეს გავლენით) არმენიის მთებად. დიონისიოს პერიეგეტის ცნობას ფასისის შესახებ იმეორებენ უფრო გვიანდელი ავტორებიც – პრისკიანე (Periegesis, 672-676; შდრ. Dion. Perieg., 690-694; სტეფანე ბიზანტიელი (s.v. Ἀρμενία) და ევსტათე თესალონიკელი (ad Dion. Perieg. 691-694).

„არგონავტიკის“ სქოლიასტს: „როგორც ერატოსთენე ამბობს, ფასისი არმენიის მთებიდან მოედინება და კოლხებთან შეერთვის ზღვას“ (Sch. ad. Apoll. Rhod. II, 399: ὁ δὲ Φᾶσις φέρεται μὲν ἀπὸ Ἀρμενίας ὀρῶν ὥς φησιν Ἐρατοσθένης, ἐκδίδωσι δὲ κατὰ Κόλχους εἰς Θάλασσαν); ურუშაძე 1964: 325). ასევე „არმენიის მთებში“ აქვს სათავე ფასისს დიონისიოს პერიეგეტის თხზულებაში „მსოფლიოს აღწერილობა“, ტ. 694 (=ყაუხჩიშვილი 1967: 151).

პლინიუსის ცნობით, ფასისის სათავე არის მოსხების ქვეყანაში,[1] ხოლო სოლინუსის მიხედვით – „მოსხების მთებში“.[2]

ამრიგად, კოლხეთის მდინარე ფასისის სათავეების შესახებ[3] სტრაბონს, ისევე როგორც მის წინამორბედ ერატოსთენეს, ხოლო მის შემდგომ პლინიუსსა და სოლინუსს, არ ჰქონდათ სწორი წარმოდგენა.[4] ამიტომ სტრაბონის მითითება, რომ ფასისს სათავე არმენიაში აქვს (XI, 2, 17), არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს აქ სხვა მდინარეზეა (მაგ. ჭოროხზე) საუბარი, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს. „გეოგრაფიის“ მთელი კონტექსტიდან, როგორც ზემოთ დავინახეთ, საუბარია მხოლოდ ერთ მდინარეზე, რომელიც შეესატყვისება დღევანდელი მდინარე რიონის ქვემო და შუა წელს და შემდეგ მდინარე ყვირილას. მას მართლაც ზუსტად შეეფერება ის ფიზიკური ნიშნები, რომლითაც ეს მდინარე „გეოგრაფიაშია“ (და აგრეთვე სხვა ავტორთა თხზულებებში) წარმოდგენილი: 1. ძველი ფასისი (დღევანდელი რიონ-ყვირილა) მართლაც კოლხეთის ყველაზე დიდი მდინარეა, როგორც მას სტრაბონი უწოდებს („... μέγας ποταμός“). მისი სიგრძე (ვგულისხმობ მდინარე რიონის ქვემო და შუა წელს და ყვირილას) სამას

1 Plin., NH, VI, 13: "Phasis oritur in Moschis", ხოლო შემდგომი აღწერილობიდან ნათლად ჩანს, რომ საუბარია კოლხეთის ფასისზე.

2 Solinus, Collectanea..., 15, 19: "moschorum [montes] Phasidem fundunt".

3 არისტოტელესეულ სწორ მითითებას, რომ ფასისს სათავე ჰქონდა დიდი კავკასიონიდან, აღარ ვხვდებით ელინისტურ-რომაული ხანის მწერლობაში და ამის შესახებ იუწყებიან მხოლოდ გვიანდელი (IV-VI სს-ის) ავტორები: ბასილ დიდი (III, 6), ამბროსი მედიოლანუმელი (3, 12), იულიუს ჰონორიუსი (A, 34) და პროკოპი კესარიელი (BG, VIII, 3). აპოლონიოს როდოსელის („არგონავტიკა“, II, 399) გადმოცემით, ფასისი მომდინარეობს „ამარანტების მთებიდან“ (ἠδ Ἀμαραντῶν τηλόθεν ἐξ ὀρέων; იხ. აგრეთვე III, 1220: Φάσιδος εἰαμενὴν Ἀμαραντίου). ამასვე იმეორებს IV ს-ის ავტორი ვიბიუს სექვესტუსი (De Fluminibus ...: Phasis in Colchide, qui de monte Amaranto fluit). საინტერესოა აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ სქოლიასტის ცნობა: „ამარანტოსი ქალაქია პონტოში; ხოლო როგორც ზოგიერთები ფიქრობენ, კოლხეთის მთებია. არ იცოდა რა ეს, ჰეგესისტრატე ეფესელმა ფასისის მდელოებს დაარქვა „ამარანტული“, ვინაიდან მწვანენი და უჭკნობნი („ამარანტოი“) არიანო. „ამარანტები („ამარანტა“) რომ კოლხების მთებია, ამას კტესია მოგვითხრობს მეორე წიგნში (Sch. ad. Apoll. Rhod. II, 399 = ურუშაძე 1964: 324-325). გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ამარანტის“ მთა შესაძლოა გადმოსცემს კავკასიონის ადგილობრივ სახელს: „ამირანის მთა“, რომელიც კავკასიონს შეერქვა მითოლოგიური გმირის ამირანის (ბერძნული პრომეთეს ორეულის) პატივსაცემად (ურუშაძე 1964: 346-348). ამირანისა და პრომეთეს ურთიერთობის შესახებ იხ. Чиковани 1966; ჩიქოვანი 1971; Шенгелия 1986.

4 საინტერესოა, რომ არამცთუ ბერძნულ-რომაულ პერიოდში, არამედ უფრო გვიანაც, ხშირად არასწორად იაზრებდნენ რიონ-ყვირილას (ე.ი. ძველი ფასისის) სათავეებს. ასე მაგ., 1650-1652 წლებში ჩამოსული რუსი ელჩები თავის ანგარიშში აღნიშნავენ, რომ „Река Курла (ე.ი. ყვირილა – ო. ლ.) вышла из гурельской земли между гор (ღადო-ახალციხის მთა – ო. ლ.) и впала близко Кутатиса в Рион-реку (ე.ი. მდინარე რიონში – ო. ლ.). იხ. Цинцадзе 1969: 88.

კილომეტრს აღემატება. 2. კოლხეთის ყველაზე უფრო წყალუხვი მდინარე, რასაც აგრე ხაზგასმით აღნიშნავენ ბერძენ-რომაელი ავტორები:

არისტოტელე: „გამორჩეული წყლის სიმრავლითა და სიდიდით“ („მეტეოროლოგია“, I, 13, 23-36, fr. 350: ἐκ δὲ τοῦ Καυκάσου ἄλλοι τε ῥέουσι πολλοὶ καὶ κατὰ πλῆθος καὶ κατὰ μέγεθος ὑπερβάλλοντες, καὶ ὁ Φᾶσις).

სტრაბონი: „დაბლობში ღებულობს სხვა მდინარეებს... გავსილი და სანაოსნოდ გამოსადეგი[1] ჩადის პონტოში“ (XI, 3, 4: ἐν δὲ τοῖς πεδίοις καὶ ἄλλους προσλαμβάνει ποταμούς... πληρωθεὶς δὲ καὶ γενόμενος πλωτὸς ἐξίησι εἰς τὸν Πόντον).

პლინიუსი: „... იერთებს სხვა მდინარეებს, შესანიშნავი თავისი სიდიდით“ (NH, VI, 13: alios accipit fluvios magnitudine numeroque mirabiles).

მართლაც, მდინარე რიონ-ყვირილას აქვს 400-მდე შენაკადი, რომელთაგან ზოგიერთის (ცხენისწყალი, ტეხური) სიგრძე აღემატება 100 კმ-ს, ხოლო დაახლოებით კიდევ ათისა – 50 კმ-ს (გამოანგარიშებულია, რომ მხოლოდ რიონის შენაკადების საერთო სიგრძე აღწევს 720 კმ-ს). უნდა ითქვას, რომ მდინარე რიონის თანამედროვე მეცნიერულ-გეოგრაფიული დახასიათება საკმაოდ წააგავს სტრაბონისეულს. შდრ.: „მდინარე რიონი – დასავლეთ საქართველოს უდიდესი მდინარეა. დიდ შენაკადებს იერთებს მთებიდან კოლხეთის დაბლობში გამოსვლის შემდეგ, სადაც მისი წყალკრების ფართობი იზრდება სამჯერ“ (დაწვრ. იხ. Ресурсы 1974: 138).[2] ამ წიგნის მკითხველისათვის იქნებ არ იქნეს ინტერესს მოკლებული ის ფაქტიც, რომ რიონი და მისი შენაკადები (რომელთაც ასე ხაზგასმით იხსენიებენ ბერძენ-რომაელი ავტორები) უდიდეს როლს ასრულებენ კოლხეთის სამეურნეო ცხოვრებაში. გამოკვლეულია, რომ მდინარე რიონის წყალი განსაკუთრებთ მდიდარია აზოტით და ფოსფორით. ამ თვალსაზრისით მისი მდ. ნილოსთან შედარებისას დადგინდა, რომ მცენარეთა შესათვისებელი ნივთიერებები რიონის წყალში გაცილებით მეტი რაოდენობითაა, ვიდრე ეგვიპტის უდიდეს მდინარეში, რომლის სასიცოცხლო მნიშვნელობა მიწათმოქმედების განვითარებისათვის უძველესი დროიდანაა საყოველთაოდ ცნობილი. სპეციალური გამოკვლევებით დადგენილია მდ. რიონის დანატოვარი შლამის განსაკუთრებული მნიშვნელობა მარცვლეული კულტურებისათვის და მისი ხანგრძლივი დროის მანძილზე ზემოქმედების უნარი. მეორე მხრივ, ცნობილია, რომ ჩვეულებრივ მაღალი ტემპერატურა და ხშირი ნალექები ხელს უწყობენ კოლხეთის დაბლობში მცენარეული საფარის, განსაკუთრებით ტყეების სწრაფ ზრდას, რაც უაღრესად ხელისშემშლელი იყო ძველად მიწათმოქმედების განვითარებისათვის. ამას თან ერთვის კოლხეთის დაბლობის კიდევ ერთი თავისებურება: დაჭაობებული

1 ფასისზე ნაოსნობა (რაც აღნიშნულია აგრეთვე XII, 2, 37-ში) დასტურდება სხვა მონაცემებითაც, რომელთა შესახებ იხ. ქვემოთ გზებთან დაკავშირებით (ამავე წიგნში).

2 შემდგომშიც ძირითადად ამ ნაშრომიდანაა ამოღებული ცალკეული მდინარეების შესახებ ფიზიკურ-გეოგრაფიული მონაცემები.

ზედაპირი, ზედმეტი წყალი. ასეთ რთულ პირობებში ხალხურმა გენიამ შეძლო მდ. რიონის გამანოყიერებელი შლამის რაციონალურად გამოყენება და დაჭაობებული ტყიანი მასივების სამეურნეო სავარგულებად ქცევა: დაჭობებული მიწის ზედაპირის რიონის წყლით „მორწყვა“, რის შედეგადაც მდინარის ნალექი – შლამი ნესტიან ზედაპირსაც ფარავდა და მით ნათესებისათვის მეტად ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა. ამ წესის გამოყენება მოითხოვდა საგანგებო არხების გათხრას – როგორც მდინარეული წყლის ჭაობიან ნიადაგზე გადასატარებლად, ასევე შლამისაგან დაწმენდილი წყლის ნაკვეთიდან გასაყვანად საგანგებო სადინარების გაკეთებას. ეს უკანასკნელი მდ. რიონის ხშირად ადიდებისა და ნაპირზე გადმოსვლის შემდეგაც იყო აუცილებელი, მაგრამ ეს არ იყო ერთადერთი გზა ჭაობიან ნიადაგთან ბრძოლისა მის სათეს ფართობად ქცევისათვის, რადგან საჭირო იყო მდინარეების (რიონისა და მისი შენაკადების) კალაპოტებისაგან დაცილებული ფართობების ათვისებაც. ამ მიზნით მიმართავდნენ უკანასკნელ დრომდე ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილ წესს: სათესი ფართობების ირგვლივ სადრენაჟო თხრილების გაკეთებას, აგრეთვე ღრმა ჭების გათხრას ან კიდევ ნიადაგის ხელოვნურ მოზვინვას. ეს წესები დაწვრილებით აქვს აღწერილი აწ განსვენებულ ქართველ ეთნოგრაფს მ. გეგეშიძეს (გეგეშიძე 1961: 101-102), რომელიც სამართლიანად აღნიშნავს მათ სიძველეს. მართლაც, მდ. რიონისა და აგრეთვე მის შენაკად მდინარეთა აუზებში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიებისას დადასტურებულია, რომ უძველეს სამოსახლოებს თუ სამოსახლოთა ჯგუფს გარს აკრავს თხრილშემოვლებული სამეურნეო მოედნები, რომლებიც სამოსახლოებთან არხებით არიან დაკავშირებული. რაც უფრო დიდია სამოსახლო, მით უფრო ვრცელია მისი სამეურნეო ფართობი და მით უფრო რთულია მისი არხების ქსელი და საერთოდ საარხო სისტემა, რომელსაც ფსევდო-ჰიპოკრატეც იხსენიებს („ჰაერთა...“, § 15: διώρυγες γὰρ πολλαὶ εἰσι).[1]

საინტერესოა, რომ მდ. ფასისის სახელთანაა დაკავშირებული ბერძნულ სამყაროში „ხოხბის“ აღმნიშვნელი სიტყვაც, რომელსაც პირველად არისტოფანე იხსენიებს („ღრუბლები“, 109). აგათარქიდე კნიდოსელი წერდა, რომ ეს ფრინველი ძალიან გავრცელებული იყო კოლხეთში, და განსაკუთრებით მდ. ფასისის შესართავთან (ეს ცნობა შემონახული აქვს ათენაიოსს). ამ ფრინველს იხსენიებენ პეტრონიუსი (XV-XVI, 93, 119), კოლუმელა (VIII, 2, 10), პლინიუსი (NH, X, 132; XIX, 19), ათენაიოსი (VIII, 7, 156), ლაქტანიოსი (V, 144). ევსტათე თესალონიკელის განმარტებით: „მდინარე ფასისისაგან მიიღეს სახელი ფრინველებმაც, რომელნიც აქ დიდი რაოდენობითაა“ (ad Dion. Perieg. 698).

1 ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან მაინც კოლხეთის დაბლობი მეურნეობრივად ფართოდაა ათვისებული და საკმაოდ მჭიდროდ დასახლებულიც. ამას მოწმობს მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა, როგორც გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპის ნამოსახლარების არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილი, ასევე არქეოლოგიური დაზვერვებისას უძველეს ნამოსახლარებზე მოპოვებული ამ ხანის კერამიკული ფრაგმენტები თუ მიწის სამუშაოების დროს აგრე მრავლად აღმოჩენილი ლითონის განძები და ცალკეული ნივთები (დაწვრ. ლორთქიფანიძე ოთ. 1986: 68 და შმდ., იქვე დასახ. ლიტ.).

ამიტომაა, რომ ბერძნულად ხოხობს ეწოდება φασιανός, ლათინურად – fasianus[1]. ამასვე იუწყება იუვენალის სქოლიასტი: „ხოხობი ფასისისაგან (წარმომავლობს) (Fasianus ἀπὸ τῆς Φάσιδος)". (იხ. აგრეთვე ბერძნიშვილი 1969: 36-37; Лордкипанидзе Г. 1970: 69).

მდინარის სახელწოდების მიხედვითაა შექმნილი სატომო სახელი „ფასიანები" (Φασιανοί), როგორც კოლხის სინონიმი,[2] რომელსაც იხსენიებს ფსევდო-ჰიპოკრატე („ჰაერთა"..., § 15) და ქსენოფონტი („ანაბასისი", V, 6, 36).[3] საერთოდ „ფას"-ძირიანი გეოგრაფიული სახელები ფართოდაა გავრცელებული დასავლეთ საქართველოს ძველ ტოპონიმიკაში (მიქელაძე 1955). საინტერესოა, რომ კავკასიონის ქედის იმ ნაწილს, სადაც სათავეს იღებს საკუთრივ რიონი, ჰქვია „ფასის მთა", რის გამოც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ მდინარის სახელწოდებაც, შესაძლოა, მთის სახელისაგან მომდინარეობს (ბერძნიშვილი 1969: 87). მაგრამ არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომელთა შესახებ, ალბათ, უფრო უპრიანი იქნება ქვემოთ, ქალაქ ფასისთან დაკავშირებით დაწვრილებით საუბარი.

გლავკოსი (Γλαῦκος) და ჰიპოსი (Ἵππος)

უფრო რთულია სტრაბონის „გეოგრაფიაში" ორ-ორჯერ მოხსენებული ფასისის შენაკადების – გლავკოსისა და ჰიპოსის იდენტიფიკაცია, რამდენადაც არაა მოცემული რაიმე ზუსტი ორიენტირი:

XI, 2, 17: „[კოლხეთზე] მიმდინარეობს ფასისი, დიდი მდინარე, რომელსაც სათავე არმენიიდან აქვს, რომელიც ღებულობს გლავკოსსა და ჰიპოსს მახლობელი მთებიდან[4] გამომდინარეთ" (διαρρεῖ δ' αὐτὴν ὁ Φᾶσις, μέγας ποταμὸς ἐξ Ἀρμενίας τὰς ἀρχὰς ἔχων δεχόμενος τόν τε Γλαῦκον καὶ τὸν Ἵππον, ἐκ τῶν πλησίον ὀρῶν ἐκπίπτοντας).

XI, 3, 4: „წარმოიქმნება [ფასისი] ზემოთ მდებარე მთებში მრავალი წყაროსაგან, ხოლო დაბლობში ღებულობს სხვა მდინარეებს, რომელთა შორის არის გლავკოსი და ჰიპოსი, გავსილი და სანაოსნოდ გამოსადეგი ჩადის პონტოში" ([Φᾶσις] γεννᾶται δ' ἐκ τῶν ὑπερκειμένων ὀρῶν πολλαῖς συμπληρούμενος πηγαῖς, ἐν δὲ τοῖς πεδίοις καὶ ἄλλους προσλαμβάνει ποταμούς ὧν ἐστὶν ὅ

1 შესაბამისად ანალოგიური წარმოშობისაა ეს სიტყვა თანამედროვე ევროპულ ენებში: რუსული фазан, გერმანული Fasan, ინგლისური pheasant, ფრანგული faisan.

2 ხოლო ევსტათე თესალონიკელი ამტკიცებდა, რომ დიოდორესთან და სხვებთან ფასისის ირგვლივ მდებარე ადგილები იწოდებიან ფასიანთა ქვეყნად (§ 689). დიოდორე სიცილიელთან მართლაც გვაქვს „ფასიანთა მხარე, ქვეყანა": „Φασιανῶν χώρα" (XIV, 29).

3 ქსენოფონტი იმავე დროს მოიხსენიებს ფასიანების ტომს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთშიც („ანაბასისი", IV, VI, 4. შდრ. მიქელაძე 1955: 125 და შმდ.).

4 გაუგებარია რა იგულისხმება „მახლობელ მთებში" („...ἐκ τῶν πλησίον ὀρῶν..."). რამდენადაც არმენიაზეა იქვე საუბარი, უნდა ვიფიქროთ, რომ სტრაბონი გულისხმობს იქვე არმენიაში მდებარე მთებს. ერატოსთენეც ხომ ფასისის სათავეს „არმენიის მთებში" ასახელებდა (Sch. ad Apoll. Rhod. II, 399). ასევე გვიანი ხანის ავტორებიც (შდრ. ზემოთ).

τε Γλαῦκος καὶ ὁ Ἵππος πληρωτεὶς δὲ καὶ γενόμενος πλωτὸς ἐξίησιν εἰς τὸν Πόντον).

ჰიპოსი (Ἵππος), რამდენადაც ვიცი, სტრაბონზე ადრე ბერძნულ მწერლობაში, როგორც კოლხეთის მდინარე, არ იხსენიება.[1] ამ სახელის მდინარეს,[2] როგორც ფასისის შენაკადს, იხსენიებს პლინიუსი (NH, VI, 13),[3] ხოლო უფრო გვიან – პროკოპი კესარიელი ჰიპისის სახელით (Ἵππις ποταμός), რომელიც მდებარეობს მოხირისში (Μοχὴρησις = BG, VIII, 1; VIII, 8).[4] ეს მდინარე იდენტიფიცირდება დღევანდელ ცხენისწყალთან (რაც შეესატყვისება კიდევაც ბერძნულ ჰიპოსს – ცხენი), რის გამოც მკვლევართა საერთო აღიარებით სტრაბონის ჰიპოსი (Ἵππος), პლინიუსის Hippos და პროკოპი კესარიელის ჰიპისი (Ἵππις) არის დღევანდელი მდინარე ცხენისწყალი[5] (ყაუხჩიშვილი ს. 1965: 34,108; ყაუხჩიშვილი 1976ა: 141).

გლავკოსს (Glaucus) მდინარე ფასისის შენაკადად იხსენიებს აგრეთვე პლინიუსი (NH, VI, 13),[6] ხოლო სხვა ავტორებთან თითქოს არ გვხვდება.[7] გლავკოსის იდენტიფიკაციის შესახებ ძალზე ძნელია რაიმეს გადაჭრით თქმა. ფიქრობენ, რომ ეს

---

1 სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ თითქოს ფსევდო-სკილაქს კარიანდელთან („აზია", 79) მელანქლენების ტერიტორიაზე მოხსნიებული მდინარე აიგიპიოსი (Αἰγίπιος ποταμός) შეიძლება იყოს უფრო გვიანდელ ბერძნულ წყაროებში მოხსენიებული ჰიპოსი, დამაჯერებელი ვერაა (შდრ. Hermann 1931; Kiessling 1913: 1918). ამას გარდა, ეს მდინარე კოლხეთის ჩრდილოეთითაა დასახელებული.

2 მდინარე ჰიპოსს იხსენიებენ აგრეთვე არიანე (PPE, § 10-11) და კლავდიოს პტოლემაიოსი (V, 9, 2), მაგრამ როგორც მდინარეს, რომელიც ერთვის ზღვას სადღაც დიოსკურიასთან ახლოს, რის გამოც იგი დღევანდელ მდინარე კოდორთანაა გაიგივებული (Ельницкий 1938: 315-316; ლომოური 1955: 55; კეჭაღმაძე 1961: 70).

3 პლინიუსი, თითქოს, რაღაც ორიენტირსაც იძლევა: ფასისზე მდებარე ქალაქებიდან „ყველაზე უფრო ცნობილი იყო აია (ეა), რომელიც მდებარეობდა 15 000 ნაბიჯზე ზღვიდან იმ ადგილას, სადაც ფასისს სხვადასხვა მხრიდან ერთვიან იპოსი და კიანეები" (NH, VI, IV, 13: maxime autem inclaruit Aea XV p. A mari, ubi Hippos et Cyaneos vasti amnes e diverso in eum confluunt). აქ დასახელებულ მდინარე კიანეოსს (Cyaneos), როგორც ფასისის შენაკადს, უფრო გვიან იხსენიებს სტეფანე ბიზანტიელი (Κυάνεος), ხოლო კლავდიოს პტოლემაიოსი (V, 9, 2: Κυανέος) მას ახსენებს ჰიპოსთან ერთად დიოსკურიასთან ახლოს. ნ. ლომოურის (Ломоури 1957: 103) აზრით, ეს შედეგია იმისა, რომ კლავდიოს პტოლემაიოსმა მექანიკურად გააერთიანა არიანესა და პლინიუსის ცნობები. ძნელი სათქმელია აგრეთვე, თუ რომელი ქალაქი იგულისხმება აიას (Aia) სახელით (როგორც ზემოთ, არგონავტიკის საკითხების განხილვისას ვნახეთ, აია ბერძნულ მწერლობაში უფრო კოლხეთის სინონიმად გვევლინება, თუმც ზოგიერთ გვიანდელ ავტორთან ქალაქადაც იხსენიება). საფიქრებელია, რომ აიას სახელით პლინიუსი გულისხმობს კოლხეთის მთავარ ქალაქს, რომელსაც ელინისტური ხანის მწერლები (აპოლონიოს როდოსელი, ლიკოფრონი) უწოდებენ კუტაიას (Κούταια), რომელიც დღევანდელ ქუთაისის მიდამოებში ივარაუდება (იხ. ქვემოთ, ამავე წიგნში, VII თავი).

4 მოხირისი//მუხირისი (Μουχείρισς, Μοχήρησις), რომელსაც იხსენიებენ ბიზანტიელი ისტორიკოსები პროკოპი კესარიელი (BG, VIII, 1, 14, 16-17; BP, II, 29) და აგათია სქოლასტიკოსი (II, 19, 22; II, 6, 7, 19, 28; IV, 9, 13), აღნიშნავდა ვრცელ ტერიტორიას – დღევანდელი დასავლეთ საქართველოს (ძველი კოლხეთის) ნაწილს: მდინარე ცხენისწყალსა (ჰიპოსი) და სკანდა-შორაპანს შორის (ლანჩავა 1974: 131).

5 მდინარე ცხენისწყალი დაახლოებით 176 კმ სიგრძის მდინარეა, რომელიც გამოდის მთავარი კავკასიონის ცენტრალურ ნაწილში მდებარე მყინვარიდან (მწვერვალ ფასისმთის დასავლეთით) და ერთვის მდინარე რიონს (ძველ ფასისს) სოფ. საჯავახოსთან ახლოს.

6 „ფასისი იერთებს სხვა მდინარეებსაც, შესანიშნავთ თავისი სიდიდითა და მრავალრიცხოვნებით, მათ შორისაა გლავკოსი" (accipit fluvios magnitudine numeroque mirabiles, inter quos Glaucum).

7 მდინარე გლავკოსს იხსენიებს კლავდიოს პტოლემაიოსი კაპადოკიის პონტოში, მაგრამ როგორც მდინარე აფსოროსის (ე.ი. დღევანდელი ჭოროხის) შენაკადს (V, 6, 2: Ἀψόρρου ποτ. ἐκβολαι ...Καθ' δε σχίζεται εἰς τὸν Γλαῦκον ποταμὸν).

შესაძლოა იყოს დღევანდელი მდინარე ყვირილა (Вестник древней истории 1949, # 2: 289), მაგრამ ასეთი მოსაზრება არ უნდა იყოს სწორი, რამდენადაც ყვირილა იგივე მდინარე ფასისის შემადგენელ ნაწილადაა, როგორც ვნახეთ, გააზრებული. ივარაუდება მისი იდენტურობა დღევანდელ მდინარე ტეხურთანაც[1] (Kiessling 1913; ყაუხჩიშვილი 1976ა: 145). შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ გლავკოსის სახელით მოიხსენიება საკუთრივ მდინარე რიონის ზემო წელი (შდრ. ჯანაშია 1952: 280, შენიშვნა 39). მეორე მხრივ, შეიძლებოდა აგრეთვე გვევარაუდა, რომ გლავკოსის სახელით იგულისხმება მდინარე სულორი[2] – მდინარე რიონის (ძველი ფასისი) მარცხენა შენაკადი.[3]

მდინარე ქარესი (Χάρης ποταμός)

ეს მდინარე „გეოგრაფიაში" მხოლოდ ერთხელაა ნახსენები.

XI, 2, 18: „დიოსკურიის მახლობლად მიმდინარეობს მდინარე ქარესი" (Περὶ δὲ τὴν Διοσκουριάδα ῥεῖ ὁ Χάρης ποταμός). სხვა ავტორებთან ეს მდინარე თითქოს არ იხსენიება. დიოსკურიის მოხსენიება მის მახლობლად მიგვანიშნებს, რომ მდინარე ქარესი სადღაც დღევანდელი სოხუმის მახლობლადაა საგულვებელი. თ. ყაუხჩიშვილის (1976: 141) აზრით, ეს შეიძლება იყოს მდინარე კელასური. შეიძლება აგრეთვე ვივარაუდოთ მდინარე გუმისტა ან უფრო ბესლეთი (Lassere 1969: 155), რომლებიც დღევანდელ სოხუმთან ახლოს ერთვიან შავ ზღვას.

2. იბერიის მდინარეები

მდინარე კვიროსი (Κῦρος)

ეს მდინარე „გეოგრაფიაში" იხსენიება საკმაოდ ხშირად, როგორც იბერიაზე მიმდინარე (I, 3, 21; XI, 1, 5; XI, 2, 17; XI, 3, 2; XI, 3, 5; XI, 4, 2; XI, 7, 3; XI, 8, 9; XI, 14, 4-7). იდენტიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია:

XI, 1, 5: „კასპიის ზღვას... უერთდებიან მდინარეები კვიროსი და არაქსი, რომელთაგან ერთი მიმდინარეობს არმენიაზე, ხოლო კვიროსი – იბერიასა და ალბანიაზე" (ἔωθεν δὲ αὐτῇ ταύτῃ τῇ θαλάττῃ μέχρι τῶν μεθορίων τῆς τε Ἀλβανίας καὶ τῆς Ἀρμενίας, καθ' ἃ ὁ Κῦρος καὶ ὁ Ἀράξης ἐκδίδωσι ποταμοί, ῥέοντες ὁ μὲν διὰ τῆς Ἀρμενίας, Κῦρος δὲ διὰ τῆς Ἰβηρίας καὶ τῆς Ἀλβάνιας).

1 მდინარე ტეხური, 108 კმ სიგრძის მდინარე გამოდის კავკასიონის მთებიდან (მწვერვალი ტეხურიშდადი) და ერთვის მდინარე რიონს მარჯვენა მხრიდან მისი შესართავიდან 58 კმ-ზე.

2 მდინარე სულორი, 34 კმ სიგრძის მდინარე, გამოდის მცირე კავკასიონიდან (ე.წ. მესხეთის ქედიდან) და დღევანდელ ქალაქ ვანთან ახლოს მარცხენა მხრიდან ერთვის მდინარე რიონს.

3 მაგრამ მდინარე გლავკოსის გაიგივებას დღევანდელ მდინარე სულორთან ეწინააღმდეგება ის, რომ ეს მდინარე მარცხენა მხრიდან უერთდება რიონს და სათავე აქვს საპირისპირო მხარეს – მცირე კავკასიონიდან. „გეოგრაფიიდან" კი რჩება შთაბეჭდილება, რომ ფასისიც, ჰიპოსიც და გლავკოსიც ერთმანეთის მეზობლად მდებარე ადგილებიდან იღებენ სათავეს (შდრ. XI, 2, 17).

XI, 3, 2: „იბერიის... შუაში არის დაბლობი, მდინარეებით მორწყული, უდიდესი [ამ მდინარეთა] შორის კვიროსი, რომელსაც სათავე აქვს არმენიაში, პირდაპირ შემოდის დასახელებულ დაბლობზე, ღებულობს არაგოსს, რომელიც კავკასიონიდან მომდინარეობს, სხვა წყლებსაც და ვიწრო ჭალებით ჩადის ალბანიაში. ამ ქვეყანასა და არმენიას შორის (კვიროსი) დიდი ძალით მიმდინარეობს საძოვრებით მდიდარ ველებზე, ღებულობს მრავალ მდინარეს, რომელთა შორის არის ალაზონიოსი, სანდობანი, როიტაკი და ხანი. ყველა ესენი სანაოსნო არიან, და უერთდება (კვიროსი) კასპიის ზღვას“ (Ἐν μέσῳ δ' ἐστὶ πεδίον ποταμοῖς διάρρυτον, μεγίστῳ δὲ τῷ Κύρῳ· ὃς τὴν ἀρχὴν ἔχων ἀπὸ τῆς Ἀρμενίας, εἰσβαλὼν εὐθὺς εἰς τὸ πεδίον τὸ λεχθέν, παραλαβὼν καὶ τὸν Ἄραγον, ἐκ τοῦ Καυκάσου ῥέοντα, καὶ ἄλλα ὕδατα, διὰ στενῆς ποταμίας εἰς τὴν Ἀλβανίαν ἐκπίπτει· μεταξὺ δὲ ταύτης τε καὶ τῆς Ἀρμενίας ἐνεχθεὶς πολὺς διὰ πεδίων ἐυβοτουμένων σφόδρα, δεξάμενος καὶ πλείους ποταμούς, ὧν ἐστὶν ὅ τε Ἀλαζόνιος καὶ ὁ Σανδοβάνης καὶ ὁ Ῥοιτάκης καὶ Χάνης, πλωτοὶ πάντες, εἰς τὴν Κασπίαν ἐμβάλλει θάλατταν. Ἐκαλεῖτο δὲ πρότερον Κόρος).

აქ დასახელებული ორიენტირებით საკმაოდ აშკარაა, რომ (როგორც ეს ერთხმადაა აღიარებული სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში) მდინარე კვიროსი (Κῦρος) არის დღევანდელი მტკვარი, რომელიც სათავეს იღებს დღევანდელ თურქეთში, არსიანის ქედზე ყიზილ-გიადუკის მთის აღმოსავლეთ კალთიდან (ე.ი. ძველი არმენიიდან), შემოდის აღმოსავლეთ საქართველოს (ე.ი. ძველი იბერიის) ტერიტორიაზე, მიედინება ქართლის ვაკეზე (სტრაბონი რომ იბერიის „შუაში მდებარე დაბლობს“ უწოდებს); აქ უერთდება მას კავკასიონის მთიდან გამომდინარე მდინარე არაგვი (სტრაბონის არაგოსი), შემდეგ კი გადადის „ვიწრო ჭალებით“ დღევანდელ აზერბაიჯანში, სადაც უერთდება კასპიის ზღვას.

კვიროსი (მტკვარი) მართლაც იბერიის უდიდესი მდინარეა (დღევანდელ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე იგი 390 კმ-ის მანძილზე მიედინება, მაგრამ სტრაბონისეული იბერია კიდევ უფრო სამხრეთით, თითქმის სათავეებამდე ვრცელდებოდა).[1]

„გეოგრაფიაში“ საინტერესოა ერთი ცნობა: „უწინ (კვიროსს – ო. ლ.) ეწოდებოდა კოროსი“ (XI, 3, 2: ἐκαλεῖτο δὲ πρότερον Κόρος). გამოთქმა „უწინ“ (πρότερον) თითქოს მიგვანიშნებს, რომ ბერძნულ მწერლობაში ძველადაც (ე.ი. სტრაბონზე უწინ) არსებობდა ინფორმაცია ამ მდინარეზე (და, მაშასადამე, იბერიაზეც!). ამას მოწმობს აგრეთვე XI, 7, 3, საიდანაც ჩანს, რომ კვიროსს მოიხსენიებდნენ პატროკლე, არისტობულე და ერატოსთენეც.[2]

1 პლუტარქეს ცნობით მტკვარი, რომელსაც ის კირნოსის სახელით იხსენიებს, იწყება იბერიის მთებში („პომპეუსი“, XXXIV: διαβάντες τὸν Κύρνον ποταμόν, ὃς ἐκ τῶν Ἰβηρικῶν ὀρῶν ἀνιστάμενος).

2 [Ἀριστόβουλος] φησὶ δὲ καὶ εὔπλουν εἶναι (καὶ οὗτος καὶ Ἐρατοσθένης παρὰ Πατροκλέους λαβὼν) καὶ πολλὰ τῶν Ἰνδικῶν φορτίων κατάγειν εἰς τὴν Ὑρκανίαν θάλατταν, ἐντεῦθεν δ' εἰς τὴν Ἀλβανίαν περαιοῦσθαι, καὶ διὰ τοῦ Κύρου καὶ τῶν ἐξῆς τόπων εἰς τὸν Εὔξεινον καταφέσθαι.

ამრიგად, სტრაბონის კვიროს (Κῦρος) არის თანამედროვე მდინარე მტკვარი,[1] რომელსაც ამავე სახელით იხსენიებენ სხვა ბერძენ-რომაელი ავტორებიც.[2] ეჭვს არ უნდა იწვევდეს იბერიის ტერიტორიაზე მისი შენაკადების იდენტიფიკაციაც.

არაგოსი (Ἄραγος)

ეს მდინარე იხსენიება „გეოგრაფიაში" ორჯერ.

XI, 3, 2 „კვიროსი (ე.ი. მტკვარი – ო. ლ.) ... ღებულობს არაგოსს, რომელიც კავკასიონიდან მომდინარეობს..." (τὸν Ἄραγον ἐκ τοῦ Καυκάσου ῥέοντα).

XI, 3, 5: „ვიდრე ერთმანეთს შეერთვის (კვიროსი და არაგოსი – ო. ლ.), იმ ადგილას მდებარეობს გამაგრებული ქალაქები კლდეებზე, რომლებიც დაცილებული არიან ერთმანეთს დაახლოებით 16 სტადიონით; კვიროსზე მდებარეობს არმოზიკე, ხოლო მეორეზე (ე.ი. არაგოსზე) სევსამორა" (Ἀπὸ δὲ τῆς Ἀρμενίας τὰ ἐπὶ τῷ Κύρῳ στενὰ καὶ τὰ ἐπὶ τῷ Ἀράγῳ. πρὶν γὰρ εἰς ἀλλήλους συμπεσεῖν, ἔχουσιν ἐπικειμένας πόλεις ἐρυμνὰς ἐπὶ πέτραις, διεχούσας ἀλλήλων ὅσον ἑκκαίδεκα σταδίους, ἐπὶ μὲν τῷ Κύρῳ τὴν Ἀρμοζικήν, ἐπὶ δὲ θατέρῳ Σευσάμορα).

აქ მოხსენიებული არაგოსი[3] ყველა მკვლევარის მიერ იდენტიფიცირებულია დღევანდელი მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადთან, რომელსაც დღესაც მდინარე არაგვი ჰქვია. ეს 66 კმ სიგრძის მდინარე გამოდის დიდი კავკასიონის მთებიდან. მის ნაპირზეა, დღევანდელ წიწამურთან, ლოკალიზებული ქალაქი სევსამორა//სისამურა, ხოლო მტკვართან შეერთების ადგილას, თანამედროვე მცხეთის მახლობლად, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე – არმოზიკე (დაწვრ. იხ. ქვემოთ).

ალაზონიოსი (Ἀλαζόνιος)

მდინარე ალაზონიოსი (Ἀλαζόνιος ποταμός) „გეოგრაფიაში" იხსენიება სამჯერ (XI, 3, 2; XI, 3, 5; XI, 4, 5), როგორც მდინარე მტკვრის შენაკადი (XI, 3, 2), გამომდინარე კავკასიონის მთიდან (XI, 3, 5) და კამბისენეს მახლობლად (XI, 4, 5).

ეს მდინარე გაიგივებულია დღევანდელ მდინარე ალაზანთან (160 კმ სიგრძის), რომელიც გამომდინარეობს კავკასიონის მთიდან და ერთვის მდინარე მტკვარს.[4]

---

1 ერთ შემთხვევაში „გეოგრაფიაში" (XV, 3, 6) სახელით „კვიროს" (Κῦρος) მოიხსენიება მდინარე სპარსეთში, პასარგადთან.

2 Plin., NH, VI, 26, 39; Claud. Ptol., V, 11, 3; V, 12, 1; V, 12 ,9. მაგრამ გვხვდება აგრეთვე ამ მდინარის მოხსენიება სახელწოდებით კირნოსი: პლუტარქე, პომპეუსი, XXXIV; აპიანე (მითრიდატიკა, 103); დიონ კასიუსი („რომის ისტორია", XXXVI, 53, 5; XXXVII, 1, 2; XXXVII, 3, 4).

3 ამავე მდინარეს დიონ კასიუსი („რომის ისტორია", XXXVII, 2, 2 და 4) იხსენიებს სახელით პელორი (Πέλορος) – იხ. ლომოური 1966: 106-107.

4 პლინიუსთან ამ მდინარის სახელია ოკაზანი (Okazane), ხოლო ზოგიერთ ხელნაწერში ალაზონიოსი, დიონ კასიუსი („რომის ისტორია", XXXVII, 3, 6) იხსენიებს სახელით აბანტოსი (Ἄβάντος – ლომოური 1966:

ამრიგად (იხ. სურ. II):

ფასისი (Φᾶσις) – მდინარე რიონი (ქვემო და შუა წელი) და მდინარე ყვირილა.

გლავკოსი (Γλαῦκος) – შეიძლება იყოს: ტეხური, რიონის ზემო წელი ან სულორი.

ჰიპოსი (Ἵππος) – ცხენისწყალი (?).

ქარესი (Χάρης) – შეიძლება იყოს კელასური, გუმისტა ან ბესლეთი.

კვიროსი (Κῦρος) – მტკვარი.

არაგოსი (Ἄραγος) – არაგვი.

ალაზონიოსი (Ἀλαζόνιος) – ალაზანი.

გ) გზები

„გეოგრაფიამ“ შემოინახა უაღრესად საინტერესო ცნობები იბერიასა და კოლხეთზე გამავალი მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო-სატრანზიტო გზების შესახებ.

1. გზა ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ:

II, 1, 15: καὶ τὸν Ὦξον δὲ τὸν ὁρίζοντα τὴν Βακτριανὴν ἀπὸ τῆς Σογδιανῆς οὕτω φασὶν εὔπλουν εἶναι, ὥστε τὸν Ἰνδικὸν φόρτον ὑπερκομισθέντα εἰς αὐτὸν ῥᾳδίως εἰς τὴν Ὑρκανίαν καταγεσθαι καὶ τοὺς ἐφεξῆς τόπους μέχρι τοῦ Πόντου διὰ τῶν ποταμῶν.

„...ასე ამბობენ, რომ ოქსოსი საზღვრავს ბაქტრიანას სოგდიანასაგან და ვარგისია სანადიროდ. ისე რომ ინდური საქონელი მიაქვთ მასზე და ადვილად შემოაქვთ ჰირკანიაში და მის მეზობლად მდებარე ადგილებში, ვიდრე პონტომდე მდინარეების მეშვეობით“.

XI, 7, 3: Ἀριστόβουλος δὲ καὶ μέγιστον ἀποφαίνει τὸν Ὦξον τῶν ἐωραμένων ὑφ᾽ ἑαυτοῦ κατὰ τὴν Ἀσίαν, πλὴν τῶν Ἰνδικῶν· φησὶ δὲ καὶ εὔπλουν εἶναι (καὶ οὗτος καὶ Ἐρατοσθένης παρὰ Πατροκλέους λαβών) καὶ πολλὰ τῶν Ἰνδικῶν φορτίων κατάγειν εἰς τὴν Ὑρκανίαν θάλατταν, ἐντεῦθεν δ᾽ εἰς τὴν Ἀλβανίαν περαιοῦσθαι, καὶ διὰ τοῦ Κύρου καὶ τῶν ἐξῆς τόπων εἰς τὸν Εὔξεινον καταφέρεσθαι.

„...არისტობულე ოქსოსს მიიჩნევს უდიდეს მდინარედ, მის მიერ ნახულთა შორის [რომლებიც კი] აზიაზე მიმდინარეობენ, გარდა ინდოეთის [მდინარეებისა]. [არისტობულე] და პატროკლეს სიტყვით ერატოსთენეც ამბობენ, რომ (ეს მდინარე) სანაოსნოა და ამ [მდინარით] ბევრი ინდური საქონელი შემოაქვთ ჰირკანიის ზღვაში, ხოლო აქედან ალბანიაში გადააქვთ და [შემდეგ] მტკვრით და მისი მომდევნო ადგილებით ევქსინის [ზღვაში] ჩააქვთ...“.

ამრიგად, სტრაბონი აღწერს სავაჭრო გზას, რომელიც მოემართებოდა ინდოეთიდან მდინარე ოქსოსით (თანამედროვე ამუ-დარია) ჰირკანიის (ე.ი. კასპიის)

111, შენ. 13; Tomaschek 1894: 18, 1299).

ზღვამდე, ხოლო შემდეგ მდინარე კვიროსით (მტკვარი) და „მისი მომდევნო ადგილების“ გავლით აღწევდა პონტოს, ე.ი. შავი ზღვის სანაპიროებამდე. მდინარე კვიროსის „მომდევნო ადგილებად“ (διὰ τῶν ἑξῆς τόπων) უნდა მივიჩნიოთ მდინარე ფასისი (რიონ-ყვირილა), რომლის შესახებ „გეოგრაფიაში“ აღნიშნულია: „ფასისზე აღმა ცურვა (ἀναπλεῖται)[1] შეიძლება სარაპანამდე. ამ სიმაგრეს შეუძლია დაიტიოს მთელი ქალაქის მოსახლეობა; აქედან ქვეითად (πεζεύουσιν)[2] 4 დღეში მიისვლება მტკვარამდე.[3] ფასისზე მდებარეობს მისი მოსახელე ქალაქი, კოლხთა ემპორიონი (ἐμπορίον), გარშემორტყმული მდინარით, ტბითა და ზღვით. აქედან ამისოსამდე და სინოპემდე არის 3 ან 2 დღის[4] ზღვით სამგზავრო (XI, 2, 17).

„გეოგრაფიის“ ეს ცნობა (XI, 2, 17) ავსებს ზემოთმოტანილს (XI, 3, 7), რომ: 1. ინდური საქონელი მდინარე კვიროსის (მტკვრის) შუა დინებიდან სარაპანამდე (შორაპნამდე) გადაჰქონდათ სახმელეთო ზღვით, ე.ი. სურამის უღელტეხილით, და 2. ქალაქ ფასისიდან შემდეგ ხორციელდებოდა კავშირი ზღვით სხვა ბერძნულ ცენტრებთან (სინოპე, ამისოსი).

სტრაბონის თხზულებიდან ჩანს, რომ ცნობები ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მიმავალი სავაჭრო გზის შესახებ მოეპოვებოდათ არისტობულესა და ერატოსთენეს და რომ ამ ორივე ავტორს ეს მონაცემები აუღიათ პატროკლესაგან (XI, 7, 3: „καὶ οὗτος καὶ Ἐρατοσθένης παρὰ Πατροκλέους λαβών“).

პატროკლე კი, როგორც ცნობილია, ძვ.წ. 286 და 281 წლებს შორის საგანგებოდ იკვლევდა და პირადად მოიარა კასპიის ზღვის ჯერ სამხრეთ-დასავლეთი და შემდეგ აღმოსავლეთ სანაპიროც მდინარე ოქსოსის შესართავამდე (Neumann W. 1884; შდრ. Tarn 1951: 112-113; Müller 1972: 246 [A. 379D]; Tarn 1948: 5ff.). უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დროს მიიღო მან ინფორმაცია ზემოაღნიშნული გზის შესახებ, რომლითაც პატროკლე საგანგებოდ იყო დაინტერესებული (აპირებდა არხის გაჭრასაც კი კასპიის ზღვიდან პონტომდე (Gisinger 1949: 2264).

ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მიმავალი სავაჭრო გზის შესახებ ცნობები შემონახული აქვს პლინიუსსაც: „... ვარონი დასძენს აგრეთვე, რომ პომპეუსის ლაშქრობის დროს გამოკვლეულ იქნა, რომ ინდოეთიდან შეიძლება 7 დღეში ჩასვლა ბაქტრიაში მდინარე ბაქტრთან, რომელიც ერთვის მდინარე ოქსს, ხოლო ამ მდინარიდან კასპიის ზღვით შესაძლებელია მდინარე მტკვრამდე ჩასვლა და რომ

1 ἀναπλέω ნიშნავს „მდინარეზე აღმა ცურვას“, ე.ი. ნაოსნობას. XI, 3, 4-შიცაა აღნიშნული, რომ ფასისი „გავსილი და სანაოსნოდ გამოსადეგი ჩადის პონტოში“ („... πληρωθεὶς δὲ καὶ γενόμενος πλωτὸς ἐξιησιν εἰς τὸν Πόντον...“).

2 πεζέυω ქვეითად ან ხმელეთით სიარული.

3 შორაპნიდან მტკვარამდე ხმელეთით შეიძლება მიღწევა მხოლოდ სურამის უღელტეხილით, სადაც რამდენიმე გადასასვლელია – რიკოთი, ფონა, წიფა (ბერძენიშვილი 1964: 2-3).

4 Τριῶν ἡμερῶν ἢ τεττάρων (იხ. ყაუხჩიშვილი 1957: 123, შენ. 1).

ინდური საქონელი არა უმეტეს ხუთი დღისა სახმელეთო გზით ჩაიტანება პონტოში ფასისთან“ (NH, VI, 19, 52: adicit idem Pompei ductu exploratum).

ივარაუდება, რომ პლინიუსის მიერ აქ დამოწმებული მარკუს ტერენციუს ვარრონი მონაწილეობდა პომპეუსის ლაშქრობებში მითრიდატეს წინააღმდეგ (III ომში) და აღწერილი აქვს ისინი თავის თხზულებაში („Legationum“ III). როგორც არ უნდა გადაწყდეს საკითხი ვარრონის მონაწილეობისა მითრიდატეს წინააღმდეგ III ომში,[1] მაინც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ვარრონს, როგორც პომპეუსთან საკმაოდ ახლოს მდგომ პირს, ჰქონდა სარწმუნო ცნობები მისი აღმოსავლეთში ლაშქრობის შესახებ და სწორედ ამ ცნობებით სარგებლობდა პლინიუსი (Münzer 1897: 275; Sallmann 1971:245).

ამრიგად, როგორც სტრაბონი, ასევე პლინიუსი მოგვითხრობენ ერთსა და იმავე სავაჭრო გზის შესახებ. ამასთან, ჩანს, რომ თითოეული მათგანი ერთმანეთისაგან განსხვავებულ წყაროს ემყარება: სტრაბონი იმოწმებს პატროკლედან მომდინარე ინფორმაციას (ერატოსთენეს გზით), ხოლო პლინიუსი – მარკუს ტერენციუს ვარონიდან. ამასთან პლინიუსის ცნობაში (სტრაბონისაგან განსხვავებით) პირდაპირაა ნათქვამი, რომ ინდური საქონელი პონტოში ჩააქვთ ფასისთან.[2] ზოგიერთი მკვლევარი კი თვლის, რომ თითქოს სტრაბონისა და პლინიუსის ცნობებში საუბარი უნდა იყოს ინდოეთიდან ფასისამდე საქონლის გადატანის მხოლოდ შესაძლებლობაზე (შდრ. მაგ., Tarn 1951: 483-490).[3] სტრაბონისა და პლინიუსის ცნობები თითქოს მიუთითებენ, რომ ვაჭრობა ამ გზით და საქონლის გადატანა უკვე მიმდინარეობდა („κατάγεσθαι“, „παραιοῦσθαι“, „καταφέρεσθαι“). როგორც ჩანს, ეს გზა იგულისხმება „გეოგრაფიის“ XI, 6, 1-ში, სადაც სტრაბონი ერატოსთენეს დამოწმებით მას უწოდებს „ელინთათვის ცნობილ გზას“ (XI, 6, 1: „...φησὶ δ᾽ Ἐρατοσθένης τὸν ὑπὸ τῶν Ἑλλήνων γνώριμον περίπλουν τῆς θαλάττης ταύτες, τὸν μὲν παρὰ τοὺς Ἀλβανοὺς καὶ τοὺς Καδουσίους“).

რამდენადაც ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ადრეული ცნობა ამ გზის შესახებ მომდინარეობს პატროკლედან (ძვ.წ. III ს-ის 80-იანი წლები), შეიძლება გვევარაუდა ამ გზის არსებობა უკვე ადრეელინისტური ხანიდან. ამ თვალსაზრისით გარკვეულ ინტერესს იწვევს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ერთ-ერთი ბერძნული ქალაქის ამისოსის მონეტების აღმოჩენა, ერთი მხრივ, კოლხეთში,[4]

1 ამ საკითხთან დაკავშირებით სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგიერთი მკვლევარი არ იზიარებს მოსაზრებას ვარონის მითრიდატეს წინააღმდეგ III ომში მონაწილეობის შესახებ.

2 პლინიუსის ცნობებს ეხმაურება სოლინუსიც: „და ამრიგად იგი (პომპეუსი – ო. ლ.) სულ ხუთ დღეში ჩავიდა ხმელეთის გზით ფასისის კალაპოტთან, მიათრევდა რა თან რომაელებს. მისი ლაშქრობით დამტკიცდა პონტოში ჩასვლა წყლით ინდოეთიდან“ (Collectanea, 19, 3).

3 ამ გზის არსებობის ან ფუნქციონირების შესახებ ვ. ტარნისა და სხვა ზოგიერთი ავტორის სკეპტიკურ მოსაზრებათა კრიტიკის ცდა იხ. ლორთქიფანიძე ოთ. 1957; იხ. აგრეთვე ბერძნიშვილი 1969: 99-118; Гозалишвили 1956; Ямпольский 1956.

4 ქალაქ ფასისსა და ამისოსს შორის პირდაპირ ურთიერთობაზე მითითება არის სტრაბონის „გეოგრაფიაში“ (XI, 2,1 7; შდრ. II, 1, 5; II, 1, 11).

მეორე მხრივ, საკმაოდ მრავლად ძველ ნისაში (პართია). ვარაუდობენ, რომ ამისოსის მონეტები შესაძლოა ძველი პართიის ტერიტორიაზე მოხვდა სწორედ შავი ზღვიდან, კერძოდ, ფასისიდან, ინდოეთისაკენ მიმავალი გზით, რომელიც თითქოს უკვე ძვ.წ. IV ს-ში ყოფილა ათვისებული (Брашинский 1967).

რა თქმა უნდა, ძნელია ვამტკიცოთ, თუ რამდენად ინტენსიურად წარმოებდა ვაჭრობა ამ გზაზე ინდოეთიდან ფასისამდე. მაინც უნდა ვიფიქროთ, რომ მთლიანად ის შემთხვევით ხასიათს ატარებდა, მაგრამ უთუოდ შედარებით ინტენსიურად იყო გამოყენებული მისი ცალკეული მონაკვეთები, კერძოდ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე. ამასთან საფიქრებელია, რომ ამ გზის ცალკეული ნაწილები ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე იმართებოდა ჯერ კიდევ წინარე ელინისტურ ხანაში მას შემდეგ, რაც დაარსდა ბერძნული სავაჭრო ქალაქები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში და, კერძოდ, ფასისი. არქეოლოგიური მასალები მოწმობენ, რომ უკვე ძვ.წ. VI საუკუნიდან ბერძნული იმპორტი გზას იკვლევს არა მხოლოდ ზღვისპირა კოლხეთში, არამედ მდინარე რიონ-ყვირილის მაგისტრალით ის აღწევს ქვეყნის შიდა რაიონებს და გადადის აღმოსავლეთ საქართველოშიც,[1] ხოლო V-IV საუკუნეებისათვის (კოლხეთთან ათენის აქტიური ვაჭრობის პერიოდში) ის დადასტურებულია მდინარე რიონისა და ყვირილას (ე.ი. ძველი ფასისის) ხეობაში, აგრეთვე კოლხეთიდან იბერიაში გადამავალ გზაზე[2] განლაგებულ თითქმის ყველა მნიშვნელოვან ცენტრში (დაწვრ. Лордкипанидзе О. 1979: 154 და შმდ.). დიდ როლს ასრულებდა მდინარე ფასისი – თანამედროვე რიონ-ყვირილის მაგისტრალი.

სტრაბონი ორგზის აღნიშნავს ნაოსნობას მდინარე ფასისზე (XI, 2, 17; XI, 3, 4), რასაც იმეორებს პლინიუსიც: „ფასისი სანაოსნოა დიდი ხომალდებისათვის 38599 ნაბიჯზე,[3] ხოლო შემდეგ დიდ მანძილზე პატარა ხომალდებისათვის“ (NH, VI, 13: navigatur quamlibet magnis navigiis XXXVIII m.p., inde minoribus longo spatio). ზღვიდან მდინარე რიონზე (ე.ი. ძველ ფასისზე), მის ყვირილასთან შეერთებამდე ნაოსნობას ადასტურებენ გვიანდელი ავტორებიც (ბიზანტიელი ისტორიკოსები,[4] შუა საუკუნეების მოგზაურები,[5] XVIII ს-ის ქართველი გეოგრაფოსი ვახუშტი ბაგრატიონი[6] და სხვა – დაწვრ. ბერაძე 1981: 133-145).

---

1 ძვ.წ. VI ს-ის ბერძნული იმპორტი დადასტურებულია ვანში (ქიოსური მოხატული თასი, ატიკური წვრილფიგურული კილიკები, შავლაკიანი კერამიკა, ლესბოსისა და ქიოსის ამფორები) – ვანი VII: 16, №№ 1-3; 42-43: 101-107, ჭოგნარში (იონიური სადა მოხატული კერამიკა), ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში – ხოვლესა (შავფიგურული კილიკი) და ავლევში, მდინარე ფრონეს ხეობაში (ფიკელურას სტილის კერამიკის ფრაგმენტები) – დაწვრ. ლორთქიფანიძე ოთ. 1966: 71-72, ტაბ. XII/1-2.

2 ამ თვალსაზრისითაა საინტერესო ყვირილის ხეობაში მდებარე საჩხერედან ქართლში (იბერიაში) შემავალ გზაზე კორბოულის გადასასვლელზე ბერძნული კერამიკის აღმოჩენა (ნადირაძე 1975: 141), აგრეთვე კოლხური ვერცხლის მონეტებისა და აქემენიდური სიკლის ერთად პოვნა სურამში (Зограф 1945: ტაბ. 24).

3 ე.ი. 53,5 კმ-ზე.

4 იხ. მაგ., აგათია სქოლასტიკოსი (III, 20 და 99).

5 1650-1652 წლებში იმერეთში მყოფი რუსი ელჩები იუწყებიან, რომ ნიჩბიანი ნავებით რიონზე ზღვიდან ყვირილას შესართავამდე დადიოდნენ (იხ. ჯანაშია 1952: 277 და 280-281, შენ. 40-44 და იქ დასახ ლიტ.).

6 „ვლენან ნავებითა [რიონზე] ზღვიდამ ბაჟამდე“ (ე.ი. მდინარე ყვირილას შესართავამდე) – ვახუშტი: 747.

ბერძნული სამყაროს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა კოლხეთთან კიდევ უფრო ინტენსიური ხდება ადრეელინისტური ხანიდან, როდესაც აქტიური როლის შესრულებას იწყებს სინოპე.

ძვ.წ. IV ს-ის შუა ხანებიდან და განსაკუთრებით III-II სს-ში ბერძნული იმპორტი (სინოპეს, როდოსის, კოსის, კნიდოსის ამფორები; პერგამონის, ალექსანდრიის, სამოსის და სხვა ცენტრების შავ– და წითელლაკიანი კერამიკა, ე.წ. მეგარული თასები; მაკედონიისა და სირაკუზის, პონტოს სამეფოს, კაპადოკიის, აგრეთვე ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული ქალაქების – პანტიკაპეიონის, ოლბიის, ქერსონესის ოქროსა და ვერცხლის მონეტები და ა.შ.) ფართოდაა წარმოდგენილი რიონ-ყვირილის მაგისტრალზე (და აგრეთვე სხვადასხვა მდინარეებით მასთან დაკავშირებულ ხეობებში) განლაგებულ ცენტრებში (დაწვრ. Лордкипанидзе О. 1979: 192 და შმდ.; Лордкипанидзе О. 1989: 280 და შმდ., იქვე დასახ. ლიტ.). ამავე დროს, ელინისტური ხანის ბერძნული იმპორტი შეუდარებლად მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი იბერიაში საერთოდ და, კერძოდ, მდინარე მტკვრის გაყოლებაზე. ჯერჯერობით აღნუსხულია მხოლოდ გვიანელინისტური წითელლაკიანი კერამიკის ერთეული აღმოჩენები უფლისციხეში (ხახუტაიშვილი 1964: 57), ნასტაკისში (ალ. ბოხოჩაძის გათხრები), მცხეთაში (ბერძენიშვილი ქ. 1963).[1] უნდა აღინიშნოს აგრეთვე თბილისში ნაპოვნი ძვ.წ. II ს-ის ბაქტრიული მონეტა (Зограф 1945: ტაბ. № 72).[2]

კიდევ უფრო მცირე რაოდენობითაა ამ დროის ბერძნული იმპორტი ძველი ალბანიის ტერიტორიაზე.[3] ეს იმის მოწმობა უნდა იყოს, რომ სავარაუდებელი სავაჭრო-სატრანზიტო გზა ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ, რომლის შესახებ ცნობები შემოინახეს სტრაბონმა და პლინიუსმა, ინტენსიურად და რეგულარულად არ ფუნქციონირებდა და მისი გამოყენება უთუოდ უფრო შემთხვევით ხასიათს ატარებდა. რეგულარულად ფუნქციონირებდა, როგორც ჩანს, მისი მხოლოდ ერთი მონაკვეთი – ფასისის (თანამედროვე რიონ-ყვირილას) მაგისტრალი, რომ-

1 მდინარე არაგვის (სტრაბონისეული არაგოსის) ხეობაში აღმოჩენილია ბერძნული ამფორისკოსი ძვ.წ. II ს-ის (რ. რამიშვილის გათხრები).

2 ეს ჯერჯერობით ერთადერთი აღმოჩენა ბაქტრიული მონეტისა, რა თქმა უნდა, ვერ გამოდგება განზოგადების საფუძვლად, მაგრამ თვით ფაქტი ბაქტრიული მონეტის აღმოჩენისა უთუოდ საყურადღებოა; თუ დავუშვებთ ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მიმავალი სავაჭრო-სატრანსზიტო გზის არსებობას, მაშინ – კანონზომიერია.

3 ამ თვალსაზრისით საინტერესოა იბერიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი პართული მონეტები (არშაკ II და მითრიდატე I-ის), რომელნიც აქ ალბანიის გზით უნდა მოხვედრილიყო (Зограф 1945: 41), ხოლო, მეორე მხრივ, იბერიაში დამზადებული ლურჯი მინის მრავალწახნაგა საბეჭდავების გავრცელება ალბანიაში (ლორთქიფანიძე მ. 1963: 151). საერთოდ კი, ალბანიის ტერიტორიაზე, მათ შორის მდინარე მტკვრის გაყოლებაზე მდებარე ნამოსახლარებზე მრავლად ნაპოვნი ელინისტური სახელმწიფოების მონეტები და ცალკეული იმპორტული საგნები (Алиев 1974: 257; Дадашева 1977), რა თქმა უნდა, მოწმობენ სავაჭრო აქტივობას მდინარე მტკვრის გასწვრივ, მაგრამ ისინი მაინც ვერ გამოდგება შავი ზღვიდან ამიერკავკასიაზე გავლით ინდოეთისაკენ მიმავალი გზის ინტენსიურად ფუნქციონირების მოწმობად, ვინაიდან მონეტების შემადგენლობა მთლიანად უჩვენებს ალბანეთის სავაჭრო ურთიერთობათა ორიენტაციას სამხრეთისაკენ, სირიისა და მესოპოტამიისაკენ მიმართულ გზებზე (Дадашева 1977).

ლითაც ძირითადად ხორციელდებოდა ბერძნული სამყაროს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ძველი კოლხეთის მოსახლეობასთან და რომელშიც აქტიურ საშუამავლო როლს ქალაქი ფასისი ასრულებდა. ამ პროცესებში სანაოსნო მდინარესთან ერთად უთუოდ დატვირთული იყო სახმელეთო გზაც, რომელიც მდინარეს მიუყვებოდა[1] და რომლის გამოყენებასაც თვალნათლივ მიუთითებს სტრაბონისავე ცნობა ფასისზე 120 ხიდის არსებობის შესახებ,[2] რასაც პლინიუსიც იმეორებს.[3] ბუნებრივია, აქ იგულისხმება პრიმიტიული გაბმული ხიდები,[4] რომელთა სიხშირე აღნიშნული აქვს XVIII ს-ის ქართველ გეოგრაფოსს ვახუშტი ბაგრატიონსაც (ვახუშტი 1973: 748).

2. გზა იბერიაზე ჩრდილოეთისაკენ

XI, 5, 8: [οἱ Ἄορσοι καὶ οἱ Σίρακες] γὰρ ἐπεκράτουν πλείονος γῆς, καὶ σχεδόν τι τῆς Κασπίων παραλίας τῆς πλείστης ἦρχον, ὥστε καὶ ἐνεπορεύοντο καμήλοις τὸν Ἰνδικὸν φόρτον καὶ τὸν Βαβυλώνιον, παρά τε Ἀρμενίων καὶ Μήδων διαδεχόμενοι.

„აორსებსა და სირაკებს... ეპყრათ ქვეყნის მეტი ნაწილი და ფლობდნენ თითქმის მეტ წილს კასპიის სანაპიროსას ისე, რომ შემოჰქონდათ აქლემებით ინდური და ბაბილონური საქონელი, რომელთაც ისინი არმენიელთა და მიდიელთაგან იღებდნენ...“

ი. მანანდიანი (Манандян 1954: 58-59) თვლის, რომ აორსებისა და სირაკების სავაჭრო ურთიერთობა ხორციელდებოდა მეოტიდა-კოლხეთის მაგისტრალისა და ქალაქ არტაშატის გზით[5], მაგრამ სტრაბონის ცნობის მთელი კონტექსტი, ვფიქრობ, სხვაგვარი ვარაუდის საფუძველსაც იძლევა. ცნობაში თითქოს მინიშნებულია, რომ საქონელი სადღაც ახლოს კასპიის ზღვის სანაპიროებთან შემოჰქონდათ. ხოლო რამდენადაც აორსებს და სირაკებს (სარმატული ტომები) ეკავათ და აკონტროლებდნენ, სტრაბონის ცნობით, მეოტისსა და კასპიას შორის მდებარე ტერიტორიას (შდრ. „გეოგრაფია“, XI, 5, 8), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საუბარია ჩრდილოეთ კავკასიასა და არმენია-მიდიას შორის დამაკავშირებელ გზაზე, სადაც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს არმენიის ქალაქი არტა-

1 შდრ. დიონ კასიუსი, XXXVII, 3: „... როდესაც პომპეუსმა გაიგო, რომ ფასისი შორს არ არის და გადაწყვიტა მის გაყოლებით ჩასულიყო კოლხეთში“ (Κἀκ τούτου μαθὼν ὁ Πομπήιος οὐ πόρρω τὸν Φᾶσιν ὄντα, καὶ νομίσας ἐς τε τὴν Κολχίδα παρ᾽ αὐτὸν καταβήσεσθαι).

2 „გეოგრაფია“, XI, 3, 4: მდინარე ფასისზე „... გადაისვლება 120 ხიდით მისი მიხვეულ-მოხვეულობის გამო“ (ὧν ὁ Φᾶσις γεφύραις ἑκατὸν καὶ εἴκοσι περατὸς γινόμενος διὰ τὴν σκολιότητα).

3 Plin., NH, VI, 13: მდინარე ფასისზე „გადაისვლება 120 ხიდით“ (pontibus CXX pervius).

4 XVIII ს-ის ქართველი ლექსიკოგრაფის სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, გაბმული ხიდის სახელწოდება იყო ბონდი (ორბელიანი 1991: 109). ასეთი ხიდები ახლაც მრავლადაა დასავლეთ საქართველოს მდინარეებზე, განსაკუთრებით რიონზე გამართული.

5 აორსების მონაწილეობის მიმართ ამ სავაჭრო ურთიერთობებში სკეპტიკური აზრი აქვს გამოთქმული კ. ნოიმანს (Neumann 1883: 349-350), რომლის მტკიცებით ეს ცნობა თეოფანე მიტილენელიდან მომდინარეობს.

შატი ასრულებდა. ამ ქალაქიდან გზის ერთი მონაკვეთი (როგორც ეს ირკვევა ე.წ. Tabula Peutingeriana-სა და რავენელი ანონიმის „კოსმოგრაფიასთან“ შედარებითი ანალიზით) ამოდიოდა ქალაქ მცხეთასთან (Еремян 1939; ლომოური 1958). ამის შემდეგ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გზა აორსებისა და სირაკებისაკენ მიემართებოდა მდინარე არაგვის ხეობით და დარიალის ხეობით გადადიოდა ჩრდილოეთ კავკასიაში, რის შესახებაც, შესაძლოა, არის მინიშნება XI, 3, 5-ში. ამის არაპირდაპირი მოწმობა შეიძლება იყოს, ერთი მხრივ, გავრცელება ჩრდილოეთ კავკასიაში გოტარზეს დრაქმებისა (რომელნიც ფართოდ მიმოიქცეოდნენ იბერიაში) ჩრდილოეთ კავკასიაში (Зограф 1945: 42), ხოლო, მეორე მხრივ, ბოსფორული სტატერებისა იბერიაში (Капанадзе 1959: 148-149), რომელნიც, როგორც ფიქრობენ, სწორედ დარიალის გზითაა შემოსული (Голенко 1964: 35).

დ) ბუნებრივი სიმდიდრეები

I, 2, 39: καὶ ὁ πλοῦτος τῆς ἐκεῖ χώρας (Κολχίδος – O. L.) ἐκ τῶν χρυσείων καὶ ἀργυρείων καὶ σιδηρείων καὶ χαλκείων δικαίαν τινὰ ὑπαγορεύει πρόφασιν τῆς στρατείας, καθ' ἣν καὶ Φρίξος πρότερον ἔστειλε τὸν πλοῦν τοῦτον.

„... იქაური ქვეყნის (საუბარია კოლხეთზე – ო. ლ.) სიმდიდრე ოქროთი, ვერცხლითა და რკინით გვიჩვენებს ნამდვილ მიზნებს ლაშქრობისა, რისთვისაც ჯერ ფრიქსემ მოაწყო თავისი მგზავრობა“.

კოლხეთის ლითონებით სიმდიდრეს სტრაბონი, ამრიგად, იხსენიებს არგონავტების ლაშქრობის შესახებ თქმულებასთან კონტექსტში, რომელიც ბერძენთა საკოლონიზაციო კონცეფციის გამოსახულება იყო.[1] დღეს სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში სულ უფრო მტკიცდება აზრი, რომ ბერძენთა მიერ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე (ე.ი. კოლხეთში) კოლონიების (აპოიკიების) დაარსების ერთ-ერთი მთავარი სტიმული იყო ლითონების (პირველ რიგში რკინისა და აგრეთვე ოქროს) მოპოვება.[2]

1 ფიქრობენ, რომ ეკონომიკური სტიმულის ხაზგასმით აქ სტრაბონი თითქოს წარმოადგენს ევჰემერისტულ კონცეფციას (შდრ. Lassere 1969: 139, შენ. 1).

2 კოლხეთში ბერძნული კოლონიზაციისა და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა მოსაზრებათა შესახებ იხ. შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისადმი მიძღვნილი I, II და V სიმპოზიუმების მასალებში – Проблемы 1979: 187-345, 369-406; Демографическая ситуация 1981: 241-394; Причерноморье 1990: 8-39.

1. ოქროთი სიმდიდრე („πλοῦτος... ἐν τῶν χρυσείων“: I, 2, 39)

კოლხეთის სიმდიდრე ოქროთი არაერთგზისაა აღნიშნული ძველ ბერძნულ ლიტერატურაში. შეიძლება ითქვას, რომ ოქრო ერთ-ერთი ყველაზე უფრო ტიპიური სიმბოლოა, რომლითაც წარმოდგენილია კოლხეთი ბერძნულ-რომაულ ლიტერატურაში, განსაკუთრებით არგონავტების თქმულებასთან კავშირში. ასე მაგ.:

ძვ.წ. IV ს-ით დათარიღებულ ერთ-ერთ ეპიტაფიაში („კოლხეთში დაკრძალულ აიეტზე“), რომელიც შეცდომით არისტოტელეს მიეწერებოდა, ნათქვამია:

Αἰήτην, Κόλχοισι πολυχρύσοισιν ἄνακτα ἐνθάδε πανδαμάτωρ μοῖρα θεῶν κτέρισεν.	„ოქრომრავალი კოლხების მეფე აიეტი ღმერთების ყოვლისმძლე სვემ აქ გააპატიოსნა“ („პეპლოსი“, 43).

აქ საინტერესოა აგრეთვე, რომ კოლხეთი მოიხსენიება იმავე ეპითეტით – „ოქრომრავალი“ (πολύχρυσος), როგორც ძველ სამყაროში იხსენიებოდა მხოლოდ მიკენი, სარდი და ბაბილონი.

კოლხეთის ოქრომრავლობა ხშირად პოეტური ხერხებითაა გადმოცემული: მიმნერმე („ნანო“, ფრ. 11) იხსენიებდა აიეტის ქალაქში „ოქროს სასახლეს“ (Αἰήταο πόλιν, τόθι τ᾽ ὠκέος Ἠελίοιο ἀκτῖνες χρυσέῳ κείαται ἐν θαλάμῳ). ევრიპიდესთან მედეა გლავკეს საჩუქრად უგზავნის „ოქროს გვირგვინს“ (μισθὸν τῆς χάριτος δῶρα διὰ τῶ παίδων πέμπει τῇ Γλαύκη ἐσθῆτα καὶ χρυσὸν στέφανον) და წამლებს ხარშავს „ოქროს ქვაბებში“ (φάρμακα πόλλ᾽ ἔφους᾽ ἐπὶ Χρυσείοισι λέβησιν) („მედეას“ ჰიპოთესისი = ურუშაძე 1964: 237). ხოლო ლიკოფრონ ქალკიდელთან („ალექსანდრა“, 886-887) მედეა ტრიტონს ასაჩუქრებს „ოქროს კრატერით“ (τῷ δὲ Νηρέως γόνῳ Τρίτων Κολχὶς ὤπασεν δάνος γυνὴ χρυσὸν πλατὶν κρατῆρα κεκροτηυένον). აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ კოლხთა მეფე აიეტი ატარებს ოქროს მუზარადს (III, 1228: [Αἰήτης] χρυσείην δ᾽ ἐπὶ κρατὶ κόρυν θέτο τετραφάληρον). საინტერესოა პლინიუსის ცნობაც, რომ კოლხეთში მეფობდა „აიეტის შთამომავალი სავლაკი, რომელმაც მფლობელობაში მიიღო აურაცხელი მიწა-წყალი, და ამბობენ, მოიპოვა უამრავი რაოდენობის ოქრო და ვერცხლი სვანთა ტომის მიწაში და საერთოდ ოქროს საწმისით განთქმულ თავის სამეფოში“ (NH, XXXIII, 52).

სტრაბონის „გეოგრაფიამ“ შემოინახა აგრეთვე ცნობა კოლხეთში ოქროს მოპოვების შესახებ: „... ამბობენ, რომ ზამთრის ნიაღვრებს ოქრო ჩამოაქვს, ხოლო ბარბაროსები აგროვებენ [ოქროს] დახვრეტილი ვარცლებით და ბანჯგვლიანი ტყავებით: აქედან მომდინარეობს მითი ოქროსსაწმისიან ვერძზე“ (XI, 2, 19: παρὰ τούτοις δὲ λέγεται καὶ χρυσὸν καταφέρειν τοὺς χειμάρρους, ὑποδέχεσθαι

δ' αὐτὸν τοὺς βαρβάρους φάτναις κατατετρημέναις καὶ μαλλωταῖς δοραῖς· ἀφ' οὗ δὴ μεμυθεῦσθαι καὶ τὸ χρυσόμαλλον δέρος).

ანალოგიური შინაარსისაა აპიანეს ცნობაც: „კავკასიონიდან გამომდინარე მრავალ ნაკადულს უჩინარი ოქროს ქვიშა ჩამოაქვს. ადგილობრივი მცხოვრებლები მდინარეში სქელმატყლიან ცხვრის ტყავს დებენ და აგროვებენ ქვიშას, რომელიც ამ ტყავებზე რჩება. ალბათ, ამგვარივე იყო აიეტის ოქროს საწმისიც" („მითრიდატიკა", 103: Χρυσοφοροῦσι δ' ἐκ τοῦ Καυκάσου πηγαὶ πολλαὶ ψῆγμα ἀφανές· Καὶ οἱ περίοικοι, κῴδια τιθέντες ἐς τὸ ῥεῦμα βαθύμαλλα, τὸ ψῆγμα ἐνισχόμενον αὐτοῖς ἐκλέγουσι. Καὶ τοιοῦτον ἦν ἴσως καὶ τὸ χρυσόμαλλον Αἰήτου δέρος).

სტრაბონისა და აპიანეს ცნობებიც სრულიად უეჭვოდ რეალური ვითარების ამსახველია, რამდენადაც იმასვე იუწყებიან ამ ადგილებში უფრო გვიან ხანებში (XVIII-XIX სს-ში) მოგზაურნიც (იხ. მაგ., Reineggs 1797: 138; Dubois de Montpéreux 1839: 18),[1] ხოლო ბერძენ ავტორთა მიერ აღწერილი წესი ოქროს მოპოვებისა თითქმის უკანასკნელ დრომდე შემოინახა სვანეთში, ე.ი. ისტორიული კოლხეთის მთიან ოლქებში. აწ განსვენებული ქართველი ეთნოგრაფის ლ. ბოჭორიშვილის ცნობით, „ოქროს მოპოვებას სვანები ცხვრის ტყავის დახმარებით ახერხებდნენ. ფიცარზე გაჭიმულსა თუ სხვაგვარი ხერხით გაშლილ ცხვრის ტყავს სათანადოდ დაამაგრებდნენ, რომ წყალს არ მოეტაცა, ტყავის ბეწვიანი მხარე ზემოთ უნდა ყოფილიყო მოქცეული. ბეწვი ოქროს დაიჭერდა და წყალი გადაივლიდა. სველი ტყავი ოქროს კენჭებს მიიწებებდა, რადგან ოქრო უფრო მძიმეა, ვიდრე სილა, განსაზღვრული დროის შემდეგ ტყავს ამოიღებდნენ და გასაშრობად გაშლიდნენ. გამშრალ ტყავს დაბერტყავდნენ და ოქროს კენჭებს გადმოჰყრიდნენ (ბოჭორიშვილი 1946).[2]

კოლხეთის ოქრომრავლობის შესახებ სტრაბონისა და სხვა ბერძენ მწერალთა ცნობების რეალურობის ილუსტრაციაა აგრეთვე არქეოლოგიური აღმოჩენები: კოლხეთის ძვ.წ. V-III სს-ის სამარხებში გასაოცარი სიმრავლითაა წარმოდგენილი

1 ძალზე საინტერესოა უცნობი ავტორის თხზულება „მდინარეების ენგურისა და რიონის ხეობებში ოქროს არსებობის პირობები" („Условия местонахождений золота в долине рек Ингури и Риони"), რომელიც 1879 წელსაა შედგენილი რუსულ ენაზე და აღმოჩენილია სანკტპეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაში (დაწვრ. იხ. კოჭლავაშვილი 1962: 258-260). მოვიტან ზოგიერთ მონაცემს ამ ხელნაწერის ფოტოპირიდან, რომელიც მომაწოდა აწ განსვენებულმა ბატონმა ალ. კოჭლავაშვილმა: „სრულიად საიმედო წყაროებიდან ცნობილია, რომ არც თუ ისე დიდი ხნის წინ ოქროს მოპოვება ხდებოდა მდინარეების ენგურისა და რიონის ქვემო წელზე, ხოლო იმერეთის მეფეები იჯარით აძლევდნენ ოქროს მოპოვებას ცხენისწყალის შესართავთან ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში. შემდგომში ბატონების ტომილოვისა და გილევის გამოკვლევებმა (1850-1963 წწ.) ყოველგვარი ეჭვის გარეშე წარმოგვიჩინეს, რომ მდინარეების ენგურისა და რიონის შუა და ზემო წელზე ხეობაში გვხვდება ოქრო. იგივე დაადასტურეს ბატონ კასტენის დაზვერვითმა სამუშაოებმა, რომელსაც გამოეყო ადგილი იქ, სადაც ოქროს შემცველი ქვიშებია... ოქრო გვხვდება, ძირითადად, წვრილი მარცვლების სახით, მაგრამ ყველგან მდინარის დანაშრევებში... ზოგჯერ გვხვდება ოქროს მარცვლები, რომელნიც სიმინდის მარცვლის ზომისაა. იშვიათად, მაგრამ არის უფრო დიდი ზომისაც".

2 სვანეთში მდინარეებიდან ოქროს მოპოვების წესი აღწერილი აქვს ტიმ სევერინს (Severin 1985: 222-223), რომელმაც 1984 წელს ოცნიჩბიანი ნავით გაიმეორა არგონავტების მარშრუტი.

ოქროს სამკაულები[1] – ძირითადად ადგილობრივი საოქრომჭედლო ხელოვნების ნიმუშები (ვანი I: 113-116, 203-208, 213-232; VI; VIII, 26-27, 77-78, 84-85; ნადირაძე 1990). ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ოქრომჭედლობაშია ყველაზე უფრო თვალნათლივ განსახიერებული კოლხური მხატვრული კულტურის თავისებურება და სპეციფიკური ნიშნები (კოლხური ოქრომჭედლობის შესახებ იხ. ლორთქიფანიძე ოთ. 1972: 25-39; Лордкипанидзе О. 1979: 84: 100; ჭყონია 1981).

2. რკინით სიმდიდრე („πλοῦτος... ἐν τῶν σιδηρείων": I, 2, 39)

სტრაბონის ცნობა კოლხეთის რკინით სიმდიდრის შესახებ ბერძნულ ლიტერატურაში თითქოს ერთადერთია,[2] მაგრამ ის ზუსტად შეესატყვისება და ასახავს რეალურ ვითარებას: დასავლეთ საქართველო (ე.ი. ძველი კოლხეთი) მართლაც მდიდარი იყო როგორც მაგნეტიტური, ისე მადნეული რკინით (Минеральные: 213; Твалчрелидзе 1958: 81-89; შდრ. Гзелишвили 1964: 14 და შმდ.; რეხვიაშვილი 1964: 38 და შმდ.). ამასთან რკინის ფართოდ გამოყენება არქეოლოგიური მასალებითაც თვალსაჩინოდ დასტურდება და შესანიშნავად ეხმაურება სტრაბონის ზემოთ მოტანილ ცნობას.

არქეოლოგიური კვლევა-ძიება დასავლეთ საქართველოში ცხადყოფს, რომ უკვე ყოველ შემთხვევაში ძვ.წ. VIII-VII სს-დან (ხოლო ზოგიერთი მკვლევარის აზრით, უფრო ადრეც – შდრ. Хахутайшвили 1987) ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე დგება რკინის ფართო ათვისების ხანა. ამასთან, რკინის წარმოება, რომელიც ადგილობრივ ნედლეულზე იყო დაფუძნებული, უკვე მაობრივ ხასიათს ატარებს. ამას მოწმობს რკინის წარმოების ნაშთების (რკინის სადნობი ქურები, წიდა, თიხის საქშენები, ცეცხლგამძლე რკინის მოლესილობანი და ა.შ.) უაღრესად მრავალრიცხოვანი აღმოჩენები (დაწვრ. Хахутайшвили 1987). ამასთან გათხრების პროცესში დადასტურდა, რომ ეს სახელოსნოები ნედლეულად იყენებდნენ როგორც მადნეულ რკინას (ჰემატიტს), ასევე მაგნეტიტურ ქვიშას, რაც, თავის მხრივ, დოკუმენტური დადასტურებაა ბერძენ ავტორთა ცნობებისა მაგ-

1 ასე მაგალითად, ვანის ერთ-ერთ მდიდრულ სამარხში (ძვ.წ. V ს.) აღმოჩენილია 1800-მდე ოქროს სხვადასხვა ნივთი (ვანი I: 213 და შმდ.).

2 ძველ ბერძნულ ლიტერატურაში, როგორც ცნობილია, ფართოდ იყო გავრცელებული თქმულებები მელითონე ტომებზე – ხალიბებზე, რომელნიც კოლხური წარმოშობის ტომებად არიან მიჩნეულნი, მაგრამ ჩვენთვის ამჯერად საინტერესო ხანაში ისინი არ შედიოდნენ კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში და ეკავათ ვრცელი ტერიტორია სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში – მდინარე ჰალისსა და ჭოროხს შორის (იხ. ქვემოთ V თავი).

ნეტიტური ქვიშიდან ფლოტაციის გზით რკინის მიღებისა[1] და ფოლადის გამოდნობის ხალიბური წესის შესახებ.[2]

მეორე მხრივ, კოლხეთში რკინის წარმოების ძალზე ფართო მასშტაბების პირდაპირი მოწმობაა აგრეთვე ნამოსახლარებსა და სამაროვნებზე მრავლად აღმოჩენილი რკინის საომარი და სასოფლო-სამეურნეო იარაღი, თუ სხვა დანიშნულების ნივთები (სახნისები, ცულები, დანები, შუბისა და ისრისპირები, ლურსმნები, ცხენის აკაზმულობის ნაწილები). განსაკუთრებით თვალსაჩინოა რკინის სამეურნეო იარაღების სიმრავლე – ათეულობით და ზოგჯერ ასეულობითაც კი! (მიქელაძე 1985). არქეოლოგიური მონაცემები მოწმობენ, რომ რკინამ უდიდესი როლი შეასრულა კოლხეთის სოციალურსა და ეკონომიკურ განვითარებაში (Лордкипанидзе О. 1989: 229 და შმდ.; იხ. აგრეთვე Лордкипанидзе-Микеладзе 1990: 185 და შმდ.).

3. „ყოველივე ნავთსაშენისათვის“ („... πρὸς ναυπηγίαν πᾶσι“)

XI, 2, 17: Ἀγαθὴ δ᾽ ἐστὶν ἡ χώρα καὶ καρποῖς ...καὶ τοῖς πρὸς ναυπηγίαν πᾶσι· πολλήν τε γὰρ ὕλην [καὶ] φύει καὶ ποταμοῖς κατακομίζει.

„ქვეყანა შესანიშნავია... აგრეთვე ყოველივე ნავთსაშენით, რადგან აქ იზრდება მრავალი ტყე და მდინარეებითაც ჩამოიტანება“.

კოლხეთში ტყეების სიუხვეს იუწყებოდა ჯერ კიდევ ფსევდო-ჰიპოკრატე: „ეს ქვეყანა ჭაობიანია, თბილი, წყლიანი და ტყიანი“ (Περὶ ἀέρων ... § 15: ἡ χώρη ἐκείνη ἑλωδής ἐστι καὶ θερμὴ καὶ ὑδατεινὴ καὶ δασεῖα).

1 რკინის შემცველი მთის ქანების გამოფიტვის შედეგად მაგნეტიტური სილა მდინარეებს ჩააქვთ ზღვაში, ხოლო შემდეგ ზღვის ზვირთცემისაგან განიფანტება ზღვის ნაპირზე (პლიაჟები) და ყალიბდება მაგნეტიტურ ფენებად. კოლხეთის ზღვისპირა ზოლში არქეოლოგიურადაა დადასტურებული სპეციალური სეზონური სამოსახლოები (უპირატესად ძვ.წ. VII-VI საუკუნეებისა), რომელნიც დასაქმებულნი იყვნენ მაგნეტიტური ქვიშიდან რკინის მიღებაზე (Рамишвили 1975), აგრეთვე სტაციონარული სახელოსნოები (Хахутайшвили 1987).

2 შდრ. ფსევდო-არისტოტელე, „საოცარი ხმების შესახებ“ 833[6] (48): „ამბობენ, რომ განსაკუთრებულია ხალიბური და ამისური რკინის წარმოება, რადგან, როგორც ამბობენ, ის დაკავშირებულია იმ ქვიშასთან, რომელიც მდინარეებს ჩამოაქვს. ზოგიერთები ამბობენ, რომ ამ ქვიშას უბრალოდ გარეცხილს ღუმელში ახურებენ, ხოლო (სხვების აზრით) ის, რაც რჩება გარეცხვისა და გახურების შემდეგ, კვლავ მრავალგზის ირეცხება, ხოლო შემდეგ მასში დებენ ეგრეთწოდებულ ცეცხლგამძლე ქვას, რაც ამ ქვეყანაში ბევრია. ეს რკინა ბევრად უკეთესია ყველა სხვაზე. მაგრამ იგი ერთ ღუმელში რომ არ დნებოდეს, როგორც ჩანს, არაფრით არ განსხვავდებოდა ვერცხლისაგან. ამბობენ, რომ მხოლოდ ეს [რკინაა], რომ არ იჟანგება, მაგრამ ის ბლომად არ მოიპოვება“. მაგნეტიტური ქვიშების ფლოტაციის წესით რკინის მიღებაზე იხ. წინა შენიშვნაში. უფრო რთულია საკითხი იმის შესახებ, თუ რა იგულისხმება ეგრეთწოდებულ „ცეცხლგამძლე ქვაში“ (πυρίμαχος καλούμενο λίθος). ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ეს შეიძლება იყოს მარგანეცი, რომლის გამოყენება მაღალი სიმტკიცის რკინის მისაღებად ეთნოგრაფიულადაა დადასტურებული საქართველოში, ან კრისტალურ-თიხური-კაჟის ქანის ქვა (სილიკატურ-ალუმინური შენაერთი), რომელიც დიდი რაოდენობითაა ჭოროხის ხეობაში (ე.ი. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში) – იხ. რეხვიაშვილი 1964: 23-25; შდრ. Хахутайшвили 1987: 208-210.

ამასვე აღნიშნავენ გვიანდელი ავტორებიც, მაგ., ვიტრუვიუსი (II, 1, 4) და მანილიუსი („ასტრონომიკა", V, 376-378).[1] შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ანტიკურ ხანაში (და სტრაბონის დროსაც) კოლხეთის ტყეებში იგივე ხის ჯიშები იყო გავრცელებული, რაც დღესაა (Яценко-Хмелевский 1954) – ნაძვი და სოჭი, რომელნიც სწორედ გემთმშენებლობაში გამოიყენებოდა, აგრეთვე მუხა, წიფელი, ნეკერჩხალი, წაბლი,[2] რომელნიც უკვე ძველ დროში გამოიყენებოდა როგორც სამშენებლო მასალა, ასევე საერთოდ ხის დამამუშავებელ წარმოებაში (შდრ. Сокольский 1971: 13-40, 36)[3].

სტრაბონის ცნობის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხე-ტყე ექსპორტის საგანსაც შეადგენდა, კერძოდ, გემსაშენი ჯიშები. სტრაბონის ერთ მითითებაშიც (XI, 2, 18) არის მინიშნება, რომ მითრიდატე VI ევპატორს სწორედ კოლხეთიდან მისდიოდა ნაოსნობისათვის აგრე საჭირო მასალა (ἥν δ' ἔνθεν ἡ πλείστη τῷ βασιλεῖ πρὸς τὰς ναυτικὰς δυνάμεις ὑπουργία).

ხე-ტყის გატანას ხელს უწყობდა, როგორც ჩანს, გეოგრაფიული პირობები: დასავლეთ საქართველოს მდინარეების ჩქარი დინება ხე-ტყის ტრანსპორტირების კარგ შესაძლებლობას ქმნიდა, რასაც დღემდე იყენებენ. ალბათ, ამას გულისხმობდა სტრაბონი, როდესაც წერდა (XI,2,17), რომ გემსაშენი ხე-ტყე „მდინარეებით ჩამოიტანება". გემთმშენებლობისათვის გამოიყენებოდა აგრეთვე, როგორც სტრაბონის ცნობის კონტექსტით ჩანს, კანაფი, ცვილი და ფისი (Сокольский 1971: 37-38), რომელთაც (კერძოდ ცვილს) სხვა მრავალი დანიშნულებაც ჰქონდა (შდრ. Mehl 1987: 134).

4. ნაყოფი (καρποί)

XI, 2, 17: Ἀγαθὴ δ' ἐστὶν ἡ χώρα καὶ καρποῖς πλήν τοῦ μέλιτος, πικρίζει γὰρ τὸ πλέον.

„ქვეყანა შესანიშნავია ნაყოფებით, გარდა თაფლისა, რომელიც მეტწილად მწარეა".

ძნელი სათქმელია, თუ რას გულისხმობს სტრაბონი ამ სიტყვის (καρποί) ქვეშ ამ შემთხვევაში: იგულისხმება ხილი[4] თუ სხვა ნაყოფნი?[5] იმავე კონტექსტში მოხ-

1 ხე-ტყის სიმრავლით (და აგრეთვე ჰავის სპეციფიურობით) იყო გაპირობებული, რომ ძველ კოლხეთში ძირითადად ხის არქიტექტურა იყო გავრცელებული, რასაც აღნიშნავენ ძველი ავტორებიც (ვიტრუვიუსი, II, 1, 4) და მტკიცდება მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მონაცემებითაც (Лордкипанидзе О. 1989: 223 და შმდ.).

2 თითქმის ყველა ამ ჯიშის არსებობა დადასტურებულია არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი ხის ნიმუშების ანალიზებით.

3 იხილე აგრეთვე XII, 3, 12. აქ ლაპარაკია როგორც გემთსაშენ ხეზე, ასევე ხის ჯიშებზე, რომლების ავეჯის დასამზადებლად გამოიყენებოდა, კერძოდ ნეკერჩხალი, თხილი და ა.შ. (შდრ. Mehl 1987:6).

4 სხვა შემთხვევაში, მაგ., თემისკირას აღწერისას (XII, 3, 15) ჩამოთვლილია სხვადასხვა ხილი.

5 კოლხეთის „ნაყოფთა" (καρποί) შესახებ ცნობა აქვს ფსევდო-ჰიპოკრატესაც („ჰაერთა...", § 15): „ნაყოფი, რომელიც აქ წარმოიშვება, ყველა ზრდადაუსრულებელია, სუსტი და უვარგისი, წყლის სიუხვის

სენიებულია თაფლი, რომელიც „მეტწილად მწარეა“ (πικρίζει γὰρ τὸ πλέον). კოლხური თაფლის ეს დახასიათება ეხმაურება საერთოდ პონტოს თაფლის შესახებ აზრს, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული ანტიკურ მწერლობაში. მოგვითხრობენ მათრობელა (ქსენოფონტი, „ანაბასისი“, IV, VIII, 20; სტრაბონი, XII, 3, 18; დიოდორე სიცილიელი, XIV, 30, 1-2;[1] პლინიუსი, XXI, 74, 77, 83), მწარე თაფლზე (დიონ ქრიზოსტომი, IX, 6; პროკოპი კესარიელი, BP, VIII, 2).[2] სტრაბონის ზემოთმოტანილ ცნობაში „მწარე თაფლის“ მოხსენიება ქვეყნის „ნაყოფთან“ კონტექსტში შეიძლება გულისხმობდეს მცენარეულ თაფლს; მაგრამ იქვე ნათქვამია, რომ „ამზადებენ აგრეთვე ცვილს“, როგორც ჩანს, გულისხმობს აგრეთვე ფუტკრის ნაყოფს და მაშასადამე, მეფუტკრეობის განვითარებას (რობაქიძე 1960).

5. სელის დამუშავება (λινουργία)

XI, 2, 17: Ἡ δὲ λινουργία καὶ τεθρύληται· καὶ γὰρ εἰς τοὺς ἔξω τόπους ἐπεκόμιζον, καί τινες βουλόμενοι συγγένειάν τινα τοῖς Κόλχοις πρὸς τοὺς Αἰγυπτίους ἐμφανίζειν ἀπὸ τούτων πιστοῦνται.

„... ხოლო სელის დამუშავება განთქმულიც კი არის: (ქვეყნის) გარეთაც კი გააქვთ. და ზოგიერთებს უნდათ რაღაც ნათესაობაც კი გვაჩვენონ კოლხებისა ეგვიპტელებთან ამის მიხედვით...“

სრულიად აშკარაა, რომ „ზოგიერთებში“ (τινες) სტრაბონი აქ გულისხმობს ჰეროდოტეს, რომელსაც ეკუთვნის ჩვენთვის ცნობილი პირველი მითითება კოლხური სელის შესახებ და იდეაც კოლხებსა და ეგვიპტელთა შორის ნათესაობისა: [3] „... მხოლოდ ესენი (ე.ი. კოლხები – ო. ლ.) და ეგვიპტელები ამუშავებენ სელს ერთნაირად... ხოლო კოლხურ სელს ელინები სარდონულს[4] უწოდებენ, ეგვიპტიდან შემოსულს კი – ეგვიპტურ სელს“ (II, 105).

გამო. ამიტომ არ მწიფდება“. ეს აღწერილობა არ შეესატყვისება სტრაბონისეულ დახასიათებას – „ქვეყანაში კარგი ნაყოფი იცის“ (ἀγαθὴ δ᾽ἐστὶν ἡ χώρα καὶ καρποις). ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სტრაბონთან საუბარია მთლიანად ქვეყანაზე, ხოლო ფსევდო-ჰიპოკრატესთან ერთ მიკრორაიონზე (ფასისის ქვემო დინება). არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილ პალეობოტანიკურ მასალებში ჯერჯერობით დაფიქსირებულია მხოლოდ წაბლი, თხილი.

1 ფაქტობრივად იმეორებს ქსენოფონტს.

2 შდრ. Mehl 1987: 113-114.

3 ჰეროდოტე, ისტორია, II, 104-105. ამ ცნობის ინტერპრეტაციაში (კოლხებისა და ეგვიპტელების ნათესაობასთან კონტექსტში) მკვლევარნი სხვადასხვა აზრის არიან (იხ. Лордкипанидзе О. 1979: 16, შენ. 24).

4 ძნელი სათქმელია, თუ რატომ უწოდებდნენ კოლხურ სელს სარდონულს. არსებობს სხვადასხვა მოსაზრება: ბ. კუფტინის აზრით (Куфтин 1951: 292), ტერმინი Σαρδονικόν შეიძლება იყოს სელის ქსოვილთან დაკავშირებული ადგილობრივი, კოლხური სიტყვა; მ. ინაძე (Инадзе 1968: 126) ვარაუდობს, რომ ეს სახელი დაკავშირებულია ლიდიის დედაქალაქ სარდთან, საიდანაც თითქოს ხდებოდა კოლხური სელის გატანა; რ. გორდეზიანის მტკიცებით კი, ჰეროდოტეს ცნობაში ასახულია კოლხეთის რეალური კავშირები სარდინიასთან (გორდეზიანი 1975).

სტრაბონისა და ჰეროდოტეს ცნობები თითქოს იმის მაუწყებელია, რომ ბერძნულ სამყაროში ფართოდ იყო ცნობილი კოლხური სელი (სტრაბონის ცნობით ხომ ის „ქვეყნის გარეთაც გაჰქონდათ“) და, შესაძლებელია, ეს მართლაც უწევდა მეტოქეობას ეგვიპტურს (ბერძნიშვილი 1969: 44). ქსენოფონტის ცნობითაც (Kynegetikos, II,4), „ჩასაშვები ბადეები უნდა გაკეთდეს წმინდა ფასიანური[1] ან კართაგენული სელისაგან, აგრეთვე სამგზავრო და საველეც“ (τὰς δὲ ἄρκυς Φασιανοῦ ἢ Καρχηδονίου λεπτοῦ λίνου).

სტრაბონის ცნობა, რომ კოლხეთში „მრავლად ამზადებენ სელს“ (XI, 2, 17: λίνον τε ποιεῖ πολὺ), შეიძლება მოწმობდეს იმას, რომ სელის ქსოვილთან ერთად ამზადებდნენ ზეთსაც, რომელსაც, როგორც ცნობილია, საკვები, სანათი და სამკურნალო დანიშნულება ჰქონდა (მოლოდინი 1963: 54).

სელის დამუშავებისათვის კოლხეთში ყველა პირობა არსებობდა (ნესტიანი ჰავა, მდინარეებისა და ჭაობების სიმრავლე).[2] ზოგიერთი ბოტანიკოსი ამტკიცებს კიდევაც, რომ ამიერკავკასია, კერძოდ კოლხეთი, წარმოადგენდა ადგილობრივი ველურად გაზრდილი მცენარეული სახეებიდან კულტურული სელის გამოყვანის ერთ-ერთ კერას. ამ თვალსაზრისით სპეციალისტების ყურადღებას იქცევს დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ოლქებში გავრცელებული ბეწვოვანი სელი, რომელსაც კოლხურს უწოდებენ და გამოირჩევა შესანიშნავი ხარისხით (Горгидзе 1958). როგორც ჩანს, ხელსაყრელმა ბუნებრივმა პირობებმა განაპირობეს კოლხეთში უძველესი დროიდან სელის მოყვანა,[3] რაც განსაკუთრებით ფართოდ განვითარდა ანტიკურ ხანაში (სტრაბონი: „სელის დამუშავება განთქმულიც კი არის“) და გრძელდებოდა უფრო გვიანაც.[4]

1 „Φασιανός“ აქ უნდა ნიშნავდეს კოლხურს. როგორც ცნობილია, ქსენოფონტი „ანაბასისში“ მართალია იხსენიებს ფასიანების ტომს (Φασιανοί) სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, მაგრამ არ აღნიშნავს მათ მიერ სელის დამუშავებას (შდრ. „ანაბასისი“, V, 6, 4). იმავე დროს ის ფასიანებს უწოდებს კოლხეთის მცხოვრებლებსაც (შდრ. V, VI, 36). ასევე ესმოდა ეს II ს-ის მწერალს იულიუს პოლიდევკეს, რომელიც იმეორებს ქსენოფონტის ზემოთმოტანილ ცნობას და განმარტავს: Φασιανός ὅπερ ἐστὶ κολχικός (Onomastikon, V, 26). საინტერესოა, რომ სელის ნართისაგან თევზსაჭერი ბადეების დამზადება საქართველოს შავიზღვისპირეთში ეთნოგრაფიული მასალებითაც დასტურდება (ჩაჩაშვილი 1956).

2 შდრ. ფსევდო-ჰიპოკრატე, „ჰაერთა“, § 15: „ეს ქვეყანა ჭაობიანია, თბილი, წყლიანი...“ საერთოდ კოლხეთის ჰავის ფსევდო-ჰიპოკრატესეული დახასიათება ძალზე ზუსტად ემთხვევა თანამედროვე კლიმატოლოგიურ მონაცემებს (ბერძნიშვილი 1969: 32-34).

3 ამას მოწმობს სელის ქსოვილის ანაბეჭდების ხშირი აღმოჩენები ძველ კოლხურ ნამოსახლარებზე (Куфтин 1951: 282; ჩაჩაშვილი 1956: 171).

4 დასავლეთ საქართველოდან სელი უცხო ქვეყნებში გაჰქონდათ უფრო გვიანაც, XVII-XVIII საუკუნეებშიც კი, რის შესახებ არსებობს მრავალი დოკუმენტური მოწმობაც (იხ. ბერძნიშვილი 1969: 44-45).

6. სურინჯი (μίλτος)

XII, 2, 10: Ἐν δὲ τῇ Καππαδοκίᾳ γίνεται καὶ ἡ λεγομένη Σινωπικὴ μίλτος, ἀρίστη τῶν πασῶν· ἐνάμιλλος δ' ἐστὶν αὐτῇ καὶ ἡ Ἰβηρική ὠνομάσθη δὲ Σινωπική, δίοτι κατάγειν ἐκεῖσε εἰώθεσαν οἱ ἔμποροι.

„კაპადოკიაში არის სინოპურად წოდებული სურინჯი, ყველაზე უკეთესი. ამის მსგავსია იბერიული... ხოლო იწოდება სინოპურად იმიტომ, რომ ვაჭრებს ჩვეულებრივ იქ შემოჰქონდათ...“

უნდა ვივარაუდოთ, რომ აქ სწორედ კავკასიის იბერია იგულისხმება, თუმც საღებავად ფართოდ გამოყენებულ ამ მინერალს (Mehl 1987: 119) სხვა ავტორები არ იხსენიებენ. არ ახსენებს მის არსებობას სტრაბონი კოლხეთში, თუმც ამას გვაუწყებს პლინიუსი (თეოფრასტეს დამოწმებით)[1] (NH, XXXVI, 113): „სურინჯი მოიპოვება კოლხებს შორისაც ერთ მიუვალ კლდეზე: მას ამ კლდიდან გლეჯენ სატყორცნი შუბებით“ (Theophrastus... tradit... minium reperiri... item apud Colchos in rupe quadam inaccessa, ex qua iaculantes decuterent).

1 შდრ. თეოფრასტე, De Lap., VIII, 52, 58.

V თავი

ეთნიკა

„გეოგრაფია“-ში მრავალი საყურადღებო ცნობაა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთსა და კავკასიაში მოსახლე ტომების შესახებ. ზოგიერთი მათგანის ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული ქართველი ხალხის ეთნოგენეზთან და საერთოდ, მისი ეთნიკური განვითარების ისტორიასთან. ამდენად, ვიდრე ცალკეული ტომების შესახებ „გეოგრაფიის“ მონაცემების განხილვას შევუდგებოდე, საჭიროდ მიმაჩნია წინასწარ ზოგიერთი განმარტების წარმოდგენა, უპირველესად ეთნოლინგვისტური ტერმინოლოგიის კონტექსტში, რათა უფრო გასაგები გახდეს სტრაბონის მიერ მოხსენიებული ამა თუ იმ ტომის ეთნიკური კუთვნილების შესახებ ქვემოთ მოტანილი მსჯელობა.

ქართველები ამჟამად სამ ერთმანეთთან გენეტიკურად მონათესავე ეთნოლინგვისტურ ჯგუფად იყოფიან: აღმოსავლურქართულ, დასავლურქართულ (მეგრულ-ჭანურ) და სვანურ. მათი ენები ერთიანდებიან ერთ საერთო ოჯახში, რომელსაც დღეს ლინგვისტები სამხრეთკავკასიურს[1] ანუ ქართველურ ენათა ჯგუფს უწოდებენ. ეს უკანასკნელი სახელწოდება წარმოდგენილია ქართველთა ეროვნული თვითსახელწოდებისაგან „ქართველი“ (აქედანაა ქვეყნის სახელწოდება „საქართველო“, რომელშიც გამოყოფილია პრეფიქსი „სა“ – ამ შემთხვევაში ქვეყნის აღმნიშვნელი, ე.ი. „საქართველო“ ქართულად ნიშნავს „ქართველთა ქვეყანა“).[2]

„ქართველური ენების“ სახელწოდების ქვეშ ერთიანდებიან გენეტიკურად ერთმანეთის მონათესავე ენები (და, შესაბამისად, მათი მატარებელი ზემოთ დასახელებული ეთნიკური ჯგუფები): საკუთრივ ქართული (აღმოსავლურქართული ეთნიკური ჯგუფის ენა, რომელიც საფუძვლად დაედო ეროვნულ სალიტერატურო და სახელმწიფო ენას) და უდამწერლობო ენები: მეგრულ-ჭანური (დასავლურქართული ეთნიკური ჯგუფის მეგრელ-ჭანების ენა, რომელსაც უწო-

1 განსხვავებით „ჩრდილოკავკასიური“ (ანუ ვეინაიხურ-დაღესტნური) და „დასავლურკავკასიური“ (ანუ აფხაზურ-ადიღეური) ენებისაგან (Климов 1950; Deeters 1963).

2 ქართველებს რუსები უწოდებენ грузины, ხოლო ევროპელები Georgier (გერმ.), Georgians (ინგლ.), Géorgiens (ფრ.), Georgiani (იტ.) და ა.შ. ქართველთა აღმნიშვნელი ეს სახელწოდებანი რუსულსა და ევროპულ ენებში წარმომდგარია აღმოსავლური სახელწოდებიდან (სირ. gur-san, არაბული Ğurği, ახალსპარსული Gorği, თურქ. Gürcü და ა.შ.). გამოთქმულია აზრი, რომ შესაძლოა ეს სახელწოდებანი ლინგვისტურად მომდინარეობდეს ბერძნული Ἰβηρ- ες–იდან სომხური ivir-q გზით (ჯანაშია 1959: 51 და შმდ.), თუმც მე პირადად ეს უკანასკნელი მექანიზმი სულ ნათლად წარმოდგენილი არ მაქვს.

დებენ ზანურს ან კოლხურს) და სვანური (დღეს საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ მთიანეთში – დიდი კავკასიონის სამხრეთ-დასავლეთ კალთებზე მოსახლე ქართული ეთნოსის ენა – დაწვრ. იხ. Климов 1950; Dsidsiguri 1973; Tschumburidse 1990/91).

ამრიგად, ქართის (საკუთრივ ქართული), კოლხური ანუ ზანური (მეგრულ-ჭანური) და სვანური ენები ქმნიან ენათა ერთიან ოჯახს, რომლის საერთო სახელწოდებაა „ქართველური ენები“ და შესაბამისად „ქართველური ეთნოსი“.[1] დასახელებული ენები წარმოიშვა საერთო ქართული ფუძე-ენის (ლინგვისტების მიერ აგრეთვე პრაქართველურად წოდებული ენის) დიფერენციაციის შედეგად[2]. ამ ფუძე-ენის მატარებელი ეთნოსის თავდაპირველი ადგილსამყოფელი ამიერკავკასიის ზეგანზე ივარაუდება, უფრო ზუსტად კი – მცირე კავკასიონის დასავლეთ და ცენტრალურ ნაწილში[3].

თანამედროვე ლინგვისტიკაში ამჟამად ერთხმადაა აღიარებული საერთო ქართული ფუძე-ენის (პრაქართველური ენის, რომლის არსებობა ძვ.წ. V-III ათასწლეულებისათვის ივარაუდება)[4] ისტორიული დიფერენციაციის სქემა, რომე-

---

1 ქართველთა ეთნოგენეზისა და ქართული ენის წარმოშობის პრობლემა საკმაოდ რთულია. XIX და XX სს-ის ქართულ, რუსულ და ევროპულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია უამრავი, მეტწილად ერთმანეთის გამომრიცხავი ჰიპოთეზა და თეორია. ერთნი ქართველებს ინდოევროპელებად მიიჩნევენ, სხვები – წინა აზიის უძველესი ხალხების – შუმერების, ხეთების და სხვათა შთამომავლებად. იყო სხვა „თეორიებიც“ („სემიტური“, „მონღოლური“, „თურანული“ და „არიულიც“ კი). XX ს-ის 30-იანი წლებიდან უპირატესობა მიენიჭა თეორიას ქართველთა და მათი ენის კავკასიურ ენათა ოჯახისადმი კუთვნილების შესახებ. ამ ოჯახს იბერიულ-კავკასიური უწოდეს (ამჟამად მის ნაცვლად შემოდის სახელწოდება „პალეოკავკასიური“) და მასში გააერთიანეს ქართველური („სამხრეთკავკასიური“), აფხაზურ-ადიღეური („დასავლურკავკასიური“) და ვეინახურ-დაღესტნური („ჩრდილოკავკასიური“) ენები. ამასთან აღიარეს მათი ნათესაობა წინა აზიის და ხმელთაშუაზღვისპირეთის მკვდარ ენებთან. ეს თეორია მკვლევართა ერთი ნაწილის მიერ უყოყმანოდაა აღიარებული, სხვები კი თვლიან, რომ ისტორიული განვითარების ხანგრძლივი პროცესის მანძილზე ზემოხსენებული კავკასიური ენები იმდენად დაცილდენ ერთმანეთს, რომ მათი გენეტიკური ნათესაობა ახლა ძნელი დასამტკიცებელია. კერძოდ, ვერ დგინდება ამ ენებს შორის რეგულარული ფონეტიკური შესატყვისობანი, რაც დღეს ლინგვისტიკაში ენათა გენეტიკური ნათესაობის აღიარების აუცილებელ კრიტერიუმადაა მიჩნეული. ამიტომ, ლინგვისტთა ერთი ნაწილი ქართველებსა და მათ ენას ე.წ. იზოლირებულ ჯგუფს მიაკუთვნებს (უფრო დაწვრილებით სხვადასხვა თეორიების მიმოხილვა და ამ საკითხზე ბიბლიოგრაფია იხ. Лордкипанидзе О. 1989: 7-17).

2 ლინგვისტებმა აღადგინეს საერთოქართული ფუძე-ენა (ე.წ. პრაქართველური) და დაადგინეს მისგან დიფერენცირებული ქართველური ენების უძველესი სტრუქტურა და განვითარების პროცესი. საერთოქართული ფუძე-ენის განვითარების ადრეულ ეტაპზე ის სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ხასიათის მრავალ მსგავსებას ამჟღავნებს დასავლურკავკასიურ ენებთან, ხოლო შემდგომ ეტაპზე მეტ ტიპოლოგიურ სიახლოვეს ავლენს პრაინდოევროპული ფუძე-ენის სტრუქტურებთან (დაწვრ. გამყრელიძე-მაჭავარიანი 1965).

3 საერთოქართველური ფაუნისა და ფლორის აღმნიშვნელი ლექსიკის ანალიზის საფუძველზე პრაქართული ეთნოსის თავდაპირველ საბინადროდ მაღალმთიანი ზონაა აღიარებული. ასეთად ზოგიერთი დიდ კავკასიონს მიიჩნევდა. მაგრამ ამჟამად მკვლევართა უმრავლესობა საერთოქართული ფუძე-ენის მატარებელი ეთნოსის თავდაპირველ სამშობლოდ ამიერკავკასიის ზეგანს აღიარებს. ასეთი მოსაზრების სასარგებლოდ იმოწმებენ პრაქართველებს, პრაინდოევროპელებსა და პრასემიტებს შორის ფიქსირებულ ენობრივ კონტაქტებს, რომელნიც ასახულია ლექსიკურსა და გრამატიკულ ნასესხობაში, რაც წინა აზიის გარკვეულ არეალში უნდა განხორციელებულიყო (დაწვრ. Гамкрелидзе-Иванов 1984: II, 859-894).

4 ლინგვისტური მონაცემების (ლექსიკურ ურთიერთნასესხობათა და ზოგიერთი გრამატიკული სტრუქტურული ნიშნის მსგავსება-სიახლოვის) საფუძველზე ივარაუდება პრაინდოევროპული, რომლის სამშობლოდ ახლა ზოგიერთი მკვლევარი წინა აზიაში ვარაუდობს, პრასემიტური და საერთო-ქართული

ლიც გერმანელ ლინგვისტს გ. დეეტერსს (Deeters 1930: 3) ეკუთვნის (იხ. სურ. III): საერთოქართულ (პრაქართველურ) ფუძე-ენას (A) თავდაპირველად (დაახლოებით ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულს) გამოეყო სვანური (G) და ამრიგად დაიწყო დაშლა ფუძე-ენისა და მისი მატარებელი ეთნოსისა ორ ერთმანეთისაგან განცალკევებულ ოჯახად: სვანურ (G) და ქართულ-ზანურ (ქართულ-კოლხურ) ერთობად (B). ამით დაიწყო საერთოქართული ფუძე-ენის (პრაქართველური) მატარებელი ეთნოსის პირველსაცხოვრისიდან თანდათანობითი განსახლების (ანუ ე.წ. „ჭარბი მოსახლეობის მიგრაციის“) პროცესი. ეს მიგრაციები ამიერკავკასიის ზეგანიდან ძირითადად დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ტერიტორიებისაკენ იყო მიმართული. საერთოქართული ფუძე-ენის მქონე ეთნოსს გამოყოფილი პირველი დიდი ჯგუფის ენა (დეეტერსის სქემაში G) ჩამოყალიბდა ცალკე ენად – სვანურად, რომელმაც ყველაზე მეტად შემოინახა დედაენის დამახასიათებელი ნიშან-თვისებანი. პირველმა მიგრანტებმა – სვანებმა თავდაპირველად დაიკავეს დღევანდელი დასავლეთ საქართველოს დაბლობი, ე.ი. კოლხეთის დაბლობი, რაც ასახულია არქეოლოგიურ მასალებსა და ტოპონიმიკაში (მიქელაძე 1974: 10 და შმდ.).

ქართველური ენის დიფერენციაციის შემდგომი ეტაპი ქართულ-ზანური (ანუ ქართულ-კოლხური) ერთობის (B) დაშლით აღინიშნა. მას გამოეყო ჯერ დასავლური დიალექტის (D) მატარებელი ჯგუფი, რომელმაც თანდათანობით შეავიწროვა კოლხეთის დაბლობზე მცხოვრები სვანები, რომელთაც, თავის მხრივ, დაიკავეს დიდი კავკასიონის სამხრეთი კალთები, სადაც ამჟამად ცხოვრობენ. ქართულ-კოლხური ერთობიდან (B) გამოყოფილი დასავლური დიალექტი თანდათანობით ჩამოყალიბდა კოლხურ, ანუ ზანურ (მეგრულ-ჭანურ) ენად (D), რომლის მატარებელი ეთნიკური ერთობა განსახლდა დღევანდელ დასავლეთ საქართველოსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, შექმნა სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილი „კოლხური ბრინჯაოს კულტურა“ (ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარი და I ათასწლეულის დასაწყისი), ხოლო ძველაღმოსავლურსა და ბერძნულ წყაროებში ძვ.წ. VIII ს-იდან კოლხების სახელით გახდა ცნობილი.

ქართულ-კოლხური ერთობის (B) დაშლის შემდგომ აღმოსავლურქართული (ქართის) დიალექტის (ქართულ სახელმწიფო და ლიტერატურულ ენას რომ დაედო საფუძვლად — C) მატარებელი ეთნიკური ერთობა ნაწილობრივ დარჩა დასავლეთ მცირე აზიის ფარგლებში, მაგრამ იმავე დროს დაიწყო განსახლება

ფუძე-ენების თანადროული არსებობა და ურთიერთკონტაქტები წინა აზიის არეალში. რამდენადაც პრაინდოევროპული და პრასემიტური ენობრივი სისტემები უკვე არსებობდა ძვ.წ. V-IV ათასწლეულებში, ამდენად შესაბამისად საერთოქართული ფუძე-ენა, რომელშიც ასახულია კონტაქტები პრაინდოევროპულ ენასთან, უნდა არსებულიყო ძვ.წ. V-IV ათასწლეულებში ან, ყოველ შემთხვევაში, IV ათასწლეულში მაინც. ამასთან, პრაქართველური ენობრივი სისტემა რომ ძვ.წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარში ჯერ კიდევ არ იყო დიფერენცირებული, ამის მოწმობად მიაჩნიათ საერთოქართულსა და ლურსმულდამწერლობიან ხეთურში (ნესიტურში) დადასტურებული რიგი საერთო სტრუქტურული ნიშნებისა და ლექსიკური ურთიერთნასესხობანი (Гамкрелидзе-Иванов 1984: II, 880$_2$, 897).

როგორც სამხრეთით (აღმოსავლურქართული ეთნიკური ჯგუფის დასავლური შტო, რომელიც ძველაღმოსავლურ წყაროებში მუშკების სახელით იქნება ცნობილი), ასევე დღევანდელი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც ანტიკურ სამყაროში „იბერიის“ სახელით გახდება ცნობილი[1].

ამ მოკლე შესავლის შემდეგ შეიძლება გადავიდეთ საკუთრივ „გეოგრაფია“-ში მოხსენიებული ქართველური ტომების შესახებ ინფორმაციის განხილვაზე.

1. იბერები (Ἴβηρες)

კავკასიის იბერები (Ἴβηρες) „გეოგრაფია“-ში 13-გან იხსენიებიან: I, 3, 21; II, 5, 12; II, 5, 31; XI, 1, 5-6; XI, 2, 18; XI, 3, 3; XI, 4, 1; XI, 4, 5; XI, 12, 4; XI, 14, 1; XI, 14, 5; XI, 14, 15: ესენი კავკასიაში მცხოვრები იბერებია[2]. „გეოგრაფიის“ ზემოთ დასახელებულ ყველა ადგილას იბერები იმ ქვეყნის მცხოვრებლები არიან, რომელსაც იბერია ეწოდება: „იბერები“ (Ἴβηρες) და „იბერია“(Ἰβηρία) სინონიმური ცნებებია: შდრ. XI, 3, 6: „ასეთები არიან იბერები და მათი ქვეყანა (τοιοῦτοι μὲν οἱ Ἴβηρες καὶ ἡ χώρα αὐτῶν)“. ასე მთავრდება XI წიგნის მესამე თავი, რომელიც ასე იწყება: „...Καὶ δὴ καὶ ἥ γε Ἰβηρία κατοικεῖται καλῶς...“.

იბერებისა და იბერიის წყაროებში პირველმოხსენიებას, აგრეთვე იბერიის ტერიტორიისა და მისი საზღვრების საკითხს ჩვენ ზემოთ უკვე შევეხეთ (იხ. IV თავი). იბერიის ტერიტორია კი არსებითად იბერების განსახლების არეალია.

ერთგან (I, 3, 21) სტრაბონი სამაგალითოდ (იმ ცვლილებებისა, რომელსაც იწვევდნენ ხალხთა გადაადგილებანი) აღნიშნავს: „... დასავლეთის იბერთა ნაწილი გადასახლდა პონტოსა და კოლხეთის ზემოთ მდებარე ადგილებში (რომლებიც აპოლოდორეს მტკიცებით არმენიას ესაზღვრებიან არაქსით, უფრო კი მტკვრით და მოსხური მთებით)“[3]. არ მგონია, რომ აქ აპოლოდორე იმიტომ იყოს დამოწმებული, რომ მას ჰქონდა ცნობა „დასავლეთის იბერთა“ გადმოსახლების

1 საერთოქართული (პრაქართველური) ფუძე-ენის დიფერენციაციის აქ წარმოდგენილი დეეტერსისეული სქემა ლინგვისტურ ლიტერატურაში საყოველთაოდაა აღიარებული. აზრთა სხვადასხვაობაა მხოლოდ ცალკეული ეტაპების ქრონოლოგიის საკითხებზე, კერძოდ, არქეოლოგებსა და ლინგვისტებს შორის, რომელთა მტკიცება ძირითადად ე.წ. გლოტოქრონოლოგიურ მეთოდზეა დაფუძნებული. ზემოთ წარმოდგენილი ქრონოლოგია ძირითადად არქეოლოგიური მონაცემების გათვალისწინებითაა შემუშავებული, რომელსაც უკანასკნელ ხანებში ზოგიერთი ლინგვისტიც ეთანხმება (დაწვრ. სათანადო ლინგვისტური და არქეოლოგიური ლიტერატურის დამოწმებით იხ. Лордкипанидзе О. 1989: 7 და შმდ; Lordkipanidze 1991:7 შმდ.).

2 მათ გარდა „გეოგრაფია“-ში იხსენიებიან აგრეთვე პირენეის იბერები (ძირითადად III-VI წიგნებში), ხოლო კავკასიის იბერიასთან დაკავშირებით I, 3, 21 და XI, 2, 19-ში და სიკილიის (ე.ი. სიცილიის) იბერები, რომელნიც „ეფორეს თქმით, ამ ქვეყნის პირველმოსახლენი ყოფილან“ (VI, 2, 4: Ἴβηρες, οὕσπερ πρώτους φησὶ τῶν βαρβάρων Ἔφορος λέγεσθαι τῆς Σικελίας οἰκιστάς).

3 I, 3, 21: οἷον Ἰβήρων μὲν τῶν ἑσπερίων εἰς τοὺς ὑπὲρ τοῦ Πόντου καὶ τῆς Κολχίδος τόπους μετῳκισμένων (οὓς ὁ Ἀράξης, ὥς φησιν Ἀπολλόδωρος, ἀπὸ τῆς Ἀρμενίας ὁρίζει, Κῦρος δὲ μᾶλλον καὶ τὰ ὄρη τὰ Μοσχικά).

შესახებ: დასახელებული ავტორი აქ იბერიის ტერიტორიის განსასაზღვრავად უნდა იყოს მოხსენიებული[1].

„დასავლეთის იბერთა“ ქვეშ (Ἰβήρων μὲν τῶν ἑσπερίων) სრულიად აშკარად პირენეს (ესპანეთის) იბერები იგულისხმებიან. მათი თითქოსდა კავკასიაში გადასახლების შესახებ თქმულება უთუოდ უკვე არსებობდა ადრეელინისტურ ხანაში მაინც, რასაც მოწმობს ევსებიოს კესარიელთან შემონახული ფრაგმენტი: „.. მეგასთენე ამბობს, რომ ნაბუქოდონოსორი ჰერაკლეზე უფრო ძლევამოსილი იყო, ლიბიასა და იბერიაზე გაილაშქრა, დაეუფლა და მათი ნაწილი პონტოს მარჯვნივ დაასახლა (Euseb., Praep. Evang., IX, 41, 1)[2].

აქ მოხსენიებული მეგასთენე ძვ.წ. IV-III სს-ის ბერძენი ეთნოგრაფია, რომელსაც სტრაბონიც ხშირად იმოწმებს „გეოგრაფია“-ში (შდრ. II, 1, 4-9; II, 1, 19-20; XV, 1, 6, 11, 20, 36-60, 68). ამიტომ, არ უნდა იყოს გამორიცხული, რომ ლეგენდარული ტრადიცია ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორ II-ის მიერ დასავლეთის იბერთა კავკასიაში გადმოსახლების შესახებ სტრაბონისათვის მეგასთენეს გზითაც ყოფილიყო ცნობილი[3] . ყოველ შემთხვევაში, სტრაბონი ხალხთა მიგრაციების აქტიური ამღიარებელია (ეს კარგად ჩანს იმავე I, 3, 21-დან. იხ. აგრეთვე, XI, 2, 12-14; შდრ. V, 2, 4; XI, 5, 1-4; XIV, 5-23 და სხვ.). ამიტომ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იბერთა გადმოსახლება მას კარგად ცნობილ და აღიარებულ ფაქტად მიაჩნდა[4]. მაგრამ სხვაგან ერთი ფრაზიდან (თუმც დაზიანებული ტექსტიდან მომდინარე) იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს სტრაბონი ამ სახელის გადატანას კავკასიის იბერებზე ორივე ქვეყანაში ოქროს საბადოების არსებობით ხსნის (შდრ. XI, 2, 19: „.. თუ არ დებენ მსგავს სახელს დასავლელებისას, რომელთაც აქვთ ოქროს საბადოები ორივე მხარეს“... ἀφ᾽ οὗ δὴ μεμυθεῦσθαι καὶ τὸ χρυσόμαλλον δέρος·

---

1 იბერიის საზღვრების შესახებ იხ. IV თავი.

2 ამ ცნობის ანალიზი ძველი ქართული საისტორიო ტრადიციის სომხური წყაროების მონაცემებთან კონტექსტში იბერიის სახელმწიფოს წარმოშობასთან დაკავშირებით იხ. მელიქიშვილი 1962; Мусхелишвили 1978: 24 და შმდ.

3 XV, 1, 6-ში იხსენიება სწორედ ჰერაკლეზე უფრო სახელგანთქმული ნაბუქოდონოსორის ლაშქრობა ჰერაკლეს სვეტებისათვის. ამ ფრაზას შემდეგ მოსდევს: „...ამ ადგილებს, მეგასთენეს სიტყვებით, მიაღწია ტეარკონმაც“ (συναποφαίνεται ... Μεγασθένης ... μέχρι μὲν δὴ δεῦρο καὶ Τεάρκωνα ἀφικέσθαι). ასე რომ, მეგასთენე ნაბუქოდონოსორის ლაშქრობის მოხსენიებისას პირდაპირ დამოწმებული არაა.

4 ანტიკურ მწერლობაში, როგორც ჩანს, არსებობდა პირუკუ აზრიც – კავკასიის იბერთა გადასახლება პირენეებში. აპიანეს ცნობით: „იბერებს, რომლებიც აზიაში არიან, ზოგი მიიჩნევს ევროპელი იბერების წინაპრად, ზოგი (ამათ) მოახალშენეებად, სხვები კი მხოლოდ თანამოსახლეებად, რადგან არც ზნე აქვთ არაფრით მსგავსი და არც ენა“ (App., Mithr., 101). საინტერესოა, რომ ესპანელ იბერებთან ქართველთა ნათესაობის შესახებ აზრი შუა საუკუნეების საქართველოშიც არსებობდა, განსაკუთრებით X-XI სს-ში. ასე, მაგ., X ს-ის ქართული კულტურის გამოჩენილი მოღვაწე იოვანე მთაწმინდელი (ათონელი) აპირებდა თავისი მოწაფეებით ესპანეთში გამგზავრებას, რათა გასცნობოდა „დასავლელ ქართველთა ცხოვრებას“. აღსანიშნავია ისიც, რომ ბერძნული ენიდან ქართულად თარგმნილი X-XI სს-ის ლიტერატურულ ძეგლებში გვხვდება გამოთქმა „ესპანელი ქართველები“. პირენესა და საქართველოს უძველესი მოსახლეობის ნათესაობის შესახებ აზრი დღესაც პოპულარულია ლინგვისტთა ერთ ნაწილში. ქართული და ბასკური ენების შესაძლო ნათესაობის ჰიპოთეზასთან დაკავშირებით ლიტერატურა ამ საკითხებზე იხ. ძიძიგური 1981; ძიძიგური 1982; Лордкипанидзе О. 1989.

εἰ μὴ καὶ Ἴβηρας ὁμωνύμος τοῖς ἑσπερίοις καλοῦσιν ἀπὸ τῶν ἑκατέρωθι χρυσείων)[1].

„გეოგრაფიიდან“, ერთი შეხედვით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეთნიკური თვალსაზრისით იბერები ერთგვაროვანი არ არიან.

XI, 3, 3: Τὸ μὲν οὖν πεδίον τῶν Ἰβήρων οἱ γεωργικώτεροι καὶ πρὸς εἰρήνην νενευκότες οἰκοῦσιν, Ἀρμενιστί τε καὶ Μηδιστὶ ἐσκευασμένοι, τὴν δ' ὀρεινὴν οἱ πλείους καὶ μάχιμοι κατέχουσι, Σκυθῶν δίκην ζῶντες καὶ Σαρματῶν, ὥνπερ καὶ ὅμοροι καὶ συγγενεῖς εἰσίν· ἅπτονται δ' ὅμως καὶ γεωργίας, πολλάς τε μυριάδος συνάγουσι καὶ ἐξ ἑαυτῶν καὶ ἐξ ἐκείνων, ἐπειδάν τι συμπέσῃ θορυβῶδες.

„... დაბლობზე ცხოვრობენ იბერთაგან უფრო მეტად მიწათმოქმედნი. ესენი მშვიდობიანად არიან განწყობილი, არმენიელთა და მიდიელთა მსგავსად არიან ჩაცმული. უფრო დიდ ნაწილს, რომელიც მებრძოლი ბუნების არის, უჭირავს მთიანი მხარე და ცხოვრობს სკვითებისა და სარმატების ყაიდაზე, რომელთა მეზობლებიც და ნათესავებიც არიან: თუმც ეწევიან მიწათმოქმედებასაც, და როდესაც ჩამოვარდება შფოთი, თავისი და მათი სახსრებით გამოჰყავთ მრავალი ათასი (მებრძოლი)“.

სტრაბონის ზემოთმოტანილ ცნობაში, შესაძლოა, რეალური ინფორმაციაც იყოს შემონახული. ქართლის სამეფოს (ე.ი. იბერიის) უძველესი ისტორიის ამსახველ ქართულ ქრონიკაში „ქართველ მეფეთა ცხოვრება“ (რომელიც ეროვნული მატიანის „ქართლის ცხოვრების“ შემადგენელი ნაწილია და V ს-ში შედგენილად ითვლება[2]) წარმოდგენილია ცნობები, რომლის თანახმად ქართლის (იბერიის) მეფეებს აღმოსავლეთ საქართველოს (ე.ი. ბერძნული წყაროების იბერიის) მთიანეთი დაუსახლებიათ „კავკასიანთა“ ტომებით, რომელთა შორის იგულისხმება ბაცბურ-ქისტურ ენაზე მეტყველი მოსახლეობა (მელიქიშვილი 1970ე: 460). შემონახულია ცნობა იმის შესახებაც, რომ ქართლის (იბერიის) მეორე მეფეს საურმაგს სამეფო ტახტის დამკვიდრებაში ხელს უწყობდნენ დურძუკები, რომელნიც მას „მთიულეთს“ (ე.ი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში) დაუსახლებია („ქართლის ცხოვრება“: 27). დურძუკების სახელით ქართულ (და აგრეთვე ახლოაღმოსავლურ) წყაროებში იხსენიებიან თანამედროვე ვეინახთა წინაპარი ტომები, რომლებიც თავდაპირველად ცენტრალური კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებზე მოსახლეობდნენ. ამ ტომებს, რომელნიც შემდეგ კავკასიის მთავარი ქედის სამხრეთითაც სახლობენ, მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ საქართველოსთან შუა საუკუნეებშიც (Шавхелишвили 1963). აღმოსავლეთ საქართველოს (იბერიის) მთიანეთში მოსახლე არაქართული მოსახლეობის შესახებ ქართული წყაროები იუწყებიან აგრეთვე ახ.წ. IV ს-ში ქართლის (იბერიის) გაქრისტიანების ისტორიასთან დაკავშირებითაც (ქართლის ცხოვრება: 125). ამდენად, არ უნდა იყოს გამორიცხული,

1 როგორც ჩანს, სტრაბონის ამ ახსნას იზიარებენ თანამედროვე მეცნიერებაში — შდრ. Mondero 1983:209.

2 იხ. ალექსიძე 1985; Шошиашвили 1985.

რომ სტრაბონის ცნობაში იბერიის მთიანეთში მოსახლე სარმატების (და არა სკვითების!) მონათესავე ტომების შესახებ იგულისხმებოდნენ ჩრდილო-კავკასიური მოდგმის ტომები (დაწვრ. მელიქიშვილი 1970ე: 460-461). ახლა ძნელია გადაჭრით მტკიცება იმისა, ჰქონდა თუ არა სტრაბონს ხელთ რეალური ინფორმაცია იბერიის მთიანეთში მოსახლე ჩრდილო-კავკასიური მოდგმის ტომების შესახებ. ძნელია ახლა ამ საკითხზე კატეგორიულად მსჯელობა, რადგან იბერების დაყოფა ორ ნაწილად – მთისა და ბარისად, როდესაც ერთნი (ბარისა) „მიწათმოქმედნი" არიან და „მშვიდობიანი", ხოლო მეორენი (მთისა) „მებრძოლი ბუნებისა", შეიძლება, გამომდინარეობდეს, ჩემი აზრით, სტრაბონის ზოგადი კონცეფციიდანაც: ევროპაშიც ბარში მცხოვრები მოსახლეობა „მშვიდობიანია", მთისა კი – მეომარი[1]. ამიტომ მიწათმოქმედება და ცივილიზებული ცხოვრება შერწყმულია მეომრობასთან (შდრ. II, 5, 26; ან კიდევ ცნობა ეტიმეების შესახებ – XVI, 1, 18).

სახელწოდების „იბერები" და „იბერია" წარმომავლობა ნათელი არაა. როგორც უკვე აღინიშნა, ის მხოლოდ ქართველთათვის უცხოენოვან სამყაროშია დადასტურებული: ბერძნულ-ბიზანტიურსა (Ἴβηρες) და რომაულში (Hiber, Iberes), აგრეთვე სომხურში (ivirq), რაც არსებითად იგივეა.[2]

იბერების ეთნიკური ვინაობის შესახებ[3] სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში თითქმის ერთსულოვანი აზრია: ისინი ე.წ. პრაქართველური ფუძე-ენის

---

1 ყოველ შემთხვევაში, ძვ.წ. IV-I სს. (და აგრეთვე მომდევნო ხანის) არქეოლოგიურ მასალებში, რომლებიც ამჟამად აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდანაა ცნობილი, რაიმე მკვეთრი განსხვავება მთისა და ბარის მატერიალურ კულტურაში არ ფიქსირდება (განსხვავებაა მხოლოდ საზოგადოების ცალკეულ ფენებსა და აგრეთვე ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას შორის). საერთოდ, უკვე ძვ.წ. IV-III სს-დან აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურა (დასახლების ტიპი, სამარხთა აღნაგობა და დაკრძალვის წესები, სამკაული, იარაღი, კერამიკა და ა.შ.) თვალსაჩინოდ ერთიანია – დაწვრ. Лордкипанидзе О. 1989: 324, შენ. 16). განსაკუთრებით თვალსაჩინოა მატერიალური კულტურის ისეთი განმსაზღვრელი ელემენტის ერთიანობა, როგორიცაა კერამიკა (დაწვრ. Нариманишвили 1991).

2 „იბერ" სახელის (იგულისხმება კავკასიის იბერები) წარმომავლობის შესახებ მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული (დაწვრ. იხ. ძიძიგური 1982: 33 და შმდ.). მათგან მეტ-ნაკლებად ანგარიშგასაწევად მიიჩნევენ ორს: ა) „იბერ" შეიძლება მომდინარეობდეს ქართული „იმერ"-იდან, რაც ნიშნავს „იქითა მხარე". ეს სახელი ბერძნებს შეეძლოთ აეღოთ კოლხეთის აღმოსავლეთ ოლქებში მცხოვრები აღმოსავლურქართული ტომისაგან, რომელთათვის იბერია იყო „იმერი", ე.ი. „იქითა ქვეყანა" (ამ თვალსაზრისის სხვადასხვა ავტორთა მტკიცებანი თავმოყრილია – ძიძიგური 1982: 33 და შმდ.). ბ) ტერმინი „იბერი" ნაწარმოებია სატომო სახელიდან „სასპერ" (Σάσπειρες: Hdt., I, 104, 110; III, 94; VII, 79), რომელიც შემორჩენილია ქართულ გეოგრაფიულ სახელწოდებაში „სპერი" სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ოლქის აღსანიშნავად (შდრ. Σασπιρῖτις: Strabo XI, 4, 8; XI, 14, 9-10; ჯანაშია 1952: 57). თვლიან, რომ „არც ერთი ეს ახსნა არ არის გამოსარიცხავი", რადგან მსგავსი ადგილობრივი სახელებიდან „იბერ" ფორმის ჩამოყალიბებაში ბერძნულ სამყაროში შესაძლოა გარკვეული როლი შეასრულა აგრეთვე ასოციაციამ პირენეს ნახევარკუნძულის „იბერთა" სახელთან (მელიქიშვილი 1970დ: 425-426). საინტერესოა, რომ თითქმის დაახლოებით ასეთივე ნიუანსია სტრაბონის ცნობაშიც (XI, 2, 19). თუ რამდენად არაერთგვაროვანია მკვლევართა აზრი „იბერ" სახელის წარმომავლობისა და ეტიმოლოგიის შესახებ, საკმარისია დავასახელოთ კიდევ ერთი მოსაზრება: Iber სახელი შეიძლება უკავშირდებოდეს ებრაულ ზოგად სახელს „ებერ" (წერეთელი 1979: 22) და სხვ.

3 ჯერ კიდევ I საუკუნეში ებრაელმა ისტორიკოსმა იოსებ ფლავიუსმა თქვა: „თობალმა დააფუძნა თობალები, რომლებსაც ახლა იბერები ეწოდებაო" (Jos. Flav., Iud. Antiq., I, 122-126: Θεόβηλος οἵτινες ἐν τοῖς νῦν Ἴβηρες καλοῦνται...). ამ აზრს სხვა გვიანდელი ავტორებიც იზიარებდნენ. აქ მოხსენიებული Θεόβηλος (ვარიანტები: Θώβηλος, Θόβελος) არის ბიბლიური ტექსტების თუბალ/თობელი („შესაქმე", 10, 2; „ნეშტთა" I: 5; იეზეკიელი 32: 26; 38: 2-3; 39: 1; ესაია 66: 19), რომელთაც მკვლევართა ერთი ნაწილი

(სურ. III: A) დიფერენციაციის შემდეგ შექმნილი ქართულ-ზანური (იბერიულ-კოლხური ერთობის (სურ. III: B) დაშლის შედეგად წარმოქმნილი აღმოსავლურ-ქართული ტომია (სურ. III: C). ისინი განსახლდნენ დღევანდელი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ადრეელინისტურ ხანაში შექმნეს იბერიის სახელწოდებით ბერძნულ სამყაროში ცნობილი სახელმწიფო, რომელიც ქართულ წყაროებში ქართლის სახელით იხსენიება (დაწვრ. მელიქიშვილი 1970დ: 422 და შმდ., Лордкипанидзе О. 1989: 312 და შმდ. და იქ დასახ. ლიტ.).

სახელწოდებები იბერები და იბერია, როგორც ცნობილია, ქართულ წყაროებში არსად არ გვხვდება.[1] მის ექვივალენტურ სახელად, ქვეყნის აღმნიშვნელ სახელწოდებად გვევლინება „ქართლი". ამ სახელწოდებაში გამოყოფენ ფუძისეულ „ქართ"-ს, რომელშიც იგულისხმება სატომო სახელი „ქართ"-ი (სახელობითში, ხოლო მრავლობითში: ქართ-ებ-ი). არც ეს სახელწოდებაა ქართულ ლიტერატურულ წყაროებში დადასტურებული, მაგრამ ის ნათლადაა შემორჩენილი დასავლურ–ქართველური ტომის მეგრელ-ჭანების (ე.ი. ძველი კოლხების) ცოცხალ მეტყველებაში: აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობას ისინი „ქორთუს" უწოდებენ (ქართული „ა" გადასულია მეგრულ-ჭანურში „ო"-დ. ეს კანონზომიერი ფონეტიკური მოვლენაა).[2]

რამდენადაც ქართულ წყაროებში „ქართლი" არის „იბერიის" ექვივალენტური ცნობა (ასევე პირიქით: ბიზანტიურ წყაროებშიც ქართლის, ე.ი. აღმოსავლეთ საქართველოს, ხოლო შემდეგ ერთიანი საქართველოს სახელწოდებად იხმარება „იბერია"),[3] შეიძლება დავასკვნათ, რომ იბერები და ქართები ეთნიკურად სინონიმური ცნებებია.[4] ქართები კი ის ტომია, რომელთა ენა და დიალექტი საფუძ-

აიგივებს ასურული წყაროების ტაბალთან, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, ბერძნულ-რომაული წყაროების ტიბარენებთან. ამის საფუძველზე გაჩნდა მტკიცება თუბალ-ტაბალ-ტიბარენ-იბერის იგივეობის შესახებ (ჯანაშია 1959). ამჟამად ტიბარენის ასურული წყაროების ტაბალთან გაიგივება საეჭვოდაა გამოცხადებული, ისევე როგორც ტაბალების ქართველური წარმომავლობა და ტაბალ-ტიბარ-იბერის ფონეტიკური შესატყვისობაც (ხაზარაძე 1978: 59 და შმდ.; დაწვრ. იხ. აგრეთვე ქვემოთ ამავე წიგნში, V თავი, 7).

1 მხოლოდ გვიან შუა საუკუნეებისა და განსაკუთრებით XIX ს-ის სამწერლობო ძეგლებში გვხვდება „ივერია" (როგორც ჩანს, რუსულის გავლენით) მთელი საქართველოს აღსანიშნავად. ამასთან, „ზემო ივერია" აღმოსავლეთ საქართველოს (ძველ იბერიას) აღნიშნავდა, „ქვემო ივერია" – დასავლეთ საქართველოს (ძველ კოლხეთს).

2 გამოთქმულია მოსაზრება ამ სატომო სახელის შესაძლო კავშირის შესახებ კარდუხების ტომთან (Καρδοῦχοι), რომელთაც ქსენოფონტი ვანის ტბის სამხრეთ-დასავლეთით იხსენიებს: „ანაბასისი", III, 5, 16-17; IV, 1, 4-8). ამ ეთნიკურ სახელში ფუძისეულია Καρδου (შდრ. მეგრულ-ჭანური „ქორთუ"), ხოლო χοι-ში ხედავენ ხურიტულ-ურარტულ კუთვნილებით სუფიქსს chi (Меликишвили 1959: 107 და შმდ.).

3 სამაგალითოდ დავასახელებ ქართლის (იბერიის) გაქრისტიანების ქართულ და ბერძნულ-ბიზანტიურ წყაროებს, სადაც ქართლის (ე.ი. აღმოსავლურქართული სახელმწიფოს) აღმნიშვნელად ბერძნულშია Ἰβηρία და Ἴβηρες. X ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი კონსტანტინე პორფიროგენეტი შუა საუკუნეების საქართველოს სამეფო დინასტიის – ბაგრატიონების შესახებ საუბრისას, რომელნიც თავიანთ გენეალოგიას დავით მეფე და წინასწარმეტყველიდან აღავლენდნენ, მათ ყოველთვის იბერებად Ἴβηρες მოიხსენიებს (Const. Porphyr., De adm. imp. 45 = ყაუხჩიშვილი ს. 1952: 255 და შმდ.).

4 ზოგიერთი მკვლევარი იბერებს და ქართებს ერთმანეთისაგან ასხვავებს, თუმც თვლის, რომ ორივე ქართული ტომია: ჯერ ჰეგემონობდნენ იბერები, შემდეგ ქართები (დაწვრ. სხვადასხვა

ვლად დაედო საერთო ქართულ სახელმწიფო და სალიტერატურო ენაა, ხოლო სატომო სახელი აისახა ქართველთა თვით სახელწოდებაშიც („ქართველი“).[1]

2. მოსხები (Μόσχοι)

„გეოგრაფია“-ში არაერთგზისაა მოხსენიებული „მოსხები“ (Μόσχοι: XI, 2, 14), „მოსხების ქვეყანა“ (Μοσχική: XI, 2, 17-18) და „მოსხური მთები“ (Μοσχικὰ ὄρη: I, 3, 21; XI, 2, 1; XI, 2, 15; XI, 12, 4; XI, 14, 1; XII, 3, 18). მათგან „მოსხური მთების“ ლოკალიზაციის საკითხს ზემოთ ჩვენ უკვე შევეხეთ. ახლა უნდა განვიხილოთ „მოსხების“ ტომის ადგილსაცხოვრისისა და ეთნიკური კუთვნილების საკითხი.

მოსხთა ტომი ცნობილი იყო ჯერ კიდევ სტრაბონის წინადროინდელ ბერძნულ მწერლობაში. სტრაბონისავე ცნობით, მათ იხსენიებენ „მითრიდატეს ამბების აღმწერნი“ (შდრ. XI, 2, 14). სამწუხაროდ, სტრაბონის მიერ მოხსენიებულ ავტორთა ნაწარმოებები, რომლებშიც მოსხების შესახებ შეიძლებოდა ყოფილიყო ცნობები, ჩვენამდე შემორჩენილი არაა. ერთადერთი მითითება და ისიც, როგორც ვნახავთ, საკმაოდ საეჭვო, „გეოგრაფიაშია“ დაცული (XI, 2, 14) და გვაუწყებს თითქოსდა „მოსხების“ ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში განსახლების შესახებ (ამაზე ქვემოთ).

მოსხთა განსახლების არეალისა და მათი ეთნიკური კუთვნილების საკითხი კი საკმაოდ რთულია და იმავ დროს – ძალზე საინტერესო.

სტრაბონის წინადროინდელ ბერძნულ მწერლობაში მოსხებს იხსენიებენ ჰეკატე მილეტელი (fr. 188; St. Byz., s.v. Μόσχοι), ჰეროდოტე (III, 94; VII, 78), და აგრეთვე ჰელანიკე მიტილენელი და პალეფატე აბიდოსელი. ამ ორი უკანასკნელი ავტორის ცნობები ფრაგმენტების სახითაა შემონახული, სტეფანე ბიზანტიელთან „ეთნიკაში“ (s.v. Χαριμάται).

ზემოდასახელებულ ავტორთა ცნობები შეიცავს მითითებას მოსხთა განსახლების ტერიტორიის შესახებ ძვ.წ. VI-V საუკუნეებისათვის. ჰეკატე მილეტე-

---

ავტორთა მოსაზრებანი იხ. ძიძიგური 1982: 13 და შმდ.). მაგრამ წყაროებში არავითარი მითითება ასეთი დაპირისპირების თუ რაიმე ეთნიკური ცვლილებების შესახებ შემონახული არაა: ქართველთა განვითარება პირველი მეფე ფარნავაზიდან წყაროებში და მათ შორის შუა საუკუნეების ქართულ ოფიციალურ ისტორიოგრაფიაში („ქართლის ცხოვრება“) წარმოდგენილია ეთნიკური განვითარების ერთიან პროცესად.

1 ქართველთა ეთნარქიც ქართლოსად იწოდება, ხოლო მისი ნაშიერნი – ქართლოსიანებად (ქართლის ცხოვრება: 8). „ქართლის ცხოვრებაში“ (ქართლის ცხოვრება: 3-4) წარმოდგენილი კონცეფციით, ქართლოსი არის შვილი თარგამოსისა, რომლის სახელი უკავშირდება კაპადოკიის ტერიტორიაზე მდებარე ასურული წყაროების თილ-გარიმუს სახელწოდებას, რომელიც, თავის მხრივ, უფრო ადრეული ხანის ხეთური ოლქის – თეგარამის სახელიდანაა წარმომდგარი (Дьяконов 1981: 5; ქავთარაძე 1985: 7). ქართველთა (ქართთა ან იბერთა) ეთნარქის კაპადოკიასთან დაკავშირება შემთხვევითი არ უნდა იყოს: კაპადოკიასთან იყო დაკავშირებული, როგორც ქვემოთ ვნახავთ, კიდევ ერთი აღმოსავლურ ქართული ტომი – მოსხები//მესხები, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს იბერიის სამეფოს წარმოქმნაში. იქნებ ამ კონტექსტში ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ კაპადოკიიდან მობრძანდა ქართლის (იბერიის) განმანათლებელი წმინდა ნინო (იხ. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“). კაპადოკიიდან იყო ქართველთა უმთავრესი წმინდანი და მფარველი წმინდა გიორგი.

ლი და ჰეროდოტე მოსხთა საცხოვრისს ამ დროს სრულიად ნათლად ჩრდილო-აღმოსავლეთ მცირე აზიაში მიუთითებენ, ჰელანიკესა და პალეფატე აბიდოსელის ცნობები კი სულ ნათელი არაა.[1]

ჰეკატე მილეტელი და ჰეროდოტე მოსხებს მოიხსენიებენ მატიენებისა (Hecat., ფრ. 188) და ტიბარენების მეზობლად (Hdt., III, 94; VII, 78). ამის საფუძველზე[2] ივარაუდება, რომ ძვ.წ. VI-V სს-ში მოსხები მოსახლეობდნენ ჩრდილო-აღმოსავლეთ მცირე აზიაში, დაახლოებით დღევანდელი ტოკატ-ყარაჰისარ-გიუმიუშანეს ტერიტორიაზე (დაწვრ. ხაზარაძე 1984: 16 და შმდ., 34).

მომდევნო, უკვე ე.წ. ელინისტურ ხანაში ხდება მოსხების განსახლება კიდევ უფრო ჩრდილოეთით – დღევანდელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა და მის სამხრეთით მდებარე ტერიტორიაზე, რომელსაც შუა საუკუნეების ქართული წყაროები უწოდებენ სამცხეს ან მესხეთს (ე.ი. მესხთა ანუ მოსხთა ქვეყანას).[3] ეს თვალსაჩინოდაა უკვე ასახული სტრაბონის „გეოგრაფიაში“. აქ მოსხების განსახლების შესახებ ერთი ცნობა „გეოგრაფიაში“ მომდინარეობს „მითრიდატეს ამბების აღმწერებიდან“, რომელსაც სტრაბონი ნდობას უცხადებს. ამ ცნობაში მოსხები მოხსენიებული არიან შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ ტომთა შორის: კერკეტებსა და კოლხებს შორის (XI, 2, 14: Οἳ δὲ

1 ორივე დასახელებული ავტორის ცნობა მხოლოდ სტეფანე ბიზანტიელთანაა შემონახული: „ხარიმატები, ხალხია პონტოზე. პალეფატე „ტროის ომის (Τρωικά)“ მეშვიდე წიგნში ამბობს: „კერკეტებს ემიჯნებიან მოსხები, და ხარიმატები, რომელნიც ფლობენ პართენიოსს პონტომდე“. ასევე ჰელანიკეც „ხალხებისა და ქალაქების დაარსებაში“: „კერკეტებს ზემოთ ცხოვრობენ მოსხები და ხარიმატები, ქვემოთ ჰენიოხები, ზემოთ კორაქსები“ (Steph. Byz., s.v. Χαριμάται). რამდენადაც კერკეტები და კორაქსები ჩვეულებრივ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე იხსენიებიან (მაგ. Ps.-Scyl., აზია, 73, 77), ამდენად ვარაუდობენ, რომ ჰელანიკესა და პალეფატეს ცნობებში მოსხებიც თითქოს შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სექტორში იგულისხმებიან (მიქელაძე 1974: 21 და შმდ.; ხაზარაძე 1984: 9 და შმდ.). მაგრამ იმავე ცნობაში მოხსენიებული ხარიმატები, პალეფატეს მიხედვით, „ფლობენ პართენიოსს“ (Παρθένιος), რომელსაც აიგივებენ ფსევდო-სკილაქსის მიერ ეკეკეირების ქვეყანაში მოხსენიებულ მდ. პორდანისთან (Ps.-Scyl., აზია, 83) და არიანეს პრიტანისთან (Πρυτανίς – Arr., PPE. 7) – თანამედროვე მდ. ფაზართან თურქეთში (ყაუხჩიშვილი 1967: 33). ამას გარდა, ამ ცნობებში დასახელებული ტომები ზოგჯერ იხსენიებიან სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (კერკეტების შესახებ – მაგ., Strabo, XII, 3, 18; კორაქსებზე – Plin., NH, VI, 26) (შდრ. Pomp. Mela, III, 5, 41: Cyrus et Cambyses ex radicibus Corax montis). ამიტომ არ უნდა იყოს გამორიცხული, რომ ჰელანიკესა და პალეფატესთანაც იგულისხმება, რომ მოსხები სამხრეთით ბინადრობენ (შდრ. ქავთარაძე 1985: 24). გასათვალისწინებელია კისლინგის აზრიც, რომ სტეფანე ბიზანტიელი შეცდომით მიაწერს ზემოაღნიშნულს პალეფატეს: კერკეტებისა და მოსხების ერთად მოხსენიება იმავე ტრადიციის გამოძახილი უნდა იყოს, რომელსაც სტრაბონი (XI, 2, 14) „მითრიდატეს ომის აღმწერთ“ მიაკუთვნებს (Kiessling 1913: 265). სტრაბონის აღნიშნულ ცნობას ქვემოთ შევეხები.

2 ჰეკატე მილეტელთან (fr. 188, 189) და ჰეროდოტესთან (I, 72; III, 94; V, 49 და სხვ.) მოხსენიებული მატიენები სამ სხვადასხვა ოლქში არიან დასახელებული. მათგან მოსხების მეზობელი ე.წ. დასავლეთის მატიენები ლოკალიზებული არიან მდ. ჰალისის რკალის შიგნით, დღევანდელ ჩორუმ-ზილე-ტოკატის სამხრეთით და დასავლეთით (დაწვრ. ხაზარაძე 1984: 16-28; შდრ. ქავთარაძე 1985: 9), ხოლო ტიბარენები – ქალაქ კოტიორას (დღევანდელი ორდუ) მიდამოებში პონტოს მთებამდე გადაჭიმულ ტერიტორიაზე (დაწვრ. აქვე, ამავე წიგნში „ტიბარენები“).

3 „სამცხის“, როგორც ისტორიულ-გეოგრაფიული და პოლიტიკური ერთეულის დახასიათება იხ. XVIII ს. ქართველი გეოგრაფოსის ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ვახუშტი 1973: 656-741).

τὰ Μιθριδατικὰ συγγράψαντες, οἷς μᾶλλον προσεκτέον, Ἀχαιοὺς λέγουσι πρῶτους ἔιτα Ζυγούς, ἔιτα Κερκὲτας καὶ Μόσχους καὶ Κόλχους).

ამ ცნობის ერთი ადგილიდან (XI, 2, 14) ჩანს, რომ „მოსხებს“ არ იხსენიებდა არტემიდორე ეფესელი, მაგრამ სტრაბონი მაინც უპირატესობას ანიჭებს „მითრიდატეს ამბების აღმწერთ, რომელთაც მეტი დაეჯერება“.

„მითრიდატეს ამბების აღმწერთაგან“ მომდინარე და სტრაბონის „გეოგრაფიაში“ შემონახული ამ ცნობის (ისევე როგორც ზემოთ უკვე ხსენებული ჰელანიკეს და პალეფატეს მითითების) მიმართ უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაში ერთგვაროვანი დამოკიდებულება არაა: ერთნი კატეგორიულად უნდობლობას უცხადებენ და სარწმუნოდ არ მიიჩნევენ (Анчабадзе 1956: 262; ინაძე 1960: 147-148; ლომოური 1963: 26; ყაუხჩიშვილი 1976ა: 144), სხვები პირიქით – მოსხთა ჩრდილო შავიზღვისპირეთში განსახლების შესახებ ცნობას სარწმუნოდ აღიარებენ (ინგოროყვა 1954: 57; მიქელაძე 1974: 21) ან კიდევ გამოთქვამენ ვარაუდს, რომ რამდენადაც, თითქოსდა, მოსხების მოხსენიება დასტურდება სამ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ თხზულებაში (იგულისხმებიან ჰელანიკე, პალეფატე და მითრიდატეს ომების აღმწერნი), ამდენად, „ზემოდასახელებულ ავტორებს სხვადასხვა წყაროს გარდა, ერთი საერთო ძველი წყაროთიც უსარგებლიათ... მაგრამ ახალი დამატებითი მასალების გამოჩენამდე ჩვენთვის საინტერესო ჯნობის სანდოობის საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა ნაადრევია“ (ხაზარაძე 1984: 14, 16). მაგრამ ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ არაა გამორიცხული ჰელანიკე და პალეფატეც მოსხებს სამხრეთით გულისხმობდნენ. ხოლო სტრაბონის მიერ დამოწმებული „მითრიდატეს ომების აღმწერთა“ ცნობა[1] არც ერთი სხვა წყაროთი არ დასტურდება. ამიტომ მოსხთა ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში განსახლება მეც ძალზე საეჭვოდ მიმაჩნია; თუმც მიმძიმს ახსნა, თუ როგორ უნდა მოხვედრილიყო ეს ცნობა „მითრიდატეს ომების აღმწერთა“ თხზულებაში (იქნებ ჰელანიკესა და პალეფატეს ცნობების არასწორი ინტერპრეტაციის გამო?).

ზემოგანხილული ცნობის გარდა, საკუთრივ მოსხების ტომს სტრაბონი აღარ იხსენიებს, სამაგიეროდ ორგზის ასახელებს „მოსხების ქვეყანას“ (Μοσχική: XI, 2, 17 და 18) და ექვსჯერ „მოსხურ მთებს“ (Μοσχικὰ ὄρη: I, 3, 21; XI, 2, 1; XI, 2, 15; XI, 12, 4; XI, 14, 1; XII, 3, 18).

„მოსხური მთები“, როგორც უკვე ზემოთ ვნახეთ, „გეოგრაფიაში“ თითქოს გულისხმობს მთების იმ სისტემას, რომელიც წყალგამყოფის როლს ასრულებს ევფრატის, ჭოროხისა და მტკვრის სათავეებში, ე.ი. მთების სისტემას, რომელიც იწყება მდინარე ევფრატის ზემო წელზე და შემდეგ ყოფს ერთმანეთისაგან მდი-

1 გ. ქავთარაძე სტრაბონის ზემოთ მოტანილი ცნობის (XI, 2, 14) და ფსევდო-სკილაქსის „პერიპლუსის“ მონაცემებთან შეჯერების საფუძველზე გამოთქვამს ვარაუდს, რომ სტრაბონისეული „Μόσχοι“ უნდა შეესატყვისებოდეს ფსევდო-სკილაქსის (აზია, §79) მელანქლენებს, რომელთაც იქვე იხსენიებენ პომპონიუს მელა (Chorogr., I, 19, 110), პლინიუსი (NH, I, 15), თუმც, სხვა ავტორები მათ უფრო ჩრდილოეთით და საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე ასახელებენ (შდრ. მაგ., Hecat., fr. 154; Hdt., IV,20; Dion Perieg., 309; Cl. Ptolem., III, V, 10).

ნარეებს ჭოროხს, მტკვარსა და არაქსსაც (დაწვრ. აქვე ამავე წიგნში ზემოთ, IV თავი, 2.4.2დ). ვფიქრობ, დიდი მტკიცება არ უნდა სჭირდებოდეს იმას, რომ მთების ეს სისტემა როგორღაც მოქცეული იყო მოსხთა ტომის განსახლების არეალში და ამიტომაც ატარებდა ამ სახელს (მუსხელიშვილი 1977: 57-58; ქავთარაძე 1985: 113).

„მოსხთა ქვეყნის“ (Μοσχική) საზღვრები „გეოგრაფიაში“ მოცემული არაა. აღნიშნულია მხოლოდ, რომ „მოხსენიებული მდინარეების (ფასისი, ჰიპოსი, გლავკოსი – ო. ლ.) ზემოთ მოსხების ქვეყანაში მდებარეობს ლევკოთეას სამლოცველო...“ (XI, 2, 17: ὑπέρκειται δὲ τῶν λεχθέντων ποταμῶν ἐν τῇ Μοσχικῇ τὸ τῆς Λευκοθέας ἱερόν). ამის შემდეგ არის მითითება, რომ „მოსხების ქვეყანა, რომელშიც არის სამლოცველო, სამადაა დანაწილებული: ერთი აქვთ კოლხებს, მეორე იბერებს და მესამე არმენიელებს“ (XI, 2, 18: ἡ δ' οὖν Μοσχική, ἐν ᾗ τὸ ἱερόν τριμερής ἐστι· τὸ μὲν γὰρ ἔχουσιν αὐτῆς Κόλχοι, τὸ δὲ Ἴβηρες, τὸ δὲ Ἀρμένιοι). აქაც, როგორც ვხედავთ, არც მთლიანად მოსხიკეს საზღვრებია მოცემული და არც მისი თითოეული ნაწილისა, რომლის შესახებ მარჩიელობას ახლა აზრი არ უნდა ჰქონდეს. პირველად დასახელებული ცნობა (XI, 2, 17), თითქოს, შეიცავს რაღაც მითითებას მოსხთა განსახლების ტერიტორიის შესახებ. ზემოთ („გეოგრაფიაში“ მოხსენიებული ლევკოთეას სამლოცველოს ლოკალიზაციასთან დაკავშირებით) სტრაბონის მიერ მოსხების ქვეყნის ადგილმდებარეობის მისანიშნებლად მდინარეების ფასისის, ჰიპოსისა და გლავკოსის მოხსენიების საფუძველზე ჩვენ უკვე გამოვთქვით ვარაუდი, რომ შესაძლოა ლევკოთეას სახელზე აგებული სამლოცველო გავაიგივოთ არქეოლოგიურად აღმოჩენილ სატაძრო ქალაქთან, რომელიც დღევანდელი ქალაქ ვანის განაპირას მდებარეობდა მდ. რიონისა და სულორის ერთმანეთთან შეერთების ახლოს (დაწვრ. ქვემოთ „ლევკოთეას სამლოცველო“; იხ. აგრეთვე, Лордкипанидзе О. 1978).

თუ ეს ვარაუდი სწორია (და მას კი მხოლოდ ჰიპოთეზის პრეტენზია აქვს),[1] მაშინ გამოდის, რომ სტრაბონის მიხედვით მოსხთა განსახლების არეალი ძვ.წ. I ს-ში აღწევდა მდ. რიონის (ე.ი. ძველი ფასისის) შუა წელამდე. არსებობს თუ არა რაიმე საფუძველი ასეთი ვარაუდისათვის? აქ აღარ გავიმეორებ იმ მსჯელობას, რომელიც ლევკოთეას სამლოცველოს ლოკალიზაციის საკითხთან დაკავშირებით იქნება წარმოდგენილი. დავამატებ მხოლოდ, რომ ასეთ ვარაუდს მხარს უჭერს რიგი ტოპონიმიკური მონაცემებისა, რომელთაც ხეთურ-მცირეაზიული კულტურული ტრადიციების მატარებელი მესხების ადრეელინისტურ ხანაში კოლხეთის დაბლობში განსახლებით ხსნიან (დაწვრ. მელიქიშვილი 1965: 88 და შმდ.). ამავე თვალსაზრისითაა საინტერესო VI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის უაღრესად საყურადღებო ცნობა: „... ამ ქვეყნის (იგულის-

1 ჩემს ამ ჰიპოთეზას ყველა არ იზიარებს და ლევკოთეას სამლოცველოს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში დღევანდელი მესხეთის (ისტორიული სამცხის) ტერიტორიაზე ვარაუდობს (ხაზარაძე 1984: 62, 70; ქავთარაძე 1985: 175, შენ. 401).

ხმება ლაზიკა – დასავლეთ საქართველო – ო. ლ.) გვერდით, სახელდობრ, იბერიის გასწვრივ ცხოვრობენ ძველთაგანვე (ἐκ παλαιοῦ) იბერთა ქვეშევრდომი მესხები (Μέσχοι),[1] რომელთაც მთებში აქვთ საბინადრო ადგილები. მესხების მთები (ὄρη δὲ τὰ Μέσχων) არც მწირია და არც ნაყოფიერებას მოკლებული, არამედ სავსეა ყოველგვარი სიკეთით, რადგან მესხებიც მარჯვე მიწის მუშები არიან. მთები მეტად მაღალია, უზარმაზარი და საშინლად მიუვალი და ისინი გავრცელებულია ვიდრე კავკასიონის მთებამდე. ამათ უკან აღმოსავლეთით არის იბერია, რომელიც პერსარმენელებამდე აღწევს. ამ მთებით, რომლებიც აქ არის, ჩამოდის მდინარე ფასისი, რომლის სათავე კავკასიონის მთებშია, და ერთვის პონტოს ნახევარმთვარის შუაში“ (BG, VIII, 2). ბიზანტიელი ისტორიკოსის თხზულებიდან მოტანილ ამ ვრცელ ციტატაში თვალნათლივ ჩანს, რომ აქ აღწერილია ძველი კოლხეთის, ე.ი. დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი,[2] ხოლო აქ მოხსენიებული მდინარე ფასისი არის დღევანდელი მდინარე რიონი. ასე რომ, მოსხების//მესხების ბინადრობას მდ. რიონის შუა წელზე (სადაც ვვარაუდობდით ჩვენ ლევკოთეას სამლოცველოს) პროკოპი კესარიელის ცნობაც ადასტურებს.

მოსხების//მესხების დამკვიდრება კოლხეთის აღმოსავლეთ ოლქებში ადრეელინისტური ხანიდან ივარაუდება (მელიქიშვილი 1965: 86 და შმდ.).

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია უკვე გამოითქვა მოსაზრება ბერძნული წყაროების „მოსხოის“ (Μόσχοι) გენეტიკური კავშირის შესახებ, ერთი მხრივ, ძველაღმოსავლური წყაროების (ასურული და ურარტული ლურსმული ტექსტების და ლუვიურ-იეროგლიფური წარწერების) „მუშკებსა“ (Muški, Muškāi, Muski)[3] და ბიბლიური ტექსტების „მოსოხთან“ (Μόσοχ)[4], ხოლო, მეორე მხრივ, შუა საუკუნეების ქართული წყაროების „მესხებთან“, რომელნიც დღესაც ცხოვრობენ დღევანდელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში – სამცხეში (ძველი ტერმინოლოგიით) ანუ მესხეთში (ახალი ნომენკლატურით), ე.ი. „მოსხთა ქვეყანაში“[5]. მათი ენა ქართულია და განიხილება როგორც ქართული ენის სამხრეთ-დასავლური (ე.წ. მესხური ან სამცხურ-ჯავახური დიალექტი (Дондуа 1967; ძიძიგური 1970; ჯორბენაძე 1989: 374 და შმდ.).

1 აღსანიშნავია, რომ პროკოპისთან Μέσχοι უკვე გვხვდება. ქართული წყაროების ანალოგიურად სტრაბონი და ბერძნულ-რომაული ავტორები ხმარობენ აღნიშვნას Μόσχοι.

2 გ. მელიქიშვილმა მიაქცია ყურადღება, რომ პროკოპის ეს აღწერილობა ძალიან ჰგავს მის მიერვე სხვა თხზულებაში (BP, III, 14) მოცემულ მოხირისის აღწერილობას (Меликишвили1959: 67-69). მოხირისი (Μοχήρησις) კი მდებარეობს სწორედ დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში (დაწვრ. ლანჩავა 1974).

3 „მუშკების“ შესახებ დაწვრ. Bittel 1950: 78 და შმდ.; Cavaignac 1953; Mellink 1965; ხაზარაძე 1984.

4 შდრ. Gen; 10, 2, 23-24; Chr. 1:5; Isa., 66:19; Esek., 27:13, 32:26; 38:2-3; 39:1.

5 საკითხის ისტორია და ლიტერატურის მიმოხილვა დაწვრ. ხაზარაძე 1984: 127 და შმდ.

ქართული ტომის „მესხების“ იგივეობა ბერძნულ-რომაული წყაროების „მოსხებთან“ ეჭვს არ იწვევს[1] და ის, შეიძლება, საყოველთაოდაა აღიარებული (დაწვრ. ხაზარაძე 1984: 127 და შმდ. და იქ დასახ. ლიტ.). უფრო რთულად დგას ბერძნულ-რომაული წყაროების „მოსხოის“ (Μόσχοι) და ძველაღმოსავლური ტექსტების „მუშკების“ (Muški) ურთიერთობის საკითხი. ერთი მხრივ აღიარებენ, რომ ბერძნულ-რომაულ წყაროებში დადასტურებული ეთნონიმი Μόσχοι ფონეტიკური თვალსაზრისით ზუსტად შეესატყვისება ასურულ-ურარტულ Muški-ს: ბერძნული სახელი შექმნილია კონტამინაციის – ზედაპირული ბგერითი მსგავსების შედეგად (Дьяконов 1981: 58). მეორე მხრივ, უარყოფენ ქართველური წარმოშობის მოსხების-მესხების ეთნო-გენეტიკურ კავშირს აღმოსავლელ „მუშკებთან“, რომელთაც ზოგიერთები ბალკანურ–თრაკიული მოდგმის ფრიგიელებად (Hall 1950: 475 და შმდ., შდრ. Haas 1966: 247-249) ან პროტოარმენებად აღიარებენ (Дьяконов 1981: 53). სხვა მკვლევარები პირიქით ამტკიცებენ, რომ მცირეაზიელი (ე.წ. აღმოსავლელი) მუშკების[2] მემკვიდრეები არიან სწორედ ბერძნული წყაროების „მოსხები“[3] – ქართველური ტომი მესხები[4] (დაწვრ. Меликишвили 1959: 104 და შმდ.; ხაზარაძე 1984: 127 და შმდ. იქ დასახ. ლიტ.).[5]

---

1 როგორც აღინიშნა, უკვე პროკოპისთან არიან „მესხები“ მოხსენიებული (შდრ. BG, VIII, 2: Μέσχοι). ეს ქართული ფორმა შეესაბამება მეგრულ-ჭანურ (ე.ი. ძველკოლხურ) ფორმას „მოსხები“ (რაც ბერძნულში არსებობდა როგორც Μόσχοι). ქართული „ა“-ს გადასვლა „ო“-ში მეგრულისთვის კანონზომიერი მოვლენაა (თოფურია 1968).

2 „Muški“-ს ქვეყნის სახელით ძვ.წ. XII-VII სს-ში ასურულ, ურარტულ და ლუვიურ-იეროგლიფურ წარწერებში ორი ერთმანეთისაგან ტერიტორიულად გამიჯნული ქვეყანა იგულისხმება: ერთი (ე.წ. აღმოსავლელი მუშკების ქვეყანა) მდებარეობდა მდ. ევფრატის ზემო წელის მარჯვენა ნაპირზე, ხოლო მეორე – მცირე აზიის ცენტრში (Дьяконов 1981: 56-57; ხაზარაძე 1984: 72 და შმდ.). მოსხებთან კონტექსტში საუბარია სწორედ ე.წ. „აღმოსავლელ მუშკებზე“, რომელთაც მიიჩნევენ ე.წ. ძველფრიგიული კულტურის მატარებლად (იხ. Mellink 1965: 317 ff.; ხაზარაძე 1984: 168 და შმდ. და იქ დასახელებული ლიტ.).

3 ძველი აღმოსავლური ტექსტების Muški და ბერძნული წყაროების Μόσχοι-ს ურთიერთმიმართებისა და მოსხ//მესხის სახელის შესახებ მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული (დაწვრ. ხაზარაძე 1984: 127 და იქ დამოწმებული ლიტერატურა). მათგან მოვიტან მხოლოდ ერთს – ქართველი სემიტოლოგის კ. წერეთლის მტკიცებას: ებრაულ „ბიბლიაში“ დამოწმებული სახელი Muški თავისი გახმოვანებით იდენტურია ბერძნულ-ბიზანტიური Μέσχοι-ს და ქართული „მესხ“-ის. ბერძნულ ენაში დადასტურებულია Μόσοχ და Μόσχοι. მათგან Μόσοχ მხოლოდ „ბიბლიის“ ბერძნულ თარგმანებშია, Μόσχοι – ბერძნულ წყაროებში. რამდენადაც ძველი ბერძნული ენისათვის სახელის ფუძის შეკუმშვა დამახასიათებელი არაა, ამდენად შეუძლებელია Μόσχοι-ის მიღება Μοσοχ-დან (და პირიქით). ამიტომ ეს ორი სახელწოდება ბერძნულში სხვადასხვა გზითაა მიღებული: Μόσοχ უნდა მომდინარეობდეს სამარიტანული ბიბლიის Mošok-იდან, ხოლო Μόσχοι ასურული Muški-დან (წერეთელი 1954: 116). საინტერესოა გ. მელიქიშვილის მოსაზრებაც: ბერძნულ წყაროებში „Μόσοχ“, „Μόσχοι“-ს არსებობა მოწმობს, რომ Muški გამოითქმოდა როგორც „მოშქო“ (ასურულ-ბაბილონურ და ურარტულ დამწერლობას „ო“ ბგერის გადმოცემა ლურსმული ნიშნებით არ შეეძლო, ამიტომ მის გადმოსაცემად ხმარობდა „უ“ ნიშანს) – Меликишвили 1954: 410; Меликишвили 1959: 105, შენ. 231.

4 „მესხი“ სახელის წარმომავლობის შესახებაც რამდენიმე მოსაზრებაა გამოთქმული (Марр 1912: 697; ჯავახიშვილი 1950: 10; ჯანაშია 1952: 5, 7, 9; ახვლედიანი 1943: 484; წერეთელი 1954; Капанцян 1948: 113; თოფურია 1968: 168-171; მიქელაძე 1974: 117-118 და სხვ. – შდრ. ხაზარაძე 1984: 127 და შმდ.; ქავთარაძე 1985: 84-86).

5 ამ ნაშრომში (გვ. 172 და შმდ.) მოცემულია აგრეთვე მუშკების ბალკანურ-თრაკიული მოდგმის ფრიგიელებთან და პროტოარმენიელებთან იგივეობის თეორიის კრიტიკული ანალიზი და განვითარებულია დებულება მოსხებისა და მუშკების ურთიერთკავშირის შესახებ.

როგორც არ უნდა გადაწყდეს ძველი აღმოსავლური წყაროების „მუშკების“ და ბერძნულ-რომაულ წყაროებში „მოსხებად“ (Μόσχοι) წოდებული ტომების ეთნოგენეტური კავშირის საკითხი (დაწვრ. იხ. ხაზარაძე 1984: 127 და შმდ.), ის მაინც უცილობლადაა აღიარებული, როგორც უკვე ითქვა, რომ ბერძნულ-რომაული წყაროების „მოსხების“ სახით ჩვენს წინაშეა ქართველური ტომი მესხები.[1] უფრო პრობლემურია, თუ რომელ ქართველურ ტომთან გვაქვს აქ საქმე – დასავლურ თუ აღმოსავლურ ქართველურ ტომთან. დღეს მესხების ენა აღმოსავლურ ქართულია და, როგორც ითქვა, წარმოადგენს ქართული ენის სამხრეთ-დასავლურ (ე.წ. „მესხურ“, „სამცხე-ჯავახურ“) დიალექტს. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ მოსხები//მესხები თავდაპირველად იყო დასავლურქართველური ტომი (მეგრულ-ჭანური ანუ კოლხური) და თითქოს შემდეგ მოხდა მათი ასიმილაცია აღმოსავლურ ქართველური ტომის მიერ, რის შედეგად მათ დაკარგეს თავიანთი პირვანდელი ენა (მეგრულ-ჭანური ანუ კოლხური). ამ თვალსაზრისის ავტორებს მოაქვთ რამდენიმე უთუოდ ანგარიშგასაწევი არგუმენტი, მათ შორის: ა) ძვ.წ. VI ს-ის ბერძენი გეოგრაფოსის ჰეკატე მილეტელის ცნობით, „მოსხები კოლხური ტომია“; ბ) მოსხებით დაკავებული ტერიტორია, რომელიც თანხვდება დღევანდელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს – ისტორიულ სამცხეს (მესხეთს), ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარსა და I ათასწლეულის დასაწყისში მოქცეული იყო კოლხური ბრინჯაოს კულტურის არეალში და აქ, ამ ტერიტორიაზე გავრცელებულია დასავლურქართველური (მეგრულ-ჭანური ანუ კოლხური) ტოპონიმები, რომელნიც აქ ოდესღაც მცხოვრები ტომების დანატოვარი უნდა იყოს (დაწვრ. მიქელაძე 1974: 30,73-75; შდრ. ქავთარაძე 1985: 49, 69).

მაინც ვფიქრობ, რომ ეს საინტერესო არგუმენტები ვერ გამოდგება იმისათვის, რომ მოსხები//მესხები წარმოშობით დასავლურქართველურ (მეგრულ-ჭანურ ან კოლხურ) ტომად მივიჩნიოთ: ა) სტეფანე ბიზანტიელის „ეთნიკაში“ აღნიშნულია: „Μόσχοι, Κόλχων ἔθνος προσεχὲς τοῖς Ματιηνοῖς: Ἡκαταῖος Ἀσίᾳ“. აქედან ნათლად არ ჩანს, თუ ვის ეკუთვნის Μόσχοι, Κόλχων ἔθνος, თვით სტეფანე ბიზანტიელს თუ ჰეკატე მილეტელს.[2] ბ) სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, ე.ი. მესხეთის ტერიტორიაზე ძვ.წ. XIV-VIII სს-ის კოლხური ბრინჯაოს კულტურისა და ტოპონიმების გავრცელება (დაწვრ. თოფურია 1968; ნორაკიძე 1971; მიქელაძე 1977:21) მართლაც მოწმობს აქ იმ დროს მეგრულ-ჭანური ანუ ძველი კოლხური მოსახლეობის არსებობას. მაგრამ ეს იყო ამ ეთნიკური მასივის (კოლხურის ანუ მეგრულ-ჭანურის) ნაწილი, რომელიც წინ უსწრებდა ამ ტერიტორი-

1 ამას უყოყმანოდ აღიარებენ ისინიც, ვინც უარყოფს ბერძნული წყაროების Μσχοι-ის იგივეობას ძველაღმოსავლური წყაროების Mušk-სთან (Дьяконов 1981: 88).

2 სტეფანე ბიზანტიელის ტექსტზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ხშირად კომენტატორი ამა თუ იმ ტომის შესახებ თავის აზრს გადმოსცემს და შემდეგ განმარტავს, თუ ვინ იხსენიებდა მას, ან მოაქვს ციტატა. ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში ციტატა, როგორც ვნახეთ, არაა (შდრ. მაგ., s.v. Φναγόρεια და სხვ).

აზე მოსხების//მესხების დამკვიდრებას, რომელნიც ადრეელინისტურ ხანამდე რამდენადმე სამხრეთით იყვნენ განსახლებული. ყოველ შემთხვევაში, აშკარაა, რომ ძვ.წ. VI-V სს-ში (ჰეკატე მილეტელისა და ჰეროდოტეს ცნობების მიხედვით) მოსხების ძირითადი საცხოვრისი ჩრდილო-აღმოსავლეთ მცირე აზიაშია – დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე, დაახლოებით ტოკატ-ყარაჰისარ-გიუმიუშანეს რაიონში (იხ. ზემოთ).[1] უფრო გვიან, ჩემი ვარაუდით – ადრეელინისტური ხანიდან, ისინი ვრცელდებიან უფრო ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით, დღევანდელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, ე.ი. მესხეთ-ჯავახეთის ტერიტორიაზე, იკავებენ ამ ტერიტორიას (სტრაბონის მოსხიკე – Μοσχική: XI, 2, 17-18) და ახდენენ მანამდე აქ მცხოვრები ადგილობრივი დასავლურქართველური ანუ მეგრულ-ჭანური (კოლხური) მოსახლეობის ასიმილაციას.[2] ამის შედეგად მკვეთრად იცვლება ამ მხარეში მატერიალური კულტურა, რაც თვალსაჩინოდაა ასახული არქეოლოგიურ მასალებში.[3]

ზემოთქმულის გათვალისწინებით მე ვერ ვიზიარებ იდეას მოსხების//მესხების დასავლურქართველურ ტომად მიჩნევის შესახებ და სავსებით ვეთანხმები ადრევე არსებულ შეხედულებას, რომელიც მოსხებს//მესხებს აღმოსავლურ ქართველთა ტომად (მის დასავლურ განშტოებად) აღიარებს (Меликишвили 1959: 11).[4]

თუ სწორია მტკიცება იმის შესახებ, რომ ძველი აღმოსავლური წყაროების მუშკები ბერძნული წყაროების მოსხების (ე.ი. ქართული წარმოშობის ტომის მესხების) წინაპრები არიან, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ საერთო ქართველური ფუძე-ენიდან გამოყოფილი ქართ-კოლხური ერთობის დაშლის შემდეგ ქართის, ე.ი. აღმოსავლურ ქართველური ენის (სურ. III: C) მატარებელი ეთნოსის ერთი (დასავლური) ჯგუფი სამხრეთით გავრცელდა და იხსენიება ძვ.წ. XII-VII სს-ში ასურულ, იეროგლიფურ-ლუვიურ და ურარტულ ლურსმულ წარწერებში

---

1 ჰეროდოტესეულ XIX სატრაპიაში გაერთიანებულ „მოსხებში“ (Hdt., III, 94) უფრო გვიანი ხანის ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის „მოსხურ მთებში“ მოსახლე მოსხები არ იგულისხმებიან (იხ. აგრეთვე ქავთარაძე 1985: 129-130).

2 ამის შედეგი უნდა იყოს ის, რომ ქართული ენის მესხურ დიალექტში გვხვდება მეგრულ-ჭანური ელემენტები (ძიძიგური 1970).

3 ძვ.წ. VIII-VII სს-შიც ამ მხარეში მატერიალური კულტურა აშკარად კოლხური ხასიათისაა. ეს თვალსაჩინოდ ჩანს სოფ. მზეთამზეში (ბორჯომის რ-ნი, დაბა წაღვერთან) ახლახან აღმოჩენილ სამაროვანზე, რომლის კომპლექსებში შედის ბრინჯაოს კოლხური ცულები, მშვილდსაკინძები, აბზინდები, აგრეთვე კოლხური კულტურისათვის ტიპიური თიხის ყურმილიანი დოქები (ნასიძე 1990), მკვეთრი ცვლილება ადრეელინისტური ხანიდან შეინიშნება. აქ პირველ რიგში უნდა დავასახელო წნისის სამაროვანი (ძვ.წ. IV-III სს.), სადაც უკვე წარმოდგენილია ადრეელინისტური ხანის აღმოსავლურქართული კულტურის ტიპიური ელემენტები: კერამიკა (განსაკუთრებით მსხლისებურტანიანი დოქები), სამკაული (ზურგშეზნექილი სამაჯურები) და ა.შ. (კვიჟინაძე 1983).

4 საინტერესოა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტომთა ერთი ნაწილი (თუშები, ფშავები, ხევსურები), რომელთა ენა ასევე აღმოსავლურქართული ენის დიალექტებია (ჯორბენაძე 1989: 223-261), ჩრდილოკავკასიურ ენებში (მაგ. ხუნძურში) აღინიშნება სახელით „მოსოხ“-„მოსოქ“-„მოსექ“, რომელიც ზოგჯერ საერთოდ ქართველების აღმნიშვნელი სახელიც იყო (წერეთელი 1954: 116 და შმდ., იქვე დასახ. ლიტ.).

„მუშკების“ სახელით. ამ დროს მათ ეკავათ ტიგროსის მარჯვენა სანაპიროსა და მისი ზემო დინების ახლომდებარე მხარეები, მაგრამ თანდათანობით ახორციელებენ თავის ექსპანსიას სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. უკვე ძვ.წ. X ს-ის მეორე ნახევარში მდ. ჰალისის სამხრეთ-აღმოსავლეთით მუშკები ქმნიან თავის სამეფოს და თავის გავლენას ავრცელებენ მცირე აზიის ცენტრალურ და დასავლეთ ოლქებზე[1] (დაწვრ. ხაზარაძე 1984: 72). ძვ.წ. VII ს-ის 70-იანი წლებიდან, როდესაც ურარტელებმა და კიმერიელებმა მუშკების სამეფო გაანადგურეს, მუშკების ერთი დიდი ჯგუფი ჩრდილოეთით გადასახლდა და დღევანდელი მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში დამკვიდრდა. ძვ.წ. VI-IV სს-ში მათ მოსხების სახელწოდებით იხსენიებენ. ამ დროს მოსხებით დაკავებულ ტერიტორიას ჩრდილო-აღმოსავლეთ მცირე აზიაში (დაახლოებით დღევანდელი ტოკატ-ყარაჰისარ-გიუმიუშანეს რეგიონში) აქემენიდური ირანი იპყრობს და მას სხვა ქართველურ ტომებთან ერთად XIX სატრაპიაში აერთიანებს (Hdt., III, 93-94).

აქემენიდური ირანის განადგურების შემდეგ, რომელსაც შემდგომ მოჰყვა წინა აზიაში დიდი პოლიტიკური კატაკლიზმები (ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დაშლა და დიადოხოსებს შორის ბრძოლა, ელინისტური სახელმწიფოების – სელევკიდების, პონტოს სამეფოების და სხვათა წარმოქმნა), ხეთურ-მცირეაზიული ტრადიციების მატარებელი მოსხები//მესხები თანდათანობით იკავებენ დღევანდელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს და მის სამხრეთით მდებარე ტერიტორიას (ისტორიული სამცხე), ხოლო მათი ცალკეული ჯგუფები იჭრებიან დღევანდელი აღმოსავლეთ საქართველოს (იბერიის) ტერიტორიაზე და დასავლეთ საქართველოს (ძველი კოლხეთის) აღმოსავლეთ ოლქებში. კარგადაა ცნობილი, თუ რა თვალსაჩინო როლი შეასრულეს მესხურმა ტომებმა იბერიის სამეფოს და მისი კულტურის ფორმირებაში (დაწვრ. Меликишвили 1952: 112,229-230).[2] აქ საკმარისია აღინიშნოს იბერიის სამეფოს წარმართული საკულტო პანთეონის ანატოლიური ხასიათი, ხეთურ-ნესიტური იერის ღვთაებანი არმაზ, ზადენ და ა.შ. (გიორგაძე 1985; იხ. აგრეთვე Лордкипанидзе О. 1989: 310 და შმდ.; 326, შენიშვნა 25, იქ დასახ. ლიტ.).

მესხური ტომების სამხრეთიდან ძველი კოლხეთის აღმოსავლეთ რაიონებში ინფილტრაციას უკავშირდება, ჩემი აზრით, ის მნიშვნელოვანი ინოვაციები მატერიალურსა და სულიერ კულტურაშიც, რომელიც ფიქსირდება არქეოლოგიურ მასალებში. მათგან აღსანიშნავია ძვ.წ. IV-III სს-დან ისტორიული კოლხეთის აღმო-

1 ზოგიერთი მკვლევარი მუშკებს უკავშირებს ამ დროს აღმოსავლეთ ანატოლიაში მოხატული კერამიკისა და მატერიალური კულტურის ზოგიერთი სხვა ელემენტის გავრცელებას.

2 ყურადღებას იქცევს პლინიუსის ცნობა: „... მოსხების მიწები ძევს მდ. იბერამდე, რომელიც კიროსს ერთვის“ (NH, VI, 29: Moschorum tractus ad Hiberum amnem in Cyrum defluentem). მდ. იბერის იდენტიფიკაციის შესახებ ერთიანი აზრი არ არსებობს. თუ სწორია მისი თანამედროვე მდ. იორთან (მტკვრის შენაკადი) გაიგივება, მაშინ, შეიძლება, მესხთა ცალკეული ჯგუფების გავრცელება მდ. მტკვრის შუა წელზეც ვივარაუდოთ (მუსხელიშვილი 1977: 75-76). მოსხების//მესხების სატომო სახელის მსგავსი ტოპონიმების გავრცელების საფუძველზე ივარაუდება მესხური ტომების ერთ-ერთი ჯგუფის აღმოსავლეთ საქართველოს (იბერიის) აღმოსავლეთ ნაწილშიც (კახეთის მთიანეთში) გავრცელება და იქ დამკვიდრება (პაპუაშვილი 1982: 67-68).

სავლეთ რაიონებში (და აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოში – იბერიის ტერიტორიაზე) დაკრძალვის ახალი წესის – ქვევრსამარხების გავრცელება, ახალი ტიპის კერამიკის, მათ შორის მოხატული კერამიკის გავრცელება და სხვ. (დაწვრ. Лордкипанидзе О. 1989: 273 და შმდ. და იქვე დასახ. ლიტ.). განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეს ცვლილებები ვანში (სადაც ჩვენ სტრაბონის მიერ „მოსხების ქვეყანაში“ მოხსენიებულ ლევკოთეას სამლოცველოს ვვარაუდობდით). გარდა ზემოაღნიშნული ცვლილებებისა (ქვევრსამარხები, მოხატული კერამიკა და სხვ. — დაწვრ. Лордкипанидзе О. 1985; Толордава 1985; Чкония 1985), აღსანიშნავია ადგილობრივ გლიპტიკაზე კაპადოკიური გავლენა (შდრ. ლორთქიფანიძე მ. 1976: 134), ასევე კაპადოკიური იერის საკუთარი სახელების გავრცელება[1] და სხვ.[2]

ამრიგად, მოსხები (Μόσχοι) აღმოსავლურქართული ტომის (შდრ. სურ. III: C) დასავლური განშტოებაა, რომელიც სტრაბონის „გეოგრაფიის“ მიხედვით ძირითადად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (ისტორიული სამცხის) ტერიტორიაზე სახლობდა. მაგრამ მისი ცალკეული ჯგუფები, სტრაბონის „გეოგრაფიის“ მოხედვით, უკვე შეჭრილი არიან დღევანდელი დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში, რითაც დასაბამი მიეცა ამ ოლქების ქართიზაციისა და დღეს დასავლეთ საქართველოში მოსახლე აღმოსავლურ ქართული ენის დასავლურ დიალექტებზე (იმერულ, გურულ, ლეჩხუმურ, აჭარულ) მეტყველი მოსახლეობის (შდრ. ჯორბენაძე 1989: 397 და შმდ.) დამკვიდრების პროცესს.[3]

3. კოლხები (Κολχοί)

კოლხები (Κολχοί), როგორც ტომი, იხსენიება „გეოგრაფიის“ I (2, 9-10; 2, 39; 3, 2; 3,1 5; 3, 21), V (1, 9), X (3, 19), XI (2, 14; 2, 7; 4, 8; 5, 6) და XII (4, 3) წიგნებში.

1 ვანში აღმოჩენილია ძვ.წ. IV ს-ის მესამე მეოთხედით დათარიღებული საკმაოდ მდიდრული სამარხი, სადაც იყო ოქროს უფლებრივი საბეჭდავი მისი მფლობელის სახელის ბერძნული წარწერით ΔΕΔΑΤΟΣ. რამდენადაც ვიცი (და შევამოწმე ჩემთვის მისაწვდომ ლექსიკონებში), ეს სახელი ბერძნულ საკუთარ სახელებს შორის არ გვხვდება. რამდენადმე მსგავსი სახელი, მაგ. Δαδάτης დადასტურებულია კაპადოკიელთა შორის: ცნობილია ათენში დაკრძალული Δαδάτης Καππάδοξ (Robert 1963: 518). Δάδα, Δάδας ტიპის საკუთარი სახელების შესახებ იხ. აგრეთვე Kretschmer 1896: 337 შდრ. Robert 1963: 348,439.

2 ძვ.წ. VI-V სს-ში მოსხთა (ხოლო უფრო ადრე მოსხთა წინამორბედად მიჩნეული ე.წ. აღმოსავლელი მუშკების) განსახლების არეალი კაპადოკიაშიც იყო (ქავთარაძე 1985: 9). საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ I ს-ის ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი ამტკიცებდა: „მესხოსმა დააფუძნა მესხენები, რომელთაც ახლა კაპადოკიელნი ეწოდებაო“ (Μοσοχηνοὶ δὲ ὑπὸ Μοσόχου κτισθέντες, Καππάδοκες μὲν ἄρτι κέκληνται), ხოლო მისი ტექსტის ერთ-ერთი კომენტატორი XVIII ს-ში ლეო ალციუსი აღნიშნავდა, რომ იოსებ ფლავიუსის მიერ მოხსენიებული მოსქინები ის ხალხია, რომელთაც ძველი ავტორები Μοσχικοί და Μοσσύνοικοι-ის უწოდებდნენ. მათი თავდაპირველი მკვიდრობის ადგილი ევქსინის პონტოს სანაპირო იყო. შემდეგ ისინი კაპადოკიელები გახდნენ, ბოლოს კი ისევ ჩრდილოეთისაკენ გადაინაცვლეს. აქვე უნდა დავძინო, რომ ბიზანტიურ ისტორიოგრაფიაში მესხებს კაპადოკიელებთან აიგივებდნენ (იხ. ხინთიბიძე 1982: 233).

3 ამ მოსახლეობამ მოახდინა ადგილობრივი მეგრულ-ჭანური (ძველი კოლხური) მოსახლეობის ასიმილაცია, რაც ასახულია ქართული ენის ზემოდასახელებულ დასავლურ კილოკავებში დადასტურებული მეგრულ-ჭანური ლექსიკონით და გრამატიკული გავლენებით (იხ. ჟღენტი 1940).

უმეტესწილად კოლხები (Κολχοί) და კოლხიდა (Κολχίς) სტრაბონთან სინონიმური ცნებებია (შდრ. მაგ. I, 2, 9; I, 3, 2; XI, 4, 8; XI, 5, 6). ამდენად, იდენტურია კოლხთა და კოლხეთის ტერიტორიაც.

„კოლხები" (Κολχοί) სტრაბონთან, ერთი მხრივ, ეთნიკური ცნებაა (შდრ. XI, 2, 17), ისევე როგორც, მაგ., ზიგები (Ζυγοί), კერკეტები (Κερκέται) და ა.შ. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს XI, 2, 14-ში, სადაც შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრებნი, როგორც ჩანს, ეთნიკურ-ტომობრივი პრინციპით არიან ჩამოთვლილი. „კოლხები" (Κολχοί) „გეოგრაფიაში" (მაგ. I, 2, 1; I, 3, 21; XI, 2, 18; XI, 5, 6) იმავე დროს პოლიტიკური ცნებაცაა – „კოლხეთის" (Κολχίς) სინონიმური (შდრ. ლომოური 1971). კოლხთა საცხოვრისი ემთხვევა კოლხიდას, როგორც პოლიტიკურ-გეოგრაფიულ ერთეულს. ყოველ შემთხვევაში, ამ ერთეულის ფარგლებში სტრაბონი სხვა ეთნიკურ ჯგუფს არ ასახელებს:[1] კოლხები (Κολχοί) კოლხიდის ძირითადი ტომია. კოლხიდის საზღვრები ჩვენ ზემოთ გვქონდა უკვე განხილული.

სახელწოდება Κολχοί თუ Κολχίς პირველად (ჩვენამდე მოღწეული წყაროებიდან) ძვ.წ. VIII ს-ის მწერალ ევმელოს კორინთელთანაა დადასტურებული (ფრ. 2: იხ. ურუშაძე 1964: 195 – „[აიეტი] გაემართა კოლხეთის ქვეყანად" (ὁ [Αἰήτης] δ' ᾤχετο Κολχίδα γαῖαν — Sch. ad Pind., Ol. XIII, 74; Tzetzes ad Lycophr. 174). ბერძნულ წყაროებში კოლხებისა და მათი ქვეყნის პირველმოხსენიება ემთხვევა ურარტული წყაროების კოლხას[2] ძლიერების ხანას, როდესაც მან შეძლო მეზობელი სახელმწიფოების (პირველ რიგში – დიაუხის) მიწების შემოერთება. ამ დროს კოლხას სამეფო სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა (Меликишвили 1962).

ურარტულ ლურსმულ წყაროებში მოხსენიებული კოლხთა ძლიერი სახელმწიფო („კოლხა"), როგორც ფიქრობენ, ძვ.წ. VIII ს-ის 20-იან წლებში განადგურდა მცირე აზიაში კიმერიელთა შემოსევების შედეგად, რის შემდეგ კოლხთა ერთიანი ეთნიკური მასივი ორად გაიყო: ერთი სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში დარჩა და, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ცალკეულ ტომებად დანაწილდა (სტრაბონის მიერ მოხსენიებული სანები, ქალდები და ა.შ. – იხ. დაწვრ. ქვემოთ),

1 მხოლოდ XI, 2, 17-18-ში, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, შეიძლება დავინახოთ ელინისტურ ხანაში კოლხეთის აღმოსავლეთ რაიონებში აღმოსავლურქართული ტომის – მოსხების//მესხების ინფილტრაციის კვალი (იხ. ზემოთ § 2: „მოსხები").

2 ურარტულ ლურსმულ წარწერებში იკითხება Qulha, ვინაიდან ლურსმული დამწერლობა „ო" ბგერას ვერ გადმოსცემდა (დაწვრ. Меликишвили 1962: 321 და შმდ.). VIII ს-ის ურარტული წყაროების „კულხა"//„კოლხა" კი დიდი ხანია უკვე შემდგომი ხანის ბერძნული წყაროების კოლხეთთანაა გაიგივებული (Ушаков 1940) და ეს ამჟამად საყოველთაოდაა აღიარებული. გ. მელიქიშვილი ვარაუდობს, რომ კოლხთა პირველი დიდი პოლიტიკური გაერთიანება სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ჯერ კიდევ ძვ.წ. XII ს-ის ასურულ წყაროებშია (ასურეთის მეფე ტიგლატპალასარ I-ის წარწერაში) მოხსენიებული სახელწოდებით Quilhi (Меликишвили 1954: 22-28). ამ წაკითხვას არ იზიარებენ სხვა მკვლევარები, რომელნიც იმავე ტერმინს კითხულობენ როგორც Hab-hi (შდრ. Дьяконов 1956: 61), თუმც გ. მელიქიშვილი ამ კრიტიკას არ იზიარებს და კვლავ ახალი არგუმენტაციით ცდილობს თავისი ჰიპოთეზის დასაბუთებას (იხ. Меликишвили 1959: 183; 1962: 320-321).

ხოლო მეორე — დამკვიდრდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე (დღევანდელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე) და ძვ.წ. VI ს-ის შემდეგ ბერძნები სწორედ მათ უწოდებდნენ კოლხებს (Κολχοί), ხოლო მათ ქვეყანას კოლხიდას (Κολχίς).[1]

სტრაბონის წინადროინდელ ბერძნულ მწერლობაში ევმელოს კორინთელის შემდეგ კოლხებს იხსენიებენ[2] პინდარე (IV Pyth., 13; Str. 10), სოფოკლე (Sch. ad Apoll. Rhod. III, 1040; IV, 223), ევრიპიდე („მედეა":2; „ჰიფსიპილე", ფრ. 64), აკუსილაე არგოსელი (Sch. ad Hom. Od. XIV, 533), ჰეროდოტე (II, 103-105; III, 97; IV, 37-38 და სხვ.), ფსევდო-სკილაქსი (აზია, 81), ფსევდო-არისტოტელე („პეპლოსი", 43), ლიკოფრონ ქალკიდელი („ალექსანდრა", 868), კალიმაქე კვირენელი (fr. 104 = Sch. ad Lycophr. Alex. 1022; იხ. აგრეთვე Strabo I, 2, 39; V, 1, 9), პალეფატე („ტროიკა", 2 (338) = Harpokr., Sud., s.v. Μακροκέφαλοι; „დაუჯერებელთა", XXX [31]), თეოკრიტე („იდილია", XIII, 75), აპოლონიოს როდოსელი („არგონავტიკა", I, 84, 175; II, 397, 1204, 1225 და სხვ.), პოლიბიოსი („ისტორია", IV, 3, 5), აპოლოდორე („ბიბლიოთეკა", I, 9: 83, 109 და სხვ.) და სხვ.[3]

კოლხების ეთნიკური წარმომავლობის შესახებ სტრაბონი (ისევე როგორც იბერებისა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სხვა ხალხების მიმართ) მიგრაციონისტულ პოზიციაზე დგას და იმეორებს ჰეროდოტეს თვალსაზრისს[4] ეგვიპტელების კოლხეთში გადასახლების შესახებ (I, 3, 21: „... ეგვიპტელთა ნაწილი

1 კოლხების ტომს იხსენიებს ქსენოფონტიც ტრაპეზუნტისა და კერასუნტის მიდამოებში (Anab., IV, 8, 22, 23; V, 2, 1; V, 3, 2), მაგრამ აქ ის ლოკალურად წარმოდგენილი ეთნიკური ჯგუფია, რომელსაც მდ. ფასისთან მდებარე კოლხიდასთან პოლიტიკური კავშირი არ აქვს (შდრ. Anab., V, 6, 36). სხვა ავტორები კოლხებს ტრაპეზუნტის მიდამოებში აღარ ასახელებენ, მათ შორის სტრაბონიც (შდრ. XII, 3, 18; XII, 3, 28-29). გამონაკლისია არიანე, რომელიც იმოწმებს ქსენოფონტსაც (PPE, 11: καθάπερ Ξενοφῶν λέγει). ტრაპეზუნტის მიდამოებში მოხსენიებული კოლხები უნდა იყოს ძვ.წ. VIII ს-ში არსებული და ურარტულ წყაროებში მოხსენიებული „კოლხას" სამეფოს განადგურების შემდეგ დარჩენილი ტომი, რომელმაც შემოინახა ძველი სახელწოდება. უნდა ვიფიქროთ, რომ შემდგომში ეს ტომი გაერთიანდა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში დაწინაურებული სანების შემადგენლობაში, რომელთაც შექმნეს დასავლურქართველური ტომების – ჭანების გაერთიანება (იხ. ქვემოთ „სანები", „ხალდები").

2 პრობლემატურია „კოლხების" მოხსენიება ჰეკატე მილეტელთან. ჩვენამდე მოღწეულ ფრაგმენტებში „კოლხების" ტომი დასახელებული არაა. სტეფანე ბიზანტიელი აღნიშნავს: „მოსხები – კოლხური ტომი", მაგრამ აქ სულ ნათელი არაა: ასე იყო ის მოხსენიებული ჰეკატე მილეტელთან, თუ ეს თვით კომენტატორის სიტყვებია (Steph. Byz., s.v. Μόσχοι, Κόλχον ἔθνος... Ἑκαταῖος Ἀσίᾳ).

3 სრულიად აბსტრაქტულად მეჩვენება ცდა ამტკიცონ, რომ თითქოს: ვინაიდან ტოპონიმი Χαλκηδών (ბოსფორის სრუტის აზიურ სანაპიროზე, აგრეთვე Χαλκιδική თრაკიულ მხარეში და Χαλκίς კუნძულ ევბეის სახელწოდება) თავდაპირველად უნდა გვხვდებოდეს Καλχηδῶν ფორმით, რომელშიც იოლად გამოიყოფა სუფიქსალური δων, ამიტომ, შესაძლოა სახელწოდება Κολχίς ეტიმოლოგიურად დაუკავშირდეს და გაუთანაბრდეს ტოპონიმ Χαλκίς-სს, ე.ი. „სპილენძით მდიდარი ქვეყანა" (Откупщиков 1980: 69). უფრო ადრე იგივე აზრი იხ. Ельницкий 1961: 12-13, მაგრამ, როგორც ვნახეთ, ეს სახელი „კოლხა" ჯერ კიდევ ურარტულ ლურსმულ წარწერებში იხსენიება.

4 ჰეროდოტეს მიხედვით, კოლხები ეგვიპტელები არიან – მეფე სეზოსტრისის მიერ ფასისთან დატოვებული ლაშქრის შთამომავალნი (II, 103-104). ჰეროდოტეს მიერ (და აგრეთვე მისი გავლენით სტრაბონის მიერ I და VI წიგნებში) მოხსენიებული სეზოსტრისის, ისევე როგორც ჰეროდოტეს ცალკეული დებულებების (მათ შორის კოლხთა წარმომავლობისა და მისი კოლხეთში ყოფნის გამო) მიმართ მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება იხ. Fehling 1971: 15 და შმდ.; Armayor 1978; Armayor 1980: 51 შმდ., 56 შმდ., 64 შმდ.

ეთიოპიასა და კოლხეთში გადასახლდა“ – [μετῳκισμένων] Αἰγυπτίων δ’ εἴς τε Αἰθίοπας καὶ Κόλχους), თუმც სხვა ადგილას თითქოს რაღაც სკეფსისსაც გამოთქვამს ჰეროდოტეს არგუმენტაციის და კოლხების ეგვიპტელებთან „რაღაც ნათესაობის“ (συγγένεια) მიმართ (შდრ. XI, 2, 17, სადაც კოლხებში სელის დამუშავებასთან დაკავშირებით შენიშნავს: „და ზოგიერთებს უნდოდათ რაღაცა ნათესაობაც კი გვაჩვენონ კოლხებისა ეგვიპტელებთან ამის მიხედვით“ – καί τινες βουλόμενοι συγγένειάν τινα τοῖς Κόλχοις πρὸς τοὺς Αἰγυπτίους ἐμφανίζειν ἀπὸ τούτων πιστοῦνται).

კოლხეთის ეთნიკური წარმომავლობის შესახებ თანამედროვე ეთნოლინგვისტურ ლიტერატურაში ერთსულოვანი აზრია: ძველი კოლხები დასავლურქართული ენის მატარებელი ეთნოსია. მათი ენა (სურ. III: D) წარმოიშვა საერთოქართული ენის (პრაქართველური – სურ. III: A) დაშლის შემდგომ წარმოქმნილი ქართ-კოლხური (სურ. III: B) ერთობის დაშლის შედეგად, ხოლო მათი შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ესაა დასავლურქართული ეთნოსი – მეგრელები (უახლესი ლიტერატურიდან იხ. Гамкрелидзе-Иванов 1984: II, 880$_2$; Лордкипанидзе О. 1989: 17, 185 და იქ დასახ. ლიტ.).

ზემოაღნიშნული მტკიცების არგუმენტს წარმოადგენს არა მხოლოდ ის, რომ ბერძნულ-რომაული წყაროების მიხედვით (და მათ შორის სტრაბონის მონაცემებითაც) ძველი კოლხები დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სახლობდნენ, ხოლო ამ ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ეთნიკური ცვლილება არც წერილობით წყაროებში და არც არქეოლოგიურ მასალებში ასახული არაა.

არქეოლოგიური მასალების მიხედვით თვალნათლივ ჩანს, რომ ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან (როდესაც იწყება ქართ-კოლხური ენის დაშლა – სურ. III: B და კოლხური ანუ მეგრულ-ჭანურის – სურ. III: D – წარმოქმნა) მთელს დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (კოლხური ტომების განსახლების სავარაუდებელი არეალი) ყალიბდება ერთგვაროვანი მყარი ბრინჯაოს კულტურა, რომელიც სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში „კოლხური ბრინჯაოს კულტურის“ სახელითაა ცნობილი. მისი განმსაზღვრელი ელემენტებია ხის ჯარგვალური არქიტექტურა, ბრინჯაოს საომარი და სამეურნეო იარაღები (ცულები, თოხები, ე.წ. სეგმენტური ტიპის იარაღი), სპეციფიური (ე.წ. ზოომორფულყურიანი) კერამიკა, დასახლების ტიპი, დაკრძალვის წესები და ა.შ. უკვე ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებიდან იმავე კულტურის წიაღში, რკინის მეტალურგიაზე გადასვლის შემდეგ, ყალიბდება ახალი ფორმები, მაგრამ ტრადიციულის შენარჩუნებით (მაგ., რკინის სამეურნეო და საომარი იარაღი ტიპოლოგიურად მთლიანად იმეორებს ბრინჯაოს იარაღების ფორმას). იმავე დროს ძვ.წ. VII-V სს-ის ადგილობრივი (კოლხური) მატერიალური კულტურის იერსახეს განსაზღვრავს კვლავინდებურად ხის ჯარგვალური არქიტექტურა, ასევე სპეციფიკური კერამიკა (რომელთაგან განსაკუთრებით ტიპიურია: ქვევრები, ყურმილიანი და ბიკონუსტანიანი დოქები, ცილინდრული ან კონუსისებურძირიანი სასმისები და ა.შ.),

სამკაული (რომბისებურფირფიტიანი დიადემები, სხივანა და ჭვირულბურთულიანი საყურეები და ა.შ.) და სხვ., რომელიც მხოლოდ ძველი კოლხეთისთვისაა დამახასიათებელი და, როგორც წესი, არ გვხვდება მის ფარგლებს გარეთ (დაწვრ. Лордкипанидзе О. 1989: 189 და შმდ. და იქ დასახ. ლიტ.).

ზემოდასახელებული არქეოლოგიური კულტურის ეთნიკური იდენტიფიკაციისათვის დიდმნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მის მთელ არეალში, რომელიც მოიცავდა მთელს დღევანდელ დასავლეთ საქართველოს (ზღვისპირეთში კი დღევანდელი ბიჭვინტიდან ორდუმდე), აგრეთვე ნაწილობრივ აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ რაიონებსაც (ე.წ. შიდა ქართლს), ყველგან დასტურდება მეგრულ-ჭანური (ე.ი. დასავლურქართველური) ტოპონიმები (ღლონტი 1971). ასეთი ტოპონიმები მრავლადაა ფიქსირებული აგრეთვე იმ რეგიონებში, სადაც დღეს მეგრულ-ჭანური მოსახლეობა აღარაა და აღმოსავლურქართული ტომებითაა დასახლებული (ესაა ძველი კოლხეთის დღევანდელი აღმოსავლეთი ოლქები: გურია, იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი, აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოში – შიდა ქართლის დასავლეთი და ჩრდილო-დასავლეთი ნაწილები).[1]

წერილობითი ცნობებიც მიუთითებენ ძველი კოლხებისა და მათ შემდგომ იმავე ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის იგივეობაზე. ასე მაგ., V ს-ის ანონიმი ავტორის (ფსევდოარიანედ წოდებულის) ცნობით: „დიოსკურიიდან, რომელსაც აგრეთვე სებასტოპოლისი ეწოდება, ვიდრე აფსარის წელამდე (ჭოროხი – ო. ლ.) ცხოვრობდა ის ხალხი, რომელსაც კოლხები ეწოდებათ და მერე შეერქვათ ლაზები“ (Anonym. PPE, § 7: Ἀπὸ οὖν Διοσκουρίδος τῆς [καὶ] Σεβαστουπόλεως ἕως Ἀψάρου ποταμοῦ πρώην ᾤκουν ἔθνος οἱ λεγόμενοι Κόλχοι οἱ μετονομασθέντες Λαζοί).

პროკოპი კესარიელის ცნობით (BG, VIII, 1), ἢ Κόλχους εἶναι, Λαζοὺς ἑτέρους καλέσαντες... Κόλχους δὲ <οὐχ> οἷόν τέ ἐστι μὴ τοὺς Λαζοὺς εἶναι, ἐπεὶ παρὰ Φᾶσιν ποταμὸν ᾤκηνται· τὸ δὲ ὄνομα μόνον οἱ Κόλχοι ὥσπερ ἀνθρώπων ἔθνη καὶ πολλὰ ἕτερα, τανῦν ἐς τὸ Λαζῶν μεταβέβληται.

VI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი კი იუწყება: „ლაზები წარმოადგენენ ძლიერსა და მამაც ტომს და სხვა ძლიერ ტომებსაც მბრძანებლობენ, ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით...“ (Agath., III, 5).

XII ს-შიც ელინისტური ეპოქის მწერლის ლიკოფრონ ქალკიდელის კომენტატორი იოანე ცეცე ასე განმარტავს: „მდინარე ფასისთან მცხოვრები კოლხები, იგივე ლაზები“ (Tzetzes ad Lycophr., Alex., 887: Οἱ δὲ Κόλχοι, οἱ καὶ Λαζοὶ λεγόμενοι). ლაზებად კი შუა საუკუნეებში, როგორც ცნობილია, მოიხსენიებოდნენ დასავლურქართველური ტომი მეგრელები,[2] რომლებიც დღესაც

1 დასახ. რეგიონების ტოპონიმიის შესახებ იხ. ჟღენტი 1940: 223-224; სიხარულიძე 1958-1959; ჩიქობავა 1974; თოფურია 1968; იხ აგრეთვე მიქელაძე 1974: 26 და შმდ.; ქავთარაძე 1985.

2 ახალ დროში (განსაკუთრებით XIX საუკუნეში) სახელწოდება „ლაზები“ დასავლურ-ქართულ ტომზე, ჭანებზე, გადავიდა, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (დღევანდელი ჩრდილო-

ცხოვრობენ დასავლეთ საქართველოში და რომელთა ენა წარმოადგენს საერთო ქართული ფუძე-ენისაგან წარმოქმნილი დასავლურქართველური ენის – მეგრულ-ჭანურის (ლინგვისტების მიერ ზანურად ანუ კოლხურად წოდებული) – (სურ. III) დიალექტს (იხ. Кизирия 1967).

4. სანები (Σάννοι)

ამ სახელის ტომს სტრაბონი მხოლოდ ერთხელ იხსენიებს:

XII, 3, 18: Τῆς δὲ Τραπεζοῦντος ὑπέρκεινται καὶ τῆς Φαρνακίας Τιβαρανοί τε καὶ Χαλδαῖοι καὶ Σάννοι, οὓς πρότερον ἐκάλουν Μάκρωνας, καὶ ἡ μικρὰ Ἀρμενία καὶ οἱ Ἀππαῖται δέ πως πλησιάζουσι τοῖς χωρίοις τούτοις, οἱ πρότερον Κερκῖται. διήκει δὲ διὰ τούτων ὅ τε Σκυδίσης ὄρος τραχύτατον.

„ტრაპეზუნტისა და ფარნაკიის ზემოთ ცხოვრობენ ტიბარანები, ქალდები და სანები, რომელთაც უწინ უწოდებდნენ მაკრონებს. (აქვეა) მცირე არმენია, ამ ადგილების ახლოს ცხოვრობენ აპაიტები, უწინდელი კერკიტები. ამ ადგილებზე გადაჭიმულია სკიდისე...“

აქ მოხსენიებული სკიდისე (Σκυδίσης), როგორც უკვე ვნახეთ, ჩრდილო ანატოლიის მთების ნაწილია, რომელიც დღევანდელი ჰარშიტ ჩაის შესართავთან იწყება და რკალისებურად გასდევს ზღვის სანაპიროს მდ. ჭოროხის შესართავამდე.[1] მაშასადამე, სანების ტომი (ქალდებთან და ტიბარენებთან ერთად) ტრაპეზუნტ-ფარნაკიისა და მათ გარემომცველ მთებს შორის მოსახლეობდა. უფრო ზუსტი მინიშნება ზემოთმოტანილ ციტატაში არაა. მაგრამ „გეოგრაფიის“ XII, 3, 19-დან ჩანს, რომ ფარნაკია (დღევანდელ გირესუნთან) ქალდების ქვეყანაშია, ხოლო სხვა წყაროებიდან (Xenoph., Anab., V, 5, 3) ვიცით, რომ ტიბარენების ქვეყანაშია ბერძნული ქალაქი კოტიორა, დღევანდელ ორდუსთან (დაწვრ. ქვემოთ, ქალდებისა და ტიბარენების შესახებ საუბრისას). ამრიგად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სანები სტრაბონის დროს ძირითადად ტრაპეზუნტის მიდამოებში მოსახლეობენ და უშუალოდ ემეზობლებოდნენ კოლხებს და კოლხიდას.[2] სტრაბონის ცნობაში საინტერესოა, რომ სანები იგივე მაკრონები არიან: „უწინ უწოდებდნენ მაკრონებს“ (XII, 3, 18: Σάννοι, οὓς πρότερον ἐκάλουν Μάκρωνας). მაკრონების ტომი (Μάκρωνες) კი სტრაბონის წინადროინდელ ბერძნულ მწერლობაში საკმაოდ კარგადაა ცნობილი და მას თითქმის ყველა ავტორი იხსენიებს (Hecat., fr. 191 = St. Byz., s.v. Μάκρωνες; Hdt., II, 104; III, 94; VII, 78; Xenoph., Anab., IV, 8, 1-8; V, 5, 8; VIII, 8, 25; Apoll. Rhod., Arg., II, 394,

აღმოსავლეთი თურქეთი) ცხოვრობდა (შდრ. სიხარულიძე 1958-1959).

1 შდრ. ამავე წიგნში, IV თავი.

2 იხ. მაგ., XII, 3, 17: „...ჰერმონასის მახლობლად ტრაპეზუნტი, მერე კოლხეთი“ (εἶτα τῆς Ἑρμωνάσσης πλησίον ἡ Τραπεζούς, εἶθ᾽ ἡ Κολχίς). შდრ. აგრეთვე II, 1, 3; VII, 4, 3; XII, 3, 29 და სხვ. იხ. აგრეთვე ამავე წიგნში II თავი, 1: კოლხეთის საზღვრები.

1242). ამას გარდა ივარაუდება, რომ მაკრონები იგულისხმებიან ფსევდო-სკილაქს კარიანდელთან (აზია, 85) და ფსევდო-ჰიპოკრატესთან („ჰაერთა...“, § 14) მოხსენიებულ მაკროკეფალებში (Μακροκέφαλοι[1] – Hermann 1931). მაკრონები მდინარე თერმოდონტთან (აწინდელი თერმე ჩაი – შდრ. Olshausen-Biller 1984: 172) მცხოვრები სირიელების მეზობლები არიან, ამავე დროს კოლხებთან ახლოსაც ცხოვრობენ (Hdt., II, 104). ქსენოფონტის დროსაც მაკრონები ემეზობლებოდნენ კოლხებს, რომელთა ქვეყანაშია იმ დროს ტრაპეზუნტი (მაგრამ აშკარაა, რომ ქსენოფონტის დროს მაკრონებს ზღვის სანაპირო არ უკავიათ (შდრ. Anab., IV, 8, 1-9 და 22).[2] მაგრამ ფსევდო-სკილაქს კარიანდელის დროს (აზია, § 85) ელინური ქალაქი ტრაპეზუნტი და ნავსადგური ფსორონი (Ψωρῶν λιμήν – დღევანდელი კარა-დერე) უკვე მაკროკეფალების, ე.ი. მაკრონების ქვეყანაშია. ეს სიტუაცია რამდენადმე უახლოვდება სტრაბონისეულს: სანები, „რომელთაც უწინ მაკრონებს უწოდებდნენ“, ტრაპეზუნტსა და მის შემომსაზღვრელ მთიან ზოლს შორის მოსახლენი ჩანან. იმავ დროს ყურადღებას იქცევს, რომ თუ ფსევდო-სკილაქსის „პერიპლუსში“ (აზია, 82-84) მაკროკეფალებსა (მაკრონებს) და კოლხებს შორის დასახელებული არიან კიდევ ბიძერები (Βύζηρες), ეკექეირები (Ἐκεχειριές) და ბექეირების მხარე (Βεχειρική).[3] სტრაბონის დროს სანები (= მაკრონები) და კოლხები უშუალო მეზობლები არიან. ეს, თითქოს, იმის მოწმობაა, რომ იმ ტერიტორიაზე ძვ.წ. I საუკუნისათვის (ან, იქნებ, რამდენადმე ადრე) დაწინაურდა სანების ტომი, რომელმაც შთანთქა და თავისი სახელწოდების ქვეშ გააერთიანა ადრე ამ ტერიტორიაზე მოსახლე სხვა ტომები (მათ შორის, შესაძლოა, ქსენოფონტის მიერ ტრაპეზუნტის მიდამოებში

1 შდრ. მაგ., Anonym. PPE, § 37: მაკრონები ანუ მაკროკეფალები (Μάκρωνες ἤτοι Μακροκέφαλοι). არსებობს ასეთი განმარტებაც: სხვები ამბობენ: „მაკრონებად იწოდებიან იმის გამო, რომ მათში ბევრზე ბევრია გრძელთავიანები (μακροκέφαλοι) – იხ. Sch. ad Apoll. Rhod. Arg. I, 1024. აქვე აღნიშნულია (დიონისიოს ქალკიდელის დამოწმებით), რომ მაკრონებს ეს სახელი ეწოდათ იმის გამო, რომ ისინი გადმოსახლებული არიან ევბეადან, რომელსაც ერქვა მაკროსი. მაკრონების სატომო სახელის შესახებ ლინგვისტების მიერ გამოთქმულია ასეთი მოსაზრება (რომლის მიმართ ჩემი დამოკიდებულების გამოთქმა მიმძიმს, მაგრამ მისი მოტანა მაინც საჭიროდ ჩავთვალე): „მაკრონ“-ი არის ქართული ტერმინის „მეგრელი“ კანონზომიერი ექვივალენტი და ნაწარმოებია ჭანური ენისათვის დამახასიათებელი ზედსართავი სახელის დაბოლოებით „-ონ“. ფუძე-სიტყვა მაკრ, რომელშიც გამოიყოფა დასავლურქართველური ტომის ადგილობრივი სახელი: არგ/აგრ/აკრ/ეგრ (მ-არგ-ალი, მ-ეგრი, მ-ეგრ-ელი) – იხ. ჩიქობავა 1936: 4. შდრ. Меликишвили 1959: 79; ურუშაძე 1964: 137).

2 „ანაბასის“ მიხედვით თვლიან, რომ მაკრონები იმ დროს ტრაპეზუნტსა და ზიგანადაღს შორის მოსახლეობდნენ (მიქელაძე 1967: 43 და შმდ.). „ანაბასის“-ში (IV, 8, 3-6) არის ძალზე საინტერესო ცნობა: მაკრონების ქვეყანაში მოსვლისას „... ქსენოფონტს მიუახლოვდა ერთ-ერთი პელტასტთაგანი, რომელიც ერთ დროს, როგორც თვითონ თქვა, ათენში მონად იყო ნამყოფი, და უთხრა, რომ ამ ხალხის ენა მას ესმის. „მე ვფიქრობ, დასძინა მან, რომ ეს ჩემი სამშობლოა და თუ საწინააღმდეგო არა არის რა, მე მსურს მათ დაველაპარაკო...“ და ა.შ. ზემოთმოტანილ ცნობასთან კონტექსტში (ე.ი. საბერძნეთში მაკრონთა ტომთაგან მონის თუ მონების არსებობასთან დაკავშირებით) დავძენ, რომ ბერძნულ სამყაროში სახელი მაკრონ (Μάκρων) საკუთარ სახელადაც იქცა. გავიხსენოთ, მაგ., V ს-ის პირველი მეოთხედის ცნობილი ვაზათმომხატველი, სახელად Μάκρων (Beazley 1956: 1654 და შმდ.). დელფოს ელინისტური ხანის წარწერებში იხსენიებიან: Μάκρωνι Δαιμέους და Μάκρωνι Ἀματόκου Περγαμηνῶν (Delphes 1954: 206-207).

3 შდრ. Apoll. Rhod., Arg., II, 394-397 და 1242-1245. აქ მაკრონებსა და კოლხებს შორის არიან ბექეირები (Βέχειρες), საპირები (Σάπειρες) და ბიძერები (Βύζηρες).

მოხსენიებული კოლხებიც: შდრ. Anab., IV, 22-23; V, 3, 2). ეს პროცესი არიანეს ახ.წ. 134 წელს შედგენილ „პერიპლუსშიცაა“ ასახული: „ტომს, რომელიც უგულადესია და ტრაპეზუნტელების მოსისხლე მტერი, ქსენოფონტი დრილებს[1] უწოდებს. მე კი ვფიქრობ, რომ ისინი სანები არიან“ (PPE, § 11: καὶ οὓς λέγει τοὺς μαχιμωτάτους καὶ ἐχθροτάτους εἶναι τοῖς Τραπεζουντίοις, ἐκεῖνος μὲν Δρίλας ὀνομάζει, ἐμοὶ δὲ δοκοῦσιν οἱ Σάννοι οὗτοι εἶναι).

ამავე თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე პლინიუსთან (NH, VI, 12) მოხსენიებული: gens Sanorum Heniochorum, თუმც სულ ნათელი არაა ჰენიოხები არიან სანების ტომი, თუ, პირიქით, სანები არიან ჰენიოხების ტომი. აქვე გასარკვევია, რატომ არიან მოხსენიებული ჰენიოხები სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, მაშინ როდესაც მათ სტრაბონი ჩრდილოეთით ასახელებს (დაწვრ. ქვემოთ). პლინიუსთან (NH, VI, 14) არის აგრეთვე „სხვა სანები“ (gens ... alia Sanni).

ამრიგად, ჩვენს წინაშეა რამდენიმე მითითება სანების მიერ სხვა ტომის თავისი სახელის ქვეშ გაერთიანებისა.[2] არიანეს თხზულებიდან (PPE, § 7 და 11) ჩანს, რომ სანები[3] მის დროს ძირითადად ტრაპეზუნტს და მდ. ოფისს (დღევანდელი ისტალა დერე – Olshausen-Biller 1984: 153) შორის მოსახლეობდნენ როგორც ზღვისპირა ზოლში, ასევე მიმდებარე მთიან ოლქებშიც. როგორც ჩანს, ასეთივე იყო მათი განსახლების არეალი სტრაბონის დროსაც. არიანესთან თითქოს ჩემონახულია სანების ქვეყნის სახელი საკმაოდ საინტერესო ფორმით: „მდ. ოფისი, რომელიც დაშორებულია ჰისოს ნავსადგურს ას ოთხმოცდაათი სტადიონით და ჰყოფს კოლხების ქვეყანას თიანიკისაგან“ (PPE, § 7: τὸν Ὄφιν, ὃς ἀπέχει Ὑσσοῦ λιμένος ἐς ἐνενήκοντα σταδίους μάλιστα καὶ ὁρίζει τὴν Κόλχων χώραν ἀπὸ τῆς Θιαννικῆς).

მდ. ოფისი (დღევანდელი ისტალა დერე), როგორც ზემოთ ვნახეთ, სანებისა და კოლხების გამყოფი მოსაზღვრე მდინარეა. მაშასადამე, სანების ქვეყნის სახელწოდება არიანესთან არის თიანიკე (Θιαννική), ხოლო სქოლიოების მიხედვით ვარიანტები Τιαννική და Τυαννική.

---

1 შდრ. Xenoph., Anab., V, 2, 2. აქ წარმოდგენილი მითითების საფუძველზე დრილების საკხოვრისი დღევანდელი ტრაპეზუნტის მახლობლად (6-8 საათის სავალზე) მაღალმთიანეთშია (დაწვრ. Максимова 1951a: 250 და შმდ.; Максимова 1956: 125 და შმდ.; მიქელაძე 1967: 136).

2 არიანესთან (განსხვავებით სტრაბონისაგან) სანების გვერდით მაკრონებიც იხსენიებიან „სანები... ამათ გვერდით არიან მაკრონები“ (PPE, §11: Σάννοι... τουτών δὲ ἔχονται Μάκρωνες).

3 სანებს იხსენიებენ უფრო გვიანდელი წყაროებიც, ამასთან სახელწოდების სხვა ვარიანტებითაც. აქ ამჯერად აღვნიშნავ მხოლოდ იპოლიტე პორტელს (III ს-ის პირველი ნახევარი) და ევსებიოსს (IV ს-ის პირველი ნახევარი): Hippolit., Lib. Generation, § 35: Sanni qui appelantur Sannices (ვარიანტი Sannigii). Euseb., P. 190 (fol.3b): Sanni autem qui dicuntur Sannigii. სანიგების სახელით სანების მოხსენიება რამდენადმე მოულოდნელია, რადგან სხვა წყაროებით (შდრ. მაგ., Plin., NH, VI, 14; Arr., PPE., § 18; Memn., Heracl., XVI, 37, 7; Steph. Byz., s.v. Σαννίγαι) სანიგები ჩრდილო შავიზღვისპირეთში მოსახლეობენ (თუ არ ვცდებით მემნონის ცნობას, რომელიც სულ ნათელი არაა). ჩემი აზრით, საფიქრებელია, რომ ევსებიოსმა, რომელიც ამ შემთხვევაში იმეორებს იპოლიტე პორტელს, ამ უკანასკნელის Σάννικες გაიაზრა, როგორც ცნობილი სატომო სახელი სანიგი.

შემთხვევითია ასეთი სახელის გამოჩენა სანების ქვეყნის აღსანიშნავად და მისი ვარიანტული ფორმები? რა თქმა უნდა, შეიძლებოდა Θιαννική გადამწერის შეცდომად მიგვეჩნია და თავდაპირველ დედანში Σαννική გვევარაუდა.[1] მაგრამ როგორღა აგვეხსნა ვარიანტული ფორმები (Τιαννική, Τυαννική)? აქ საგულისხმოა VI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის ცნობა, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში არის აქ „ძველთაგანვე დამკვიდრებული“ (... ἐξ ἀρχῆς ᾤκηντο) ჭანების ტომი (Τζανικὸν ἔθνος), „წინა ხანებში სანებად წოდებულნი“ (Σάνοι ἐν τοῖς ἄνω χρόνοις καλούμενοι – BP, I, 15, 21). ხოლო BG, VIII, 1-ში აღნიშნულია: „ტრაპეზუნტელთა მოსაზღვრენი არიან... სანები, რომელთაც ახლა ჭანები ეწოდებათ“ (...ὧν γέ τινες Τραπεζουντίων ὁμόρους ἢ Σάνους ἔφασαν, οἱ τανύν, Τζάνοι ἐπικαλοῦνται). მათ ქვეყანას პროკოპი კესარიელი უწოდებს Τζανική (De Aed., III, 6), იხსენებს აგრეთვე Τζανικῆς ὄρη და Τζανικῶν ὄρη (BG, VIII, 2) და ა.შ.

ამრიგად, Σαννοί-ს პარალელურად გაჩნდა Τζαννοί. ეს ჯერ კიდევ XII ს-ის ცნობილმა თესალონიკელმა ეპიკოსკოპოსმა ევსტათემ შენიშნა და დიონისიოს პერიეგეტის თხზულების („დედამიწის აღწერილობა“) კომენტარებში (ad 765) ზემოაღნიშნულ ფაქტს შემდეგი ახსნა მოუძებნა: „მაკრონები. პონტოელი ხალხი, ბექირების სამხრეთით. მათ ახლა ჩვენ ვუწოდებთ სანნებს (Σαννοί), ხოლო ძალზე უხეშად (ἰδιωτεύοντες) კი Τζανοί. სანნების ქვეყანასაც უწოდებენ Τζανική-ს, იყენებენ რა სახელწოდების უაზრო გამოთქმას“ (ἡ χώρα δε τῶν Σαννῶν Τζανικὴ λέγουσιν οἱ τὴν φράσιν ἰδιωτεύοντες).

ასეთია XII ს-ის კომენტატორის განმარტება. სინამდვილეში კი უფრო სავარაუდებელია, რომ სახელწოდებაში Σαννοί (სტრაბონი, არიანე) და Τζανοί (პროკოპი კესარიელი) თავკიდური ბგერები Σ და Τζ გადმოგვცემენ ადგილობრივი სატომო სახელის სხვა თავკიდურ, ბერძნულისათვის უცხო ბგერას. ეს უნდა ყოფილიყო, როგორც ფიქრობენ, სატომო სახელი ჭანი (ყაუხჩიშვილი ს. 1965: 129, შენ. 1). იგი აღნიშნავს ერთ-ერთ დასავლურქართველურ ტომს, რომელიც ადრეული შუა საუკუნეებიდანაა დოკუმენტურად დამოწმებული სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში და რომელსაც ჩვენ ქვემოთ კიდევ ერთხელ შევხვდებით (ქალდების ეთნიკური კუთვნილების საკითხთან დაკავშირებით).

ამრიგად, თითქოს, ცხადი ხდება სტრაბონთან მოხსენიებული სანების ეთნიკური კუთვნილება: ისინი არიან დასავლურქართველური ტომი – ჭანები. მათი ენის მატარებელი ტომები წარმოიშვნენ, როგორც ზემოთ აღვნიშნე: ქართ-კოლხური ერთობის დაშლის შედეგად, რის შემდგომ კოლხური ეთნოსის ერთი შტო დღევანდელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე კომპლექსურ ერთობად დამკვიდრდა, ხოლო მეორე (სურ. III: D_2) გავრცელდა შავი ზღვის სამხრეთ-აღმო-

1 ივ. ჯავახიშვილი (1950: 12, სქოლიოში) ვარაუდობდა, რომ დედანში შეიძლება თავდაპირველად იყო Θσαννική.

სავლეთ სანაპიროზე ცალკეული ტომების სახით. მათი მემკვიდრეები არიან ბიზანტიურ ხანაში ჭანები (Σαννοί, Τζαννοί)[1], რომელნიც დღესაჯ ცხოვრობენ დღევანდელი თურქეთის ჩრდილოეთ ნაწილში (ძირითადად ბაიბურთისა და ისპირის ოლქებში) და ლაზებად იწოდებიან (მათი ენის შესახებ იხ. Марр 1910; ჩიქობავა 1938; Кизирия 1967).

5. ხალდები, ხალიბები (Χαλδαῖοι, Χάλυβες)

XII, 3, 19: οἱ δὲ νῦν Χαλδαῖοι Χάλυβες τὸ παλαιὸν ὠνομάζοντο

„...ეხლანდელი ხალდები ძველად ხალიბებად იწოდებოდნენ".

ხალდების ტომს სტრაბონი 6-ჯერ იხსენიებს „გეოგრაფიის" XII წიგნში (XII, 3, 18-20; 23, 28-29). მათი განსახლების ადგილის შესახებ აღნიშნავს, რომ ხალდები (ასევე ტიბარენები და სანები) ცხოვრობენ „ტრაპეზუნტსა და ფარნაკიის ზემოთ" (XII, 3, 18: Τῆς δὲ Τραπεζοῦντος ὑπέρκεινται καὶ τῆς Φαρνακίας Τιβαρηνοί τε καὶ Χαλδαῖοι καὶ Σάννοι. XII, 3, 29: Τιβαρηνοῦς καὶ Χαλδαίους μέχρι Κολχίδος καὶ Φαρνακίας καὶ Τραπεζοῦντος). ამრიგად, ხალდების ადგილსაცხოვრისი სანებსა და ტიბარენებს შორის თავსდება. XII, 3, 19-ში თითქოს დაზუსტებულია, რომ მათ ქვეყანაში მდებარეობს ფარნაკია (Οἱ δε' νῦν Χαλδαῖοι Χάλυβες τὸ παλαιὸν ὠνομάζοντο, καθ' οὓς μάλιστα ἡ Φαρνακία ἵδρυται). ქალაქი ფარნაკია კი, როგორც ცნობილია, დღევანდელი გირესუნის ადგილზე მდებარეობდა (Weimert 1984: 100; Olshausen-Biller 1984: 156 და იქვე ლიტ.). შესაბამისად ხალდების ტერიტორია ტრაპეზუსიასა და ტიბარენიას შორის უნდა ვივარაუდოთ. ტრაპეზუსიის (ე.ი. ქალაქ ტრაპეზუნტის კუთვნილი ტერიტორიის) დასავლეთი საზღვარი ფარნაკიასთან დღევანდელ მდ. ჰარშიტ დერეს ზემო წელზე (Weimert 1984: 85 ან კაპ კალე (გიორელე) ბურუნთან (Janssens 1966; Janssens 1969; Olshausen-Biller 1984: 173), ხოლო ტიბარენიის აღმოსავლეთ საზღვარი დღევანდელ მდ. მელეტ-ირმაკს ან ძველი მელანტიოსის გაყოლებით ივარაუდება (იხ. ქვემოთ: „ტიბარენები"). აქ რომ, ხალდებით დასახლებული ტერიტორია ზღვის სანაპიროზე ზემოთ დასახლებულ ორ მდინარეს შორის და ზღვის სანაპიროსა და მთებს შორის უნდა ყოფილყო მოქცეული (ამრიგად, ნაწილობრივ ის ფარნაკიას, როგორც ოლქსაც, მოიცავდა).[2]

1 საინტერესოა, რომ ახ.წ. III ს-ის პირველი ნახევრის ეპისკოპოსის იპოლიტე პორტეიის ბერძნულად შედგენილი თხზულების ლათინურ ენაზე შემონახულ თარგმანში აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (ტრაპეზუნტამდე!) „საკუთარი ენის მქონე ხალხებს" შორის (gentes aitem, que linguas suas habent) დასახელებული არიან მხოლოდ კოლხები (Colchi) და სანები (Sanni) („Liber Generationis", § 25, შდრ. § 36).

2 ფარნაკია როგორც ზღვისპირა ოლქი, მოქცეული იყო, როგორც ფიქრობენ, დღევანდელ მდ. მელეტ ირმაკს ან იასონ ბურუნსა და გიორელე დერეს შორის (Wilson 1960: 199,250; Olshausen-Biller 1984: 156; შდრ. Weimert 1984: 94 შმდ.).

სტრაბონის ცნობა ფარნაკეელთა საქმიანობის შესახებ, როგორც ჩანს, ხალდებზეც ვრცელდება; განსაკუთრებით ის, რომ „ის მიწიდან იღებს ლითონებს, ეხლა რკინას, ხოლო უწინ ვერცხლსაც. საერთოდ ამ ადგილებში სანაპირო მეტის-მეტად ვიწროა, რადგან იქვე ზემოთ აღმართულია ლითონებით სავსე და ტყიანი მთები; მუშავდება კი ცოტა ადგილები. მომთაბარეები თავს ირჩენენ ლითონის მოპოვებით“ და ა.შ. (XII, 3, 19: ἐκ δὲ τῆς γῆς τὰ μέταλλα, νῦν μὲν σιδήρου, πρότερον δὲ καὶ ἀργύρου. ὅλως δὲ κατὰ τοὺς τόπους τούτους ἡ παραλία στενὴ τελέως ἐστίν, ὑπέρκειται γὰρ εὐθὺς τὰ ὄρη μετάλλων πλήρη καὶ δρυμῶν, γεωργεῖται δ᾽ οὐ πολλά· Λείπεται δὲ τοῖς μὲν μεταλλεουταῖς ἐκ τῶν μετάλλων ὁ βίος).[1]

ლითონის დამმუშავებელთა შორის რომ სწორედ ხალდები იგულისხმებიან, ჩანს ზემოთმოტანილი ციტატის დასაწყისიდან (XII, 3, 19): სტრაბონი ხალდებს აიგივებს ხალიბებთან, რომელნიც ადრე ვერცხლს ამუშავებდნენ და მერე რკინას (შდრ. XII, 3, 23).

სტრაბონის ცნობებში განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ „ეხლანდელი ქალდები ძველად ხალიბებად იწოდებოდნენ“ (XII, 3, 19: Οἱ δε᾽ νῦν Χαλδαῖοι Χάλυβες τὸ παλαιὸν ὠνομάζοντο) (შდრ. XII, 3, 20: οὐ γὰρ νῦν μὲν δυνατὸν γέγονεν ἐκ Χαλύβων Χαλδαίους λεχθῆναι და ა.შ.).

ამრიგად, სტრაბონის მტკიცებით, ხალდები არიან იგივე ხალიბები, ე.ი. ის ტომი, რომელიც ბერძნულ სამყაროში აღიარებული იყო, როგორც ფოლადის შემომქმედი და სახელგანთქმული იყო განსაკუთრებული სიმტკიცის რკინის წარმოებით.[2] როგორც ჯერ კიდევ ძველი კომენტატორები ამტკიცებდნენ, სწორედ მათ ქვეყანას უწოდა ესქილემ თავის „მიჯაჭვულ პრომეთეში“ (ტ. 293-302) σιδηρομήτωρ, ე.ი. „რკინის დედის ქვეყანა“.[3]

ძველ ბერძნულ სამყაროში აღიარებულ აზრს გადმოსცემს ადრეელინისტური ხანის ბერძენი პოეტის ლიკოფრონის პოემის „ალექსანდრას“ ერთ-ერთი ძველი კომენტატორი: „პირველად ხალიბებმა აღმოაჩინეს რკინა“ (Sch. vetera ad Lycophr. Alexand., 1109: πρῶτον γὰρ Χάλυβες εὗρον τὸν σίδηρον), ხოლო ზოგიერთი თანამედროვე მეცნიერი ამტკიცებს, რომ ხალიბთა სახელი ძველ ბერძნულ ენაში ფოლადის აღმნიშვნელ სიტყვადაც კი დამკვიდრდა: χάλυψ (Максимова 1956: 143; შდრ. მიქელაძე 1974: 115 და შმდ.).[4]

---

1 ეს ცნობა საინტერესოა აგრეთვე ბერძნული კოლონიისა და ადგილობრივი მოსახლეობის ურთიერთობის თვალსაზრისითაც. ფიქრობენ, რომ სტრაბონის ცნობა, შესაძლოა, ასახავს არა ურთიერთობას საქონელგაცვლის პროცესზე ბერძენ ვაჭრებსა და ადგილობრივ უშუალო მწარმოებელთა შორის, არამედ გარკვეულ სახელმწიფოებრივ ბეგარას, რომელსაც იღებდა ბერძნული ქალაქის მიერ დამორჩილებული ადგილობრივი მოსახლეობა და, შესაძლოა, ამ ქალაქის რიგითი მოსახლეობაც (Максимова 1956: 195-196).

2 არისტოტელე, საოცარ ამბავთა ..., 833b (48). ამ ცნობის კომენტარი იხ. IV თავი.

3 ესქილეს ტექსტის ყველა კომენტატორი თვლის, რომ აქ ესქილე ხალიბთა ქვეყანას გულისხმობდა (sch. ad Aesch. 298 (314), 301 (317) – იხ. ურუშაძე 1964: 227-228.

4 უკანასკნელ ხანებში გამოითქვა მოსაზრება, რომ ლითონის აღმნიშვნელი სიტყვები ბერძნულში (χαλκός, χάλυψ) თითქოს მიღებულია ხეთური ჰაპალკი-დან, თუმც იმავე დროს არ გამორიცხავენ

„ანტიკური ხანის ნიბელუნგებად“ წოდებული ტომის, ხალიბების, განსახლების არეალისა და ეთნიკური კუთვნილების პრობლემა, რომელიც ჩვენს წინაშე სტრაბონის ცნობათა შუქზე დადგა, უაღრესად რთულია და სადისკუსიო.

იმის გამო, რომ, თითქოსდა, ბერძნულ-რომაულ მწერლობაში არ არსებობდა რამდენადმე ერთიანი აზრი ხალიბთა განსახლების ტერიტორიის შესახებ, მეცნიერების ერთ ნაწილში მტკიცედ დამკვიდრდა იდეა, რომ ხალიბები კონკრეტული ტომი კი არაა, არამედ ამ სახელდებით მოიხსენიებიან ის ტომები, რომელნიც რკინის დამუშავებით იყვნენ დასაქმებული; ხოლო ფოლადის აღმნიშვნელი სიტყვა ძველ ბერძნულ ენაში ხალიბთა სატომო სახელისაგან კი არ მომდინარეობს, არამედ პირიქით: ფოლადის აღმნიშვნელი ბერძნული ტერმინით მოიხსენიებიან ის ტომები, რომელნიც რკინის დამუშავებას ეწეოდნენ. ეს მოსაზრება, რამდენადაც ვიცი, პირველად კ. მიულერმა (Müller 1855: 88) გამოთქვა და მას მრავალი მხარდამჭერიც გამოუჩნდა (იხ. მაგ., Ruge 1899; Шмидт 1931: 30; Меликишвили 1959: 71; 1962: 57).

ზემოთქმულის გამო, სტრაბონის ცნობათა (XII, 3, 19-23) რეალურობის საკითხთან დაკავშირებით ახლა გვმართებს დაწვრილებით განვიხილოთ ძველ ბერძნულ მწერლობაში შემონახული ცნობები ხალიბთა ადგილსაცხოვრისის შესახებ. ამ თვალსაზრისით უძველესი ცნობა ჰეკატე მილეტელს ეკუთვნის და ის სტეფანე ბიზანტიელთანაა შემონახული:

„ხალიბები ჰეკატესთან: ხალიბებს სამხრეთით ესაზღვრებიან არმენები“ (fr. 195 = Steph. Byz., s.v. Χάλυβες: Χάλυβες παρ᾽ Ἑκαταιῳ· >>Χαλύβοισι πρὸς νότον Ἀρμένιοι ὁμουρεύουσι<<);[1]

„სტამენე, ხალიბების ქალაქი“ (fr. 196 = Steph. Byz: Σταμένη: Σταμένη, πόλις Χαλύβων).

ამრიგად, თუ სტეფანე ბიზანტიელი ზუსტად აციტირებს ჰეკატეს და ზემოთმოტანილი მისი რედაქცია არაა, გამოდის, რომ ჰეკატეს მიხედვით, ერთი მხრივ, ხალიბები არმენიელთა მოსაზღვრენი არიან, მეორე მხრივ, ისინი ცხოვრობენ ზღვისპირეთში იქ, სადაც იყო ქალაქი სტამენე. ეს ქალაქი კი, რომელსაც სხვა ავტორებიც ახსენებენ, ლოკალიზდება დღევანდელ თურქეთში სოფელ ჩაკა ისკელეზის ადგილას (დაწვრ. Ruge 1929: 2140; Wilson 1960: 291), ე.ი. შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, იმ ტერიტორიაზე, სადაც სტრაბონის „გეოგრაფიაში“ იხსენიება კონცხი იასონისა და გენეტე (XII, 3, 17: ἄκρα Ἰασόνιον καὶ ὁ Γενήτης).[2]

ფოლადის აღმნიშვნელი ბერძნული სიტყვის, χάλυψ, (genet. χάλυβος), კავშირს სატომო სახელთან Χαλύβες (Иванов 1976: 28, შენ. 76).

1 Χαλύβοισι არის დატივუსი. ნომინატივში იქნება Χάλυβοι, მაგრამ სხვა ავტორები, როგორც წესი, იხსენიებენ ფორმით Χάλυβες. შდრ. Eust. ad Dion. Perieg. 767.

2 იასონის კონცხი დღევანდელი იასონ ბურუნია, ხოლო გენეტე მის მახლობლად დღევანდელ მდინარე ქაჩალი დერეს შესართავთან ივარაუდება (Olshausen-Biller 1984: 132, 136).

ამრიგად, პირველად ჰეკატე მილეტელთან (ვიმეორებ, თუ ეს სტეფანე ბიზანტიელის მტკიცება არაა) ვხვდებით ჩვენ ხალიბთა ტომის განსახლებას, ერთი მხრივ, ზღვისპირა ზოლში სრულიად გარკვეულ ტერიტორიაზე, ხოლო მეორე მხრივ, – არმენიის მეზობლად. როგორც ქვემოთ დავინახავთ, შეხედულება ხალიბთა ორი ჯგუფის (ზღვისპირა და მთიელების) შესახებ, როგორც წესი, მტკიცედაა დამკვიდრებული ძველ ბერძნულ მწერლობაში. მაგრამ აქვე უნდა შევეხო უაღრესად რთულ საკითხს: სადამდე ვრცელდებოდა ზღვისპირეთში მოსახლე ხალიბების მიწა-წყალი დასავლეთით? აქ ვაწყდებით წინააღმდეგობას ჰეროდოტეს ერთი ცნობის (I, 28) ინტერპრეტაციაში. ჰეროდოტე ხალიბებს მხოლოდ ერთხელ (I, 28) იხსენიებს[1] ლიდიის მეფე კროისოსის მიერ დამორჩილებულ იმ ხალხებს შორის, რომელნიც მდინარე ჰალისის შიგნით ცხოვრობენ (πάντων τῶν ἐντὸς Ἅλυος ποταμοῦ οἰκημένον), ხოლო რამდენადაც ამ ხალხთა სიაში ხალიბები მოხსენიებული არიან მარიანდინებსა და პაფლაგონიელებს შორის, ასკვნიან, რომ ხალიბთა მიწა-წყალი ვრცელდებოდა მდინარე ჰალისის დასავლეთითაც (სანიკიძე 1956: 74-75; გოზალიშვილი 1962: 42 და შმდ.), ან კიდევ ორდუდან ჰალისის შესართავამდე (მიქელაძე 1974: 118 და შმდ.; 1988: 185). ჰეროდოტეს ცნობა ამგვარი დასკვნის საფუძველს არ უნდა იძლეოდეს (დაწვრ. Ломоури 1979: 119 და შმდ.). თავი რომ დავანებოთ თვით ძალზე საეჭვო ცნობას, რომ თითქოს კროისოსის ძალაუფლება ვრცელდება ხალხებზე, რომელნიც მდ. თერმოდონტის აღმოსავლეთით მოსახლეობდნენ, თვით ჰეროდოტეს სხვა ცნობიდან ნათლად ჩანს, რომ მდინარე ჰალისი სასაზღვრო მდინარე იყო: მის მარცხენა ნაპირზე იყვნენ პაფლაგონიელები, ხოლო მარჯვენაზე – სირიის კაპადოკიელები (შდრ. I, 72: „ჰალისი მომდინარეობს ზემოთ ჩრდილოეთისაკენ და იქ საზღვრავს სირიის კაპადოკიელებს, ხოლო მარჯვნივ პაფლაგონიელებს“: καὶ ῥέων ἄνω πρὸς βορέην ἄνεμον ἔνθεν μὲν Συρίους Καππαδόκας ἀπέργει, ἐξ εὐωνύμου δὲ Παφλαγόνας).

ამრიგად, ჰეროდოტეს ამ (და აგრეთვე I, 72 მთლიანად) ცნობის საფუძველზე ხალიბები ჰალისის არც ერთ ნაპირზე არ იგულისხმებიან. თუ ჰეროდოტეს ცნობას შევუდარებთ ფსევდო-სკილაქსის მიერ ფიქსირებულ სურათს, დავინახავთ შემდეგ თანამიმდევრობას: ჰეროდოტე (I, 28) – ლიდიელები (Λυδοί), ფრიგიელები (Φρύγες), მიზიელები (Μυσοί), მარიანდინები (Μαριανδινοί), ხალიბები (Χάλυβες), პაფლაგონიელები (Παφλαγόνες), თრაკიელები (Θρῆικες), თვინები (Θυνοί) და ბითინიელები (Βιθυνοί); ფსევდო-სკილაქსი – ლიდია (§ 98, Λυδίη), ლესბოსი (§ 97, Λέσβος), ეოლიდა (§ 96, Αἰολίδες), ტროადა (§ 95, Τρωίας), ფრიგია (§ 94, Φρυγία), მიზია (§ 93, Μυσία ἔθνος), ბითინიელები (§ 92, Βιθυνοί), მარიანდინები (§ 91, Μαριανδυνοί), პაფლაგონია (§ 90, Παφλαγονία), ასირია (§ 89, Ἀσυρία), ხალიბები (§ 87, Χάλυβες) და ა.შ.

1 1, 28 ივარაუდება, რომ „ხალიბები“ უნდა იხსენიებოდეს აგრეთვე VII, 76-ში, რომლის დასაწყისი დაზიანებულია (ყაუხჩიშვილი 1960: 33-34).

ჰეროდოტე ლიდიელების შემდეგ პირდაპირ ფრიგიელებს ასახელებს (მაშინ როდესაც ფსევდო-სკილაქსთან მათ შორის ჩამოთვლილი არიან: ლესბოსი, ეოლიდა, ტროადა); მიზიელების შემდეგ ფსევდო-სკილაქსი ასახელებს ბითინიელებს, ჰეროდოტე კი მათ მოიხსენიებს თრაკიელებისა[1] და თვინების შემდეგ და ა.შ. ჰეროდოტესთან მარიანდინებს მოსდევენ ხალიბები და შემდეგ პაფლაგონიელები, მაშინ როდესაც ფსევდო-სკილაქსის მიხედვით მარიანდინების შემდეგაა პაფლაგონია, ასირია და მხოლოდ შემდეგ ხალიბები. ვფიქრობ, დიდი მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ ფსევდო-სკილაქსთან ფიქსირებული შავი ზღვის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს ეთნიკური რუკა უფრო სრულია და ახლოსაა სინამდვილესთან, ვიდრე ჰეროდოტესი. ფსევდო-სკილაქსთან ხალიბები, როგორც ვნახეთ, ტიბარენებსა და ასირიას შორის არიან დასახელებული.

ამრიგად, იქმნება სრული შთაბეჭდილება, რომ ჰეროდოტესთან ზღვისპირა ზოლში მდებარე ჰალისთან მიმართებაში დასახელებული ტომების ჩამოთვლა არ შეესაბამება იმ რეალურ სურათს, რომელიც მეტ-ნაკლები სიზუსტითაა ფიქსირებული ფსევდო-სკილაქს კარიანდელის „პერიპლუსში“.[2]

ამრიგად, ჰეროდოტეს ზემოთ განხილულ ცნობაზე (I, 28), რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი გვიანდელ ინტერპოლაციადაც კი მიიჩნევს (Stein 1883: 33; Ломоури 1979: 119), დაფუძნებული მტკიცება, რომ ხალიბები ზღვისპირა ზოლში თითქოს ორდუდან ჰალისამდე და კიდევ მის დასავლეთითაც ვრცელდებოდნენ, ძალზე საეჭვოდ გამოიყურება. იგი არ დასტურდება არც სხვა ცნობებით: ჰეროდოტეს შემდგომი ხანის თითქმის ყველა ავტორი რკინის დამუშავებით სახელგანთქმულ ხალიბებს ზღვისპირა ზოლში მდ. თერმოდონტის (აწინდელი თერმეჩაის) აღმოსავლეთით ათავსებს. ამ თვალსაზრისით პირველ რიგში ყურადსაღებია ქსენოფონტის ცნობები, რომელმაც, როგორც ცნობილია, პირველად მოიარა

1 თრაკიელების ტომს ამ სახელით ფსევდო-სკილაქსი არ მოიხსენიებს, მაგრამ განმარტავს, რომ ბითინიელები (Βιθυνοί) თრაკიელები (Θρᾷκες Βιθυνοί ἔθνος) არიან (92), ხოლო სახელწოდებას „თრაკიას“ ხმარობს ბითინიელთა სინონიმად (შდრ. § 93). ჰეროდოტე კი ახსენებს თრაკიელებსაც და ბითინიელებსაც (I, 28).

2 ისინი, ვინც ხალიბთა გავრცელებას ჰალისამდე ვარაუდობენ, იმოწმებენ პომპონიუს მელასაც, რომელიც თუმც აღნიშნავს, რომ ხალიბები უშუალოდ ემიჯნებიან ტიბარენებს (Chorogr., I, 19, 106: Tibareni Chalybes adtingunt...), იმავე დროს აცხადებს: „ხალიბებს აქვთ უმშვენიერესი ქალაქები ამისოსი და სინოპე..., მდინარეთაგან ჰალისი და თერმოდონტი“ (I, 19, 105: Chalybes proximi clarissimas habent Amison et Sinopen, Cynici Diogenis patriam, amnium Halyn et Thermodonta). ჯერ კიდევ მ. მაქსიმოვამ შენიშნა: „რომაელი გეოგრაფოსის (იგულისხმება პომპონიუს მელა – ო. ლ.) ეს ცნობა (I, 106 – ო. ლ.) აშკარად ეწინააღმდეგება ფაქტებს. არ არსებობს არავითარი ეჭვი იმაში, რომ სინოპე იყო პაფლაგონიაში, ხოლო ამისი კაპადოკიაში. ძნელი სათქმელია საიდან აიღო მელამ ეს აშკარად მცდარი ცნობები. შესაძლებელია, რომ იგი შეცდომაში შეიყვანა იმ გარემოებამ, რომ სახელგანთქმული ხალიბური რკინის ექსპორტი სინოპედან და ამისოსიდან ხორციელდებოდა“ (Максимова 1956: 28). ჰალისამდე თითქოსდა ხალიბების გავრცელების მოწმობად ვერ გამოდგება ვერც ლიკოფრონის ძველი სქოლიასტის კომენტარი (რომელსაც ასევე იმოწმებენ (გოზალიშვილი 1962: 42 და შმდ., მიქელაძე 1974: 119): „...სხვაგვარად (ალექსანდრა) პაფლაგონიური ცულით მოისპობა, რადგან პირველად ხალიბებმა აღმოაჩინეს რკინა“ (Sch. vetera ad Lycoph. Alexand. ad 1190: ἄλλως τῷ Παφλαγονικῷ πελέκει συντετρομμένη πρῶτον γὰρ Χάλυβες εὗρον τὸν σίδηρον). არ მგონია, რომ პაფლაგონიური ცულის მოხსენიება ხალიბებთან კონტექსტში ხალიბთა ტომის პაფლაგონიაში განსახლების სერიოზულ მოწმობად გამოდგეს.

თავისი ლაშქრით სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი და ისიც ორჯერ შეხვდა ხალიბების ტომს – ერთხელ არმენიის მოსაზღვრედ,[1] მდ. ჰარპასოსის (ე.ი დღევანდელი ჭოროხის)[2] სათავეებთან და სკვითინების ტომის მეზობლად (იხ. Anab., IV, 6, 4-5; IV, 7, 15-18),[3] ხოლო მეორედ უკვე მოსინიკების ტერიტორიის შემდეგ, ამჯერად ზღვისპირეთში, ტიბარენების მეზობლად (Anab., V, 5, 1-2).

ამრიგად, ქსენოფონტიც ხალიბების ორ ჯგუფს ასახელებს (ისევე როგორც სტეფანე ბიზანტიელთან შემონახულ ჰეკატე მილეტელის ცნობებშია წარმოდგენილი): ერთს — მთებში „არმენიის მეზობლად“ (Anab., IV, 5, 34; შდრ. IV, 6, 4-5; IV, 7, 15-18), ხოლო მეორეს — ზღვისპირეთში (Anab., V, 5, 1-2). მათგან მხოლოდ ზღვისპირა ხალიბების შესახებ აღნიშნავს, რომ ისინი „ცხოვრობდნენ უპირატესად რკინის დამუშავებით“ (Anab., V, 5, 1: καὶ ὁ βίος ἦν τοῖς πλείστοις ἀυτῶν ἀπὸ σιδηρείας).

ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარში შედგენილი „პერიპლუსი“, რომლის ავტორი ფსევდო-სკილაქსად იწოდებოდა, იხსენიებს მხოლოდ ზღვისპირა ხალიბებს (და ეს ბუნებრივია „პერიპლუსის“ მიზნებიდან გამომდინარე). „პერიპლუსის“ მიხედვითაც ხალიბები მდ. თერმოდონტის აღმოსავლეთით არიან ასირიასა და ტიბარენებს შორის. მათ ქვეყანაშია ელინური ქალაქი სტამენე (რომელსაც, როგორც უკვე ვნახეთ, ჰეკატე მილეტელიც ასახელებდა) და აგრეთვე ელინური აკროპოლისი იასონია და დახურული ნავსადგური გენეტე (აზია, 88: Χάλυβες. Μετὰ δὲ Ταβαρηνοὺς Χάλυβές εἰσιν ἔθνος, καὶ Γενήτης λιμὴν κλειστός, Σταμένεια πόλις Ἑλληνίς, καὶ Ἰασονία ἀκρόπολις Ἑλληνίς). აქ დასახელებული სტამენე (Σταμένεια), როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა (ჰეკატე მილეტელის ცნობის განხილვისას), თურქეთში დღევანდელ ჩაკა ისკელეზის ადგილას ივარაუდება, იასონია – იასონ ბურუნთანაა იდენტიფიცირებული, ხოლო გენეტე – დღევანდელი ორდუს (ძველი კოტიორას) ჩრდილო-დასავლეთით, იასონ ბურუნსა და ჩამ ბურუნს შორის (Wilson 1960: 292; შდრ. Olshausen-Biller 1984: 132).

აპოლონიოს როდოსელიც „არგონავტიკაში“ მოიხსენიებს ჯერ „ხალიბთა უსაზღვრო მიწას“ (I, 1323: Χαλύβων ἐν ἀπείρονι γαίῃ), მაგრამ შემდეგ იუწყება, რომ „ხალიბები, რომელნიც რკინის დამუშავებას ეწევიან“ (τοί δ᾽ ἀμφί σιδήρεα ἔργα μέλονται), ცხოვრობდნენ მდ. თერმოდონტის მახლობლად მოსახლე ამაზონების შემდეგ გენეტეს კონცხამდე, რომლის გადაღმა არიან უკვე ტიბარენები (II, 375, 1001-1008).

შედარებით გვიანდელ ავტორთაგან ზღვისპირა ხალიბებს იხსენიებს დიონისიოს პერიეგეტი, რომელიც მათ ათავსებს ტიბარენებსა და ასირიელებს შორის, მსგავსად ფსევდო-სკილაქსის „პერიპლუსისა“ ახასიათებს მათ როგორც „მძიმე

1 არმენიაში მისულ ქსენოფონტს უხუცესი ეტყვის, რომ მეზობელი ქვეყანა არის ხალიბების (Anab., IV, 5, 34: ... ὁ δ᾽ ἔλεγεν ὅτι Ἀρμενία... τὴν δὲ πλησίον χώραν ἔφη εἶναι Χάλυβας...).

2 ჰარპასოსის დღევანდელ მდ. ჭოროხთან იდენტიფიკაციის შესახებ დაწვრ. მიქელაძე 1967: 130.

3 დაწვრ. მიქელაძე 1967: 41 და შმდ.

რკინის დამუშავების მცოდნეებს“ (Dion. Perieg., 768: Χάλυβες στυφελὴν καὶ ἀ πήνεα γαῖαν ναίουσιν, μογεροῦ δεδαηκότες ἔργα σιδήρου).[1]

ძალზე საინტერესოა ძვ.წ. IV ს-ის მცირეაზიელი ბერძენი მწერლის ეფორეს ცნობები, რომელნიც ჩვენამდე სხვადასხვა ავტორებთან დაცული ფრაგმენტების სახითაა მხოლოდ მოღწეული. სტეფანე ბიზანტიელთან შემონახული ფრაგმენტიდან ჩანს, რომ ეფორე ხალიბებს ტიბარენების მეზობლად მოიხსენიებდა და იქვე ეგულებოდა ლევკოსირებიც (FGrHist 70,fr. 43 = Steph. Byz., s.v. Τιβαρανία Ἔφορος ἐν πέμπῳ φησὶν ὅτι >>Τιβαρηνοὶ... ὅμοροι δὲ τούτοις Χάλυβες καὶ τὸ τῶν Λευκοσύρων ἔθνος<<). ე.ი. ამ ფრაგმენტის მიხედვით, ხალიბები ტიბარენების მეზობლები და, მაშასადამე, ზღვისპირას მცხოვრები ტომია. მეორე ფრაგმენტი (ხალიბებთან დაკავშირებული) სტრაბონთანაა შემონახული: „ეფორე ამბობდა, რომ ნახევარკუნძული[2] დასახლებულია 16 ტომით... ზღვასთან არიან კილიკიელები, პამფილიელები, ლიკიელები, ბითინიელები, პაფლაგონიელები, მარიანდინები, ტროელები და კარიელები. შუა ქვეყანაში მოსახლეობენ პისიდიელები, მისიელები, ხალიბები, ფრიგიელები და მილიები“ („გეოგრაფია“ XIV, 5, 23 [=F 162 FGrHist]). ამ ფრაგმენტით ირკვევა, რომ ეფორე ხალიბებს ზღვის პირას (ἐπὶ θαλάττῃ) არ ასახელებდა, არამედ მხოლოდ „ქვეყნის შიგნით“ (ἐν τῇ μεσογαίᾳ). აქ საინტერესოა სტრაბონის დამოკიდებულება, რომელიც ვრცლადაა გადმოცემული „გეოგრაფიის“ XIV, 5, 24-ში. მხოლოდ ერთი ადგილის ციტირებას მოვახდენ: „...რატომ ათავსებს იგი შუა ხმელეთზე (ἐν τοῖς μεσογαίοις) ხალიბებს, რომელთაც პოეტი (ე.ი. ჰომეროსი – ო. ლ.) ჰალიძონებს უწოდებს, როგორც ჩვენ უკვე დავამტკიცეთ?[3] უმჯობესი იყო გაეყო და ერთნი ეჩვენებინა ზღვის ნაპირას, ხოლო მეორენი — შუა ქვეყანაში“: διὰ τί δ' ἐν τοῖς μεσογαίοις ἔταξε τοὺς Χάλυβας, οὓς ὁ ποιητὴς Ἀλιζῶνας ἐκάλσεν, ὥσπερ καὶ ἡμεῖς ἀπεδείξαμεν; ἄμεινον γὰρ ἦν διελεῖν καὶ τοὺς μὲν ἐπὶ τῇ θαλάττῃ φάναι, τοὺς δὲ ἐν τῇ μεσογαίᾳ.

ვინ არიან სტრაბონისეული გაგებით ის ხალხები, რომელნიც ქვეყნის შიგნით (ე.ი. არაზღვისპირეთში)[4] ცხოვრობენ? ამ კითხვაზე პასუხს „გეოგრაფიის“ XI, 14, 5-ში ვპოულობთ. აქ სტრაბონი იუწყება, რომ ანტიოქე დიდის სარდლებმა არტაქსიამ და ზარიადრემ, რომელნიც სომხეთში გამეფდნენ, მეზობელ ხალხებს

1 დიონისიოს პერიეგეტის თხზულების კომენტატორი ევსტათი იმეორებს ტრადიციულ შეხედულებას ხალიბებზე, როგორც რკინის დამუშავებით დასაქმებულ ტომზე და აღნიშნავს, რომ ხალიბები პონტოელი ხალხია, მდ. თერმოდონტთან მცხოვრები. ამბობენ, მათგან გააქვთ რკინა, რომელიც სახელგანთქმულია თავისი სიმტკიცითა და გამოჭედვით (ad 768: Χάλυβες... ἔθνος δέ εἰσι Ποντικὸν παρὰ τῷ Θερμωδόντι ὀφ' ὧν σίδηρις, φασίν, ἐξάγεται ὁ πρὸς τὰ στόματα ἐπαινούμενος, ἤγουν πρός τὰ στόματα).

2 იგულისხმება სინოპესა და ისოსს შორის მდებარე ადგილები, სადაც გამოდიოდა ამ ნახევარკუნძულის „უვიწროესი ყელი“ („გეოგრაფია“, XIV ,5, 22).

3 იგულისხმება, როგორც ჩანს, „გეოგრაფია“, XIV, 3, 20.

4 არაზღვისპირა ხალიბებს გაკვრით იხსენიებს ფსევდო-სკიმნოსიც: „ხალიბები ქვეყნის შიგნით არიან და (ცხოვრობენ) კაპადოკიელების მახლობლად“ (Ps.-Scymn., 938f.: Χάλυβες δὲ τὴν μεσόγειον οἵ τε πλησίον Καππάδοκες).

ძვ.წ. II ს-ის დასაწყისში ჩამოაჭრეს მიწები, მათ შორის „ხალიბებისა და მოსინიკებისაგან (წაიღეს) კარენიტი და ქსერქსენე, რომლებიც მცირე არმენიის მეზობლად არიან თუ მათი ნაწილები არიან (XI, 14, 5: Χαλύβων δὲ καὶ Μοσυνοίκων Καρηνῖτιν καὶ Ξερξηνήν, ἃ τῇ μικρᾷ Ἀρμενίᾳ ἐστὶν ὅμορα ἢ καὶ μέρη αὐ τῆς ἐστί).

აქ დასახელებული ქსერქსენე (Ξερξηνή) იდენტიფიცირებულია დერჯანთან (შდრ. Меликишвили 1962: 57), თანამედროვე ერზერუმის რაიონში, ხოლო კარენიტი მისგან აღმოსავლეთით და გაიგივებულია საკუთრივ დღევანდელ ქალაქ ერზერუმთან (Adontz 1970: 52; Капанцян 1956: 67-68), რომელსაც ქართული წყაროები „კარნუ ქალაქის“ სახელით მოიხსენიებენ (მიქელაძე 1974: 121-122). მაშასადამე, ხალიბთა მიწა-წყლის ერთი ნაწილი დღევანდელ ერზერუმის მხარესაც მოიცავდა. სრულიად აშკარაა, რომ ესენი სწორედ ის მთაში მცხოვრები ხალიბები არიან, რომელიც ქსენოფონტმა ჭოროხის სათავესთან ნახა.

ამრიგად, სტრაბონის „გეოგრაფიაში“ და, კერძოდ, ეფორეს ცნობების მისეულ კომენტარში (შდრ. XIV, 5, 23-24), ისევე როგორც სხვა ავტორებთან (ჰეკატე მილეტელი, ქსენოფონტი), ჩემი აზრით, თვალნათლივ ჩანს, რომ ბერძნულ მწერლობაში დამკვიდრებული იყო სრულიად გარკვეული და კონკრეტული შეხედულება (თუ გნებავთ – კონცეფცია) ხალიბების ორი ტომის თუ ორი ჯგუფის შესახებ: ერთნი ზღვის პირას ცხოვრობენ, მდ. თერმოდონტის აღმოსავლეთით და სახელგანთქმული არიან რკინის დამუშავებით (Hecat., fr. 196; Xenoph., Anab., V, 5, 1-12; Ps.-Scyl., აზია, 88; Apoll. Rhod., Arg., II, 335, 1001-1008; Dion. Perieg., 768f.; Ephoros, fr. 43), ხოლო მეორენი – მთაში, არმენიის მეზობლად (Hecat., fr. 195; Xenoph., Anab., IV, 5, 34; IV, 6, 4-5; IV, 7, 15-18; Ephoros, fr. in Strabo, XIV, 5, 23; Ps.- Scym., 938f.; Plin., NH, VI, 29). ამ უკანასკნელთა შესახებ არავინ იუწყება, რომ ისინი რკინის დამუშავებით იყვნენ დასაქმებული.

ბერძნულ მწერლობაში აგრე თვალნათლივ გამოკვეთილ ცნობებს არმენიის მეზობლად პონტოს მთებში მოსახლე ხალიბების შესახებ შესანიშნავად ეხმაურება და ამტკიცებს რომაელი მწერალის პლინიუსის ჩვენებაც: პლინიუსი პონტოს მთებში იხსენიებს არმენო-ხალიბების ტომს ("gens Armenochalibes": Plin., NH, VI, 12, 29),[1] რაც სამართლიანადაა მიჩნეული იმის მოწმობად, რომ არმენებს მათ მეზობლად მცხოვრები ხალიბები თავისი გავლენის ქვეშ მოუქცევიათ ან მათი ასიმილაციაც მოუხდენიათ (Меликишвили 1959: 85)[2].

1 პლინიუსის ცნობით, არმენო-ხალიბები ცხოვრობენ ტრაპეზუნტის მახლობლად მდებარე მთების გადაღმა და იქვეა მცირე არმენიაც (შდრ. NH, VI, 1-12). მეორეგან აღნიშნულია, რომ არმენო-ხალიბები ცხოვრობენ პარიადრის მთის მეორე მხარეს (შდრ. NH, VI, 29: ad Parihedros montes; ultra sunt Colchicae solitudines, quarum a latere ad Ceraunicos verso Armenochalybes habitant). ფაქტობრივად ორივეგან არმენიის ტერიტორიაზე საუბარი.

2 მსგავსი მაგალითია Σουαννοκόλχοι (Σούαννοι და Κόλχοι) — Claud. Pt. Geogr., V, 8, 25 ან Ταυροσκύθαι (Ταύροι და Σκύθαι) — Eusth. Sch. ad Dion. Peried. 163. ამ პროცესს შეიძლება სომხურ ენაშიც დავაკვირდეთ, რომელშიც გარკვეული ფენა ქართველურისა, კერძოდ მეგრულ-ჭანურისა შემორჩენილია. იგი სომხურში

ახლა თუ შევადარებთ სტრაბონის ცნობას ზღვისპირა ხალიბების განსახლების ტერიტორიის შესახებ დანარჩენ ავტორთა ცნობებს, ამჯერად დავინახავთ ერთ თვალსაჩინო განსხვავებას: სტრაბონი ქალდებს, რომელნიც მისივე მტკიცებით ხალიბები არიან, ქალაქ ფარნაკიის (დღევანდელი გირესუნის) ირგვლივ და, მაშასადამე, ტიბარენების აღმოსავლეთით ათავსებს (შდრ. „გეოგრაფია", XII, 3, 18), მაშინ როდესაც ყველა დანარჩენი ავტორი ზღვისპირა ხალიბებს ასახელებს ტიბარენების დასავლეთით (შდრ. Xenoph., Anab., V, 5, 1-2; Ps.-Scyl., აზია, 88; Apoll. Rhod., Arg., II, 375, 1001-1008; Dion. Per. 768 და შმდ.); ხოლო იქ, სადაც სტრაბონისეული ქალდები არიან, დასახელებული არიან სხვა ავტორებთან მოსინიკები (შდრ. Xenoph., Anab., V, 4, 1f.; Ps.-Scyl., აზია, 86; Apoll. Rhod., Arg., II,3 79 და სხვ.).

როგორ უნდა ავხსნათ ეს შეუსაბამობა? შეეშალა სტრაბონს, თუ მან დააფიქსირა მის დროს თუ მანამდე მომხდარი ცვლილებანი, ტომთა გადაადგილებანი (რასაც აგრე ხშირად ჰქონდა ადგილი)? მე მიმძიმს ახლა ამ კითხვაზე რამდენადმე დამაკმაყოფილებელი პასუხის გაცემა. იქნებ უნდა გავიხსენოთ ქსენოფონტის ცნობა, რომ ზღვისპირა ხალიბები, რომელნიც უპირატესად რკინის დამუშავებით ცხოვრობენ, „ემორჩილებიან მოსინიკებს" (Xenoph., Anab., V, 5, 1: οὗτοι... ὑπήκοοι τῶν Μοσσυνοίκων, καὶ ὁ βίος ἦν τοῖς πλείστοις αὐτῶν ἀπὸ σιδηρείας). უფრო გვიან მოსინიკები უკვე აღარ ჩანან აგრე ძლიერნი. შესაძლოა, გვიან პირიქით მოხდა: დაწინაურდნენ ხალიბები და მათ მოაქციეს თავისი გავლენის ქვეშ მოსინიკებით დაკავებული ტერიტორია? ამგვარი ჰიპოთეტური ვარაუდის გამოთქმის უფლებას გვიძლიერებს ისიც, რომ სტრაბონის „გეოგრაფიაში" მოსინიკები თითქოს არ გვევლინებიან ძლიერ და, კიდევ მეტი, რაიმე კონკრეტულ ტომად (შდრ. „გეოგრაფია", XIV, 3, 18; ხოლო დაწვრ. იხ. ქვემოთ: „ჰეპტაკომეტები"). ერთ ადგილას კი სტრაბონი ერთად მოიხსენიებს ხალიბებსა და მოსინიკებს, რომელთაც თურმე ძვ.წ. II ს-ის დასაწყისში ჩამოაჭრეს კარენიტი და ქსერქსენე („გეოგრაფია", XI, 14, 5). ორივე ეს პუნქტი, როგორც ზემოთ ვნახეთ, დღევანდელი ერზერუმის მიდამოებში ერთმანეთის მახლობლად მდებარეობდა იქ, სადაც არმენიის მეზობელი „მთის ხალიბების" განსახლება ივარაუდება. ესეც ხომ არაა მინიშნება იმაზე, რომ სტრაბონის დროს სწორედ ხალიბებმა, უკვე ხალდებად წოდებულებმა, მოიპოვეს გარკვეული უპირატესობა მეზობელ ტომებზე და თავისი სახელის ქვეშ გააერთიანეს ისინი? ამგვარი ვარაუდის გამოთქმას გვკარნახობს უკვე ზემოთ განხილული სანების ტომის მაგალითიც და ამ ორივე ტომის (ხალდები, სანები) ეთნიკური კუთვნილებაც. სანები, როგორც ვნახეთ, დასავლურ-ქართული (მეგრულ-ჭანური) ტომია. ისინი ჭანებია, უფრო სწორედ, ამ სახელის ქვეშ გაერთიანებული ერთ-ერთი ჭანური ტომი.

სუბსტრატად არის მიჩნეული (Капанцян 1975:342); შემდგომში უნდა დამტკიცდეს, რომ ხალიბებმა სწორედ მეგრულ-ჭანური ხალხი შექმნეს.

სტრაბონის მტკიცებით (XII, 3, 20), ხალიბები ჰომეროსთან „ალიძონებად“ (Ἀλιζῶνες) იწოდებოდნენ (ამ ცნობის ჩვენეული კომენტარი იხ. ზემოთ ამავე წიგნში: III თავი, 2). ამავე დროს სტრაბონი დაბეჯითებით არწმუნებს თავის მკითხველს, რომ მათ „უწინ ერქვათ ალიბები ხალიბების ნაცვლად“ (XII, 3, 20: πρότερον Ἀλύβων λεγομένων ἀντὶ Χαλύβων),[1] უფრო ზემოთ კი (XII, 3, 19: Οἱ δὲ νῦν Χαλδαῖοι Χάλυβες τὸ παλαιὸν ὠνομάζοντο) აცხადებს: „ეხლანდელი ხალდები ძველად ხალიბებად იწოდებოდნენ“. სახელთა ასეთი ცვლილებები სტრაბონს ბუნებრივად მიაჩნდა, მით უფრო, „თუ მივიღებთ სახელთა მრავალ შეცვლას, განსაკუთრებით ბარბაროსებში...“ (შემდეგ მოტანილია მაგალითები: იხ. XII, 3, 20). რამდენადაც პარადოქსულად არ უნდა ჟღერდეს, მაინც მივცემ უფლებას ჩემს თავს განვაცხადო: სტრაბონის ზემოთმოტანილ, ერთი შეხედვით თითქოს გულუბრყვილო მსჯელობაში თანამედროვე მეცნიერების მიღწევების შუქზე მაინც შეინიშნება ჭეშმარიტების მარცვალი. ასე, მაგ., ამტკიცებენ, რომ ჰომეროსის (= „ტროელთა კატალოგის“) და სტრაბონის მიერ დამოწმებულ Ἀλίζωνες-თან ახლო დგას ადილჯევაზში აღმოჩენილ ურარტუს მეფე რუსა II-ის (ძვ.წ. 685-645 წწ.) ლურსმულ წარწერაში მოხსენიებული ქვეყნის სახელი Halitu (Меликишвили 1960: № 278), რამდენადაც ურარტული „უ“ ხშირად გადმოსცემდა „ო“-ს, ხოლო „ტ“ ზოგჯერ გადმოსცემდა ბერძნულ ζ მსგავს (ძ) ბგერას. ამიტომ Halitu შესაძლოა იყოს Ἀλίζωνες შესატყვისი. რამდენადაც ალიძონების ქვეყანა ჰომეროსთან „ვერცხლის სამშობლოდაა“ მოხსენიებული, ხოლო უძველესი მესოპოტამიის, სირიისა და პალესტინის მოსახლეობაში „ვერცხლის სამშობლოდ“ აღმოსავლეთ კილიკიის ვერცხლის მთებია აღქმული, გ. მელიქიშვილი შესაძლებლად მიიჩნევს ურარტული წყაროების ალიტუ და მისი შესატყვისი Ἀλίζωνες გაიგივოს ასურული წყაროების თაბალთან. ამ ქვეყნის მოსახლეობა იმავე დროს ცნობილი იყო რკინის დამუშავებითაც.[2] ამიტომ, გამორიცხული არ უნდა იყოს „რკინის სამშობლოს“ შესახებ ძველი აღმოსავლური წარმოდგენების აქედან გადატანა ბერძნულ სამყაროში. იმავე დროს გ. მელიქიშვილი არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობასაც, რომ ალიბე-ხალიბის ბერძნულ სახელწოდებას[3] შეიძლება

1 „გეოგრაფიიდან“ (XII, 3, 20: Ὑπονοεῖ δὲ καὶ ὁ Σκήψιος τὴν τοῦ ὀνόματος μετάπτωσιν ἐξ Ἀλύβων εἰς Χάλυβας) ვგებულობთ, რომ თურმე ალიბე სახელის ხალიბად შეცვლას დემეტრიოს სკეპსისელიც (ძვ.წ. III-II სს. ბერძენი ისტორიკოსი) ვარაუდობდა.

2 ასეთი მტკიცების საფუძვლად მიჩნეულია ტაბალის გაიგივება ბიბლიურ ტექსტებში მოხსენიებულ თუბალ-კაინთან (თობელთან), რომელიც იყო მჭედელი რვალისა და რკინისა („შესაქმე“, IV, 22; შდრ. Septuaginta – ძვ.წ. III ს-ში შესრულებული ბიბლიის ძველბერძნული თარგმანი: Σελλα δὲ ἔτεκεν καὶ αὐτὴ τὸν Θόβελ, καὶ ἦν σφυροκόπος χαλκεὺς χαλκοῦ καὶ σιδήρου (ასურული წყაროების ტაბალისა და ბიბლიური ტექსტების თუბალის ურთიერთკავშირის შესახებ დაწვრ. ხაზარაძე 1978: 11-15).

3 ძვ.წ. I ს-ის რომაელი პოეტის ვერგილიუსის „გეორგიკების“ სქოლიონებში შემონახულია ასეთი ცნობა, რომელიც იუნიუს ფილარგირიუსისაგან მომდინარედ ითვლება: „ხალიბებს, რკინის აღმომჩენ ტომს პონტოში, სახელი ეწოდა ევბეის სოფელ ხალიბიუმიდან, რადგან ისინი აქედან გადასახლებულან (Sch. ad Verg. Georg., I, 58). რა თქმა უნდა, ამ ცნობას არ შეიძლება რეალური ვუწოდოთ. მაგრამ საინტერესოა, რომ, როგორც უკვე ვნახეთ, მოსინიკებიც ევბეიდან გადმოსახლებულად ითვლებიან. როგორც ჩანს, მართლაც არსებობდა რაღაც ტრადიცია, რომელიც შავიზღვისპირეთის ხალხებს ეგვიპტიდან გადმოსახლებულად

საფუძვლად დასდებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომელიმე ეთნიკური სახელწოდება (დაწვრ. Меликишвили 1962: 96 და შმდ.). ასეთ სახელწოდებად ივარაუდება სწორედ ხალდი, რომელთაც, სტრაბონის ცნობით, მის დროს ხალიბები ეწოდებოდათ („გეოგრაფია", XII, 3, 19). სტრაბონის ამ განმარტების სისწორეს თითქოს მხარს უჭერს ზოგიერთი თანამედროვე მეცნიერის მტკიცება; კერძოდ, ფიქრობენ, რომ სახელწოდება „ხალიბები" წარმომდგარია სატომო სახელისაგან „ხალდ", რომელსაც დაემატა მრავლობითობის აღმნიშვნელი დასავლურქართველური (მეგრულ-ჭანური) სუფიქსი – ip (-ib): hald–ip>hald–ib. ამასთან ყურადღებას აქცევენ, რომ სომხური წყაროებიც სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რიგ გეოგრაფიულ სახელწოდებას ქართული დაბოლოებით გადმოსცემენ. მეორე მხრივ, არ გამორიცხავენ, რომ „ხალდ" სახელისაგან „ხალიბის" გაჩენაში გარკვეული როლი შეასრულა რკინის აღმნიშვნელმა ძველბერძნულმა სახელწოდებამ χάλυψ (იხ. Меликишвили 1959: 71). ამავე დროს, დღეს რიგი სპეციალისტებისა აღიარებს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოხსენიებულ ხალდებს (Χαλδαῖοι) და სომხური წყაროების Xalti-kh-ს შორის იგივეობასა და ურთიერთკავშირს. ამასთან მას უკავშირებენ უკვე ზემოთ ხსენებულ ადილჯევაზის ურარტულ ლურსმულ წარწერებში მოხსენიებულ სახელს Halitu-ს (Дьяконов 1952: 112). ამასთან ამტკიცებენ, რომ ურარტული წარწერის Halitu-ს, ბერძნული წყაროების Χάλυβοι//Χάλυβες – Χαλδαῖοι და სომხური წყაროების Xalt-iq/Xalt-iv სახელებს საფუძვლად აქვთ ერთი საერთო ფუძე (Дьяконов 1952: 111-112). ამგვარი მტკიცებების ფონზე აგრე გულუბრყვილოდ აღარ უნდა გამოიყურებოდეს სტრაბონის მსჯელობა ალიბე-ხალიბებისა და ხალიბ//ხალდების იგივეობის შესახებ (იხ. აგრეთვე მიქელაძე 1974: 125 და შმდ.).

ჩვენ ზემოთ უკვე გამოვთქვით უაღრესად ჰიპოთეტური ვარაუდი ზღვისპირა ხალიბ-ხალდების ადგილსაცხოვრისის შესახებ სტრაბონის ცნობასთან დაკავშირებით, რომ შესაძლოა ამ ცნობაში ასახულია სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ჭანური ტომების დაწინაურების ფონზე ხალიბ-ხალდების მიერ მათი სახელის ქვეშ სხვა ტომების გაერთიანების პროცესი. იქნებ ამ ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებდეს ის უცილობელი ფაქტიც, რომ უკვე გვიანანტიკური ხანიდან სატომო სახელი „ხალდ" გახდება აღმნიშვნელი მთელი დიდი ოლქისა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში.[1] ხალდია ეწოდებოდა, როგორც ცნობილია, ამ მხარეში ბიზანტიის ერთ-ერთ სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულს

თვლიდა – ე.წ. პელაზგური მიგრაციის შედეგად – ქავთარაძე 1985: 29.

1 საყურადღებო ფაქტია აგრეთვე ამავე ტერიტორიაზე „ხალდ" ძირიანი ტოპონიმების გავრცელება, რომელნიც მოიხსენიებიან როგორც ურარტულ (მაგ. Uru haldiriulhu – Меликишвили 1960: № 36), ასევე სომხურ წყაროებში (ხალდო-ძორი ანუ ხალდის ხეობა ჭოროხის ხეობის აღსანიშნავად, ხალდო-არიჩი ეწოდება ჭოროხის სათავეებთან მდებარე ციხეს, დღეს რომ „კაღდაირჩ" სახელითაა ცნობილი – Adontz 1970: 43, 395), ასევე უკანასკნელ ხანებამდე შემორჩენილი სახელები: სოფ. ხალდისი და ხალატოსი რიზეს მახლობლად (ყიფშიძე 1937: 160-161). მსგავსი ტოპონიმები დადასტურებულია დასავლეთ საქართველოშიც (დაწვრ. მიქელაძე 1974: 125 და შმდ.).

(თემს), რომლის დედაქალაქი იყო ტრაპეზუნტი, ხოლო მოსახლეობის ძირითად ნაწილს შეადგენდნენ დასავლურქართველური (მეგრულ-ჭანური) ტომები ჭანები, რომელნიც დღესაც ცხოვრობენ ამ ტერიტორიაზე და ცნობილი არიან ლაზების სახელით (დაწვრ. Adontz 1970: 23, 47, 53; ლორთქიფანიძე ოთ. 1955; ნოდია 1970). მაგრამ სახელწოდება ძველ სომხურ წყაროებში იხსენიება უფრო ადრეც და განიხილება როგორც დასავლურქართველური (მეგრულ-ჭანური) ტომის – ჭანების ქვეყანა. VII ს-ის სომხური „გეოგრაფია“, რომლის ავტორობა ანანია შირაკელს (შირაკაცს) მიეწერება,[1] პირდაპირ მიუთითებს: „ჭანეთი, რომელიც არის ხალტიკი“ (Патканов 1877: 19). აქ ნიშანდობლივია, რომ გეოგრაფიული სახელი „ჭანეთი“ (Čanet) გადმოცემულია ქართული დაბოლოებით – ეთ(ი).

ძველი სომეხი ისტორიკოსი მოვსეს ხორენაცი თავის „სომხეთის ისტორია“-ში[2] (II, 76) ახ.წ. III ს-ის ამბების აღწერისას აღნიშნავს, რომ „კეისარი ტაციტუსი მოკლეს პონტოს ჭანივქში, ე.ი. ხალტიქში“. აქაც გეოგრაფიული ერთეულის სახელი გადმოცემულია ქართული ფორმით, სადაც „ჭან“ სატომო სახელია, ხოლო „ივ“ მრავლობითობის აღმნიშვნელი მეგრულ-ჭანური სუფიქსი.

ამრიგად დგინდება სტრაბონის მიერ მოხსენიებული ხალდების ეთნიკური ვინაობა: ისინი არიან დასავლურქართველური ტომი ჭანები. ეს უკანასკნელნი კი სტრაბონის „გეოგრაფიაში“ იხსენიებიან აგრეთვე სანნების (Σάννοι) სახელწოდებით. ხოლო VI ს-ში ყველა ამ ტომს ბიზანტიელი ისტორიკოსები მოიხსენიებენ Τζάνοι სახელწოდებით, სადაც თავკიდური Τζ გვევლინება ადგილობრივი ქართველური „ჭ“-ს გადმომცემად. ამასთან ნიშანდობლივია პროკოპი კესარიელის მტკიცება, რომ ჭანები მრავალტომიანი ხალხია (De aedific., III 6.: „... ἐπεὶ ἐς ἔθνη πολλὰ διακέκριναι Τζάνοι“). ეს ცნობა თვალსაჩინოდ ასახავს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (კოლხიდიდან თერმოდონტის ხეობამდე) სტრაბონის დროს ერთმანეთის მეზობლად მოსახლე და სხვადასხვა სახელით ცნობილი დასავლურ-ქართველური ტომების – ჭანების თანდათანობითი გაერთიანების პროცესს (მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა).

6. ჰეპტაკომეტები (Ἑπτακωμῆται)

ამ სახელის მატარებელ ტომს სტრაბონი მხოლოდ ერთგან ახსენებს.

XII, 3, 18· οὗ (Σκυδίσης – Ο. Λ.) τὰ ἄκρα κατέχουσιν οἱ Ἑπτακωμῆται	„... (სკიდისეს) მწვერვალები უჭირავთ ჰეპტაკომეტებს...“

1 ამ თხზულების ავტორი კარგად იცნობდა ბერძნულ და ქართულ წყაროებსაც. მათი გავლენით გეოგრაფიულ სახელწოდებებსაც ხშირად გადმოსცემს ბერძნულ და ქართულ წყაროებში მოცემული ფორმებით.

2 ამ თხზულების დაწერის დროის შესახებ ძალზე მრავალრიცხოვანი ლიტერატურაა. ერთნი მას V ს-ით ათარიღებენ, სხვები კი უფრო გვიანი ხანით – VII, VIII ან IX საუკუნითაც კი (Toumanoff 1963: 330-334; Thomson 1978: 3; აბდალაძე 1984: 8 და შმდ.).

სკიდისე (Σκυδίσης), როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, უნდა იყოს ჩრდილოეთ ანატოლიის მთების ის ნაწილი, რომელიც დღევანდელ მდ. ჰარშიტ ჩაის შესართავიდან იწყება, რკალისებურად გასდევს ზღვის სანაპიროს და მთავრდება ჭოროხის შესართავთან (დაწვრ. ზემოთ, IV თავი, 2). სტრაბონის ცნობით, ამ მთის მწვერვალები უკავიათ ჰეპტაკომეტებს, ე.ი. შვიდსოფლელებს, რომელთაც სხვა ავტორები ამ სახელით არ იხსენიებენ. ზემოთ უკვე აღნიშნული იყო, რომ გამოთქმულია ასეთი მოსაზრება: ჰეპტაკომეტები ხალხის სახელი კი არაა, არამედ ნიშნავს „შვიდი სოფლის მცხოვრებლებს“, ხოლო თვით მთის სახელი სკიდისე (Σκυδίσης) შეიძლება იყოს ელინიზირებული ფორმა ადგილობრივი სახელწოდებისა „შკვიდიში“, რაც ადგილობრივი – ჭანური მოსახლეობის ენაზე ნიშნავს შვიდს და შესაძლოა შეესატყვისება სტრაბონისეულ იქვე მცხოვრებ ჰეპტაკომეტებს, ე.ი. შვიდსოფლელების სახელწოდებას (დაწვრ. ჯავახიშვილი 1913: 45). იგივე სახელწოდებას ხედავენ ქსენოფოტის მიერ „ანაბასისში“ (V, 7, 18; IV, 8, 1) მოხსენიებულ სატომო სახელში „სკვითინები“ (Σκυθηνοί),[1] რომელსაც ადგილობრივი სახელის „შკვითინების“ (ე.ი. შვიდთა, მეგრულ-ჭანურ ენაზე) ბერძნულ გადმოცემას უნდა წარმოადგენდეს[2] (მიქელაძე 1967: 131). აღსანიშნავია, რომ სტრაბონის ჰეპტაკომეტების განსახლების არეალიც თითქოს ემთხვევა ქსენოფონტის სკვითინების საცხოვრისს. ქსენოფონტის ცნობებით, სკვითინები მაკრონების მეზობლები არიან (Anab., IV, 8, 1). ასევე ჩანან სკვითინები სტრაბონის მიხედვით (XII, 3, 18) მეზობლები „სანებისა, რომელთაც უწინ უწოდებდნენ მაკრონებს“.

ჰეპტაკომეტებზე საუბრისას სტრაბონი დასძენს: „ყველა ამ მთებში (საუბარია სკიდისესა და პარიადრზე – ო. ლ.) მოსახლენი სრულიად ველურები არიან, ხოლო აღემატებიან სხვებს ჰეპტაკომეტები. ზოგიერთები ხეებზეც კი ცხოვრობენ, ან კოშკებში. ამიტომაა, რომ მათ ძველები მოსინიკებს უწოდებენ, რადგანაც კოშკებს მოსინები ჰქვიათ“ (XII, 3, 18: εἰσὶ δ᾽ ἅπαντες μὲν οἱ ὄρειοι τούτων ἄγριοι τελέως, ὑπερβέβληνται δὲ τοὺς ἄλλους οἱ Ἑπτακωμῆται· Τινὲς δὲ καὶ ἐπὶ δένδρεσιν ἢ πυργίοις οἰκοῦσι, διὸ καὶ Μοσυνοίκους ἐκάλουν οἱ παλαιοί, τῶν πύργων μοσύνων λεγομένων).

1 ქსენოფონტისეულ Σκυθηνοί-ს დიოდორე სიცილიელი მოიხსენიებს Σκύτινοι-ის ფორმით (Diod. Sic., Biblioth., XIV, 29, 2).

2 არსებობს სხვა მოსაზრებაც: ეს სახელი მომდინარეობს სკვითების სახელისაგან და თითქოს უნდა აღნიშნავდეს იმ სკვითების შთამომავალთ, რომელნიც ძვ.წ. VIII ს-ში შეიჭრნენ მცირე აზიაში (Максимова 1951: 279, შენ. 31). თ. ყაუხჩიშვილმა მიაქცია ყურადღება, რომ თვით ბერძენი ავტორები ჩვენთვის საინტერესო ეთნიკურ სახელს სკვითთან არ აკავშირებენ. იგივე ავტორი ფიქრობს, რომ სკვითინების სატომო სახელიდანაა წარმომდგარი დელფოს წარწერებში დადასტურებული საკუთარი სახელი Σκυθίνος (Delphes 1954: 285, № 253) და არ იზიარებს Pape-ს ეტიმოლოგიას (Σκυθίνος არის თასი, დაკავშირებული σκύφος-ის ეოლიურ ვარიანტთან σκύθος) – ყაუხჩიშვილი თ. 1976: 234-235.

არ მგონია, რომ სულ ნათელი იყოს, თუ ვის უწოდებდნენ მოსინიკებს ძველად: მხოლოდ ჰეპტაკომეტებს (რომელნიც ზემოთმოტანილი ტექსტის გაგრძელებაშიც არიან დასახელებული პომპეუსის შეტაკების აღწერისას) თუ სხვა ტომებსაც? τινὲς δὲ- ში შეიძლება იგულისხმებიან ჰეპტაკომეტებიც, აგრეთვე უფრო ზემოთდასახელებული აპაიტები (Ἀπαῖται), ასევე საერთოდ სკიდისესა და პარიადრის მთებში მოსახლეთაგანი,[1] რომელთა შორის სტრაბონი გაიხსენებს ბიძერებს – Βύζηρες („გეოგრაფია“ XII, 3, 18).

მოსინიკების ტომიც კარგად იყო ცნობილი სტრაბონის თანამედროვე და მის წინადროინდელ ბერძნულ მწერლობაში (Hecat., fr. 193; Herod., III, 94; VII, 78; Xenoph., Anab., V, 4, 2-34; VII, 8, 25; Ps.-Scyl., აზია, 86; Apoll. Rhod., Arg., II, 379, 1015-1020; 1117; Ps.- Scymn., 900-910; Nicol. Damasc., Παραδόζων, 18; Diod. Sic., Bibl., XIV, 3-5-7; Dion. Halik., Antiq. Rom. I, 262 და სხვ.). მათგან შედარებით დაწვრილებითაა ქსენოფონტის ცნობები. ქსენოფონტმა თვითონ მოიარა მოსინიკების ქვეყანა ძვ.წ. 401 წელს და დაგვიტოვა საინტერესო და მრავალფეროვანი ცნობები მეფეებისა და ხელისუფლების ხასიათის, ქალაქებისა და სიმაგრეების, შეიარაღების, მეურნეობისა და ყოფის, ბერძნულ კოლონიებთან ურთიერთობისა და პროქსენების ინსტიტუტის, ხისგან გამოთლილი ნავების და სხვათა შესახებ, რომელსაც ფაქტობრივად იმეორებენ მისი შემდგომი ხანის მწერლები. ქსენოფონტის ცნობათაგან საკმაოდ პოპულარულია მოსინიკების საცხოვრებელი ხის კოშკების აღწერილობა (Anab., V, 4, 26), რომელიც ბერძნულ მწერლობაში თითქმის საყოველთაოდ მოსინიკთა ეთნიკურ ნიშნადაა გამოცხადებული. აპოლონიოს როდოსელი: „მოსინიკები სახლებს იმართავდნენ ხის კოშკებში კარგად შეკრული ღობეებით; ამ კოშკებს უწოდებდნენ „მოსინებს“. აქედანვე შეერქვათ მათ სახელი“ (Arg., II, 379).

დაახლოებით ამავეს იმეორებენ სხვა ავტორებიც: Ps.-Scymn., 900-910; Diod. Sic., Bibl., XIV, 30, 5-7;[2] Dion. Perieg., 766; Dion. Halic., Antiq. Rom., I, 26, 2; Pomp. Mel., Chorogr., I, 106; Plin., NH, VI, 11; Val. Flac., Arg., IV, 615; Eust. ad Dion. Per. 765 და ა.შ. ამასვე იმეორებს სტრაბონი: „..ცხოვრობენ ...კოშკებში, ამიტომაა, რომ ძველები მათ მოსინიკებს უწოდებენ, რადგანაც კოშკებს მოსინები ჰქვიათ...“ (XII, 3, 18: Τινὲς δὲ καὶ ἐπὶ ... πυργίοις οἰκοῦσι, διὸ καὶ Μοσυνοίκους ἐκάλουν οἱ παλαιοί, τῶν πύργων μοσύνων λεγομένων). რამდენადმე განსხვავებულია დიონისიოს

1 შესაძლოა, აქედან მომდინარეობს სტეფანე ბიზანტიელის განმარტება: ჰეპტაკომეტები – სკიდისის მთებში მოსახლე ბარბაროსები; ზოგიერთი მათგანი იწოდება ბიძერებად (St. Byz., s.v. Ἑπτακωμῆται, βάρβαροι τὸ Σκυδίσην οἰκοῦντες ὄρος. τινὲς δὲ τούτων ἐκαλοῦντο καὶ Βύζηρες). სტარბონის მიერ ბიძერების მთებში მოხსენიება მოულოდნელია, რამდენადაც სხვა, მისი წინამორბედი ავტორები მათ შავი ზღვის სანაპიროზე კოლხების მეზობლად ასახელებდნენ, მათ შორის სტეფანე ბიზანტიელიც (s.v. Βύζηρες) – შდრ. Hecat., fr. 190. Ps.-Scyl., აზია, 82; Apoll. Rhod., Arg., II, 396, 1244; უფრო გვიან Dion. Perieg., 762f. V ს-ის ანონიმურ პერიპლუსში (Anonym. PPE, 1) ბიძერების ნაცვლად აქ ძიდრიტები (Ζυδρεῖται) ცხოვრობენ.

2 როგორც ცნობილია, დიოდორეს ძირითად წყაროს ქსენოფონტის „ანაბასისი“ წარმოადგენს და მოსინიკების შესახებაც შემოკლებით იმეორებს ქსენოფონტის მონათხრობს, მაგრამ მისგან განსხვავებით მოსინიკების კოშკს უწოდებს „შვიდსახურავიანს“ (Diod. Sic., Bibl., XIV, 30, 60: ἑπτορόφους ἔχοντες ξυλίνους πύργους).

ჰალიკარნასელის განმარტება, რომლის თანახმად მოსინი არის კოშკების მსგავსი მაღალი ხის ძელებით გარშემორტყმული ადგილები (შდრ. Antiq. Rom., I, 26, 2: [Μοσσύνοικοι οἰκοῦσι μὲν γὰρ δὴ κἀκεῖνοι ἐπὶ ξυλίνοις ὡσπερὰν πύργοις ὑψηλοῖς σταυρώμασι, μόσυνας αὐτά καλοῦντες).

მოსინიკების ეთნიკური სახელწოდების შესახებ მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული. ძველი ბერძენი ავტორები, როგორც ვნახეთ, „მოსინიკებს“ განმარტავენ როგორც „კოშკში მცხოვრებთ“ (μόσσυν და οἶκος). მაგრამ ფიქრობენ, რომ ეს არ უნდა ყოფილიყო μόσσυν-თან დაკავშირებული ბერძნული სიტყვა, არამედ წარმოადგენს რაღაც ადგილობრივი სახელწოდების ბერძნულ ენაზე გააზრებას (Меликишвили 1959: 79; ყაუხჩიშვილი 1976ა: 133). მოსინიკების სატომო სახელის ეტიმოლოგიასთან და, შესაბამისად, მოსინიკების ეთნიკური წარმომავლობის საკითხის შესახებ არსებობს სხვა მოსაზრებანიც. მაგ. ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, რომ „მოსსინიკ“-ში „მო“ სადაურობის მაჩვენებელი ქართველური პრეფიქსია, ხოლო ფუძე-სიტყვაა σσυν, რომელშიც თითქოს შეიძლება იყოს სატომო სახელი Σαν (შდრ. ზემოთ Σάννοι), ე.ი. ჭან-ი (ჯავახიშვილი 1913: 26). გ. მელიქიშვილის აზრით, ამგვარ ინტერპრეტაციაში აუხსნელი რჩება დაბოლოება „იკ“ (ικ). „მოსინიკ“ სახელის თითქოსდა სანიგ-თან (Σανίγες) სიახლოვის გამო იგი ვარაუდობს, რომ მოსინიკების სახით საქმე გვაქვს ჩრდილოეთ კოლხეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში შემოჭრილ ტომის სახელთან (Меликишвили 1959: 80). არა მგონია, რომ ასეთ ვარაუდს საფუძველი ჰქონდეს, თუნდაც იმიტომ, რომ Σανίγες წყაროებში მხოლოდ ახ.წ. II ს-დან მოიხსენიებიან (Arr., PPE, § 11). ასევე ძნელად გასაზიარებელია თ. მიქელაძის მოსაზრება, რომ Μοσσύνοικοι თუ Μοσσύνοι არიან სვანები (ე.ი. სტრაბონის Σοάνοι, რომელნიც ადრე სამხრეთით მოსახლეობდნენ) და Μοσσύνοι სახელში თითქოს ჩანდეს სვანების თვითსახელწოდება „მუშუან“ და ა.შ. (მიქელაძე 1967: 138; მიქელაძე 1974: 13-14).

საკითხი, როგორც ვხედავთ, საკმაოდ რთულია.[1] ვფიქრობ, რამდენადაც „მოსინიკები“ სხვა, აშკარად დასავლურ-ქართველური ე.ი. მეგრულ-ჭანური ტომების (სანები, ხალდები) გარემოცვაში არიან დასახელებული, გამორიცხული არ უნდა იყოს მათი იმავე ეთნიკური წრისადმი კუთვნილება. მაინც მინდა აღვნიშნო სტრაბონის ცნობის ერთი ნიუანსი: „... ყველა ამ მთებში მოსახლენი სრულიად ველურები არიან, ხოლო აღემატებიან სხვებს ჰეპტაკომეტები, ზოგიერთები ხეებზედაც კი ცხოვრობენ, ან კოშკებში. ამიტომაა, რომ ძველები მოსინიკებს უწოდებდნენ, რადგანაც კოშკებს მოსინები ჰქვია“ (XII, 3, 18). ამრიგად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ სტრაბონისათვის „მოსინიკები“ (Μοσσύνικοι), რომელთაც ზოგიერთი ავტორი უბრალოდ მოსინებს (Μοσσύνοι, Mossyni) უწოდებს (შდრ. Nic. Dams., Παραδόξων; Pomp. Mela, Chorogr., I, 106), ერთი რომელიმე გარკვეული ტო-

1 Μοσσύνοι მიჩნეულია არაბერძნულ, მაგრამ ინდოევროპული წარმოშობის სიტყვად (Hallidey 1923: 106 შმდ.; შდრ. Frisk 1963: 258-259). ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, რომ მოსინიკების სატომო სახელს უკავშირდება თითბერის აღმნიშვნელი სიტყვა ევროპულ ენებში.

მი (თუ ხალხი) კი არაა,[1] არამედ „მთაში მოსახლეთაგან“ „ზოგიერთები“ (τινὲς),[2] რომელნიც „ხის კოშკებში“ ცხოვრობენ.[3]

ქსენოფონტისა და სხვა ბერძენ ავტორთა ცნობები მოსინიკების კოშკების შესახებ წარმოგვიდგენენ ხის უძველეს ძელურ ნაგებობებს, რომელიც კოლხური კოშკური სახლის ვიტრუვიუსისეულ ცნობილ აღწერილობასთან ერთად (II, 1, 46 – შდრ. Лордкипанидзе О., 1989: 233 და იქ დასახ. ლიტ.) საშუალებას გვაძლევს წარმოვადგინოთ მოსინიკთა დასახლების ხასიათი და საცხოვრებელი კოშკები (დაწვრ. იხ. ლეჟავა 1978: 8-9; Джандиери-Лежава 1976: 47-55).

7. ტიბარანები/ტიბარენები (Τιβαρανοί// Τιβαρηνοί)

ამ სახელწოდების მატარებელ ტომებს სტრაბონი 7-ჯერ იხსენიებს (II, 5, 31; XI, 14, 1; XII, 1, 3; XII, 3, 1; XII, 3, 18; XII, 3, 28-29), ამასთან სხვადასხვა ფორმით: ტიბარანები (Τιβαρανοί: II, 5, 31; XI, 14, 1; XII, 3, 1; XII, 3,18) და ტიბარენები (Τιβαρηνοί: XII, 1, 3; XII, 3, 28-29). შეიძლებოდა, ეს განსხვავება გადამწერის შეცდომით აგვეხსნა, მაგრამ ზემოდასახელებული ტომების პარალელური ფორმით მოხსენიება სხვა ავტორებთანაც გვხვდება. ასე, მაგ., პომპონიუს მელასთანაც: Tibarani (I, 13) და Tibareni (I, 106).[4] სტეფანე ბიზანტიელის „ეთნიკას“ ერთ-ერთ ხელნაწერში, სადაც ჰეკატე მილეტელის 143 ფრაგმენტია შემონახული, არის სახელწოდება ტიბარ (Τιβαροί),[5] რომელიც, შესაძლოა, უძველეს ფორმას წარმოადგენდეს.[6] სტრაბონის წინამორბედი ბერძენი მწერლები კი ზემოთ დასახელებულ ტომებს ძირითადად მოიხსენიებენ ტიბარენების (Τιβαρηνοί) სახელით (Hecat., fr. 193; Herod., III, 94; VII, 78; Xenoph., Anab., V, 5, 2-3; VII, 8, 25; Ps.Scyl., აზია, 87; Apoll. Rhod., Arg., II, 377; II, 1010), ისევე როგორც მისი მომდევნო ხანის ავტორებიც (მაგ., Plin., NH, VI, 11; Plut., Lucul., 14, 19; Dion. Perieg., 767 და სხვ.).

1 სტრაბონის წინამორბედ ავტორებთან (განსაკუთრებით ქსენოფონტთან) მოსინიკები აშკარად ცალკე ეთნიკურ ჯგუფად განიხილებიან, მსგავსად კოლხების, მაკრონების, ხალიბების, ტიბარენებისა და ა.შ. ასევეა ფსევდო-სკილაქსთან (აზია, 86: Μετὰ δὲ Μακροκεφάλους Μοσύνοικοι ἔθνος).

2 თუმც სხვა ადგილას (XI, 14, 5) სტრაბონი მოსინიკებს მოიხსენიებს გარკვეული ხალხების (Μήδων... Ἰβήρων... Χαλύβων... Καταόνων... Σύρων...) გვერდით.

3 შდრ. Dion. Perieg., 765: პონტოელ ტომებს (ἔθνεα Πόντου) შორის არიან აგრეთვე „...ისინი, ვისაც ხის მოსინები აქვთ“ (τῃ καὶ οἱ μοσσύνας ἔχουσι).

4 შდრ. Silbermann 1988: 5, 30, 109-1100 (I, 106-ში ერთ-ერთ ხელნაწერში არის თიბერენი).

5 Steph. Byz., s.v. Χοιράδες – შდრ. ლომოური 1963: 30, შენ. 6.

6 „Tibar“ გვხვდება გვხვდება აგრეთვე ევსებიოს კესარიელთან (Euseb. Caes., Praep. Evang., I, 6, 181). შდრ. Wallace-Hadrill 1960. XII ს-ის ბიზანტიელი მეცნიერი ევსტათე თესალონიკელი დიონისიოს პერიეგეტის (ახ.წ. II ს.) „დედამიწის აღწერილობის“ კომენტარებში შენიშნავს, რომ ტიბარენებს მის დროს ეწოდებოდათ ტიბრანები (Τιβρανοί) – Eust. ad 767; ყაუხჩიშვილი თ. 1967: 158-159.

საინტერესოა, რომ სტრაბონთან დაცულია ჩვენთვის საინტერესო ტომების ერთ-ერთი სახელწოდებაც: Τιβαρανικὰ ἔθνη (II, 5, 31), ე.ი. ტიბარანული ტომები (თუ ხალხი).[1]

ტიბარენებით დასახლებულ ტერიტორიას სტრაბონი ტიბარანიას (Τιβαρανία) უწოდებს (VII, 4, 3).[2] ტიბარენების ადგილ-საცხოვრისის შესახებ „გეოგრაფიაში" რამდენიმე მინიშნებაა. მათგან ზოგიერთი ზოგადი ხასიათისაა (II, 5, 31; VII, 4, 3;[3] XI, 14, 1). უფრო კონკრეტულია XII, 3, 18: „ტრაპეზუნტისა და ფარნაკიის ზემოთ ცხოვრობენ ტიბარანები, ისევე როგორც ქალდები და სანები" (Τῆς δὲ Τραπεζοῦντος ὑπέρκεινται καὶ τῆς Φαρνακίας Τιβαρανοί τε καὶ Χαλδαῖοι καὶ Σάννοι). XII, 3, 28-შიც გამეორებულია: „...ფარნაკიასა და ტრაპეზუნტის მახლობლად მდებარე ადგილებს ზემოთ არიან ტიბარენები და ქალდები" (Ὑπὲρ μὲν δὴ τῶν περὶ Φαρνακίαν καὶ Τραπεζοῦντα τόπων οἱ Τιβαρενοὶ καὶ Χαλδαῖοι). ტიბარენები და ქალდები, როგორც მეზობლები, მოხსენებული არიან XII, 3, 29-შიც (τοὺς δὲ Τιβαρηνοὺς καὶ Χαλδαίους μέχρι Κολχίδος καὶ Φαρνακίας καὶ Τραπεζοῦντος). მეორე მხრივ, ქალდების ქვეყანაშია, თითქოს, ქალაქი ფარნაკია[4] (დღევანდელი გირესუნი – იხ. Olshausen-Biller 1984: 156 და იქ დასახ. ლიტ.; Weimert 1984: 100), რომლის სახელის მქონე ოლქი დასავლეთით ისაზღვრებოდა დღევანდელ მდ. მელეტ ირმაკით ანუ ძველი მელანტიოსით (შდრ. Olshausen-Biller 1984: 149, 156). ამრიგად, ტიბარენების ტერიტორია, როგორც ჩანს, იწყება დღევანდელი მდინარე მელეტ-ირმაკის დასავლეთით. ტიბარენთა ტერიტორიის დასავლეთი საზღვრის შესახებ პირდაპირი მითითება „გეოგრაფიაში" თითქოს არაა, მაგრამ იხსენიება „ტიბარენიის სანაპირო" (XII, 1, 3: Τιβαρηνῶν παραλία), რაც მოწმობს, რომ ტიბარენებს შავი ზღვის სანაპირო ზოლიც ეკავათ. ეს დასტურდება უფრო ადრეული ხანის ცნობებითაც,[5] რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქსენოფონტის ცნობა: „ტიბარენების ქვეყანა უფრო ვაკიანი იყო; იქ ზღვის სა-

1 შდრ. Ps.-Orph., 744: Τιβαρηνά ἔθνη.

2 ამავე სახელწოდებას (Τιβαρανία) იხსენიებს ახ.წ. V ს-ის ანონიმური პერიპლუსიც (Anonym. PPE,14). დიოდორე სიცილიელთან არის Τιβαρηνή (Diod. Sic., Bibl., XIV, 30, 7). ეს ფორმა სტრაბონის წინადროინდელ ბერძნულ მწერლობაში არ გვხვდება; იხსენიება მხოლოდ ტიბარენთა ქვეყანა: Τιβαρηνῶν χῶρα (Xen., Anab., V, 5, 2-3) ან Τιβαρηνὶς γαῖα (Apoll. Rhod., Arg., II, 1010; Sch. ad. Apoll. Rhod. II, 1010).

3 ამ ცნობაში ნახსენებია „მთა ტრაპეზუნტი, თანამოსახელე იმ ქალაქისა, რომელიც (მდებარეობს) ტიბარანიასა და კოლხიდასთან": καὶ τὸ ὄρος ἐστὶν ὁ Τραπεζοῦς, ὁμώνυμον τῇ πόλει τῇ περὶ τὴν Τιβαρανίαν καὶ τὴν Κολχίδα. აქედან გამოდის თითქოს, რომ ტიბარანია უშუალოდ ემეზობლებოდა კოლხიდას, რაც არც სხვა წყაროებით დასტურდება და არც სტრაბონის სხვა ცნობებით, საიდანაც ჩანს, რომ კოლხეთის მოსაზღვრე ტრაპეზუსიას მოსდევდა ფარნაკია (შდრ. მაგ., XII, 3, 13 და სხვ. ტრაპეზუსიის და ფარნაკიის ტერიტორიის შესახებ იხ. Weimert 1984: 85 შმდ.; 94 შმდ.; Olshausen-Biller 1984: 156, 171, იქ დასახ. ლიტ.).

4 შდრ. Strabo, XII, 3, 19: Οἱ δὲ νῦν Χαλδαῖοι Χάλυβες τὸ παλαιὸν ὠνομάζοντο, κατ' οὓς μάλιστα ἡ Φαρνακία ἵδρυται.

5 სტრაბონის წინამორბედი ავტორები ტიბარენებს მოიხსენიებენ მოსინიკებსა და ხალიბებს შორის მცხოვრებლებად (შდრ. მაგ., Hecat. – Steph. Byz., s.v. Χοιράδες; Ps.-Scyl., აზია, 86-87; Apoll. Rhod., Arg., II, 374-378; Ps.-Scymn., 914-915.

ნაპიროზე მცირედ გამაგრებული დასახლებები მდებარეობდა“.[1] ქსენოფონტი იუწყება აგრეთვე, რომ ტიბარენების ქვეყანაში მდებარეობდა სინოპელთა მიერ დაარსებული ელინური ქალაქი კოტიორა,[2] რომელიც, როგორც ცნობილია, დღევანდელ ქალაქ ორდუსთანაა ლოკალიზებული (დაწვრ. Ruge 1922: 1549; Saltsi 1955: 5-8; Wilson 1960: 292; Качарава-Квирквелия 1991: 145). ზღვისპირა ზოლში ტიბარენებს მოიხსენიებენ აგრეთვე ფსევდო-სკილაქსი („აზია“, 87) და აპოლონიოს როდოსელი („არგონავტიკა“, II, 376-377, 1010). სავარაუდებელია, რომ ტიბარენებით დასახლებული ტერიტორია დასავლეთით ვრცელდებოდა მდ. გენეტესამდე (თანამედროვე ქაჩალი დერე – Kaçali Dere: Olshausen-Biller 1984: 133). ამგვარი მოსაზრების საფუძველს წარმოადგენს მხოლოდ ის, რომ სტრაბონის წინამორბედ ზოგიერთ ავტორთან მდ. გენეტესის მოსახელე კონცხი უკვე ხალიბების ქვეყანაშია დასახელებული.[3] თუმც, გამორიცხული არაა, რომ სტრაბონის დროს უკვე მომხდარი იყო გარკვეული ცვლილებანი ამ მხარის ეთნიკურ რუკაში.[4]

ამრიგად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სტრაბონის „გეოგრაფიის“ მიხედვით ტიბარენებს ეკავათ ზღვისპირა ზოლი დღევანდელ ქალაქ ორდუს ორსავე მხარეს, დაახლოებით დღევანდელ მდინარეებს მელეტ ირმაკსა და ქაჩალი დერეს შორის, ხოლო სამხრეთით მათი მიწა-წყალი, ალბათ პონტოს მთაგრეხილამდე აღწევდა, სტრაბონის გამოთქმით – „მცირე არმენიამდე“ (XII, 3, 18; XII, 3, 28).

ტიბარენების ეთნიკური ვინაობის შესახებ არც სტრაბონთან და არც მის თანამედროვე თუ წინამორბედ მწერლობაში რაიმე პირდაპირი ცნობა შემონახული არაა. მხოლოდ აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ ერთ-ერთი სქოლიასტი აღნიშნავს, რომ „ტიბარენებიც სკვითური ტომია“ (Sch. ad Apoll. Rhod. II, 37: καὶ Τιβαρηνοὶ ἔθνος Σκυθικόν). მაგრამ იგივე სქოლიასტი ასევე სკვითურ ტომებად მიიჩნევს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მცხოვრებ სხვა ტომებსაც: ხალიბებს (ad II, 373), ბექირებს (ad II, 392), საპირებს (ad II, 395), ბიზერებს (ad II, 3 46), რაც, რა თქმა უნდა, ძალზე შორსაა სინამდვილისაგან[5].

---

1 Anab., V, 5, 2: ἡ δὲ τῶν Τιβαρενῶν χώρα πολὺν πεδινωτέρα καὶ χωρία εἶχεν ἐπὶ θαλάττην ἧττον ἐρυμνά.

2 Anab., V, 5, 3: ἀφίκοντο εἰς Κοτύωρα πόλιν Ἑλληνίδα, Σινωπέων ἄποικον, οὖσαν δ' ἐν τῇ Τιβαρηνῶν χώρα.

3 შდრ. Ps.-Scyl., აზია, 88: „...ტიბარენების შემდეგ არის ტომი ხალიბები, დახურული ნავსადგური გენეტესი“: Μετὰ δὲ Τιβαρενοὺς Χάλυβές εἰσιν ἔθνος, καὶ Γενήτης λιμὴν κλειστός; Apoll. Rhod., Arg., II, 377-378: „...გენეტეს კონცხის გადაღმა ცხოვრობენ ცხვრით მდიდარი ტიბარენები“: ἄγχι δὲ ναιετάουσι πολύρρηνες ὑπὲρ ἄκρην. Γενήτης იხსენიება სტრაბონის „გეოგრაფიაში“ შავი ზღვის სანაპიროზე ამისოსსა და ფარნაკიას შორის (XII, 3, 17), მაგრამ იქ აღნიშნულია არაა, თუ რომელი ტომების მიწა-წყალზე მდებარეობდა იგი (შდრ. მიქელაძე 1974: 116).

4 ასე, მაგ., თუ ქსენოფონტი „ანაბასისში“ ტრაპეზუნტსა და იასონის კონცხს შორის ასახელებს კოლხებს (IV, 8, 22; V, 3, 2), მოსინიკებს (V, 4, 1), ხალიბებს (V, 5, 1) და ტიბარენებს (V, 5, 2). სტრაბონი იმავე ტერიტორიაზე იხსენიებს მხოლოდ ქალდებს და ტიბარენებს (შდრ. Максимова 1956: 194 და შმდ.).

5 ეს შეიძლება იყოს ანარეკლი ბერძნული მწერლობის ერთ ნაწილში გავრცელებული შეხედულებისა, რომელიც შავიზღვისპირეთის მთელ მოსახლეობას სკვითურად განიხილავდა (შდრ. მაგ., Eumel., Fr.2: εἰς Κολχίδα τῆς Σκυθίας; Dion. Perieg., 797-798; Sch. ad Pind. Pith. IV, 301 (169), 379b. (211); Sch.ad Pind.Ol. XIII, 74.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია უკვე გამოითქვა მოსაზრება (შდრ. Gelzer 1873: 19) ტიბარენების იგივეობის შესახებ ძვ.წ. IX-VII საუკუნეების ასურულ წყაროებში არაერთგზის მოხსენიებულ აღმოსავლეთ მცირე აზიის დიდ პოლიტიკურ გაერთიანებასთან – თაბალ-თაბალუ (Luckenbill 1926: 575-580, 582, 674; II, 24-25, 55, 148, 157), რომლის შესახებ მრავალფეროვანი ცნობები მოიპოვება აგრეთვე იეროგლიფურ-ლუვიურ (ადრე იეროგლიფურ-ხეთურად წოდებულ) ტექსტებში (Meriggi 1967; 1975)[1]. იდეა ბერძნულ-რომაული წყაროების ტაბარენებისა და ასურული წყაროების თაბალის იდენტურობის შესახებ საკმაოდ პოპულარულია ჩვენს დროშიც (შდრ. მაგ., ჯანაშია 1959: 64; Gelb 1935: 63-64; Meriggi 1957: 225; Меликишвили 1959: 76; Herzfeld 1968: 126; Barnett 1967: 6-8; მიქელაძე 1974: 131-134 და სხვ.). ამასთან არის ცდებიც თაბალის მოსახლეობის ქართველური სამყაროსადმი მიკუთვნებისა (შდრ. მაგ., ჯანაშია 1959 და სხვ. საკითხის ისტორია დაწვრ. იხ. ხაზარაძე 1978: 70 და შმდ.), მაშინ როდესაც სხვები მათ ლუვიურ სამყაროს უკავშირებენ, ან ფრიგიულ ტომებად მიიჩნევენ (დაწვრ. ხაზარაძე 1978: 59 და შმდ.; იქვე დასახ. ლიტ.). მაგრამ თაბალის მცხოვრებთა ქართველურ წარმომავლობას მკვლევართა ერთი ნაწილი გადაჭრით უარყოფს, რამდენადაც იეროგლიფურ-ლუვიური წარწერების ანალიზი ცხადყოფს თაბალის მოსახლეობის ხეთურ-ლუვიური სამყარისადმი კუთვნილებას. ამასთან არ იზიარებენ დიდი კაპადოკიის ტერიტორიაზე ლოკალიზებული თაბალის ქვეყნის იდენტიფიკაციას ტიბარენებთან, რომელნიც ზემოთ განხილული ბერძნული წყაროების მიხედვით შავი ზღვის სანაპიროზე მოსახლეობდნენ (დაწვრ. იხ. ხაზარაძე 1978: 59 და შმდ.; იქ დასახ. ლიტ.).

თუ თაბალისა და ტიბარენების იდენტურობა გარკვეულ ეჭვს იწვევს[2] (იხ. მაგ., Дьяконов 1968: 193-194; Меликишвили 1959: 76-77), სამაგიეროდ მკვლევართა უმრავლესობა არ გამორიცხავს, რომ ტიბარენები უნდა ყოფილიყვნენ ქართველური, სახელდობრ, დასავლურ-ქართველური, ე.ი. მეგრულ-ჭანური ანუ კოლხური ტომები (Меликишвили 1959: 76-77; მიქელაძე 1974:132; ხაზარაძე 1978: 83-84 და სხვ.). უნდა აღინიშნოს, რომ პირდაპირი დამამტკიცებელი მონაცემები ტიბარენების დასავლურ-ქართველურ ტომებად მიჩნევისათვის ჯერჯერობით მაინც არ გაგვაჩნია. ასეთებად არ გამოდგება არც ტიბარენების უშუალო მეზობლობა კოლხურ ტომებთან და არც მათი სახელწოდების თითქოსდა ქართველური ენების საფუძველზე ახსნა (შდრ. Меликишвили 1959: 76-77), მით უფრო, რომ ტიბარენთა სატომო სახელის დაკავშირება თაბალთან და მისი ქართველური ენების საფუძველზე ახსნა, თანამედროვე ენათმეცნიერების (კერძოდ, ფონეტიკის) მიღწევების ფონზე, ვერ დასტურდება (დაწვრ. ხაზარაძე 1978: 64; ყაუხ-

1 მკვლევართა უმრავლესობა აღიარებს აგრეთვე თაბალისა და ბიბლიურ ტექსტებში (შესაქმე', 28: 2; „ნეშტთა", 1: 5; ეზეკიელი, 32: 6; 38, 2-3; 39: 1; „ესაია" 66: 19) მოხსენიებული „თუბალის" იგივეობას (დაწვრ. ხაზარაძე 1978: 11-16).

2 ასურულ წყაროებში თაბალი (თაბალუ) ქვეყნის სახელწოდებაა და არა ხალხის (Дьяконов 1968: 220). იეროგლიფურ-ლუვიურ ტექსტებში ეს სახელწოდება არ იხსენიება (დაწვრ. ხაზარაძე 1978: 59 და შმდ.).

ჩიშვილი 1983: 52-54). ერთადერთი, რაც შეიძლება მიუთითებდეს ტიბარენების კუთვნილებაზე ქართველური ეთნიკური სამყაროსადმი, შეიძლება იყოს ის, რომ უფრო გვიან ხანაში ტიბარენებით დასახლებულ ტერიტორიაზე, ისევე როგორც ეს უკვე აღინიშნა სანებისა და ხალდების ეთნიკურ ვინაობასთან დაკავშირებით, ცხოვრობენ ჭანები (შდრ. მიქელაძე 1974: 130-132), ე.ი. დასავლურ-ქართველური ანუ ძველი კოლხური ტომები, რომელნიც შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე უნდა გავრცელებულიყვნენ ქართ-ზანური (იბერიულ-კოლხური) ერთობის დაშლის შემდგომ (იხ. V თავის შესავალი). საგულისხმოა, რომ არქეოლოგიურადაც ეს ტერიტორია შედის კოლხური ბრინჯაოს კულტურის არეალში. ასე, მაგ., დღევანდელი ორდუს მახლობლად (სადაც შემდგომ გაჩნდა ბერძნული ქალაქი კოტიორა, რომელიც „ტიბარენების ქვეყანაში მდებარეობდა") აღმოჩენილია კოლხური გვიანბრინჯაოს კულტურისათვის ტიპიური ნივთების (ე.წ. კოლხური ცულები, წალდი და ბრტყელი ცული – Przevorski 1936) შემცველი განძი, რომელსაც ძვ.წ. XIII-XII სს-ით ათარიღებენ (ქორიძე 1965: 19).

სტრაბონის „გეოგრაფიამ" არ შემოინახა ცნობები ტიბარენთა მეურნეობისა[1] და ზნე-ჩვეულებათა, რელიგიის[2] შესახებ. სამაგიეროდ საყურადღებოა სტრაბონის ცნობები ტიბარენთა პოლიტიკური ისტორიიდან[3]. სტრაბონის გადმოცემით, ერთ დროს ტიბარენები გამხდარან მეზობლად მდებარე მცირე არმენიის ქვეშევრდომები (XII, 3, 28). იქვე რამდენადმე ბუნდოვანია ცნობა მითრიდატე VI ევპატორის მიმართ: მცირე არმენიის დინასტების „ქვეშევრდომები იყვნენ ხალდები და ტიბარენები, ისე რომ ტრაპეზუნტამდე და ფარნაკიამდე ვრცელდება მათი ხელისუფლება. ხოლო როდესაც გაძლიერდა მითრიდატე ევპატორი, ის გახდა

1 სტრაბონის წინამორბედ ავტორთა ცნობებიდან ყურადღებას იქცევს აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში" (II, 377) ტიბარენების ეპითეტი „ცხვრით მდიდარი – πολύρρηνες", რომელსაც უფრო გვიან იმეორებენ დიონისიოს პერიეგეტი („მსოფლიოს აღწერილობა", 767) და სხვა ავტორები.

2 ზოგიერთი ავტორი ამტკიცებს, რომ ტიბარენები დიდ ყურადღებას უთმობდნენ სხვადასხვა თამაშებს, სიამოვნებას და სიცილს (იხ. მაგ. Ephoros, Fr. 43 FGrHis=S. Byz. s.v. Tibarania; Ps. Scymn. 914-916; Pomp. Mel., I, 106). ივარაუდება, რომ ეს მინიშნებები გარკვეულ რიტუალს უნდა უკავშირდებოდეს, რომლებსაც ტიბარენები განსაკუთრებულად ეპყრობოდნენ (ხაზარაძე1978 : 36). არსებობს ცნობები ტიბარენების განსაკუთრებულ სამართლიანობაზე ომში და აგრეთვე ქალების განსაკუთრებულ ქცევებზე მშობიარობის შემდეგ (Sch. ad Apoll. Rhod. II,1010). გვიანდელი ხანის ავტორების ცნობების მიხედვით, ტიბარენები თავის ახლო ნათესავებს, რომლებსაც დიდი ასაკისთვის ჰქონდათ მიღწეული, მაღალი კლდიდან აგდებდნენ (Proph. IV,21; Euseb. Kais., I, 4; Theodoret IX: Proph. IV, 21 Migne PG, 83:1045-1048).

3 ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს ჰეროდოტესგან მომდინარე ცნობა, რომლიდანაც ჩანს, რომ ტიბარენები ექვემდებარებოდნენ აქემენიდურ ირანს და გაერთიანებული იყვნენ მე-19 სატრაპიაში. ამავდროულად მათ გარკვეული ხარკიც უნდა ეხადათ (Hdt. III, 94). ისინი მონაწილეობდნენ ირანელთა სამხედრო ლაშქრობებში და შეიარაღებული იყვნენ ხის მუზარადებით, პატარა ფარებით და განსაკუთრებით გრძელწვეტიანი მახვილებით (VII, 78). ქსენოფონტის ხანისთვის ტიბარენები უკვე დამოუკიდებლები უნდა ყოფილიყვნენ (Anab. VIII, 8, 25). ქსენოფონტი, რომელთანაც სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მდებარე ბერძნული კოლონიების ადგილობრივ ხალხებთან ურთიერთობის შესახებ ძალიან საინტერესო ცნობებია შემონახული, ტიბარენებთან მიმართებაში მოგვითხრობს, რომ მათ ქვეყანაში „კოტიორა, ბერძნული ქალაქი მდებარეობდა, რომელიც სინოპელთა მიერ იყო დაარსებული" (Anab. V, 5, 3). გარდა ამისა, ეს იმას ნიშნავს, რომ სინოპელებმა ტიბარენებს ტერიტორია ჩამოაჭრეს (Anab. V, 5, 10; შდრ. V, 5, 7 და 19). აქ საინტერესო ცნობაა გადმოცემული კოტიორას და სინოპეს შორის დამოკიდებულების შესახებ, ე. ი. მეტროპოლიასა და კოლონიას შორის.

კოლხიდისა და ყველა ამათი ბატონი". ვინ იგულისხმება „ყველა ამათში" (τούτων ἁπάντων): ტრაპეზუნტი და ფარნაკია? თუ აგრეთვე ქალდები და ტიბარენებიც? „გეოგრაფიის" XII, 3, 1-დან იქმნება შთაბეჭდილება, რომ ტიბარენები თითქოს მითრიდატე VI ევპატორის სახელმწიფოში არ შედიოდნენ, რამდენადაც სტრაბონი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მითრიდატეს „ეპყრო (ქვეყანა) შემოსაზღვრული ჰალისით ვიდრე ტიბარენებამდე და არმენიელებამდე". თუმც ზოგიერთი მკვლევარი მაინც ვარაუდობს, რომ ბერძნული ქალაქი კოტიორა და ტიბარენების ქვეყანაც ჯერ კიდევ ფარნაკე I-ის დროს შევიდა პონტოს სამეფოს შემადგენლობაში (შდრ. Колобова 1949: 28; Ломоури 1979: 59 და შმდ., 139, 167; Тодуа 1990: 27-30).

სტრაბონის ცნობით, „ტიბარენები და ხალდები კოლხიდამდე, ფარნაკიამდე და ტრაპეზუნტამდე უპყრია პითოდორისს" (XII, 3, 29). ამ უკანასკნელმა აზიის სამფლობელოები მემკვიდრეობით მისი ქმრის პოლემონ I-ის გარდაცვალების შემდგომ, ახ.წ. 8 წელს მიიღო. მაგრამ სტრაბონის ცნობიდან არ ჩანს, ტიბარენების ქვეყანა პითოდორისმა მემკვიდრეობით მიიღო თუ თვითონ შემოიერთა.

8. სოანები (Σοάνες)

ამ სახელწოდების ტომს სტრაბონი მხოლოდ ორგან ახსენებს (XI, 2, 14; XI, 2, 19). მათი განსახლების შესახებ აღნიშნულია, რომ მითრიდატეს ამბების აღმწერთა მიხედვით, ისინი ცხოვრობენ კავკასიონის მთებში, კოლხების ზემოთ (XI, 2, 14: Κόλχους καὶ τοὺς ὑπὲρ τούτων Φθειροφάγους καὶ Σοάνας).

XI, 2, 19-ში სოანები ფთეიროფაგებთან ერთად დასახელებული არიან იმათ შორის, ვინც თავს იყრის დიოსკურიაში (Τῶν δὲ συνερχομένων ἐθνῶν εἰς τὴν Διοσκουριάδα καὶ οἱ Φθειροφάγοι εἰσίν... πλησίον δὲ καὶ οἱ Σοάνες). სულ ნათელია არაა მხოლოდ πλησίον (ე.ი. „მახლობლად") გულისხმობს დიოსკურიას თუ ფთეიროფაგებს.

სოანები (Σοάνες) სტრაბონის წინამორბედ ბერძნულ მწერლობაში არ იხსენიებიან, ხოლო გვიანდელ წყაროებში, რამდენადაც ვიცი, მხოლოდ პლინიუსთან (NH, VI, 14: Suanis). თუ არ ჩავთვლით კლავდიოს პტოლემაიოსთან დასახელებულ სოანკოლხებს (Σουαννόκολχοι: Claud., Ptolem. Georg., V, 8, 25). აქ უნდა იგულისხმებოდნენ კოლხებს დამორჩილებული სუანები (ყაუხჩიშვილი 1976ა: 161). იმავე დროს, ეს ცნობა მიჩნეულია აგრეთვე სოანების თუ სუანების ტომის იმ დროს ზღვისპირა ზოლშიც, კერძოდ, დიოსკურიის ირგვლივ გავრცელების მოწმობად (Меликишвили 1959: 92).

ბიზანტიურ ხანაში სოანები იხსენიებიან მისიმიანების სახელით (Μισιμιανοί), რომელშიც გამოსჭვივის სვანთა თვითსახელწოდება მუ-შუან (ე.ი. ის, ვინც ეკუთვნის სვანთა ტომს – დაწვრ. ყაუხჩიშვილი ს. 1936: 277 და შმდ.).

სტრაბონისეული სოანები (Σοάνες) და პლინიუსის სუანები (Suani) სრულიად აშკარად არიან დღევანდელი სვანები – მთის ქართველური ტომი, რომელიც

დღესაც ცხოვრობს საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ მთიანეთში – კავკასიის სამხრეთ კალთებზე. როგორც ჩვენი წიგნის ამ ნაწილის („ეთნიკა“-ს) შესავალში უკვე აღნიშნული იყო, სვანური ენა ერთ-ერთი პირველი გამოეყო საერთო ქართულ (პრაქართულ) ფუძე-ენას (შდრ. სურ. III: G). ამ ენის მატარებელი ეთნოსი თავდაპირველად დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე განსახლდა, ხოლო შემდეგ ისინი შეავიწროვეს კოლხებმა, რის შემდეგ სვანებმა დაიკავეს ძველი დიოსკურიის, ე.ი. დღევანდელი სოხუმის (რომლის ძველი სახელწოდება, ძველქართული საისტორიო წყაროების ცხუმი[1] სვანურადაა მიჩნეული – მიქელაძე 1974: 11) მიდამოები, მდ. კოდორის, ენგურისა და ცხენისწყლის ზემო წელი, კავკასიის ქედის სამხრეთი კალთები (დაწვრ. მიქელაძე 1974: 10 და შმდ.; Гамкрелидзе-Иванов 1984: II, 880, შენ. 2). სწორედ ამ ადგილებში დააფიქსირა ისინი სტრაბონმა თუ მისმა წყარომ („გეოგრაფია“, XI, 2, 14; XI, 2, 19).

9. ჰენიოხები (Ἡνίοχοι)

კოლხებისა და კოლხიდის სამხრეთით მოსაზღვრე ზღვისპირა ტომებს შორის „გეოგრაფიაში“ ყველაზე უფრო ხშირად ჰენიოხები (Ἡνίοχοι) იხსენიებიან (II, 5, 31; XI, 2, 1; XI, 2, 12-14; XI, 5, 6; XVII, 3, 24). ამასთან ისინი „გეოგრაფიის“ მიხედვით თითქოს ალბანელებთან, იბერებთან და კოლხებთან ერთად ამიერკავკასიის უმთავრეს ხალხადაა წარმოდგენილი (შდრ. XI, 5, 6: Τὰ μὲν οὖν ὑψηλότατα τοῦ ὄντως Καυκάσου τὰ νοτιώτατά ἐστι, τὰ πρὸς Ἀλβανίᾳ και Ἰβηρίᾳ καὶ Κόλχοις καὶ Ἡνιόχοις).

„გეოგრაფიაში“ შემონახულია ჰენიოხთა ტომის წარმოშობის შესახებ ძველ ბერძნულ სამყაროში, როგორც ჩანს, ფართოდ გავრცელებული შეხედულება: „ჰენიოხია დაასახლეს ლაკონიელებმა, რომელთაც მეთაურობდნენ დიოსკურების მეეტლეები რეკასი და ამფისტრატოსი. როგორც ჩანს, მათგან მიიღეს სახელწოდება ჰენიოხებმა“ (XI, 2, 12: (Φασὶ... οἰκίσαι, Λάκωνας δὲ τὴν Ἡνιοχίαν, ὧν ἦρχον Ῥέκας καὶ Ἀμφίστρατος, οἱ τῶν Διοσκούρων ἡνίοχοι, καὶ τοὺς Ἡνιόχους ἀπὸ τούτων εἰκὸς ὠνομάσθαι). ამ გადმოცემას, რომელშიც ასახულია რაღაც უძველესი ტრადიცია საბერძნეთიდან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ტომთა გადმოსახლების შესახებ,[2] როგორც ფიქრობენ, საფუძვლად დაედო ამ ტომის ადგილობრივი სახელწოდების სიახლოვე ბერძნულ სიტყვასთან ἡνίοχος,

1 სვანური ენა ერთ-ერთი უძველესი ქართველური ენაა, რომელიც საერთო-ქართველური ფუძე-ენის დაშლის შემდგომ წარმოიშვა და ყველაზე მეტად შემოინახა არქაული ნიშნები (გამყრელიძე-მაჭავარიანი 1965; ქალდანი 1969; Tschumburidse 1990/91).

2 ჩვენ ზემოთ უკვე ვახსენეთ ცნობები სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ხალიბებისა და მაკრონების თითქოსდა კუნძულ ევბეიდან გადმოსახლების შესახებ. ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში კი საბერძნეთიდან არგონავტების ლაშქრობის დროს გადამოსახლებულ ტომებს შორის სტრაბონი ასახელებს აქეელებს (XI, 2, 12; შდრ. IX, 2, 42: აქ ტროის დაცემის შემდეგ არიან გადმოსახლებული), რასაც იმეორებენ აგრეთვე სხვა ავტორებიც (დაწვრ. ყაუხჩიშვილი 1980ა: 33-37).

ე.ი. „მეეტლე“.[1] ვარაუდობენ, რომ, შესაძლოა, ამ მსგავსების გამო გაჩნდა ლეგენდა, რომლის თანახმად ჰენიოხთა ტომის მამამთავრად თვლიდნენ არგონავტების ლაშქრობის დროს კოლხეთში მოსული ლაკონიელი დიოსკურების ანუ ტინდარიდების მეეტლეებს ან თვით დიოსკურებს. ამასთან, მათ უკავშირებდნენ ქალაქ დიოსკურიის დაარსებასაც, რომელიც ჰენიოხთა ქვეყანაში მდებარეობდა (დაწვრ. ყაუხჩიშვილი 1980ა: 57 და შმდ.).

ჰენიოხთა წარმოშობის შესახებ ლეგენდას, რომელსაც, რამდენადაც ვიცი, პირველად სტრაბონთან ვხვდებით, მეტ-ნაკლები სხვაობით იმეორებენ უფრო გვიანდელი ავტორები და სქოლიასტებიც. იხ.: Pomp. Mela., Chorogr., I, i11; Plin, NH, VI, 16; Solin., 15, 17; Pomp. Trog., Just., XLII, 33; Amm. Marc., XXII, 8, 24; Sch. ad Lucr.; Eusth., Sch. ad Dion. Perieg., 680-700.

ჰენიოხთა უძველეს დროში განსახლების ადგილის შესახებ ცნობა არისტოტელეს „პოლიტიადან“ მომდინარეობს და იგი ძვ.წ. II ს-ის კომპილატორთან ჰერაკლიდესთანაა შემონახული (Dilts 1971: 28). ამ ცნობის თანახმად, ჰენიოხები თითქოს ფასისის მიდამოებში მოსახლეობდნენ მილეტელების მიერ აქ თავისი აპოიკიის დაარსებამდე („ფასისში თავდაპირველად ჰენიოხები ცხოვრობდნენ, კაციჭამია და ადამიანთა ტყავის გამხდელი ტომი, შემდეგ მილეტელები“ (Φᾶσιν, ὡς τὸ ἐξ ἀρχῆς Ἡνίοχοι κατῴκουν... ἔπειτα Μιλήσιοι =ყაუხჩიშვილი 1969: 73), მაგრამ ჰენიოხთა განსახლება მდ. ფასისის (ე.ი. დღევანდელი რიონის) შესართავთან არ დასტურდება სხვა წყაროებით, რომელნიც ამ ტომის ადგილსაცხოვრისს ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში – კოლხების ჩრდილოეთით ან ზოგჯერ აგრეთვე სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთშიც უჩვენებენ. ამიტომ ცნობა უძველეს დროში ჰენიოხთა ფასისის მიდამოებში განსახლებისა გარკვეულ ეჭვს იწვევს,[2] თუმც, რა თქმა უნდა, გამორიცხული არაა ამ ტომის შემდგომი მოძრაობაც ჩრდილოეთისაკენ მისი თავდაპირველი საცხოვრისიდან, რომელიც შესაძლოა უძველეს ხანაში სადღაც სამხრეთით მდებარეობდა.[3]

სტრაბონის წინადროინდელ ბერძნულ მწერლობაში ჰენიოხები მოიხსენიებიან ფსევდო-სკილაქს კარიანდელის „პერიპლუსში“ (აზია, § 76). აქ ჰენიოხები დასახელებული არიან აქეელებსა და კორაქსებს შორის, ხოლო ამ უკანასკნელთა

---

1 ეს სიტყვა, როგორც ცნობილია, წარმოადგენს კომპოზიტს ἡνία („სადავე“) და ἔχω („მაქვს“), ე.ი. ჰენიოხი (Ἡνίοχος) ნიშნავს „სადავის მჭერი“, „მეეტლე“.

2 გასათვალისწინებელია, რომ, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ქალაქ ფასისთან დაკავშირებით (იხ. ამავე წიგნში), ზოგიერთი მკვლევარი არც თუ უსაფუძვლოდ, დიდი ხანია გამოთქვამს ეჭვს, რომ ჰერაკლიდესთან შემორჩენილ ფრაგმენტში საერთოდ არაა საუბარი ქალაქ ფასისზე, ხოლო საწყისი ფრაზა Φᾶσις უნდა გავიგოთ როგორც არა ტოპონიმი, არამედ ზმნა: φασίν „ამბობენ“ (Ломоури 1988: 128-129).

3 ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ ბერძნული კოლონიზაციის წინარე ხანაში, ძვ.წ. VIII-VII სს-ში ჰენიოხების თავდაპირველი სამშობლო იყო სამხრეთით, სადაც მათ თითქოს ურარტული წყაროები „იგანიეხის“ (i-ga-ni-e-hi – შდრ. Меликишвили 1960: 155 C_{52}) სახელით მოიხსენიებდნენ (შდრ. Ушаков 1946: 38) და შემდეგ დაიწყო მათი განსახლება დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, საიდანაც ისინი განდევნეს კოლხებმა, რის შემდეგ ჰენიოხები აღმოჩნდნენ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე (ინაძე 1955: 13 და შმდ.). ამ მოსაზრებას სხვა მკვლევარები არ იზიარებენ (შდრ. ყაუხჩიშვილი თ. 1980ა: 75-76).

შემდგომ კოლხიდამდე მოხსენიებული არიან კოლები (Κωλικὴ ἔθνως), მელანქლენები (Μελάγχλαινοι) და გელონები (Γέλωνες) (Ps.-Scyl., აზია, 75-79). ამრიგად, ჰენიოხები ფსევდო-სკილაქსის მიხედვით, კოლხიდის ჩრდილოეთით, შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სექტორში მოსახლეობენ.[1] მაგრამ ფსევდო-სკილაქსის „პერიპლუსის" მიხედვით ჰენიოხთა ტერიტორიის ზუსტი განსაზღვრა ვერ ხერხდება, რამდენადაც ზემოთჩამოთვლილი ტომების მიწა-წყალზე ფსევდო-სკილაქსი არც დასახლებულ პუნქტებს მოიხსენიებს და არც მდინარეებს.[2] მაინც ივარაუდება, რომ აქ ისინი დაახლოებით დღევანდელი მდინარე ბზიფის შესართავიდან უფრო ჩრდილოეთით არიან განსახლებული (ყაუხჩიშვილი 1980ა: 64).

ფსევდო-სკილაქსის შემდგომ ჰენიოხთა განსახლების ტერიტორიის შესახებ ცნობები უკვე სტრაბონის „გეოგრაფიაში", აგრეთვე დაახლოებით მის თანამედროვე და შემდგომ ძირითადად რომაელ ავტორთა ნაწარმოებებშია წარმოდგენილი.

გვიანელინისტურ ხანაში ჰენიოხთა განსახლების ტერიტორიის განსასაზღვრავად სტრაბონის „გეოგრაფია" ფასეულია იმითაც, რომ მასში შემონახულია ძვ.წ. II-I სს-ის ბერძენი გეოგრაფოსის არტემიდორე ეფესელის ცნობა: „არტემიდორე ამბობს, რომ ...შემდეგ აქეელთა [სანაპირო] 500 [სტადიონი], მერე ჰენიოხთა [სანაპირო] – 1 000 (სტადიონი), ხოლო დიდი პიტიუნტისა – დიოსკურიამდე 360" (XI, 2, 14: Ἀρτεμίδωρος... λέγει... εἶτα τὴν τῶν Ἀχαιῶν σταδίων πεντακοσίων, εἶτα τὴν τῶν Ἡνιόχων χιλίων, εἶτα τὸν Πιτυοῦντα τὸν μέγαν τριακοσίων ἑξήκοντα μέχρι Διοσκουριάδος). ამრიგად, ჰენიოხთა სამხრეთი საზღვარი აქ ქალაქ პიტიუნტის ჩრდილოეთითაა ნაგულისხმევი.

ჰენიოხთა და შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში განსახლებული ტომების შესახებ სტრაბონი თავის თვალსაზრისს გამოთქვამს იმავე XI, 2, 14-შიც, მაგრამ აქ უფრო ცალკეულ ტომთა განსახლების თანმიმდევრობაზეა საუბარი (შდრ. აგრეთვე II, 5, 31). მაინც „გეოგრაფიაში" თითქოს არის რამდენიმე კონკრეტული მინიშნება ჰენიოხთა გავრცელების საზღვრების შესახებ. თუ ამ ტომთა განსახლების შესახებ სტრაბონის „გეოგრაფიის" მონაცემებს შევუდარებთ ფსევდო-სკილაქსის „პერიპლუსს", დავინახავთ, რომ „გეოგრაფიაში" ფსევდო-სკილაქსთან ჩამოთვლილი ტომების ერთი ნაწილი (კორაქსები, კოლები, მელანქლენები და გელონები – Κοραξοί, Κωλικὴ ἔθνος, Μελάγχλαινοι, Γέλωνες) აღარ იხსენიება. მათ ნაცვლად აქეელების შემდეგ არიან ზიგები და

1 როგორც ეს სტეფანე ბიზანტიელის მიერ გადმოცემული ფრაგმენტიდან ჩანს, ჰეროდოტეს უმცროსი თანამედროვეს, ჰელანიკოს ლესბოსელის მიხედვით, ჰენიოხები ჩრდილოეთში, კერკეტების მეზობლად იყვნენ ლოკალიზებული – Steph. Byz., s.v. Χαριμάται, ... καὶ᾽ Ἑλλάνικος ἐν κτίσεσιν ἐθνῶν καὶ πόλεων „Κερκετέων δ᾽ ἄνω οἰκέουσι Μόσχοι καὶ Χαριμάται, κάτω δ᾽ Ἡνίοχοι, ἄνω δὲ Κοραξοί".

2 გამონაკლისია § 79: Μελάγχλαινοι, რომელთა ტერიტორიაზე დასახელებულია მდინარეები Μετάσωρις და Αἰγίπιος, რომელთა ლოკალიზაცია, რამდენადაც ვიცი, არ ხერხდება. ამასთან ამ ტომის (Μελάγχλαινος) ადგილსაცხოვრისი, რომელსაც ჯერ კიდევ ჰეკატე (Fr. 154) და ჰეროდოტე (IV, 101, 107 და სხვ.), ხოლო მათ შემდეგ კიდევ მრავალი სხვა ავტორი იხსენიებს, ჯერჯერობით ვერ დგინდება და მის შესახებ, ისევე როგორც მათი ეთნიკური კუთვნილების შესახებ, აზრთა სრული სხვადასხვაობაა (დაწვრ. Доватур-Каллистов-Шишова 1982: 350-352 და იქ დასახ. ლიტ.).

შემდეგ კერკეტები, რომელთაც მოსდევენ ჰენიოხები (XI, 2, 11), ხოლო „ჰენიოხების შემდეგ მდებარეობს კოლხიდა“ (XI, 2, 1: μετὰ δὲ τοὺς Ἡνιόχους ἡ Κολχίς).

XI, 2, 12-ში თითქოს დაზუსტებულია, რომ „სინდიკესა და გორგიპიას შემდეგ ზღვასთან არის აქეელთა, ზიგთა და ჰენიოხთა სანაპირო“ (Μετὰ δὲ τὴν Σινδικὴν καὶ τὴν Γοργιπίαν ἐπὶ τῇ θαλάττῃ ἡ τῶν Ἀχαιῶν καὶ Ζυγῶν καὶ Ἡνιόχων παραλία). აქ მოხსენიებული სინდიკეს (Σινδική) მთავარი ქალაქი გორგიპია (Γοργιπία) მდებარეობდა დღევანდელი ანაპის მიდამოებში (დაწვრ. Качарава-Квирквелия 1991: 78).[1] შემდეგ იწყებოდა აქეელთა სანაპირო დაახლოებით დღევანდელ სოჭსა და ტუაფსეს შორის (ყაუხჩიშვილი 1980ა: 33), მათ შემდეგ არიან ზიგები, რომელთაც აიგივებენ ჩრდილო-კავკასიურ ტომთან ჯიქებთან (ინგოროყვა 1954: 125). ჰენიოხია, მაშასადამე, მდებარეობს ზიგების სანაპიროსა და კოლხიდას შორის. სტრაბონის ცნობების საფუძველზე კოლხიდის ჩრდილოეთი საზღვარი ზღვის სანაპიროსთან, როგორც ზემოთ (იხ. ამავე წიგნში, IV თავი, 9. 1) ვნახეთ, დღევანდელი მდ. ბზიფის შესართავის ჩრდილოეთით იწყებოდა და სადღაც დღევანდელი სოჭი-ადლერის მიდამოებამდე აღწევდა.

ამრიგად, სტრაბონის დროს და რამდენადმე ადრეც, ჰენიოხები შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე სახლობდნენ. სტრაბონის „გეოგრაფიის“ მიხედვით ისინი კოლხების უშუალო მეზობლები არიან ჩრდილოეთით და, მაშასადამე, მათი ტერიტორიაც დღევანდელი მდინარე ბზიფის ჩრდილოეთითაა.

სტრაბონის „გეოგრაფიისაგან“ განსხვავებულ სურათს წარმოგვიდგენენ შემდგომი ხანის, ე.ი. რომაული ხანის ბერძენი და ლათინი გეოგრაფოსები და ისტორიკოსები. მათი ცნობებით ჰენიოხები სახლობენ კიდევ უფრო სამხრეთითაც. მაგ., პომპონიუს მელას ცნობით: „ჰენიოხთა საზღვრებშია დიოსკურია (Chorogr. I, 19, 111: in Heniochorum finibus Dioscorias a Castore et Polluce, Pontum cum Iasone ingressis). თუ აქ მართლაც საქმე არ გვაქვს იმ ფართოდ გავრცელებული შეხედულების ანარეკლთან, რომლის თანახმად ჰენიოხები და ქალაქი დიოსკურია უკავშირდებოდა დიოსკურებს და მათ მეეტლეებს, მაშინ პომპონიუს მელას ზემოთ მოტანილ ცნობაში შეიძლებოდა დაგვენახა მოწმობა ოდესღაც დიდი და ძლიერი კოლხეთის ტერიტორიაზე ახ.წ. პირველი საუკუნეებიდან მეზობელი რეგიონებიდან (განსაკუთრებით მთიანი მხარეებიდან) სხვადასხვა ტომების შემოჭრის რთული პროცესისა, რომელიც აგრე თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი რომაული ხანის წყაროებში (დაწვრ. Меликишвили 1959: 363 და შმდ.). ძველი კოლხეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე ახ.წ. I საუკუნიდან ჰენიოხთა შემოჭრის შესახებ პომპონიუს მელას ზემოთმოტანილ ცნობას გვიდასტურებს პლინიუსიც, რომელსაც ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის აღწერისას, როგორც ცნობილია, ხელთ ჰქონდა სხვადასხვა დროის წყაროები. ამიტომ ხშირად მისი ცნობე-

1 გორგიპიის სამხრეთით წყაროებში სხვა ბერძნული ქალაქები და დასახლებებია ნახსენები: ბატა (თანამედროვე ნოვოროსიისკთან), ტორიკოსი (გელენჯიკის ყურეში), ნესისი (ბზიფის შესართავთან) — Качарава-Квирквелия 1981:s.v.

ბი სხვადასხვა დროის ვითარებას ასახავს. ჰენიოხებთან დაკავშირებით უთუოდ ძველი წყაროდან მომდინარეობს მითითება (NH, VI, 30) ჰენიოხების აქეელთა მეზობლად განსახლების შესახებ (ე.ი. როგორც ფსევდო-სკილაქსთან და სტრაბონთანაა წარმოდგენილი). მაგრამ თუ პლინიუსთან ჰენიოხები იხსენიებიან ერთ შემთხვევაში (NH, VI, 30) აქეელების მეზობლად (სტარბონის მსგავსად), სამაგიეროდ VI, 14 და 15-ში დასახელებული არიან ქალაქ Cygnum-თან, რომელიც უნდა იყოს პომპონიუს მელას კიკნოსი (Cycnum: Chorogr., I, 110) და ფსევდო-სკილაქსის გიენოსი (Γυηνός: აზია, 81) დღევანდელი ოჩამჩირის მიდამოებში (Лордкипанидзе О. 1979: 133, შენ. 138; შდრ. Качарава-Квирквелия 1991: 154). თუმც, იმავე დროს მოხსენიებულია „კოლხური ქალაქი დიოსკურიასი მდ. ანთემუნტთან". ასე რომ, პლინიუსის ცნობებში ჰენიოხები ერთდროულად კოლხიდის ჩრდილოეთითაც არიან დასახელებული და მის ტერიტორიაზეც – დღევანდელი ოჩამჩირის მიდამოებში. იმავე დროს პლინიუსისათვის ჰენიოხია კრებითი სახელი ჩანს (შდრ. NH, VI, 14: multis nominibus Heniochorum gentes).

პლინიუსსავე აქვს მითითება ჰენიოხების სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ტრაპეზუნტის აღმოსავლეთით განსახლების შესახებ (შდრ. NH, VI, 11). VI, 26-ში ნათქვამია, რომ მდ. მტკვარი (Cyrus) სათავეს იღებს ჰენიოხების მთებში (Cyrus oritur in Heniochis montibus). თუმც, იქვეა აღნიშნული, რომ ამ მთებს კორაქსის მთებიც ეწოდება. ეს უკანასკნელი კი ჩრდილოეთ კავკასიონთან იგულისხმება, რაც მოწმობს, რომ აქ სხვადასხვა წყაროების მონაცემთა აღრევასთან გვაქვს საქმე.

ძნელი სათქმელია, როგორ უნდა აიხსნას ერთსა და იმავე ავტორთან ერთი და იმავე ტომის სხვადასხვა ადგილას დასახელება: სხვადასხვა დროის წყაროების მექანიკურ გაერთიანებასთან გვაქვს საქმე, თუ პლინიუსის ცნობებში უკვე ასახულია ჰენიოხთა ტომის ან მისი ერთი ნაწილის სავარაუდებელი მოძრაობა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ? აქ ტრაპეზუნტის მიდამოებში მათ ახ.წ. 134 წლისათვის არიანეც იხსენიებს: „[სანების] გვერდით არიან მაკრონები და ჰენიოხები" (§ 11: τούτων δὲ ἔχονται Μάκρωνες καὶ Ἡνίοχοι).

ამრიგად, ამ და სხვა კიდევ მრავალ ცნობაში ასახულია ჰენიოხთა ტომის განსახლების სტრაბონის შემდეგდროინდელი ვითარება, რომლის განხილვა ამჯერად სცილდება ჩვენი თემის ფარგლებს, როდესაც ხდება თითქოს ჰენიოხთა ტომის (თუ ტომების) გადანაცვლება თავდაპირველად ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მდებარე ტერიტორიიდან სამხრეთისაკენ (დაწვრ. ჰენიოხების შესახებ ცნობების მიმოხილვა და ანალიზი იხ. Kiessling 1912, ხოლო უახლესი ნაშრომებიდან – ყაუხჩიშვილი 1980ა).

ჰენიოხთა ეთნიკური ვინაობის საკითხი საკმაოდ რთულია და მის შესახებ გამოთქმულია მრავალი მოსაზრება. უმრავლესობა მათ ქართველურ ტომად მიიჩნევს, მაგრამ თუ კონკრეტულად რომელ ტომად, არ ასახელებენ (შდრ. მაგ., Kiessling 1912: 278; ყაუხჩიშვილი 1980ა: 74). ჰენიოხებს ზოგიერთები მეგრელ-ჭა-

ნებად თვლიან (ჯავახიშვილი 1950: 136; ინგოროყვა 1954: 122-124, 135; ინაძე 1955: 13-21; ლომოური 1955ა: 54; გიგინეიშვილი 1957: 115-124 და სხვ.), ხოლო სხვები სვანებად (Орбели 1911: 200-208; მიქელაძე 1974: 16, 72). გ. მელიქიშვილის აზრით, ჩრდილოეთით მცხოვრები ჰენიოხები სვანები არიან (Меликишвили 1959: 91-92; 1965: 64 და შმდ.), სამხრეთით მოსახლენი კი – მეგრელ-ჭანები (Меликишвили 1959: 373-374). გამოთქმულია აგრეთვე მოსაზრება, რომ ჰენიოხები იყო აფხაზურ-ადიღეური ტომი (Анчабадзе 1964: 134-137). ამრიგად, ჰენიოხთა ეთნიკური კუთვნილების საკითხი მაინც ღიად რჩება.[1]

10. დასკვნისათვის

ამრიგად, სტრაბონის „გეოგრაფია"-ში დაფიქსირებულია ქართველთა ეთნიკური განვითარების ერთ-ერთი ეტაპი, როდესაც უკვე სახეზეა საერთო ფუძეენის მატარებელი ეთნოსის დიფერენციაციის შედეგად წარმოქმნილი სამივე ძირითადი ქართველური ეთნიკური ჯგუფი: ა) აღმოსავლურქართული (იბერები ანუ ქართები და მოსხები//მესხები), რომელიც დღევანდელი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე იყო განსახლებული (დეეტერსის სქემაში სურ. III-IV: C); ბ) დასავლურქართული, რომელიც ორი განშტოებითაა წარმოდგენილი: დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მეგრელები ანუ კოლხები (დეეტერსის სქემით D_1) და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში – ჭანები: სანები, ხალდები, ჰეპტაკომეტები (მოსინიკები?), ტიბარენები(?)... (დეეტერსის სქემით D_2) და გ) საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ მთიანეთში – სვანები: სუანოი, ჰენიოხები (?) (დეეტერსის სქემით G).

თუ სტრაბონის „გეოგრაფია"-ში მოხსენიებულ ქართველურ ტომებს წარმოვიდგენთ გ. დეეტერსის ლინგვისტური სქემის მიხედვით, ქართველთა ეთნიკური განვითარების სურათი ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისისათვის შემდეგ სახეს მიიღებს – იხ. სურ. IV (შდრ. სურ. V).

1 ჰენიოხთა ტომის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათაგან (დაწვრ. ყაუხჩიშვილი 1980), იქნებ, საინტერესო იყოს გავიხსენოთ კიდევ ზოგიერთი. ასე მაგ., გამოთქმულია მოსაზრება ურარტულ ლურსმულ წარწერებში მოხსენიებული იგანიეხისა (Iganiechi) და ბერძნული წყაროების ჰენიოხების (Ἡνίοχοι) იგივეობის შესახებ (Ушаков 1946: 38). მაგრამ ურარტულ წყაროებში მოხსენიებული იგანიეხები და მათი ქვეყანა სამხრეთით მდ. ჩალდირის აუზში ივარაუდება, რაც არ შეესაბამება ბერძნული წყაროების ჰენიოხთა განსახლების არეალს. პრობლემატურია ენობრივადაც იგანიეხისა და ჰენიოხების ურთიერთკავშირი (შდრ. გიგინეიშვილი 1975: 120; ყაუხჩიშვილი 1980ა: 73-74). გამოთქმულია აგრეთვე მოსაზრება, რომ თითქოს ჰენიოხთა სატომო სახელი იხსენიება ბიბლიურ ტექსტებში. ესაა კაენის შვილი ჰენოხი („დაბადება", IV-17, ჯავახიშვილი 1951: 403).

VI თავი

საზოგადოებრივ-სოციალური წყობა

კოლხეთი

XI, 2, 18: Μετὰ δὲ ταῦτα διαδεξάμενοι βασιλεῖς εἰς σκηπτουχίας διηρημένην ἔχοντες τὴν χώραν μέσως ἔπραττον.

„ამის შემდეგ მემკვიდრე მეფეებმა სკეპტუხიებად დაჰყვეს ქვეყანა და ჰქონდათ ზომიერი ძალაუფლება“ (ყაუხჩიშვილი 1957: 124).

ამ ცნობის ინტერპრეტაცია მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ციტირებული ტექსტის მომდევნო ფრაზის – „ხოლო როდესაც მითრიდატე ევპატორის ძალაუფლება მნიშვნელოვნად გაძლიერდა, მის ხელში გადავიდა ქვეყანა“ (αὐξηθέντος δὲ ἐπὶ πολὺ Μιθριδάτου τοῦ Εὐπάτορος, εἰς ἐκεῖνον ἡ χώρα περιέστη) – საფუძველზე ვარაუდობენ, რომ კოლხეთის დანაწილება სკეპტუხიებად განხორციელდა თითქოს ძვ.წ. II ს-ის შუა ხანებში (ე.ი. მითრიდატეს მიერ უშუალოდ კოლხეთის დაპყრობის წინ – Лордкипанидзе Г. 1970: 13), მაგრამ ცნობა კოლხეთის სკეპტუხიებად დანაწილებაზე უშუალოდ მოსდევს თხრობას არგონავტების ლაშქრობის შესახებ:

XI, 2, 18: Τὸ μὲν γὰρ παλαιὸν ὅσην ἐπιφάνειαν ἔσχεν ἡ χώρα αὕτη, δηλοῦσιν οἱ μῦθοι, τὴν Ἰάσονος στρατείαν αἰνιττόμενοι προελθόντος μέχρι καὶ Μηδίας, ἔτι δὲ πρότερον τὴν Φρίξου.

„თუ როგორ იყო სახელგანთქმული ძველად ეს ქვეყანა, ცხადჰყოფენ ამას მითები, რომლებიც მოგვითხრობენ იასონის ლაშქრობაზე, რომელიც მოვიდა მიდიამდე, და ამაზე უწინ კი ფრიქსეს (ლაშქრობაზე)“.

ამ ტექსტს კი უშუალოდ მოსდევს ჩვენთვის ამჯერად საინტერესო ფრაზა: „...Μετὰ δὲ ταῦτα διαδεξάμενοι βασιλεῖς“ („ამის შემდეგ მემკვიდრე მეფეებმა...“), რაც იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ სტრაბონის ზემოთ მოტანილ ცნობაში კოლხეთის სკეპტუხიებად დანაწილება არგონავტთა ლაშქრობის შემდგომი, ე.ი. აიეტის მემკვიდრე მეფეების ღონისძიებადაა მიჩნეული. შესაბამისად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სტრაბონის ეს ცნობა (XI, 2, 18) ასახავს ადრინდელ ვითარებას – კოლხეთის სამეფოს ჩამოყალიბების ხანას. ამავე ცნობაში წარმოდგენილი ორი მითითება განსაკუთრებით საინტერესოა:

1. ...„διαδεξάμενοι [βασιλεῖς]“, ე.ი. „მემკვიდრე მეფეები“. სიტყვა διαδεξάμενοι ნაწარმოებია სიტყვისაგან διαδέχομαι, რაც ნიშნავს „უშუალოდ მემკვიდრეობით მიღებას“. შდრ. მაგ., δ. βασιλείαν (Plb., 2, 4, 7), δ. ἀρχὴν παρά τινος (id., 9, 28, 8), „διαδεχόμενοι στρατηγοὶ“ (Lysias, 13, 62; შდრ. Arist., Pol., 1293a 29) და სხვ. (დაწვრ. Liddell-Scott 1977: διαδέχομαι, შდრ. აგრეთვე Stefano 1839: II, διαδέχομαι).

ამრიგად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სტრაბონის ცნობაში წარმოდგენილია აქცენტი კოლხეთში, ლეგენდარული მეფე აიეტის შემდეგ, პირდაპირი მემკვიდრეობის პრინციპზე აგებული სამეფო ხელისუფლების არსებობის შესახებ, რასაც სხვა წყაროებიც ადასტურებენ. ქსენოფონტის ცნობით: ფასიანების ქვეყანაში (ე.ი. კოლხეთში – ო. ლ.)[1] მაშინ (ე.ი. ძვ.წ. 401 წლისათვის)[2] აიეტის შთამომავალი (შვილიშვილი) მეფობდა (Xenoph., Anab., V, 6, 36: Αἰήτου δὲ ὑιδοῦς ἐτύγχανε βασιλεύων αὐτῶν. პლინიუსის ცნობითაც, კოლხეთში მეფობს აიეტის შთამომავალი სავლაკი[3] (NH, XXXIII, 52: Iam regnaverat in Colchis Saulaces Aetae suboles). იქმნება შთაბეჭდილება, რომ კოლხეთის მეფეების აიეტის შთამომავლებლად მოხსენიება საკუთრივ კოლხეთის კარზე შემუშავებული პრესტიჟული შეხედულებაა, მათი ხელისუფლების ღვთაებრივი წარმომავლობის ხაზგასასმელად: აიეტი ჰელიოსის ვაჟიშვილია (Odys., X, 138; Hesiod., Theog., 956-958; Eumel. from Corinth. Fr. 2; Pind., IV Pyth., 242; Apoll. Rhod., II, 1204: [Αἰήτης] στεῦται δ' Ἠελιου γόνος ἔμμεναι. საინტერესოა, რომ სტრაბონის ცნობით (I, 2, 39): „აიეტი რომ კოლხეთზე მეფობდა, სარწმუნოდაა მიჩნეული; იქაურებში ეს სახელი ადგილობრივია“. მართლაც, ახ.წ. VI ს-ში კოლხეთში (ლაზიკაში) ცნობილია ისტორიული პიროვნება, პოლიტიკური მოღვაწე, რომელსაც აიეტი ერქვა (Agath., VII, 8, 11).

კოლხეთში სამეფო ხელისუფლების არსებობას თითქოს არქეოლოგიური მასალაც მოწმობს. ვანში აღმოჩენილია ადგილობრივ დამზადებული ძვ.წ. IV-III სს-ის ყავისფერკეციანი კრამიტები, რომლებზეც არის დამღა: ΒΑΣΙΛΙΚΗ ე.ი. სამეფო (კრამიტი) (Akhvlediani 1990). ასევე დიდ ინტერესს იწვევს ეშერაში აღმოჩენილი ძვ.წ. IV ს-ის ბერძნული წარწერა ბრინჯაოს ფირფიტაზე, რომელზეც იკითხება Βασιλεία, ე.ი. სამეფო ხელისუფლება ან სამეფო (Каухчишвили Т. 1985).

2. "ἐις σκηπτουχίας" ὁ σκηπτοῦχος (დორ. σκᾶπτρον), σκῆπτρον ἔχω – ნიშნავს „სკიპტრის მპყრობელს“, ე.ი. „სკიპტრის, კვერთხის, როგორც ძალაუფლების სიმბოლოს, მატარებელს“. ἡ σκηπτουχία აღნიშნავდა სკეპტუხის საგამგებლოს,

1 კოლხეთის მცხოვრებთ მთავარი მდინარის ფასისის გამო ფასიანებს (ფასისელებს) უწოდებს ფსევდო-ჰიპოკრატეც („ჰაერთა...“, § 15: Φασιηνοί).

2 იგულისხმება სპარსეთის მეფის არტაქსერქსეს წინააღმდეგ სპარსელი უფლისწულის კიროსის მიერ დაქირავებული ათი ათასი ბერძენი მეომრის ლაშქრობა ქსენოფონტის ხელმძღვანელობით, რაც აღწერილია მის „ანაბასისში“.

3 მეფე სავლაკი გვხვდება აგრეთვე კოლხეთში აღმოჩენილ ძვ.წ. II ს-ის ვერცხლის მონეტებზე (Голенко 1963), თუმც მათ კუთვნილებას კოლხეთისადმი ყველა სპეციალისტი არ იზიარებს (შდრ. Дундуа 1987: 102-105).

ე.ი. სამხედრო-ადმინისტრაციულ ოლქს, კერძოდ კი, ირანში (შდრ. Liddell-Scott 1977: 1609; Δημητράκου 1950, VIII: 6551). სემანტიკურად ეს ბერძნული ტერმინი უახლოვდება ირანულ *vazraka (vazaraka)*, რომელიც წარმომავლობს არსებითი სახელისაგან – „კვერთხი", „კომბალი" (შდრ. Грантовский 1970: 263). οἱ σκηπτοῦχοι გვხვდება პროტოგენეს სახელზე შესრულებულ ცნობილ წარწერაში ოლბიიდან (Latischew 1890: 32). ამავე ტერმინით იხსენიებიან სარმატებისა თუ სხვა ტომების ბელადები და წარჩინებულნი (დაწვრ. Хазанов 1975: 181-182, იქვე დასახ. ლიტ.). კოლხეთის მიმართ ტერმინ სკეპტუხის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული (დაწვრ. იხ. ინაძე 1961). მათგან მხოლოდ ზოგიერთს დავასახელებ.

სიმ. ჯანაშიას აზრით, სკეპტუხია წარმოადგენდა ტერიტორიულ-სატომო ორგანიზაციას, რომელიც ცენტრალურ ხელისუფლებას ექვემდებარებოდა. ერთი მხრივ, ის ვარაუდობდა, რომ „...შესაძლოა აქ პირდაპირ ადმინისტრაციული დაყოფა იგულისხმებოდეს" (ჯანაშია 1952: 156-157); სხვა ნაშრომში კი ასეთ შეხედულებას ავითარებდა: „...სკეპტუხიებად დაყოფა ნიშნავს არა ჩვეულებრივს ადმინისტრაციულ დანაწილებას (ასეთი დანაწილება არ შეიძლება გამხდარიყო მეფეთა დასუსტების მიზეზი), არამედ მოასწავებს ცენტრალური ხელისუფლების დაქუცმაცებას და დაქსაქსვას, გარკვეული სახის დეცენტრალიზაციას. სტრაბონის ცნობა უნდა მიუთითებდეს კოლხეთის დანაწილებაზე ცალკეულ ტომურ ორგანიზაციებად" (ჯანაშია 1949: 210). სტრაბონის ცნობის საფუძველზე, რომ მეფეებს „ჰქონდათ ზომიერი ხელისუფლება" (μέσως ἔπραττον), ზოგიერთი სხვა მკვლევარიც ფიქრობს, რომ სტრაბონის ცნობაში ასახულია კოლხეთის სამეფოს დასუსტება და დაქსაქსვა ძვ.წ. II ს-ში.

უფრო კი საფიქრებელია, რომ სტრაბონის ცნობა აიეტის „მემკვიდრე მეფეების" მიერ კოლხეთის „სკეპტუხიებად დაყოფის" შესახებ უნდა გულისხმობდეს ქვეყნის დანაწილებას გარკვეულ ტერიტორიულ-საგამგებლო ერთეულებად, რაც უნდა ყოფილიყო შედეგი სამეფო ხელისუფლების ადმინისტრაციული ღონისძიებისა და მიზნად ისახავდა ქვეყნის მართვა-გამგეობის მოწესრიგებას (ინაძე 1961: 783-789). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სტრაბონის ცნობაში აისახა კოლხეთის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დანაწილება (სახელმწიფოს ერთერთი არსებითი ნიშანი) მისი ფორმირების ადრინდელ ეტაპზევე.[1]

სტრაბონისეული სკეპტუხია კოლხეთში, ჩემი აზრით, წარმოადგენდა ტერიტორიულ პრინციპებზე შექმნილ ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელსაც ისტორიულად ჩამოყალიბებული გეოგრაფიულ-ტერიტორიული წარმონაქმნები დაედო საფუძვლად. მის სათავეში იდგა ადგილობრივი საგვარეულო არისტო-

1 შდრ. კლისთენეს მიერ ატიკის დაყოფის ძველი ბერძნული ტრადიცია ტერიტორიულ ფილებად ან სერვიუს ტულიუსის მიერ, რომაული ტრადიციის მიხედვით რომის დაყოფა ტერიტორიულ ტრიბებად. იბერიის პირველი მეფის, ფარნავაზის მიერ განხორციელებული ქვეყნის სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულებად (საერისთავოებად) დანაწილების შესაბამისი ძველი ქართული ტრადიციის შესახებ, მოგვითხრობენ ქართული ისტორიული წყაროები (ო. ლორთქიფანიძე, 1968:20; 1983:197-216).

კრატიის წარმომადგენელი, რომელიც სამეფო ხელისუფლებამ ადმინისტრაციული უფლებებით აღჭურვა და მით სამეფო მოხელედ აქცია. სკეპტუხი, ამრიგად, ერთ-ერთი საფეხურია ქვეყნის მმართველის იერარქიულ სისტემაში, რომლის უმაღლეს საფეხურზე იდგა კოლხთა მეფე. აღსანიშნავია, რომ კოლხეთის სამეფოს ასეთი ადმინისტრაციული ერთეულები და მათი მმართველები (Luirdi) იხსენიებიან ძვ.წ. VIII ს-ის ურარტულ წარწერებშიც (Меликишвили 1960: 276 [B23], 281 [D9, 27]; Меликишвили 1962ა: 323).

გვაროვნული არისტოკრატიის აღჭურვა ადმინისტრაციული უფლებებით ქმნიდა მტკიცე საფუძველს მათი სოციალური განცალკევებისა და გამდიდრებისათვის, რაც თვალსაჩინოდაა ასახული კოლხეთის არქეოლოგიურ მონაპოვარში: აღმოჩენილია ძვ.წ. V-IV სს-ის წარჩინებულ პირთა მდიდრული სამარხები, რომლებიც მრავლად შეიცავს ოქროსა და ვერცხლის სამკაულებს.

ყურადღებას იქცევს კოლხეთის სხვადასხვა ცენტრებში აღმოჩენილი მდიდრული სამარხების აღნაგობის, დაკრძალვის წესისა და ინვენტარის იდენტურობა. ასე მაგ., ვანშიც (ცენტრალური კოლხეთი) და საირხეშიც (ჩრდილო-აღმოსავლეთ კოლხეთი) წარჩინებულ პირთა საცხოვრისი განცალკევებულია დანარჩენი მოსახლეობისაგან და იქვეა გამართული მათი სამარხებიც. ორივეგან მიცვალებულები ხის „სახლებში“ (სარკოფაგებში) არიან დაკრძალული, ხოლო სამარხები შემდეგ ქვაყრილითააა დაფარული. ორივეგან სამარხეული ინვენტარი პრესტიჟულია: ოქროს დიადემები, საყურეები, ყელსაბამები, სამაჯურები და საბეჭდავი ბეჭდები, ლითონისა (ვერცხლის და ბრინჯაოს) და თიხის ჭურჭელი, იმპორტული (ბერძნული) ნივთები (ფუთურიძე და სხვ. 1972: 113 და შმდ.; ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ. 1972: 211 და შმდ., ნადირაძე 1990; Nadiradzé 1990). მე ვფიქრობ, რომ ეს ძვ.წ. V-IV სს-ის ასე მდიდრული სამარხები სწორედ სკეპტუხთა, ე.ი. კოლხეთის სამეფოს ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულების მმართველთა სამარხებია (ლორთქიფანიძე ოთ. 1977: 15-20). თუ რაოდენ დიდი სიმდიდრე იყო დაგროვილი მათ ხელთ, მოწმობს თუნდაც სამარხეული ინვენტარი. ასე, მაგ., ვანის ერთ-ერთ სამარხში, რომელიც ძვ.წ. V ს-ის შუა ხანებით თარიღდება, ნაპოვნია ცხოველთა ბრძოლის ჭედური გამოსახულებებით მორთული ოქროს დიადემა, ასევე ოქროს სხივანა სასაფეთქლეები და ჭვირულბურთულიანი საყურეები, ორი წყვილი სამაჯური (ვერძის თავისა და ტახის სკულპტურული გამოსახულებებით დამშვენებული), ხუთი ყელსაბამი (კუს, ხბოს და სხვ. გამოსახულებიანი საკიდებით შედგენილი), ხუთი ფარაკიანი ბეჭედი, ფრთაგაშლილი არწივის გამოსახულებანი (ჰერალდიკური სიმბოლოები), ათეულობით მძივები, ღილაკები და ნატვიფრი ფირფიტები და სხვა ოქროს ნივთები (სულ 1700 ერთეული), ასეულობით ვერცხლის მძივი, საკიდები და ტანისამოსის მოსართავები, სამი დიდი ზომის ბრინჯაოს ქვაბი, ოცამდე თიხის ჭურჭელი (დოქები, ლარნაკები, ორყურა დერგები, ჯამები), აგრეთვე ბერძნული იმპორტული ვერცხლისა და თიხის საღვინე ფიალები (კილიკი), ბრინჯაოს სარიტუალო სურა და პატერა, სკულპტუ-

რული გამოსახულებებით მორთული ვერცხლის ქვაბი და კოვზი, „ფინიკიური“ მინისა და ვერცხლის სანელსაცხებლეები და სხვ. (ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ. 1972: 211 და შმდ.). ამასთან ისიცაა ხაზგასასმელი, რომ სამარხის ყველა ნივთი გამოირჩევა სინატიფით, მაღალმხატვრული გემოვნებით, ზოგიერთი მათგანი (ოქროს დიადემა, სხივანა საყურეები, კუს გამოსახულებებით შედგენილი ყელსაბამი, სამაჯურები, ვერცხლის არიბალოსი და ქვაბი) წარმოადგენენ ოქრომჭედლობისა და ტორევტიკის ბრწყინვალე ნიმუშებს (ლორთქიფანიძე ოთ. 1972: 9 და შმდ.; Lordkipanidze O. 1971; ჭყონია 1981).

ამრიგად, სტრაბონის ზემოთგანხილული ცნობაში (XI, 2, 18) ასახული უნდა იყოს კოლხეთის სახელმწიფო-ადმინისტრაციული წყობა. ძირითად სამმართველო ერთეულს წარმოადგენს სკეპტუხია, რომლის მმართველი ემორჩილება მეფეს.

თუ სწორია ჩვენი ვარაუდი იმის შესახებ, რომ კოლხეთის ძვ.წ. V-IV სს-ის მდიდრული სამარხები მართლაც სკეპტუხთა სამარხებია, მაშინ ამ შემთხვევაში არქეოლოგიური მონაცემები შეიძლება მივიჩნიოთ სტრაბონის ცნობის დათარიღების არაპირდაპირ მოწმობად.

სვანთა ტომი

სვანები (Σοάνες), როგორც უკვე ითქვა ზემოთ, ერთ-ერთი უძველესი ქართული ტომია, რომელიც სტრაბონის ცნობით კავკასიის მთებში (ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთი) ბინადრობს. მათი საზოგადოებრივი წყობის შესახებ სტრაბონი შემდეგს გვაუწყებს XI, 2, 19:

βασιλέα δ' ἔχουσι καὶ συνέδριον ἀνδρῶν τριακοσίων συνάγουσι δ', ὥς φασι, στρατιὰν καὶ εἴκοσι μυριάδων ἅπαν γάρ ἐστι τὸ πλῆθος μάχιμον, οὐ συντεταγμένον...

„მათ (სვანებს) ჰყავთ ბასილევსი და საბჭო 300 მამაკაცისაგან შემდგარი და, როგორც ამბობენ, ჰკრებენ ლაშქარს 200 000 (კაცის რაოდენობით): მართლაც, მთელი ხალხი მეომარია, მაგარამ არაა ორგანიზებული...“

ამ ცნობიდან აშკარაა, რომ სვანების ბასილევსი (βασιλεύς) ერთპიროვნული მონარქი არაა. მის ხელისუფლებას ზღუდავს „საბჭო“ (συνέδριον), რომელიც უთუოდ სახალხო კრებას წარმოადგენს. ნიშანდობლივია მითითებაც იმის შესახებ, რომ „მთელი ხალხი მეომარია“, რაც ტიპიურია გვაროვნული საზოგადოებისათვის, როდესაც იარაღის მატარებელი ყველა მამაკაცი მეომარია (ჯანაშია 1952: 117-119; მელიქიშვილი 1970ზ: 481). სტრაბონის ზემოთ მოტანილი ცნობა დაახლოებით მის თანადროულ ვითარებას ასახავს (შდრ. ὥς φασι: „როგორც

ამბობენ").[1] მის რეალურობას კი მოწმობს უფრო გვიანდელი მონაცემებიც, რომელნიც ცხადყოფენ, რომ შუა საუკუნეებშიც სვანეთი (ე.წ. „უბატონო" ანუ „თავისუფალი სვანეთი") თავისუფალი თემების კავშირს წარმოადგენდა. თემის უზენაესი ორგანო იყო სახალხო კრება (სვანურად „ლუხორ" ან „ლალხორ"), რომელიც აერთიანებდა ყველა მოზრდილ მამაკაცს და განაგებდა ყველა საზოგადოებრივ საქმეს (ჯანაშია 1952: 119 და შმდ.; შდრ. ხარაძე, რობაქიძე 1964: 82 და შმდ.).

ამრიგად, სტრაბონის ზემოთგანხილული ცნობიდან ჩანს, რომ ძვ.წ. II-I სს-ში ჩრდილოეთ კოლხეთის მოსახლეობა კვლავ გვაროვნული წყობილების პირობებში ცხოვრობდა (მელიქიშვილი 1970ზ: 482).

3. ჰენიოხები

ამ ხალხის ტერიტორიული განსახლებისა და სავარაუდებელი წარმომავლობის შესახებ ზემოთ იყო უკვე საუბარი. სტრაბონის „გეოგრაფიაში" შემონახულია აგრეთვე ცნობები მათი ყოფისა და საზოგადოებრივი წყობის შესახებაც.

1) XI, 2, 13:

γυναστεύονται δὲ καὶ οὗτοι ὑπὸ τῶν καλουμένων σκηπτούχων· καὶ αὐτοὶ δὲ οὗτοι ὑπὸ τυράννοις ἢ βασιλεῦσίν εἰσιν. Οἱ γοῦν Ἡνίοχοι τέτταρας εἶχον βασιλέας.

„... მათ (ე.ი. ჰენიოხებს – ო. ლ.) განაგებენ ეგრეთწოდებული სკეპტუხები, ხოლო თვით ესენი ტირანთა ან მეფეთა გამგებლობაში იმყოფებიან. ჰენიოხებს 4 ბასილევსი ჰყავდათ, როდესაც მითრიდატე ევპატორი, თავის სამშობლოდან გამოქცეული, ბოსფორში მიდიოდა, ამათ ქვეყანაზე გადაიარა..."

ამ ცნობიდან ჩანს, რომ ჰენიოხთა გაერთიანება ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა ერთიან სახელმწიფოებრივ თუ პოლიტიკურ სისტემას[2] და იგი არსებითად იყო ცალკეულ ტომთა გაერთიანება, რასაც ადასტურებს I ს-ის რომაელი მწერალი პლინიუსიც, რომელიც მოიხსენიებს „მრავალსახელწოდებიან ჰენიოხთა ტომებს" (NH, VI, 14: „multis nominibus Heniochorum gentes"). ჰენიოხთა ბასილევსები თუ ტირანები, როგორც ჩანს, ტომთა კავშირების ბელადები არიან, ხოლო

1 „გეოგრაფიის" XI, 2, 14 ცნობიდან ჩანს, რომ მონაცემები სვანთა (და კავკასიის სხვა მთიელ ტომთა) შესახებ მომდინარეობს „მითრიდატეს ამბების აღწერიდან, რომელთაც მეტი დაეჯერებათ" – οἱ δὲ τὰ Μιθριδατικὰ συγγράφαντες, οἷς μᾶλλων προσεκτέον (ყაუხჩიშვილი 1957: 11-12). ს. ჯანაშიას აზრით (ჯანაშია 1952: 118-119), რომელსაც გ. მელიქიშვილიც იზიარებს (მელიქიშვილი 1970ზ: 481), სვანების სტრაბონისეული აღწერა ასახავს ძვ.წ. I ს-ის პირველ ნახევარს ან კიდევ უფრო ძველ, მთელი საუკუნით ან საუკუნენახევრით ადრეულ ხანას.

2 უფრო გვიან, არიანეს დროს, ჰენიოხებს და მაკრონებს ერთი მეფე ჰყავთ (Arr., PPE, § 10), მაგრამ არიანეს ჰენიოხები უფრო სამხრეთით ტრაპეზუნტის მახლობლად, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში არიან მოხსენიებული.

სკეპტუხები – ცალკეულ ტომთა ბელადები (მელიქიშვილი 1970ზ: 480), ან იქნებ ცალკეულ საგვარეულოთა წინამძღოლებიც, როგორც ეს სარმატულ ტომებშია დადასტურებული (შდრ. Хазанов 1975: 181-182). ეს არ უნდა გამორიცხავდეს ზემოთ კოლხეთის შესახებ სტრაბონისეული „ბასილევსებისა“ და „სკეპტუხების“ განსხვავებულ ინტერპრეტაციას, რადგანაც სტრაბონი ერთი და იმავე ტერმინით ხშირად სხვადასხვა ცნობებს გადმოსცემდა.[1] ჰენიოხთა სოციალურ-პოლიტიკური წყაროების განვითარების დაბალი დონე კარგად ჩანს სტრაბონის სხვა ცნობებიდანაც მათი ყოფის შესახებ, კერძოდ:

2) XI, 2, 12:

Μετὰ δὲ τὴν Σινδικὴν καὶ τὴν Γοργιππίαν ἐπὶ τῇ θαλάττῃ ἡ τῶν Ἀχαιῶν καὶ Ζυγῶν καὶ Ἡνιόχων παραλία, τὸ πλέον ἀλίμενος καὶ ὀρεινή, τοῦ Καυκάσου μέρος οὖσα. Ζῶσι δὲ ἀπὸ τῶν κατὰ θάλατταν λῃστηρίων, ἀκάτια ἔχοντες λεπτά, στενὰ καὶ κοῦφα, ὅσον ἀνθρώπους πέντε καὶ εἴκοσι δεχόμενα, σπάνιον δὲ τριάκοντα δέξασθαι τοὺς πάντας δυνάμενα· καλοῦσι δ᾽ αὐτὰ οἱ Ἕλληνες καμάρας... Τῶν δ᾽ οὖν καμαρῶν στόλους κατασκευαζόμενοι καὶ ἐπιπλέοντες τοτὲ μὲν ταῖς ὁλκάσι, τοτὲ δὲ χώρᾳ τινὶ ἢ καὶ πόλει θαλαττοκρατοῦσι. προσλαμβάνουσι δ᾽ ἐσθ᾽ ὅτε καὶ οἱ τὸν Βόσπορον ἔχοντες, ὑφόρμους χορηγοῦντες καὶ ἀγορὰν καὶ διάθεσιν τῶν ἁρπαζομένων· ἐπανιόντες δὲ εἰς τὰ οἰκεῖα χωρία, ναυλοχεῖν οὐκ ἔχοντες, ἀναθέμενοι τοῖς ὤμοις τὰς καμάρας ἀναφέρουσιν ἐπὶ τοὺς δρυμούς, ἐν οἷσπερ καὶ οἰκοῦσιν, λυπρὰν ἀροῦντες γῆν· καταφέρουσι δὲ πάλιν, ὅταν ᾖ καιρὸς τοῦ πλεῖν. τὸ δ᾽ αὐτὸ ποιοῦσι καὶ ἐν τῇ ἀλλοτρίᾳ, γνώριμα ἔχοντες ὑλώδη χωρία, ἐν οἷς ἀποκρύψαντες τὰς καμάρας αὐτοὶ πλανῶνται πεζῇ νύκτωρ καὶ μεθ᾽ ἡμέραν ἀνδραποδισμοῦ χάριν. ἃ δ᾽ ἂν λάβωσιν ἐπίλυτρα ποιοῦσι ῥᾳδίως, μετὰ τοὺς ἀνάπλους μηνύοντες τοῖς ἀπολέσασιν. ἐν μὲν οὖν τοῖς δυναστευομένοις τόποις ἐστί τις βοήθεια ἐκ τῶν ἡγεμόνων τοῖς ἀδικουμένοις· ἀντεπιτίθενται γὰρ πολλάκις καὶ κατάγουσιν αὐτάνδρους τὰς καμάρας·

„სინდიკესა და გორგიპიას შემდეგ ზღვასთან არის აქეელთა, ზიგთა და ჰენიოხთა სანაპირო, მეტწილად უნავთსადგურო და მთიანი, და წარმოადგენს კავკასიონის ნაწილს. ესენი ცხოვრობენ ზღვაზე მეკობრეობით, აქვთ პატარა, წვრილი და მსუბუქი ნავები, რომლებიც დაახლოებით 25 კაცს იტევენ, ხოლო იშვიათად მთლიანად 30 (კაცს) დაიტევენ.... ესენი (ჰენიოხები – ო. ლ.) კამარებისაგან ფლოტებს ჰქმნიან და თავს ესხმიან ხან საბარგო ხომალდებს, ხან რომელიმე ქვეყანას, ან ქალაქს და [ასე] ფლობენ ზღვას. ბოსფორის მფლობელნი ზოგჯერ ეხმარებიან ხოლმე მათ, აძლევენ მათ ნავთსაყუდლებს, ბაზარსა და ნადავლის გაყიდვის [საშუალებას]: ხოლო როდესაც ბრუნდებიან საკუთარ ქვეყანაში, ვერ აგდებენ ღუზას, იდებენ მხრებზე კამარებს და მიაქვთ ტყეებში, რომლებშიც ცხოვრობენ, ამუშავებენ მწირ მიწას, შემდეგ კი როდესაც დრო დგება ნაოსნობისა, [კამარები] უკან მიაქვთ. ასევე იქცევიან ისინი სხვა ქვეყანაშიც, [სადაც] აქვთ მათ განთქმული ტყიანი ადგილები, რომლებშიც ინახავენ კამარებს, ხოლო თვითონ დაეხეტებიან ფეხით დღე და ღამე ტყვეების მოპოვების მიზნით. რასაც ისინი მოიპოვებენ, იოლად სთმობენ გამოსასყიდად და წასვლის შემდეგ ატყობინებენ გაძარცულებს. იმ ადგილების მცხოვრებნი, რომელთაც მმართველები ჰყავთ, რაღაც შემწეობას ჰპოვებენ ხოლმე წინამძღოლთაგან უსამართლობის შემთხვევაში: რადგან ხშირად მათ თავს ესხმიან და მიჰყავთ კამარები იქ მყოფ ხალხიანად. ხოლო რომაელების [გამგებლობაში] მყოფი [ნაწილი] უფრო უმწეოა გამოგზავნილ პირთა უპასუხისმგებლობის გამო“ (ყაუხჩიშვილი 1957: 118-119).

1 ასე, მაგ., ტერმინით „ბასილევსი“ სტრაბონთან მოიხსენიებოდა როგორც „მეფე“, ასევე „უხუცესი“, „გვარის უფროსი“ (დაწვრ. ყაუხჩიშვილი 1957: 37 და შმდ.). „ბასილევსის“ მნიშვნელობა არაერთგვაროვანი იყო ბერძნული საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე და შესაბამისად საისტორიო წყაროებშიც (იხ. Gschnitzer 1965; Andreev 1979).

სხვა ადგილას (XVII, 3, 24) სტრაბონი ჰენიოხებზე (ისევე როგორც აქეელებსა და ზიგებზე) იმასვე ამბობს:

Ἡνιόχων ἐν λόγῳ τίθεται,	„...ვიწრო და მწირ ადგილებში
λῃστρικῶς καὶ νομαδικῶς ζώντων	ცხოვრობენ ყაჩაღობითა და
ἐν στενοῖς καὶ λυπροῖς χωρίοις.	მომთაბარეობით“.

სტრაბონის ზემოთმოტანილ ცნობებში ჰენიოხთა ყოფის შესახებ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ხაზგასმა იმისა, რომ ისინი საზღვაო მეკობრეობით იყვნენ დასაქმებული. კიდევ მეტი, იგი ცხოვრების ძირითად წყაროს წარმოადგენდა („...ζῶσι δὲ ἀπὸ τῶν κατὰ θάλατταν λῃστηρίων“). საზღვაო მეკობრეობა კი ერთ-ერთი ფრიად გავრცელებული სოციალური მოვლენა იყო როგორც ხმელთაშუაზღვისპირეთში, განსაკუთრებით ელინისტურ ეპოქაში (შდრ. Ormerod 1967: 190; Трофимова 1963; Трофимова 1969). ასევე შავ ზღვაზე, სადაც საკმაოდ ადრეული ეპოქიდან და რამდენიმე საუკუნის მანძილზე არსებობდა მეკობრეობის რამდენიმე კერა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით რამდენადმე ჩამორჩენილ ტომებში, მაგ., თრაკიელებში, ტავრებში, სატარხებში და სხვ. (Брашинский 1973). ჰენიოხების (ისევე როგორც აქეელების) ყაჩაღური ცხოვრების წესზე (λῃστρικά) ჯერ კიდევ არისტოტელე მიუთითებდა („პოლიტიკა“, VIII, 320-25 = ყაუხჩიშვილი 1969: 57). ამასვე იმეორებდნენ სხვა ავტორებიც. მაგ., დიოდორე სიცილიელი (რომელიც ეყრდნობოდა კარგად ინფორმირებულ წყაროს)[1] მოგვითხრობს იმ ბრძოლის შესახებ, რომელიც გამოუცხადა ჰენიოხებს და სხვა ტომებს ბოსფორის მეფე ევმელოსმა ძვ.წ. IV ს-ის ბოლოს და რის შედეგადაც იმ დროს ზღვა გაიწმინდა მეკობრეებისაგან („ბიბლიოთეკა“, XX, 25, 2: καθαρὰν λῃστῶν ἀπέδειξε τὴν θάλασσαν). სტრაბონის ცნობას კი ჰენიოხების სხვა ქვეყნებსა და ქალაქებზე[2] თავდასხმების შესახებ მხარს უბამს ოვიდიუსიც, რომელიც იუწყება, რომ ჰენიოხები თავისუფლად დანავარდობენ არა მხოლოდ პონტოს მარჯვენა მხარეში (ე.ი. აღმოსავლეთ სანაპიროზე), არამედ დასავლეთ სანაპიროზეც (Ovid., Epistulae ex Ponto, IV, 10, 25-30). ამრიგად, აქ პირდაპირი მითითებაა ჰენიოხი მეკობრეების შორეული რეიდების შესახებ, რაც თვალსაჩინოდ ადასტურებს სტრაბონის ცნობას ჰენიოხთა ზღვაზე ბატონობის (θαλασσοκρατοῦσι) შესახებ.

1 შდრ. Струве 1968: 147 და შმდ.

2 ასე, მაგ., პლინიუსის ცნობით (NH, VI, 15), ჰენიოხებმა გაძარცვეს პიტიუნტი – „უმდიდრესი ქალაქი“ (oppidum opulentissimum), თუმცა ძნელი დასადგენია, თუ როდის მოხდა ეს: პლინიუსის დროს თუ უფრო ადრე, რამდენადაც ამ ავტორის ცნობები ხშირად უფრო ადრინდელ ვითარებას ასახავს ხოლმე.

მეკობრული თავდასხმებისას, სტრაბონის ცნობით, ჰენიოხები იყენებდნენ მსუბუქ ნავებს, რომელსაც კამარა (καμάραι)[1] ეწოდებოდა. მათი დეტალური აღწერილობა მოცემული აქვს ტაციტუსს (Hist., III, 47, 3):

barbari contemptim vagabantur fabricatis repente navibus: camaras vocant, artis lateribus latam alvom sine vinculo aeris aut ferri conexam; et tumido mari, prout fluctus attollitur, summa navium tabulis augent, donec in modum tecti claudantur. sic inter undas volvuntur, pari utrimque prora et mutabili remigio, quando hinc vel illinc appellere indiscretum et innoxium est.

„ბარბაროსები ყოველგვარი სირცხვილის გარეშე დაცურავდნენ გემებით, რომლებსაც [აქვთ] დაბალი გვერდები, განიერი მუცლები; შეკრული არიან ბრინჯაოს ანდა რკინის სამაგრების გარეშე და როცა ზღვა ღელავს, ტალღების სიმაღლისდა მიხედვით, ნავებსაც სიმაღლეს უმატებენ ფიცრებით, ვიდრე (სახლის) სახურავივით არ გადაიხურება. ასე დალივლივებენ ტალღებში, აქვთ რა ორივე მხარეს ერთნაირი მოსასმელი ნიჩბები, ისე რომ ორივე ცხვირით თანაბრად და უვნებლად (შეუძლიათ) ნაპირს მიადგნენ (გამყრელიძე ა. 1973: 129).

სტრაბონის ცნობიდან ნათლად ჩანს, რომ ჰენიოხების სხვა ქვეყნებზე მეკობრული თავდასხმებისას (რომელთა დროს ისინი თურმე „ფლოტებს ქმნიდნენ" – στόλους κατασκευαζόμνοι) მათ ერთ-ერთ ძირითად მიზანს ადამიანთა მოტაცება (ἀνδραποδισμοῦ χάριν) შეადგენდა. მათ ერთ ნაწილს ისინი გამოსასყიდის საფასურად პატრონებს უბრუნებდნენ, ხოლო დანარჩენებს, უნდა ვივარაუდოთ, მონებად ყიდდნენ, ალბათ, პირველ რიგში ბოსფორის სამეფოში. შესაძლოა, მართლაც, იქნებ ამით აიხსნება სტრაბონის ცნობა იმის თაობაზე, რომ ბოსფორის მფლობელნი[2] „ზოგჯერ ეხმარებოდნენ მათ, აძლევდნენ მათ ნავსაყუდელებს, ბაზარსა და ნადავლის გაყიდვის საშუალებას",[3] რამდენადაც შავიზღვისპირეთის ბერძნულ სახელმწიფოებში სწორედ მეკობრეობა ასაზრდოებდა მონათა

1 καμάρα ბერძნულად იშნავს „თაღს", „თაღოვან ოთახს", „თაღიან კედელს" და ა.შ. ასეთი ნავები უკანასკნელ დრომდე იყო კოლხეთში შემორჩენილი. მათ ზოგჯერ „მრგვალ ნავს" უწოდებდნენ იმის გამო, რომ გვერდების ამაღლებით სახურავის ფორმა ეძლეოდა (იქნებ ამიტომაც შეერქვათ მათ კამარა, რაც ქართველურ ენებშიც თაღს ნიშნავს). ასეთი ტიპის კოლხური ნავი საკმაოდ გრძელია (დაახლ. 15 მ) და შედარებით ვიწრო (2 მ). ის მსუბუქია, სწრაფი, კარგად მანევრირებს, ადვილად უძლებს ზღვის ღელვას (დაწვრ. კუტალეიშვილი 1987: 51-52, 338-339).

2 ბერძნულ ტექსტში Βόσπορον ἔχοντες-ს გაგება და თარგმანი სპეციალისტებს შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა, რამდენადაც ἔχω შეიძლება ნიშნავდეს როგორც „ფლობას", ასევე „ცხოვრებას". ამიტომ ზოგიერთი სპეციალისტი ამ ადგილს თარგმნის, როგორც „ბოსფორის მცხოვრებნი" (შდრ. Трофимова 1969), მაგრამ უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს „ბოსფორის მმართველნი", რამდენადაც იგი უფრო შეესაბამება მთლიან ტექსტს: სწორედ ბოსფორის მეფეები და მათთან დაახლოებული მონათმფლობელები იყვნენ დაინტერესებული მონების შეძენაში (Брашинский 1973: 127, შენ. 18).

3 ამ ცნობის საფუძველზე ქს. კოლობოვამ გამოთქვა საინტერესო მოსაზრება, რომ, შესაძლოა, ბოსფორის ვაჭართა შორის არსებობდა „დაკანონებული მეკობრეობა" (Колобова 1933: 89 და შმდ.), თუმც ეს მოსაზრება გაზიარებული არ იქნა (Жебелев 1953: 214) და არც მთლიანად უარყოფილი (Брашинский 1973: 127, შენ. 29).

ბაზარს და წარმოადგენდა მის ძირითად წყაროს (Блаватский 1954: 43 და შმდ.). მეორე მხრივ, იმის გამო, რომ მეკობრეობა ხელს უშლიდა ზღვაზე ნაოსნობას და სავაჭრო ურთიერთობებს, ჩვენ ვიცით, რომ ბოსფორის სამეფოს მესვეურთ სასტიკი ბრძოლა ჰქონდათ მეკობრეთა წინააღმდეგ (Брашинский 1973). მეკობრეთა წინააღმდეგ ბრძოლაზე კი იმ ქვეყნების მმართველთა მხრიდან, ვისაც ჰენიოხები ესხმოდნენ, თვით სტრაბონის ზემოთციტირებულ ცნობაშიც არის მითითება.

სტრაბონის „გეოგრაფიიდან“ ჩანს, რომ ჰენიოხებისა და კავკასიის სხვა მთიელი ტომების აღწერისას ის სარგებლობდა არტემიდორე ეფესელის (ძვ.წ. II-I სს-ის ავტორის) და მითრიდატე VI-ს ომების აღმწერთა თხზულებებით (შდრ. XI, 2, 13). ასე რომ, სტრაბონის ცნობები ჰენიოხთა მეკობრეობის შესახებ შავ ზღვაზე, ყოველ შემთხვევაში, გვიან ელინისტური ხანის ვითარებას მაინც ასახავს, თუმც, როგორც ზემოთ დავინახეთ (არისტოტელესა და დიოდორეს ცნობების დამოწმებით), ჰენიოხთა მეკობრეობა ძვ.წ. IV ს-შიც იყო ცნობილი.

4. იბერია

XI, 3, 6: Τέτταρα δὲ καὶ γένη τῶν ἀνθρώπων οἰκεῖ τὴν χώραν.	„...ასევე[1] ადამიანთა ოთხი გენოსი მოსახლეობს ამ ქვეყანაში...“

დადგენილია, რომ ტერმინი τὸ γένος სტრაბონთან ამ შემთხვევაში ნიშნავს არა გვარს სოციალური მნიშვნელობით, არამედ აქვს საკვალიფიკაციო მნიშვნელობა: სტრაბონი ამ ტერმინით გადმოგვცემს, რომ იბერიაში ოთხნაირი ხალხი მოსახლეობს (ყაუხჩიშვილი 1957: 25-27):

1. ἓν μὲν καὶ πρῶτον, ἐξ οὗ τοὺς βασιλέας καθιστᾶσι, κατ' ἀγχιστείαν τε καὶ ἡλικίαν τὸν πρεσβύτατον, ὁ δὲ δεύτερος δικαιοδοτεῖ καὶ στρατηλατεῖ.	„ერთი [გვარია – გენოსი] და პირველი, რომლისგანაც მეფეებს სხამენ მახლობლობისა და ასაკის მიხედვით უხუცესს, ხოლო მეორე [ამ გვარიდან] მოსამართლეობს და მხედართმთავრობს.“

ეს ცნობა სტრაბონისეული იბერიის პირველი გენოსის შესახებ აზრთა სრულ სხვადასხვაობას იწვევს.

თითქმის ყველა მკვლევარი[2] სტრაბონისეულ ὁ δὲ δεύτερος-ს თარგმნის ასე: „მეორე მეფის შემდეგ“ და დაასკვნის, რომ მართლმსაჯულებისა და მთავარსარდლობის ფუნქცია იბერიაში ეკუთვნოდა არა მეფეს, არამედ „მეფის შემდეგ

1 წინა პარაგრაფში (XI, 3, 4) სტრაბონი აღნიშნავს, რომ იბერიაში „ოთხი შესასვლელია“ (τέσσαρες δ' εἰσὶν εἰς τὴν χώραν εἰσβολαί).

2 იხ. მაგ.: Джавахишвили 1901: 16-17; კაკაბაძე 1924: 92; ჯანაშია 1949: 145-146; ინგოროყვა 1941: 300; Амиранашвили 1938: 164.

მეორე პირს".[1] ამასთანავე აღნიშნული ვითარება ითვლება დამახასიათებლად იბერიის ისტორიის მთელი „ანტიკური" პერიოდისათვის. მაგრამ გამოთქმულია სამართლიანი ეჭვიც ისეთი მეფის არსებობის შესახებ, რომელსაც არაფერი ეკითხება არც მართლმსაჯულების, არც მთავარსარდლობისა და არც საგარეო ურთიერთობისა (სტრაბონის ცნობით, ეს ფუნქცია ქურუმების ხელთაა) (ბერძენიშვილი 1953: 294). მართლაც, მაგ., დიონ კასიუსის ცნობებიდან კარგად ჩანს, რომ პომპეუსის წინააღმდეგ ბრძოლისას იბერიის მეფე არტოკე (ქართული წყაროების არტაგი) თვითონ ხელმძღვანელობს იბერთა ლაშქარს, ხოლო „სიმაგრის დამცველები მისი გაქცევისა და ბრძოლაში დამარცხების გამო, დანებდნენ პომპეუსს" (Dio Cass., XXXVII, 1, 5). იმავე ავტორის ცნობით (XXXVII, 1-2), არტოკემ ორჯერ წარგზავნა პომპეუსთან ელჩები მოსალაპარაკებლად დაზავების შესახებ, ხოლო პომპეუსი სწორედ მისგან ითხოვდა მძევლებად მისი, ე.ი. მეფის შვილების გაგზავნას (ეს ცნობა შემონახული აქვს აგრეთვე რომაელ ისტორიკოსს ფლორუსსაც (I, 40, 27), რომელიც დაახლ. 157 წ. წერდა „რომის ისტორიას" ტიტუს ლივიუსის თხზულების მიხედვით (X, 27). ასევე საინტერესოა დიონ კასიუსის ცნობა (XLIX, 24), რომ ძვ.წ. 36 წ. პუბლიუს კანიდიუს კრასუსმა „იბერების წინააღმდეგ ბრძოლაში დაამარცხა მათი მეფე ფარნაბაზე..." სტრაბონის მომდევნო ხანის მწერლებთანაც იგივე სურათია. ასე, მაგ., ტაციტუსის ცნობითაც იბერთა მეფე ფარსმანი თვითონ ხელმძღვანელობს ომის სამზადისს, დებს კავშირს ალბანელებთან, ქირაობს სარმატებს, თვით უშუალოდ მოთავეობს თავის ლაშქარს პართელთა წინააღმდეგ ბრძოლაში და არსებითად მისი ორთაბრძოლა ოროდთან გადაწყვეტს ომის ბედს იბერთა სასარგებლოდ („Annales", VI, 31-35 – გამყრელიძე ა. 1973: 53-59).

ადგილობრივ ეპიგრაფიკულ ძეგლებშიც („არმაზის ბილინგვა", ერთენოვანი არამეული წარწერა), რომელშიც იბერთა მეფე და მისი უმაღლესი პირები მოიხსენიებიან, არავითარი მითითება არაა მეფის ხელისუფლების რაიმე შეზღუდვაზე და „მეფის შემდეგ მეორე პირზე". იბერთა მეფეები აქ იხსენიებიან ეპითეტით „დიდი მეფე", რომელიც დადასტურებულია არმაზის ბილინგვის ბერძნულ ტექსტში (Церетели Г. 1941: 5) და ერთენოვან არამეულ წარწერაში (Церетели Г. 1948: 52).

არსებითი განსხვავება, ერთი მხრივ, სტრაბონისეულ მეფესა და, მეორე მხრივ, სხვა წყაროების მეფეებს შორის სავსებით აშკარაა. ამდენად, სავსებით სამართლიანია ნ. ბერძენიშვილის ეჭვი, რომ „ან სტრაბონი მის დრომდის რაღაც

1 გ. მელიქიშვილის აზრით, მეფე უზენაესი გამგებელია, მაგრამ მის შემდეგ სარდლობა და მართლმსაჯულება აბარია აგრეთვე სამეფო საგვარეულოს წევრს, რომელიც პირველი კაცია მეფის შემდეგ, ხოლო მეზობლებთან ურთიერთობისას იყენებენ ქურუმებს (მელიქიშვილი 1955: 172-173). მაგარამ სტრაბონის ცნობიდან არ ჩანს, რომ ეს ὁ δεύτερος იმავე გვარიდანაა, რომლიდანაც მეფე; ვინაიდან τὸ γένος აქ არ ნიშნავს გვარს. გარდა ამისა, სტრაბონის ცნობაში საუბარია სწორედ უმაღლესი სასამართლო და სამხედრო ხელისუფლების შესახებ, ვინაიდან მხედართმთავრების არსებობა იბერიაში უეჭველია და არ საჭიროებდა სპეციალურ მოხსენიებას.

დიდი ხნის წინ არსებულ მდგომარეობას გადმოგვცემს, ან კიდევ შეცდომაში შეიყვანეს ზეპირად ცნობების მიმწოდებლებმა“ (ბერძენიშვილი 1953: 5).

სტრაბონის ცნობის ჩვენთვის საინტერესო ადგილის განმარტებისათვის საჭიროა გაირკვეს „გეოგრაფიის“ XI, 3, 6-ის წყაროს საკითხი. სტრაბონის „გეოგრაფიის“ წყაროების შესწავლას, როგორც უკვე აღნიშნული იყო, თითქმის ასი წლის ისტორია აქვს. სადღეისოდ შეიძლება დადგენილად ჩაითვალოს, რომ „გეოგრაფიაში“ დაცული იბერიის აღწერა იყოფა ორ ნაწილად, რომლებიც ძირითადად ორ სხვადასხვა წყაროს ემყარება: XI, 3, 1-5 დამყარებულია პომპეუსის ლაშქრობის მონაწილე თეოფანე მიტილენელის თხზულებაზე, ზოგიერთ შემთხვევაში ერატოსთენეს (III-II სს.), ხოლო § 3-ში, შესაძლოა, პოსიდონიუსის გამოყენებით. რაც შეეხება § 6-ს, სადაც მოცემულია იბერიის სოციალური სტრუქტურის აღწერილობა, როგორც ა. ბოლტუნოვამ უჩვენა: 1. ის დამყარებულია განსხვავებულ წყაროზე, რომელზედაც დაფუძნებულია XI, 3, 1-5; 2. ეს წყარო იძლეოდა იბერიის სოციალური წყობის სურათს ელინისტური უტოპიური სქემების შაბლონის მიხედვით, ანუ საზოგადოების ცალკეულ სოციალურ ჯგუფებად დაყოფის სახით (Болтунова 1947: 155). ა. ბოლტუნოვას აზრით, სტრაბონის „გეოგრაფიის“ XI, 3, 6 დამყარებულია პოსიდონიუს აპამეელის „ისტორიაზე“ და განეკუთვნება ძვ.წ. II ს. 40-30-იან წლებს (Болтунова 1947: 159-160). ა. ბოლტუნოვა ადარებს იბერიის საზოგადოებრივი წყობის სტრაბონისეულ აღწერას პოსიდონიუსის ცნობებს პართელთა ჩვევების შესახებ, რომლებიც შემოინახა მხოლოდ სტრაბონის „გეოგრაფიაში“, და დაასკვნის, რომ: 1. „პოსოდონიუსი, გარდა წმინდა საყოფაცხოვრებო აღწერილობისა და მოსაზრებისა პართელთა ეთნიკური წარმომავლობის შესახებ, იძლეოდა აგრეთვე მათი სახელმწიფო დაწესებულებებისა და კანონების აღწერილობას“; 2. გამოთქმა უკანასკნელ ფრაზაში პართელთა ჩვევების შესახებ „ἐξ ὧν ἀμφοῖν τοὺς βασιλεῖς καθίστασι“ („გეოგრაფია“ XI, 9, 3) სტილისტურადაც და სინტაქსურადაც ძალიან ახლო დგას XI, 3, 6-თან: „ ἐξ οὗ τοὺς βασιλέας καθιστᾶσι (Болтунова 1947: 159). ეს ორი ადგილი მართლაც ძალიან ჰგავს ერთმანეთს სტილისტურადაც და სინტაქსურადაც, მაგრამ შესაძლებელია, რომ სტრაბონმა ისესხა პოსიდონიუსისაგან მხოლოდ გამოთქმა, ან თავისი საკუთარი სიტყვებით გადმოსცა პოსიდონიუსის ცნობა. გარდა ამისა, გვაქვს ტერმინოლოგიური განსხვავებაც: პართელთა მიმართ ახლო ნათესავების აღსანიშნავად იხმარება ტერმინი, οἱ συγγενεῖς, ხოლო იბერიის მიმართ „ἀγχιστεία“ ან „διάπειρα“ (ამაზე ქვემოთ). მაგრამ მთავარი ეს კი არაა, არამედ ის, რომ სტრაბონის „გეოგრაფიაში“ (XI, 9, 3) შემონახულია პოსიდონიუსის შემდეგი ცნობა: „პართელთა საბჭო (συνέδριον) იყოფა ორ ნაწილად. პირველ მათგანს ქმნიან ახლო ნათესავები, ხოლო მეორეს – სწავლულნი და მაგები. მეფეებს ირჩევენ ორივე შემადგენლობიდან“. ეს ადგილი ნათლად მოწმობს, რომ პოსიდონიუსი ვერ ჩაითვლება ისეთ ავტორად, რომელიც იძლეოდა სოციალური წყობის აღწერას „ელინისტური უტოპიური სქემების შაბლონის მიხედვით“, ანუ საზოგადოების „μέρος“-ებად, „γένος“-ებად და ა.შ. დაყოფის სახით. ამრიგად,

ძნელია პოსიდონიუსი მივიჩნიოთ სტრაბონის „გეოგრაფიის“ XI, 3, 6-ის პირდაპირ წყაროდ.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სტრაბონის ცნობა იბერიის საზოგადოებრივი წყობის შესახებ ერატოსთენეს მეოხებით პატროკლედან მომდინარეობს, რის შესახებ პირდაპირი მითითება მოგვეპოვება სტრაბონისავე „გეოგრაფიაში“ (XI, 7, 3). კავკასიის საერთო აღწერისას იგი პირდაპირ მიუთითებს ერატოსთენეზე, როგორც თავის წყაროზე. მკვლევარნი ერატოსთენეს თხზულებით სარგებლობის კვალს ხედავენ აგრეთვე XI, 3, 2 და XI, 2, 12-19-ში (Болтунова 1947: 148-149), მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია სხვა ცნობა: დიდი სავაჭრო გზის აღწერისას, რომელიც მიემართებოდა ოქსუსის მიდამოებიდან კასპიის ზღვისაკენ და მტკვარ-ფაზისის გავლით შავი ზღვისაკენ, სტრაბონი ასახელებს არისტობულეს, რომელმაც, „ისევე როგორც ერატოსთენემ, ეს ცნობები აიღო პატროკლესაგან“ (XI, 7, 3). უკანასკნელი, როგორც ცნობილია, სელევკოს ნიკატორისა და მისი ვაჟის ანტიოქეს დროს მართავდა კასპიის ზღვის მახლობლად მდებარე ოლქებს. ძვ.წ. III ს.-ის 90-იან წლებში პატროკლე სელევკოს ნიკატორის დავალებით იკვლევდა ამ ოლქების ჩრდილოეთ ინდოეთთან სავაჭრო ურთიერთობის ორგანიზაციის შესაძლებლობას (Neumann 1884; Gisinger 1949; Pfiester 1961: 30). სავსებით სავარაუდებელია, რომ პატროკლეს ექსპედიცია[1] აგროვებდა ცნობებს აგრეთვე იმ ხალხების შესახებ, რომელთა ქვეყანაზეც გადადიოდა სავაჭრო გზები (Pfiester 1961: 40), მათ შორის იბერიის შესახებაც.

ამგვარად, შეიძლება გამოითქვას მოსაზრება, რომ სტრაბონის „გეოგრაფიაში“ დაცული აღწერა იბერიის საზოგადოებრივი წყობისა განეკუთვნება ძვ.წ. III ს-ის 90-იან წლებს, რაც ეთანხმება იმ მდგომარეობას, რომელიც დგინდება „გეოგრაფიის“ XI, 3, 6-ის ტექსტუალური ანალიზისას.[2]

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ დავას იწვევს ჩვენთვის საინტერესო ადგილის არსებული თარგმანი, სახელდობრ, „ὁ δεύτερος“-ის როგორც „მეფის შემდეგ მეორე პირის“ გაგება. ასეთ შემთხვევაში სტრაბონი აუცილებლად დაუმატებდა „μετὰ τὸν βασιλέα“ (ე.ი. „მეფის შემდეგ“), ისევე როგორც, ვთქვათ, კაპადოკიის აღწერისას, სადაც სტრაბონის ცნობით, ქურუმი „პატივის მიხედვით არის მეფის შემდეგ მეორე პირი“: ἔστιν οὗτος (ქურუმი – ო. ლ.) δεύτερος κατὰ τιμὴν [ἐν] τῇ Καππαδοκίᾳ μετὰ τὸν βασιλέα (XII, 2, 3), ან

1 პატროკლემ თავისი ექსპედიცია დაიწყო კასპიის ზღვის სამხრეთ-დასავლეთი სანაპიროდან და აქედან გაცურა ჩრდილოეთისკენ კავკასიის ნაპირის გაყოლებით თითქმის აპშერონის ნახევარკუნძულამდე (Müller1972: 246).

2 ეს მოსაზრება (დაწვრ. იხ. ლორთქიფანიძე ოთ. 1957) არ გაიზიარა ვ. ვაშაკიძემ, რომელმაც საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა „გეოგრაფიის“ XI, 3, 6-ის წყაროების საკითხს: „სტრაბონის თხზულების აღნიშნული ადგილის წყაროდ პატროკლეს დაბეჯითებით დასახელებისათვის საფუძველს ვერ ვხედავთ, თუმც შესაძლებელია, რომ „გეოგრაფია“-ში დაცული ცნობით იბერიაში არსებული სოციალური ვითარება ქრონოლოგიურად ახლო იდგეს პატროკლეს ხანასთან (ძვ.წ. III ს.)... „გეოგრაფიის“ XI, 3, 6 წყაროს შესახებ ყველა მოსაზრება მეტად თუ ნაკლებად დასაბუთებული ვარაუდის ფარგლებში რჩება“ (ვაშაკიძე 1991: 153-154). ასეთ მიდგომას არ შეიძლება არ დაეთანხმო: ჩემი მოსაზრებაც უაღრესად ჰიპოთეტურია.

კიდევ იბერიის მოსაზღვრე ალბანიის აღწერისას, სადაც ქურუმობს მეფის შემდეგ ყველაზე უფრო პატივსაცემი პირი „ἱεράται δ' ἀνὴρ ἐντιμότατος μετὰ τὸν βασιλέα“ (XI, 4, 7) და სხვ. (ლორთქიფანიძე ოთ. 1957; შდრ. Volkmann 1975: 82 და შმდ., 89 და შმდ.). სტრაბონთან საერთოდ ხშირადაა დადასტურებული კონსტრუქცია δεύτερος μετὰ τὸν βασιλέα (დაწვრ. Volkmann 1975: 92). ხოლო XI, 3, 6-ში იბერიის მიმართ δεύτερος ამ განმარტების გარეშეა მოხსენიებული. ამიტომ მგონია, რომ აქ XI, 3, 6-ის δεύτερος არ უნდა გავიგოთ, როგორც „მეორე მეფის შემდეგ“ (თუ პრაქტიკულად „პირველი მეფის შემდეგ“?), ე.ი. როგორც ტექნიკური ტერმინი, რომლითაც მოიხსენიებოდნენ უმაღლესი სახელმწიფო მოხელეები აღმოსავლეთისა თუ ბერძნულ-რომაულ სამყაროში (იხ. Volkmann 1975: 82 და შმდ.; შდრ. იქვე 106). ჩვენთვის ამჯერად საინტერესო ტექსტის არსებული თარგმანი, ჩვენი აზრით, ხელოვნურია[1]; ამავე დროს ამ თარგმანიდან გამომდინარე დასკვნებიც სავარაუდოა. უფრო მართებულად მიმაჩნია ამ ადგილის შემდეგნაირად თარგმნა: „ასევე ადამიანთა ოთხი გენოსი მოსახლეობს ამ ქვეყანაში. ერთი და პირველი, რომლისაგანაც სხამენ მეფეებს: (ერთს – ო. ლ.) უხუცესს ახლო ნათესაობისა (იგულისხმება გარდაცვლილი მეფის მიმართ – ო. ლ.) და ასაკის მიხედვით, ხოლო მეორე (აგრეთვე მეფე – ო. ლ.) მოსამართლეობს და მხედართმთავრობს“.

ამრიგად, სტრაბონის ცნობაში საუბარი უნდა იყოს ორი მეფის შესახებ,[2] მაგრამ როგორ შევუთავსოთ ეს ცნობა სხვა ისტორიული წყაროების ჩვენებას, რომლებიც გვაცნობენ იბერთა მეფეებს, როგორც ერთპიროვნულ მონარქებს (არტაგი, ფარსმანი, მირიანი და სხვ.)? სტრაბონის თხზულებაში ვერ აისახებოდა ქართულ წყაროებში („ქართლის ცხოვრება“: 43 და შმდ.) დაცული ცნობა ქართლში ე.წ. ორმეფობის შესახებ, ვინაიდან ეს უკანასკნელი არა უადრეს ახ.წ. 30-იანი წლებიდან არის საგულისხმებელი, სტრაბონი კი გარდაიცვალა უკვე 23 წელს. გარდა ამისა, მისი ცნობები, როგორც ითქვა, უფრო ადრინდელ ხანას განეკუთვნება.

ჩემი აზრით, სტრაბონის ცნობა ასახავს სახელმწიფოებრივი წყობის არქაულ ფორმას, რომელიც არსებობდა იბერიაში სახელმწიფოებრიობის ფორმირების

1 ამიტომაც მე ვერ გავიზიარებ ვერც იმ მოსაზრებას, რომ სტარბონისეული ὁ δεύτερος შეესატყვისება ქართული წყაროების სპასპეტს, რომელიც იყო „შემდგომადვე წინაშე მეფისა“ (შდრ. მელიქიშვილი 1970გ: 645 და შმდ.; ვაშაკიძე 1991: 21).

2 გ. მელიქიშვილის აზრით, თუკი არ დავუშვებთ, რომ სტრაბონის თხზულების ამ ადგილმა ჩვენამდე მოაღწია მეტად შერყვნილი სახით, სტრაბონის ცნობის ამგვარი გაგება მეტად არაბუნებრივად გვეჩვენება: „ერთი მეფის“ დახასიათებისას სტრაბონი აღნიშნავს ერთ მომენტს (ვინ ხდება „მეფედ“), ხოლო „მეორე მეფის“ დახასიათებისას – სრულიად სხვას (რა ფუნქციის მატარებელია იგი). ამას გარდა, თუკი სტრაბონი „მეორესაც“ („დევტეროს“) მეფედ სთვლიდა, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი მკაფიოდ აღნიშნავდა ამ საინტერესო ფაქტს (იბერებთან ორი მეფის ინსტიტუციის არსებობას), ისე როგორც იგი ლაპარაკობს, მაგალითად, ალბანელებთან წინათ 20 „მეფის“ არსებობაზე (Strabo, XI, 4, 6) (მელიქიშვილი 1970ბ: 496-497, შენ. 3). ეს შენიშვნა, მართლაც, დამაფიქრებელია. ჩემის გაგებით, სტრაბონი საკმაოდ მკაფიოდ (გრამატიკული თვალსაზრისით) განმარტავს: „მეფეები“ მრავლობით რიცხვშია τοὺς βασιλέας ხოლო შემდეგ თითოეულზე მხოლობით რიცხვში საუბრობს: ...τὸν πρεσβύτατον და ὁ δὲ δεύτερος.

ადრეულ ეტაპზე. ეს ის პერიოდია, როდესაც საჯარო ხელისუფლება უკვე გამოეყო ხალხს, მაგრამ პოლიტიკურსა და სოციალურ-ეკონომიკურ წყობაში ჯერ კიდევ მძლავრადაა შემორჩენილი გვაროვნული წყობილების ნაშთები.

პოლიტიკური წყობის არქაულობაზე მიუთითებს აგრეთვე ცნობა ტახტის მემკვიდრეობის სისტემის შესახებ: სხამენ მეფეებს „κατ' ἀγχιστείαν τε καὶ ἡλικίαν τὸν πρεσβύτατον". აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტრაბონისეული ამ ტექსტის შესახებ გამოთქმულია საკმაოდ ანგარიშგასაწევი შენიშვნა: ტერმინი ἀγχιστεία გვხვდება „გეოგრაფიის" გვიანდელ ხელნაწერში, მაშინ როდესაც ყველაზე ადრეულში (V-VI სს-ის პალიმფსესტში) მის ნაცვლად იკითხება διάπειρα („გამოცდილება").[1] მაშასადამე, ტექსტი უნდა აღდგეს შემდეგნაირად:

Ἐν μὲν καὶ πρῶτον, ἐξ οὗ τοὺς βασιλέας καθιστᾶσι, κατὰ διάπειραν τε καὶ ἡλικίαν τὸν πρεσβύτατον (Waschakidzze 1991: 31)

„... ერთია და უპირველესი, საიდანაც სხამენ მეფეებს გამოცდილებისა და ასაკით უხუცესს" (ვაშაკიძე 1982).

ძალზე საინტერესოა, რომ ტახტის მემკვიდრეობის აუცილებელ კრიტერიუმად მიჩნეულია ἀγχιστεία (თუ διάπειρα) და ἡλικία, ე.ი. ხაზგასმულია უხუცესობის პრინციპი.[2]

ასე რომ, სტრაბონის ცნობაში აისახა ისეთი მდგომარეობა, როდესაც იბერიაში ჯერ კიდევ არ იყო ტახტის მემკვიდრეობის მტკიცედ დადგენილი წესი და სამეფო ტახტი ჯერ კიდევ არ გადადიოდა უშუალოდ მამიდან შვილზე, მაშინ როდესაც ქართული საისტორიო წყაროები და ადგილობრივი ეპიგრაფიკული ძეგლები, როგორც წესი, იბერიის სამეფო ტახტის მამიდან შვილზე გადასვლას გვიდასტურებენ. მას შემდგომ, რაც ძვ.წ. III ს-ის 70-იან წლებში შეიქმნა იბერიის სამეფო ფარნავაზთა დინასტიის მეთაურობით, პირველი მეფის ფარნავაზის შემდეგ მეფობს მისი ძე საურმაგი, რომელსაც ცვლის მისი შვილობილი მირვან (უაღრესად მნიშვნელოვნი ფაქტია: უხუცესისაგან კი არ „დასხეს" მეფე, არამედ „შვილად" მიჩნეული პიროვნება). მის შემდეგ მეფობს მისი ძე ფარნაჯომი და ა.შ. (ქართლის ცხოვრება: 16 და შმდ.). ზუსტად ასევე სტრაბონის თანადროულ იბერიაშიც: „მოკუდა არშაკ, და მეფედ იქნა ძე მისი არტაგ" (პომპეუსთან მებრძოლი მეფე), „მოკუდა არტაგ და დაჯდა მის წილ ძე მისი ბარტომ" („ქართლის ცხოვრება": 30). იბერიის დედაქალაქთან – თანამედროვე მცხეთის მახლობლად ნა-

1 ტერმინს ἀγχιστεία, ჩვეულებრივ, იურიდიული ტერმინის მნიშვნელობა ჰქონდა და აღნიშნავდა ისეთ ახლო ნათესაობას, რომელიც აძლევდა მემკვიდრეობის უფლებას. ἀγχιστεία აღნიშნავდა ნათესაობას კანონიერი ქორწინების გზით, ე.ი. 1. ძმებს მამის მხრივ და მათ შთამომავალთ, 2. დებს მამის მხრივ და მათ შთამომავალთ, 3. მამის ძმებს და მათ შთამომავალთ, 4. მამის დებს და მათ შთამომავალთ, 5. ძმებს დედის მხრივ და მათ შთამომავალებს და 6. დებს დედის მხრივ და მათ შთამომავლებს (Talheim 1894; შდრ. Liddell–Scott 1977: ἀγχιστεί =1. close kingship, 2. rights of king, right of inheritance).

2 ფრაზის კონსტრუქცია τε....καὶ გვიჩენებს, რომ ტახტის მემკვიდრეობის კრიტერიუმად ითვლებოდა როგორც ახლო ნათესაობა (თუ გამოცდილება), ისე ასაკით უხუცესობა.

პოვნ იმპერატორ ვესპასიანეს ბერძნულ წარწერებშიც (75 წ.) მოიხსენიება მეფე მითრიდატე „ძე ფარსმანისა და ამაზასპუჰის“ (ეს უკანასკნელნი მეფე და დედოფალი არიან – Церетели 1958: 14). ეს კი ის ფარსმანია, რომლის შესახებ ტაციტუსი იუწყება, რომ მას უპყრია „მამეული ხელისუფლება“ (imperium gentile) და ფლობს იბერებს „მფლობელობის ძველთაძველი უფლებით“ (Hiberos Pharasmanes vetusta possessione... obtinebat: Annales, XII, 44). ჩანს, რომ იბერიის მეფის კარზე ტახტის უფლების თეორიული დასაბუთება შემუშავებულა. ის თავდაპირველად თვით ქვეშევრდომთათვის, იბერებისათვის იყო განკუთვნილი, მაგრამ საჭირო შემთხვევაში იგი საგარეო ურთიერთობის პირობებშიც გამოიყენება და ეს რომაელებისათვის უკვე ცნობილია. სტრაბონისეული იბერიის მეფე კი ჯერ კიდევ შორსაა ამ მდგომარეობისაგან. სტრაბონის ცნობაში ჯერ კიდევ არაა ასახული ის მდგომარეობა, როდესაც იბერიის მეფეებს, ქვეყნის ნამდვილ მესვეურებს, ვინმე კი არ სვამს ტახტზე (καθιστᾶσι), არამედ ისინი თვითონ სხდებიან მამისეულ ტახტზე.

უმაღლესი ხელისუფლების ფუნქციების განაწილება რამდენიმე პირს შორის, რაც აგრეთვე დამახასიათებელია სახელმწიფოებრივი აპარატის განვითარების ადრეული ეტაპისათვის (აშური, პილოსი, სპარტა და სხვ.), მოწმობს სტრაბონისეული იბერიის პოლიტიკური წყობის არქაულობას (ლორთქიფანიძე ოთ. 1957: 373).

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სტრაბონისეული იბერიის მეფეები წარმოადგენდნენ ყველაზე უფრო გავლენიანი არისტოკრატიული გვარების მეთაურებს,[1] რომლებიც ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი ფუნქციების მითვისების შემდეგ შესაფერ მომენტსა და განვითარების გარკვეულ ეტაპზე ახდენენ უმაღლესი ხელისუფლების უზურპაციას ერთ ხელში. ცხადია, ბრძოლა უმაღლესი ხელისუფლებისათვის დიდხანს გრძელდებოდა, ვიდრე საბოლოოდ არ გაიმარჯვა ყველაზე უფრო ძლიერმა და გავლენიანმა გვარმა, რომელსაც ძველი ქართული და სომხური წყაროები უწოდებდნენ ფარნავაზიანებს, დინასტიის დამაარსებლის ფარნავაზის სახელის მიხედვით. ლეონტი მროველს შემონახული აქვს მეტად საინტერესო ცნობა – ეგრისის მმართველი ქუჯი აზოს წინააღმდეგ აჯანყების ინიციატორს ფარნავაზს მიმართავს: „შენ ხარ შვილი თავთა მათთა ქართლისათა[2] და შენ გმართებს უფლობა ჩემი... შენ ხარ უფალი ჩუენი და მე ვარ მონა შენი...“ („ქართლის ცხოვრება“: 22). კიდევ უფრო საინტერესოა ამ ადგილის ძველი სომხური თარგმანი: „ქართლის სახლის პირველ მამასახლისთაგანი ხარ

1 ასეთი არისტოკრატული გვარების გამოყოფაზე იბერიაში ძვ.წ. IV-III სს-ში თვალსაჩინოდ მოწმობენ არქეოლოგიური მონაცემები. აღმოჩენილია ამ ხანის მდიდრული სამარხები, რომლებიც მკვეთრად გამოირჩევიან თანადროული რიგითი სამარხებისაგან და შეიცავენ მრავალრიცხოვან ოქროსა და ვერცხლის სამკაულებს (ხატისუღლები, ყელსაბამები, საყურეები და სასაფეთქლეები, ბალთები, ბეჭდები და სხვ.). ასეთი სამარხები აღმოჩენილია ახალგორში, ყანჩაეთში, ალგეთში და სხვ. (დაწვრ. Лордкипанидзе О. 1989: 323-324 და იქ დასახ. ლიტ.).

2 ძველ ქართულ წყაროებში „ქართლი“ იბერიას ნიშნავს (იხ. ზემოთ IV და V თავები).

შენ და შეგშვენის შენ მთავრობა. და ეხლა შენ – ბატონი, და მე – მონა შენი“ (აბულაძე 1953: 31).

ფარნავაზის აჯანყება და ფარნავაზიანთა დინასტიის დამკვიდრება თარიღდება ძვ.წ. III ს-ის 80-70-იანი წლებით (ინგოროყვა 1941: 24; მელიქიშვილი 1970დ: 436 და შმდ.). აღსანიშნავია, რომ ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია ფარნავაზს მიაწერს ქვეყნის სამხედრო-ადმინისტრაციულ ოლქებად („ქართლის ცხოვრება“: 24) ანუ ტერიტორიულ დანაწილებას (ლორთქიფანიძე ოთ. 1968: 17 და შმდ.).

სტრაბონის ცნობაში იბერიის პირველი გენოსის შესახებ ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი გარემოება: მართლმსაჯულება იბერიის მეფის, უფრო სწორად, ჩვენი გაგებით, ერთ-ერთი მეფის უფლებაა („ὁ δὲ δεύτερος δικαιοδοτεῖ καὶ στρατηλατεῖ“). როგორც ცნობილია, გვაროვნული წყობილებისას მართლმსაჯულებას სახალხო კრება ახორციელებდა. ასევეა ჰომეროსის მიერ აღწერილ ბერძნულ საზოგადოებაში, როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობდა პროფესიული მართლმსაჯულება. მდგომარეობა მკვეთრად იცვლება ძვ.წ. VIII-VII სს. თუ ჰომეროსთან სასამართლო იხსენიება შემთხვევით და იშვიათად, ჰესიოდესთან მთელი თხზულების შინაარსი უკვე სასამართლო საქმეებზეა აგებული. ჰესიოდეს ბასილევსების ძირითადი ფუნქცია მართლმსაჯულებაა, მაშინ როდესაც ჰომეროსისეული ბასილევსების ძირითადი ფუნქცია მხედართმთავრობა იყო. თუ ჰომეროსთან ბასილევსის ჩვეულებრივი ეპითეტია διοτρεφής და διογενής (ზევსის პირმშო, ზევსის შობილი), მომდევნო პერიოდის ნაწარმოებებში ისინი იწოდებიან θεμιστοπόλος (სამართლისმქმნელნი). ეს იმიტომ, რომ მართლმსაჯულება უკვე გამოეყო საზოგადოებას და ბასილევსების ფუნქცია გახდა (Ленцман 1954: 68-69).

სტრაბონის ცნობის საფუძველზე: „ὁ δὲ δεύτερος δικαιοδοτεῖ“, შეიძლება დავასკვნათ, რომ იმ დროისათვის იბერიაში მართლმსაჯულება უკვე გამოეყო საზოგადოებას და გახდა ფუნქცია მეფისა.

2. δεύτερον δὲ τὸ τῶν ἱερέων, οἱ ἐπιμελοῦνται καὶ τῶν πρὸς τοὺς ὁμόρους δικαίων.	„...მეორე (გვარი) არის ქურუმთა, რომლებიც ზრუნავენ აგრეთვე მეზობლებთან სამართალზე...“

ძნელად წარმოსადგენია, რომ საგარეო ურთიერთობა მეფის უფლება-მოვალეობას არ წარმოადგენდა. იქნებ, ეს ცნობაც ამიტომ მიუთითებს, რომ სტრაბონის წყარო ამ შემთხვევაშიც ერთიანი მონარქიული ხელისუფლების შექმნის წინა ხანას ასახავს. არსებობს სხვაგვარი ინტერპრეტაციაც: გამოთქმა „ზრუნვა“ (ἐπιμελοῦνται)[1] თითქოს მოწმობს, რომ ეს ფუნქცია ქურუმებს მათზე ზემდგომი ხელისუფლებისაგან აქვთ დავალებული, ხოლო რამდენადაც წყაროების

1 შდრ. Oehler 1907: 166; შდრ. Liddell-Scott 1977, s. v. ἐπιμέλεια.

მიხედვით კარგად ჩანს, რომ ომისა და ზავის საკითხებს თვით იბერთა მეფეები წყვეტენ, ვარაუდობენ, რომ, შესაძლოა, ქურუმებს ევალებოდათ საგარეო ურთიერთობასთან დაკავშირებული ფიცის გაფორმება თუ რიტუალის შესრულება (Болтунова 1956: 39). ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, რჩება მხოლოდ გონებაჭვრეტითი ვარაუდის დონეზე.

სხვა ცნობები იბერიაში ქურუმების შესახებ ბერძნულ-რომაულ წერილობით წყაროებში, რამდენადაც ვიცი, შემონახული არაა. ქურუმთა არსებობას იბერიაში, რაც ისედაც სავარაუდებელი იყო, მოწმობს არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი ცალკეული სატაძრო ნაგებობანი და მთელი სატაძრო კომპლექსებიც. ძვ.წ. V-IV სს-ით ათარიღებენ, მაგ., სამადლოში აღმოჩენილ ცეცხლის ტაძრად მიჩნეულ ოთხკუთხა კოშკისებრ ნაგებობას (Гагошидзе 1979: 51-53). მონუმენტური სატაძრო კომპლექსი კი აღმოჩენილია ციხიაგორაზე და თარიღდება ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევრითა და III ს-ის დასაწყისით (ე.ი. იმ პერიოდით, რომელსაც შეიძლება ასახავდეს სწორედ სტრაბონის „გეოგრაფიის“ ამჟამად განსახილავი ნაწილი: XI, 3, 6). ოთხკუთხა კოშკებით გამაგრებული ზღუდე-კედლის შიგნით გამოვლენილია ორსართულიანი ნაგებობა, ტაძარი (რომლის ეზოში აღმართული იყო კვადრატული ფორმის 2 მ სიმაღლის საკურთხეველი), „წმინდა ბეღელი“ (8 სათავსო, რომელთაგან 6 მარცვლეულის შესანახად იყო განკუთვნილი), „წისქვილი“ (საგანგებო სათავსი, სადაც 32 ქვის ხელსაფქვავი აღმოჩნდა გარკვეული რიგით დალაგებული), თონეები, მარანი (20 ქვევრით) და საწნახელი, სატრაპეზო და სხვა ნაგებობანი. მთლიანად ეს კომპლექსიც მზის ტაძრადაა მიჩნეული (Цкитишвили 1977; Zkitischwili 1995; Lordkipanidse 1991: 152). ამ სატაძრო კომპლექსის გალავნის კედლებს გარეთ აღმოჩენილია სამაროვანი, რომელზედაც ქურუმთა სამარხებიცაა გამოვლენილი. ერთ-ერთი მათგანი, ძვ.წ. III ს-ის დასაწყისისა, საკმაოდ მდიდრულია: მდიდრულად ორნამენტირებული და შუაში მინანქრით მორთული ოქროს დისკო, ოქროს საყურე რგოლები, ვარდულები და კილიტები; ვერცხლის თასი და ჩამჩა; ბრინჯაოს ზარაკები, ცხვრის მინიატურული ქანდაკება-საკიდი და სამაჯურები; სერდოლიკის, მინის, გიშრისა და პასტის მძივები; საბეჭდავები, თიხის ჭურჭელი (დოქები და ჯამი) (Zkitischwili 1995).

ტაძრები იბერიაში გვიანელინისტური ხანისთვისაა დადასტურებული. მათგან აღსანიშნავია მონუმენტური კომპლექსი „დედოფლის მინდორზე“, რომელიც ადგილობრივ ასტრალურ ღვთაებებთან შერწყმულ მაზდეანურ კულტთან იყო დაკავშირებული და, როგორც ფიქრობენ, აგებული იყო ავესტური ნაყოფიერების ღვთაების – ანაჰიტას სახელზე (Гагошидзе 1977). მთლიანად სატაძრო ქალაქადაა მიჩნეული კლდეში ნაკვეთი ქალაქი უფლისციხე (Саникидзе 1989).

3. τρίτον δὲ τὸ τῶν στρατευομένων καὶ γεωργούντων	„...მესამე (გვარი) არის მეომართა და მიწისმოქმედთა“.

ამ ცნობის ინტერპრეტაციაც იწვევს აზრთა სხვადასხვაობას. ს. ჯანაშიას აზრით, „ესაა წვრილ მწარმოებელთა წოდება. მისი ადგილობრივი სახელია „ერი“ (ხალხი – ჯარი). იბერიის საზოგადოების შემდგომი განვითარება „ერის“ შემდგომი დიფერენციაციის გზით მიდიოდა და უკვე I საუკუნის დამდეგს ჩვენს ერამდე (და იქნებ უფრო ადრეც) ერთგვარი ბზარია გავლებული „მეომრებსა“ და „მიწისმოქმედთა“ შორის (ჯანაშია 1949: 143). ამ შეხედულებას იზიარებენ სხვა მკვლევარებიც (Болтунова 1956: 39-40). გ. მელიქიშვილის აზრით, „მოსახლეობის ძირითად მასას ამ დროს თავისუფალი მეთემენი – სტრაბონისეული აღწერილობის მესამე „გენოსი“, „მიწათმოქმედნი“ და „მეომარნი“ – შეადგენდნენ (ძველი ქართული ტერმინოლოგიით „ერი“) (მელიქიშვილი 1966: 87; მელიქიშვილი 1970გ: 572-573). ა. აფაქიძის აზრით, „სტრაბონის ცნობა იმის შესახებ, რომ „მესამე გვარი არის მხედართა“[1] და „მიწისმოქმედთა“, უნდა გავიგოთ როგორც გარკვეული შედეგი „მეომარ-მიწისმოქმედთა“ ადრინდელი ფენის დიფერენციაციის ხანგრძლივი პროცესისა. რა თქმა უნდა, ამ ცნობით კარგად ჩანს, რომ სტრაბონი სხვადასხვა კატეგორიის შესახებ მსჯელობს, ე.ი. მას არ აქვს გაიგივებული მეომარი და მიწათმოქმედი“ (აფაქიძე 1963: 239). მართლაც, სტრაბონის მიერ იბერიის მოსახლეობის ერთ ჯგუფში (III გენოსი) „მხედართა“ და „მიწისმოქმედთა“ მოხსენიება სრულებითაც არ უნდა ნიშნავდეს, რომ მიწისმოქმედნი იმავე დროს პროფესიონალი მეომრები (მხედრები) არიან.[2]

შეიძლება დავუშვათ, რომ სტრაბონი (თუ მისი წყარო) ამ შემთხვევაში ერთმანეთისაგან ასხვავებს მიწისმოქმედებს და მეომრებს.[3] ასე რომ, აქ ორ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ პროფესიულ კატეგორიაზე უნდა იყოს საუბარი. ძალზე ძნელია თქმა იმისა, თუ როგორი იყო იბერიის γεωργοί-ს სოციალური სტატუსი: თავისუფალი წვრილი მიწის მესაკუთრენი იყვნენ ისინი,[4] თუ, რაც უფრო საფიქრებელია, მიწის თავისუფალი არენდატორები, ეგვიპტის βασιλικοὶ γεωργοί თუ ელინისტური ხანის γεωργοί-ის მსგავსად (შდრ. Зельин 1960). Γεωργοί-ს პარალელურად სტრაბონი ასახელებს στρατευόμενοι, რომელთა ქვეშ, როგორც ვთქვით, შესაძლოა იგულისხმებიან პროფესიონალი მეომრები. ასეთ ვარაუდს უფრო გვიანდელი მონაცემიც თითქოს მხარს უჭერს (შდრ. ჯანაშია 1949: 193 და

1 რატომღაც ზოგიერთი მკვლევარი სტრაბონისეულ στρατευομένοι-ს თარგმნის როგორც „მხედარი“. უფრო სწორი უნდა იყოს „მეომარი“.

2 ასე, მაგ., ინდოეთის აღწერისას სტრაბონი (მეგასთენეს ცნობების საფუძველზე) III ჯგუფში (μέρος) აერთიანებს მწყემსებსა და მონადირეებს, IV-ში „ხელოსნებსა და ვაჭრებს“ და ა.შ. საფიქრებელია, რომ ელინისტური ხანის ინდოეთში ხელოსნობა და ვაჭრობა უკვე დიფერენცირებული იყო და ხელოსნები და ვაჭრები ცალკეულ სოციალურ კატეგორიებს წარმოადგენდნენ.

3 ასევე დიფერენცირებულად, მაგრამ სულ სხვა მნიშვნელობით, ესმოდა ეს ცნობა მიხ. როსტოვცევს, რომელსაც მიწისმოქმედნი და მეომრები ქურუმებთან ერთად იბერიის გაბატონებულ ფენად მიაჩნდა (Rostovtzeff 1910: 281).

4 მ. როსტოვცევი იბერიის γεωργοί-ს უწოდებს Landbesitzer-ს (Rostovtzeff 1910: 281).

შმდ.). საინტერესოა პლუტარქეს ცნობა, რომ ძვ.წ. 68 წ. არტაშატთან ბრძოლის დროს სომხეთის მეფის ტიგრანის არმიაში იყვნენ აგრეთვე იბერიელი შუბოსნები, რომლებზედაც ტიგრანი უფრო მეტ იმედს ამყარებდა, ვიდრე დანარჩენ მოქირავნეებზე („ლუკულუსი", XXXI). ჩანს, თითქოს, რომ „იბერიელი შუბოსნებიც" მოქირავნეებს წარმოადგენდნენ (შდრ. Меликишвили 1959: 323). თუ სწორია ეს ვარაუდი, მაშინ ჩვენ საქმე გვაქვს ძალზე საინტერესო ვითარებასთან: ელინისტური ხანის იბერიაში პროფესიონალ მეომართა შორის (სტრაბონისეული στρατευόμενοι) მოქირავნეობის ინსტიტუტის განვითარებასთან.

საინტერესოა არქეოლოგიურ მონაცემთან შედარება. ძვ.წ. IV-III სს-ში რიგით მეთემეთა სამარხებში საბრძოლო იარაღი (უპირატესად შუბისპირები ან სატევარი) უკვე ერთეულებითაა წარმოდგენილი (იხ. Лордкипанидзе О. 1989: 321 და შმდ. იქვე დასახ. ლიტ.), მაშინ როდესაც წინამორბედ ხანაში ის მრავლად გვხვდება მამაკაცთა სამარხებში. მაგრამ საინტერესოა, რომ ძვ.წ. IV-III სს-ში იბერიაში ფიქსირდება პროფესიონალ მეომართა სამარხები. ასე მაგ., არაგვის ხეობაში, ვარსიმაანთკარში აღმოჩენილია სამაროვანი, სადაც იბერიის სხვა რიგით მეთემეთა სამარხებისაგან განსხვავებით, წარმოდგენილია მრავალრიცხოვანი იარაღი და საომარი აღჭურვილობა, ამასთან ცხენის თანდაკრძალვის შემთხვევებიც. მეომრის აღჭურვილობაში შედის ბრინჯაოს აბჯარი, ფარი, მუზარადი, რკინის დიდი ზომის შუბისპირები (ზოგჯერ 80-85 სმ სიგრძის, ტარის გარეშე), ხელშუბისპირები, ცალპირლესული საჩეხი იარაღი, სატევრები. ეს იარაღები, როგორც წესი, დამზადებულია მაღალი სიმტკიცის ფოლადისაგან. სამაროვნის გამთხრელმა არქეოლოგმა რ. რამიშვილმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტსაც, რომ რკინის იარაღების უმეტესობა საგანგებოდაა დაზიანებული, რაც თითქოს ეხმაურება საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებულ რიტუალს, როდესაც დამკრძალავთა წარმოდგენით, მეომართან ერთად უნდა „მომკვდარიყო" მისი იარაღი.

ხომ არაა ეს სამარხები სწორედ სტრაბონისეული „მხედრების" (στρατευόμενοι) სამარხები?

4. τέταρτον δὲ τὸ τῶν λαῶν, οἱ βασιλικοὶ δοῦλοί εἰσι, καὶ πάντα διακονοῦνται τὰ πρὸς τὸν βίον. Κοιναὶ δ' εἰσὶν αὐτοῖς αἱ κτήσεις κατὰ συγγένειαν, ἄρχει δὲ καὶ ταμιεύει ἑκάστην ὁ πρεσβύτατος.

„..მეოთხე (გვარი) არის ლაოებისა, რომლებიც სამეფო მონები არიან და აკეთებენ ყველაფერს, რაც ცხოვრებისთვის არის საჭირო. საზოგადო აქვთ ქონება ნათესაობისდა მიხედვით. მართავს და განაგებს თითოეულს [ნათესაობას] – უხუცესი".

არც ამ ცნობაშია ყველაფერი ნათელი და მისი ინტერპრეტაციაც აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. საინტერესოა აქ, უწინარეს ყოვლისა, ის, რომ იბერიის მოსახლეობის ძირითად მწარმოებელთა ფენა იწოდება ლაოებად (λαοί) ანუ ტერმინით, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული ელინისტური აღმოსავლეთის ქვეყნებში სამეფო მიწაზე მსხდომი დამოკიდებული მოსახლეობის აღსანიშნავად (დაწვრ. Briant 1973; ლორთქიფანიძე ოთ. 1957: 762-763; ლორთქიფანიძე 1968: 30-42; იხ. აგრეთვე Свенцицкая 1971). მაგრამ უკანასკნელ ხანებში, ერთერთი ხელნაწერის (რომელიც გ. კრამერის მიერაა გამოცემული) საფუძველზე გამოითქვა მოსაზრება, რომ პირვანდელ ტექსტში უნდა ყოფილიყო არა λαῶν, არამედ λοιπῶν („დანარჩენები", „დანარჩენი ნაწილი"). ამ მოსაზრებას იმითაც ასაბუთებენ, რომ სტრაბონის „გეოგრაფიის" სხვა ნაწილებში „ λαοί" არასოდეს იხსენიება საზოგადოების დაბალი ფენის აღსანიშნავად, არამედ მხოლოდ ორი მნიშვნელობით: „ჯარი" და „ახალმოშენე" (ყაუხჩიშვილი 1957: 50). ასე რომ, სტრაბონის ცნობაში მეოთხე გენოსის შესახებ საუბარია მთელ „დანარჩენ მოსახლეობაზე", რომელიც პირველ სამ გენოსში გაერთიანებული არაა (ვაშაკიძე 1991: 12). როგორც არ უნდა გადაწყდეს ეს კითხვა-სხვაობა, ის მაინც ძალაში რჩება, რომ მეოთხე გენოსი ესაა βασιλικοὶ δοῦλοι – სამეფო მონები, რომელნიც „აკეთებენ ყველაფერს, რაც ცხოვრებისათვისაა საჭირო". ე.ი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქ საუბარია ძირითად მწარმოებლებზე, რომელნიც სამეფო საგვარეულოს ემსახურებიან (დაწვრ. სამეფო მიწისმფლობელობისა და ექსპლუატაციის ფორმების შესახებ ელინისტური ხანის იბერიაში იხ. ლორთქიფანიძე ოთ. 1958; მელიქიშვილი 1970გ: 597 და შმდ.).

სულ ნათელი არაა ისიც, თუ ვინ იგულისხმება იმ წინადადებაში, რომელიც უშუალოდ მოსდევს ცნობას მეოთხე გენოსის შესახებ:

Κοιναὶ δ' εἰσὶν αὐτοῖς αἱ κτήσεις κατὰ συγγένειαν, ἄρχει δὲ καὶ ταμιεύει ἑκάστην ὁ πρεσβύτατος.	„..საზოგადო აქვთ მათ ქონება ნათესაობისდა მიხედვით. მართავს და განაგებს თითოეულს უხუცესი".

ვის ეხება ეს ცნობა: მთლიანად იბერიის მოსახლეობას, როგორც მკვლევართა ერთი ნაწილი ფიქრობს, თუ მხოლოდ მეოთხე გენოსს? ბერძნული ტერმინი ἡ συγγένεια ნიშნავს „ნათესაობას" (უპირატესად სისხლით ნათესაობას), „მახლობლობას". ამ მნიშვნელობითაა ნახმარი იგი უმეტეს შემთხვევაში სტრაბონთანაც (ყაუხჩიშვილი 1957: 58 და შმდ.). ელინისტურ-რომაული ხანის ეპიგრაფიკულ ძეგლებში ამ ტერმინს უფრო ტექნიკური მნიშვნელობა აქვს: იგი აღნიშნავს ჯვრის თუ ღვთაების ირგვლივ გაერთიანებულ კოლექტივს (შდრ. Свенцицкая 1956: 93).

მთლიანად, როგორც ვნახეთ, „გეოგრაფიის" XI, 3, 6-ის ინტერპრეტაცია ბევრ სიძნელესთანაა დაკავშირებული და მისი სხვადასხვანაირი გაგების საფუძველს იძლევა. ამასთან, სტრაბონის მიერ აღწერილი სურათი მთელი რიგი არქაული

ნიშნებით ხასიათდება და სრულიად აშკარად განსხვავდება იმისაგან, რაც ჩვენთვის ცნობილია იბერიის შესახებ ძვ.წ. III ს-ის 70-იანი წლებიდან, ე.ი. მას შემდეგ, რაც შეიქმნა იბერიის ერთიანი სახელმწიფო (შდრ. მელიქიშვილი 1970ე: 445 და შმდ.). ამიტომ სავარაუდებელია, რომ „გეოგრაფიის“ XI, 3, 6 მომდინარეობს ისეთი წყაროდან, რომელშიც წარმოდგენილი იყო იბერიის ერთიანი სახელმწიფოს შექმნის წინარე ხანა.[1]

1 მიუხედავად აშკარა შეუსაბამობისა, რომელიც არსებობს სტრაბონისეულ აღწერილობასა და იმ რეალურ ვითარებას შორის, რომელიც დგინდება იბერიაში ძვ.წ. III ს-ის 70-იანი წლებიდან მრავალფეროვანი წერილობითი წყაროებისა (ქართული, სომხური, ბერძნულ-ლათინური) და ეპიგრაფიკული ძეგლების ანალიზით, ზოგიერთი მკვლევარი მაინც თვლის, რომ „გეოგრაფიის“ XI, 3, 6-ში ძვ.წ. I ს-ის ვითარებაა წარმოდგენილი და მისი წყაროც იმდროინდელია (პომპეუსის ლაშქრობის აღმწერთაგან მომდინარე): „სრულიად დასაშვებია, რომ საზოგადოების არქაული დაყოფა (? – ო. ლ.) „გენოსებად“ იბერიაში ძვ.წ. I ს-ში არსებობდა, თუმცა მისი სათავე, უეჭველად, უფრო ადრინდელ ხანას განეკუთვნება“ (Новосельцев 1980: 107). ვფიქრობ, ასეთი მსჯელობა, სამწუხაროდ, გაუგებრობაა: საქმე ეხება არა „არქაულ დაყოფას“ (რამდენადაც გენოსებად დაყოფა სტრაბონისეული კლასიფიკაციის პირობითი პრინციპია), არამედ საზოგადოებრივ-სოციალური სტრუქტურის არქაულობას, რომელიც არ შეესაბამება ძვ.წ. III ს-ის შემდგომი ხანის იბერიის რეალურ სურათს.

VII თავი

ქალაქები
(ლოკალიზაცია და თანამედროვე არქეოლოგიის მონაცემები)

ა) კოლხეთის ქალაქები (სურ. VI)

1. ფასისი (XI, 2, 16-17; XI, 3, 4)

XI, 2, 17: Ἐπίκειται δὲ τῷ Φάσιδι ὁμώνυμος πόλις, ἐμπόριον τῶν Κόλχων, τῇ μὲν προβεβλημένη τὸν ποταμόν, τῇ δὲ λίμνην, τῇ δὲ τὴν θάλατταν.

„... მდ. ფასისზე მდებარეობს მისი მოსახელე ქალაქი, კოლხთა სავაჭრო ადგილი, გარშემორტყმული მდინარით, ტბითა და ზღვით...“

„გეოგრაფიის“ სხვა ადგილას უბრალოდაა ნათქვამი: „ამ მდინარეზე (იგულისხმება ფასისი – ო. ლ.) მდებარე მსგავსი სახელის მქონე ქალაქი“ (XI, 2, 16: τὴν ὁμώνυμον αὐτῷ πόλιν κειμένην ἐπὶ τῷ ποταμῷ), ან „(ფასისზე) არის ქალაქი მსგავსი სახელისა და მახლობლად – ტბა“ (XI, 3, 4: ἔχει πόλιν ὁμώνυμον ἐφ' αὐτῷ καὶ λίμνην πλησίον).

ამრიგად, სტრაბონის ცნობა ამ ქალაქის (და კოლხეთის სხვა ქალაქების) შესახებ უაღრესად ძუნწია, მაშინ როდესაც, ვთქვათ, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ქალაქების შესახებ მისი მონაცემები გაცილებით ინფორმაციულია და მრავალფეროვანი, შეიცავს ცნობებს ამ ქალაქების დაარსების, მეურნეობის, ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობისა და პოლიტიკური ისტორიის ზოგჯერ საკმაოდ დაწვრილებით დეტალებსაც კი, როგორც მაგ., ცნობები ბორისთენესა და ოლბიის (VII, 3, 17-19), ქერსონესის (VII, 4, 1-3, 6-7), პანტიკაპეიონის (VII, 4, 4-5), ტანაისის (XI, 2, 2-3) და სხვათა შესახებ. ამ გარემოებას იმით ხსნიან, რომ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ქალაქების შესახებ სტრაბონს ხელთ ჰქონდა უფრო მრავალფეროვანი წყაროები (შდრ. Ростовцев 1913-1914), ხოლო ფასისის შესახებ ინფორმაციას, თითქოს, ძირითადად თეოფანე მიტილენელის ცნობები უდევს საფუძვლად ან შესაძლოა, რაღაც ზეპირი გადმოცემაც (ინაძე 1982: 48). ამასთან, რამდენადაც „გეოგრაფიის“ დაწერის დროისათვის კოლხეთის ზღვისპირა ქალაქები თითქოს დაცარიელებული იყო (თუმც ამის პირდაპირი მონაცემები

არ გაგვაჩნია, რამდენადაც ეს ქალაქები ჯერ აღმოჩენილი და არქეოლოგიურად შესწავლილი არაა), ვარაუდობენ, რომ სტრაბონის ცნობა ფასისში სავაჭრო აქტივობის შესახებ დაფუძნებულია არა მის თანადროულ, არამედ ელინისტური ხანის წყაროებზე. ამიტომაც არაა ასახული ძვ.წ. 60-იან წლებსა და მის მომდევნო ხანაში მომხდარი ისეთი დიდმნიშვნელოვანი მომენტები, როგორიცაა მითრიდატეს გამაგრება დიოსკურიაში, რომაელებთან ომის დროს ქალაქების ბლოკადა, ავგუსტუსის მიერ სებასტოპოლისის დაარსება დიოსკურიის ადგილას და სხვ. (ინაძე 1982: 42-48).

„გეოგრაფიაში" აგრე ძუნწად წარმოდგენილი ქალაქი ფასისი ცნობილი იყო სტრაბონის წინადროინდელ ბერძნულ მწერლობაში. პირველად მას, ჩვენამდე მოღწეული წყაროებიდან, ძვ.წ. IV ს-ისათვის იხსენიებს ფსევდო-სკილაქს კარიანდელი („აზია", 81),[1] რომელიც წერს: კოლხების ქვეყანაში არის „მდინარე ფასისი და ელინური ქალაქი ფასისი" (Φᾶσις ποταμὸς καὶ Φᾶσις Ἑλληνὶς πόλις).

ძალზე საინტერესოა ფრაგმენტი „ფასისელთა პოლიტიიდან", რომელიც ჰერაკლიდეს სახელითაა მოღწეული (დაწვრ. ყაუხჩიშვილი 1969ა):

XVIII. Φᾶσιν τὸ ἐξ ἀρχῆς Ἡνίοχοι κατῴκουν, φῦλον ἀνθρωποφάγον καὶ ἐκδεῖρον τοὺς ἀνθρώπους ἔπειτα Μιλήσιοι.	XVIII. ფასისელთა (სახელმწიფო წყობილებიდან). ფასისში თავდაპირველად ჰენიოხები ცხოვრობდნენ, კაცჭამია და ადამიანთა ტყავის გამხდელი ტომი, შემდეგ კი მილეტელები...

ამ ცნობაში ჩვენთვის ამჯერად საყურადღებოა: 1. თვით ფაქტი, რომ არისტოტელეს „პოლიტიათა" შორის (საიდანაც მომდინარეობს ჰერაკლიდეს ცნობა) არსებობდა „ფასისელთა პოლიტია" (Φασιανῶν πολιτεία), მოწმობს ფასისში გარკვეული წყობილების – ორგანიზაციის არსებობას, თუმც მისი ხასიათის შესახებ „პოლიტია" არაფერს გვაუწყებს, რადგან, როგორც ჩანს, არისტოტელეს სხვა „პოლიტიათა" მსგავსად, „ფასისელთა პოლიტიამაც" გვიანდელ ავტორთა ხელში არსებითი ცვლილებები განიცადა და ჩვენამდეც ძალზე ფრაგმენტულად და პირვანდელ დედანს საგრძნობლად დაშორებული სახით მოაღწია (ინაძე 1982: 28 და შმდ.).[2] 2. ფასისის უძველეს მოსახლეობად აქ ჰენიოხების დასახელება, რაც სხვა წყაროებით არ დასტურდება[3] და 3. ფასისში მილეტელთა არსებობა, რაც

1 მ. ინაძის მტკიცებით, ფსევდო-სკილაქსს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს აღწერილობა შეუდგენია ძვ.წ. VI ს-ის წყაროების გამოყენებით (ინაძე 1982: 17 და შმდ.). მაინც გასათვალისწინებელია, რომ ფსევდო-სკილაქსის პერიპლუსს პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა და იგი ათენელი ზღვაოსნებისა და ვაჭრებისათვის იყო თავისებურ გზამკვლევად განკუთვნილი (Ростовцев 1925: 24-25), ამიტომ იგი უთუოდ ძვ.წ. IV ს-ის ვითარებასაც შეესატყვისებოდა.

2 საერთოდ კი, არისტოტელეს „პოლიტიიდან" გამომდინარე ამ ფრაგმენტის ინტერპრეტაცია და მისი თარგმანიც მკვლევართა აზრთა სხვადასხვაობას იწვევს (დაწვრ. ყაუხჩიშვილი 1969; ინაძე 1982: 29-39; Инадзе 1968: 60-69; Проблемы: 383-384; Ehrhardt 1988: 369, შენ. 687; Ломоури 1988).

3 ნ. ლომოურის აზრით, საერთოდ საეჭვოა, რომ ამ ფრაგმენტში იხსენიებოდეს ფასისი (მდინარე ან

ეხმაურება ანტიკურ მწერლობაში დაცულ ტრადიციას ამ ქალაქის მილეტელთა მიერ დაარსების შესახებ. ელინისტურ მწერლობაში ასეთი ცნობა, როგორც ვარაუდობდნენ, ეკუთვნოდა ფსევდო-სკიმნოსს და იგი შემონახულია V ს-ის ანონიმურ „პერიპლუსში“ (დაწვრ. ინაძე 1982: 40-42 და იქ დასახ. ლიტ.):

Εἰσιόντων δὲ εἰς ποταμὸν ἀριστερὰ τοῦ Φασίδος παράκειται Μιλησίων πόλις Ἑλληνίς, Φᾶσις λεγομένη, ἐν οἷς τινας λέγουσιν ἀπὸ τῆς Ἰνδικῆς καὶ Βακτριανῆς συναφικνεῖσθαι βαρβάρους.

„...მდინარეში რომ შედიხართ, ფასისის მარცხნით მდებარეობს მილეტელთა ელინური ქალაქი, რომელსაც ფასისი ეწოდებოდა და რომელშიაც, ამბობენ, ჩამოდის სამოცი ტომი, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე; მათ შორის, ამბობენ, ზოგნი არიან ბარბაროსები ინდოეთიდან და ბაქტრიანადან“.

მილეტელთა მიერ ფასისის დაარსებაზე წერენ სტრაბონის შემდეგდროინდელი ავტორებიც, კერძოდ, პომპონიუს მელა („დედამიწის აღწერილობა“, I, 108)[1] და სხვ.,[2] ხოლო რომაული ხანის ქალაქის შესახებ ყველაზე უფრო დაწვრილებითი არიანეს აღწერილობაა (PPE, 8-9).[3]

ძვ.წ. V ს-ის დასაწყისით თარიღდება ბერძნული გრაფიტო ვერცხლის თასზე (რომელიც მდ. ყუბანის ნაპირას ხუტორ ზუბოვკაშია აღმოჩენილი): Ἀπόλλωνος Ἡγεμόνος εἰμὶ τῶμ Φάσι“ – „ვეკუთვნი აპოლონ წინამძღოლს, რომელიც ფასისშია“ (Ростовцев 1925: 571, ყაუხჩიშვილი 1951: XI; Ehrhardt 1988: 439, შენ. 524 და იქ დასახ. ლიტ.). ამის საფუძველზე ვარაუდობენ, რომ ფასისში უკვე ძვ.წ. V ს-ში არსებობდა აპოლონის სახელზე აგებული სამლოცველო თუ ტაძარი (Bilabel 1920: 111; Ehrhardt 1988: 85).[4]

ქალაქი), რამდენადაც სიტყვა, რომლითაც იწყება ფრაგმენტი φασιν შეიძლება იყოს არა ტოპონიმის აღმნიშვნელი, არამედ ზმნა. შესაბამისად, საეჭვოა „ფასისელთა პოლიტიის“ არსებობა საერთოდ არისტოტელეს „პოლიტიათა“ შორის (Ломоури 1988).

1 ამ თხზულებაში, რომელიც ძვ.წ. 43 წლის დასასრულს ან 44 წლის დამდეგსაა შექმნილი (Silbermann 1988: XIII), იხსენიება, რომ ფასისი დააარსა თემისტაგორე მილეტელმა. ამასთან კავშირში ს. ჟებელიოვი ყურადღებას აქცევდა იმ გარემოებას, რომ ქ. მილეტში ესიმნეტთა სიებში ძვ.წ. 521-520 წწ.-ში იხსენიება Θεμισταγόρης Δημητρίου (Жебелев 1953: 71; შდრ. Болтунова 1963: 155). რა თქმა უნდა, აქედან ძნელია დავასკვნათ პომპონიუს მელას და ესიმნეტთა სიაში მოხსენიებულ თანამოსახელეთა იდენტურობა (შდრ. Ehrhardt 1988: 85).

2 თეოკრიტეს სქოლიასტის ცნობით: „ფასისი არის მდინარე და მისი მოსახელე ქალაქი კოლხებში, სადაც ცხოვრობენ ელინები, მილეტელი ახალმოშენეები (Sch. ad Theocr. Id. XIII, 24 – ყაუხჩიშვილი 1980: 127). სტეფანე ბიზანტიელი წერს: „ ფასისი – აიას ქალაქი კოლხების ქვეყანაში, ფასისზე მილეტელების მიერ დაარსებული“ (Steph. Byz., s.v. Φᾶσις).

3 დაწვრ. ქალაქ ფასისის შესახებ ყველა ცნობა იხ. ბერძნიშვილი 1969; Ehrhardt 1988: 85; Качарава, Квирквелия 1991: 289-293).

4 უნდა აღინიშნოს, რომ ეპითეტი „ჰეგემონი“ (Ἡγεμόνος) აპოლონ ღვთაებისათვის დამახასიათებელი არაა და, რამდენადაც ვიცი, არც სადმეა დადასტურებული. ძნელი სათქმელია ისიც – იყო თუ არა აპოლონი ამ ქალაქის მთავარი ღვთაება? საინტერესოა, რომ არიანეს ცნობით („პერიპლუსი“, § 9): „ფასისში რომ შედიხარ, მარცხნივ აღმართულია ქანდაკება ქალღმერთ ფასიანესი. გარეგნობის მიხედვით ის ჰგავს რეას, რადგან ხელში წინწილა უჭირავს, აგრეთვე მისი სავარძლის წინ წვანან ლომები და თვითონ ის

1.1.1. სავარაუდოდ ქალაქის სახელწოდება ფასისი მომდინარეობს მდინარის სახელწოდებისგან და ადგილობრივი წარმოშობისაა (ე.ი. იგი არ არის ბერძნული). ეს კანონზომიერება (ქალაქის სახელწოდების წარმომავლობა მდინარის სახელწოდებისგან) დასტურდება როგორც სტრაბონის ცნობით (მდინარესთან მდებარე იგივე სახელის მქონე ქალაქი – πόλις ὁμώνυμος), ასევე სხვა ავტორების ცნობებითაც (შდრ. მაგ. ზემოთხსენებული პომპონიუს მელას ცნობა – „აქ მიედინება ფასისი და მასთან ახლოს მდებარეობს თემისტაგორეს მიერ დაარსებული იგივე სახელწოდების მქონე ქალაქი)[1] . საყურადღებოა, რომ ფასისი ერთდროულად შეიძლება მდინარის ღვთაების სახელიც იყოს. შესაძლებელია, რომ ბუკოლიკი თეოკრიტეს სქოლიოში შემონახული ცნობაც: „მნარსეასი [ალექსანდრიული ხანის მეცნიერი, შესაძლებელია ერატოსთენეს მოწაფეც – ო.ლ.] ამბობს, რომ კოლხებს კოლხოსის, ფასისის ვაჟის, მიხედვით დაერქვათ სახელი“ (sch. ad Theocr. Id. XIII, 75)[2], ამაზევე მიუთითებდეს. ფსევდო-პლუტარქესთან შემონახულია ეპონიმური შინაარსის მქონე შემდეგი თქმულება: „ფასისი არის მდინარე სკვითიაში, იგი ქალაქის გასწვრივ მიედინება[3]. ადრე მას არკტუროსი[4] ერქვა... შემდგომში ეს სახელი შემდეგი მიზეზების გამო შეიცვალა: ფასისმა, რომელიც ოკიროეს, ჰელიოსისა და ოკეანოსის ქალიშვილის, ვაჟი იყო, განაცვიფრა დედა თავისი უსაქციელობით და იგი ადგილზე მოკლა. როგორც კი ერინიები გამოჩნდნენ, ფასისი განრისხებას მიეცა და არკტუროსში გადაეშვა. მოგვიანებით მის მიხედვით ამ მდინარეს ფასისი ეწოდა“ (ფსევდო-პლუტარქე, მდინარეების და მთების სახელების შესახებ, V). ეს გადმოცემა საინტერესოა არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ფასისისთვის სახელის მინიჭების შესახებ მოგვითხრობს, არამედ უპირველეს ყოვლისა იმის გამო, რომ მასში ჩანს კვალი, რომელიც კოლხურ რეალიებს არგონავტების მითთან აკავშირებს.[5] ეს იმაზე გვაფიქრებინებს, რომ

ზის როგორც ფიდიასის ქანდაკება ათენის მეტროონში“. მართალია, ეს ტექსტი გვიანდელია (ახ.წ. 134), შეიძლება მაინც ვივარაუდოთ, რომ ქალაქის მთავარი ღვთაება აპოლონი კი არა, არამედ ქალღმერთი იყო, რომელსაც ბერძნები ბერძენ ქალღმერთ რეასთან აიგივებდნენ. ცნობილია, რომ ამ ქალღმერთის არსი „დიდი დედის კულტს“ უკავშირდება. ამ უკანასკნელის თაყვანისცემა კოლხეთში უკვე ძვ.წ. VIII-VII სს-დან დასტურდება არქეოლოგიურად (დაწვრ. მიქელაძე 1985: 59-62; Lordkipanidse O. 1991: 117 და შმდ.). არიანეს ცნობა იმითაც არის ძალიან საინტერესო, რომ იგი შეიცავს არიანესეულ შეფასებას – ქალღმერთ ფასიანეს ქანდაკება მსგავსი უნდა ყოფილიყო ათენის მეტროონში აღმართული რეას ქანდაკებისა. ის კი, ფიდიასის ქმნილება არ იყო (როგორც ამას არიანე შეცდომით ფიქრობდა), არამედ მისი მოწაფის აგორაკრიტოსის ქმნილება. ეს ინფორმაცია გვეხმარება, აღვადგინოთ „ქალღმერთ ფასიანეს“ იკონოგრაფიული თავისებურება (შდრ. Despinis 1971:111 შმდ.; Neumann 1983:159 შმდ., 169 შმდ.).

1 ბერძნების საკოლონოზაციო პრაქტიკაში ხშირია, როცა ახლად დაარსებულ ქალაქს მდინარის მიხედვით არქმევენ სახელს: შდრ. მაგ. პანტიკაპესი და პანტიკაპეიონი, ჰისტერი და ჰისტრია და ა. შ.

2 შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მთავარმა ღვთაებამ ეს სახელი იმ განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო მიიღო, რომელიც მდინარე ფასისს კოლხების სამეურნეო ცხოვრებისთვის ჰქონდა (მდინარე ფასისის შესახებ იხ. ზემოთ; შდრ. ლორთქიფანიძე ოთ. 1986: 60-65).

3 აღნიშვნა „სკვითია“ აქ ფართო მნიშვნელობით იხმარება. იგულისხმება კოლხეთი.

4 მდინარე Ἀρκτοῦρος -ი (‘ჩრდილოეთის ვარსკვლავი“) სხვა წყაროებში არ დასტურდება.

5 იგივე ტენდენცია შეინიშნება კოლხეთში სხვა ქალაქების სახელწოდებების შემთხვევაში, მაგ. დიოსკურიას (იხ. ქვემოთ). როგორც უკვე ითქვა, სტრაბონი ადგილების სახელების ეტიმოლოგიზაციას

კოლხების მეფე აიეტი ჰელიოსის ვაჟია (ასეა იგი წარმოდგენილი უკვე ოდისეაში: X, 38), ხოლო ფასისი, კოლხოსის მამა, ჰელიოსის შვილიშვილი იყო (ფსევდო-პლუტარქეს მიერ გადმოცემულ თქმულებაში).

1.1.2. მდინარე ფასისი (დღევანდელი რიონი) სათავეს იღებს მთაში, რომელსაც დღესაც კი „ფასისის მთა“ ეწოდება (ბერძნიშვილი 1969: 85 შმდ.). საერთოდ, „ფას“ ფუძის მქონე საკუთარი სახელები დასავლეთ საქართველოს ადგილების სახელწოდებებში ფართოდ არის გავრცელებული (მიქელაძე 1955). ლინგვისტებს მიაჩნიათ, რომ სახელწოდება „ფასისი“ მომდინარეობს სიტყვიდან, რომელიც უძველეს ქართველურ ენას მიეკუთვნებოდა. არსებობს სხვა მოსაზრებაც. მაგალითად, ზოგიერთის აზრით, დღესაც ცნობილი მეგრული (ე. ი. ძველი კოლხური) ფორმა „ფათი“, რომელიც ქართულ დასახელებას „ფოთს“ შეესაბამება, ბერძნული Φᾶσις –ისთვის ამოსავალი ფორმა უნდა იყოს (Vogt 1961: 9; Schmidt 1962: 27; გორდეზიანი 1971). გ. მელიქიშვილის მიხედვით, ბერძნული Φᾶσις-Φασίδος-ისთვის ამოსავალი ფორმა შეიძლება იყოს ამ სახელის სვანური შესატყვისი „ფაშდ“ (მელიქიშვილი 1965: 60). იმისგან დამოუკიდებლად, თუ როგორ გადაიჭრება ეს პრობლემა ლინგვისტურ ლიტერატურაში, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილობრივი წარმოშობის სახელწოდებასთან გვაქვს საქმე.

1.2. ქალაქი ფასისი, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, ბერძნულ-რომაულ სამყაროში კარგად იყო ცნობილი[1], არ არის ჯერ კიდევ აღმოჩენილი და მისი ადგილმდებარეობის საკითხიც ამიტომ სადავოა. სტრაბონის „გეოგრაფიაში“ შემონახულია ამ მხრივ საყურადღებო ცნობა:

XI, 2, 17: Ἐπίκειται δὲ τῷ Φάσιδι ὁμώνυμος πόλις... τῇ μὲν προβεβλημένη τὸν ποταμόν, τῇ δὲ λίμνην, τῇ δὲ τὴν θάλατταν.

„ფასისზე მდებარეობს მისი მოსახელე ქალაქი... გარშემორტყმული მდინარით, ტბითა და ზღვით“.

XI, 3, 4: ἔχει πόλιν ὁμώνυμον ἐπ᾽ αὐτῷ καὶ λίμνην πλησίον.

„[ფასისზე] არის ქალაქი მსგავსი სახელისა და მახლობლად – ტბა“.

მითითება ქალაქთან ტბის არსებობის შესახებ სტრაბონის წინადროინდელ ცნობებში არ გვხვდება,[2] მაგრამ იგივეს გვაუწყებს VI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია: „...[ფასისთან] რომ ერთი ტბა არის...“ (Agath., III, 21 = ს. ყაუხჩიშვი-

ახდენს არგონავტების თქმულების საშუალებით.

1 ფსევდო-არისტოტელე გადმოგვცემს („სამართლიანობის შესახებ“): ორატორები (ათენში) ატარებენ მთელ დღეს... (ლაყბობით) ფასისიდან და ბორისთენედან ჩამოსულებთან ერთად.

2 საფიქრებელია, რომ სტრაბონის ეს ცნობა მომდინარეობს ან ჰიპარქესაგან, ან ერატოსთენესაგან, რომელთაც იმოწმებს სტრაბონი ფასისსა და დიოსკურიას შორის მანძილთან დაკავშირებით. შდრ. II, 1, 39-40.

ლი 1936: 102). აგათიას ცნობებში (III, 19) დაზუსტებულია ფასისის მდებარეობაც; ამასთან აღნიშნულია, რომ „მდინარე ჩრდილოეთით ჩამოუდის ქალაქს“ (III, 20), რაც ეთანხმება არიანესა და V ს-ის ანონიმური „პერიპლუსის“ ცნობას (რომელიც, როგორც ვთქვით, ფსევდო-სკიმნოსს შეიძლება ეკუთვნოდეს): „მდინარეში რომ შედიხართ, ფასისის მარცხნივ (ἀριστερᾷ τοῦ Φάσιδος) მდებარეობს მილეტელთა ელინური ქალაქი, რომელსაც ფასისი ეწოდება“.

ამრიგად, ძველი ფასისის ადგილმდებარეობის შესახებ ელინისტურ-რომაულ და ბიზანტიურ წყაროებში თითქოს ზუსტი მინიშნებაა: იგი მდებარეობდა მდ. ფასისის ზღვაში შესართავთან, მის მარცხენა ნაპირზე, და იქვე იყო ტბა. ეს სიტუაცია თითქოს ზუსტად შეესატყვისება დღევანდელ ქალაქ ფოთს, რომელიც მდ. რიონის (ძველი ფასისი) ზღვაში შესართავთან მდებარეობს, და იქვეა ტბა, რომელსაც პალიასტომი ჰქვია. ამიტომაც თითქმის ყველა მკვლევარი, რომელიც ძველი ფასისის ადგილმდებარეობის საკითხებს განიხილავს, ამ ქალაქს დღევადელი ფოთის მიდამოებში ვარაუდობს (დაწვრ. სხვადასხვა მოსაზრებათა განხილვა იხ. ლორთქიფანიძე ოთ., მიქელაძე 1973). მიუხედავად ამისა, ძველი (კლასიკური და ელინისტური ხანის) ფასისი ჯერ აღმოჩენილი არაა. ამის მიზეზი კი ისაა, რომ აქაური რთული გეომორფოლოგიური ვითარების გამო ძველ ავტორთა ცნობები ვერ გამოდგება ორიენტირად ქალაქის ადგილმდებარეობის განსაზღვრისას: დადგენილია, რომ ჩვენთვის საინტერესო არეალში ზღვა უკან იხევს და ხმელეთი იზრდება ზღვის ხარჯზე (ეს პროცესები სტრაბონსაც აქვს აღნიშნული, იხ. I, 3, 4-9), მაგრამ იზრდება მარჯვენა სანაპირო, ხოლო მარცხენა კი – ირეცხება (რაც იწვევს ძველი კულტურული ფენების განადგურებასაც); ამასთან, მდინარე რიონი საუკუნეების მანძილზე ხშირად იცვლიდა კალაპოტს, რაც ფიქსირდება თითქმის სამკილომეტრიან რადიუსში. საგანგებოდ ჩატარებული გეოლოგიური ბურღვით და არქეოლოგიური კვლევითაც დადასტურდა, რომ არქეოლოგიურ ძეგლთა ასაკი თანდათანობით „ახალგაზრდავდება“ აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ,[1] რაც თითქოს ადასტურებს ადრევე გამოთქმულ მოსაზრებას (ბერძნიშვილი 1942), რომ კლასიკური და ელინისტური ხანის ფასისი სავარაუდებელია დღევანდელი ფოთის აღმოსავლეთით (ლორთქიფანიძე ოთ., მიქელაძე 1973; მიქელაძე 1987: 83). არქე-

1 ეს ფაქტი იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ ქალაქ ფასისის წარმოქმნის დროისათვის, ძვ.წ. VI-V სს-ში, დღევანდელი ფოთის მიდამოებში ზღვის ღრმა უბე არსებობდა, რომელიც მდ. რიონის (ძველი ფასისის) რეჟიმის შედეგად და ზღვის ხარჯზე ხმელეთის ზრდის გამო თანდათანობით მცირდებოდა, რასაც თან მოსდევდა მოსახლეობის მოძრაობაც ზღვის ნაპირისაკენ. დღევანდელი ფოთის მიდამოებში ოდესღაც ზღვის უბის არსებობაზე თითქოს კლავდიოს პტოლემაიოსიც მიგვანიშნებს: „კოლხეთს დასავლეთიდან საზღვრავს ევქსინის პონტოს ნაწილი მდინარე კორაკადან ვიდრე ფასისის ღრმულამდე“ („გეოგრაფიული სახელმძღვანელო“: V, IV, 1). საყურადღებოა ისიც, რომ ამ მიდამოებში ჩატარებული საგანგებო გეოლოგიური ბურღვისას დადგინდა ზღვიური წარმოშობის სილებისა და ქვიშნარის არსებობა, ხოლო 5-10 მეტრ სიღრმეზე აღმოჩნდა ზღვიური დანალექები და ზღვის ფაუნის ნაშთები, რომელთაც ცხადყვეს არც თუ ისე შორეულ წარსულში ამ ტერიტორიაზე ზღვის არსებობა. ხოლო არქეოლოგიური მონაცემებით (ნამოსახლარი ფენების ფიქსირებით) შესაძლებელი ხდება ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისისათვის ზღვის სანაპირო ხაზის კონფიგურაციის სავარაუდო რეკონსტრუქცია (იხ. ლორთქიფანიძე ოთ. 1966: 51-52).

ოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად აქ გამოვლენილია მთელი სისტემა წმინდა კოლხური ნამოსახლარებისა, რომელთაგან ერთი რიგი განეკუთვნება ძვ.წ. VIII-VII სს.-ს (და უფრო ადრინდელ ხანას), ე.ი. ამ რეგიონში ბერძნული კოლონიზაციის დაწყებამდე პერიოდს, სხვები კი – ძვ.წ. VI-V სს-ს, ე.ი. ფასისის დაარსებისა და მისი ისტორიის ადრეულ ხანას. განსაკუთრებით საინტერესოა სიმაგრეს ნამოსახლარი (მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე), სადაც აღმოჩენილია კოლხური სამოსახლო: ხის ნაგებობათა კომპლექსი, მრავალფეროვანი კოლხური კერამიკა და აგრეთვე ბერძნული იმპორტი (ქიოსური და ლესბოსური ამფორების, იონიური მოხატული და სადა კერამიკის, ატიკური შავფიგურული და შავლაკიანი ჭურჭლის ფრაგმენტები). ფიქრობენ, რომ ეს კოლხური დასახლება ფასისთან ახლოს მდებარეობდა და მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა მასთან (მიქელაძე 1978).

მაინც ძველი ფასისის ადგილმდებარეობის საკითხი სადისკუსიოდ რჩება (იხ. სამეცნიერო სესია... 1973),[1] რაც განაპირობებს, თავის მხრივ, ფასისის სტრუქტურის და, საერთოდ, კოლხეთში ბერძნული კოლონიზაციის ხასიათის შესახებ აზრთა არსებით სხვადასხვაობას (დისკუსია ამ საკითხებზე იხ. Проблемы... 187-345, 369-406; Демографическая.... 242-394). მაინც მკვლევართა უმრავლესობა ახლა უპირატესობას ანიჭებს სავაჭრო ფუნქციას ძველი ფასისის ეკონომიკაში, რის შესახებ მითითება სტრაბონთანაცაა შემონახული.

1.3.1. „გეოგრაფია“, XI, 2, 17:

Ἐπίκειται δὲ τῷ Φάσιδι ὁμώνυμος πόλις, ἐμπόριον τῶν Κόλχων, τῇ μὲν προβεβλημένη τὸν ποταμόν.	„ფასისზე მდებარეობს მისი მოსახელე ქალაქი, კოლხთა სავაჭრო ადგილი“.[2]

ეს ცნობა, ვფიქრობ, ისე უნდა გავიგოთ, რომ სტრაბონს (თუ მის წყაროს) უნდოდა ხაზი გაესვა ქალაქ ფასისის სავაჭრო აქტივობისათვის და მისი ურთიერთობებისათვის კოლხებთან, რაც, მართლაც, შესანიშნავად დასტურდება არქეოლოგიური მონაცემებით – ბერძნული იმპორტული საგნების აღმოჩენებით მდინარე ფასისის ნაპირზე განლაგებულ კოლხურ ნამოსახლარებზე. უკვე ძვ.წ. VI ს-დან იონიური და ატიკური იმპორტი გზას იკვლევს ღრმად ქვეყნის შიგნით და აღწევს აღმოსავლეთ საქართველოსაც, ხოლო V ს-ში – მთიანი კოლხეთის ოლქებსაც (ლორთქიფანიძე ოთ. 1966: 68-92; Лордкипанидзе О. 1979: 154-179; Lordkipanidse O. 1985:34-44; 1991:125 და შმდ.). მდ. ფასისის აუზში ინტენსიური სავაჭრო ურთიერ-

1 უკანასკნელ ხანებში ჰიდროარქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად ბიზანტიური ხანის ფასისის დროინდელი ნაშთები აღმოჩნდა პალიასტომის ტბაში (იხ. გამყრელიძე 1987).

2 სტრაბონის „გეოგრაფია“-ში ἐμπόριον ნიშნავს „სავაჭრო მოედანს“, სადაც საზღვაო ვაჭრობა ხდება (Pédech 1971: 240). ე) ἐμπόριον-ებად მოხსენიებულია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ტანაისი (XI, 2, 3), ფანაგორია (XI, 2, 10), აგრეთვე დიოსკურია კოლხეთში (XI, 2, 16).

თობა ფიქსირდება ელინისტურ ხანაში: მრავალრიცხოვანი მონეტები (სირაკუზის ტირანის ჰიერონის ოქროს სტატერი, ფილიპე II, ალექსანდრე II და ფილიპე III მაკედონელების ოქროს სტატერები და ტეტრადრაქმები, ლიზიმაქეს ოქროსა და ვერცხლის მონეტები, აგრეთვე პანტიკაპეიონის, კაპადოკიის და სხვ.), მცირეაზიული (პერგამონი, სამოსი და სხვ.) და სხვა ცენტრების (ალექსანდრია) შავ- და წითელლაკიანი კერამიკა, რელიეფური თასები; როდოსის, კნიდოსის, ქიოსის, ჰერაკლეას და სხვა ამფორები... (დაწვრ. ლორთქიფანიძე ოთ. 1966: 117-147; Лордкипанидзе О. 1989: 280-282 და იქ დასახ. ლიტ.). საგანგებოდაა აღსანიშნავი სინოპური იმპორტი, რომელიც ეხმაურება თითქოს სტრაბონის ერთ ცნობას:

1.3.2. „გეოგრაფია“, XI, 2, 17:

ὁμώνυμος πόλις, ἐμπόριον τῶν Κόλχων... Ἐντεῦθεν δὲ πλοῦς ἐπ᾽ Ἀμισοῦ καὶ Σινώπης τριῶν ἡμερῶν ἢ δύο.

„... მისი [მდინარე ფასისის – ო.ლ.] მოსახელე ქალაქი, კოლხთა სავაჭრო ადგილი.... აქედან ამისოსამდე და სინოპემდე არის 3 ან 2 დღის ზღვით სამგზავრო“.

ეს ცნობა შეიძლება მიუთითებდეს ფასისსა და სინოპეს შორის ურთიერთობაზე, რასაც ადასტურებს არქეოლოგიური მონაცემები – სინოპური მონეტებისა და კერამიკის აღმოჩენები, როგორც მთლიანად კოლხეთში, ასევე მდ. ფასისის გასწვრივ. აქ მრავლადაა ნაპოვნი თითქმის ყველგან სინოპური ამფორების, ლუთერიებისა და კრამიტის ნატეხები, ხოლო ვანში ნაპოვნია აგრეთვე ადგილობრივი ამფორები და ღარიანი კრამიტები (კალიპტერი), რომლებიც სინოპურის მიბაძვითაა დამზადებული (დაწვრ. ლორთქიფანიძე ოთ. 1966: 125-128).

2. დიოსკურია

XI, 2, 16: Ἡ δ᾽ αὐτὴ Διοσκουριάς ἐστι καὶ ἀρχὴ τοῦ ἰσθμοῦ τοῦ μεταξὺ τῆς Κασπίας καὶ τοῦ Πόντου καὶ ἐμπόριον τῶν ὑπερκειμένων καὶ σύνεγγυς ἐθνῶν κοινόν.

„დიოსკურია არის საწყისი იმ ყელისა, რომელიც კასპიისა და პონტოს შუაშია და საერთო სავაჭრო ადგილი მის ზემოთ და მახლობლად მცხოვრები ტომებისათვის...“

ქალაქ დიოსკურიას სტრაბონამდე იხსენიებს მხოლოდ ფსევდო-სკილაქსი (აზია, 81). საფიქრებელია, რომ ამ ქალაქის შესახებ ცნობები ჰქონდათ ელინისტური ხანის მწერლებსაც. მაგ., ერატოსთენესა და ჰიპარქეს, რომელთაც სტრაბონი იმოწმებს დიოსკურიის ადგილმდებარეობის აღწერასთან დაკავშირებით (შდრ. „გეოგრაფია“, II, 1, 39), აგრეთვე ტიმოსთენეს, რომელსაც, როგორც ფიქრობენ, უნდა გულისხმობდეს სტრაბონი იმ ავტორში, რომლის თანახმადაც დიოსკურიაში 300 ტომი იყრიდა თავს: XI, 2, 16 (შდრ. ინაძე 1982: 45). ჩვენამდე მოღწეული უძველესი ცნობა კი დიოსკურიის შესახებ მაინც ფსევდო-სკილაქსს ეკუთვნის:

μετά δὲ τούτους Κόλχοι ἔθνος καὶ Διοσκουρὶς πόλις.

„...მათ (გელონების ტომი – ო. ლ.) შემდეგ კოლხებია და ქალაქი დიოსკურისი“.

ყურადღებას იქცევს აქ ორი გარემოება: 1. ქალაქი დიოსკურისი მოხსენიებულია (განსხვავებით ფასისისა და გიენოსისაგან) ეპითეტის „ელინურის“ გარეშე, მაშინ როდესაც სხვა წყარო (არიანე, პერიპლუსი, § 10) მას მილეტელთა დაარსებულად მიიჩნევს,[1] და 2. ქალაქის სახელწოდების თავისებური გადმოცემა: Διοσκουρίς, ე.ი. α ფორმანტის გარეშე, რომლითაც გადმოცემს ამ სახელს ყველა შემდეგდროინდელი წყარო (მათ შორის სტრაბონიც): თ. მიქელაძის აზრით, Διοσκουρίς „უნდა იყოს პირვანდელი და ამასთან ადგილობრივი ფორმა ამ სახელწოდებისა“ (მიქელაძე 1974: 107), მ. ინაძე კი ამტკიცებს, რომ Διοσκουρίς თუმც, შესაძლოა, ადრინდელია, მაინც უკვე გაბერძნულებული ფორმაა Διόσκουροι-დან (ინაძე 1962: 199; შდრ. ინაძე 1982). თითქმის ყველა მკვლევარი თვლის, რომ ბერძნული Διοσκουριάς ადგილობრივი სახელწოდების[2] გაბერძნულებული ფორმაა,[3] ადგილობრივი ტოპონიმის დიოსკურების სახელთან ბგერითი სიახლოვის საფუძველზე აღმოცენებული, რის გამოც ბერძნულმა ტრადიციამ ამ ქალაქის დაარსება ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟებს – დიოსკურებს დაუკავშირა.[4] ასე მაგ., პლინიუსის ცნობით (VI, 16):

1 მკვლევართა ერთ ნაწილს ეს შემთხვევით გამორჩენილად მიაჩნია, ხოლო თ. მიქელაძის აზრით, „როდესაც ბერძენი ზღვაოსნებისათვის იწერებოდა შავი ზღვის უძველესი გზამკვლევი ფსევდო-სკილაქსის პერიპლუსის სახით, ე.ი. ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისისათვის, დიოსკურისი ჯერ კიდევ არ იყო „ელინური“ ქალაქი (მიქელაძე 1974: 110; შდრ. ინაძე 1982: 23).

2 ძველი დიოსკურიის (დღევანდელი სოხუმის) და მის მახლობელ ვრცელ ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ბერძნული კოლონიზაციის დაწყებამდე ვრცელი და მძლავრი დასახლებების არსებობას თვალსაჩინოდ მოწმობს არქეოლოგიური აღმოჩენები (ნამოსახლარები, ლითონწარმოების ნაშთები, სამაროვნები – დაწვრ. ლორთქიფანიძე ოთ. 1966: 59; Лордкипанидзе О. 1979: 139-144, იქვე დასახ. ლიტ.).

3 ასე მაგ., ი. ორბელის აზრით, სახელწოდებას Διοσκουριάς საფუძვლად უდევს სახელწოდება „ცხუმი“ (რომლის მეგრულ-ჭანური, ე.ი. კოლხური ვარიანტია „ჩხუმი“, რაც თითქოს ნიშნავს „ტყუპს“ და ზუსტად შეესატყვისება ბერძნული „დიოსკურიას“ და ა.შ. (Орбели 1911: 202). პ. ინგოროყვა თვლის, რომ ბერძნული „დიოსკურიას“ წარმოადგენს ადგილობრივ ტოპონიმიკაში დამოწმებული სახელის „ტყუბური“-ს (ტყუპების) გააზრებას (ინგოროყვა 1954: 146-147). ს. ჯანაშიას მტკიცებით, დიოსკურია „უძველესი სახელია, იქნებ არაწმინდა ბერძნული, არამედ გაბერძნულებული: მიაქციეთ ყურადღება სახელწოდების მეორე ნახევარს, სადაც შეიძლება გვქონდეს ცნობილი მეგრული ტოპოგრაფიული ტერმინი „სკური“ (ჯანაშია 1959: 16). ასევე ლ. სოლოვიოვის აზრით, დიოსკურიის სახელწოდება ორი ნაწილისაგან შედგება და იხსნება მეგრული (ე.ი. ძველი კოლხური) ენის საფუძველზე: „დია“ (დედა) და „სკური“ (მდინარე, წყალი, დასახლებული ადგილი), ე.ი. „დია-სკური“ ნიშნავს „ქალაქების დედა“, „მდინარეების დედა“ (Соловьев 1947: 104). თ. მიქელაძე აღნიშნავს რა „სკურ“-ფუძიანი გეოგრაფიული სახელების ფართოდ გავრცელებას, შესაძლებლად თვლის სახელწოდება დიოსკურია მეგრულ-ჭანური ენის საფუძველზე გაიაზროს, როგორც „ღმერთთა დედის ქალაქი“ (მიქელაძე 1974: 107-110). ძნელია მიანიჭო უპირატესობა რომელიმე დასახელებულ ვარაუდს, მით უფრო, რომ მოსალოდნელია მსგავსი მოსაზრებანი კიდევ გამოითქვას, მაგრამ ისინიც მხოლოდ ჰიპოთეზის დონეზე დარჩება.

4 რამდენადმე განსხვავებული აზრისაა ირ. შენგელია: „უნდა ვიფიქროთ, რომ დიოსკურიადის ბერძნული სახელის ჩამოყალიბება გაპირობებულია მილეტურსა და ადგილობრივ ტყუპთა სახეების სიახლოვით. როგორც ჩანს, დიოსკურიადის ტოპონიმი მართლაც ადგილობრივი კულტის ბერძნულ ინტერპრეტაციას

Sunt qui conditam eam ab Amphito et Thelchio Castoris et Pollucis aurigis potent, a quibus ortam Heniochorum gentem fere constat.

„ზოგიერთების აზრით, ეს ქალაქი (დიოსკურია – ო. ლ.) დააარსეს მეეტლეებმა (დიოსკურებმა) კასტორმა და პოლუქსმა, ამფიტემ და ტელქიდემ, რომელთაგან, საკმაოდ სარწმუნო ცნობებით, თავის წარმოშობას ითვლის ჰენიოხების ტომი...“

პომპონიუს მელა, „დედამიწის აღწერილობა“, I, 11:

In Heniochorum finibus Dioscurias a Castore et Polluce, Pontum cum Iasone ingressis... condita est.

„ჰენიოხთა საზღვრებშია[2] დიოსკურია, კასტორისა და პოლუქსის მიერ დაარსებული, როცა ისინი იასონთან ერთად პონტოში შემოვიდნენ“.

ამრიგად, ამ მწერლებთან შემონახული მითოლოგიური ტრადიციითაც ქალაქ დიოსკურიის დაარსება არგონავტების ლაშქრობასთანაა მიბმული და იგი მითიურ დიოსკურებს უკავშირდება. ეს იდეა თვით ქალაქშიც იყო პოპულარული[2] და იქ თითქოს დიოსკურების კულტიც არსებობდა. ამის მოწმობად მიიჩნევენ იმას, რომ მითრიდატე VI პონტოელის მირ კოლხეთის დაპყრობისას, როდესაც ქალაქს მონეტის გამოშვების უფლება მიეცა, მასზე გამოსახულ იქნა დიოსკურების ორი ქუდი ვარსკვლავებით[3] (კაპანაძე 1969: 40).

2.2. „გეოგრაფიაში“ რამდენჯერმეა საუბარი დიოსკურიის ადგილმდებარეობის შესახებ:

წარმოადგენს...“ (Шенгелия 1965: 826; შდრ. Орбели 1911: 145 და შმდ.).

1 ჰენიოხთა დიოსკურიის ირგვლივ განსახლების შესახებ სხვა ავტორები არ იუწყებიან. ყველა სხვა წყაროში დიოსკურია კოლხთა მიწა-წყალზეა დაარსებული (ფსევდო-სკილაქსი, § 81; სტრაბონი, XI, 2, 14; პლინიუსი, , VI, 11: დიოსკურია „კოლხთა ქალაქი“ – „urbs Colchorum“). მ. ინაძის ვარაუდით, „არ არის გამორიცხული, რომ ცნობა დიოსკურიის დაარსების შესახებ ჰენიოხთა ტომის ტერიტორიაზე თვით მელას მიერ იყოს შეთხზული იმ მითოლოგიური გადმოცემის საფუძველზე, რომელიც დიოსკურებს უკავშირებს მეეტლეებს ანუ ჰენიოხებს“ (ინაძე 1982: 52).

2 საინტერესოა აპიანეს ცნობა, რომ თითქოს კოლხებსაც (ე.ი. არა მხოლოდ დიოსკურიის ბერძნულ მოსახლეობას) „ეს ქალაქი მიაჩნდათ არგონავტებთან ერთად დიოსკურების აქ ყოფნის საბუთად“ („მითრიდატეს ომების ისტორია“, 101 = ყაუხჩიშვილი თ. 1959: 195).

3 ამ მონეტებს ჩვეულებრივ ძვ.წ. II-I სს-ით ათარიღებენ და მათ გამოშვებას მითრიდატე VI პონტოელის კოლხეთში ბატონობის ხანით განსაზღვრავენ (კაპანაძე 1969: 60; Голенко 1977; Дундуа 1987: 106 და შმდ.). ამასთან ფიქრობენ, რომ „თუმც ის ფორმალურად პოლისურ მონეტად გამოიყენება, მაინც ის ძირითადად პონტოს სამეფოს ბაზრისათვის იყო განკუთვნილი“ (Голенко 1977: 62-63; Шелов 1985: 562). რამდენადმე გაუგებარია, მაინცდამაინც ქალაქ დიოსკურიისათვის ასეთი ფუნქციის დაკისრება. იქნებ სპილენძის მონეტის მოჭრა (და მასთან ერთად რაღაც ავტონომიის მინიჭება) მოხდა მაშინ, როდესაც პომპეუსისაგან დევნილმა მითრიდატემ დიოსკურიაში გამოიზამთრა (შდრ. აპიანე, მითრიდატეს ომების ისტორია, 101), ე.ი. ძვ.წ. 66/65 წწ.? მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია, რომ დიოსკურების ქუდების გამოსახვა გვხვდება ჩვენ მითრიდატე VI-ს მიერ ამისოსში მოჭრილ მონეტებზე და აგრეთვე ძვ.წ. II ს-ის უკანასკნელი მეოთხედის პანტიკაპეურ მონეტებზე (Голенко 1965: 59).

II, 1, 39: Διόπερ πρῶτον μὲν ἐκείνου τὸ ἀπὸ τοῦ στόματος ἐπὶ Φᾶσιν εἰπόντος σταδίων ὀκτακισχιλίων, καὶ προσθέντος τοὺς εἰς Διοσκουριάδα ἐνθένδε ἑξακοσίους, τὴν δ᾽ ἀπὸ Διοσκουριάδος εἰς τὸ Κάσπιον ὑπέρθεσιν ἡμερῶν πέντε.

„[ერატოსთენე] ფასისის შესართავებამდე მანძილზე ამბობს 8 000 სტადიონს და უმატებს ამას აქედან დიოსკურიამდე 600 სტადიონს, ხოლო დიოსკურიიდან კასპიის მთამდე[1] 5 დღის სავალს [ანგარიშობს]“.

II, 5, 22: τὸ δ᾽ ἑῷόν ἐστι παράμηκες, εἰς στενὸν τελευτῶν μυχὸν τὸν κατὰ Διοσκουριάδα... τὴν μὲν νευρὰν ἐξομοιοῦντες τοῖς δεξιοῖς καλουμένοις μέρεσι τοῦ Πόντου (ταῦτα δ᾽ ἐστὶν ὁ παράπλους ὁ ἀπὸ τοῦ στόματος μέχρι τοῦ μυχοῦ τοῦ κατὰ Διοσκουριάδα...)

„...აღმოსავლეთის ზღვა მოგრძოა და ის ვიწრო ყურით სრულდება დიოსკურიასთან... პონტოს მარჯვენად წოდებულ ნაწილებს ლარს ამსგავსებენ (ეს არის სანაოსნო გზა, რომელიც არის შესართავიდან იმ ყურემდე, რომელიც არის დიოსკურიასთან...)“.

II, 5, 25: δυσμικώτατον δὲ ὁ κατὰ τὰς Στήλας πορθμός, ἑωθινώτατον δ᾽ ὁ λεχθεὶς μυχὸς κατὰ Διοσκουριάδα· Ἐρατοσθένης δ᾽ οὐκ εὖ τὸν Ἰσσικὸν κόλπον φησίν. ὁ μὲν γὰρ ἐπὶ τοῦ αὐτοῦ μεσημβρινοῦ ἵδρυται, ἐφ᾽ οὗπερ ἥ τε Ἀμισὸς καὶ Θεμίσκυρα· εἰ δὲ βούλει, πρόσλαβε καὶ τὴν Σιδήνην μέχρι Φαρνακείας. ἀπὸ δὲ τούτων τῶν μερῶν πρὸς ἕω πλοῦς ἐστι πλειόνων ἢ τρισχιλίων που σταδίων εἰς Διοσκουριάδα.

„...მისი (ეგეოსის ზღვის – ო. ლ.) უკიდურესი დასავლეთი ნაწილი არის სრუტე სტელებთან, ხოლო უკიდურესი აღმოსავლეთისა – უკვე ნახსენები უბე დიოსკურიასთან. ერატოსთენე კარგად არ ლაპარაკობს ისიკოსის უბეზე. ეს [უბე] არის იმავე მერიდიანზე, რომელზედაც არის ამისოსი და თემისკირა, ხოლო თუ გინდათ, შეიძლება დაუმატოთ კიდევ სიდენე ფარნაკიამდე. ამ ნაწილებიდან აღმოსავლეთისაკენ დიოსკურიამდე ზღვით სავალი არის უფრო მეტი, ვიდრე 3 000 სტადიონი...“ (ყაუხჩიშვილი 1957: 93).

XI, 2, 16: Ἡ δ᾽ οὖν Διοσκυριάς ἐν κόλπῳ τοιούτῳ κειμένη καὶ τὸ ἑωθινώτατον σημεῖον ἐπέχουσα τοῦ σύμπαντος πελάγους, μυχός τε τοῦ Εὐξείνου λέγεται καὶ ἔσχατος πλοῦς ... ἐπεὶ ἀπό γε τοῦ ποταμοῦ καὶ τῆς πόλεως οὐκ ἐλάττων ἑξακοσίων σταδίων λείπεται πλοῦς ἐπ᾽ εὐθείας εἰς τὸν μυχόν. ἡ δ᾽ αὐτὴ Διοσκουριάς ἐστι καὶ ἀρχὴ τοῦ ἰσθμοῦ τοῦ μεταξὺ τῆς Κασπίας καὶ τοῦ Πόντου καὶ ἐμπόριον τῶν ὑπερκειμένων καὶ σύνεγγυς ἐθνῶν κοινόν.

„დიოსკურია ამისთანა უბეში მდებარეობს და უჭირავს უკიდურესი აღმოსავლეთი პუნქტი მთელი ზღვისა, [ამიტომ] ამბობენ მასზე, რომ ისაა ევქსინის უშორესი ადგილი და უკიდურესი საცურაოდ... მდინარიდან და ქალაქიდან (საუბარია ფასისზე – ო. ლ.) რჩება არა ნაკლები 600 სტადიონისა პირდაპირი ხაზით უკიდურეს წერტილამდე საცურავო. ხოლო თვით დიოსკურია არის საწყისი იმ ყელისა, რომელიც კასპიისა და პონტოს შუაშია და საერთო სავაჭრო ადგილი მის ზემოთ და მახლობლად მცხოვრები ტომებისათვის“ (ყაუხჩიშვილი 1957: 122).

1 სტრაბონთან დაცული ცნობის მიხედვით, რომელიც თითქოს ერატოსთენესგან მომდინარეობს: „კასპიის მთა (Κασπίον ὄρος) მდებარეობს გასასვლელში კოლხიდიდან კასპიის ზღვისაკენ (II, 1, 39:). ზოგიერთი კომენტატორის აზრით, კასპიის მთად იგულისხმება დიდი კავკასიონის ქედი სურამის უღელტეხილის მიდამოებში (იხ. „Вестник древней истории“ № 4, 1947: 215).

ამრიგად, 1. დიოსკურია მდებარეობს კოლხეთში; 2. იგი განლაგებულია ფასისიდან 600 სტადიონის, ხოლო პიტიუნტიდან 360 სტადიონის დაცილებით; 3. მის ზემოთ არის კავკასიონის მწვერვალები (სადაც სვანები მოსახლეობენ); 4. ის არის უკიდურესი აღმოსავლეთი პუნქტი შავ ზღვაში და მდებარეობს ზღვის უბეში. ამ მონაცემების მიხედვით ძველი დიოსკურია სოხუმის ყურეში ივარაუდება, მაგრამ მისი ზუსტი ადგილსამყოფელი ჯერჯერობით მაინც დადგენილი არაა. მკვლევართა ერთი ნაწილი ძველ ქალაქს მდ. კოდორის ნაპირას, ე.წ. ისკურიის კონცხზე ეძებს და ამ კონცხის სახელწოდებასაც ქალაქ დიოსკურიის სახელწოდებას უკავშირებს (დაწვრ. Иващенко 1925). ამჟამად მკვლევართა უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ ქალაქი დიოსკურია ძვ.წ. VI-II სს-ში სოხუმის უბეში მდ. ბესლეთის ორსავე ნაპირზე იყო განლაგებული და რომ აქ ქალაქის მნიშვნელოვნი ნაწილი ზღვაშია ჩაძირული (Трапш 1954; Трапш 1969: 212, 219 და შმდ.; Анчабадзе 1964: 150-151; Шервашидзе 1967). ამას თითქოს მოწმობს აგრეთვე ზღვაში აღმოჩენილი საფლავის მარმარილოს სტელა სამფიგურიანი რელიეფური კომპოზიციით, რომელიც ძვ.წ. V ს-ის უკანასკნელი მეოთხედით თარიღდება (Лордкипанидзе О. 1968: 166-167; Pfuhl, Möbius 1977: 28, № 65). რამდენადაც ძველი ქალაქი ჯერ აღმოჩენილი არაა (ჰიდროარქეოლოგიური სამუშაოები გართულებულია ზღვის უბეში მძლავრი დაშლამული ფენის არსებობის გამო), ამიტომ შეუძლებელია ქალაქის ისტორიის ადრეული ეტაპის აღდგენა. მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალები დღევანდელ სოხუმსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ძირითადად წარმოგვიდგენენ ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების სურათს უშუალოდ ამ რეგიონში ბერძნული კოლონიზაციის დაწყების წინ და ქალაქ დიოსკურიის არსებობის პერიოდში. უკვე ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულსა და I ათასწლეულში ზღვისპირა ზოლსა და დღევანდელი ქალაქის მიმდებარე ვრცელ ტერიტორიაზე ფიქსირდება ადგილობრივი ინტენსიური დასახლებანი, განვითარებული მიწათმოქმედება, მეტალურგიული (სპილენძის სადნობი და ბრინჯაოს საომარი და სამეურნეო იარაღების დამამზადებელი) და კერამიკული სახელოსნოები, რკინის მრავალფეროვანი პროდუქცია (კალანდაძე 1953; Трапш 1969; კვირკველია 1978; 1979; Квирквелия 1981; Шамба 1980; ლორთქიფანიძე ოთ. 1966: 59; Лордкипанидзе О. 1979: 139 და შმდ).

სოხუმის უბესა და აგრეთვე ეშერის ტერიტორიაზე[1] აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები წარმოგვიდგენენ ადგილობრივი მოსახლეობისა და ბერძენი

1 უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელი სოხუმის ტერიტორიაზე საბერძნეთიდან შემოტანილი არქაული და ადრეკლასიკური ხანის იმპორტული ნაწარმი ძალიან მცირე რაოდენობისაა (ქიოსური ამფორის ფრაგმენტები). შედარებით მეტია ისინი ეშერის ნაქალაქარზე. ამის გამო, ძველი დიოსკურია დღევანდელი ეშერის ნაქალაქარის მიდამოებში ლოკალიზდება (Шамба 1979,1980). ამ რეგიონში ბერძნულ და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ურთიერთობის კვლევის ისტორიისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბერძნული ფარის ბრინჯაოს გარსაკრავი, რომელზეც არწივია გამოსახული. იგი აღმოჩნდა „წითელი შუქურის“ სამარხში და ძვ. წ. VI ს-ის მესამე მეოთხედით თარიღდება. ფიქრობენ, რომ იგი, შეიძლება, უფრო გვიანდელიც იყოს და სავარაუდოდ, ძვ. წ. VI-V სს-ისაა (კვირკველია 1981:9). ეშერის მახლობლად აღმოჩენილია მდიდრული სამარხი, რომელიც მრავალი ნივთის გარდა (ვერცხლის საკიდები, ბრინჯაოს ზარაკები, რკინის ლაგამი და ა.შ.), ატიკურ შავფიგურულ ამფორასაც შეიცავდა. ამ ამფორის

მოახალშენეების ურთიერთობას ძვ.წ. VI-V სს-ში. არქეოლოგიურ მონაპოვარში გამოირჩევა ძვ.წ. VI-V სს-ის ბერძნული იმპორტული ნაწარმი[1]: იონიური და ატიკური კერამიკა (Шамба 1979; Шамба 1980), რაც მოწმობს სოხუმის უბეში უკვე ძვ.წ. VI ს-ის მეორე მეოთხედიდან მაინც ბერძნული სამოსახლოს არსებობას (ინაძე 1982: 100 და შმდ., იქვე დასახ. ლიტ.). წყაროების არაჩვეულებრივი სიმწირის გამო ძალზე ძნელია ამ ქალაქის პოლიტიკური ორგანიზაციის, სოციალური სტრუქტურისა და ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის კონკრეტული ფორმების შესახებ დაწვრილებით მსჯელობა. ამიტომ დიოსკურიის (ისევე როგორც ფასისის) ისტორიის მრავალი საკითხი ჯერ კიდევ ღიად უნდა დარჩეს.

2.3. „გეოგრაფიაში“ შემონახულია საინტერესო ცნობა ქალაქ დიოსკურიის სავაჭრო მნიშვნელობის შესახებ, რომელიც ტიპოლოგიურად ძალზე წააგავს ქალაქ ფასისის შესახებ გადმოცემას (შდრ. XI,2,17).

XI, 2, 16: Ἡ δ᾽ αὐτὴ Διοσκουριάς ἐστι καὶ ἀρχὴ τοῦ ἰσθμοῦ τοῦ μεταξὺ τῆς Κασπίας καὶ τοῦ Πόντου καὶ ἐμπόριον τῶν ὑπερκειμένων καὶ σύνεγγυς ἐθνῶν κοινόν συνέρχεσηαι γοῦν εἰς αὐτὴν ἑβδομήκοντα, οἱ δὲ καὶ τριακόσια ἔθνη φασίν, οἷς οὐδὲν τῶν ὄντων μέλει. πάντα δὲ ἑτερόγλωττα διὰ τὸ σποράδην καὶ ἀμίκτως οἰκεῖν ὑπὸ αὐθαδείας καὶ ἀγριότητος· Σαρμάται δ᾽ εἰσὶν οἱ πλείους, πάντες δὲ Καυκάσιοι.

„...დიოსკურია არის საწყისი იმ ყელისა, რომელიც კასპიისა და პონტოს შუაშია და საერთო სავაჭრო ადგილი მის ზემოთ და მახლობლად მცხოვრები ტომებისათვის. [ერთთა აზრით ქალაქში] თავს იყრის 70 ტომი, ხოლო მეორენი ამბობენ, რომ 300-იო (ესენი არაფრად ზრუნავენ სიმართლისათვის), ყველა [ტომი] განსხვავებულ ენაზე [ლაპარაკობს], რადგან დაფანტულობის გამო შეურევლად ცხოვრობენ თავისი სიამაყისა და ველურობის მიზეზით. უმეტესობა არიან სარმატები, ხოლო ყველანი კავკასიელები არიან“.

გადმოცემული პასაჟიდან ჩანს, რომ სტრაბონს აქ ხელთ ჰქონდა ორი, მაგრამ დაახლოებით ერთი შინაარსის წყარო, რომელშიც ხაზგასმული იყო დიოსკურიის, როგორც სავაჭრო ცენტრის მნიშვნელობა მის ირგვლივ და აგრეთვე ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მთიანეთში მცხოვრები ტომებისათვის. ივარაუდება, რომ იმ ავტორთა შორის, რომელნიც დიოსკურიაში 70 ენაზე მოლაპარაკე ტომთა თავმოყრაზე იუწყებიან, იგულისხმებიან მითრიდატეს ომების ისტორიკოსები, კერძოდ, შესაძლოა თეოფანე მიტილენელი, რომელიც თან ახლდა პომ-

ერთ მხარეს გამოსახულია დიონისე და მენადები, მეორეზე – მეომრები და საბრძოლო ეტლი. ჭურჭელზე წარწერაც არის – NIKON; სახელი, რომელიც ოსტატს უნდა ეკუთვნოდეს (Шамба 1983).

1 ეშერის ნამოსახლარზე, რომელიც დღევანდელი სოხუმიდან დაახლოებით 10 კმ-ის დაცილებით მდებარეობს, აღმოჩენილია ბერძნული იმპორტული კერამიკა – ძვ.წ. VI და V სს-ის იონიური, იონიურ-როდოსული და აგრეთვე ატიკური შავფიგურული და შავლაკიანი კერამიკა, რის საფუძველზეც ვარაუდობენ, რომ ამ დროს აქ დიოსკურიის სავაჭრო ფაქტორია–ემპორიონი არსებობდა (Шамба 1979). მაგრამ ნამოსახლარზე იმპორტულ კერამიკას რაოდენობრივი თვალსაზრისით სჭარბობს ადგილობრივი ნაწარმი და ადგილობრივი მოსახლეობის ყოფისა და საწარმოო საქმიანობის ამსახველი ნივთიერი მასალა.

პეუსს კოლხეთში მითრიდატეს წინააღმდეგ ბრძოლისას (ინაძე 1982: 45). რაც შეეხება 300 ტომის დიოსკურიაში სავაჭროდ თავმოყრას, მსგავსი ცნობა პლინიუსთანაცაა შემონახული და ტიმოსთენე როდოსელიდან მომდინარეობს:

Plin., NH, VI, 15: quondam adeo clara ut Thimosthenes in eam CCC nationes dissimilibus linguis descendere prodiderit.

„ოდესღაც ის (დიოსკურია – ო. ლ.) იმდენად დიდებული იყო, რომ, ტიმოსთენეს სიტყვებით, აქ თავს იყრიდა 300 ტომი, რომელიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდა“.

ჩემი აზრით, არ უნდა ჰქონდეს აზრი ახლა იმის განსჯას, თუ სინამდვილეში რამდენი ტომი იყრიდა სავაჭროდ თავს დიოსკურიაში. სტრაბონთან შემონახული ცნობა იმითაა საყურადღებო, რომ მითრიდატესა და პომპეუსის ომების აღმწერნიც ადასტურებენ დიოსკურიის სავაჭრო მნიშვნელობას ირგვლივ და კიდევ უფრო შორს მცხოვრები ტომებისათვის, რასაც ჯერ კიდევ ტიმოსთენე როდოსელი – ძვ.წ. III ს-ის გეოგრაფოსი – იუწყებოდა. ამრიგად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დიოსკურია მთელი ამ ხნის მანძილზე ინარჩუნებდა მსხვილი სავაჭრო ცენტრის მნიშვნელობას. ძნელი სათქმელია, რა იზიდავდა და რას იძენდნენ ჩრდილო კავკასიის მთიელი ტომები დიოსკურიაში. სტრაბონის ცნობით, ისინი „აქ თავს იყრიდნენ მეტწილად მარილის გამო“ (XI, 5, 6).[1] საფიქრებელია, რომ დიოსკურიის ბაზარზე ადგილობრივი და შორეული მთიანი ადგილებიდან სავაჭროდ მოსული მოსახლეობა (გარდა იმისა, რომ, ალბათ, ერთმანეთშიც ვაჭრობდა) ბერძენ ვაჭართაგან იძენდა კოლხეთში შემოტანილ ზეითუნის ზეთს, იაფფასიან ღვინოს, ფუფუნების საგნებს (მხატვრული თიხის ნაწარმსა და ა.შ.), რომელთა ნაშთები (მაგ., ელინისტური ხანის ამფორები, შავ- და წითელლაკიანი კერამიკა, რელიეფური ე.წ. მეგარული თასები) აღმოჩენილია დღევანდელ სოხუმსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ზღვისპირა და გორაკ-ბორცვიან ზოლში (დაწვრ. იხ. ლორთქიფანიძე ოთ. 1966: 133-134 და იქ დასახ. ლიტ. და სამუზეუმო კოლექციები). აღსანიშნავია აგრეთვე ელინისტური ხანის ბერძნული იმპორტი მთიან ოლქებში. ასე მაგ., შავლაკიანი კერამიკა (კანთაროსი, კილიკი), პოლიქრომიული მინის მძივები და სკარაბეები და სხვა ნაპოვნია სვანეთში ლარილარის სამაროვანზე (შ. ჩართოლანის გათხრები). სწორედ აქ სახლობდნენ მაშინაც სვანები, რომელთა შესახებ სტრაბონი გვაუწყებს: „ტომებს შორის, რომლებიც თავს იყრიან დიოსკურიაში, არიან სვანები...“.[2]

1 ზოგიერთი მკვლევარი ამ ცნობის დასტურად მიიჩნევს ზღვისპირა დიუნურ ნამოსახლარებზე მრავლად აღმოჩენილ ქსოვილის ანაბეჭდიან თიხის ვარცლებს, რომელთაც განიხილავენ როგორც ზღვის მლაშე წყლის ასაორთქლებლად და მარილის მისაღებად განკუთვნილ მოწყობილობას (Соловьев 1947). მაგრამ ამ ვარცლების დანიშნულების შესახებ სხვა მოსაზრებაცაა გამოთქმული, კერძოდ, რომ ისინი განკუთვნილი იყო მაგნეტიტური ქვიშების გასარეცხად და რკინის მისაღებად (Рамишвили 1975).

2 თუმც მთლიანი ტექსტი (XI, 2, 19) შეიძლება სხვაგვარადაც იქნეს გაგებული: „ტომებს შორის, რომლებიც თავს იყრიან დიოსკურიაში, არიან ფთეიროფაგებიც, რომელთაც მიიღეს სახელი ჭუჭყისა და სიბინძურის გამო. მახლობლად (πλησίον) არიან სვანები...“ ე.ი. აქ შეიძლება საუბარი იყოს მხოლოდ ფთეიროფაგებისა და სვანების მეზობლობაზე, მაგრამ ეს, თითქოს, არ უნდა გამორიცხავდეს იმის შესაძლებლობასაც, რომ

სხვადასხვა პროდუქტებით (ზეთი, ღვინო, მარცვლეული) ვაჭრობისათვის დიოსკურიაში, როგორც ჩანს, საგანგებოდ ამფორებიც მზადდებოდა, რასაც მოწმობს კერამიკული სახელოსნოების ნაშთები და ამფორები დამღით, რომლებზედაც აღბეჭდილი იყო ქალაქის სახელწოდება: Διοσκου(ρια) (Шамба 1977).

კიდევ უფრო ძნელია გადაჭრით მსჯელობა იმის შესახებ, თუ რას იძენდნენ ბერძნები ადგილობრივი ტომებისაგან.[1]

3. „დიდი პიტიუნტი“ (Πιτυοῦς μέγας)

ეს ქალაქი „გეოგრაფია“-ში მხოლოდ ორჯერ იხსენიება.

XI, 2, 14: ἀπὸ δὲ τῶν Βατῶν ὁ μὲν Ἀρτεμίδωρος τὴν Κερκετῶν λέγει παραλίαν, ὑφόρμους ἔχουσαν καὶ κώμας, ὅσον ἐπὶ σταδίους ὀκτακοσίους καὶ πεντήκοντα· εἶτα τὴν τῶν Ἀχαιῶν σταδίων πεντακοσίων, εἶτα τὴν τῶν Ἡνιόχων χιλίων, εἶτα τὸν Πιτυοῦντα τὸν μέγαν τριακοσίων ἑξήκοντα μέχρι Διοσκουριάδος.

„...არტემიდორე ამბობს, რომ ბატადან კერკეტების სანაპირომდე, რომელზედაც არის ნავთსაყუდლები და სოფლები, დაახლოებით 250 სტადიონია, შემდეგ აქეელთა [სანაპირო] 500 [სტადიონი], მერე ჰენიოხთა [სანაპირო] – 1000 [სტადიონი], ხოლო დიდი პიტიუნტისა – დიოსკურიამდე 360“.

ამრიგად, სტრაბონი ფაქტობრივად აქ ახსენებს მხოლოდ „დიდი პიტიუნტის სანაპიროს“, მაგრამ აშკარაა, რომ არსებობს ქალაქიც „დიდი პიტიუნტი“, თუმც იქვე ამ ქალაქს მოიხსენიებს ეპითეტის „დიდი“-ს გარეშე („...ეს სანაპირო... სრულდება პიტიუნტთან“ – τελευτᾷ πρὸς τὸν Πιτυοῦντα καὶ τὴν Διοσκυριάδα). სტრაბონის ცნობიდან ჩანს, რომ ამ ქალაქს იხსენიებდა თურმე ძვ.წ. II-I სს-ის გეოგრაფოსი არტემიდორე ეფესელი. სხვა რაიმე მინიშნება იმის თაობაზე, რომ პიტიუნტი იხსენიებოდა სხვა უფრო ადრეულ წყაროში, ჩვენ არ გაგვაჩნია. არ იხსენიება იგი არც ფსევდო-სკილაქს კარიანდელის „პერიპლუსში“, სადაც ჩამოთვლილია ზღვისპირა ქალაქები. ამიტომაც პიტიუნტს უფრო გვიან, ძვ.წ. IV ს-ის შემდეგ დაარსებულ ქალაქად მიიჩნევენ (მელიქიშვილი 1970ვ: 404) და თვლიან, რომ არაა მართებული, როდესაც მას უყოყმანოდ დიდი ბერძნული კოლონიზაციის დროს დაარსებულ ქალაქებს შორის განიხილავენ (ლომოური 1963ა: 34). სამაგიეროდ ამ ქალაქს ხშირად იხსენიებენ უფრო გვიანდე-

სვანებიც იგულისხმებიან იმ „ტომებს შორის, რომლებიც თავს იყრიან დიოსკურიაში“. ამგვარი დასკვნის საფუძველს იძლევა მთლიანი კონტექსტი: „დიოსკურია... არის საერთო სავაჭრო ადგილი მის ზემოთ და მახლობლად მცხოვრები ტომებისათვის“ (ἐμπόριον τῶν ὑπερκειμένων καὶ σύνεγγυς ἐθνῶν).

1 სხვა საკითხია საერთოდ კოლხეთიდან ბერძენთა მიერ ადგილობრივი ბუნებრივი სიმდიდრის (ხეტყე, ლითონი) ექსპორტი, რომელიც უთუოდ კოლხეთის სამეფოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან და ადგილობრივ არისტოკრატიასთან ურთიერთობის გზით ხორციელდებოდა (შდრ. Лордкипанидзе О. 1979: 149-154, 166-167).

ლი ავტორები – პლინიუსი (NH, VI, 16), არიანე (PPE, § 10), აგრეთვე ბიზანტიური (V ს-ის ანონიმური „გეოგრაფია“, ზოსიმე, პროკოპი კესარიელი, თეოფანე ჟამთააღმწერელი, „იუსტინიანეს ნოველები“, სვიდა) და ქართული წყაროები (ჯუანშერი, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი), რომელნიც მოწმობენ მის დიდ მნიშვნელობას რომაულსა და ადრებიზანტიურ (აგრეთვე უფრო გვიან) ხანაში (დაწვრ. აფაქიძე 1975: 30-41). ძველი პიტიუნტი დღევანდელი ბიჭვინტის ტერიტორიაზეა ერთხმად ლოკალიზებული. თუმც აქ ჩატარებული ფართო მასშტაბის არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას ელინისტური და უფრო ადრინდელი ხანის ქალაქის ნაშთები არ დაუდასტურებია. აღმოჩენილია რომაული და ბიზანტიური ხანის ციხე-ქალაქი (კასტელუმი და კანაბე) და სამაროვანი (დაწვრ. „დიდი პიტიუნტი“; ლორთქიფანიძე გ. 1991; Lordkipanidse O. 1991: 163).

4. „კვიტაიელი აიეტი“ (Αἰήτης Κυταίου)

I, 2, 39: Καλλίμαχος...λέγων ἐν ἐλεγείᾳ, ἧς ἡ ἀρχή· Ἄρχμενος, ὡς ἥρωες ἀπ᾽ Αἰήταο Κυταίου, /αὖτις ἐς ἀρχαίην ἔπλεον Αἰμονίην.

„...კალიმაქე... ელეგიაში, რომლის დასაწყისიც ასეთია: „როდესაც გმირები (ე.ი. არგონავტები – ო. ლ.) აიეტეს კვიტეელისაგან კვლავ მივიდნენ ძველ ჰაიმონიაში.“[1]

კოლხთა მეფეს აიეტს, როგორც უკვე ვნახეთ, სტრაბონი რამდენიმე გზის იხსენიებს (შდრ. „გეოგრაფია“, I, 2, 39-40), მაგრამ ამჯერად ჩვენს ყურადღებას იქცევს მისი ეპითეტი „კვიტეელი“ (Κυταίου), რომლითაც აიეტი იხსენიება ელინისტური ეპოქის პოეტის კალიმაქე კვირენელის (დაახლ. ძვ.წ. 315-240 წწ.) თხზულებაში „მიზეზები“ (I, 7, 25 – ყაუხჩიშვილი 1980: 107, 190). „აიეტი კვიტაიელი“ (Αἰήτης Κυταίου) მოხსენიებულია აგრეთვე აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ (II, 1094):

Υἱῆες Φρίξοιο μετὰ πτόλιν Ὀρχομενοῖο ἐξ Αἴης ἐνέοντο παρ᾽ Αἰήταο Κυταίου, Κολχίδα νῆ᾽ ἐπιβάντες.

„ფრიქსეს ვაჟები კოლხურ ხომალდში ჩასხდნენ და აიადან, კვიტაიელი აიეტის მხარედან, ორქომენეს ქალაქისაკენ მიცურავდნენ“.

იმავე პოემის სხვა ადგილას აიეტი მოიხსენიება ეპითეტით Κυταιέος (II, 403; III, 228). აპოლონიოს როდოსელის თხზულებიდან კი კარგად ჩანს, რომ აიეტს ეს ეპითეტი მისი სატახტო ქალაქის (πόλις Αἰήταο) გამო შეერქვა (შდრ. II, 1264). აპოლონიოს როდოსელის გადმოცემით (II, 1267), „ფასისში“ შენავებულ არგონავტებს

1 ჰაიმონია ითვლება თესალიის ძველ სახელწოდებად.

ἔχον δ' ἐπ' ἀριστερὰ χειρῶν
Καύκασον αἰπήεντα Κυταιίδα τε
πτόλιν Αἴης

„ხელმარცხნივ ეკავათ მაღალი კავკასიონი და აიას[1] ქალაქი კვიტაიისი...“

სხვა შემთხვევაში აპოლონიოს როდოსელთან Κυταιίς მოიხსენიება მთელი მხარის და ვრცელი ტერიტორიის აღსანიშნავადაც, როგორც ჩანს, მისი მთავარი ცენტრის სახელის მიხედვით – შდრ. მაგ. II, 399: „აქ კვიტაიისის ხმელეთზე...“ (ἔχον δ' ἠπείροιο Κυταιίδος) ან კიდევ IV, 511: „კვიტაიისის მხარე“ (Κυταιίδος ἤθεα γαίης).

ელინისტური ხანის მწერალთაგან ჩვენთვის საინტერესო სახელს იხსენიებს ლიკოფრონ ქალკიდელიც, რომელიც მედეას – აიეტის ასულს – უწოდებს Κυταική, ე.ი. კვიტაიელი ასული (შდრ. „ალექსანდრა“, ტ. 173 – ყაუხჩიშვილი 1980: 49). ძველი სქოლიასტებიც Κυταῖος-ს ერთხმად მიიჩნევდნენ ქალაქად.[2]

აპოლონიოს როდოსელთან ამ ქალაქის ადგილმდებარეობაცაა განსაზღვრული (II, 399-407):

ἔνθα δ' ἐπ' ἠπείροιο Κυταιίδος ἡ
δ' Ἀμαραντῶν τηλόθεν ἐξ ὀρέων
πεδίοιό τε Κιρκαίοιο Φᾶσις δινήεις
εὐρὺν ῥόον εἰς ἅλα Βάλλει. κείνου
νῆ' ἐλάοντες ἐπὶ προχοὰς ποταμοῖο,
πύργους εἰσόψεσθε Κυταιέος Αἰήταο,
ἄλσος τε σκιόειν Ἄρεος, τόθι κῶας
ἐπ' ἄκρης πεπτάμενον φηγοῖο δράκων,
τέρας αἰνὸν ἰδέσθαι, ἀμφὶς ὀπιπεύει
δεδοκημένος· οὐδέ οἱ ἦμαρ, οὐ κνέφας
ἥδυμος ὕπνος ἀναιδέα δάμναται ὀσσε.

„აქ კვიტაიისის ხმელეთსა და კირკეონის ველზე ამარანტების შორეული მთებიდან[3] [გამომდინარე] მორევიანი ფასისი მიაგორებს ფართო ნაკადს ზღვისკენ. როცა ამ მდინარის შესართავთან მიაცურებთ ხომალდს, დაინახავთ კვიტაიელი აიეტის კოშკებს და არესის ჩრდილოვან ჭალაკს, სადაც მუხის წვერზე ჩამოკიდებულ საწმისს ყოველმხრივ უთვალთვალებს და იცავს სახილველად საზარელი ურჩხული დრაკონი...“

აპოლონიოს[3] როდოსელთან (და აგრეთვე ლიკოფრონ ქალკიდელთან და კალიმაქესთან) მოხსენიებულ ქალაქ „კუტაია“-ს (Κυταία πόλις)[4] თითქმის ერთხმად

1 აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ „აია“ გვევლინება კოლხეთის სინონიმურ სახელწოდებად (შდრ. II, 415: Αἶα δὲ Κολχίς), ისევე როგორც ჰეროდოტეს „ისტორიაში“ (I, 2). იხ. აგრეთვე ზემოთ კომენტარი „აიას“ შესახებ არგონავტიკასთან დაკავშირებით.

2 შდრ. მაგ. Sch. ad „Od. IV, 228: „მედეა ქალაქ კუტაიადან, რომელსაც ლიკოფრონი მოიხსენიებს (...καὶ Μήδεια ἡ ἐκ Κυταίας πόλεως, ἧς καὶ Λυκόφρων μέμνηται). იხ. აგრეთვე Tzetz. ad Lycophr. 174: [Κυταικῆς]. Κύταια, πόλις Κολχίδος, ὅθεν αὐτὴν τὴν Μήδειαν Κυταικὲν ἔφη... ἐν Κόλχοις δὲ αὐτὸς γήμας Εἰδυῖαν, τὴν Ὠκεανοῦ θυγατέρα, ἐν Κυταίᾳ πόλει, Μήδειαν καὶ Ἄψυρτον γεννᾷ...; Sch. ad Lycophr. Alex. 174: Κυταϊκὴ δὲ ἡ Μέδεια, Κύτη γὰρ πόλις Κολχίδος; Sch. ad Appoll. Rhod. II, 399: Κυταιίδος· Κολχικῆς. Κύταια γὰρ πόλις Κολχίδος; Suda: Κυταία· πόλις. καὶ Κυταιίδος.

3 ამარანტის მთა გაიგივებულია დიდ კავკასიონთან. აპოლონიოს როდოსელის ერთ-ერთი სქოლიასტი აღნიშნავს, რომ „ამარანტი კოლხეთის მთებია, როგორც ამას გვაუწყებს კტესია მეორე წიგნში“ (Sch. ad Apoll. Rhod. II, 349)

4 სხვა ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა“-ში

დღევანდელი ქუთაისის მიდამოებში[1] ვარაუდობენ (დაწვრ. Лордкипанидзе О. 1988).[2]

საინტერესოა VI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის ცნობა:

ταύτην παραρρεῖ τὴν χώραν ποταμός, Ῥέων ὄνομα, οὗ δὴ καὶ φρούριον ᾠκοδομήσαντο ἐκ παλαιοῦ Κόλχοι, οὔπερ ὕστερον αὐτοὶ τὸ πλεῖστον ἐς ἔδαφος καθεῖλον, ἐπεὶ ἐν πεδίῳ κείμενον ἐσάγαν ὑπτίῳ εὐέφοδον σφίσιν ἔδοξεν εἶναι. Κοτιαιον δὲ τότε τὸ φρούριον ὠνομάζετο τῇ Ἑλλήνων φωνῇ, νῦν μέντοι Κουτατοῦσιν αὐτὸ καλοῦσι Λαζοὶ τῇ τῆς φωνῆς ἀγνοίᾳ τὴν τοῦ ὀνόματος διαφθείροντες ἁρμονίαν. ταῦτα μὲν Ἀριανὸς οὕτως ἱστόρησεν.

„მოხირისის მხარეს[3] ჩამოუდის ერთი მდინარე სახელად რეონი;[4] მის სანაპიროსთან ძველადვე კოლხებს აუგიათ ციხე, რომელიც შემდეგ ხანებში მათ მეტწილად მიწასთან გაუსწორებიათ, რადგან ის მეტად დაბალ ვაკეზე მდებარეობდა და მათი აზრით, ადვილი მისასვლელი იყო... სხვები კი ამბობენ: ძველ დროში ამ ადგილას ქალაქი იყო და კვიტაიონი ეწოდებოდაო; აქაური იყო აიეტი, რის გამოც პოეტები მას კვიტაიელს ეძახდნენ... მაშინ ამ ციხეს (იგულისხმება ვაკეზე აგებული ციხე – ო. ლ.) კოტაიონს უწოდებდნენ ელინური ენით, ამჟამად კი მას ლაზები ქუთათისს ეძახიან. ბერძნული ენის უცოდინარობით მოსდით, რომ ამ სახელწოდების ნამდვილი სახე შერყვნეს. ასე აქვს მოთხრობილი არიანეს..." (BG, VIII, 14, 47 = ს. ყაუხჩიშვილი ს. 1934: 163-166).

ამ ცნობიდან ნათლად ჩანს, რომ VI ს-შიც და, ყოველ შემთხვევაში, ახ.წ. II ს-შიც (არიანეს დროს),[5] ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ტრადიცია, რომლის თანახმად აიეტის მთავარი ქალაქი კვიტაიისი დღევანდელი ქუთაისის ტერიტორიაზე მდებარეობდა. არქეოლოგიური მონაცემებიც მოწმობენ ამ ტერიტორიაზე დიდი

წარმოდგენილი ეთნო-გეოგრაფიული სიტუაცია მომდინარეობს ძვ.წ. VI-V სს-ის წყაროებიდან და შესაძლოა იმ დროს განეკუთვნებოდა Κυταία-ს პირველი მოხსენიება ბერძნულ წყაროებში (შდრ. Лордкипанидзе О. 1988). შესაძლოა ამავე ქალაქს გულისხმობდა ფსევდო-სკილაქს კარიანდელი: „მდინარეს (ფასისის) ზევით აყოლებით 180 სტადიონის მანძილზე არის დიდი ბარბაროსული ქალაქი, საიდანაც იყო მედეა" (§ 81: ἀνάπλους ἀπὸ τὸν ποταμὸν σταδίων ρπ', εἰς πόλιν [μάλην] μεγάλην βάρβαρον, ὅθεν ἡ Μήδεια ἦν).

1 აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკიდან" კარგად ჩანს, რომ ეს ქალაქი მდ. ფასისზეა, მაგრამ ზღვიდან დაშორებით ქვეყნის შიგნით (შდრ. II, 1260-1265; III, 57; IV, 198).

2 საგულისხმოა, რომ ქუთაისი იყო დასავლეთ საქართველოს (ე.ი. ისტორიული კოლხეთის) ცენტრი, აგრეთვე მომდევნო ხანაში – VIII საუკუნიდან ე.წ. „აფხაზთა სამეფოს", შემდეგ ერთიანი საქართველოს დედაქალაქი (X ს-ში), ვიდრე დავით აღმაშენებელი დედაქალაქს თბილისში გადაიტანდა (XII ს.). ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ ქუთაისი იყო იმერეთის სამეფოს დედაქალაქი.

3 მოხირისის სახელით ბიზანტიელი მწერლები მოიხსენიებენ დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში მდებარე ადმინისტრაციულ-გეოგრაფიულ ერთეულს (ლანჩავა 1974).

4 ესაა ძველი ფასისის მოხსენიება იმ სახელწოდებით, რომელიც ძალიან ახლოა და არსებითად იგივეა, რაც თანამედროვე სახელი „რიონი".

5 ივარაუდება, რომ პროკოპი კესარიელთან დაცული ეს ცნობა მომდინარეობს არიანეს თხზულებიდან „ალანთა ისტორია" (Historia Alanica), რომელიც 134-137 წწ. უნდა იყოს დაწერილი, მაგრამ ჩვენამდე არ მოუღწევია. არ გამორიცხავენ, რომ ჩვენთვის საინტერესო ციტატა „პართიის ისტორიის" ან „ბითვინიის ისტორიის" ფრაგმენტი იყოს (ყაუხჩიშვილი თ. 1983: 127).

დასახლებების არსებობას ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებში.[1] მაგრამ სტრაბონს, როგორც ჩანს, მის შესახებ რაიმე რეალური ინფორმაცია არ ჰქონია. ქალაქის სახელმა შემთხვევით გამოჟონა მის „გეოგრაფიაში“ (I, 2, 59) არგონავტების მითთან დაკავშირებით.

5. სარაპანა (Σαραπανά) (სურ. VII)

XI, 2, 17: ἀναπλεῖται δὲ μέχρι Σαραπανῶν, ἐρύματος δυναμένου δέξασθαι καὶ πόλεως συνοικισμόν.

„...[ფასისზე] აღმა ცურვა შეიძლება სარაპანამდე, [ამ] სიმაგრეს შეუძლია დაიტიოს მთელი ქალაქის მოსახლეობა...“

XI, 3, 4: Τέτταρες δ' εἰσὶν εἰς τὴν χώραν εἰσβολαί· μία μὲν διὰ Σαραπανῶν, φρουρίου Κολχικοῦ.

„ქვეყანაში (იბერიაში – ო. ლ.) არის ოთხი შესასვლელი: ერთი არის კოლხურ ციხესიმაგრე სარაპანაზე...“

„სარაპანა“ სტრაბონის წინადროინდელ ბერძნულ მწერლობაში არ იხსენიება. „გეოგრაფიის“ ზემოთმოტანილი ციტატებიდან ჩანს; ა) სარაპანა მდებარეობდა მდ. ფასისზე, უფრო სწორად მის იმ მონაკვეთზე, რომელიც გაიგივებულია დღევანდელ მდინარე ყვირილასთან (იხ. ზემოთ კომენტარი მდინარე ფასისთან დაკავშირებით); ბ) სარაპანა მდებარეობდა კოლხეთისა და იბერიის საზღვარზე. ამავე ქალაქს[2] სახელით Σαραπανίς და Σάραπανα იხსენიებენ ბიზანტიური ხანის ავტორები: პროკოპი კესარიელი (BP, I, 12; II, 29; BG, VIII, 13,1 6), მენანდრე პროტიქტორი (ფრ. 11), აგრეთვე იუსტინიანეს ნოველები (XXXI) და სხვ.

სტრაბონთან და ბიზანტიელ ავტორებთან მოხსენიებული სარაპანა-სარაპანისი უყოყმანოდაა ლოკალიზებული დღევანდელი შორაპნის ადგილას (ყაუხჩიშვილი ს. 1936: 303-306). ამასთან ითვლება, რომ ბერძნულ სახელში „სარაპანა“ (Σαραπάνα) სიგმათი გადმოცემულია ადგილობრივი „შ“ და ამრიგად ადგილობრივი სახელწოდება „შორაპანი“ გადმოიცა „სარაპანა“ ფორმით. ქართული

1 არქეოლოგიური კვლევა-ძიება ქუთაისსა და მის მიდამოებში მოწმობს, რომ მთელი მხარე მჭიდროდ იყო დასახლებული ძვ.წ. II-I ათასწლეულებში (ლორთქიფანიძე ოთ. 1966: 40-44; ლანჩავა 1975; 1979; ჯიქია 1993). ძვ.წ. VIII-VII და VI-V სს-ის მძლავრ დასახლებათა ნაშთები ამჟამად გამოვლენილია როგორც ქუთაისის ციხის ტერიტორიაზე (სადაც აღმოჩენილია ახ.წ. IV-VIII სს-ის გალავნის კედლები და კოშკები, სასახლე და სხვა ნაგებობანი), ასევე ე.წ. გაბაშვილის გორაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ძვ.წ. VII-VI სს-ით დათარიღებული დიდი ნაგებობა, რომლის ხით ნაგები და თიხით მოლესილი კედლები ამოყვანილია ქვის საძირკველზე (ლორთქიფანიძე ოთ., ლანჩავა 1991). ეს ჯერ კიდევ არ იძლევა, რა თქმა უნდა, მტკიცე საფუძველს „კუტაიას“ (Κυταία) დღევანდელი ქუთაისის ტერიტორიაზე საბოლოო ლოკალიზაციისათვის.

2 გამოთქმულია მოსაზრება, რომ კლავდიოს პტოლემაიოსის „გეოგრაფიაში“ მოხსენიებული ქალაქი სარაკე (Σαράκη), რომელიც 160 სტადიონითაა დაშორებული ფასისის შესართავს (V, 9, 6), შესაძლოა წარმოადგენდეს Σαράπανα-ს შერყვნილ სახეს (ყაუხჩიშვილი ს. 1936: 305; ლომოური 1955: 57; ჯაფარიძე ვ. 1990: 6). არსებობს სხვა მოსაზრებაც: პტოლემაიოსის Σαράκη აღნიშნავდა დღევანდელ საირხეს, სადაც არქეოლოგიური გათხრებით დადასტურებულია ძვ.წ. V-I სს-ის კოლხეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრის არსებობა (ნადირაძე 1990: 6; Nadiradze 1990: 213-223).

წყაროებით („ცხოვრება მეფეთა“ – „ქართლის ცხოვრება“: 24) ციხე შორაპანი „აღაშენა“ ქართლის (იბერიის) პირველმა მეფე ფარნავაზმა (ძვ.წ. III ს-ის 70-იანი წლები).

დღევანდელი შორაპანი (სტრაბონისეული სარაპანა) მდებარეობდა მდ. ყვირილასა და მდ. ძირულას შორის აღმართულ ბორცვზე, სადაც შემორჩენილია ციხე-გალავნის ნაშთები, უპირატესად ბიზანტიური ხანისა. არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადგენილია, რომ გვიანანტიკურ და ბიზანტიურ ხანაში ძველი სარაპანა შედგებოდა ორი ძირითადი ნაწილისაგან: ორი მდინარის (ყვირილა, ძირულა) შესართავთან კონცხზე განლაგებული ქვედა ქალაქისა და კლდოვან ბორცვზე აგებული ციტადელისაგან (საერთო ფართობით 10 ჰა). ამასთან არქეოლოგიური გათხრებით დადასტურდა, რომ შორაპანი (სარაპანა), როგორც მნიშვნელოვნი სამოსახლო, არსებობდა უკვე ძვ.წ. VI-IV სს-ში. უკანასკნელ წლებში გამოვლინდა აგრეთვე ელინისტური ხანის ნაშთები (ნაგებობანი და ცალკეული კედლები, კულტურული ფენები), რომელნიც უფრო გვიანდელი მშენებლობისას არის ძლიერ დანგრეული (ცქიტიშვილი 1964: 74-83; Japaridze 1990; Djaparidze 1991).

სარაპანა-სარაპანისი ყველა მხრიდან კარგად იყო ბუნებრივად დაცული: სამი მხრიდან მიუდგომელი იყო მდინარეებით (ყვირილა-ძირულა) და ციცაბო კლდოვანი ნაპირებით, ხოლო ბუნებრივად დაუცველი ნაწილი (ჩრდილო-აღმოსავლეთიდან), როგორც ჩანს, კარიბჭით იყო გამაგრებული. იმავ დროს ციხე მარჯვედ აკონტროლებდა აქ გამავალ გზებს, რომელთაგან ერთი და მთავარი მდინარეების ძირულასა და რიკოთულას გავლით იბერიაში გადადიოდა (ცქიტიშვილი 1964: 80).

იბერიაში „შესასვლელთაგან“ (εἰσβολαί) კოლხეთის საზღვარზე მდებარე ციხესიმაგრეთა (ἐρύματα) შორის სახელდებით სტრაბონი მხოლოდ სარაპანისს მოიხსენიებს. მაგრამ იმავე პარაგრაფში (XI, 3, 4) დასძენს:

ἡ μὲν οὖν ἐκ τῆς Κολχίδος εἰς τὴν Ἰβηρίαν ἐμβολὴ τοιαύτη, πέτραις καὶ ἐρύμασι καὶ ποταμοῖς χαραδρώδεσι διακεκλεισμένη.

„...ასეთია კოლხიდიდან იბერიაში შესასვლელი, რომელიც დახშულია კლდეებით, სიმაგრეებითა და ხეობიანი მდინარეებით“.

სტრაბონის მიერ აღწერილი კოლხეთიდან იბერიაში შესასვლელი მდებარეობს, დღევანდელი გეოგრაფიული ნომენკლატურით – „ზემო იმერეთის პლატოს“ (გეოლოგიური ტერმინოლოგიით – „ძირულას კრისტალური მასივის“) აღმოსავლეთ ნაწილში, რომელიც მართლაც დასერილია მდინარეებით (ყვირილა და მისი შენაკადი ძირულა, ჩხერიმელა, მათი მრავალი შემდინარით – საძალისხევი, იეზრულა, დუმალა და სხვ.). ამასთან ამ ტერიტორიის თანამედროვე მეცნიერულ-გეოგრაფიული დახასიათება საკმაოდ წააგავს სტრაბონისეულ აღწე-

რილობას: „ზემო იმერეთის პლატოს ჰიდროგრაფიული ქსელი წარმოდგენილია მდ. ყვირილას განტოტვილი სისტემით... ესაა მდინარეული ხეობებით მჭიდროდ დანაწევრებული დენუდაციური პლატო...“ (მარუაშვილი 1970: 192, 198); „ზემო იმერეთის პლატოს“ ტოპოგრაფიულ რუკაზე დაკვირვებისას იქმნება სრული შთაბეჭდილება მთიანი რეგიონისა, რომელიც საკმაოდ ღრმადაა დანაწევრებული მდინარეთა ხეობების ქსელით და ხასიათდება ციცაბო მთის ფერდობებით“ (Маруашвили 1958: 52).

მაგრამ, როგორც ჩანს, სტრაბონი გულისხმობს არა მხოლოდ ბუნებრივად – „კლდეებითა“ და „ხეობიანი მდინარეებით“ (πέτραι, ποταμοῖς χαραδρώδεσι) გამაგრებულ საზღვრებს, არამედ ხელოვნურადაც: ἐρύμασι (სიტყვიდან τὸ ἐρύμα, რაც ნიშნავს „გამაგრებას“). იბერიისა და კოლხეთის მიჯნაზე საზღვრის დამცავი ფუნქციით აგებულ „ციხეებს“ მოიხსენიებენ უფრო გვიანდელი ქართული და ბიზანტიური წყაროები, ამასთან, როგორც წესი, შორაპანთან (სარაპანა, სარაპანის) კონტექსტში.

ქართული საისტორიო წყაროს ცნობით, იბერიის პირველმა მეფე ფარნავაზმა ეგრისის (ე.ი. კოლხეთის) საზღვარზე „აღაშენნა ორნი ციხენი, შორაპანი და დიმნა“ („ქართლის ცხოვრება“: 24). „შორაპანი“, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სტრაბონისეული „სარაპანაა“, ხოლო „დიმნა“-ს შესახებ ჯერ კიდევ XVIII ს-ის ქართველმა ისტორიკოსმა ვახუშტი ბაგრატიონმა მიუთითა: „ხანის წყლის აღმოსავლით და ყვირილის მდინარის სამხრით, ფერსათის კალთას, არს დიმი, სადაცა ჰყო პირველმა მეფემან ფარნაოზ ციხე მტკიცე, და აწ არს დაბა“ (ვახუშტი: 752). ვახუშტის მიერ მოხსენიებული „დაბა დიმი“ დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით ბაღდათის რაიონში მდებარეობს. აქ ფიქსირებულია ზღუდითა და კოშკით გამაგრებული ციხე, რომელიც აკონტროლებდა აღმოსავლეთ კოლხეთიდან იბერიისაკენ ზეკარის უღელტეხილით მიმავალ გზას. ზემოაღნიშნული ნაგებობა ძირითადად ადრეული შუა საუკუნეებით თარიღდება, მაგრამ დადასტურებულია ელინისტური ხანის კედელი და სხვა ნაშთები (ცქიტიშვილი 1964: 83-86).

ბიზანტიური წყაროები კი იბერია-კოლხეთის საზღვარზე შორაპანის (სარაპანა, სარაპანისი) გვერდით მოიხსენიებენ სკანდას (Σκανδά), რომელიც ლოკალიზებულია სოფელ სკანდაში (თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით ჩხარის რაიონში). აქ დღემდე შემორჩენილი ციხის ნანგრევები, რომელთა ძირითადი ნაწილი გვიანრომაული და ადრებიზანტიური ხანით თარიღდება (ყაუხჩიშვილი ს. 1936: 222-223) და რომელიც საერთოდ დიდ როლს ასრულებდა შუა საუკუნეების მთელ მანძილზე (საითიძე 1990). სკანდას მიდამოებში ჩატარებული არქეოლოგიური დაზვერვითი სამუშაოებისას ზედაპირზე მოპოვებულია ელინისტური და უფრო ადრეული კერამიკა, მაგრამ ამ ხანის ნაგებობანი ჯერ გამოვლენილი არაა.

ელინისტური ხანის სასიმაგრო ნაგებობათა ნაშთები არქეოლოგიურად ფიქსირებულია იბერია-კოლხეთის სასაზღვრო ზოლში სოფ. საზანოშიც (თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით ზესტაფონის რაიონი). აქ გამოვლენილია თლილი ქვით ნაგები კედლები და კოშკები, რომელნიც ქმნიდნენ სწორკუთხა მოყვანილობის ციხესიმაგრეს (Джапаридзе 1987: 66-68).

საინტერესოა, რომ XVIII ს-ის ქართველი გეოგრაფოსი ვახუშტი ბაგრატიონი, რომელიც ჩვენთვის საინტერესო ადგილებსაც დაწვრილებით აღწერს, მუდამ ხაზს უსვამს, რომ, ესაა „კლდოვანი და მაღალ ხრამოვანი". ამასთან თითქმის ყველა მდინარის აღწერისას აღნიშნავს მრავალ ციხეს („მწყერის ციხე", „ხარაგეულის ციხე", „ჩხერის ციხე", „ვახანის ციხე", „კაცხის ციხე", სუერის ციხე", „ნავარძეულის ციხე" და სხვ.). ვახუშტი ბაგრატიონი ამ ციხეებს ასეთი ეპითეტებით იხსენიებს: „მაგარი და მტრისგან აუღებელი" (ჩხერის ციხე), „ციხე კარგი" (ვახანი), „კლდეს-ზედა, მაგარი" (კაცხი), „მრავალგზის შემუსვრილი" (მწყერის ციხე) და ა.შ. (ვახუშტი: 757-759). აქ დასახელებულ „ციხესთან" თითქმის ყველგანაა დადასტურებული ანტიკური და წინარეანტიკური ხანის არქეოლოგიური ნაშთები (ცქიტიშვილი 1964: 75).

6. Τὸ τῆς Λευκοθέας ἱερόν (ლევკოთეას სამლოცველო)

XI, 2, 17: Ὑπέρκειται δὲ τῶν λεχθέντων ποταμῶν ἐν τῇ Μοσχικῇ τὸ τῆς Λευκοθέας ἱερόν, Φρίξου ἵδρυμα, καὶ μαντεῖον ἐκείνου, ὅπου κριὸς οὐ θύεται, πλούσιόν ποτε ὑπάρξαν, συληθὲν δὲ ὑπὸ Φαρνάκου καθ' ἡμᾶς, καὶ μικρὸν ὕστερον ὑπὸ Μιθριδάτου τοῦ Περγαμηνοῦ.

„მოხსენიებულ მდინარეებს (ფასისი, გლავკოსი, ჰიპოსი – ო. ლ.) ზემოთ მოსხების ქვეყანაში მდებარეობს ლევკოთეას სამლოცველო, ფრიქსეს მიერ აგებული და მისი სამისნო, სადაც ვერძს არ სწირავენ მსხვერპლად. ოდესღაც ის (სამლოცველო – ო. ლ.) მდიდარი იყო, ხოლო ჩვენს დროს იგი ფარნაკემ გაძარცვა და ცოტა მოგვიანებით მითრიდატე პერგამონელმა".

სტრაბონის ეს ცნობა აღიარებულია ძველ საქართველოში მსხვილი სატაძრო თემების არსებობის მოწმობად (ჯანაშია 1952: 153 და შმდ.; Болтунова 1956: 41; Меликишвили 1959: 406-413), მსგავსად მცირე აზიის სატაძრო თემებისა და ქალაქებისა. მართლაც, ტერმინი τὸ ἱερόν, რომლითაც იხსენიებს ლევკოთეას სამლოცველო, სტრაბონის „გეოგრაფიაში" ფართოდაა გამოყენებული მცირე აზიის სატაძრო თემების აღსანიშნავად: XII, 2, 3; XII, 2, 5-6; XII, 3, 32-37; XIV, 2, 23 და სხვ.[1] (Ramsay 1962: 84 და შმდ.; 122 და შმდ.; Периханян 1959: 8 და შმდ.). მცირე აზიის სატაძრო ქალაქების შესწავლამ, როგორც ცნობილია, ცხადყო მათი სოციალურ-ეკონომიკური წყობისა და პოლიტიკური სტრუქტურების არაჩვეულებრივი მრავალფეროვნება: გვხვდება როგორც მარტივი სტრუქტურის სა-

1 სტრაბონმა აქ ჩამოთვლილი ქალაქების უმრავლესობა თვითონ იხილა (Pédech 1971: 234 და შმდ).

ტაძრო სოფლები, ასევე საკმაოდ განვითარებული პოლისური ტიპის სატაძრო ქალაქ-სახელმწიფოები, ხოლო ზოგჯერ – სატაძრო ქალაქების გაერთიანებანი და მსხვილი თეოკრატიული სახელმწიფოებიც კი (Периханян 1959; Welwei 1979; Boffo 1985). მიუხედავად ელინისტური ხანის მცირე აზიის სატაძრო თემების პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმათა არაჩვეულებრივი მრავალფეროვნებისა (სატაძრო სოფლებიდან დაწყებული და თეოკრატიული სახელმწიფოებით დამთავრებული), მათ მაინც ჰქონდათ ერთი საერთო ნიშანი: ყველა ისინი განვითარდნენ უძველესი სასოფლო თემებიდან, რომელნიც ადგილობრივი ტაძრისა და სამლოცველოს ირგვლივ ერთიანდებოდნენ (Периханян 1959: 173), რაც აგრე თვალსაჩინოდაა ასახული საქართველოს მთიანეთის უაღრესად საინტერესო ეთნოგრაფიულ ყოფაში შემონახული სატაძრო თემების გადმონაშთების სახით (Бардавелидзе 1949; ბარდაველიძე 1952; 1952a).

სამწუხაროდ, სტრაბონის ცნობები ლევკოთეას სამლოცველოს სტრუქტურის შესახებ უაღრესად მწირია და მაინც მითითება მისი სიმდიდრის და განსაკუთრებით იქ არსებული სამისნოს შესახებ, რა თქმა უნდა, საყურადღებოა: ცნობილია, რომ მცირე აზიის სატაძრო ქალაქებში მისნის ქადაგება იურისდიქციის თავისებურ ფორმას წარმოადგენდა.[1]

საკითხი ლევკოთეას სამლოცველოს ლოკალიზაციის შესახებ უაღრესად რთულია და პრობლემატური, რამდენადაც „გეოგრაფიის“ ცნობით, ლევკოთეას სამლოცველო „მოსხების ქვეყანაშია“ (ἐν τῇ Μοσχικῇ), ფიქრობენ, რომ იგი ისტორიული მესხეთის, ე.ი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეა საგულვებელი (ხაზარაძე 1984: 66).[2] მაგრამ სტრაბონის მიერ ლევკოთეას სამლოცველოს ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით მოხსენიებული გეოგრაფიული ნომენკლატურა თითქოს სხვა ჰიპოთეზის წამოყენების საფუძველსაც იძლევა.[3] პირველ რიგში, ყურადღებას იქცევს (წინამორბედ მკვლევართა მიერ

1 სატაძრო ქალაქის ორგანიზაციულ ცენტრს მისი მთავარი ტაძარ-სამლოცველო წარმოადგენდა. ყველა მნიშვნელოვან საკითხს წყვეტდა უხუცესთა საბჭო, რომელსაც მთავარი ქურუმი წარმართავდა. საბჭოს გადაწყვეტილება განიხილებოდა როგორც ღვთაების უზენაესი ნებასურვილი და იგი ხალხს მისნის ქადაგობის სახით ეუწყებოდა (Периханян 1959: 173). იგივე წესი დადასტურებულია საქართველოს მთიანეთში (ხევსურეთში): მისანი იქ ბერის (ე.ი. ქურუმის) შემდეგ მეორე პირად ითვლებოდა. მისი ქადაგობის სახით ცხადდებოდა ბჭე-ხევისბერთა გადაწყვეტილება (ბარდაველიძე 1952a: 627).

2 მკვლევართა უმრავლესობა არ აზუსტებს ლევკოთეას სამლოცველოს ადგილმდებარეობას. ამასთან ზოგიერთი მათგანი მას იბერიაში ვარაუდობს (Болтунова 1956: 41; Меликишвили 1959: 407), სხვები – კოლხეთში (ჯანაშია 1952: 154). ნ. ბერძენიშვილი აწყურის ქრისტიანულ ტაძარს უფრო ძველი – ლევკოთეას ტაძრის ადგილზე აგებულად ვარაუდობდა (ბერძენიშვილი 1964: 261). გ. ლორთქიფანიძე მას თვლის ხულო-ადიგენის მახლობლად (Лордкипанидзе Г. 1978: 22). ა. იოსელიანის აზრით, ლევკოთეას სამლოცველო დღევანდელი აჭარის მიწა-წყალზე, მდ. კინტრიშის ხეობაში, სოფ. ხუცუბანში მდებარეობდა – „იქ, სადაც შემდეგ „თეთრი წმინდა გიორგის“ ტაძარი (ე.წ. თეთროსანი) იყო აღმართული (იოსელიანი 1973: 242 და შმდ.). მაგრამ გაუგებარი რჩება სრულიად დაუსაბუთებელი ტრანსფორმაცია ლევკოთეას (თეთრი ქალღმერთი) „თეთრ წმინდა გიორგად“.

3 ჯერ კიდევ 1843 წ. გერმანელმა ბოტანიკოსმა კ. კოხმა გამოთქვა ვარაუდი, რომ ლევკოთეას სამლოცველოს შესაძლოა შეესატყვისებოდა მდ. ენგურის ნაპირას მდებარე ძველი ციხე-ქალაქი Nakolachewi (Koch 1843: 172-177), სადაც ამჟამად მიმდინარეობს ბიზანტიური ეპოქის ციხე-ქალაქის

რატომღაც სრულიად იგნორირებული) მითითება, რომ სტრაბონი ლევკოთეას სამლოცველოს ადგილმდებარეობის მისანიშნებლად ასახელებს მდინარეებს ფასისს (Φᾶσις), გლავკოსს (Γλαῦκος) და ჰიპოსს (Ἵππος) და განმარტავს, რომ ლევკოთეას სამლოცველო მდებარეობდა „დასახელებული მდინარეების ზემოთ“ („...ὑπέρκειται δὲ τῶν λεχθέντων ποταμῶν...“). მდინარე ფასისი კი, როგორც უკვე ვნახეთ (იხ. ამ წიგნში: IV თავი, ბ 1), ჩვეულებრივ, გაიგივებულია დღევანდელ მდინარე რიონთან. ამასთან ბერძენ-რომაელი მწერლები ფასისს უწოდებდნენ არა მთლიანად რიონს (რომელიც სათავეს კავკასიონის მთებში იღებს), არამედ მხოლოდ მისი დინების ქვედა და შუაწელს (დაახლოებით დღევანდელ სოფ. გეგუთამდე), ხოლო შემდეგ – დღევანდელ მდინარე ყვირილას.

მდინარე ფასისი, როგორც უკვე ვნახეთ, „გეოგრაფიაში“ თერთმეტჯერ იხსენიება (I, 2, 38-39; I, 3, 7; II, 1, 39; VI ,4, 2; VII, 3, 6; XII, 2, 3; XI, 2, 16-17; XI, 3, 4; XI, 14, 7); აქედან ერთ შემთხვევაში (XI, 14, 7) ის მოიხსენიება მდინარე ლიკოსთან (დღევანდელი კელკიტ-ჩაი თურქეთში) ერთად და იმ სხვა მდინარეებთან კონტექსტში, რომელნიც „არმენიაში არიან“ (მტკვარი და არაქსი, ევფრატი და ტიგროსი – Κῦρος καὶ Ἀράξης, Εὐφράτης καὶ ὁ Τίγρις), რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ შემთხვევაში ფასისის სახელით აქ იგულისხმება სხვა მდინარე, შესაძლოა ჭოროხი (ყაუხჩიშვილი 1957: 297); ხოლო XI, 2, 17-ში თქმულით – „ფასისს... სათავე არმენიადან აქვს“ (... ἐξ Ἀρμενίας τὰς ἀρχὰς ἔχων) – შეიძლებოდა მიგვეჩნია, რომ ამ შემთხვევაშიც სტრაბონი ფასისის სახელით იხსენიებს მდინარე ჭოროხს (მსგავსად ზოგიერთი ბერძენი ავტორისა, რომელნიც ფასისის სახელით ერთნაირად მოიხსენიებდნენ მდინარეებს რიონსა და არაქსს).[1] მაშინ მართლაც მართივად გადაწყდებოდა ლევკოთეას სამლოცველოს ისტორიული მესხეთის, ე.ი. დღევანდელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე ლოკალიზაცია. მაგრამ XI, 2, 17-ის მთელი კონტექსტი სრულიად უეჭვოდ ნათელყოფს, რომ იქ მოხსენიებული მდინარე ფასისი სწორედ დღევანდელი მდინარე რიონია და არა რომელიმე სხვა მდინარე.[2]

გათხრები (ნოქალაქევი-არქეოპოლისი). ასევე ჯ. ნადირაძემ ერთ-ერთ საგაზეთო წერილში (გაზ. „კომუნისტი“, 23.III.1967) გამოთქვა ვარაუდი ლევკოთეას სამლოცველოს მდ. ყვირილის (დღევანდელი რიონის შენაკადის) ხეობაში ლოკალიზაციისა და მისი საირხეს ნაქალაქართან გაიგივების შესაძლებლობის შესახებ, მაგრამ შემდგომ (მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა ჩემი ჰიპოთეზა ლევკოთეას სამლოცველოს ლოკალიზაციის შესახებ – Лордкипанидзе О. 1972) მას საირხეს ნაქალაქარისადმი მიძღვნილ სპეციალურ ნაშრომებში ეს მოსაზრება აღარ გაუმეორებია (ნადირაძე 1975: 80-145; ნადირაძე 1990: 138-153).

1 იხ. მაგ. ჰეროდოტე I, 2 და 104; II, 103; IV, 37 და 86 – აქ ფასისი აშკარად მდინარე რიონია, მაგრამ VI, 84-ში (Φᾶσιν ποταμὸν ἐς τὴν Μηδικὴν ἐσβάλλει) შესაძლოა იგულისხმებოდეს მდინარე არაქსი (ყაუხჩიშვილი თ. 1960: 146). უფრო გარკვევით ფასისის სახელით მდინარე არაქსს (უფრო სწორად მის ზემო წელს) იხსენიებს ქსენოფონტე („ანაბასისი“, IV, VI, 74 – შდრ. ჯანაშია 1952: 271; ბერძნიშვილი 1969: 70; Максимова 1951: 296; მიქელაძე 1967: 153), მაგრამ იმავე დროს ფასისის სახელით სრულიად აშკარად „ანაბასისის“ V, VI, 36 და V, VII, 1, 5, 7 და 9-ში დასახელებულია დღევანდელი მდინარე რიონი.

2 აქ აღარ ვიმეორებ მსჯელობას იმის შესახებ, რომ ბერძენ-რომაელ ავტორებს, როგორც ჩანს (და ეს ზემოთაც აღვნიშნე – იხ. ამ წიგნში IV თავი ბ 1), არ ჰქონდათ სულ ნათელი წარმოდგენა მდინარე ფასისის სათავეების შესახებ.

XI, 2, 17: Καὶ ἡ λοιπὴ δὲ Κολχὶς ἐπὶ τῇ θαλάττῃ ἡ πλείων ἐστί· διαρρεῖ δ᾽ αὐτὴν ὁ Φᾶσις, μέγας ποταμὸς ἐξ Ἀρμενίας τὰς ἀρχὰς ἔχων, δεχόμενος τόν τε Γλαῦκον καὶ τὸν Ἵππον, ἐκ τῶν πλησίον ὀρῶν ἐκπίπτοντας· ἀναπλεῖται δὲ μέχρι Σαραπανῶν, ἐρύματος ... ἐπίκειται δὲ τῷ Φάσιδι ὁμώνυμος πόλις, ἐμπόριον τῶν Κόλχων.

„ხოლო დანარჩენი კოლხიდა მეტწილად ზღვასთან მდებარეობს: მიმდინარეობს მასზე ფასისი, დიდი მდინარე, რომელსაც სათავე არმენიიდან აქვს, რომელიც ღებულობს გლავკოსსა და ჰიპოსს, მახლობელი მთებიდან გამომდინარეთ... [ფასისზე] აღმა ცურვა შეიძლება შორაპანამდე... ფასისზე მდებარეობს მისი მოსახელე ქალაქი, კოლხთა სავაჭრო ადგილი...“

ამრიგად, მდინარე ფასისზე იხსენიებიან ქალაქი ფასისი, რომელიც დღევანდელი მდინარე რიონის შავ ზღვაში შესართავთან მდებარეობდა, და ქალაქი სარაპანა (Σαραπανά), რომელიც მდინარე რიონის შენაკად ყვირილაზე მდებარე დღევანდელ შორაპანთანაა იდენტიფიცირებული (დაწვრ. ამავე წიგნში, ამავე თავში, ფასისი და სარაპანა). ასე რომ, XI, 2, 17-ში სრულიად აშკარად „კოლხეთზე მიმდინარე დიდი მდინარე ფასისის“ ქვეშ იგულისხმება მდინარე რიონი. ამასთან სტრაბონი ფასისის შენაკადებად ასახელებს მდინარე ჰიპოსს (Ἵππος) და გლავკოსს (Γλαῦκος), რომელთა იდენტიფიკაციაც, საერთოდ, ბერძნულ-რომაული წყაროების მიხედვით, როგორც ზემოთაც აღვნიშნე (იხ. ამ წიგნში, თავი IV ბ 1, გლავკოსი და ჰიპოსი) გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული (რამდენადაც ზოგჯერ სხვადასხვა ავტორებთან ერთი და იმავე სახელწოდებით სხვადასხვა მდინარეები იხსენიებიან).

ჩვენთვის საინტერესო მდინარეები „გეოგრაფიაში“ იხსენიებიან აგრეთვე იბერიის აღწერისას (XI, 3, 4): „ქვეყანაში (ე.ი. იბერიაში – ო. ლ.) ოთხი შესასვლელია: კოლხურ ციხესიმაგრე შორაპანზე და მასთან არსებულ ვიწროებზე, რომლებზედაც ფასისი მიმდინარეობს, სწრაფი და ხმაურა მიემართება კოლხეთში. ფასისზე 120 ხიდით გადაისვლება მისი მიხვეულ-მოხვეულობის გამო. წარმოიქმნება [ფასისი] ზემოთ მდებარე მთებში მრავალი წყაროსაგან, ხოლო დაბლობში ღებულობს სხვა მდინარეებს, რომელთა შორის არის გლავკოსი და ჰიპოსი. გავსილი და სანაოსნოდ გამოსადეგი ჩადის პონტოში. ფასისზე არის იმავე სახელის ქალაქი (ე.ი. ფასისი – ო. ლ.) და მახლობლად – ტბა“. ამ შემთხვევაშიც სავსებით აშკარაა, რომ ამ ცნობაში იგულისხმება მდინარე რიონი და მისი შენაკადები ჰიპოსი – ცხენისწყალი, გლავკოსი – შესაძლოა მდ. სულორი (იხ. ზემოთ). რამდენადაც ლევკოთეას სამლოცველო სტრაბონის ცნობით „დასახელებულ მდინარეთა (ე.ი. ფასისის, ჰიპოსის, გლავკოსის) ზემოთ მდებარეობს“,[1] თითქოს

1 ὑπέρκειται δέ τῶν λεχθέντων ποταμῶν სტრაბონის „გეოგრაფიაში“ სულ სხვადასხვაგვარი მნიშვნელობით გვხვდება (როგორც ჩანს, როგორ წარმოიდგენდა ამა თუ იმ გეოგრაფიულ მხარეს ავტორი თუ მისი წყარო, მეტწილად „გეოგრაფიაში“ „სამხრეთის“ მნიშვნელობით გვხვდება (შდრ. I, 3, 21; XI, 2, 15(?); XII, 3, 18), ზოგჯერ ის აღნიშნავს ჩრდილოეთს ან ჩრდილო-დასავლეთს (XI, 2, 1; XI, 2, 14; XI, 2, 15; XII, 3, 17). გამოთქმაში – ὑπέρκειται δέ τῶν λεχθέντων ποταμῶν – განსაკუთრებით საინტერესოა სიტყვა

გვიჩნდება საფუძველი ვივარაუდოთ, რომ დასახელებული სამლოცველო მდინარე რიონის ხეობაში მდებარეობდა და ასეთად მივიჩნიოთ ვანის ნაქალაქარი, რომელიც მდინარე რიონისა და სულორის შესართავთან ახლოს მდებარეობს. მაგრამ ამ ვარაუდს ეწინააღმდეგება თითქოს სტრაბონის მითითება (ორგზის აღნიშნული), რომ სამლოცველო „მოსხების ქვეყანაში“ (ἐν τῇ Μοσχικῇ) მდებარეობდა. სტრაბონის წინამორბედთა (ჰეკატე მილეტელის – ფრ. 188, განსაკუთრებით კი ჰეროდოტეს – III, 4) ცნობებით, „მოსხების ქვეყანა“ დღევანდელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა და მის სამხრეთით მდებარე ტერიტორიას მოიცავდა (Меликишвили 1959: 105 და შმდ.; ხაზარაძე 1984: 5 და შმდ.). ამიტომ ვიდრე ლევკოთეას სამლოცველოს რიონის ხეობაში ლოკალიზაციისა და მისი ვანის ნაქალაქართან იდენტიფიკაციის სავარაუდებელ შესაძლებლობას ვაღიარებდეთ, აუცილებელია გაირკვეს, თუ რა საფუძველზეა იგი სტრაბონის „გეოგრაფიაში“ „მოსხების ქვეყანაში“ დასახელებული (შდრ. XI, 2, 17-18).

სტრაბონის „გეოგრაფიაში“ მესხთა განსახლების („მოსხთა ქვეყნის“) საზღვრები სულ ნათელი არაა (შდრ. XI, 2, 14 და 17-18). მართალია, ერთ ცნობაში (რომელიც „მითრიდატეს ომების აღმწერთაგან“ მომდინარეობს) მოსხები კოლხების უშუალო მეზობლები და, ამასთან, ზღვისპირზეც მობინადრენი ჩანან („გეოგრაფია“, XI, 2, 14), მაგრამ მაინც მხოლოდ ამ ცნობით არ გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ სტრაბონის წარმოდგენით მოსხთა განსახლების ჩრდილოეთის საზღვარი ძვ.წ. I ს. აღწევდა მდ. რიონამდე (შდრ. ხაზარაძე 1984: 8 და შმდ.). საქმეს ვერ შველის ამ თვალსაზრისით ვერც ამავე ავტორის მიერ არაერთგზის მოხსენიებული „მოსხური მთების“ ლოკალიზაციაც, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი).

ბერძენ-რომაელ ავტორთა ცნობების საფუძველზე აღიარებულია, რომ ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე (ისევე როგორც უფრო გვიან) მოსხები ანუ მესხები დამკვიდრებული არიან დღევანდელი სამხრეთ-დასავლეთ სა-

---

ὑπέρκειται. ეს სიტყვა ხშირად იხმარება გეოგრაფიაში, თუმცა მეტწილად სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს (ალბათ, შესაბამისი მნიშვნელობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს გეოგრაფიული ლანდშაფტის ავტორისეული სუბიექტური აღქმა, ისევე როგორც, იმ წყაროს ინფორმაცია, რომელსაც იგი უნდა დაყრდნობოდა). კოლხეთის თუ იბერიის აღწერისას, ისევე როგორც ამ ქვეყნებთან დაკავშირებული გეოგრაფიული სახელების ჩამოთვლისას ὑπέρ ზოგჯერ „სამხრეთს“ აღნიშნავს (I, 3, 21; XII, 3, 18 – მოსხიკეს მთები). ასევე შეიძლება „ჩრდილოეთსაც“ აღნიშნავდეს, ან „ჩრდილო-დასავლეთს“ (XI, 2,1; XI, 2, 14; XI, 2, 15; XII, 3, 17). ნ. ხაზარაძე იმ აზრისაა, რომ ეს ჩვენთვის საინტერესო კონტექსტში (XI, 2, 17) „შემაღლებაზე მდებარეს“, „რაღაცაზე მდებარეს“, ან „რაღაცის ზემოთ მდებარეს“ უნდა ნიშნავდეს (ხაზარაძე 1984: 65-66). ჩემი აზრით, კი, გეოგრაფიის მთლიანი ტექსტი ამგვარი ვარაუდის საფუძველს არ გვაძლევს. მაშინ როგორ უნდა იქნას გაგებული ტექსტის შემდეგი ნაწილი (VI, 4, 2): οἱ ὑπερκείμενοι τῆς Κολχίδος Ἀλβανοί τε καὶ Ἴβηρες? აქ ხომ იბერიასა და ალბანეთზეა ლაპარაკი, რომლებიც კოლხეთის აღმოსავლეთით მდებარეობდნენ. გაუგებარია აგრეთვე მომდევნო წინადადება (XII, 3, 18): Τῆς δὲ Τραπεζοῦντος ὑπέρκεινται καὶ τῆς Φαρνακίας Τιβαρανοί τε καὶ Χαλδαῖοι καὶ Σάννοι. აქ იგულისხმება ხალხები, რომლებიც დასახელებული ქალაქების გარშემო ცხოვრობდნენ. ამიტომ, მე ვვარაუდობ, რომ XI, 2, 17-ში ნახსენები მდინარეები უფრო ლევკოთეას ტაძრის შესაძლებელი ადგილ-მდებარეობის საორიენტაციოდ გამოდგება. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ახსნა არ უნდა იქნას აღიარებული ერთადერთ ჭეშმარიტებად.

ქართველოს მიწა-წყალზე და კიდევ უფრო სამხრეთით (Меликишвили 1959: 104; ხაზარაძე 1984: 36-71). სტრაბონის ცნობით, „მოსხების ქვეყანა, რომელშიც არის სამლოცველო (ლევკოთეას ტაძარი – ო. ლ.), სამადაა გაყოფილი: ერთი მისი ნაწილი აქვთ კოლხებს, მეორე იბერებს, მესამე არმენიელებს“ (XI, 2, 18). ეს ცნობა ძვ.წ. II-I სს. პოლიტიკურ ვითარებას ასახავს. ძვ.წ. II-I სს. კოლხეთის შემადგენლობაში მოქცეული „მოსხების ქვეყნის ნაწილი“, ალბათ, მოიცავდა დღევანდელი ღადო-ახალციხის ქედის სამხრეთ კალთებს მაინც. ეს ტერიტორია უშუალოდ ეკვრის ვანის „ქვეყანას“ და მისგან ზემოაღნიშნული ქედითაა გაყოფილი. ამიტომაც შესაძლოა სტრაბონს თუ მის ინფორმატორს ასეთი უშუალო სიახლოვის გამო ვანის სანახებიც „მოსხების ქვეყნად“ მიეჩნია (საინტერესოა, რომ ამჟამად ვანის რაიონი ეკონომიკურად – ტყით, საძოვრებით – მჭიდროდაა ახალციხეადიგენის ოლქებთან დაკავშირებული). ამის გარდა, გამორიცხული არაა მესხთა ცალკეული ჯგუფების მიერ რიონის დაბლობის გარკვეული ოლქების კოლონიზაცია, რომელიც მეგრულ-ჭანურ, ე.ი. კოლხურ ტომებს ეკავათ.

სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე აღიარებულია მესხური ტომების შემოჭრის ფაქტი აღმოსავლეთ საქართველოში ჯერ კიდევ ადრეელინისტურ ხანაში და მათი როლი ქართლის (იბერიის) სამეფოს შექმნის საქმეში. საკმარისია აღინიშნოს, რომ ამ სამეფოს დედაქალაქის სახელწოდებაც – მცხეთა – მესხების ეთნიკურ სახელთანაა დაკავშირებული, ისევე როგორც იბერიის წარმართულ პანთეონში ხეთურ-მესხური ღვთაებების (არმაზი, ზადენი) დამკვიდრება (Меликишвили 1959: 111; შდრ. გიორგაძე 1985). ამ დროს მოსხური//მესხური ტომების მოძრაობის არეალში ექცევა აგრეთვე დასავლეთ საქართველოს გაკვეული რაიონებიც. შესაძლოა სწორედ ამის ანარეკლი იყოს სტრაბონთან (XI, 2,1 4) და ზოგიერთ სხვა ავტორთან შემონახული ცნობა, რომლის თანახმად მოსხები (კერკეტებთან ერთად) კოლხების უშუალო მეზობლებად და ზღვისპირის მცხოვრებლებადაც კი არიან წარმოდგენილი.

ასევე რიონის დაბლობში ცალკეული მესხური ეთნიკური ჯგუფების ელინისტურ ხანაში კოლონიზაციის შედეგი უნდა იყოს ზოგიერთი ტოპონიმის გავრცელებაც. ასე, მაგ., ლეონტი მროველის ცნობით („ქართლის ცხოვრება“: 24), ქართლის (იბერიის) პირველმა მეფემ ფარნავაზმა (ძვ.წ. III საუკუნის 80-70-იანი წლები) „აღაშენნა ორნი ციხენი, შორაპანი და დიმნა“. ეს უკანასკნელი დღევანდელი ბაღდადის მახლობლად, სოფ. დიმთანაა (და, მაშასადამე, ვანის „ქვეყნის“ მოსაზღვრედ) აღმოჩენილი (ცქიტიშვილი 1964: 85 და შმდ.). გ. მელიქიშვილის აზრით, ეს სახელი მცირეაზიული წარმოშობისაა და მისი დამკვიდრება აქ მესხური ტომების შემოჭრას უკავშირდება (მელიქიშვილი 1965: 87-93). იმავე რიგის ტოპონიმადაა მიჩნეული ლაზიკის „ტელეფისი“, რომელიც სოფ. ტოლებთანაა (გურიაში) ლოკალიზებული (ყაუხჩიშვილი ს. 1963: 301-320). ასე რომ, უკვე ელინისტური ხანიდან უნდა ვივარაუდოთ პონტოს ქედის სამხრეთ კალთაზე (ისტორიული „მოსხთა ქვეყანა“) დამკვიდრებული მესხური ტომების თანდათა-

ნობით შემოჭრა დღევანდელ დასავლეთ საქართველოში, რისი საბოლოო შედეგი თვალსაჩინოდაა ასახული VI ს. ბიზანტიელი მწერლის პროკოპი კესარიელის ცნობებში (BG, VIII, 2; BP, II, 28; III, 14), რომელშიც მესხები წარმოდგენილი არიან ქართლ-იმერეთის ქედისა და მესხური მთების დასავლეთი კალთების, ანუ დღევანდელი ზემო იმერეთისა და გურიის მცხოვრებლებად (Меликишвили 1959: 67-69; მელიქიშვილი 1965: 87-93; შდრ. ბერაძე 1977: 36-37). და ბოლოს შეიძლებოდა აღგვენიშნა აგრეთვე ზოგიერთი არქეოლოგიური ფაქტი: ძვ.წ. IV-III სს. ძველი კოლხეთის აღმოსავლეთ ოლქებში დაკრძალვის ახალი წესის – ქვევრ-სამარხების გავრცელება, რომელიც ჰიპოთეტურად აგრეთვე ამ ტერიტორიაზე მესხური ტომების კოლონიზაციით აიხსნება (ლორთქიფანიძე ოთ. 1972: 40-41).

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით, ვფიქრობთ, სულ მოულოდნელი აღარ უნდა იყოს სტრაბონის მიერ რიონის დაბლობის გარკვეული ნაწილის „მოსხთა ქვეყნად“ გამოცხადება და, შესაბამისად, ლევკოთეას სახელით მოხსენიებული სატაძრო ქალაქის მდ. რიონის ხეობაში ლოკალიზაციაც, რამდენადაც მისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მანიშნებლად დასახელებულია მდ. ფასისი (რიონი) და მისი შენაკადები: ჰიპოსი – ცხენისწყალი და გლავკოსი – მდ. რიონის ზემო წელი (?). თუ სწორია ეს ვარაუდი, მაშინ, ვიმეორებთ, შეიძლებოდა სტრაბონის მიერ აღწერილ ამ მდიდარ სატაძრო ქალაქად მიგვეჩნია ვანის ნაქალაქარი, რომელიც მდებარეობს მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე (მისი დღევანდელი კალაპოტიდან 1,5-2 კმ-ის დაცილებით) მდ. სულორის ხეობაში და რომელიც სადღეისოდ გამოვლენილი ძეგლებით სწორედ სატაძრო ქალაქის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ძველი ქალაქი განლაგებული იყო ბუნებრივ გორაკზე, რომელიც დაახლოებით 8,5 ჰექტარ ფართობს მოიცავს და სამ ტერასადაა დანაწილებული. გორაკს ორი მხრიდან (აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან) ღრმა ხევები ზღუდავდა, რაც ძველი ქალაქის ბუნებრივ გამაგრებასაც წარმოადგენდა. გორაკს მთელს იმ არემარეზე გაბატონებული მდგომარეობა უკავია: აქედან კარგად მოჩანს მთელი რიონის დაბლობი და მცირე კავკასიონის გადასასვლელებთან მისადგომებიც. აქვე ახლოს გადიოდა დიდი საერთაშორისო სავაჭრო-სატრანსპორტო მაგისტრალი, რომელიც შორეული ინდოეთიდან მოემართებოდა კასპიის ზღვამდე, ხოლო შემდეგ ამიერკავკასიის ქვეყნებზე გავლით (მდ. მტკვარი – სურამის უღელტეხილი – მდ. ყვირილა-რიონი) აღწევდა შავ ზღვამდე დღევანდელ ფოთთან (ძველი ქალაქი ფასისი) და შემდეგ უკავშირდებოდა შავიზღვისპირეთისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის დიდ სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებს (უფრო დაწვრილებით ამ გზის შესახებ იხ. ამავე წიგნში, IV თავი გ 1).

ვანზე გადიოდა სხვა მნიშვნელოვანი გზებიც, რომელიც სამხრეთ საქართველოდან (ისტორიული მესხეთი) ან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან (გურია) მოემართებოდა (ბერაძე 1977: 37-40). ამავე დროს თვითონ ბორცვი მოფარებული და „შეუმჩნეველია“ მთავარი გზიდან, რაც კიდევ უფრო აძლიერებდა მის ისე-

დაც ხელსაყრელ სტრატეგიულ პოზიციას. ამასთან ერთად, მას ეკვრის ვრცელი და უაღრესად ნაყოფიერი ველი, რაც მის ეკონომიკურ განვითარებასაც უზრუნველყოფდა.

არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად[1] დადასტურებულია უწყვეტი ცხოვრება ძვ.წ. I ათასწლეულის მთელ სიგრძეზე. სადღეისოდ ძველი ქალაქის ისტორიაში ოთხი ძირითადი ფაზა გამოიყოფა: პირველი თარიღდება ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით, როცა უკვე თვალსაჩინო ხდება მისი დაწინაურება, როგორც მნიშვნელოვანი საკულტო ცენტრისა (Tolordava 1990). ძვ.წ. VII ს-ის დასასრულიდან ძვ.წ. IV ს-ის შუა ხანებამდე ვანი არის კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეულის (სტრაბონის ტერმინოლოგიით – სკეპტუხიის: შდრ. XI, 2, 17) პოლიტიკურ-რელიგიური ცენტრი (დაწვრ. ლორთქიფანიძე ოთ. 1977: 14-18; შდრ. ამავე წიგნში, VI თავი, 1). ძვ.წ. IV-III სს-ში ვანსა და მის შემოგარენში მიმდინარეობს მნიშვნელოვანი ეთნო-კულტურული ხასიათის ცვლილებები (Лордкипанидзе О. 1985). ამასთან ის კვლავ ასრულებს მნიშვნელოვანი ცენტრის (შესაძლოა, უკვე დამოუკიდებელი ერთეულის) ფუნქციას.[2] ძვ.წ. III ს-ის შუა ხანებიდან იწყება ახალი ეტაპი ძველი ქალაქის ისტორიაში. ბორცვი იზღუდება მძლავრი თავდაცვითი კედლებით, ხოლო შიდა სივრცეში ძირითადად საკულტო დანიშნულების ნაგებობანი შენდება: ტაძრები, საკურთხევლები, სამსხვერპლოები. ამასთან ნიშანდობლივია, რომ მათი მშენებლობისას ამა თუ იმ ადგილის ადრინდელ ფუნქციას „ივიწყებენ“. მთელ რიგ ადგილებში არქეოლოგიური გათხრებისას დადასტურებულია ძველი სამარხების განადგურებაც კი (ვანი IV: 143). ერთი სიტყვით, სავსებით თვალნათლივ ჩანს ფუნქციონალურად ახალი ეტაპის დასაწყისი, რაც ასახულია აგრეთვე სივრცის თვისობრივად ახლებურ არქიტექტურულ გადაწყვეტაში. წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ ელინისტური ხანისათვის ქალაქის განვითარებაში სტრატიგრაფიულად სამი დონე გამოიყოფა. ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევარში შენდება ქალაქის კარიბჭე და თავდაცვითი კედლები, საზეიმო საფეხურებიანი საკურთხეველი ბორცვის წვერზე, კლდოვან დედაქანში ამოკვეთილი სარიტუალო ნიშები, სამსხვერპლოები და რიგი სხვა საკულტო ნაგებობებისა, რომელნიც ძვ.წ. II ს-ის მეორე მეოთხედშია დანგრეული. ამის შემდეგ ძვ.წ. II ს-ის შუა ხანებიდან მიმდინარეობს ხელახალი მშენებლობა: ახლდება კარიბჭე, ბორცვის ფერდობებზე იგება თავდაცვითი კედლები, შენდება ახალი ტაძრები და საკურთხევლები. ამრიგად, ძვ.წ. II ს-ის მეორე ნახევარ-

1 დაწვრ. ვანის არქეოლოგიური შესწავლის ისტორია იხ. ხოშტარია 1972; Лордкипанидзе О. 1985. გათხრების შედეგების პუბლიკაცია – „ვანი I-VIII“.

2 ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ძვ.წ. IV-III სს-ის კულტურულ ფენებში უკვე მრავლად აღმოჩენილი ადგილობრივი კრამიტები, რომლებზედაც არის დამღა „ΒΑΣΙΛΙΚΗ“ ე.ი. სამეფო (Akhvlediani 1990). ხომ არ მიუთითებს ეს ფაქტი აღნიშნული რეგიონის ამ დროს დამოუკიდებლობაზე, რომლის მმართველებიც უკვე თავს მეფეებად აცხადებდნენ? შესაძლოა მათი წარმომადგენელია მდიდრულად დაკრძალული „მეომარი“, რომლის სახელი „დედატოს“ (ΔΕΔΑΤΟΣ) აღბეჭდილია მის უფლებრივ ოქროს საბეჭდავზე („ვანი I“: 202-240; იხ. აგრეთვე ლორთქიფანიძე მ. 1976: 134-147).

ში უკვე ჩამოყალიბებულია ქალაქ-სამლოცველოს ძირითადი არქიტექტურული სტრუქტურა, რომლის მხოლოდ ნაწილია ჯერჯერობით გამოვლენილი.

ბორცვის ჩრდილოეთ ნაწილში გამართულია ქალაქის კარიბჭე, მაგრამ ფეხით მოსიარულეთათვის (ე.წ. „ცოტა კარი“), და მძლავრი თავდაცვითი სისტემა. საგანგებოდაა აღსანიშნავი, რომ კედლის გარეთ კარიბჭესთან აღმართული ყოფილა ქალაქის თუ კარიბჭის მფარველი ღვთაების[1] ქანდაკება, რომლის პიედესტალია მხოლოდ გადარჩენილი, ხოლო კედელზე ბერძნული ასოებით ამოკაწრულია წარწერა Αρ[άομαι] ὦ ἄνασ[σ]α[2] – გევედრები მეუფეო ქალღმერთო (ყაუხჩიშვილი 1967ა; ყაუხჩიშვილი 1976ა: 238). საგულისხმოა, რომ თავდაცვითი სისტემის ისეთი არსებითი ნაწილი, როგორიც „შიდა ეზოა“, სამლოცველოდაა გამოყენებული: აღმართულია საკურთხეველი, რომელთანაც აღმოჩნდა შეწირულობა (23 თიხის ჭურჭელი, რომელთაგან ამფორებში იყო ფეტვი). „შიდა ეზოს“ სამხრეთით გამართულია ცხოველთა სისხლის შესაწირი სამსხვერპლო – ქვის ვარცლი (დაწვრ. Lordkipanidze O. 1986). ქვედა ტერასაზე აღმართული იყო დიდი სატაძრო კომპლექსი, რომელსაც დაახლოებით 800 მ² ფართობი უკავია და სადაც დასტურდება ცეცხლის კულტი (დაწვრ. Лордкипанидзе О. 1985: 65-69). მთელი წყება საკულტო ნაგებობებისა განლაგებული იყო ცენტრალურ ტერასაზე, მათ შორის: ა) დიდი სატაძრო კომპლექსი, რომლის შემადგენლობაში იყო ე.წ. მოზაიკურიატაკიანი სათავსო საკურთხევლით (სადაც აღმოჩნდა შეწირული საღვინე ქვევრი და 40-მდე ამფორა, დიონისესა და მის თანამგზავრთა – არიადნეს, პანის, მენადების, სატირის – გამოსახულებებით მორთული ბრინჯაოს ჭურჭელი), სვეტებიანი საზეიმო ღია საკურთხეველი, სარიტუალო არხები და ორმოები (ვანი I: 176-179, VIII: 34-51); ბ) „მრგვალი ტაძარი“ (ვანი I: 189 და შმდ.); გ) „საღვთო ბეღელი“, სადაც ამფორებში მარცვლეული (ხორბალი, ფეტვი) ინახებოდა (ვანი II: 26-27); დ) თორმეტსაფეხურიანი საკურთხეველი და მისი „საგანძური“ შეწირულობათათვის (ვერტიკალური საქსოვი დაზგისათვის განკუთვნილი თიხის პირამიდული საწაფები, თიხის ჭურჭელი – ამფორები, დოქები, თასები, თიმიატერიონები – სარიტუალო ცეცხლისათვის განკუთვნილი თასები, რკინის იარაღი – სატევრები და შუბისპირები, ბრინჯაოს მრავალფეროვანი საგნები – უმბონები, სარკე, ხატისულლები, ვერცხლის მედალიონი ქალღვთაების გამოსახულებით და ქანდაკებები, ოქროს ორნამენტირებული ფირფიტები და სხვ. (ვანი VIII: 64 და შმდ.); ბორცვის წვერზე – ქალაქის ყველაზე მაღალ ადგილას კი იდგა მონუმენტური საფეხურებიანი საკურთხეველი (ვანი IV: 143-146).

ამრიგად, ქალაქის ყველა ნაწილში საკულტო ნაგებობებია დადასტურებული. ქალაქის გარეგნული ბრწყინვალების თვალსაჩინო მოწმობაა არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი წვიმის წყლის სადინრად განკუთვნილი ლომის

1 კარიბჭის მფარველ ღვთაებათა შესახებ ელინისტურ ქალაქებში იხ. Carratelli 1965; Meyer 1961.

2 ἄνασα – ერთი სიგმით.

თავები, მარმარილოს, ქვიშაქვისა და კირქვისაგან გამოკვეთილი მრავალრიცხოვანი არქიტექტურული დეტალები (მოჩუქურთმებული კაპიტელები, ანტეფიქსები, ფრიზისა და კარნიზის ფრაგმენტები – ლეჟავა 1978: 13-15). ქალაქში მდგარა ბრინჯაოს ქანდაკებანი და სკულპტურული კომპოზიციები, რაზედაც მიუთითებს უკვე მრავლად აღმოჩენილი ფრაგმენტები ადამიანის სხეულის ნაწილებისა. საგანგებოდაა აღსანიშნავი ბრინჯაოს ტორსი ჭაბუკისა, რომელიც ე.წ. მკაცრ სტილზე ორიენტირებული ელინიზმის ეპოქის კლასიცისტური ხელოვნების ერთ-ერთ შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს (Лордкипанидзе О. 1989). არქეოლოგიური მასალები (მათ შორის სახელოსნოს ნაშთებიც) მოწმობენ, რომ ბრინჯაოს ქანდაკებების ჩამოსხმა თვით ვანში ხდებოდა.

მთლიანად მთელი ქალაქის საკრალური ხასიათის თვალსაჩინო მოწმობაა აგრეთვე არქეოლოგიური გათხრებისას დადასტურებული მსხვერპლშეწირვის ნაშთები, მცირე ფორმის მრავალფეროვანი საკურთხევლები, სარიტუალო საგნები და ა.შ. საგანგებოდაა აღსანიშნავი ძვ.წ. III ს-ის ბერძნულენოვანი წარწერის ფრაგმენტი, რომელიც წარმოადგენს საკრალურ დოკუმენტს – სატაძრო კანონმდებლობას (Каухчишвили Т. 1988).

ამრიგად, ვანის ნაქალაქარზე ძვ.წ. III-I საუკუნეებისათვის ძირითადად საკულტო დანიშნულების ნაგებობებია (ტაძრები, საკურთხევლები, სამსხვერპლოები) დადასტურებული. სრულებით არ ჩანს ამ დროისათვის საცხოვრებელი ნაგებობა და „საერო“ ქალაქისათვის დამახასიათებელი კულტურული ფენები[1], რაც მაძლევს საფუძველს აქ ელინისტურ ხანაში სატაძრო ქალაქი ვივარაუდო (დაწვრ. Лордкипанидзе О. 1972). ჩემი აზრით, აგრე ელინიზირებული იერსახის სატაძრო ქალაქის წარმოქმნა შეიძლება დაუკავშირდეს ძველი კოლხეთის აღმოსავლეთ რაიონებში სწორედ აღმოსავლურ-ქართული ტომების – მესხების კოლონიზაციას მცირე აზიიდან (რის შესახებ წერილობითი წყაროების საფუძველზე ზემოთ გვქონდა საუბარი). აღსანიშნავია, რომ სატაძრო ქალაქები, ძლიერ ელინიზირებულ ქურუმთა ზედაფენით, დამახასიათებელია სწორედ კაპადოკიისა და ფრიგიისათვის (Периханян 1959: 5 და შმდ.; Boffo 1985: 85 და შმდ.), რომელთა სიახლოვეს ივარაუდება სწორედ მესხთა თავდაპირველი განსახლება (შდრ. Меликишвили 1959: 105-114; ხაზარაძე 1985: 5-35; 72-126)[2]. თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ ახსნა ეძებნება სტრაბონის მიერ ორგზის ნათქვამს, რომ ლევკოთეას სამლოცველო მესხების//მოსხების ქვეყანაშია (ἐν τῇ Μοσχικῇ – XI, 2, 17-18).

1 თანადროული „საერო“ დასახლება (სავაჭრო-სახელოსნო უბნითურთ) მდებარეობდა დაბლობში, მდინარე სულორისა და რიონის შესართავთან ახლოს, ნაქალაქარისაგან დაახლოებით 1,5 კმ-ის დაცილებით (ლიჩელი 1991).

2 ელინისტური კულტურა, რომელიც, ვანში ძალიან მკაფიოდ არის გამოვლენილი, არ დასტურდება კოლხეთის სხვა ნაწილებში, არც სანაპირო ზოლში, რომელშიც ფასისი და დიოსკურია მდებარეობდა. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ელინისტური ტიპის სატაძრო ქალაქის ჩამოყალიბება ვანში, ეთნოკულტურული მოძრაობით უნდა აიხსნას, მათ შორის მოსხური ტომების ინფილტრაციით, რომელიც, სავარაუდოდ, ძვ. წ. IV-III სს-ში დაიწყო (ლორთქიფანიძე ო. 1985).

სტრაბონის გადმოცემით, ლევკოთეას სამლოცველო „ოდესღაც მდიდარი იყო, ხოლო ჩვენს დროს იგი ფარნაკემ გაძარცვა და ცოტა მოგვიანებით, მითრიდატე პერგამონელმა“ (XI, 2, 17).

ძვ.წ. II-I საუკუნეების ვანის სატაძრო ქალაქი რომ მართლაც ძალზე მდიდარი ყოფილა, ამას თვალსაჩინოდ მოწმობს არქეოლოგიური გათხრებისას დადასტურებული დიდებული არქიტექტურული მორთულობა, ქვისა და ბრინჯაოს ქანდაკებანი, მრავალფეროვანი შეწირულობანი. აქ დაგროვილი სიმდიდრის დასაცავად იყო, როგორც ჩანს, აგებული მრავალრიცხოვანი კოშკებითა და კოშკურებით გამაგრებული მძლავრი თავდაცვითი კედლები და ორმაგი რკინის კარით დაცული კარიბჭე. ეს გასაგებიცაა. სატაძრო ქალაქები უამრავი შემოწირულებისა და ფართო სასაქონლო მეურნეობის წყალობით უმდიდრეს ორგანიზაციას წარმოადგენდნენ და ცნობილია, რომ დაცვის კარგად ორგანიზებული სისტემა ჰქონდათ და საკუთარი ძლიერი არმიაც ჰყავდათ (Периханян 1959: 77-81). სწორედ ეს სიმდიდრე გახდა, უნდა ვიფიქროთ, მიზეზი ვანის ძველი ქალაქის დალაშქვრისა და წინააღმდეგობის შედეგად მისი უმოწყალოდ დანგრევისა, რაც აგრე ნათლად ჩანს არქეოლოგიური გათხრების პროცესში: ძლიერი ხანძრისაგან გაწითლებული ალიზის და ქვის კედლები, ზოგჯერ საძირკვლიანად დანგრეული ნაგებობანი, დანახშირებული ხის ძელები და კოჭები, გადამწვარი და თითქმის წიდად ქცეული კრამიტები, თიხის ჭურჭელი და სხვა ნივთები.

ლევკოთეას „მდიდარი“ სატაძრო ქალაქი, სტრაბონის ცნობით, „ჯერ ფარნაკემ და ცოტა მოგვიანებით, მითრიდატე პერგამონელმა გაძარცვეს“ (XI, 2, 17). აქ დასახელებული ფარნაკე, პონტოს მეფის მითრიდატე ევპატორის ვაჟი, ძვ.წ. 63-47 წწ. განაგებდა ბოსფორის სამეფოს. მის მიერ კოლხეთის დალაშქვრის შესახებ ცნობა მოეპოვება დიონ კასიუსსაც (XVII, 45, 4). ეს ლაშქრობა, როგორც ფიქრობენ, ძვ.წ. 50 წლის შემდეგ უნდა მომხდარიყო, ხოლო ძვ.წ. 47 წელს ფარნაკე იღუპება აჯანყებული მოხელის ასანდრეს წინააღმდეგ ბრძოლაში. ასანდრეს დასჯას და ბოსფორის შემომტკიცებას რომაელები ავალებენ პერგამონის მეფეს მითრიდატე VII-ს (ანუ როგორც მას უწოდებენ – მითრიდატე პერგამონელს), რომელმაც ძვ.წ. 47 წელს გაილაშქრა ბოსფორზე და იქვე დაიღუპა. სწორედ ამ დროს, ბოსფორში მისვლამდე გაძარცვა მან, როგორც ფიქრობენ, საომარი ოპერაციებისათვის აუცილებელი მდიდარი ნადავლის ხელში ჩაგდების მიზნით (Gaidukevič 1971: 324) და, ალბათ, დაანგრია კიდეც ლევკოთეას სამლოცველო.

ძვ.წ. I საუკუნის შუა ხანებში, ხანმოკლე დროის მანძილზე, ქალაქის ორჯერ დანგრევის კვალიც საკმაოდ ნათლად ჩანს ვანის ნაქალაქარზე. პირველი შემოსევა განხორციელდა უთუოდ გაზაფხულის ერთ-ერთ დღეს, როდესაც კარიბჭესთან, მის გარეთ რელიგიური დღესასწაული იყო გამართული. ამას მოწმობს ერთი საინტერესო აღმოჩენა (ვანი I: 158 და შმდ.; ვანი II: 201-202): კედლის გარეთ, გადმონგრეული ალიზის კედლებქვეშ აღმოჩნდა საკურთხევლის ნაშთები, დანახშირებული ხის ძელი, ხოლო იქვე – ძალზე დამსხვრეული თიხისაგან გამო-

ძერწილი და მერმე გამომწვარი ნიღაბი, რომელიც სუროს ფოთლებითა და ვაზის ნაყოფით დამშვენებულ დიონისეს თავს გამოსახავს; იქვე იქნა ნაპოვნი თიხის ასამდე მინიატურული სფეროსებურმუცლიანი ქოთანი. ცნობილია, რომ გაზაფხულზე იმართებოდა დიონისეს პატივსაცემად დღესასწაული: ანთესტერიები (საგაზაფხულო დიონისიები), როდესაც დიონისეს მისტერიებს უკავშირებდნენ სულთა მოხსენიების დღეს. ამ დღეს დიონისეს წირავდნენ ყვავილებსა და ქოთნებს (შდრ. Deubner 1932: 93 ff.).

პირველი შემოსევის დროს დაინგრა ქალაქის კარიბჭე და სამივე ტერასის ყველა ძირითადი ნაგებობა. ყველგან თვალნათლივ ჩანს ძლიერი ხანძრისა და ნგრევის კვალი: საძირკვლამდე მოთხრილ-მონგრეული კედლები, ხანძრისაგან გაწითლებული ქვები, გადამწვარ-გადამდნარი კრამიტი და ალიზი, დანახშირებული ხის ძელები. ყველაფერი ეს ძალიან მოგვაგონებს სწორედ ფარნაკეს „ხელწერას“, რომელიც ცნობილია მის მიერ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში განადგურებული ქალაქების მაგალითზე (Цветаева 1965: 234-236).

პირველი შემოსევის შემდეგ ცხოვრება მხოლოდ ცენტრალურ ტერასაზე განახლებულა. ქალაქის ცხოვრების სულ უკანასკნელი ეტაპი აქ წარმოდგენილია ქვისა და ალიზის თავდაცვითი კედლებით. ცენტრალური ტერასის აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობზე კარგად ჩანს, რომ გალავნის კედლები სასწრაფოდ, ყოველგვარი წინასწარი მომზადებისა და სათანადო საძირკვლის გარეშეა დაშენებული თიხნარ ფენაზე. ხოლო ეს ფენა, რომელიც შეიცავს სხვადასხვა არქიტექტურულ დეტალებს, თავის მხრივ, რამდენადმე უფრო ადრე, აგრეთვე ძლიერი ნგრევისგანაა წარმოქმნილი. ამ ფენაშიც ძვ.წ. I ს. პირველი ნახევრის კერამიკული ფრაგმენტები და მონეტები გვხვდება. ასე რომ, საკმაოდ ხანმოკლე დროის მანძილზე ძვ.წ. I ს. შუა ხანებში ქალაქი ორჯერაა დანგრეული. ეს არქეოლოგიური მონაცემიც ეთანხმება სტრაბონის ზემოთ მოტანილ ცნობას ლევკოთეას სატაძრო ქალაქის ორჯერ გაძარცვის შესახებ (ჯერ ფარნაკეს, ხოლო შემდეგ მითრიდატე პერგამონელის მიერ).

დაბოლოს, უნდა შევეხოთ კიდევ ერთ საინტერესო, მაგრამ იმავე დროს მეტად რთულ საკითხს: რატომ იწოდება ზემოთაღწერილი სატაძრო ქალაქი ბერძნული ღვთაების ლევკოთეას სახელით? თითქოს არ უნდა იყოს საეჭვო, რომ ლევკოთეას სახელით აქ იგულისხმება ადგილობრივი ღვთაება, რომელიც თავისი ატრიბუტებით ემსგავსებოდა ბერძნულ ლევკოთეას – თეთრ ღვთაებას, ზღვის მკვიდრს, ბერძნული მითოლოგიის ერთ-ერთ ძალზე საინტერესო პერსონაჟს. რომ ბერძნებისათვის უცხო ხალხის რელიგიური კულტების აღწერისას ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო, მოვიტანთ ჰეროდოტეს ცნობას სკვითების ღვთაებათა შესახებ: „ისინი (სკვითები –ო. ლ.) თაყვანს სცემენ შემდეგ ღვთაებებს: ყველაზე მეტად ჰესტიას, შემდეგ ზევსსა და გეას... შემდეგ აპოლონს, აფროდიტე-ურანიას, არესს და ჰერაკლეს... ჰესტიას სკვითურად ეწოდება ტაბიტი, ზევსს – პაპაიოსი, გეას – აპი, აპოლონს – გოიტოსიროსი და ა.შ.“ (IV, 59). სკვითური რელი-

გიის მკვლევარები ამტკიცებენ, რომ ჰეროდოტე სკვითთა ღმერთებს ბერძნული რელიგიის პერსონაჟთა სახელებით რაიმე ფორმალური ნიშნებით (ან მით უფრო, სახელთა თანხვდომის გამო) კი არ მოიხსენიებდა, არამედ ემყარებოდა სკვითებისა და ბერძნების ღვთაებათა სიახლოვეს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს ამ ღვთაებათა იდენტურობას (Артамонов 1961: 57 და შმდ.). ასე რომ, ლევკოთეას სახელით უნდა ვივარაუდოთ რომელიმე ადგილობრივი ღვთაება.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე ერთი საინტერესო გარემოება. სტრაბონის გადმოცემით, „ლევკოთეას სამლოცველო ფრიქსეს აგებულია“,[1] იქვეა „მისი (ე.ი. ფრიქსეს – ო. ლ.) სამისნო, სადაც ვერძს არ წირავენ მსხვერპლად“ (XI, 2, 17).[2] ბერძნული მითოლოგიური პოზიციიდან ეს რამდენადმე გაუგებარია. ცნობილია, რომ ფრიქსე და მისი და ჰელე ოქროსსაწმისიანი ვერძით კოლხეთში სწორედ მათი დედინაცვლის ინო-ლევკოთეას რისხვას გაექცნენ. ამიტომ გაუგებარია, რატომ აუგო ფრიქსემ სამლოცველო თავის საძულველ არსებას (შდრ. ხაზარაძე 1984: 58 და შმდ).

ლევკოთეა ბერძნული მითოლოგიის ძალზე საინტერესო და, იმავე დროს, შეიძლება ითქვას, მეტად რთული პერსონაჟია. ამ სახელს ბერძნულ სამყაროში ზოგადად უწოდებდნენ ნათელ, თეთრ (ან თეთრად მოციმციმე თუ მოელვარე) ქალღმერთებს და ამ ეპითეტით ჩვეულებრივ იხსენიებენ ინოს, ნერეიდებს და ზღვის ღვთაებებს. მაგრამ ფართოდ გავრცელებული მითოლოგიური ვერსიის თანახმად, ლევკოთეას უწოდებდნენ ბეოტიის მეფის ასულს ინოს. იგი (ინო-ლევკოთეა) ზღვის ქალღმერთია: ზღვაოსანთა მფარველი და გადამრჩენი. მაგრამ ინო-ლევკოთეას რელიგიური ბუნების შესწავლის საფუძველზე ამტკიცებენ, რომ თავისი წარმოშობით ინო-ლევკოთეა ნაყოფიერებისა და მოსავლიანობის ღვთაებაა. ამის მოწმობადაა მიჩნეული ინო-ლევკოთეას პატივსაცემად შესრულებული მსხვერპლშეწირვისა და სხვა რიტუალის ხასიათი, აგრეთვე ზოგიერთი გადმოცემა, რომელიც პარალელს დემეტრეს კულტთან პოულობს. ინო-ლევკოთეა ბერძნულ მითოლოგიაში გვევლინება, აგრეთვე, როგორც დიონისეს – მცენარეულობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ღვთაების მხსნელი და აღმზრდელი. ლევკოთეას რელიგიური ბუნების შესასწავლად მნიშვნელოვანია აგრეთვე თქმულება ტელქინებზე, კუნძულ როდოსის პირველ ქურუმებზე. მათ ასწავლეს როდოსის მცხოვრებლებს ლითონის მოპოვება და მისი დამუშავება, გამოიგონეს წისქვილი და მრავალი სხვა. ტელქინებს ჰყავდათ ერთი და – ჰალია, პოსეიდონის სატრფო, რომელიც აპოლონის რისხვით შეშინებული ზღვაში გა-

1 კოლხეთში „ფრიქსეს ორაკულის“ (oraculum Phrixum), რომელსაც „არც ვინმე სწირავს ვერძს“ (nec quisquam ariete sacrificaverit), იხსენიებს ტაციტუსიც (Annales, VI, 34 – შდრ. გამყრელიძე ალ. 1973: 132, შენ. 260).

2 არ ვიცი შემთხვევითია თუ არა, მაგრამ ვანის ნაქალაქარის მდიდარ ოსტეოლოგიურ მასალაში წინარეელინისტური ხანისათვის ცხვრის ძვლები მრავლადაა დადასტურებული, მაგრამ ძვ.წ. II-I სს-ის კომპლექსებსა და კულტურულ ფენებში თითქმის სრულიად აღარ გვხვდება.

დავარდა და იქცა ლევკოთეად (ჰალია ლევკოთეა). ეს უძველესი მითოლოგიური ვერსიაც გვიჩვენებს ლევკოთეას რელიგიური ბუნების მრავალფეროვნებას. ასე, მაგ., ლევკოთეას კულტი ზოგიერთ ადგილებში მედიცინის მფარველი ღმერთის ასკლეპიოსის გვერდით მოიხსენიებოდა და მშობიარობის მფარველ ქალღმერთთან იყო გაიგივებული. ამასვე უნდა დავუმატოთ, რომ ლევკოთეას კულტი სხვადასხვა სახით ფართოდ იყო გავრცელებული ბერძნულ სამყაროში და საერთოდ მთელს ხმელთაშუაზღვისპირეთში (ეგვიპტეში, მაგ., იყო ლევკოთეას ქალაქიც („Urbs Leucothea"). ასეთ ვითარებაში, როდესაც თითქმის შეუსწავლელია ანტიკური ხანის კოლხეთის რელიგია და საამისო წყაროებიც არაა ჯერ სათანადოდ გამოვლენილიც კი, ძალზე ძნელია დადგენა, თუ რომელი ადგილობრივი ღვთაება გააიგივეს ბერძნებმა ლევკოთეასთან.[1]

ლევკოთეა, როგორც ვნახეთ, ნაყოფიერების და, საერთოდ, მიწისმოქმედების, კერძოდ, მეღვინეობა-მევენახეობის (როგორც დიონისეს აღმზრდელი) მფარველი ღვთაებაა (ინო-ლევკოთეა). ამავე დროს ზოგჯერ იგი გვევლინება როგორღაც მჭედელ-მელითონეთა მფარველ ღვთაებასთან კავშირშიც (ჰალია-ლევკოთეა). ზოგჯერ იგი ავადმყოფთა და, კერძოდ, მშობიარე ქალთა მფარველი ქალღმერთია (ეილეითია-ლევკოთეა), მაგრამ ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმ ფაქტს, რომ ლევკოთეა თავისი გარეგნული სახით მაინც წყლის ღვთაებაა. ყოველ შემთხვევაში, ბერძენთა რელიგიური წარმოდგენებით იგი წყლის მცხოვრებია (ბერძნული სახვითი ხელოვნების ძეგლებზე ლევკოთეა გამოსახულია ზღვის ცხოველებით გარშემორტყმული ან ზღვის ვერძზე ამხედრებული, თმაგაშლილი ქალის სახით) და მისი რელიგიურ-მითოლოგიური სახეც წყალთანაა დაკავშირებული (Preller 1921: 601; RE XII, 2994; Eitzem 1925; Krauskopf 1981). ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ლევკოთეას სახელით სტრაბონი იხსენიებდა კოლხეთის ადგილობრივი პანთეონის ერთ-ერთ უზენაეს ღვთაებას, რამდენადაც მის სახელზეა აგებული კოლხეთის ყველაზე უფრო მდიდარი და ცნობილი სამლოცველო. ეს ღვთაება, როგორც ჩანს, ისევე როგორც ბერძნული ლევკოთეა, იყო ნაყოფიერების ღვთაება, მაგრამ გააზრებული იყო როგორც წყლის ქალღმერთი.

ვანში აღმოჩენილი ქალაქი რომ სწორედ ქალღმერთის სახელზეა აგებული, დასტურდება არქეოლოგიური მასალით: ნაქალაქარის კარიბჭესთან, ქვიშაქვის სწორკუთხა პოსტამენტზე აღმართულია 67 სმ სიმაღლის სწორკუთხა სვეტი, რომელზედაც დგას თითქმის კვადრატული მარმარილოს კვარცხლბეკი. მის ზედა ნაწილში ამოკვეთილია სწორკუთხა ფოსო, რომლის ნაპირები ტყვიითაა შევსებული, შიგნით კი შემორჩენილია ტყვიითვე ჩამაგრებული წვრილმარცვლოვანი

1 უნდა შევნიშნოთ, რომ ამგვარი იდენტიფიკაციის საფუძვლის განსაზღვრისას დიდი სიფრთხილეა საჭირო, ვინაიდან ძველადვე სხვადასხვა ხალხთა ღვთაებების გაიგივება მხოლოდ ზოგიერთი ფორმალური ნიშნით ხდებოდა. ასე, მაგ., იგივე ლევკოთეასთან აიგივებენ ძველ იტალიკურ ღვთაებას „Mater Matuta"-ს (დილის თუ გათენების ქალღმერთს), ალბათ, იმიტომ, რომ ყოველწლიურად (11 ივნისს) მის პატივსაცემად გამართული დღესასწაულებისას (ე.წ. მატრალიები) დედებს საკუთარი ბავშვის ნაცვლად ხელში აყავდათ დისწულები: ინო-ლევკოთეა ხომ დისწულის – დიონისეს – აღმზრდელად ითვლებოდა.

მარმარილოს ფრაგმენტები, როგორც ჩანს, ქალაქის (თუ კარიბჭის) მფარველი ღვთაების ქანდაკების ნაშთები. იქვე კედლზე ბერძნული ასოებით ამოკაწრულია „გევედრები მეუფეო (ქალღმერთო)“ (Αρ[άομαι] ὦ ἄνασ[σ]α) (ყაუხჩიშვილი 1967ა). ეს ქალღვთაება რომ ნაყოფიერების ფუნქციის მატარებელი იყო, შესაძლოა ამის მოწმობა იყოს კარიბჭესთან გამართულ ტაძარში საკურთხეველთან აღმოჩენილი შეწირულობის ხასიათი: ნაპოვნია ამფორები, რომელთაგან ორი ფეტვის მარცვლებით იყო სავსე. ფეტვი კი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით დიდ როლს ასრულებდა ქართველი ტომების, მეგრელებისა და სვანების (ე.ი. კოლხთა შთამომავლების), საკულტო რიტუალებში, რომელნიც ნაყოფიერების ღვთაებასთან იყო დაკავშირებული (მაკალათია 1941: 35; Бардавелидзе 1957: 121-124; ბარდაველიძე 1959: 28).

მაგრამ ეს მონაცემები, რა თქმა უნდა, სრულებითაც არაა საკმარისი ვანის მთავარი ქალღვთაების ლევკოთეად გააზრებისათვის, რამდენადაც ეს უკანასკნელი ძირითადად მაინც წყლის ღვთაებაა. ნაყოფიერების ფუნქციის მატარებელი წყლის ღვთაებათა არსებობა ძველ კოლხეთში არაერთი მონაცემებით დასტურდება და ამ გარემოებას (წყლის კულტის ფართოდ გავრცელებას) გეოგრაფიული გარემოს სპეციფიურობით ხსნიან (კოლხეთის დაბლობის წყალუხვიანობით – მიქელაძე 1955: 34 და შმდ.). წყლის ღვთაებათა კულტის გადმონაშთები დასავლეთ საქართველოში უკანასკნელ ხანებამდეა შემორჩენილი, თუმცა ძლიერ სახეცვლილი (ქრისტიანული რელიგიის გავლენაა ამის მიზეზი). აღსანიშნავია, მაგალითად, სამეგრელოში შემორჩენილი დღესასწაული „მესეფობა“ (მაკალათია 1941: 331-337). ხალხის წარმოდგენით „მესეფი იყო წყლის დედა, რომელიც ამ დროს ზღვიდან ამოდიოდა...“ ამის გარდა, გავრცელებული იყო რწმენა წყლის დედაზე („წყაროში დედა“), რომელიც „თეთრი ქალიშვილის“ სახით იყო წარმოდგენილი (მაკალათია 1941: 337) და „ისეთი თეთრია, რომ ანათებს“ (კუტალეიშვილი 1987: 259). გავიხსენოთ, რომ ლევკოთეა სიტყვა-სიტყვით თეთრ ქალღმერთს ნიშნავს.

სტრაბონის „გეოგრაფიაში“ მოხსენიებული ლევკოთეას სამლოცველოს ვანის ნაქალაქართან გაიგივება მხოლოდ ჰიპოთეზაა. ის ვერ წყვეტს აგრეთვე ამ ნაქალაქარის ძველი სახელწოდების საკითხს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ აქ აღმოჩენილი ბერძნული წარწერის ფრაგმენტში საუბარია რაღაცის აღმართვაზე (დადგმაზე) სურისში: „ἡ ἐν Σούρει καθημέ[νη]“. აქ Σούρει მიცემითი ბრუნვაა გეოგრაფიული სახელისა, რომელიც სახელობითში იქნება Σοῦρις-ს (Каухчишвили 1988: 254-255), რაც ეხმაურება კლავდიოს პტოლემაიოსის „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“ (V, 9, 6) მოხსენიებულ Σούριον-ს და პლინიუსის (NH, VI, 13) Surium-ს. ამრიგად, კიდევ უფრო მეტი დამაჯერებლობა ეძლევა ადრე გამოთქმულ მოსაზრებას დასახელებული პუნქტების ვანის ნაქალაქართან

იდენტიფიკაციის შესაძლებლობის შესახებ (შდრ. ხოშტარია 1957: 223; Хоштариа 1962: 66).[1]

ბ) იბერიის ქალაქები

1. სტრაბონის ტერმინოლოგია

„გეოგრაფიის“ XI, 2, 19 (და მთლიანად კოლხეთის აღწერა) მთავრდება შემდეგი სიტყვებით: იბერთა ტომებს (აგრეთვე ალბანელებს)... „აქვთ მდიდარი ქვეყანა და განსაკუთრებით ვარგისი კარგად დასასახლებლად („...εὐδαίμονα δὲ χώραν ἔχει καὶ σφόδρα καλῶς οἰκεῖσθαι δυναμένην“).

ამის შემდეგ სტრაბონი გადადის იბერიის აღწერაზე:

XI, 3, 1: Καὶ δὴ καὶ ἡ γε Ἰβηρία κατοικεῖται καλῶς τὸ πλέον πόλεσί τε καὶ ἐποικίοις, ὥστε καὶ κεραμωτὰς εἶναι στέγας καὶ ἀρχιτεκτονικὴν τὴν τῶν οἰκήσεων κατασκευὴν καὶ ἀγορὰς καὶ τἆλλα κοινά.

„... და მართლაც (შდრ. ზემოთ ციტირებული XI, 2, 19 – ო. ლ.) იბერია კარგადაა დასახლებული მეტწილად როგორც ქალაქებად, ისე დაბებად; ისე რომ აქ გვხვდება კრამიტის სახურავები და ხუროთმოძღვრების წესით აგებული სახლები, ბაზრები და სხვა საზოგადოებრივი შენობები“.

ეს ცნობა უნდა მომდინარეობდეს პომპეუსის აღმოსავლეთში ლაშქრობის თანმხლების თეოფანე მიტილენელისაგან (Neumann 1881, Neumann 1884; Болтунова 1947: 151-152) და, მაშასადამე, ასახავს ძვ.წ. I ს-ის 60-იანი წლების ვითარებას (და შესაბამისად უფრო ადრინდელსაც). ყურადღებას იქცევს სტრაბონის ცნობის შემდეგი ადგილი: იბერია კარგადაა დასახლებული მეტწილად როგორც ქა-

1 მიუხედავად ახალი, დამაჯერებელი არგუმენტისა, ეს აზრი ჰიპოთეზად რჩება, რადგან იგი ჯერ რეალურად არ დასტურდება. წარწერის მე-16 სტრიქონი სხვა ადგილის სახელსაც უნდა შეიცავდეს (ი. ვინოგრადოვის ვარაუდი). აგრეთვე პლინიუსის ცნობა, რომ კოლხური ქალაქებიდან მხოლოდ სურიუმიღა არსებობს (VI,13: nunc habet Surium tantum), არ არის ერთმნიშვნელოვანი. როგორც ზემოთ აღინიშნა, ქალაქი ვანი ძვ. წ. I ს-ის შუა ხანებში დაინგრა. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, კლაუდიოს პტოლემაიოსის და პლინიუსის მიერ მოხსენიებული ქალაქები სურიონ/სურიუმ დღევანდელი სვირის ტერიტორიაზე უნდა იქნას ლოკალიზებული (Еремян 1939:92; ლომოური 1957:109 და შმდ.). რაც შეესება სახელწოდება „ვანს“, ძველ ქართულში ის ნიშნავს „სახლს“, „პატარა დასახლებას“, „სავანეს“ და იგი დასტურდება უკვე VI-VIII სს-ის ქართულ ლიტერატურაში (ჯავახიშვილი 1946: 7-9). ჩვენთვის საინტერესო რეგიონში ეს სახელწოდება არც ანტიკურ (ბერძნულ-რომაულ), არც შუა საუკუნეების ქართულ წყაროებში არ გვხვდება. XVIII საუკუნის ქართველი გეოგრაფოსის და ისტორიკოსის ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ამ რეგიონს ადრე საჩინო ეწოდებოდა (ვახუშტი ბაგრატიონი:747). სახელი ვანი, როგორც ადგილის სახელწოდება მხოლოდ XVIII ს-ის სამოცდაათიან წლებში ჩნდება წერილობით წყაროებში. სხვებთან ერთად იგი იხსენიება გერმანელი მოგზაურების მიერ (Gueldenstaedt 1964:305) და აგრეთვე 1776 წლით დათარიღებული „ვანის სახარების“ „დამატებაში“ (თაყაიშვილი 1907:15; ბერაძე 1977:23, შენ. 27). სავარაუდოდ, მაშინ არა ის ადგილი იგულისხმებოდა, სადაც დღეს ნაქალაქარი მდებარეობს, არამედ მისგან სამხრეთ-აღმოსავლეთით 7-8 კმ-ით დაშორებული სოფელი. დღეს მას ეწოდება „ზედა ვანი“ და ცნობილია ვანის მთავარანგელოზის სახელზე აგებული ფრესკებიანი ეკლესიის გამო.

ლაქებად, ისე დაბებად. გამოთქმა „მეტწილად (τὸ πλέον) გვაფიქრებინებს, რომ სტრაბონს (თუ მის წყაროს) სურდა ხაზი გაესვა, რომ იბერია „მეტწილად" დასახლებულია სწორედ πόλεις-ად და ἐποίκια-დ. ძნელია გადაჭრით რაიმე ითქვას ტერმინ ἐποικίον-ის მნიშვნელობის შესახებ სტრაბონის „გეოგრაფიის" ჩვენთვის საინტერესო ნაწილში (XI, 3, 1). უნდა ვიფიქროთ, რომ სტრაბონმა იგი იხმარა „სოფლის", „დაბის" მნიშვნელობით.[1] მასთან ერთად სტრაბონი გვაუწყებს, რომ „იბერია მეტწილად πόλις-ებადაა დასახლებული. სტრაბონი „გეოგრაფია"-ში ქალაქთა სხვადასხვა სახეობის აღსანიშნავად განსხვავებულ ტერმინებს ხმარობს. მაგალითად, XI, 2, 18 –ში ის წერს: „იბერიაში არის ერთი პატარა ქალაქი (πολίχνιον)[2] ფრიქსოპოლისი, ეხლანდელი იდეესა, კარგად გამაგრებული ადგილი კოლხიდის საზღვრებზე" (ἔστι δὲ καὶ πολίχνιον ἐν τῇ Ἰβηρίᾳ, Φρίξου πόλις, ἡ νῦν Ἰδήεσσα, εὐερκὲς χωρίον, ἐν μεθορίοις τῆς Κολχίδος). ქალაქის ტიპის დასახლებების აღსანიშნავად სხვადასხვა სიტყვები გვხვდება სტრაბონთან: πόλις, μητρόπολις, πόλισμα, πολίχνιον, πολίχνη, πολείδιον, κωμοπόλις (დაწვრ. Pédech 1971: 239, შენ. 16-17). იბერიის მიმართ, როგორც ვნახეთ, სტრაბონი სარგებლობს ორი ტერმინით: πόλις (ასეთია არმოზიკე – Ἀρμοζική და სევსამორა – Σευσάμορα) და πολίχνιον (ასეთია ფრიქსეს ქალაქი – Φρίξου πόλις). მაგრამ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იბერია „მეტწილად" πόλεις-ადაა დასახლებული. ეს, რა თქმა უნდა, სრულებითაც არ ნიშნავს, რომ იბერიაში ბერძნული პოლისების მსგავსი ქალაქების არსებობა ვამტკიცოთ. სტრაბონის ცნობა უნდა გავიგოთ, როგორც იბერიაში „ნამდვილი" ქალაქების სიმრავლე, რასაც სხვა ბერძნულ-რომაული და აგრეთვე ძველქართული და სომხური წყაროებიც მიუთითებენ.

სტრაბონი „იბერიაში" მოიხსენიებს სამ ქალაქს. ესენია: არმოზიკე (Ἀρμοζική), სისამორა (Σευσάμορα) და ფრიქსოპოლისი (Φρίξου πόλις = Ἰδήεσσα). მაგრამ მის ცნობას მრავალი ქალაქების შესახებ ავსებენ სხვა წყაროები და აგრეთვე არქეოლოგიური მონაცემები. გარდა ზემოდასახელებული ქალაქებისა, ელინისტური ხანის იბერიაში სხვა წყაროები მოიხსენიებენ აგრეთვე სხვა ქალაქებს, რომელთა არსებობა არქეოლოგიურადაა დადასტურებული (იხ. Lordkipanidse O.

---

1 ამ სიტყვას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. ელინისტური ხანის ბერძენ ავტორებთან (ჰერაკლიდე, აპოლონიოს როდოსელი და სხვ.) ἐποικίζω-ს ხმარობდნენ შემდეგი მნიშვნელობით: „დაბა", „ქალაქგარეთ მდებარე სახლი", „ქოხი", „მეზობლის სახლი" (Passow 1970, II: 1141). რომაული ხანის ფაიუმის პაპირუსებში τὸ ἐποίκιον შეესატყვისება ლათინურ praedium-ს: „მამული", „უძრავი ქონება", „მიწის საკუთრება" (Herwarden 1902). შდრ. ἐποικία „ბერძნების მიერ უკვე კოლონიზირებული ადგილის დასახლება ..." (Oehler 1907a: 227); Liddell-Scott 1977–ის მიხედვით: ἐποικία = 1. ἀποικία, 2. ἐποίκιον, მაშინ როცა ეს „outhouse, farmstead" ნიშნავს. რა თქმა უნდა, არ გვაქვს ცნობები იბერიაში ბერძნული დასახლებების შესახებ.

2 πολίχνιον ნიშნავს „მცირე ქალაქს" (ლათ. oppidum), „fort", „small town" (Liddell-Scott 1977: πολίχνιον) საინტერესოა ამ ტერმინის გამოყენება ბოსფორის სამეფოს ქალაქების მიმართ. მაგ., მირმეკიონს სტრაბონი ორგზის იხსენებს: ერთ შემთხვევაში (XI, 2, 6) როგორც „დაბას" – κώμη τὸ Μυρμήκιον, ხოლო სხვაგან (VII, 4 ,5) – როგორც πολίχνιον-ს. ამავე ტერმინით მოიხსენიებს სტრაბონი კაპადოკიის ზოგიერთ დასახლებას (შდრ. XIII, 3, 8 და XII, 3, 10). იხ. აგრეთვე V, 2, 6; IX, 3, 2; XII, 6, 1; XIII, 1, 63; XIV, 5, 1 და სხვ.

1991: 148 და შმდ., 158 და შმდ., სურ. 68, №№ 4-5, 7, 9, 11, 13-14, 18-20). აქ დავძენ მხოლოდ, რომ ძველი ქართული საისტორიო წყაროები ხაზგასმით აღნიშნავენ ელინისტური ხანის იბერიის მეფეთა როლს ქალაქების მშენებლობაში (შდრ. „ქართლის ცხოვრება“: 25, 29), რაც ეხმაურება ელინისტური აღმოსავლეთის სახელმწიფოებში ფიქსირებულ მეფეთა ქალაქთმშენებლობის პრაქტიკას (დაწვრ. ლორთქიფანიძე ოთ. 1968: 50 და შმდ.; Lordkipanidse O. 1991: 158 და შმდ. და იქ დასახ. ლიტ.).

სტრაბონის ცნობაში კიდევ ერთი მომენტია ხაზგასმული: იბერიაში

XI, 3, 1 ὥστε καὶ κεραμωτὰς εἶναι στέγας καὶ ἀρχιτεκτονικὴν τὴν τῶν οἰκήσεων κατασκευὴν καὶ ἀγορὰς καὶ τἆλλα κοινά.

„...გვხვდება კრამიტის სახურავები და ხუროთმოძღვრების წესით აგებული სახლები...“

ეს ცნობაც, რომელიც, როგორც ჩანს, თვითმხილველისაგან (ე.ი. თეოფანე მიტილენელისაგან) მომდინარეობს, საკმაოდ ნათლად დასტურდება არქეოლოგიური მონაცემებით: ყველა ნაქალაქარზე მრავლადაა აღმოჩენილი კრამიტი (ღარისებური – კალიპტერი და ბრტყელი – სოლენი). კრამიტითაა გადახურული მავზოლეუმის ტიპის სამარხი ნაგებობანი. კრამიტითაა შედგენილი რიგითი სამარხებიც (დაწვრ. აფაქიძე 1963: 44-77).

2. სტრაბონის „გეოგრაფია“-ში დასახელებულია იბერიის რამდენიმე ქალაქი და გამაგრებული პუნქტი.

2. ჰარმოზიკე (Ἁρμοζική)

XI, 3, 5: Ἀπὸ δὲ τῆς Ἀρμενίας τὰ ἐπὶ τῷ Κύρῳ στενὰ καὶ τὰ ἐπὶ τῷ Ἀράγῳ. πρὶν γὰρ εἰς ἀλλήλους συμπεσεῖν, ἔχουσιν ἐπικειμένας πόλεις ἐρυμνὰς ἐπὶ πέτραις, διεχούσαις ἀλλήλων ὅσον ἑκκαίδεκα σταδίους, ἐπὶ μὲν τῷ Κύρῳ τὴν Ἁρμοζικήν, ἐπὶ δὲ θατέρῳ Σευσάμορα.

„ხოლო არმენიიდან [შემოსასვლელი] არის მტკვრის ვიწროებზე და არაგოსისაზე. ვიდრე ერთმანეთს შეერთვის [ეს მდინარეები], იმ ადგილას მდებარეობს გამაგრებული ქალაქები კლდეებზე, რომლებიც დაცილებული არიან ერთმანეთს დაახლოებით 16 სტადიონით; მტკვარზე მდებარეობს ჰარმოზიკე, ხოლო მეორეზე (არაგოსზე) – სევსამორა“.

ამრიგად, ჰარმოზიკე (Ἁρμοζική) მდებარეობს დღევანდელი მდინარეების მტკვრისა და არაგვის შესართავთან (მათი იდენტიფიკაციის შესახებ იხ. ზემოთ იბერიის მდინარეების შესახებ), მაგრამ მდინარე მტკვარზე. არმასიკა (Ἁρμάσικα, ვარიანტი: ჰარმაკტიკა – Ἁρμακτικά) იხსენიება აგრეთვე კლავდიოს პტოლემაიოსის „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“ (V, 10, 3), ხოლო პლი-

ნიუსთან გვხვდება სახელწოდება ჰერმასტუსი (Hermastus: Plin., NH, VI, 16). ცნობილია ის ძველი ქართული წყაროებითაც: არმაზი ეწოდება მთას, „სადა შეერთვის არაგვი მტკუარს“, სადაც იყო „დედა-ციხე“ („ქართლის ცხოვრება“: 8) ან „თავადი ციხე“ („ქართლის ცხოვრება“: 19), სადაც ქართლის (იბერიის) პირველმა მეფემ ფარნავაზმა „ამართა კერპი იგი არმაზი და სადაც შემდგომ დაკრძალული იქნა“ („ქართლის ცხოვრება“: 25-26). „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ არტაგ მეფის სამშენებლო საქმიანობის აღწერისას მოგვითხრობს არმაზში „შიდა ციხის“ მშენებლობაზე („მოქცევაჲ ქართლისაჲ“: 705) და საინტერესოა, რომ დიონ კასიუსი პომპეუსის ლაშქრობის აღწერისას იმავე მეფე არტაგის (Ἀρτάκης) სამყოფელს (ე.ი. არმაზს) უწოდებს „აკროპოლისს“ (Ἀκρόπολις: Dio Cass., XXVII, 1), რაც ზუსტად შეესიტყვება ქართულ „შიდა ციხეს“.

სავსებით აშკარაა, რომ სტრაბონისეული ჰარმოზიკე (Ἁρμοζική) თუ არმოდიკე (Ἁρμοδική),[1] ისევე როგორც კლავდიოს პტოლემაიოსის არმასიკა (Ἁρμασικά თუ Ἁρμακτικά) და პლინიუსის ჰერმასტუსი (Hermastus) გადმოგვცემენ ქართულ ადგილობრივ სახელწოდებას არმაზი (თუ არმაზციხე), რომელიც წარმოადგენდა იბერიის მეფეთა რეზიდენციას და მდებარეობდა დღევანდელი მცხეთის პირდაპირ (მტკვრისა და არაგვის შესართავთან) მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე აღმართულ ბორცვზე, რომელსაც ამჟამად ბაგინეთი ჰქვია. ეს ზუსტად ემთხვევა ჰარმოზიკეს მდებარეობის სტრაბონისეულ აღწერილობას (დაწვრ. აფაქიძე 1958). არქეოლოგიური გათხრების შედეგად აქ აღმოჩენილია მძლავრი თავდაცვითი კედლები და კოშკები, სასახლე და საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობანი, მდიდრული აკლდამები და სხვ. (აფაქიძე 1963: 162-182).

სტრაბონის ცნობით, „ჰარმოზიკე“ (ისევე როგორც სევსამორა), კლდეზე ნაგები „გამაგრებული“ ქალაქია, რაც დასტურდება არქეოლოგიური გათხრებითაც. ჰარმოზიკეს ეკავა დაახლოებით 30 ჰა ფართობი, რომელიც კოშკებითა და კონტრფორსებით გამაგრებული მძლავრი გალავნის კედლებით იყო მთლიანად გარშემორტყმული. კედლები ზოგჯერ ციცაბო კლდეებზეა ამოყვანილი. მშენებლობის წესი ასეთია: კლდოვან დედაქანში ამოკვეთილია ბუდეები, რომლებშიც ჩასმულია სწორკუთხა ქვათლილები და მით შექმნილია საძირკველი, რომელზეც შემდგომ ამოყვანილია ასევე ქვათლილებით შედგენილი კედლის ერთიდან ექვს რიგამდე (რელიეფის შესაბამისად). გალავნის კედლების მშენებლობის ეს ტექნიკა ტიპიურია ელინისტური ქალაქებისათვის, რადგან იგი საიმედოდ იცავდა ციცაბო კლდეზე ამოყვანილ კედელს საომარი, დამანგრეველი მექანიზმებისაგან. ქვის ზეძირკველზე შემდეგ ამოყვანილია ალიზ-აგურით (50×52×12 სმ) ნაგები კედელი. მასიური ალიზის კედლები ყოველი 5 მ-ის დაცილებით შიდა და გარე მხრიდან მძლავრი კონტრფორსებითაა გამაგრებული. კედლის წყობაში დატანებულია გარდიგარდმო დაწყობილი ხის (მუხის) ძელები. კედლების სიმაღლე 6-8

1 ეს ფორმა დაცულია VI ს-ის პალიმფსესტში (Aly 1956: 59).

მეტრამდე აღწევდა, ხოლო სისქე 2,80-3,20 მ-ს. გალავნის კედლები პერანგული წყობითაა ნაგები. კოშკები ოთხკუთხაა და კრამიტით ყოფილა გადახურული (დაწვრ. აფაქიძე 1963: 164,182).

არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად დგინდება, რომ „არმაზი“ – იბერთა მეფეების თავდაპირველი რეზიდენცია, მის შემდგომ ზრდა-განვითარებასთან ერთად თანდათანობით გამოვიდა გალავნის კედლების გარეთ და იქცა ვრცელ ქალაქად, რომელიც გაიშალა მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე (მის მარჯვენა შენაკადებს მდ. არმაზისხევსა და მდ. კარსნისხევს შორის). ნაქულბაქევთან აღმოჩენილი იმპერატორ ვესპასიანეს 75 წლით დათარიღებული ბერძნული წარწერის მიხედვითაც (Церетели Г. 1958)[1] შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ახალაღმოცენებული ქალაქური დასახლებაც გალავნის კედლით იქნა გარშემორტყმული.

3. სისამორა (Σεισάμορρα) // სევსამორა (Σευσάμορα)

მეორე ქალაქი, სტრაბონის ცნობით, მდინარე არაგოსზე (ე.ი. დღევანდელ არაგვზე) იყო აშენებული. მის მახლობლად „გეოგრაფიის“ ყველა ხელნაწერში აღნიშნულია სევსამორა (Σευσάμορα), მაგრამ უფრო სწორი უნდა იყოს VI ს-ის პალიმფსესტში დადასტურებული ფორმა „სისამორა“ (Σεισάμορρα), რომელიც გადმოსცემს ადგილობრივ ქართულ გეოგრაფიულ სახელს „წიწამური“, სადაც დიდი ხანია უკვე ლოკალიზებულია სტრაბონის მიერ მოხსენიებული ეს ქალაქი (დაწვრ. აფაქიძე 1958). არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილია ელინისტური ხანის თავდაცვითი კედლები (რაც ადასტურებს სტრაბონის ცნობას, რომ სისამორა//სევსამორა იყო „გამაგრებული ქალაქი“) და სხვა ნაგებობანი, რომელნიც კრამიტით ყოფილა გადახურული (აფაქიძე 1963: 182 და შმდ.).

იბერიაში ჩრდილოეთი მხრიდან შემოსასვლელის აღწერისას სტრაბონი აღნიშნავს:

XI, 3, 5: Ἐκ δὲ τῶν πρὸς ἄρκτον νομάδων ἐπὶ τρεῖς ἡμέρας ἀνάβασις χαλεπή, καὶ μετὰ ταύτην ποταμία στενὴ ἐπὶ τοῦ Ἀράγου ποταμοῦ τεττάρων ἡμερῶν ὁδὸν ἔχουσα ἐφ᾽ ἕνα, φρουρεῖ δὲ τὸ πέρας τῆς ὁδοῦ τεῖχος δύσμαχον.

„ჩრდილოეთით მცხოვრები მომთაბარეებიდან დაახლოებით სამი დღის ძნელი ამოსასვლელია, ხოლო ამის შემდეგ არის საცალფეხო გზა მდინარე არაგოსის ვიწრო ხეობაში, დაახლოებით ოთხი დღის [სავალი], ხოლო გზის ბოლო ძნელად ასაღები კედლით არის გამაგრებული“.

1 ამ წარწერაში საუბარია იმის შესახებ, რომ იმპერატორმა ვესპასიანემ (69-79 წწ.) და მისმა შვილებმა იმპერატორებმა ტიტემ (71-81 წწ.) და დომიციანემ (81-96 წწ.) იბერთა მეფე მითრიდატეს და ხალხს „გაუმაგრეს კედლები“. აშკარაა, რომ წარწერაში საუბარია უკვე არსებულ კედლებზე, რომელნიც, შესაძლოა, პომპეუსმა დაანგრია მისი ქართლში ძვ.წ. 66-65 წწ. ლაშქრობისას.

სავსებით აშკარაა, რომ სტრაბონი (და მისი წყარო) აქ იძლევა იბერიაში დარიალის ხეობიდან შემოსასვლელის აღწერას, რომელიც შემდეგ მდ. არაგვს მიყვებოდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ „გზის ბოლო“-ში აქ იგულისხმება ის მონაკვეთი არაგვის ხეობისა, რომელიც კოლხეთისაკენ მომავალ პომპეუსს უნდა გადაელახა სადღაც დღევანდელი მცხეთის მიდამოებში. ამ მიდამოებში „სიმაგრეს“ მოიხსენიებს ქართული წყაროც („ქართლის ცხოვრება“: 55) იბერიის მეფე ამაზასპის საომარი ქმედების აღწერისას, დაახლოებით ძვ.წ. 70-იან წლებში. მართლაც, თანამედროვე მცხეთის ჩრდილოეთ ნაწილში, მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე ადგილ ღართისკარში გამოვლენილია ელინისტური ხანის მძლავრი საფორტიფიკაციო სისტემა: კოშკები, გამაგრებული ზღუდე-გალავანი, რომელიც მდ. არაგვის მარცხენა ნაპირზეც გადადის. ეს, მართლაც, „ძნელად ასაღები კედელია“ (τεῖχος δύσμαχον): კედლის სიგანე აღწევს 3 მ-ს. ყოველი 50-55 მ-ის ინტერვალით კედლებში ჩადგმულია ოთხკუთხა კოშკები (7x7 მ) (Nikolaischvili 1990).

4. ფროქსოპოლისი-იდეესა (Φρίξου πόλις//’Ιδήεσσα)

XI, 2, 18: ἔστι δὲ καὶ πολίχνιον ἐν τῇ Ἰβηρίᾳ, Φρίξου πόλις, ἡ νῦν Ἰδήεσσα, εὐερκὲς χωρίον, ἐν μεθορίοις τῆς Κολχίδος.

„იბერიაში არის ერთი პატარა ქალაქი ფრიქსოპოლისი, ეხლანდელი იდეესა, კარგად გამაგრებული ადგილი კოლხიდის საზღვრებზე“.

ამ ქალაქის ადგილმდებარეობაზე „გეოგრაფიაში“ პირდაპირი მინიშნება არაა. არც სხვა წყაროშია იგი (ფრიქსოპოლისი ანუ იდეესა) მოხსენიებული. რამდენადაც ციტირებული აბზაცი უშუალოდ მისდევს თხრობას „მოსხიკეს“ შესახებ, ვარაუდობენ, რომ ეს ქალაქი მდებარეობდა „მოსხიკეს“ იმ ნაწილში, რომელიც იბერიას ეკუთვოდა,[1] მაგრამ კოლხეთის საზღვარზე.[2] შესაძლოა ეს იყოს ქართული წყაროების ოძრხე, რომელიც იბერიის უძველეს ქალაქთა შორის მოიხსენიება („მოქცევაჲ ქართლისაჲ“: 81; „ქართლის ცხოვრება“: 17). ივარაუდება, რომ ოძრხე მდებარეობდა დღევანდელ დაბა აბასთუმნის მახლობლად, მდ. ოძრხისწყლის მარჯვენა ნაპირზე, სადაც მაღალ კლდოვან ქედზე შემორჩენილია ზღუდე-გალავნისა და კოშკების ნაშთები, მაგრამ შუა საუკუნეებისა (ჭილაშვილი 1968: 31-35). გამოთქმულია საპირისპირო მოსაზრებაც, რომლის თანახმად ფრიქსოპოლისი–იდეესა ყვირილის ხეობაშია საგულვებელი და შესაძლებელია იგი საირხეს ნაქალაქართან იქნას გაიგივებული (ინაძე 1992).

1 სტრაბონის ცნობით (XI, 2, 18): „მოსხების ქვეყანა სამ ნაწილს შეიცავს: ერთი მისი ნაწილი აქვთ კოლხებს, მეორე იბერებს და მესამე არმენიელებს“ (ἡ δ᾽ οὖν Μοσχική, ἐν ᾗ τὸ ἱερόν, τριμερής ἐστι· τὸ μὲν γὰρ ἔχουσιν αὐτῆς Κόλχοι τὸ δὲ Ἴβηρες τὸ δὲ Ἀρμένιοι).

2 პ. ინგოროყვას აზრით, ეს ქალაქი მდებარეობდა ოლთისის წყლის ხეობაში (ინგოროყვა 1954: 438), მაგრამ რაიმე არგუმენტი საამისოდ მოტანილი არაა და არც რომელიმე გეოგრაფიულ პუნქტთანაა იდენტიფიცირებული.

VIII თავი

პოლიტიკური ისტორიის მომენტები

1. მითრიდატე VI ევპატორი და კოლხეთი

1.0. სტრაბონის „გეოგრაფიამ“ შემოინახა ძუნწი, მაგრამ საკმაოდ საყურადღებო ცნობები პონტოს სახელგანთქმული მეფე მითრიდატე VI ევპატორისა და კოლხეთის ურთიერთობის შესახებ.

XI, 2, 18: αὐξηθέντος δὲ ἐπὶ πολὺ Μιθριδάτου τοῦ Εὐπάτορος, εἰς ἐκεῖνον ἡ χώρα περιέστη· ἐπέμπετο δ' ἀεί τις τῶν φίλων ὕπαρχος καὶ διοικητὴς τῆς χώρας. Τούτων δὲ ἦν καὶ Μοαφέρνης, ὁ τῆς μητρὸς ἡμῶν θεῖος πρὸς πατρός· ἦν δ' ἔνθεν ἡ πλείστη τῷ βασιλεῖ πρὸς τὰς ναυτικὰς δυνάμεις ὑπουργία.

„...ხოლო როდესაც მითრიდატე ევპატორის ძალაუფლება მნიშვნელოვნად გაძლიერდა, მის ხელში გადავიდა ქვეყანა (კოლხეთი – ო. ლ.): იგზავნებოდა მუდამ ვინმე მის „მეგობართაგანი“ მმართველად და გამგებლად ქვეყნისა. ამათგანი იყო მოაფერნეც, ჩემი დედის ბიძა მამის მხრიდან: აქედან იყო, რომ მეფეს მოსდიოდა მეტი წილი ძალებისა სანაოსნო სამსახურისათვის“.

ამრიგად, ამ ცნობაში ასახულია: 1) ფაქტი კოლხეთის გადასვლისა მითრიდატე VI ევპატორის – პონტოს მეფის გამგებლობაში; 2) მინიშნება, თუ როდის გადადის მითრიდატეს გამგებლობაში კოლხეთი; 3) მმართველობის ხასიათი.

1.1. მითრიდატეს მიერ კოლხეთის შემოერთება აღნიშნულია აგრეთვე XII, 3, 28-ში[1]: „ხოლო როდესაც გაძლიერდა მითრიდატე ევპატორი, ის გახდა კოლხეთისა და ყველა ამათი ბატონი, რომლებიც დაუთმო მას ანტიპატროსმა, სისიდეს ძემ“ (αὐξηθεὶς δὲ Μιθριδάτης ὁ Εὐπάτωρ καὶ τῆς Κολχίδος κατέστη κύριος καὶ τούτων ἁπάντων, Ἀντιπάτρου τοῦ Σίσιδος παραχωρήσαντος αὐτῷ).

1 ზოგიერთი მკვლევარი (მაგ. Шелов 1980: 29-30; Тодуа 1990: 55) მითრიდატეს მიერ კოლხეთის დაპყრობას ხედავს აგრეთვე XII, 3, 1-შიც, მაგრამ მთლიანი კონტექსტით რჩება შთაბეჭდილება, რომ საუბარია კოლხეთის ფარგლებს გარეთ მდებარე ქვეყანაზე (ἐπὶ δὲ τἀναντία μέχρι Κολχίδος ... προσέθηκε τῷ Πόντῳ). ჩემის აზრით, XII, 3, 1-ში ასახული უნდა იყოს მითრიდატე VI ევპატორის მეფობისა და მისი დაპყრობების საწყისი ეტაპი.

ამ ცნობაში, თითქოს შემოდის კიდევ ერთი დამატებითი ინფორმაცია: როგორ გადავიდა კოლხეთი მითრიდატეს სამეფოს შემადგენლობაში. მაგრამ, ჯერ ერთი, სულ ნათელი არაა თუ ვინაა ეს ანტრიპატროსი სისიდეს ძე. პაპეს აზრით (Pape 1884), ის კოლხია, სხვების მოსაზრებით კი – მცირე არმენიის მეფე (შდრ. Вестник древней истории, 1947, № 4: 297, შენ. 4).[1] ეს მოსაზრება უფრო სარწმუნო ჩანს სტრაბონის ცნობის მთლიანი კონტექსტით (XII, 3, 28). მართლაც ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ იმ ტერიტორიებში, რომლებიც ანტიპატროსმა მითრიდატეს დაუთმო, იგულისხმება არა კოლხეთი, არამედ სწორედ მცირე არმენიის ქვეშევრდომი ქალდებისა და ტიბარენების ტერიტორია.[2]

მითრიდატე ევპატორის მიერ კოლხეთის შემოერთების შესახებ ცნობები აქვთ აგრეთვე მემნონს („ჰერაკლეის შესახებ“ XV, 30, 3),[3] აპიანეს (მითრიდატიკა, 15)[4] და პომპეიუს ტროგუსს (იხ. Just., XXXVIII, 7, 10)[5]. მათგან მხოლოდ მემნონი აღნიშნავს, რომ „მითრიდატემ ომით დაიმორჩილა ფასისის მიდამოები“ („ჰერაკლეის შესახებ“ XV, 30, 3). უფრო ნეიტრალური გამოთქმებით გადმოსცემენ ამ ფაქტს სტრაბონი (XI, 2, 18: εἰς ἐκεῖνον ἡ χώρα περιέστη – „მის ხელთ გადავიდა“; XII, 3, 1: „προσέθηκα“ – „მოუყარა“, XII, 3, 28: κατέστη κύριος – „გახდა ბატონი“) და აპიანე („მითრიდატიკა“, 101: προσκέκτηται – „შეიმატა“). სავარაუდებელია, რომ მითრიდატემ მაინც ძალით შემოიერთა კოლხეთი,[6] თუმც, როგორც ფიქრობენ, შესაძლოა მას აქ დიდი წინააღმდეობა არ შეხვედრია (Reinach 1870: 77; Duggan 1959: 31), რამდენადაც ამ დროისათვის კოლხეთი უკვე დასუსტებული

1 ნ. ლომოურის აზრით, სტრაბონის მიერ მოხსენიებული ანტიპატროსი იყო მითრიდატე V-ის შთამომავალი (Ломоури 1979: 75, შენ. 28). მაგრამ არ ჩანს, რას ემყარება ასეთი მოსაზრება, რამდენადაც ეს პიროვნება სხვა წყაროებში თითქოს არ იხსენიება.

2 შდრ. XII, 3, 28: ὑπηκόους δ᾽ εἶχον καὶ τοὺς Χαλδαίους καὶ Τιβαρηνούς, ὥστε μέχρι Τραπεζοῦντος καὶ Φαρνακίας διατείνειν τὴν ἀρχὴν αὐτῶν.

3 „მითრიდატემ ომით დაიმორჩილა ფასისის მიდამოების მეფეები კავკასიონის გადაღმა მდებარე ტერიტორიამდე... (κατεστρέψατο δὲ πολέμῳ καὶ τοὺς περὶ τὸν Φᾶσιν βασιλεῖς ἕως τῶν κλιμάτων τῶν ὑπὲρ τὸν Καύκασον, καὶ τὴν ἀρχὴν ηὔξησε).

4 „[მითრიდატემ] კიდევ ბევრი მეზობელი ქვეყანა შეიმატა და კოლხები, რომლებიც მძვინვარე მეომარი ხალხია (προσκέκτηται δὲ πολλὰ περίχωρα καὶ Κόλχους, ἔθνος ἀρειμανές).

5 Nam iustitiae atque liberalitatis suae ne ipsos milites quin experiantur testes refugere et illa iudicia habere, quod solus regum non paterna solum, verum etiam externa regna hereditatibus propter munificintiam adquisita possideat, Colchos, Paphlagoniam, Bosphorum (fr. 152 = Seel 1956: 171).

6 პომპეიუს ტროგუსის ზემოთმოტანილი ცნობის (Just. XXXVIII, 7, 10) საფუძველზე დ. შელოვი (Шелов 1980: 30-31) ვარაუდობს, რომ თითქოს მითრიდატეს ხელთ ჰქონდა რაღაც ფორმალური საფუძველი კოლხეთის შემოსაერთებლად, ვითომ ანდერძის მსგავსი განკარგულება, როგორც იყო ბოსფორში. ფიქრობენ, რომ ასეთი ვარაუდი მოკლებულია რაიმე საფუძველს (Тодуа 1990: 57). მაგრამ მითრიდატე VI ევპატორის დაპყრობითი ომების ისტორია გვიჩვენებს, რომ ამ თუ იმ ქვეყნის შემოერთებისას, როგორც წესი, მითრიდატე ყოველთვის პოულობდა რაიმე ფორმალურ საბაბს. ასე მაგ., მცირე არმენია მას თითქოს ანტიპატროსმა დაუთმო (სტრაბონი, XII, 3, 28), ბოსფორის სამეფოც ოფიციალურად ნებაყოფილობით გადასცა მას სპარტოკიდების დინასტიის უკანასკნელმა წარმომადგენელმა პერისადმა, რაც ასახულია, როგორც სტრაბონის ერთ ცნობაში (VII, 4, 3), ასევე ე.წ. ქერსონესის დეკრეტში, მითრიდატე VI ევპატორის სარდლის დიოფანტეს პატივსაცემად რომ იყო გამოცემული (IPE, I, 2, 352; დაწვრ. Жебелев 1953: 91 და შმდ.). ასევე ქერსონესმაც ნებაყოფლობით გამოაცხადა მითრიდატე თავის მფარველად (προστάτης – შდრ. სტრაბონი, VII, 4, 3; IPE, I, 2, 344) და ა.შ. (შდრ. Шелов 1985: 559-560).

იყო და აღარ წარმოადგენდა ერთიან სახელმწიფოს[1] (Лордкипанидзе Г. 1970: 19; Шелов 1980: 31).[2]

1.1.2. როდის შემოიერთა კოლხეთი მითრიდატე ევპატორმა? სტრაბონის ორგზის გამეორებითი მტკიცებით ეს მოხდა მას შემდეგ: „როდესაც მითრიდატე ევპატორის ძალაუფლება მნიშვნელოვნად გაძლიერდა“ (XI, 2, 18: „...:αὐξηθέντος δὲ ἐπὶ πολὺ Μιθριδάτου τοῦ Εὐπάτορος, εἰς ἐκεῖνον ἡ χώρα περιέστη“; შდრ. XII, 3, 28: „... αὐξηθεὶς δὲ Μιθριδάτης ὁ Εὐπάτωρ καὶ τῆς Κολχίδος κατέστη κύριος“.

მითრიდატე VI-ის მიერ კოლხეთის ანექსიის თარიღის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. მკვლევართა ერთი ნაწილი მას ზოგადად ძვ.წ. II და I საუკუნეების მიჯნით ათარიღებს (Меликишвили 1959: 305-306; სანიკიძე 1956: 28).

სტრაბონის ზემოთმოტანილი ცნობის საფუძველზე (XI, 2, 18 და XII, 3, 28) ვარაუდობენ, რომ პონტოს სამეფო „გაძლიერდა“ ჯერ კიდევ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში დიოფანტეს ლაშქრობამდე და მაშასადამე კოლხეთის შემოერთება უნდა მომხდარიყო ძვ.წ. 111 ან 110 წელს, ე.ი. მას შემდეგ, როდესაც მითრიდატე ევპატორმა შემოიერთა მცირე არმენია და მისი მიმდებარე ტერიტორიები (Meyer 1879: 87; Лордкипанидзе Г. 1970: 18-19; Ломоури 1979: 76; Шелов 1980: 76).[3] სხვა მკვლევართა აზრით, მითრიდატემ კოლხეთი დაიპყრო ბოსფორის სამეფოს შემოერთების შემდეგ, ე.ი. ძვ.წ. 107 წლის შემდეგ (Mommsen 1889: 271; Немировский 1978: 63-70; McGing 1986: 46-47), რასაც თითქოს ამტკიცებს ნუმიზმატიკური მასალაც: ძვ.წ. II ს-ის ბოლოს დიოსკურიის მონეტის გამოშვება (Голенко 1977: 59-61) და პონტოს სამეფოს მონეტების გავრცელება კოლხეთში ძვ.წ. 105 წლიდან (შდრ. დუნდუა-ლორთქიფანიძე გ. 1977: 198 და შმდ.), რის საფუძველზე ივარაუდება, რომ კოლხეთის ანექსია მითრიდატემ განახორციელა ძვ.წ. II ს-ის უკანასკნელ წლებში (Тодуа 1990: 53).

სტრაბონის ორგზის მითითება, რომ მითრიდატემ კოლხეთი დაიპყრო მას შემდეგ, როდესაც ის „ძლიერ გაძლიერდა“, მართლაც ვერ გამოდგება თარიღის პირდაპირ მინიშნებად, რამდენადაც პონტოს „გაძლიერებად“ შეგვიძლია მივიჩნიოთ, როგორც მითრიდატეს მიერ მცირე არმენიისა და პონტოს უშუალოდ მიმდებარე ტერიტორიების ანექსია, ასევე ბოსფორის სამეფოს შემოერთება. ამი-

1 ეს, თითქოს, ჩანს მემნონის ცნობაშიც, სადაც საუბარია ფასისის მიდამოების მეფეებზე („ჰერაკლეის შესახებ“, XV, 30, 3: ... περὶ τὸν φᾶσιν βασιλεῖς).

2 უფრო დაწვრ. სხვადასხვა მოსაზრებათა შესახებ იხ. Тодуа 1990: 55და შმდ.

3 გ. ლორთქიფანიძის აზრით, კოლხეთის ანექსია ორ ეტაპად განხორციელდა: 111-110 წლებში მითრიდატემ დაიპყრო ზღვისპირა ოლქები, ხოლო შემდეგ 105 და 90 წლებს შორის – შიდა კოლხეთი (Лордкипанидзе Г. 1978: 18-19), რასაც არ იზიარებენ ნ. ლომოური და დ. შელოვი, რომელთაც კოლხეთის დაპყრობის მეორე ეტაპი დაუსაბუთებლად მიაჩნიათ (Ломоури 1979: 169 და შმდ.; შდრ. Шелов 1980: 31). უკანასკნელ ხანებში გამოითქვა მოსაზრება, რომ თითქოს შიდა კოლხეთი საერთოდ არ შეუერთებია მითრიდატეს პონტოს სამეფოსათვის (გამყრელიძე 1989: 61-62).

ტომ სტრაბონის ცნობების საფუძველზე მითრიდატეს მიერ კოლხეთის ანექსიის თარიღის განსაზღვრა შეუძლებელი ჩანს.[1]

ჩემის აზრით, რაღაც მითითება (თუმც კვლავ არაპირდაპირი) მითრიდატეს მიერ სხვადასხვა ქვეყნების და მათ შორის კოლხეთის დაპყრობის თანმიმდევრობის შესახებ შეიძლება დავინახოთ მემნონის ცნობებში[2] („ჰერაკლეის შესახებ", XV, 30): „...მითრიდატემ ომით დაიმორჩილა ფასისის მიდამოების მეფეები კავკასიონის გადაღმა მდებარე ადგილებამდე. [თავისი] ძალაუფლება განავრცო და მეტისმეტად გადიდგულდა. ამის გამო რომაელებმა კიდევ უფრო მეტად მიიტანეს ეჭვი მის განზრახვებში და სენატის დადგენილებით გადაწყვიტეს, რომ მას მამეული საგამგებლოები უნდა დაებრუნებინა სკვითების მეფეებისათვის...". ამრიგად, თითქოს იქმნება შთაბეჭდილება, რომ კოლხეთის დაპყრობა ერთ-ერთი უკანასკნელი აკორდი იყო მითრიდატეს „გადიდგულებისა", რომელსაც შედეგად მოჰყვა რომაელთა რეაქცია და მოთხოვნა სკვითების მეფეებისათვის „მამეული საგამგებლოების" დაბრუნების შესახებ. მაშასადამე, მემნონის ცნობაც თითქოს მხარს უჭერს ჯერ კიდევ ნიზეს (Niese B.) მიერ გამოთქმულ ვარაუდს, რომ კოლხეთის ანექსია განხორციელდა სკვითების ტერიტორიაზე მითრიდატეს ძალაუფლების გავრცელების შემდეგ. სკვითებზე მითრიდატეს გაბატონება, როგორც ცნობილია, დაიწყო ჯერ კიდევ დიოფანტეს ლაშქრობებით და დამთავრდა ნეოპტოლემეს „ბარბაროსებზე" გამარჯვებით (იხ. სტრაბონი, II, 1, 16; VII, 3, 18). ამ უკანასკნელს ძვ.წ. 106-105 წწ. ათარიღებენ (Молев 1976: 45-46). მაშასადამე, კოლხეთის ანექსია მითრიდატე VI-ის მიერ ძვ.წ. 105 წლის შემდეგ უნდა განხორციელებულიყო.

მემნონის ცნობის საფუძველზე იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს მოხდა რომაელებთან ურთიერთობის გამწვავების უშუალოდ წინამორბედ ხანაში.[3]

ამრიგად, მემნონის ცნობის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კოლხეთის ანექსია მითრიდატე VI ევპატორმა განახორციელა ძვ.წ. 105 წლის (ე.ი.

---

1 დ. შელოვის აზრით, სტრაბონი ორგზის იხსენიებს მითრიდატე ევპატორის მიერ კოლხეთის შემოერთებას და ორსავე შემთხვევაში, თითქოს, მცირე არმენიისა და მათი ქვეშევრდომი ტიბარენებისა და ხალიბების ტერიტორიის ანექსიის კონტექსტში (XII, 3, 28; XII, 3, 1). ამის საფუძველზე ვარაუდობენ, რომ დასახელებული ტერიტორიების შემოერთება მოხდა ერთიმეორის მიყოლებით (Шелов 1980: 29-30). მაგრამ თუ ერთ შემთხვევაში (XII, 3, 28) მართლაც შეიძლებოდა დაგვენახა რაღაც მითითება ერთდროულ თანმიმდევრულ აქციაზე (თუმც ამას სტრაბონი პირდაპირ არ აღნიშნავს), მეორე შემთხვევაში (XII, 3, 1) თითქოს საუბარია (როგორც უკვე ზემოთ შევნიშნე) მცირე არმენიამდე და კოლხეთამდე მდებარე ტერიტორიების („μέχρι Κολχίδος καὶ τῆς μικρᾶς Ἀρμενίας") შემოერთებაზე.

2 ივარაუდება, რომ მითრიდატეს ომების აღწერისას მემნონს თუმც აქვს ისეთი ცნობებიც (მაგ. დარდანოსის ხელშეკრულების შესახებ: XV, 35, 2), რომელნიც სხვა ავტორებთან არ გვხვდება, მაინც მის ძირითად წყაროს წარმოადგენდა იგივე συγγραφεῖς, რომელთაც იმოწმებს სტრაბონი (შდრ. Дзагурова 1951: 287; ყაუხჩიშვილი თ. 1962;142 და შმდ.).

3 მემნონის ცნობებიდან იქმნება შთაბეჭდილება, რომ სწორედ კოლხების დაპყრობის შემდეგ, მითრიდატეს გაძლიერებას და „გადიდგულებას" მოსდევს რომაელთა საპასუხო რეაქცია. შდრ. XV, 30, 3-4: „...მითრიდატემ ომით დაიმორჩილა ფასისის მიდამოების მეფეები კავკასიონის გადაღმა მდებარე ადგილებამდე, ძალაუფლება განავრცო და მეტისმეტად გადიდგულდა. ამის გამო (Δια μᾶλλον) რომაელებმა კიდევ უფრო მეტად შეიტანეს ეჭვი მის განზრახვაში..." და ა.შ.

სკვითების დამორჩილების) შემდეგ,[1] მაგრამ არა უგვიანეს 90-იანი წლების დასასრულისა,[2] როდესაც გამწვავდა ურთიერთობა პონტოს მეფესა და რომს შორის მცირე აზიის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში გავლენისათვის (კაპადოკიისათვის ბრძოლა – შდრ. მემნონი XV, 30, 1; აპიანე, „მითრიდატიკა", 15). თუმც მე ვიზიარებ, რომ მითრიდატემ კოლხეთი ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის შემდეგ დაიმორჩილა, მაინც ვფიქრობ, რომ მითრიდატეს მიერ კოლხეთის ანექსიის ზუსტი დროის საკითხი ჯერჯერობით მაინც ღიად უნდა დარჩეს.[3]

1.3. სტრაბონის „გეოგრაფიაში" შემოინახა საინტერესო ცნობა კოლხეთში მითრიდატე VI ევპატორის მმართველობის ხასიათის შესახებ. სტრაბონი იუწყება, რომ მას შემდეგ რაც კოლხეთი მითრიდატეს ხელთ გადავიდა, იქ იგზავნებოდა მუდამ ვინმე მის მეგობართაგანი, ნაცვლად და გამგებლად ქვეყნისა (XI, 2, 18: „ἐπέμπετο δ' ἀεί τις τῶν φίλων ὕπαρχος καὶ διοικητὴς τῆς χώρας"). აქ, ჯერ ერთი, საინტერესოა ტერმინოლოგია, რომლითაც განსაზღვრავს სტრაბონი მითრიდატეს მმართველობის ხასიათს კოლხეთში.

ὁ ὕπαρχος ნიშნავს „გამგებელსაც" და „ნაცვალსაც".[4] ბუნებრივია, აქ იგი აღვიქვათ, როგორც „ნაცვალი", რადგან ὁ διοικητής ნიშნავს „მმართველს", „გამგებელს".[5]

---

1 ივარაუდება, რომ კოლხეთი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მითრიდატესათვის თავისი სტრატეგიულ-კომუნიკაციური მდებარეობით, რის მეოხებითაც პონტოს სამეფოს შესაძლებლობა ეძლეოდა გამოეყენებინა იგი როგორც პლაცდარმი თავისი ჩრდილოეთ შავიზღვისპირა ტერიტორიების უსაფრთხოების კონტროლირებისათვის (შდრ. გამყრელიძე 1989: 66). ამასთან, კოლხეთის დაპყრობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც უკანასკნელი ეტაპი მთელი შავიზღვისპირეთის ერთიან სახელმწიფოებრივ სისტემაში მოქცევის ცდისა (შდრ. Шелов 1967: 223; Молев 1976: 23), რასაც უფრო ადრე ესწრაფოდნენ ცალკეული სახელმწიფოების მესვეურები: ბოსფორის მეფე ევმელოსი (შდრ. დიოდორე სიცილიელი, XX, 25; Нейхардт 1962: 595 და შმდ.), პონტოს მეფე ფარნაკე (Колобова 1949) და სხვ. (Шелов 1980: 28-29).

2 საინტერესოა, რომ სწორედ ძვ.წ. 105-90 წლებით თარიღდება მთელს კოლხეთში მრავლად აღმოჩენილი პონტოს ქალაქების სპილენძის მონეტები (დუნდუა-ლორთქიფანიძე 1977: 197-198; Шамба С. 1980: 142-145; Дундуа 1987: 124). მაგრამ ამ ფაქტს არ შეიძლება მიენიჭოს გადამწყვეტი მნიშვნელობა (შდრ. შემდეგი შენიშვნა).

3 ჩემის აზრით, ნუმიზმატიკური მასალა, რომელსაც იმოწმებენ მითრიდატეს მიერ კოლხეთის ანექსიის ზუსტი თარიღის დასადგენად (იხ. მაგ. Дундуа-Лордкипанидзе 1985: 601-63; Тодуа 1990: 53), რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ მაინც არა გადამწყვეტი, იმიტომ, რომ მონეტების თავდაპირველი გავრცელება შეიძლება იყო შედეგი არა ექსპანსიისა, არამედ სავაჭრო ურთიერთობისა. ამას გარდა პონტოს მონეტების დათარიღება ხდება იმჰოფ-ბლიუმერის სქემის მიხედვით, რომელიც უთუოდ გასაზიარებელია რელატიური ქრონოლოგიის თვალსაზრისით, მაგრამ აბსოლუტური დათარიღება მოითხოვს დამატებით თანმხლებ მასალას (იხ. პ. კარიშკოვსკის გამოსვლა შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიის პრობლემებისადმი მიძღვნილ III სიმპოზიუმზე – Причерноморье 1982: 637-638). ასევე დიოსკურიადის მონეტების დათარიღებაც მაინცდამაინც ძვ.წ. 105-90 წლებით არაა დამაჯერებელი მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ ამ მონეტებზე გამოსახულია ტირსი – დიონისეს კვერთხი, რომელიც გვხვდება ძვ.წ. 105-90 წლების პონტოს მონეტებზე (Голенко 1977). რატომაა გამორიცხული ასეთი მონეტების გამოშვება უფრო გვიანაც, მაგ. მაშინ, როდესაც პომპეუსისაგან დევნილი მითრიდატე VI ევპატორი გამაგრდა დიოსკურიაში (როგორც ამას ადრე ვარაუდობდა გ. დუნდუა – დუნდუა 1967: 59).

4 შდრ. Menge 1991: ὕπαρχος; Liddell-Scott 1977: ὕπαρχος.

5 შდრ. Menge 1991: διοικητής; Liddell-Scott 1977: διοικητής.

ჩვეულებრივ ფიქრობენ, რომ მითრიდატე VI ევპატორის მიერ კოლხეთის ანექსიის შემდეგ იგი პონტოს სამეფოს ერთ-ერთ სატრაპიად იქცა (Reinach 1870: 78; Mommsen 1889: 271; Gastagna 1938: 113).

სტრაბონის ცნობით, მისი მმართველი იგზავნებოდა მეფის „მეგობართაგან". ეს ტერმინი (φίλοι τοῦ βασιλέως)[1] ელინისტურ სახელმწიფოებში აღნიშნავდა მეფესთან დაახლოებულ უმაღლესი რანგის პირთა წრეს – თავისებურ სათათბიროს, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ჯერ კიდევ სელევკიდების სამეფოში (დაწვრ. Corradi 1929: 231f., 318f.; Kortenbeutel 1941; Biekerman 1938: 40f., 188f., შდრ. პტოლემაიოსების კარზე — Mooren 1977: 24-36). პონტოს სამეფოს კარზეც „მეგობრებს" ეკავათ უმაღლესი საერო და სამხედრო თანამდებობები, რაც კარგად ჩანს სტრაბონის „გეოგრაფიიდან".[2]

წყაროები თითქოს არაფერს იუწყებიან თუ როგორი იყო მითრიდატეს მიერ დაპყრობილი კოლხეთის ექსპლოატაციის კონკრეტული ფორმები, საგადასახადო მოვალეობანი. მხოლოდ სტრაბონი გვამცნობს, რომ კოლხეთში დანიშნული ნაცვლისა და გამგებლის[3] ფუნქციას შეადგენდა აგრეთვე მითრიდატეს არმიისათვის თუ სამხედრო საქმიანობისათვის აუცილებელი მატერიალური რეზერვების უზრუნველყოფის ორგანიზაცია.

სტრაბონის ცნობით (X, 2, 18) „...აქედან (ე.ი. კოლხეთიდან – ო. ლ.) იყო, რომ მეფეს (მითრიდატეს – ო. ლ.) მოსდიოდა მეტი წილი დამხმარე ძალებისა (ὑπουργία)[4] სანაოსნო სამსახურისათვის.[5] აქ პირველ რიგში უნდა იგულისხმებოდეს გემთსაშენი მასალა – ხე-ტყე და სხვ., რითაც, სტრაბონისავე ცნობით, მდიდარი იყო კოლხეთი (შდრ. XI, 2, 17). უნდა ვიფიქროთ, რომ კოლხეთის მნიშვნელობა მითრიდატესათვის განსაკუთრებული გახდა მას შემდეგ, როდესაც რომაელებთან ომის შემდეგ მითრიდატე იძულებული იყო რომაელებისათვის გადაეცა თითქმის მთელი თავისი ფლოტი (აპიანე, მითრიდატიკა, 55, 58). როგორც ცნობილია, უკვე დარდანოსის ზავის შემდეგ (ძვ.წ. 85 წ.) მითრიდატე ენერგიუ-

1 შდრ. XVII, 1, 6: φίλος τῶν βασιλέων. ასე უწოდებს სტრაბონი, მაგ., სოკრატე კნიდოსელს.

2 ასე მაგ., პონტოს მეფე მითრიდატე ევერგეტის (რომელიც სხვათაშორის, სტრაბონის ცნობით, მისმა „მეგობრებმა" (τῶν φίλων) მოკლეს – X, 4, 10) „მეგობრად" იხსენიება დიდი სამხედრო მოხელე დორილაოსი (X, 4,1 0), რომელიც იყო სტრაბონის დიდი პაპა დედის მხრივ (XII, 3, 33). ხოლო მისი ძმისშვილი – დორილაოს უმცროსად წოდებული – იყო მითრიდატე VI ევპატორის დაახლოებული პირი (X, 4, 10; XII, 3, 33), რომელსაც იხსენიებენ სხვა წყაროებიც: აპიანე, მითრიდატიკა, 17; პლუტარქე, ლუკულუსი, XVII. საინტერესოა, რომ მისი პორტრეტული მედალიონი წარწერითურთ აღმოჩენილია კუნძულ დელოსზე მითრიდატე VI ევპატორის სახელზე აგებულ ტაძარში (რომელიც „მითრიდატეს ძეგლის" სახელითაა ცნობილი). აქვეა მითრიდატეს სხვა თანამებრძოლთა პორტრეტული მედალიონებიც, რომელთა შორისაა პაპია, მითრიდატეს ერთ-ერთი პირველი მეგობართაგანი (πρῶτοι φίλοι) – დაწვრ. იხ. Максимова 1956: 200 და შმდ., იქვე დასახ. ლიტ.; Explorations...Delos 1935: 13-42; Risom 1948: 209; Bruneau-Ducat 1983.

3 გამოთქმულია მოსაზრება, რომ მითრიდატეს მიერ გამოგზავნილი მმართველი თითქოს იჯდა დიოსკურიაში (Ломоури 1979: 175; Тодуа 1990: 57; გამყრელიძე 1989: 62), მაგრამ ამის შესახებ წყაროებში არავითარი მითითება არაა.

4 ὑπουργαι ნიშნავს „დამხმარეს".

5 დაწვრ. იხ. ამავე წიგნში.

ლად შეუდგა და წარმატებით დაასრულა ახალი ფლოტის შექმნა,[1] რომელიც საკმაოდ ძლიერ ძალას წარმოადგენდა რომაელებთან III ომის წინ. აპიანეს ცნობით, მითრიდატე რომაელებთან III ომისათვის 74/75 წლებში „ზაფხულის დარჩენილ დროსა და მთელი ზამთარი ხე-ტყეს ამზადებინებდა, ხომალდებს აგებინებდა". უნდა ვიფიქროთ, რომ აქ სწორედ მითრიდატეს მიერ დამორჩილებული ქვეყნები იგულისხმება. ამ სამზადისში სინოპეს მდიდარ რესურსებთან ერთად („გეოგრაფია", XII, 3, 12) უთუოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა კოლხეთიც.[2]

კოლხეთის სხვა ვალდებულებათა შესახებ პირდაპირი მითითება არ მოგვეპოვება.[3]

1.3. სტრაბონის ცნობით, კოლხეთში მითრიდატეს ძალაუფლების დამყარების შემდეგ „იგზავნებოდა მუდამ ვინმე მეგობართაგანი ნაცვლად და გამგებლად ქვეყნისა" (XI, 2, 18). ამრიგად, თითქოს ხაზგასმულია, რომ მითრიდატეს ბატონობის მთელ პერიოდში („მუდამ" – ἀεί) კოლხეთს განაგებდნენ მითრიდატეს მიერ გაგზავნილი მოხელეები „მეგობართა" წრიდან. მაგრამ ეს თითქოს არ შეესაბამება სხვა წყაროების ჩვენებას. ასე მაგ., აპიანე იუწყება, რომ რომაელებთან მეორე ომის (ძვ.წ. 83 წ.) წინ „მითრიდატემ, პონტოში რომ დაბრუნდა, გამდგარ კოლხებსა და ბოსფორელებს ომი გაუმართა. ამათგან კოლხები მას თხოვდნენ შვილს, მითრიდატეს, რათა მიეცა იგი მათთვის მეფედ და [როგორც კი] მიიღეს, დამორჩილდნენ"... („მითრიდატიკა", 64).

ამრიგად, ირკვევა, რომ კოლხეთში გარკვეულ დროს მართავდა მითრიდატე ევპატორის ვაჟი – მითრიდატე ფილოპატორ–ფილადელფოსად წოდებული, რომელსაც მეფის ტიტული მიუღია.[4] კოლხთა აჯანყება სამეფო ხელისუფლების მოთხოვნით[5] მოხდა I ომის პერიოდში (ძვ.წ. 89-84 წწ.), საფიქრებელია 86 წლის შემდეგ, როდესაც სულასთან დამარცხების შემდეგ მითრიდატეს მდგომარეობა

1 დაწვრ. აპიანე, „მითრიდატიკა", 69-71. განსაკუთრებით, პლუტარქე, ლუკულუსი: VIII.

2 Reinach 1870: 78, 80: კოლხეთი იყო მითრიდატეს არსენალი.

3 ივარაუდება (მემნონის ცნობის საფუძველზე: XV, 53-54), რომ მითრიდატეს კოლხეთი სურსათსანოვაგითაც ამარაგებდა (Шелов 1980: 33). ფიქრობენ აგრეთვე, რომ კოლხეთი მითრიდატეს ცოცხალი ძალითაც ამარაგებდა, რამდენადაც კოლხები იხსენიებიან მითრიდატეს არმიაში (იხ. პლუტარქე, ლუკულუსი, XIV). რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ ისინი ძირითად კონტიგენტს წარმოადგენდნენ (Инадзе 1968: 231; Лордкипанидзе Г. 1970: 24, 148). დ. შელოვი ვარაუდობს, რომ შესაძლოა კოლხები იყვნენ მითრიდატეს ფლოტშიც. მათ შორის შესაძლოა იმ „მენიჩბეებსა და მესაჭეებს" შორის, რომელნიც მოიწვია მან, როდესაც ფლოტი შექმნა" (შდრ. აპიანე, მითრიდატიკა, 53); მაგრამ ეს მხოლოდ გონებაჭვრეტითი ვარაუდებია, ისევე როგორც მოსაზრება, რომ თითქოს, მითრიდატეს მიერ კოლხეთის დაპყრობის ერთერთ ძირითად სტიმულს კოლხეთის ძვირფასი ლითონები შეადგენდა (Шелов 1980: 34).

4 ძნელი სათქმელია, რამდენად რეალური და დამოუკიდებელი იყო ეს ხელისუფლება. ფიქრობენ, რომ იგი საკმაოდ შეზღუდული და არსებითად ნომინალური უნდა ყოფილიყო (შდრ. Шелов 1980: 37), რითაც აიხსნება თითქოს ისიც, რომ სტრაბონმა ეს ფაქტი საგანგებოდ არ მოიხსენია და ფაქტიურად მითრიდატე უმცროსიც, ალბათ, პონტოს მეფის გაგზავნილ ნაცვლად და გამგებლად მიიჩნია (Тодуа 1990: 62).

5 კოლხთა აჯანყებას მითრიდატე ევპატორის წინააღმდეგ განიხილავენ როგორც ტრადიციული სამეფო ხელისუფლების აღდგენის მოთხოვნას (Лордкипанидзе Г. 1970: 24; შდრ. Тодуа 1990: 63-64).

მკვეთრად გართულდა (აჯანყება ეფესოსა და სხვა ქალაქებში, დამარცხება გაიუს ფლავიუს ფიმბრიასთან და ა.შ. – შდრ. სანიკიძე 1956: 80-81; Лордкипанидзе Г. 1970: 23). კოლხები მითრიდატე ევპატორმა, როგორც ჩანს, ძვ.წ. 84/83 წლებში დააწყნარა, როდესაც მეფედ მათივე მოთხოვნით დაუსვა თავისი ვაჟი მითრიდატე. აპიანეს ცნობებიდან არ ჩანს, თუ რამდენ ხანს გაგრძელდა მითრიდატეს მეფობა კოლხეთში. აპიანე მხოლოდ იმას იუწყება, რომ მითრიდატემ კოლხების აჯანყებაში თავისი ვაჟი დაადანაშაულა: „იეჭვა, რომ ეს მოაწყო მისმა შვილმა, რომელსაც მეფობა სურდა, მოაყვანინა იგი, დაადო ოქროს ბორკილები და შემდეგ დიდხანს არ გაუვლია, რომ მოჰკლა, თუმცა იგი დიდად სასარგებლო იყო მისთვის აზიაში ფიმბრიას წინააღმდეგ ბრძოლის დროს“ („მითრიდატიკა“, 64).[1] აქედანაც კარგად ჩანს, რომ მითრიდატე ევპატორის ვაჟი მამას ახლდა ბრძოლებში 86/85 წლებში და შემდეგ მოხდა მისი გამეფება კოლხეთში. თუმც, ვიმეორებ, ჩვენთვის უცნობია, თუ რამდენ ხანს იყო იგი მეფედ კოლხეთში.[2] მკვლევართა ერთი ნაწილი ვარაუდობს, რომ მითრიდატემ კოლხეთში გამეფებული თავისი ვაჟი დასაჯა დაახლოებით ძვ.წ. 80 წელს, როდესაც ჩაახშო აჯანყება ბოსფორში (Лордкипанидзе Г. 1970: 24; შდრ. Тодуа 1990: 61, 69). ამის შემდეგ, როგორც ჩანს, კოლხეთს კვლავ მითრიდატეს „მეგობართაგან“ გაგზავნილი ნაცვლები მართავდნენ. მათ შორის იყო, სტრაბონის ცნობით, „მოაფერნეც, ჩემი (ე.ი. სტრაბონის – ო.ლ.) დედის ბიძა მამის მხრიდან“ (XI, 2, 18). სტრაბონის ცნობით, „დორილაოსის[3]

1 მითრიდატე უმცროსის კოლხეთში მმართველობის ხანას მიაწერენ ვანში აღმოჩენილი ანონიმური სპილენძის მონეტების გამოშვებას (ავერსზე სტილიზებული ლოტოსის და რევერსზე რვაქიმიანი ვარსკვლავის გამოსახულებით) და ამის საფუძველზე ვარაუდობენ, რომ მითრიდატე უმცროსის სამეფო რეზიდენციას წარმოადგენდა ვანი (დუნდუა 1974). მაგრამ, როგორც დასახელებული მონეტების ემისიის, ასევე მითრიდატე უმცროსის რეზიდენციის საკითხები საკმაოდ რთული და სადისკუსიოა (შდრ. ლორთქიფანიძე ოთ. 1977: 24; Ломоури 1979: 176-178; Причерноморье 1985: 663-666; Тодуа 1990: 62).

2 თითქმის ერთდროულად მითრიდატე VI ევპატორი ბოსფორის მეფედ აგზავნის თავის ვაჟს მახარეს (იხ. აპიანე, „მითრიდატიკა“, 67, 78, 83). ამ უკანასკნელს დ. შელოვი რეალურ მეფედ არ მიიჩნევს (Шелов 1985: 567-568), მიუხედავად იმისა, რომ აპიანე მას ორგზის („მითრიდატიკა“, 67, 83) მოიხსენიებს ტერმინით βασιλεύς, ხოლო ერთ შემთხვევაში („მითრიდატიკა“, 83) – არქონტად (საინტერესოა, რომ ამ ტიტულს ატარებდნენ ბოსფორის მეფეები – შდრ. Gajdukevič, 1971: 70, 74, 214, 325). ამ საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ერთი ფაქტი: 1975 წელს ნიმფეიონის ნეკროპოლზე აღმოჩენილ წარწერაში მითრიდატე VI ევპატორი იხსენიება „მეფეთ მეფედ“ (βασιλεύς βασιλέων – Виноградов, Молев,Толстиков 1985: 595). აქამდე ცნობილი იყო ამ ტიტულით მითრიდატეს მოხსენიება მხოლოდ დედოფალ დინამიას (ახ.წ. I ს. დასაწყისი) სახელით შედგენილ წარწერაში ფანაგორიიდან (КБН 1965: 558, № 979), რაც მიზნად ისახავდა მისი დიდი წინაპრის განდიდებას. მაგრამ ნიმფეიონის წარწერაში მითრიდატე ევპატორის „მეფეთა მეფედ“ წოდება არის ამ ტიტულით მისი მოხსენიების ერთადერთი შემთხვევა მისი მეფობის ხანაში. ხომ არ ასახავს ის იმ რეალურ ვითარებას, როდესაც კოლხეთსა და ბოსფორში „მეფობდნენ“ მისი შვილები (მითრიდატე და მახარე) და შესაბამისად მითრიდატე ევპატორი ამ შემთხვევაში და ამ დროს (ძვ.წ. 83-80 წწ.) გვევლინება „მეფეთა მეფედ“? თუმც წარწერის გამომცემლები თვლიან, რომ წარწერა უნდა დათარიღდეს ძვ.წ. 89/88 და 85 წლებს შორისი ხანით, რამდენადაც აღნიშნული ტიტულის ტარება ახლოაღმოსავლეთის მონარქებისათვის თითქოს სანქციონირებული იყო მხოლოდ რომის მიერ და მას ატარებენ 89 წლამდე პართიის მეფე მითრიდატე მეორე, ხოლო ძვ.წ. 85 წლის შემდეგ სომხეთის მეფე ტიგრანი. მაგრამ ასეთი ინტერპრეტაციის მიმართ სკეპსისი გამოითქვა ჯერ კიდევ პ. კარიშკოვსკიმ (იხ. მისი გამოსვლა დისკუსიაზე Причерноморье 1985: 637).

3 იგულისხმება დორილაოს ტაქტიკოსი – სტრაბონის დედის დიდი პაპა (იხ. „გეოგრაფია“, X, 4, 10; XII, 3, 33).

დაცემის შემდეგ მისი ოჯახი მასთან ერთად შერისხული იყო. დიდი ხნის შემდეგ ჩემი დედის ბიძამ მოაფერნემ კვლავ მიაღწია საპატიო მდგომარეობას, (მაშინ) როდესაც სამეფო თავის დაცემას უახლოვდებოდა, და კვლავ მან თვითონ და მისმა ნათესავებმა მეფის ხვედრი გაინაწილეს...“ (XII, 3, 33). ამ ცნობის საფუძველზე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოაფერნე კოლხეთის მმართველი (შდრ. XI, 3, 18) იყო პონტოს სამეფოს არსებობის წლებში (Тодуа 1990: 72).

1.4. მითრიდატე VI ევპატორის უკანასკნელი აქციების ისტორიის თვალსაზრისით საინტერესოა სტრაბონის კიდევ ერთი ცნობა (XII, 3, 28): „...პომპეუსის მიერ დევნილი მითრიდატე აქ გამოიქცა, პონტოს სამეფოს ამ უკიდურეს [კუთხეში], დაიპყრო დასტირასთან აკილისენეს წყალუხვი მთა (მახლობლად იყო ევფრატიც, რომელიც საზღვრავდა აკილისენეს მცირე არმენიისაგან) და აქ ცხოვრობდა მანამ, სანამ ალყაშემორტყმული იძულებული არ გახდა გაქცეულიყო მთების გადაღმა კოლხეთში და იქიდან ბოსფორში“. ბოსფორში მითრიდატეს გაქცევის შესახებ სტრაბონი აღნიშნავს XI, 2, 13-შიც ჰენიოხების შესახებ მოთხრობისას.

სხვა ავტორებიც იუწყებიან მითრიდატეს გადასვლაზე კოლხეთში (შდრ. პლუტარქე, პომპეუსი, 32; დიონ კასიუსი, რომის ისტორია, XXXVI); ხოლო აპიანე აზუსტებს, რომ ამ დროს მითრიდატემ „ზამთარი დიოსკურიაში გაატარა“ („მითრიდატიკა“, 101).

ევფრატის სათავეებიდან კოლხეთში და იქიდან ბოსფორში მითრიდატე ევპატორის გადასვლის დეტალური მარშრუტი სულ ნათელი არაა, თუმც მის შესახებ რამდენიმე მოსაზრებაა გამოთქმული.

ი. მანანდიანის მტკიცებით, მითრიდატემ გადალახა მდ. აფსაროსი (შდრ. აპიანე, „მითრიდატიკა“, 101), ე.ი. თანამედროვე მდ. ჭოროხი ქ. ბათუმთან ახლოს და იქიდან სანაპიროთი მივიდა დიოსკურიამდე (Манандян 1940: 100). მაგრამ რამდენადაც ამ დროისთვის ზღვა ბლოკირებული იყო რომაელთა ფლოტით (შდრ. პლუტარქე, პომპეუსი, 32), ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ მითრიდატე მდ. ჭოროხის (აფსაროსის) ხეობით გადავიდა მთის გადაღმა კოლხეთში და მივიდა ვანში მდ. სულორის ხეობით (Лордкипанидзе Г. 1970: 27) ან ზეკარის გადასასვლელით და შემდეგ ხანისწყალი–რიონის გზით (გამყრელიძე 1989: 64). სამწუხაროდ, წყაროთა არაჩვეულებრივი სიმწირის გამო ეს მოსაზრება რჩება მხოლოდ გონებაჭვრეტითი ჰიპოთეზების დონეზე. ფაქტობრივად წყაროების ჩვენების საფუძველზე ჩვენ დაბეჯითებით შეგვიძლია ვამტკიცოთ მხოლოდ შემდეგი: მითრიდატეს ლაშქრობა კოლხეთისაკენ, სტრაბონის ცნობით (XII, 3, 28), დაიწყო ევფრატის მახლობლად აკილისენეს წყალუხვ მთასთან, სადაც შემდგომ პომპეუსმა გააშენა ქალაქი ნიკოპოლისი, რომელიც ლოკალიზებულია დღევანდელ იეშილ-იალასთან (Yeşil-Yala – იხ. Olshausen-Biller 1984: 151). ამის შემდეგ, უკვე აპიანე იუწყება, რომ მითრიდატე შეიჭრა „ხოტენეში, არმენიაში. აქ მან უკუაგდო ხოტენები და იბერები, რომლებიც მას ისრებით და შურდულებით

აბრკოლებდნენ და გადავიდა მდინარე აფსაროსზე („მითრიდატიკა“). აქ მოხსენიებული ხოტენე გაიგივებულია სტრაბონისეულ ხორძენესთან (შდრ. XI, 14, 4-5) და ლოკალიზებულია მდ. ევფრატსა და ჭოროხის (ძველ აფსაროსს) ზედა წელს შორის მდებარე ტერიტორიაზე (იხ. დაწვრ. ზემოთ ამავე წიგნში, თავი IV, 2. 4. 2b). თუ ეს ლოკალიზაცია სწორია, მაშინ მითრიდატეს მდ. აფსაროსი ხოტენედან (შდრ. აპიანე, „მითრიდატიკა“, 101) შეეძლო მხოლოდ დასავლეთის მიმართულებით გადაელახა და ძნელად სავარაუდებელია, რომ ამის შემდეგ მდ. სულორის ხეობით თუ ზეკარის გადასასვლელით ვანში მოხვედრილიყო. ყოველ შემთხვევაში, ძნელად წარმოსადგენია, რომ ბოსფორისაკენ მიმავალი მითრიდატე თავისი მძიმედ შეიარაღებული მხედრებით ძნელად გადასასვლელ მაღალმთიან გზას აირჩევდა. აკი სტრაბონი აღნიშნავს კიდეც, რომ სამშობლოდან გამოქცეულმა და ბოსფორში მიმავალმა მითრიდატემ უარი თქვა ზიგების ქვეყანაზე გავლაზე მისი ცუდგზიანობის გამო (... δία τε δυσχερείας) და მგზავრობდა სანაპიროს გასწვრივ[1] და ბევრს ზღვით (XI, 2, 13: τῇ παραλίᾳ χαλεπῶς ᾖει, τὰ πολλὰ ἐμβαίνων ἐπὶ τὴν θάλατταν).

და ბოლოს, სტრაბონი მითრიდატეს გზასავალზე ასახელებს ქალაქ ფასისსაც: „აქეელები დაეხმარნენ მას და მითრიდატემ ფასისიდან მომავალმა, დაასრულა გზა, რომელიც ბევრად ნაკლები არ იყო 4 000 სტადიონზე“. ვანიდან კი დიოსკურიისაკენ წასვლისას ფასისში მისვლას არავითარი აზრი არ ჰქონდა. ამიტომაც მითრიდატე ევპატორის მიერ ევფრატის სათავეებიდან კოლხეთში გადმოსვლა სულორის ხეობით ვანში და შემდეგ დიოსკურიაში მისვლის მარშრუტი ძნელად დასაჯერებელი ჰიპოთეზაა. უფრო სარწმუნოა, რომ მითრიდატე მდინარე აფსაროსის (თანამედროვე ჭოროხის) გადალახვის შემდეგ მართლაც სადღაც დღევანდელ ქალაქ ბათუმთან ახლოს[2] გავიდა ზღვასთან და იქიდან ნაპირის გასწვრივ სვლით მიაღწია ქალაქ დიოსკურიას.

2. რომაელთა ექსპანსია იბერიასა და კოლხეთში

2.0. რომაელთა სამხედრო ძალების პირველი გამოჩენა ამიერკავკასიაში და პომპეუსის ლაშქრობები სტრაბონის „გეოგრაფია“-ში შედარებით მწირედაა წარმოდგენილი, განსაკუთრებით პომპეუსის ყოფნა იბერიასა და კოლხეთში ძვ.წ. 65 წელს. ერთის შეხედვით, ეს რამდენადმე გაუგებარია, რამდენადაც

1 სწორედ სანაპიროთი მგზავრობას შეიძლება გულისხმობდეს აპიანეს ცნობაც, რომ ბოსფორისაკენ მიმავალმა მითრიდატემ გადაწყვიტა „გარს შემოევლო მთელი პონტოსათვის („მითრიდატიკა“, 101).

2 ბათუმის სამხრეთით მდინარე ჭოროხის ზღვასთან შეერთების ადგილას, როგორც ცნობილია, მდებარეობდა რომაულ და ბიზანტიურ წყაროებში მოხსენიებული ციხე-ქალაქი აფსაროსი, სადაც არქეოლოგიური გათხრების დროს დადასტურებულია გვიანელინისტური ხანის კულტურული ფენებიც (ლორთქიფანიძე-მიქელაძე-ხახუტაიშვილი 1980).

სტრაბონი ფართოდ სარგებლობდა როგორც მითრიდატეს ომების აღმწერთა თხზულებებით (შდრ. მაგ. „გეოგრაფია“, XI, 2, 14 და სხვ.), ასევე პომპეუსის ლაშქრობის მონაწილის თეოფანე მიტილენელის ნაშრომით, რასაც თვითონაც არაერთგზის აღნიშნავს (შდრ. მაგ. XI, 2, 2; XI, 5, 1; XI, 14, 4 და 11; XII, 3, 28; იხ. Arnold 1882; Fabricius 1888). გასაგებია ის ფაქტი, რომ სტრაბონი პომპეუსის ლაშქრობას იბერიასა და კოლხეთში არ უთმობს სათანადო ყურადღებას, არ არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, მაშინ როცა სხვა ავტორები ამას ძალიან დაწვრილებით აკეთებდნენ (Cassius Dio, XXXVII, 1, 1-3; Plut., Pomp., 34; App., Mithr., 103; ისეთი ავტორები, როგორიცაა Eutrop., VI, 14; Festus, XVI და XX და ა. შ., სავარაუდოდ უმეტესწილად ეყრდნობიან დიონ კასიუსის ცნობებს).[1]

ვფიქრობ, არ აქვს ახლა აზრი მარჩიელობას იმის თაობაზე, თუ რატომ არ დაუთმო სტრაბონმა რამდენადმე მნიშვნელოვანი ადგილი თავის „გეოგრაფიაში“ პომპეუსის ლაშქრობას იბერიასა და კოლხეთში, რასაც საკმაოდ დაწვრილებით გადმოსცემენ მთელი რიგი სხვა ავტორები (დიონ კასიუსი, XXXVII, 1-3; პლუტარქე, პომპეუსი, 34; აპიანე, „მითრიდატიკა“, 103; იხსენიებენ აგრეთვე, როგორც ჩანს, ძირითადად დიონ კასიუსის ცნობების მიხედვით ევტროპიუსი, VI, 14 და ფესტუსი, XXI და XX). არსებითად „გეოგრაფია“-ში იბერიასა და კოლხეთში პომპეუსის ლაშქრობის მხოლოდ ფაქტია აღნიშნული და ისიც ასოციაციური წესით: ერთ შემთხვევაში პოსიდონიოსისა და და მისი ცნობების სანდოობის შესახებ მსჯელობისას (XI, 1, 6),[2] ხოლო მეორე შემთხვევაში – იბერიაში არმენიიდან შემოსასვლელის აღწერისას, სადაც ნათქვამია: „ამ შემოსასვლელებით პირველად ისარგებლა პომპეუსმა, რომელიც არმენიიდან მოდიოდა, ხოლო ამის შემდეგ კანიდიუსმა (XI, 3, 5).

2.1.1. არმენიიდან შემოსასვლელი, სტრაბონის ცნობით, იყო მდინარე მტკვრის ვიწროებზე და არაგოსისაზე (XI, 3, 5: ἀπὸ δὲ τῆς Ἀρμενίας τὰ ἐπὶ τῷ Κύρῳ στενὰ καὶ τὰ ἐπὶ τῷ Ἀράγῳ). მაშასადამე პომპეუსი იბერიაში მდინარე მტკვრის გაყოლებით შემოვიდა არმენიიდან. ი. მანანდიანი ვარაუდობდა, რომ პომპეუსის საზამთრო ბანაკი დღევანდელი ახალქალაქ-წუნდის მიდამოებში მდებარეობდა და აქედან აწყური-ბორჯომის მიმართულებით, ე.ი. მდინარე მტკვრის ზემო წელიდან შეიჭრა პომპეუსი იბერიაში (Манандян 1939: 75). ნ. ლომოურმა დამაჯერებლად უჩვენა ამ მოსაზრების უსაფუძვლობა. მისი აზრით, დიონ კასიუსისა (XXXVII, 1-2) და სტრაბონის (XI, 3, 5) ცნობათა შეპირისპირების საფუძველზე ჩანს, რომ არმენიიდან მდინარე მტკვრის შენაკადის – დღევანდე-

1 პომპეუსის ლაშქრობა იბერიასა და კოლხეთში ვრცლადაა განხილული სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაშიც: ჯანაშია 1949: 177-187, Амиранашвили 1938; Манандян 1939; Меликишвили 1959: 322-356; Ломоури 1980: 102-132; Дреер 1994.

2 „...ის მეგობარი ყოფილა პომპეუსისა, რომელმაც ილაშქრა იბერთა და ალბანთა წინააღმდეგ ორივე ზღვამდე, კასპიისა და კოლხეთისა“.

ლი მდ. აღსტაფის ხეობით წამოსული პომპეუსი საზამთროდ ძვ.წ. 66/65 წელს დაბანაკებული იყო მდ. მტკვრის ნაპირას დღევანდელი ყაზახისა და თოუზის მიდამოებში,[1] ხოლო შემდეგ მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირის გაყოლებით, თბილისის შემდეგ მდებარე ვიწროებების[2] გავლით მიადგა იბერიის მეფის სატახტო ქალაქს (დაწვრ. ლომოური 1966: 94-100, 104-106).[3]

2.1.2. საინტერესოა, რომ სტრაბონის ცნობით, იმავე შემოსასვლელით პომპეუსის შემდეგ ისარგებლა აგრეთვე კანიდიუსმა. აქ იგულისხმება პუბლიუს კანიდიუს კრასუსი, რომელიც მარკუს ანტონიუსმა პართიაში ლაშქრობის დროს (იხ. Debevoise 1938: 123f., Бокщанин 1960: 110-117) ძვ.წ. 36 წელს გააგზავნა ამიერკავკასიის ქვეყნების დასამორჩილებლად. იბერთა წინააღმდეგ მისი ლაშქრობის შესახებ იუწყებიან აგრეთვე დიონ კასიუსი („რომის ისტორია", XIX, 24, 1) და პლუტარქე (ანტონიუსი, 34),[4] მაგრამ დასახელებულ ნაწარმოებებში მხოლოდ იბერებთან შებრძოლების ფაქტია აღნიშნული. სტრაბონის ცნობით კი ზუსტდება, რომ კანიდიუს კრასუსს პომპეუსის გზა გაუმეორებია და მაშასადამე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მასაც იბერთა დედაქალაქამდეც მიუღწევია და აქ გაიმართა ის ბრძოლაც, სადაც კრასუსს იბერთა მეფე ფარნავაზი დაუმარცხებია (დიონ კასიუსი, XLIX, 24, 1).[5]

---

1 შდრ. Еремян 1939: 84.

2 იხ. დიონ კასიუსი, რომის ისტორია, XXXVII, 1, 3: პომპეუსი პირველი შეიჭრა იბერიაში, სანამ მისი მეფე არტოკი „შეძლებდა მომზადებას და მეტად ძნელადგასასვლელი ვიწროების დაკავებას" (ὁ Πομπήιος ... ἐς τε τὴν χώραν αὐτοῦ προενέβαλε, πρὶν ἱκανῶς τε αὐτὸν ἑτοιμάσασθαι καὶ τὴν ἐσβολὴν δυσχερεστάτην οὖσαν προκατασχεῖν); შდრ. სტრაბონი, XI, 3, 5: იბერიაში „არმენიიდან შემოსასვლელი არის მტკვრის ვიწროებზე" (ἀπὸ δὲ τῆς Ἀρμενίας τὰ ἐπὶ τῷ Κύρῳ στενὰ).

3 მდინარე არაგოსის (Ἀράγος) ე.ი. თანამედროვე მდინარე არაგვის მოხსენიება სტრაბონთან (XI, 3, 5), როგორც არმენიიდან შემოსასვლელისა, მკვლევართა სამართლიან გაკვირვებას იწვევს, ხოლო ზოგიერთს იგი გადამწერის შეცდომად თუ პირვანდელი ტექსტის დამახინჯებად მიაჩნია. შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ მდინარე არაგვის აქ მოხსენიება ინსპირირებულია ავტორის სურვილით შემოიტანოს ინფორმაცია პომპეუსის ლაშქრობის მარშრუტის შესახებ. დიონ კასიუსის ცნობებიდან კარგად ჩანს, რომ მტკვრის დინების გაყოლებით შემოსულმა პომპეუსმა იბერიის მეფის რეზიდენციასთან (რომელსაც იგი აკროპოლისს უწოდებს და რომელიც შეესატყვისება სტრაბონისეულ არმოზიკეს) გადალახა მდინარე მტკვარი და მიადგა მდინარე არაგვს, რომელიც დიონ კასიუსის თხზულებაში პელორის (Πέλωρος) სახელით იხსენიება (დიონ კასიუსი, რომის ისტორია, XXXVII, 1-2; დაწვრ. ლომოური 1966: 104-106).

4 ფიქრობენ, რომ პუბლიუს კანიდიუს კრასუსის ეს ლაშქრობა გამოწვეული იყო იმით, რომ იბერებმა არ შეასრულეს პომპეუსის წინაშე მიღებული სამოკავშირეო ვალდებულებები (შდრ. Ломоури 1980: 130), რაც გულისხმობდა იბერიის მონაწილეობას საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში (შდრ. Алексидзе 1957: 161-169). სტრაბონიც შენიშნავს იბერთა შესახებ, რომ ისინი აჯანყდებიან (νεωτερίζουσι) ხოლმე მხოლოდ მაშინ, როდესაც რომაელები სხვა საქმეებით არიან გართული (VI, 4, 2).

5 გ. მელიქიშვილის აზრით, ამ ბრძოლაში დამარცხების შემდეგ იბერები ფაქტობრივად დამოუკიდებელნი დარჩნენ და პუბლიუს კანიდიუს კრასუსის შემდეგ რომაელები იბერიაში აღარ შესულან. ამის მოწმობად მას მიაჩნია სტრაბონის ზემოგანხილული ცნობა (XI, 3, 5), სადაც მხოლოდ პომპეუსისა და კანიდიუს კრასუსის ლაშქრობებია იბერიაში დამოწმებული (Меликишвили 1959: 336; მელიქიშვილი 1970თ: 509). აქვეა გასათვალისწინებელი სტრაბონის კიდევ ერთი ცნობა (VI, 4, 2), საიდანაც სულ ნათლად არ ჩანს, ჰყავდათ თუ არა რომაელებს დანიშნული მმართველი იბერიაში. ერთის მხრივ, სტრაბონი აღნიშნავს, რომ იბერები (ისევე როგორც ალბანები) „საჭიროებენ მხოლოდ მმართველთა ყოლას", ხოლო მერმე იქვე დასძენს: „და კარგად მორჩილებენ მას" (Ἴβηρες, παρουσίας δέονται μόνον τῶν ἡγησομένων, καλῶς δὲ

2.1.3. სტრაბონის „გეოგრაფია“-ში თითქოს არაფერია თქმული პომპეუსის ლაშქრობაზე კოლხეთში,[1] რის შესახებ იუწყებიან დიონ კასიუსი (რომის ისტორია, XXXVII, 3), პლუტარქე (პომპეუსი, XXXIV), აპიანე (მითრიდატიკა, 103, 114), ევტროპიუსი (VI, 4) და ფესტუსი (XVI).

სტრაბონი XII, 3, 1-ში აღნიშნავს, რომ „როდესაც პომპეუსმა [მითრიდატე] დაამარცხა და იმავე საზღვრებში მყოფი ქვეყანა დაიპყრო, არმენიასთან და კოლხეთის ირგვლივ მდებარე (ადგილები) თანამებრძოლ დინასტებს გაუნაწილა, ხოლო დანარჩენი (ტერიტორია) დაჰყო თერთმეტ სახელმწიფოდ და ბითვინიას შეუერთა, ისე რომ ორი ეპარქიიდან შექმნა ერთი“. ამ ცნობაში თითქოს კოლხეთი არ იგულისხმება: არც იმ ტერიტორიებს შორის, რომელიც პომპეუსმა თავის თანამებრძოლ დინასტებს დაუნაწილა და არც მით უფრო ბითვინიასთან გაერთიანებულ სახელმწიფოებს თუ ქალაქებს (πολιτείας) შორის (შდრ. Ранович 1949: 70 და შმდ.).

მაგრამ არსებობს მთელ რიგ ავტორთა ცნობები, საიდანაც ჩანს, რომ პომპეუსს კოლხეთში იგივე ღონისძიება ჩაუტარებია, რაც, სტრაბონის სიტყვები რომ გავიმეოროთ, „კოლხეთის ირგვლივ მდებარე ადგილებში“, რომელიც მან „თანამებრძოლ დინასტებს დაუნაწილა“ (XII, 3, 1). ასე მაგ., აპიანე, რომელიც დაწვრილებით გადმოგვცემს თუ კონკრეტულად ვის დაუნაწილა პომპეუსმა რომაელთა მიერ დაპყრობილი ტერიტორიები, იუწყება, რომ „ქმნა – კოლხთა დინასტად არისტარქე“ („მითრიდატიკა“, 114: Ἐποίει... Κόλχων Ἀρίσταρχον δυνάστην). ამასვე იუწყებიან სხვა, მაგრამ უფრო გვიანდელი ავტორებიც: ევტროპიუსი (VI, 14, 1: Pompeius Aristarch von Samothrakeum Colchis regem inposuit) და ფესტუსი (XVI: Idem Pompeius Bosphorianis et Colchis Aristarch von Samothrakeum inposuit).[2]

ამრიგად, ეს ორი უკანასკნელი ავტორი აპიანესაგან განსხვავებით არისტარქეს მეფეს (rex) უწოდებს.[3] უპირატესობა მაინც, ბუნებრივია, აპიანეს ცნობას მიანიჭეს (მით უფრო, რომ იგი ეხმაურება სტრაბონის მითითებას პომპეუსის მიერ კოლხეთის მეზობელი ტერიტორიების აგრეთვე დინასტებისათვის გადაცემის შესახებ). აპიანე კი საკმაოდ დიფერენცირებულად გადმოგვცემს პომპეუსის

κρατοῦνται). სხვა წყაროები იბერიაში რომის მიერ დანიშნული მმართველის შესახებ არ იუწყებიან.

1 სტრაბონის ამ ცნობაში (XII, 3, 1) საუბარია „კოლხეთის ირგვლივ“ (περὶ τὴν Κολχίδα) მდებარე ტერიტორიაზე. XII, 3, 13-შიც ის ადგილები, რომელიც პომპეუსმა გადასცა დეიოტარეს, მდებარეობენ „ფარნაკიასთან და ტრაპეზუსიასთან ვიდრე კოლხეთამდე“ (τὰ περὶ Φαρνακίαν καὶ τὴν Τραπεζουσίαν μέχρι Κολχίδος). თუმც VI, 4, 2-ში არის ასეთი ცნობა: „მთელი ქვეყანა ფასისისა და ევფრატის შიგნით გარდა არაბეთის ზოგი (ნაწილისა) რომაელების გამგებლობაშია და მათი დაყენებული დინასტების ქვეშაა“. მაგრამ აქ მდინარე ფასისის ქვეშ, როგორც ჩანს, არ იგულისხმება კოლხეთის მდინარე.

2 შდრ. Eadie 1967: 83-84, 130.

3 ფესტუსის ზემოთმოტანილი ცნობით (XVI), არისტარქე თითქოს ბოსფორის მეფედაც დაუსვამს პომპეუსს. მაგრამ ეს ცნობა სინამდვილეს არ უნდა შეეფერებოდეს, რამდენადაც, აპიანეს ცნობით, იმავე დროს პომპეუსმა ბოსფორი „გადასცა ფარნაკეს“ („მითრიდატიკა“, 114). იხ. აგრეთვე ბერძნიშვილი 1969: 75-76.

ღონისძიებებს („მითრიდატიკა“, 114): „დაპყრობილ ხალხთაგან ზოგს დამოუკიდებლობა მისცა მოკავშირეობის პირობით (συμμαχίας οὕνεκα), სხვები მაშინვე რომაელთა ქვეშევრდომებად (ὑπὸ Ῥωμαίοις εὐθος οὕνεκα) აქცია, ზოგიც კიდე სამეფოებად (ἐὶς βασίλεια) გადასცა: ტიგრანს – არმენია, ფარნაკეს – ბოსფორი, არიობარზანესს – კაპადოკია და სხვა მხარეები, რომლებზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი. ანტიოქე კომაგენელს მან ჩააბარა სელევკია და მესოპოტამიის სხვა ნაწილები, რომლებიც კი მან დაარბია. დეიოტარე და სხვები მან ტეტრარქებად (τετράρχας) დაუყენა გალოგრეკებს, რომელნიც ახლანდელი გალატები არიან, კაპადოკიელების მეზობლები; პაფლაგონიაში – ატალოსი, ხოლო კოლხთა დინასტად (δυνάστην) – არისტარქე. კომანაში არქელაოსი გამოაცხადა ქალღმერთის ქურუმად, რაც სამეფო ხელისუფლებას (δυναστεία βασιλική) ედრება, ხოლო ფანაგორიელი კასტორი – რომაელთა მეგობრად (Ῥωμαίων φίλον). ამრიგად, არისტარქე არც მეფეა (მსგავსად ტიგრანის, ფარნაკეს, არიობარზანის და სხვ.), არც ტეტრარქი (მსგავსად დეიოტარესი),[1] არც რომაელთა მეგობარი, არამედ იგი პომპეუსმა „ქმნა“ (ἐποίει) დინასტად. ამ ტერმინით (δυνάστης) ელინისტურ ხანაში ჩვეულებრივ აღინიშნებოდა „მმართველი“, „გამგებელი“ და არა „მეფე“ (ყაუხჩიშვილი 1959: 29-30). ამიტომაც მკვლევართა უმრავლესობა თვლის, რომ არისტარქე იყო მხოლოდ მმართველი და არა მეფე. ამის მოწმობადაა მიჩნეული აგრეთვე არისტარქეს სახელით მოჭრილი ვერცხლის მონეტა,[2] რომლის წარწერაში იგი იხსენიება ეპითეტის „მეფის“ გარეშე: Ἀριστάρχου τοῦ ἐπὶ Κολχίδος, რომელსაც ჩვეულებრივ თარგმნიან ასე: „არისტარქე კოლხეთის მმართველი“ ან „არისტარქე, რომელიც მართავდა კოლხეთს“. ამ წარწერის ქვეშ აღნიშნული ორი ასო BI აღნიშნავს მისი მმართველობის მე-12 წელს, ე.ი. ძვ.წ. 52/51 წწ., საიდანაც ჩანს, რომ ძვ.წ. 63 წელს დანიშნული არისტარქე კოლხეთის მმართველი იყო 52/51 წლებშიც (დაწვრ. არისტარქესა და მისი მმართველობის შესახებ იხ. Лордкипанидзе Г. 1970: 36-38; Ломоури 1980: 115-117; მელიქიშვილი 1970თ: 505-507; Голенко 1974). ივარაუდება, რომ ამ დროისათვის არისტარქემ მიაღწია გარკვეულ დამოუკიდებლობას და განახორციელა მონე-

1 შდრ. სტრაბონი, „გეოგრაფია“, XII, 3, 13: „ამ ქვეყნის (ე.ი. პონტოს – ო. ლ.) ერთი ნაწილი უჭირავთ ამისელებს, მეორე კი პომპეუსმა გადასცა დეიოტარეს, ისევე როგორც ის ადგილები, რომლებიც მდებარეობდნენ ფარნაკიასთან და ტრაპეზუსიასთან ვიდრე კოლხიდამდე და მცირე არმენიამდე. ამათ მეფედ გამოცხადდა (დეიოტარე), რომელსაც ჰქონდა აგრეთვე გალატთა მამეული ტეტრარქობა (πατρῴαν τετραρχίαν τῶν Γαλατῶν).

2 მონეტა წარმოადგენს დრაქმას, რომლის შუბლზე გამოსახულია მარჯვნივ მიმართული უწვერული მამაკაცის თავი სხივებიან გვირგვინში, ხოლო ზურგზე – მაღალზურგიან ტახტზე მჯდომარე მარჯვნივ მიმართული ქალღვთაება კოშკურა გვირგვინით. მარჯვენა ხელით მას საჭე უპყრია, მარცხენაში სფეროსებრი საგანია. გამოსახულებას ახლავს ბერძნული წარწერა: ΤΟΥ ΕΠΙ ΚΟΛΧΙΔΟΣ ΑΡΙΣΤΑΡΧΟΥ ΒΙ. ცნობილია ასეთი მონეტის 5 ეგზემპლარი, რომელთაგან მხოლოდ ერთის შესახებაა ცნობილი, რომ ნაპოვნია ქ. სოხუმთან (ინახება სანქტ-პეტერბურგში, სახელმწიფო ერმიტაჟში). ძირითადი პუბლიკაციებია – Jenkins 1959; კაპანაძე 1969: 41-42; Голенко 1974; Дундуа 1987: 131-132). ივარაუდება, რომ ეს მონეტები მოჭრილია ქალაქ ფასისში (რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი არისტარქეს რეზიდენციად ვარაუდობს) ან დიოსკურიაში (დაწვრ. Голенко 1974: 108-109; Дундуа 1987: 131-132).

ტის ემისია, თუმც ვერ გაბედა თავისი თავის მეფედ მოხსენიება (Лордкипанидзе Г. 1965: 130). სამწუხაროდ, წყაროები არაფერს იუწყებიან მისი მმართველობის კონკრეტული ხასიათის შესახებ. საფიქრებელია, რომ იგი რომაელთა ხელისუფლების ნაცვალს წარმოადგენდა[1] (ისევე როგორც უფრო ადრე მითრიდატეს მიერ დანიშნული პირები, რომელთაც სტრაბონი ὕπαρχος და διοικητὴς τῆς χώρας უწოდებდა – XI, 2, 18).[2] ფიქრობენ, რომ არისტარქეს მმართველობა კოლხეთში გაგრძელდა ძვ.წ. 49 წლამდე და იგი დაიღუპა ფარნაკეს წინააღმდეგ ბრძოლაში (შდრ. Лордкипанидзе Г. 1970: 41; Ломоури 1980: 123-124).[3]

2.2.1. ბოსფორის მეფე ფარნაკეს (მითრიდატე VI ევპატორის ძის) მიერ კოლხეთის დალაშქვრის შესახებ ცნობა შემონახულია სტრაბონის „გეოგრაფია"-ში (XI, 2, 17), სადაც საუბარია ლევკოთეას მდიდარი სამლოცველოს[4] გაძარცვის შესახებ. დიონ კასიუსიც იუწყება ფარნაკეს მიერ კოლხეთის დაპყრობას: „... მან (ე.ი. ფარნაკემ – ო. ლ.) მოინდომა მთელი მამისეული სამეფოს (πᾶσαν τὴν πατρῴαν βασιλείαν) დაბრუნება და აჯანყდა სწორედ კეისრისა და პომპეუსის ურთიერთშორის ბრძოლის დროს". მან ადვილად დაიპყრო კოლხეთი (τήν τε Κολχίδα ἀκονιτὶ προσηγάγετο: „რომის ისტორია", XLII, 45). პომპეუსსა და კეისარს შორის გადამწყვეტი ბრძოლა დაიწყო რუბიკონის გადალახვის შემდეგ – ძვ.წ. 49 წელს. მეორეს მხრივ, არსებობს აპიანეს ცნობა (Bell. Alex., 34), საიდანაც ჩანს, რომ ძვ.წ. 48 წლის შემოდგომისათვის ფარნაკეს უკვე დაკავებული ჰქონდა და აოხრებული მცირე არმენია და კაპადოკია (დაწვრ. Максимова 1956: 297-298). ამრიგად, დიონ კასიუსის მიხედვით, მითრიდატე VI ევპატორის სახელმწიფოს აღდგენით გატაცებულმა ფარნაკემ კოლხეთი დაიპყრო ძვ.წ. 49 ან 48 წლის დასაწყისში, მაგრამ ფარნაკეს კოლხეთში ბატონობის და მმართველობის ფორმების შესახებ ჩვენ სხვა არაფერი ვიცით, გარდა ლევკოთეას სამლოცველოს გაძარცვისა, რომელსაც სტრაბონი იუწყება. მისივე ცნობით, ფარნაკეს შემდეგ ლევკოთეას

1 არისტარქეს დრაქმის შუბლზე გამოსახული მამაკაცის თავი ზოგიერთ მკვლევარს პომპეუსის (Jenkins 1959: 32) ან პომპეუსისათვის დამახასიათებელი იკონოგრაფიული ნიშნებით ჰელიოსის გამოსახულებად (Голенко 1974: 107-108) მიაჩნია და ამ ფაქტში ხედავს არისტარქეს პომპეუსის მიმართ ვასალური დამოკიდებულების აღიარებას (იხ. აგრეთვე Лордкипанидзе Г. 1970: 40; Дундуа 1987: 131-132).

2 საინტერესოა, რომ დიონ კასიუსის ცნობით (XXXVIII, 20, 3), პომპეუსი აზიაში რომაელთა პოლიტიკური გავლენის დამკვიდრებისას მეტწილად ინარჩუნებდა არსებულ სტრუქტურებს და მათ მხოლოდ ახალ იერს აძლევდა (შდრ. აგრეთვე Magie 1950).

3 თუმც ამის შესახებ წყაროებში არაფერია ნათქვამი. ამიტომ ეს და აგრეთვე სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში (იხ. გვ. 233, შენ. 1) გამოთქმული მთელი რიგი სხვა მოსაზრებანი არისტარქესა და მისი მმართველობის შესახებ (მაგ. მისი ადგილობრივი წარმომავლობა, მმართველობის ხასიათი, რეზიდენცია და სხვ.) რჩება მხოლოდ გონებაჭვრეტითი ვარაუდების დონეზე. მხოლოდ ერთი რამის თქმა შეიძლება გადაჭრით: პომპეუსის ღონისძიებები კოლხეთში არ ითვალისწინებდა რეგიონალური გარნიზონების ჩაყენებას. ეს ხდება რამდენადმე გვიან, ყოველ შემთხვევაში, არა უადრეს ახ.წ. I ს-ის 80-იანი წლებისა და უკავშირდება ე.წ. პონტოს ლიმესის (Limes Ponticus) თუ ე.წ. კავკასიის საზღვრების ფორმირებას (Леквинадзе 1969; სპაიდელი 1985; შდრ. Ломоури 1986; Тодуа 1990: 82-83).

4 ამ სამლოცველოს ლოკალიზაციის შესახებ დაწვრ. იხ. ამავე წიგნში.

სამლოცველო გაუძარცვია მითრიდატე VII პერგამონელს, რომელსაც კეისარმა ბოსფორის სამეფო უბოძა. დაიპყრო თუ არა მითრიდატე პერგამონელმა კოლხეთი, ჩვენთვის უცნობია. ყოველ შემთხვევაში შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მისი გამოჩენა კოლხეთში ძვ.წ. 47 წელს უფრო ფარნაკეს საწინააღმდეგო აქციით აიხსნება, ვიდრე მხოლოდ ლევკოთეას სამლოცველოს გაძარცვის მიზნით (Гайдукевич 1949: 313; შდრ. Ломоури 1980: 124).

3.1. სტრაბონის „გეოგრაფია"-ში არის მოკლე, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანი მითითება კოლხეთის პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ ძვ.წ. 49-47 წლის მოვლენების, ე.ი. ფარნაკესა და მითრიდატე პერგამონელის ლაშქრობის შემდეგ:

XI, 2, 18: ὕστατα δὲ Πολέμων ἔσχε τὴν Κολχίδα, κἀκείνου τελευτήσαντος ἡ γυνὴ Πυθοδωρὶς κρατεῖ, βασιλεύουσα καὶ Κόλχων καὶ Τραπεζοῦντος καὶ Φαρνακίας καὶ τῶν ὑπερκειμένων βαρβάρων, περὶ ὧν ἐροῦμεν ἐν τοῖς ὕστερον.


„...უკანასკნელად პოლემონს ჰქონდა კოლხეთი, ხოლო როდესაც ის მოკვდა, მისი მეუღლე პითოდორისი ფლობდა, [რომელიც] მეფობდა კოლხებზე, ტრაპეზუნტზე, ფარნაკიაზე და ზემოთ მცხოვრებ ბარბაროსებზე, რომელთა შესახებ შემდეგ ვილაპარაკებთ".[17]

ამრიგად, ამ ცნობაში ასახულია კოლხეთის კვლავ გაერთიანება რომაელთა მიერ აღდგენილ პონტოს სამეფოში, რომელსაც ძვ.წ. 37 წ. სათავეში ჩაუყენეს კილიკიის დინასტი პოლემონი (დაწვრ. Hoben 1969: 42). წყაროებში არაა შემონახული რაიმე ცნობა იმის შესახებ, თუ როგორი იყო მანამდე კოლხეთის პოლიტიკური სტატუსი და თუ როდის და რა პირობებში მოხდა კოლხეთის გადასვლა პოლემონის მფლობელობაში,[1] რაც გაგრძელებულა სტრაბონის ცნობით, მისი მეუღლის და ანტონიუსის ქალიშვილის – პითოდორისის[2] დროსაც, ე.ი. ძვ.წ. 8/7 წლიდან ახ.წ. 22/23 (Reinach 1870: 143f.) თუ 34/35 (Magie 1950: 513).[3]


1 მკვლევართა ერთი ნაწილი ვარაუდობს, რომ ეს უნდა მომხდარიყო ანტონიუსის დროს (Ломоури 1980: 126-127; Тодуа 1990: 74-75), სხვების აზრით კი – ავგუსტუსის დროს (Инадзе 1968: 240).

2 სტრაბონის თქმით, ეს იყო „ჭკვიანი ქალი და შემძლე საქმეთა გამგებლობისა" (XII, 3, 29: Πυθοδωρὶς, γυνὴ σώφρων καὶ δυνατὴ προϊστασθαι πραγμάτων) შდრ. Macurdy 1937: 33-49; Hoben 1969: 43-53, 187-192.


3 ამის შემდგომი პერიოდის კოლხეთის შესახებ, კერძოდ პოლემონ II-ის დროს, რომელსაც გადაეცა პოთოდორისის ზოგიერთი სამფლობელო, იხ. Тодуа 1990: 74-75 და შმდ.




სურ. I. ძველი საქართველოს საზღვრები



სურ. II. საქართველოს მდინარეები




სურ. III. საერთო ქართველური ფუძეენის დიფერენციაცია G. Deeters-ის მიხედვით




სურ. IV. საერთო ქართველური ფუძეენის დიფერენციაცია (G. Deeters-ის მიხედვით) და


სტრაბონის „გეოგრაფია“




სურ. V. ეთნიკური განსახლების რუკა




სურ. VI კოლხეთის ქალაქები




სურ. VII. სარაპანას სიმაგრის გეგმა



სურ. VIII. ლევკოთეას სამლოცველოს ლოკალიზაციის ვარიანტები: 1. ნოქალაქევი; 2. ვანი; 3. საირხე; 4. ხუცუბანი; 5. აწყური; 6. მესხეთი



სურ. IX. იბერიის ქალაქები



სურ. X. არმაზისციხე-ბაგინეთი

ლიტერატურა

აბდალაძე 1984 – მოვსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ. თბილისი, 1984.

აბულაძე 1953 – ი. აბულაძე, ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი. თბილისი, 1953.

ალექსიძე 1985 – ზ. ალექსიძე, „ცხოვრება ფარნავაზისი". – მნათობი, № 12, 1985, გვ. 152-157.

ახვლედიანი 1943 – გ. ახვლედიანი, აქემენიდთა ლურსმული წარწერების MAČIYĀ ხაღხის იდენტიფიკაციის საკითხისათვის. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, IV, № 5. თბილისი, 1943, გვ. 483-490.

აფაქიძე 1958 – ა. აფაქიძე, ანტიკური წყაროების Σευσάμορα-წიწამური. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკვ. 1, თბილისი, 1958.

აფაქიძე 1963 – ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბილისი, 1963.

აფაქიძე 1975 – ა. აფაქიძე, „დიდი პიტიუნტი" – არქეოლოგიური გათხრები საქართველოში. – „დიდი პიტიუნტი", 1, თბილისი, 1975, გვ. 13-126.

ბარდაველიძე 1952 – ვ. ბარდაველიძე, ხევსურული თემი, სტრუქტურა და ჯვარისყმობის ინსტიტუტი. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIII, № 8. თბილისი, 1952.

ბარდაველიძე 1952ა – ვ. ბარდაველიძე, ხევსურული თემის მმართველობის სისტემა. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 13, № 10. თბილისი, 1952.

ბარდაველიძე 1959 – ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. თბილისი, 1959.

ბერაძე 1977 – თ. ბერაძე, ვანის რაიონის ისტორიული გეოგრაფიიდან. – ვანი II, თბილისი, 1977, გვ. 28-42.

ბერაძე 1981 – თ. ბერაძე, ზღვაოსნობა ძველ საქართვლოში. თბილისი, 1981.

ბერძენიშვილი დ. 1979 – დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. თბილისი, 1979.

ბერძენიშვილი ქ. 1963 – ქ. ბერძენიშვილი, სამთავროში აღმოჩენილი უცხო იერის ჭიპის ჭურჭელი. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XXX, № 4. თბილისი 1963, გვ. 521-526.

ბერძენიშვილი ნ. 1953 – ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე. – მიმომხილველი, III. თბილისი, 1953, გვ. 287-305.

ბერძენიშვილი ნ. 1964 – ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები. თბილისი, 1964.

ბერძნიშვილი 1942 – მ. ბერძნიშვილი, ქალაქ ფასისის ლოკალიზაციისათვის. – თბილისის უნივერსიტეტის შრომები, XXIII. თბილისი, 1942, გვ. 1-24.

ბერძნიშვილი 1969 – მ. ბერძნიშვილი, ქალაქ ფასისის ისტორიისათვის. თბილისი, 1969.

ბოჭორიშვილი 1946 – ლ. ბოჭორიშვილი, ოქრომჭედლობა სვანეთში. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, VII, 5. თბილისი, 1946, გვ. 283-289.

გამყრელიძე 1973 – ა. გამყრელიძე, ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ. თბილისი, 1973.

გამყრელიძე 1982 – გ. გამყრელიძე, ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები. თბილისი, 1982.

გამყრელიძე 1987 – გ. გამყრელიძე, წყალქვეშა არქეოლოგიური ექსპედიციის კვლევა-ძიება ქ. ფოთის მიდამოებში. – მაცნე, (ისტორიის...სერია), № 1. თბილისი, 1987, გვ. 97-117.

გამყრელიძე 1989 – გ. გამყრელიძე, მითრიდატე ევპატორი და კოლხეთ-იბერიის ისტორიის საკითხები. – მაცნე (ისტორიის...სერია), № 2. თბილისი, 1989, გვ. 59-69.

გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965 – თ. გამყრელიძე. გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში. საერთო ქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია. თბილისი, 1965.

გამსახურდია 1970 – თ. გამსახურდია, პიტიახშის ინსტიტუტის საკითხისათვის. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მაცნე, № 6. თბილისი, 1970, გვ. 49-74.

გეგეშიძე 1961 – მ. გეგეშიძე, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში. თბილისი, 1961.

გიგინეიშვილი 1975 – ბ. გიგინეიშვილი, ეთნონიმ ჰენიოხის წარმომავლობის საკითხისათვის. – მაცნე (ისტორიის...სერია), № 1. თბილისი, 1975, გვ. 115-124.

გიორგაძე 1985 – გრ. გიორგაძე, ხეთურ-არმაზული „ტრიადები". – „მნათობი", № 7. თბილისი, 1985, გვ. 147-157.

გოგაძე ე. 1972 – ე. გოგაძე, თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი. თბილისი, 1972.

გოზალიშვილი გ. 1962, 1965² – გ. გოზალიშვილი, მითრიდატე პონტოელი. თბილისი, 1962,1965².

გორდეზიანი 1971 – რ. გორდეზიანი, „ფასისის" ეტიმოლოგიისათვის. – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 140. თბილისი, 1971, გვ. 181-186.

გორდეზიანი 1975 – რ. გორდეზიანი, ჰეროდოტეს ცნობა კოლხთა წარმომავლობის შესახებ. – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 162. თბილისი, 1975, გვ. 35-45.

დიდი პიტიუნტი – დიდი პიტიუნტი. არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, რედ. ა. აფაქიძე. თბილისი, I, 1975; II, 1977; III, 1978.

დუნდუა 1967 – გ. დუნდუა, საქართველოსა და პონტოს სამეფოს ურთიერთობა (ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით). – ძეგლის მეგობარი, 10-11. თბილისი, 1967, გვ. 59-61.

დუნდუა 1974 – გ. დუნდუა, იჭრებოდა თუ არა მონეტა ვანში. – მაცნე (ისტორიის სერია), № 2. თბილისი, 1974, გვ. 146-159.

დუნდუა, ლორთქიფანიძე 1977 – გ. დუნდუა, გ. ლორთქიფანიძე, მონეტები ვანიდან. – ვანი III, 1977, გვ. 119-152.

ვანი – ვანი. არქეოლოგიური გათხრები, რედ. ოთ. ლორთქიფანიძე, I-VIII. თბილისი, 1972-1989.

ვაშაკიძე 1991 – ვ. ვაშაკიძე, ელინისტური ხანის ქართლის სამეფოს სოციალური ისტორიიდან. თბილისი, 1991.

ვახუშტი 1973 – აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება" (ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ), ტ. IV, თბილისი, 1973.

თაყაიშვილი 1907 – ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები. თბილისი, 1907.

თოფურია 1968 – გ. თოფურია, ერთი ჰიპოთეტური ფორმის რეალურობისათვის ზანური ენის არეალიდან (სამცხის ტოპონიმიკიდან). – მაცნე, № 6. თბილისი, 1968, გვ. 167-171.

ინაძე 1955 – მ. ინაძე, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე ტომების ისტორიისათვის. – მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 32, 1955, გვ. 13-21.

ინაძე 1960 – მ. ინაძე, ანტიკური ხანის შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპიროს მოსახლეობის საკითხისათვის. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1960, №2, გვ. 145-164.

ინაძე 1961 – მ. ინაძე, კოლხეთის სამეფოს სკეპტუხიათა საკითხისათვის. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XXVI, 3, თბილისი, 1961, გვ. 783-789.

ინაძე 1962 – მ. ინაძე, ანტიკური ხანის კოლხეთის ქალაქები (დიოსკურია). – ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. V, ნაკვ. 2, თბილისი, 1962, გვ. 187-211.

ინაძე 1982 – მ. ინაძე, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია. თბილისი, 1982.

ინაძე 1992 – მ. ინაძე, ლეგენდა და ისტორიული სინამდვილე სტრაბონთან. – ლიტერატურა და ხელოვნება, 3-4. თბილისი, 1992, გვ. 112-120.

ინგოროყვა 1941 – პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული მატიანე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია. – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XI-B, თბილისი, 1941, გვ. 259-317.

ინგოროყვა 1954 – პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე. თბილისი, 1954.

იოსელიანი 1973 – ა. იოსელიანი, ნარკვევები კოლხეთის ისტორიიდან. თბილისი, 1973.

კაკაბაძე 1924 – ს. კაკაბაძე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები. – საისტორიო მოამბე, I. თბილისი, 1924, გვ. 1-120.

კალანდაძე 1953 – ალ. კალანდაძე, სუხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი, 1953.

კაპანაძე 1969 – დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა. თბილისი, 1969.

კეჭაღმაძე 1961 – ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნათელა კეჭაღმაძისა. თბილისი, 1961.

კვირკველია 1978 – გ. კვირკველია, იაშთხვას ადრეანტიკური ხანის სამარხები. – საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, 1. თბილისი, 1978, გვ. 74-80.

კვირკველია 1979 – გ. კვირკველია, ძველი დიოსკურია. – ძეგლის მეგობარი, № 49, 1979, გვ. 18-20.

კვიჟინაძე 1983 – კ. კვიჟინაძე, წნისისხევის ადრეელინისტური ხანის სამაროვანი. – ძეგლის მეგობარი, 63, 1983, გვ. 28-32.

კოჭლავაშვილი 1962 – ა. კოჭლავაშვილი, საქართველოს სამთამადნო მეტალურგიული მრეწველობის განვითარება XIX საუკუნეში. თბილისი, 1962.

კუტალეიშვილი 1987 – ზ. კუტალეიშვილი, ნაოსნობა საქართველოში. თბილისი, 1987.

ლანჩავა 1974 – ო. ლანჩავა, დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. – მაცნე (ისტორიის სერია), № 4. თბილისი, 1974, გვ. 129-136.

ლანჩავა 1975 – ო. ლანჩავა, ქუთაისის ძველი ისტორიისათვის. ქუთაისი, 1975.

ლეჟავა 1978 – გ. ლეჟავა, ანტიკური ხანის საქართველოს არქიტექტურული ძეგლები. თბილისი, 1978.

ლიჩელი 1991 – ვ. ლიჩელი, ძველი ვანი. სამეურნეო უბანი. თბილისი, 1991.

ლომოური 1955 – ნ. ლომოური, იბერიის საზღვრების საკითხისათვის ანტიკურ ხანაში. – სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VII, სოხუმი, 1955, გვ. 3-11.

ლომოური 1955ა – ნ. ლომოური, კლაუდიუს პტოლემაიოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო". – მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის", 32. თბილისი, 1955, გვ. 39-66.

ლომოური 1958 – ნ. ლომოური, საქართველოს სავაჭრო გზები. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV/1. თბილისი, 1958, გვ. 99-118.

ლომოური 1963 – ნ. ლომოური, ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ. – მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის", 35. თბილისი, 1963, გვ. 3-35.

ლომოური 1963ა – ნ. ლომოური, კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაციის საკითხები. თბილისი, 1963.

ლომოური 1966 – ნ. ლომოური, დიონ კასიუსის ცნობები საქართველოს შესახებ. თბილისი, 1966.

ლომოური 1971 – ნ. ლომოური, „კოლხიდის" და „კოლხების" გაგებისათვის. – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, B-I (138). თბილისი, 1971, გვ. 19-31.

ლორთქიფანიძე გ. 1991 – გ. ლორთქიფანიძე, ბიჭვინტის ნაქალაქარი. თბილისი, 1991.

ლორთქიფანიძე მ. 1963 – მ. ლორთქიფანიძე, გვიანაქემენიდური ხანის მცირეაზიური საბეჭდავების იბერიული პირები – ლურჯი მინის მრავალწახნაგა საბეჭდავები. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, № 6. თბილისი, 1963, გვ. 134-154.

ლორთქიფანიძე მ. 1976 – მ. ლორთქიფანიძე, არქაული და „არქაიზირებული" საბეჭდავი-ბეჭდები ვანიდან. – ვანი II. თბილისი, 1976, გვ. 116-166.

ლორთქიფანიძე ოთ. 1955 – ოთ. ლორთქიფანიძე, ხალდის თემი. – თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთა შრომების კრებული, VI, 1955, გვ. 99-116.

ლორთქიფანიძე ოთ. 1957- ოთ. ლორთქიფანიძე, ანტიკურ ხანაში ინდოეთიდან შავიზღვისაკენ მიმავალი სატრანზიტო-სავაჭრო გზის შესახებ. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XIX, № 3. 1957, გვ. 377-384.

ლორთქიფანიძე ოთ. 1958 – ოთ. ლორთქიფანიძე, სამეფო მიწის მფლობელობის შესახებ ანტიკური ხანის იბერიაში. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XXI, № 6, გვ. 759-768.

ლორთქიფანიძე ოთ. 1966 – ოთ. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი. თბილისი, 1966.

ლორთქიფანიძე ოთ. 1968 – ოთ. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო. თბილისი, 1968.

ლორთქიფანიძე ოთ. 1972 – ოთ. ლორთქიფანიძე, ვანის ნაქალაქარი: გათხრები, ისტორია, პრობლემები. — ვანი I. თბილისი, 1972, გვ. 7-42.

ლორთქიფანიძე ოთ. 1977 – ოთ. ლორთქიფანიძე, ვანის ნაქალაქარი: გათხრები, ისტორია, პრობლემები. — ვანი III. თბილისი, 1977, გვ. 159-175.

ლორთქიფანიძე ოთ. 1986 – ოთ. ლორთქიფანიძე, არგონავტიკა და ძველი კოლხეთი. თბილისი, 1986.

ლორთქიფანიძე ოთ. 2002 – ოთ. ლორთქიფანიძე, ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბილისი, 2002.

ლორთქიფანიძე, ლანჩავა 1991 – ოთ. ლორთქიფანიძე, ო. ლანჩავა, ქუთაისის ახალი აღმოჩენები. – დავით აღმაშენებელი. ქუთაისი, 1991.

ლორთქიფანიძე ოთ., მიქელაძე 1960 – ოთ. ლორთქიფანიძე, თ. მიქელაძე, მასალები ბათუმის რაიონის არქეოლოგიისათვის. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XXIV, 6. თბილისი, 1960, გვ. 761-768.

ლორთქიფანიძე ოთ., მიქელაძე 1973 – ოთ. ლორთქიფანიძე, თ. მიქელაძე, ფასისის ისტორიულ-არქეოლოგიური შესწავლის პრობლემა. – სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ქალაქ ფასისის ლოკალიზაცის პრობლემისადმი. მოხსენებები. თბილისი, 1973, გვ. 17-36.

ლორთქიფანიძე ოთ., მიქელაძე, ხახუტაიშვილი 1980 – ოთ. ლორთქიფანიძე, თ. მიქელაძე, დ. ხახუტაიშვილი, გონიოს განძი. თბილისი, 1980.

ლორთქიფანიძე და სხვ. 1972 – ოთ. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე და სხვ., არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969. – ვანი I. თბილისი, 1972, გვ. 198-242.

მაკალათია 1941 – ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბილისი, 1941.

მარუაშვილი 1970 – ლ. მარუაშვილი, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია. თბილისი, 1970.

მელიქიშვილი 1962 – გ. მელიქიშვილი, ძველი ქართული, სომხური და ბერძნული საისტორიო ტრადიცია და ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნის საკითხი. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, № 2. თბილისი, 1962, გვ. 221-236.

მელიქიშვილი 1965 – გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის. თბილისი, 1965.

მელიქიშვილი 1966 – გ. მელიქიშვილი, შავი ზღვა ძვ.წ. XIII-XII სს. ასურულ ლურსმულ წარწერებში. – კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები. თბილისი, 1966, გვ. 26-33.

მელიქიშვილი 1970 – გ. მელიქიშვილი, ქართველები და მათი წარმომავლობის საკითხები. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I. თბილისი, 1970, გვ. 312-357.

მელიქიშვილი 1970ა – გ. მელიქიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I. თბილისი, 1970, გვ. 358-391.

მელიქიშვილი 1970ბ – გ. მელიქიშვილი, ადრეკლასობრივ სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარება ელინისტური ხანის ქართლის სამეფოში. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I. თბილისი, 1970, გვ. 483-499.

მელიქიშვილი 1970გ – გ. მელიქიშვილი, ახ.წ. პირველი საუკუნეების ქართლის სოციალურ-ეკონომიური და სახელმწიფოებრივი წყობილების საკითხები. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I. თბილისი, 1970, გვ. 570-660.

მელიქიშვილი 1970დ – გ. მელიქიშვილი, ქართლი (იბერია) ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში: ქართლის სამეფოს წარმოქმნა. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. I. თბილისი, 1970, გვ. 422-444.

მელიქიშვილი 1970ე – გ. მელიქიშვილი, ქართული პოლიტიკური და ეთნიკური წარმონაქმნები ელინისტურ ხანაში. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I. თბილისი, 1970, გვ. 445-467.

მელიქიშვილი 1970ვ – გ. მელიქიშვილი, კოლხეთი ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I. თბილისი, 1970, გვ. 400-422.

მელიქიშვილი 1970ზ – გ. მელიქიშვილი, ისტორიული კოლხეთის მოსახლეობა ძვ.წ. II-I საუკუნეებში. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I. თბილისი, 1970, გვ. 468-483.

მელიქიშვილი 1970თ – გ. მელიქიშვილი, საქართველო ახ.წ. I-III საუკუნებში. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I. თბილისი, 1970, გვ. 500-579.

მელიქსეთ-ბეგი 1960 – ლ. მელიქსეთ-ბეგი, პირველი აქემენიდები და ამიერკავკასიის მდინარეთა სახელწოდებები. – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 91, 1960.

მოქცევაჲ ქართლისაჲ 1963 – მოქცევაჲ ქართლისაჲ. – ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბილისი 1963.

მიქელაძე 1955 – თ. მიქელაძე, ფასიანების ეთნიკური კუთვნილების საკითხისათვის. – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 32, თბილისი 1955, გვ. 23-37.

მიქელაძე 1967 – თ. მიქელაძე, ქსენოფონტის „ანაბასისი". თბილისი, 1967.

მიქელაძე 1974 – თ. მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან (ძვ.წ. II-I ათასწლეულები). თბილისი, 1974.

მიქელაძე 1978 – თ. მიქელაძე, არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე, თბილისი, 1978.

მიქელაძე 1985 – თ. მიქელაძე, კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები. თბილისი, 1985.

მოლოდინი 1963 – ლ. მოლოდინი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბილისი, 1963.

მუსხელიშვილი 1966 – დ. მუსხელიშვილი, ციხე-ქალაქი უჯარმა. თბილისი, 1966.

მუსხელიშვილი 1970 – დ. მუსხელიშვილი, ამიერკავკასიისა და საქართველოს მნიშვნელობა საერთაშორისო ვაჭრობაში. – „ცისკარი", 11. თბილისი, 1970.

მუსხელიშვილი 1977 – დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. თბილისი, 1977.

ნადირაძე 1975 – ჯ. ნადირაძე, ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი, 1975.

ნადირაძე 1990 – ჯ. ნადირაძე, საირხე – საქართველოს უძველესი ქალაქი. თბილისი, 1990.

ნასიძე 1990 – გ. ნასიძე, კოლხური კულტურის ახალი კერა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის პრეპრინტი. თბილისი, 1990.

ნოდია 1970 – ი. ნოდია, ქალდიის თემი. – მაცნე, № 5, 1970, გვ. 103-112.

ნორაკიძე 1971 – ნ. ნორაკიძე, ზანიზმები სამცხის გეოგრაფიულ სახელებში. – მნათობი, № 4. თბილისი, 1971.

ორბელიანი 1991 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I. თბილისი, 1991.

პაპუაშვილი 1970 – თ. პაპუაშვილი, იმერეთის ისტორიის საკითხები. თბილისი, 1970.

პაპუაშვილი 1982 – თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო (VIII-XII სს.). თბილისი, 1982.

ჟღენტი 1940 – ს. ჟღენტი, ზანიზმები გურულ ზმნებში. – ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, V-VI. თბილისი, 1940, გვ. 222-232.

რეხვიაშვილი 1964 – ნ. რეხვიაშვილი, ქართული ხალხური მეტალურგია. თბილისი, 1964.

რობაქიძე 1960 – ა. რობაქიძე, მეფუტკრეობის ისტორიისათვის. თბილისი, 1960.

საითიძე 1990 – გ. საითიძე, სკანდას ციხე. – ძეგლის მეგობარი, 1. თბილისი, 1990, გვ. 54-61.

სამეცნიერო სესია... 1973 – სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ქალაქ ფასისის ლოკალიზაციის პრობლემისადმი. მოხსენებები. თბილისი, 1973.

სანიკიძე 1956 – ლ. სანიკიძე, პონტოს სამეფო. თბილისი, 1956.

სიხარულიძე 1958-1959 – ჯ. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა (აჭარის ასსრ), I-II. ბათუმი, 1958-1959.

სპაიდელი 1985 – მ. სპაიდელი, კავკასიის საზღვრები. II საუკუნის გარნიზონები აფსაროსში და პეტრაში. – მაცნე, 1. თბილისი, 1985, გვ. 135-149.

ურუშაძე 1964 – ა. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებებში. თბილისი, 1964.

უშაკოვი 1940 – პ. უშაკოვი, საქართველოს უძველესი ხალხები და უკანასკნელი წლების აღმოჩენები არქეოლოგიის დარგში. – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. X-B, 1940, გვ. 245-265.

ფუთურიძე და სხვ. 1972 – რ. ფუთურიძე, ნ. ხოშტარია, ა. ჭყონია, ვანის ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 1961-1963 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური თხრის შედეგები. – ვანი, I, თბილისი, 1972, გვ. 111-134.

ქავთარაძე 1985 – გ. ქავთარაძე, ანატოლიაში ქართველურ ტომთა განსახლების საკითხისათვის. თბილისი, 1985.

ქალდანი 1969 – მ. ქალდანი, სვანური ენის ფონეტიკა. თბილისი, 1969.

ქართლის ცხოვრება – ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I, თბილისი, 1955.

ქორიძე 1965 – დ. ქორიძე. კოლხური კულტურის ისტორიისათვის. თბილისი, 1965.

ღლონტი 1971– ალ. ღლონტი, ტოპონიმიკური ძიებანი, I. თბილისი, 1971.

ყაუხჩიშვილი 1951 – თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში. თბილისი, 1951.

ყაუხჩიშვილი 1957 – თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია. თბილისი, 1957.

ყაუხჩიშვილი 1959 – თ. ყაუხჩიშვილი, აპიანე. მითრიდატეს ომების ისტორია. თბილისი, 1959.

ყაუხჩიშვილი 1960 – თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ. თბილისი, 1960.

ყაუხჩიშვილი 1962 – თ. ყაუხჩიშვილი, მემნონის „ჰერაკლეის ისტორიის“ ცნობები საქართველოს შესახებ. – მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 34. თბილისი, 1962, გვ. 137-194.

ყაუხჩიშვილი 1965 – თ. ყაუხჩიშვილი, ჰიპოკრატეს ცნობები საქართველოს შესახებ. თბილისი, 1965.

ყაუხჩიშვილი 1967 – თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I (სკილაქს კარიანდელი, სკიმნოს ქიოსელი, დიონისიოს პერიეგეტი). თბილისი, 1967.

ყაუხჩიშვილი 1967ა – თ. ყაუხჩიშვილი, ვანის ბერძნული წარწერები. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XVIII, № 1, 1967, გვ. 253-258.

ყაუხჩიშვილი 1969 – თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, II (არისტოტელე, ნიკოლოზ დამასკელი, კლავდიუს ელიანუსი). თბილისი, 1969.

ყაუხჩიშვილი 1969ა – თ. ყაუხჩიშვილი, ჰერაკლიდე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ. – აღმოსავლური ფილოლოგია, I. თბილისი, 1969, გვ. 189-216.

ყაუხჩიშვილი 1971 – თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ეპიგრაფიკა როგორც საქართველოს ისტორიის წყარო. – ქართული წყაროთმცოდნეობა, III. თბილისი, 1971, გვ. 9-34.

ყაუხჩიშვილი 1976 – თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, III (პოლიბიოსი, დიოდორე სიცილიელი, დიონისიოს ჰალიკარნასელი). თბილისი, 1976.

ყაუხჩიშვილი 1976ა – თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები. თბილისი, 1976.

ყაუხჩიშვილი 1980 – თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, IV (არატოსი, ლიკოფრონი, კალიმაქე, თეოკრიტე). – საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროები, XIII. თბილისი, 1980.

ყაუხჩიშვილი 1980ა – თ. ყაუხჩიშვილი, კავკასიის ტომების საკითხისათვის ანტიკური წყაროების მიხედვით. – მაცნე (ისტორიის სერია), № 3 და 4. თბილისი, 1980, № 3, გვ. 33-37 და № 4, გვ. № 57-77.

ყაუხჩიშვილი 1983 – თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, V (იოსებ ფლავიუსი და ფლავიუს არიანე). თბილისი, 1983.

ყაუხჩიშვილი ს. 1934 – ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II. თბილისი, 1934.

ყაუხჩიშვილი ს. 1936 – ს. ყაუხჩიშვილი, მისიმიანთა ტომი. – თბილისის უნივერსიტეტის შრომები, I, 1936, გვ. 277-280.

ყაუხჩიშვილი ს. 1952 – ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. IV, ნაკვ. 2. თბილისი, 1952.

ყაუხჩიშვილი ს. 1963 – ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III. თბილისი, 1963.

ყაუხჩიშვილი ს. 1965 – ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა (ბიზანტიელ მწერალთა ცნობები საქართველოს შესახებ). II. თბილისი, 1965.

ყიფშიძე 1937 – ი. ყიფშიძე, I. საანგარიშო მოხსენება ჭანეთში საენათმეცნირო მივლინებისა 1917 წ. ზაფხულს; II. მივლინების დღიური. – ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, I. თბილისი, 1937, გვ. 145-177.

ჩაჩაშვილი 1956 – გ. ჩაჩაშვილი, ქსოვილების დამზადების ისტორიიდან საქართველოში, 1. სელი. – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIX-B, თბილისი, 1956, გვ. 171-194.

ჩიქობავა 1936 – არნ. ჩიქობავა, ჭანური (ლაზური) დიალექტის გრამატიკული ანალიზი. თბილისი, 1936.

ჩიქობავა 1938 – არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. თბილისი, 1938.

ჩიქობავა 1974 – არნ. ჩიქობავა, ადგილის სახელთა წარმოების ტიპები და მათი ისტორიული ურთიერთობა ქართულში. – იბერიულ-კავკაკასიური ენათმეცნიერება, ტ. XIX. თბილისი, 1974.

ჩიქოვანი 1971 – მ. ჩიქოვანი, ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები. თბილისი, 1971.

ცქიტიშვილი 1964 – გ. ცქიტიშვილი, ანტიკური ხანის შორაპნის საერისთაოს საკითხისათვის. – საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, III. თბილისი, 1964, გვ. 71-106.

ძიძიგური 1970 – შ. ძიძიგური, ქართული დიალექტური ძიებანი. თბილისი, 1970.

ძიძიგური 1981 – შ. ძიძიგური, ბასკურ-კავკასიური პრობლემა. თბილისი, 1981.

ძიძიგური 1982 – შ. ძიძიგური, ბასკები და ქართველები. თბილისი 1982.

წერეთელი გ. 1958 – გ. წერეთელი, მცხეთის ბერძნული წარწერა ვესპასიენეს ხანისა. თბილისი, 1958.

წერეთელი 1954 – კ. წერეთელი, ქართული ეთნიკური ტერმინის „მესხი"-ს ისტორიისათვის. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XV, № 2. თბილისი, 1954.

წერეთელი 1979 – კ. წერეთელი, „ებრაელების" აღმნიშვნელი ეთნიკური ტერმინები ქართულში. – თბილისის უნივერსიტეტის შრომები, აღმოსავლეთმცოდნეობა, ტ. 206. თბილისი, 1979.

ჭილაშვილი 1958 – ლ. ჭილაშვილი ქალაქი რუსთავი. თბილისი, 1958.

ჭილაშვილი 1968 – ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. თბილისი, 1968.

ჭყონია 1981 – ა. ჭყონია, ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან. = ვანი VI, თბილისი, 1981.

ხაზარაძე 1970 – ნ. ხაზარაძე, თაბალის ქვეყნის ადგილმდებარეობისათვის. – ძველი ისტორიის საკითხები, თბილისი, 1970, გვ. 64-84.

ხაზარაძე 1978 – ნ. ხაზარაძე, აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში. თბილისი, 1978.

ხაზარაძე 1984 – ნ. ხაზარაძე, საქართველოს ძველი ისტორიის ეთნოპოლიტიკური პრობლემები. თბილისი, 1984.

ხარაძე, რობაქიძე 1964 – რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად. თბილისი, 1964.

ხახუტაიშვილი 1964 – დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, I. თბილისი, 1964.

ხინთიბიძე 1982 – ელ. ხინთიბიძე, ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის. თბილისი, 1982.

ხოშტარია 1957 – ნ. ხოშტარია, ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები დასავლეთ საქართველოში. – საქართველოს არქეოლოგია. თბილისი, 1957, გვ. 223-250.

ხოშტარია 1972 – ნ. ხოშტარია, ვანის არქეოლოგიური შესწავლის ისტორიიდან. – ვანი I. თბილისი, 1972, გვ. 81-95.

ჯავახიშვილი 1913 – ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I[1], თბილისი 1913.

ჯავახიშვილი 1919 – ი. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები. თბილისი, 1919.

ჯავახიშვილი 1946 – ი. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. თბილისი, 1946.

ჯავახიშვილი 1948 – ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II. თბილისი, 1948.

ჯავახიშვილი 1950 – ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, I (საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები). თბილისი, 1950.

ჯავახიშვილი 1951 – ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I. თბილისი, 1951.

ჯანაშია ლ. 1962 – ლ. ნ. ჯანაშია, ლაზარე პარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ. თბილისი, 1962.

ჯანაშია 1949, 1952, 1959, 1968 – ს. ჯანაშია, შრომები, 4 ტ. თბილისი, 1949, 1952, 1959, 1968.

ჯაოშვილი 1970 – ვ. ჯაოშვილი, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, 2. თბილისი, 1970.

ჯაფარიძე 1990 – ვ. ჯაფარიძე, ანტიკური ხანის შორაპნის (სარაპანისი) ახალი არქეოლოგიური მონაცემები. პრეპრინტი. თბილისი, 1990.

ჯიქია 1993 – ლ. ჯიქია, ქუთაისისა და მისი მიდამოების არქეოლოგიური ძეგლები. ქუთაისი, 1993.

ჯორბენაძე 1989 – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I. თბილისი, 1989.

Алексидзе 1957 – Л. Алексидзе, К вопросу о международно-правовых взаимоотношениях Иберии с Римом. – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 65, 1957, გვ. 161-179.

Алиев 1974 – К. Алиев, Кавказская Албания. Баку, 1974.

Амиранашвили 1938 – А. И. Амиранашвили, Иберия и римская экспансия в Азии. – Вестник древней истории, 4. Москва, 1938, გვ. 161-173.

Андреев 1980 – Ю. Андреев, Политическая география Гомеровской Греции. К вопросу о датировке «Каталога кораблей» в «Илиаде». – Древний Восток и античный мир. Москва, 1980, გვ. 128-152.

Анчабадзе 1956 – З. В. Анчабадзе, Вопросы истории Абхазии в книге П. Ингороква «Георгий Мерчуле – грузинский писатель X века». – Труды Абхазского Института языка, литературы и истории, т. XXII. Сухуми, 1956, გვ. 261-278.

Анчабадзе 1964 – З. В. Анчабадзе, История и культура древней Абхазии. Москва, 1964.

Арский 1974 – Ф.Н. Арский, Страбон. Москва, 1974.

Артамонов 1961 – М. И. Артамонов, Антропоморфные божества в религии скифов. – Археологический сборник Государственого Эрмитажа, 2. Ленинград, 1961, გვ. 57-87.

Бардавелидзе 1949 – В. В. Бардавелидзе, Земельные владения грузинских святилищ. – Советская этнография, 1. Москва, 1949, გვ. 92-109.

Бардавелидзе 1957 – В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен. Тбилиси, 1957.

Блаватский 1954 – В. Д. Блаватский, Рабство и его источники в античных государствах Северного Причерноморья. – Советская археология, XX. Москва, 1954, გვ. 31-56.

Бокщанин 1960 – А. Г. Бокщанин, Парфия и Рим. Москва, 1960.

Болтунова 1947 – А. И. Болтунова, Описание Иберии в "Географии" Страбона. – Вестник древней истории, 4. Москва, 1947, გვ. 142-159.

Болтунова 1956 – А. И. Болтунова, Возникновение классового общества и государственной власти в Иберии. – Вестник древней истории, 2. Москва, 1956, გვ. 28-43.

Болтунова 1963 – А. И. Болтунова, Античные города Грузии и Армении. – Античный город. Москва, 1963, გვ. 153-189.

Болтунова 1976 – А. И. Болтунова, Аргонавты и Колхида. – მაცნე (ისტორიის სერია), 3. თბილისი, 1976, გვ. 37-44.

Брашинский 1967 – И. Б. Брашинский, К истории экономических связей Восточного Причерноморья в античную эпоху. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XVII, 3. თბილისი, 1967, გვ. 759-761.

Брашинский 1973 – И. Б. Брашинский, Понтийское пиратство, – Вестник древней истории, 3. Москва, 1973, გვ. 124-133.

Виноградов, Доманский, Марченко 1990 – Ю. Г. Виноградов, Я. В. Доманский, К. К. Марченко, Сопоставительный анализ письменных и археологических источников по

проблеме ранней истории Северо-Западного Причерноморья. – Причерноморье в VII-V вв. до н.э.: Письменные источники и археология. Материалы V Международного симпозиума по древней истории Причерноморья, Вани 1987. Тбилиси, 1990, გვ. 75-98.

Виноградов, Молев, Толстиков 1985 – Ю.Г., Виноградов, Е.А. Молев, В.П. Толстиков, Новые эпиграфические источники по истории митридатовой эпохи. – Причерноморье в эпоху эллинизма. Материалы III Всесоюзного Симпозиума по девней истории Причерноморья, Цхалтубо - 1982. Тбилиси, 1985, გვ. 589-600.

Гагошидзе 1977 – Ю. М. Гагошидзе, Раскопки храма I в. до н.э. в Дедоплис Миндори. – Краткие сообщения Института археологии АН СССР. Москва, 1977, გვ. 102-108.

Гагошидзе 1979 – Ю. М. Гагошидзе, Самадло, I. Тбилиси, 1979.

Гайдукевич 1949 – В. Ф. Гайдукевич, Боспорское царство. Москва-Ленинград, 1949.

Гамкрелидзе, Иванов 1984 – Т. В. Гамкрелидзе, В. В. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, I-II. Тбилиси, 1984.

Гзелишвили 1964 – И. А. Гзелишвили, Железоплавильное дело в древней Грузии. Тбилиси, 1964.

Гозалишвили 1956 – Г. К. Гозалишвили, О древнем торговом пути в Закавказье. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, II. თბილისი, 1956, გვ. 153-169.

Голенко 1963 – К. В. Голенко, Еще о монетах, приписываемых Савмаку. – Вестник древней истории, 3,1963, გვ. 69-81.

Голенко 1964 – К. В. Голенко, Денежное обращение Колхиды в римское время. Ленинград, 1964.

Голенко 1965 – К. В. Голенко, Две монеты Понтикапея II в. до н.э. – Нумизматика и эпиграфика, V. Москва, 1965, გვ. 56-61.

Голенко 1974 – К. В. Голенко, Аристарх Колхидский и его монеты. – Вестник древней истории, 4. Москва, 1974, გვ. 105-110.

Голенко 1977 – К. В. Голенко, К датировке монет Диоскурии. – Нумизматический сборник, посвящение памяти Д. Г. Капанадзе. Тбилиси, 1977, გვ. 57-64.

Гордезиани 1978 – Р. В. Гордезиани Проблемы гомеровского эпоса. Тбилиси, 1978.

